

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი



ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა
„ლიტერატურის მატიანე“

შემდგენელი და რედაქტორი
იზა ორჯონიკიძე

მხატვრული რედაქტორი
დიანა ჭეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
მანანა თხინვალელი

ააწყო
ლია ქიტიაშვილმა

დააკაბადონეს
ფატი გაგულიამ
და
ირინე ამირიძემ

კორექტორი
კახი ორჯონიკიძე

წიგნი გამოიცა თამაზ ჩხენკელის
მეგობრების ხარჯით

დაიბეჭდა
შპს „ფორმა“-ში

ISBN 99940-28-44-8

© „ლიტერატურის მატიანე“

ინდური ლოგოსი

რაბინდრანაგ თაგორი
ახალი ინდოეთის მოაზროვნეები
ინდური საგალობლები
ბჰაგავატ გიტა

თარგმნა,
შენიშვნები და კომენტარები დაურთო
თამაზ ჩხენკელმა

თ ბ ი ლ ი ს ი

2006

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

„ინდურ ლოტოსში“ თაემოყრილი წიგნები საბჭოთა საქართველოში დიდი დაგვიანებით – 1960-78 წლებში გამოქვეყნდა. 1958 წელს თარგმნილი „ბჰაგავატგიტა“ 1983 წელს გამოიცა, ხოლო „ახალი ინდოეთის მოაზროვნეებმა“ – ოცი წლით დააგვიანა.

ამ თარგმანების გამოცემას წინ ეღობებოდა საყოველთაოდ გავრცელებული, საბჭოთა იდეოლოგიის წილში ნაშობი შეხედულება – ასეთი ლიტერატურა მისტიკაა, ჯავაპარლალ ნერუ კი – იმპერიალიზმის აგენტი. დღევანდელი ახალგაზრდა მკითხველისათვის იქნებ გაუგებარიც კი იყოს ეს ნათქვამი, მაგრამ ასე იყო... ერთ-ერთი გამომცემლობის მთავარმა რედაქტორმა, რომელიც, როგორც ჩანს, უწყებრივი ცენზორის მოვალეობასაც ითავსებდა, რესენციიში დაწერა კიდევ: „თამაზ ჩხენკელმა პირდაპირი ინდური ღვთაების წინაშე დააყენა ქართველი ახალგაზრდობა“ (ეს რეცენზია თ.ჩხენკელის არქივში ინახება!).

გამომცემლობათა და ჟურნალების რედაქტორებიც ყოველად უაქელაციოდ ერუოდნენ შემოქმედებით პროცესში, თვითნებურად ასწორებდნენ ტექსტს, შეურთებლად ებრძოდნენ ე. წ. „არქაიზმებსა“ და ამა თუ იმ, მათთვის გაუგებარ და „მიუღებელ“, მაგრამ ჭეშმარიტად ქართულ სიტყვებს, რომლებსაც, თბილისს გასცდებით თუ არა, ხშირად გაიგონებო ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და გურიაში და ა. შ.

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ „გიტანჯალისა“ და „ბჰაგავატგიტას“ მეორე გამოცემის რედაქტორები იყვნენ – პირველის – ცნობილი მწერალი ოთარ ჩხეიძე, ხოლო მეორის – აკადემიკოსი გიორგი ახელუდიანი. თაგორის დაბადების 100 წლისთაყისადმი მიძღვნილი თამაზ ჩხენკელის პატარა ბროშურის „რაბინდრნატ თაგორის“ რედაქტორობაც გიორგი ახელუდიანმა იკისრა. (ავტორიტეტებს ყოველთვის ვერიდებოდა ოფიცოზი!)

„ინდური ლოტოსი“ ერთ წიგნად კრავს და ამთლიანებს რამდენიმე ისეთ ნაწარმოებს, ურომლისოდაც საკაცობრიო კულტურა შესამჩნევად გადარიბდებოდა.

დღევანდელ ქართულ საზოგადოებას, ჩემი დაკვირვებით, არსობის პურზე მეტად სულიერი საზრდელი, სულის პური აკლია. „ინდური ლოტოსი“ ამ შიმშილისაგან თაედასახსნელად სწორედაც რომ მისწრებაა, ბატონებო!

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ს წ ი ნ ა თ ქ მ ა

ინდური ფილოსოფიისა და რელიგიისადმი ინგერესი თაქელა-ჭირველად არჩილ ჯორჯაძის წერილებმა აღმიძრა. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა მე ხარბად ვეწაფებოდი ზიძაჩემის, სოსო ასლანიშვილის, ბიბლიოთეკაში თაემოყრილ ათასნაირ ლიტერატურას. „დიონისეს ღიმილში“ მაოცებდა ევროპულ კულტურას ნაზიარები სავარსამიძის სურვილი – ეთარგმნა „უპანიშადები“. მერე მამაჩემის წიგნებში აღმოვაჩინე თავორის „ვიგანჯალი“ და მშვენიერად გამოცემული „ბენგალი“, რომლის ყდაზე აღბეჭდილი სურათი ღღემღე მასსოგს. იქვე ვნახე რომენ როლანის 1936 წ. გამოცემული ოცგომეულის ორი უკანასკნელი წიგნი, რომლებიც ინდურ მისტიკას ეძღვნება.

ვივეკანანდას პიროვნებამ ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდინა. თავის მოძღვართან, რამაკრიშნასთან შესვედრამდე, კრივით, ცურვითა და ცხენოსნობით გაგაცეებული ეს ათლეტური აღნაგობის ურწმუნო და მეამბოხე ჭაბუკი, მაშინდელი ინდური საზოგადოების თვალსაზრისით, თავქარიან ცხოვრებას ეწეოდა. ის უარყოფდა ყოველგვარ ღმერთს და რელიგიურ დოქტრინებს, თუმცა მკაცრად ასრულებდა უბიწოების აღიქმას, რადგან მიაჩნდა, რომ სულისა და სხეულის სიწმინდე გონითი ძალის მომნიჭებელია. როდესაც მამამისს, დასაელური პოზივიტიზმით გულგასენილ არისტოკრატს და სკეპტიკისს აუწყეს შვილის შლეგობანი, მან ნალელიანად დასძინა: ეს ქვეყანა საშინელია, იცხოვროს როგორც უნდა, თუკი შესალებს ღაივიწყოს ამქვეყნიური ამაოება.

შემდეგ ვივეკანანდა იგყვის, რომ ძნელია კაცის გულში მბღღენიანი ცოფიანი მაიმუნის მოთვინიერება, რომ იგი უნდა მოითრგუნოს მისდამი მიმართული შინაგანი, დაუნჯებული მჩერით. ინდოელი იოგების თვალსაზრისი იმთავითვე ასეთი იყო და როგორც რ. როლანი ამბობს, მათ ფროიდზე დიდი ხნით ადრე იცოდნენ, რომ ქვენა გრძნობებისგან სულის განკურნება მხოლოდ იმას ხელეწიფება, ვინც გულში ჩაბუდებულ ურჩხულებს პირდაპირ თვალეებში შეხედავს.

ცნობილი ინდოლოგი მაქს მიულერი წერს: „მე რომ მეკითხა ჩემი თავისთვის, ბერძენთა, რომაელთა და ებრაელთა აზროვნებაზე აღზრდილ ევროპელებს რა წყაროებიდან უნდა შეგვეძინა ის კორექტივი, რომელიც ჩვენს შინაგან ცხოვრებას უფრო ადამიანურს, უფრო სროლყოფილს და ყოვლისმომცველს გახდიდა, ისევ ინდოეთზე მივუთითებდი“. ინდური აზროვნების სიღრმით და სიღიადით მოხიბლულნი იყვნენ გოეთე და ჰეგელი, შოპენჰაუერი, ჰარტმანი, გორო და ემერსონი. ახალ დროში პირველყოფილ-მითოსურისაღმი და დასაბამიერისაღმი ლგოლვამ ევროპელი მოაზროვნეების, მწერლებისა და პოეგების ყურადღება კელავ მიმართა აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ ინდოეთისკენ /ჰიუმბერი/. ევროპამ უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში მეორედ აღმოაჩინა ინდური ფილოსოფია, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ევროპელ ფილოსოფოსებსა და მოაზროვნეებზე. მაგრამ არც გარდასულ ხანაში იყო ეს გავლენა ნაკლებ საჩინო. რ.როლანი თავის წერილში „პირველი საუკუნეების ელინისგურ-ქრისტიანული მისტიციზმის ინდურ მისტიციზმთან ურთიერთობა“ ასაბუთებს, რომ ასზე მეტი ფაქტი ადასტურებს იმას, თუ რა დიდ

გაუღენას ასდენდა პირველ საუკუნეებში ელინისტურ ამროვნებაზე აღმოსავლეთი.

დღეს მთელ მსოფლიოში და ინდოეთშიც შეინიშნება აშკარა სექტანტიზმი. „ბჰაგავატიას“ საფუძველზე კრიშნაიტულ სექტას აარსებენ და ეს მაშინ, როცა „გიტა“ არავითარი სექტანტური მიზნებით არ არის შეზღუდული. იგი უნივერსალურია თავისი მიდგომით ყველასადმი. იგი ყველასთვის განმზულია. ნერუს სიტყვით: „გიტაში“ არის უბერებელი, მარადი განახლების უნარის მქონე რაღაცნაირი შინაგანი თვისება, რომელსაც ძალა შესწევს განჭვრეტისა და ქმედებისა. იგი ერთიანად გამსჭვალულია ცვალებადი გარემოცვის მიმართ უპირატესობის სულით. მასში ყოველთვის შეგვიძლია ვნახოთ რაღაც ისეთი, რაც შეესაბამება იმ სულიერ პრობლემათა ძიების აზრს, რომელთა გადასაჭრელად დღენიადავ იბრძვის გონება.

აღსანიშნავია, რომ „გიტაში“ აღწერილი ლეთის გამოცხადების ერთერთი შლოკიდან (XI, 12) არის აღებული ცნობილი ფიზიკოსის ძუნჯის წიგნის სათაური – „ათასი მზის ელვარებით“ (მოსკოვი, 1960). ავგორი პირველი ატომური ბომბის საცდელ აფეთქებისას დამსწრეთა შეძრწუნებას კრიშნას კოსმოსური გამოცხადებისაგან მოგვრილ არჯუნას თავმარდაცემას ადარებს.

თავგორის ლირიკიდან „გიტამდე“ განვლილი ათწლეული ჩემთვის კრიზისული თვითდადგინების ხანა იყო. ოცი წლის ასაკში ვთარგმნე „გიტანჯალის“ ნახევარი, რითაც დავემშვიდობე ჩემს რომანტიკულ წარსულს, ხოლო 2500 წლის წინ შექმნილი „გიტას“ სანსკრიტული ტექსტის კომენტატორების, ოთხი დიდი ინდოლოგის – დოისენის, მიულერის, ბაურნუფის და სმირნოვის შენიშვნების ორწლიანი შტუდირების შემდეგ,

ოცდაათი წლისამ ვთარგმნე „გიგა“, რამაც განამტკიცა ჩემი თვითტნობიერება და გზა გამისსნა ვაყას გენიალური პოემის შესაყნობად...

„ინდური ლოგოსი“ ჩემი სიჭაბუკის წიგნია, და მე ბედნიერად ჩავთელი თავს, თუ ის ყოფიერების საშინელებით შეძრწუნებულ, სასოწარკვეთილ, ან ქვეყანაზე გულაყრილ რომელიმე მოაზროვნე ახალგაზრდას რწმენას დაუბრუნებს და გულს გაუმავრებს.

P. S. რ.როლანის წიგნიდან თარგმნილი გექსტი ადაპტირებულია. უხვი სქოლიოებიდან მე მხოლოდ გექსტის გაცებისათვის აუცილებელი სტრიქონები შევარჩიე.

თამაზ ჩხენკელი
2005. XII.



რაბინდრანაგ თაგორი

თაგორის სახელი მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა 1913 წელს, როცა ინგლისურად გამოქვეყნდა მისი პოეტური შედევერი „გიტანჯალი“. ამ წიგნს ცნობილი პოეტის იეტსის აღტაცებული წინასიტყვაობა უძლოდა. იეტსი წერდა: „ეს ლირიკული კრებული დიდი კულტურის ნაყოფია. იგი ნაჟურია მთელი ქვეყნისა, სადაც პოეზია და რელიგია შერწყმულია. თუ ბენგალიის ცივილიზაცია არ დაიღუპა, იგი გაჟონავს ყველგან და მთელი თავისი დახვეწილობით უკანასკნელი უპოვარისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება. ეს საგალობლები, კარგად დაბეჭდილ ტომებად გამოცემულნი, უქმად არ იდება იმ ქალბატონების მაგიდაზე, რომლებიც უგულისყუროდ გადაფურცლავენ მის ლექსებს. მათ ხელში არ აიღებენ სტუდენტები, რათა საჭირო შემთხვევაში უფრო სერიოზული საქმე მოიმიზეზონ და გადასდონ წიგნი. გაივლიან თაობები და მათ ისევ იმღერებენ დიდი გზის ყარიბები და განგის მენავეები. ერთმანეთის მომლოდინე მიჯნურები მათში პოეებენ მეუფის სიყვარულს, იმ ჯადოსნურ ყურეს, სადაც მათი მიწიერი სიბერე განიწმინდება და განახლდება“.

რამდენიმე წელიწადში ეს კრებული ევროპისა და აზიის თითქმის ყველა კულტურულ ენაზე ითარგმა და გამოიცა. ამრიგად, მანამდე უცნობმა ბენგალელმა მსოფლიოს უსაჩინოესი პოეტის სახელი მოიხვეჭა, მაგრამ თაგორის შემოქმედება იმთავითვე მრავალი გაუგებრობისა და ცრურწმენის მიზეზიც გახდა. კარგადა თქვა ერთმა ინდოლოგმა: როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, თაგორი იმდენადვეა ცნობილი, რამდენადაც გაუგებარიო. და ეს სწორი იყო იმიტომ, რომ მკითხველთა ფართო წრეებს ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ როგორც ინდოეთზე, ისე ინდური აზროვნებისა და იდეების სპეციფიკურ სამყაროზე, რომლის გაუთვალისწინებლად ძნელია თაგორის უაღრესად ორიგინალური პოეზიის გაგება.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ინდოეთი ქვეყანა კი არ არის, როგორც, მაგალითად, საფრანგეთი ან ჰოლანდია, არამედ ქვეყნების, ტომების, ენებისა და რელიგიების უნაპირო ზღვაა, „ადამიანურ მასშტაბში განსახიერებული მცირე კოსმოსი, ხალხთა უზარმაზარი აგლომერატი“ (მულქ რაჯ ანანდი). მართალია, ისინი დაკავშირებული არიან კულტურული ელემენტების გარკვეული ერთიანობით, მაგრამ ამ ერთიანობის ფონზე უფრო თვალსაჩინოა მათი უდიდესი ნაირფერობა. ევროპასა და ინდოეთს შორის ოდითგანვე არსებობდა გარკვეული ურთიერთობა. უფრო ინტენსიური ურთიერთობა ინდოეთს ჩინურ-იაპონურ სამყაროსთან ჰქონდა. მაგრამ ძირითადად, ინდოეთი თავის მთლიანობაში, ცხოვრებისა და გონის ყველა არეში განსაკუთრებული გზით მიდიოდა. მისი ტერიტორიის, მოსახლეობის სიდიდის და აგრეთვე ისტორიული ცხოვრების ხანგრძლივობისა და განუწყვეტლობის გამო, შესაძლოა უფრო მართებული იყოს ევროპისა და ინდოეთის შეპირისპირება არა როგორც „ქვეყნებისა“ და „რასებისა“, არამედ როგორც ევროპული და ინდური კაცობრიობისა. ინდოეთი სწორედ მით არის ასე საინტერესო, რომ იგი წარმოგვიჩინს ჩვენგან დიდად განსხვავებულ ტიპს კაცობრიობისას, რომელიც ძირითადად იმავე დაუთრგუნველი თანდათანობით განვითარდებოდა, ევროპა სულაც რომ არ არსებულებოდა (ტუბიანსკი).

ინდოეთში 14 სალიტერატურო ენა არსებობს, რომელთაგან ზოგს უძველესი ტრადიცია აქვს. ბენგალური ლიტერატურა მონინავე და უმდიდრესია სხვა ინდურ ლიტერატურათა შორის. „ახალი დროის სუნთქვა პირველად ბენგალიამ იგრძნო. ბენგალური ლიტერატურით დაიწყო ინდოეთის რენესანსი“ (ლ. ბჰატაჩარია). ბენგალურ ენაზე 70 მილიონი კაცი ლაპარაკობს. მისი ლექსიკური ფონდის 80 პროცენტი სანსკრიტული ძირისაა. ამ ენაზე შექმნილი უძველესი ლიტერატურული ძეგლი XIV საუკუნეს განეკუთვნება. თავორი ბენგალურად წერდა. ბენგალია იყო მისი ბავშვობისა და სიჭაბუკის, მისი შთაგონების იდუმალი ქვეყანა.



რაბინდრანათ თაგორი დაიბადა 1861 წელს, 7 მაისს, ბენგალელ ბრამინთა ოჯახში. რაბინდრანატი მეთოთხმეტე შვილი იყო. პაპამისი — დავარკანათ თაგორი, ინდოეთის დიდი განმანათლებლისა და რელიგიური საზოგადოების ბრაჰმო სამაჯის (სახლი უფლისა) დამაარსებლის რამ მოჰან როის ერთ-ერთი თანამოსაგრე იყო; ხოლო მამა, დებენდრანათ თაგორი — ამ საზოგადოების გამოჩენილი მოღვაწე, ბრაჰმო სამაჯის სარწმუნოების განთქმული ოთხი დოგმატის შემქმნელი.

ჩემი სიყმაწვილის ერთ-ერთი დიდი უპირატესობა, იგონებს თაგორი თავის წიგნში, ჩვენს სახლში გამეფებული ლიტერატურული და არტისტიკული ატმოსფერო იყო. მას ბავშვობიდანვე აკითხებდნენ უპანიშადებისა და ბჰაგავატგიტას სანსკრიტულ საგალობლებს, ასწავლიდნენ მუსიკასა და ბენგალურ ლიტერატურას. 12 წლის თაგორი ტრადიციული წესის თანახმად ბრამინად აკურთხეს და იგი მამას მიჰყავს ჰიმალაის მთებში წმიდა ადგილთა მოსახილველად. ამ მოგზაურობამ წარუხორციელი შთაბეჭდილება დატოვა თაგორის გულში. 1878 წელს პოეტი ინგლისს მიემგზავრება. აქ იგი გულმოდგინედ სწავლობს ინგლისურ ლიტერატურას, ევროპულ მუსიკასა და ხელოვნებას.

90-იანი წლებისათვის თაგორი უკვე დასრულებული მწერალია — რამდენიმე ლირიკული კრებულის, რომანისა და პიესის ავტორი. იგი ცხოველ ინტერესს იჩენს ინდოეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისადმი. თაგორი აქვეყნებს პუბლიცისტური წერილების მთელ სერიას, ხოლო 1895 წელს აარსებს ჟურნალს „შადჰონას“. 1901 წელს თაგორი ახორციელებს თავის დიდი ხნის ოცნებას: შანტინიკეტონში, კალკუტის მახლობლად, აარსებს სკოლას, რომლის ბაზაზე 1921 წელს ეროვნულ უნივერსიტეტს — ვიშვა ბჰარატს აფუძნებს. უნივერსიტეტის გახსნის დღეს მან თქვა: „მე დავაარსე ეს დაწესებულება როგორც ადგილი, სადაც ისწავლიან სხვადასხვა ცივილიზაციისა და ტრადიციის ადამიანები. ეს დიადი იდეაა“... ელენ დრაიზერი, ჩვენთვის ცნო-

ბილი ამერიკელი მწერლის მეუღლე, გვიამბობს: „მას მიაჩნდა, რომ მთელი მსოფლიოს სულიერი განწყობილება უნდა შეიცვალოს და რომ მომავლის ადამიანი საჭიროა აღიზარდოს კაცთა ფართო და ძმური კავშირის ღრმა რწმენით“.

1919 წელს ინგლისელებმა ამრიტსარში დახვრიტეს უიარალო ხალხი (200-მდე კაცი), რომელიც ეროვნული ლოზუნგებით გამოდიოდა. ეს სისხლისღვრა ლენინმა დაახასიათა როგორც „მასობრივი მკვლელობა“. ამ ამბებთან დაკავშირებით თავორმა საჯაროდ უარყო ინგლისის მთავრობის მიერ მისთვის ბოძებული ბარონეტის ტიტული, მან განაცხადა: „მე მრცხვენია მქონდეს რაიმე პრივილეგია, როცა ჩემს თანამემამულეებს ეპყრობიან როგორც არაადამიანებს“.

1924 წელს თავორი კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა. მოიარა იაპონია, ჩინეთი, ტაილანდი, ინდონეზია, ევროპა და ამერიკა. ამ ქვეყნებში წაიკითხა ლექციები ინდურ ფილოსოფიაზე და პოეზიაზე, პოლიტიკისა და ეთიკის საკითხებზე. თავისი ცხოვრების მიწურულში, როგორც თვითონ ამბობს — „ხაზების მომხიბვლელობას დაემორჩილა“; მან უკუაგდო ყველა დაბრკოლება და გატაცებით დაიწყო ფერწერის შესწავლა. 1930 წელს, პარიზში, პიგალის გალერეაში თავორმა გამოფინა თავისი სურათები და სენსაცია გამოიწვია საფრანგეთის დედაქალაქში. იმავე წელს თავორის სურათები გამოფინეს ნიუ-იორკში, მოსკოვში, ლონდონსა და ბერლინში. „ჩემი ცხოვრების დილა სავსე იყო სიმღერებით, — ამბობდა იგი, — დაისი ჩემი ცხოვრებისა, დე, ფერებით იყოს აღსავსე“. თავორმა 2000-მდე სურათი შექმნა. ეს ნამუშევრები არაჩვეულებრივი ხატოვნებითა და უცნაური რიტმული სილამაზით არის აღბეჭდილი.

რაბინდრანატ თავორი იყო აგრეთვე კომპოზიტორი. ბენგალურ მუსიკალურ ხელოვნებაში მან იმდენად რადიკალური ცვლი-

* თავისთავად სწორი ეს შენიშვნა მწარე ირონიას იწვევს, რადგან მარტო კაპლანის ხელმოცარული მცდელობისათვის მან 2500 კაცი დაახვერტინა, როგორც ამას წერს თავის მოგონებებში ივან ბუნინი (მოგონებები, პარიზი, 1950).

ლებანი შეიტანა, რომ მას „რაბინდრას მუსიკას“ უწოდებენ. ინდური კულტურის ისტორიკოსი ლუნია აღნიშნავს: თავორის მუსიკა პლასტიკური, ლალი და ორთოდოქსული კანონებისაგან თავისუფალია.

1941 წელს მაისში მთელმა მსოფლიომ ზეიმით აღნიშნა მისი დაბადების ოთხმოცი წლისთავი. ამავე წლის 30 ივლისს მწოლიარე პოეტმა უკანასკნელი ლექსები უკარნახა მახლობელთ. 7 აგვისტოს იგი მიიცვალა.



მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რაბინდრანათ თავორი თავდადებულად ემსახურებოდა „თავის დიდსა და დაჩაგრულ სამშობლოს“, მაგრამ მისი პატრიოტიზმი არასოდეს ყოფილა ვიწრო და შეზღუდული. იგი იზიარებდა განდის სიტყვებს იმის შესახებ, რომ მამულიშვილობა ადამიანობას ერწყმის. მე პატრიოტი ვარ იმიტომ, რომ ადამიანი ვარ და კაცადი კაცი, — წერდა განდი, — რაც უფრო ნაკლებ გიყვარს ადამიანი, მით უფრო ნაკლებ პატრიოტი ხარ.

თავორი ინდოეთში ევროპული კულტურის დაუცხრომელი პროპაგანდისტი და აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოებისა და თანამშრომლობის ერთ-ერთი დიდი ორგანიზატორი იყო. „მე მწამს, — ამბობდა იგი, — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჭეშმარიტი ერთიანობა... ყოველი ერი, რომელიც თავის თავში ჩაიკეტება, ახალი დროის სულს ეწინააღმდეგება“.

თვითონ თავორი მრავალფერი კულტურის ნაშეირად თვლიდა თავს. მან აითვისა როგორც კლასიკური ინდური ლიტერატურისა და ფილოსოფიის მემკვიდრეობა, ისე ევროპული და აზიური კულტურის მიღწევები. „მან გასდო ხიდი ძველსა და ახალ სამყაროს შორის და ინდოეთში მოდერნიზმის სიმბოლოდ გადაიქცა“ (მულქ რაჯ ანანდი). თავორის შემოქმედება, ერთი მხრივ, ღრმად და დაკავშირებული ტრადიციულ ინდურ აზროვნებასთან და განსაკუთრებით, ვიშნუიზმის მოძღვრებასთან, ხოლო მეორე მხრივ,

ევროპის ახალ ლიტერატურასთან. საერთაოდ, თავორზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპულმა კულტურამ და იგი ამ გავლენის მომხრე იყო. „ძალდატანება, რაც ახლა ხდება, რათა ჩვენი სული დასავლეთის სულს დააშორონ, ცდაა სულიერი თვითმკვლევლობისა... რა თქმა უნდა, არ ვარგა, რომ ჩვენ დიდი ხანია კავშირი დავეკარგეთ ჩვენს ძველ კულტურასთან, რის გამოც დასავლურ კულტურას თავისი ადგილი არა აქვს მიჩენილი. მაგრამ თქმა იმისა, რომ საჭირო არ არის მასთან ურთიერთობა, ნიშნავს მხარი დაუჭირო პროვინციალიზმის ყველაზე ცუდ სახეობას, რომელიც მხოლოდ სულიერ სილატაკეს მოგვიტანს...“

რაბინდრანატ თავორის სოფლგაგება რელიგიურია, მაგრამ იგი რომელიმე სარწმუნოებრივი დოგმით შებორკილი კაცი არა ყოფილა. იგი სიხარულით შეეგება დარვინის მოძღვრებასა და სპენსერის ფილოსოფიას. წლების განმავლობაში სწავლობდა ბუნებისმეტყველებას და დაინტერესებული იყო ჰექსლის ცდებით. იგი იცნობდა ასტროფიზიკის უახლოეს მიღწევებს, რომელთაც, ოპენჰაიმერის თქმით, იმ აზრამდე მიყვავართ, რომ დასავლეთის მეცნიერულ ტრადიციასა და ლაო-ძისა და ბუდას მოძღვრებათა შორის გარკვეული ანალოგია არსებობს, რაც ჩვენს დროში, როდესაც კულტურათა შორის ურთიერთგაცნობის მოთხოვნილება განსაკუთრებით დიდია, უაღრესი მნიშვნელობის მქონე ფაქტორია.

თავორის საგალობელთა უფალს მულქ რაჯ ანანდი მისივე Alter ego-დ მიიჩნევს. ეს აზრი ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის, თუ გავითვალისწინებთ ინდური სპირიტუალიზმის უძირითადეს მცნებას: ტატ ტვამ ასი, რაც ნიშნავს: იგი შენ ხარ. თავორი იზიარებდა უპანიშადების ამ დოქტრინას, რომლის მიხედვით ჩვენი იდუმალი, ინდივიდუალური ყოფიერება ატმანი აღიარებული იყო უნივერსალური ბუნებისა და ყველა მისი გამოვლინების იდუმალ ყოფიერებად — ბრაჰმანად. უპანიშადების ავტორებისათვის ობიექტური და სუბიექტური, ბრაჰმანი და ატმანი, კოსმოსური და ფსიქიკური სანყისები იდენტურია. სუბიექტისა და ობი-

ექტის იგივეობა ინდოეთში პლატონის დაბადებამდე იყო ცნობილი: იგი, ვინც ბრაჰმანია კაცის გულში და იგი, ვინც ბრაჰმანია მზეში, — ერთია (უპანიშადა). თაგორს სწამდა ადამიანის გულში დავანებული ატმანისა, რომელიც ჩვენში ჰგიეს, როგორც პოტენცია და შესაძლებლობა. კაცის ვალია მოეჭიდოს მას ძალისხმევითა და მოქმედებით. თუკი იგი ამას არ შერება, მაშასადამე, არ ასრულებს თავის მოვალეობას როგორც ადამიანი. „როცა მზე დაიბუდებს, როცა ჩაესვენება მთვარე, როცა დაცხრება ალი ცეცხლისა, მხოლო ატმანს ახლავს თავისი სინათლე“, ამბობს უპანიშადა. „მე ვევედრები უფალს, გულში არ ჩამიქრეს ნათელი და ჩირალდნით ხელში არ მომიხდეს სიარული“, დასძენს თაგორი, და იგი ამ შინაგანი ნათელის შუქზე ჭვრეტდა მთელ სამყაროს.

თამაზ ჩხენკელი

1960

გ ი ტ ა ნ ჯ ა ლ ი

1

შენ მომანიჭე მე ცხოვრება დაუსაბამო.
ნება შენი ასეთი იყო.
ამ უბრალო და მყიფე ჭურჭელს
უამიდან უამზე სცლი და ისევ პირამდე ავსებ.
მინდორ-ველებზე დაატარებ ამ პატარა ლერწმის სალამურს.
და ზედ მარად ახალ-ახალ სიმღერებს უკრავ.
შენი თითების სანუკველი შეხებისაგან
მე სიხარულით მემუსრება გულის ბჭენი და
ბაგეებს სწყდება ჯერუთქმელი საგალობელი.
შენი წყალობის უშურველი ნიჭი შენ მხოლოდ
ამ უღონო გულს მოაფინე.
საუკუნენი ილევთან... შენი მაღლი იღვრება ციდან,
და მაინც არის ჩემი გულის საუნჯეში მისთვის ადგილი.

2

როცა მიბრძანებ ვიგალობო,
ასე მგონია, სიამაყით გამისკდება გული და ვუმზერ,
მე შენს სახეს ვუმზერ მაშინ
და ცრემლები მადგება თვალზე.
ჩემი ცხოვრების სიდუხჭირე და სალმობანი
ერთ ტკბილხმოვან გალობად ისმის.
და შენდამი თაყვანისცემა ფრთებსა შლის ლალი ჩიტივითა,
ზღვა რომ უნდა განლიოს ფრენით.
ო, მე ვიცი, შენ გახარებს ჩემი სიმღერა,
და მე ვიცი, შენს წინაშე გალობით რომ უნდა წარმოვდგე.
ჩემი სიმღერის შორს გატყორცნილ ფრთათა ბოლოთი
მე ვეხები შენს ფერხთ,
სადამდეც ვერასოდეს ვერ ავმალღებები,
და მე სიმღერის სიხარულით მთვრალს
მავიწყდება ჩემივე თავი.
და შენ – ჩემს მოძღვარს – მეგობარს გარქმევ.

3

ო, მე არ ვიცი, როგორ გალობ შენ,
მე მუდამ ჩუმი განცვიფრებით, უფალო, გისმენ.
შენი გალობის შარავანდით ნათობს სამყარო,
შენი გალობის ცხოველი სუნთქვა იფინება ციდან ცათამდე,
შენი გალობის წმინდა განგი ანგრევს ზღუდეებს
და ისევე მოექანება.
ჩემს გულს სწადია შეერთება შენს სიმღერასთან,
მაგრამ ამაოდ ეძიებს ხმას.
მე ვამბობ სიტყვას,
მაგრამ სიტყვა საგალობლად ვერ მოვაქციე
და მე ვტირი გზადაბნეული.
შენ დაატყვევე გული ჩემი
შენი გალობის უსასრულო ქსელში, უფალო.

4

ჩემი სიცოცხლის სიცოცხლეო!

მე დღემუდამ ვცდილობ, წმინდად შევინახო ჩემი სხეული,
რამეთუ ვუნცი:

შენი ცხოველი შეხებით ძგერს ყოველი ასო.

მე მუდამ ვცდილობ სიცრუის ჩრდილი განვარდო ზრახვათა ჩემთა,
რამეთუ ვუნცი:

შენ ხარ სიმართლე, რომლის შუქით ნათობს გონება.

მე მუდამ ვცდილობ, სიბოროტე განვდევნო ჩემგან
და სიყვარული ვაყვავილო გულის მზვარეში,

რამეთუ ვუნცი:

შენა ჰბუდობ ჩემი გულის უკეთეს ბჭესთან,

და მე ვეცდები, სახიერება შენი ჩემში გამოვავლინო,
რამეთუ ვუნცი:

შენ მაძლევ ძალას და სიცოცხლეს ჩემსას წარმართავ!

5

მე გთხოვ მოილო მოწყალეობა –
შენს უბეში შემასვენო მცირედი ჟამით.
როცა ვერა ვჭვრეტ შენს ხატებას –
შემართებასა და სიმშვიდეს ვკარგავ და შრომა,
ჩემი შრომა მარტვილობის უნაპირო ზღვად მეჩვენება.
დღეს ჩემს სარკმელს გაზაფხული შემოადგა ფშვენით, შრიალით,
და ფუტკრები აყვავებულ მტილოვანში მოზუზუნე
სიმღერებს თხზავენ.
ახლა ის დროა, შენს წინაშე წყნარად ჩამოვჯდე
და ამ მყუდრო მოვანების ჟამს –
შენ – სიცოცხლის ქება ჩუმი ხმით გიგალობო.

6

ნუ დააყოვნებ,
მოსწყვიტე და ეგ ყვაველი თან წარიტანე –
არ დაიფურცლოს ქარისაგან მინით აღგვილი.
მერე რა, თუ შენს თაიგულს ვერ დაამშვენებს,
მოსწყვიტე მაინც,
აგრძნობინე სატკივარი შენი ხელის შეხებისაგან.
თუმცა სხვებსავით ფეროვანი არაა იგი,
მოსწყვიტე მაინც –
და შენს ღვთაებას სხვებთან ერთად ეგეც შესწირე.

7

ჩემმა სიმღერამ ჩამოიხსნა სამკაულები.
ისინი კავშირს შებლაღვდნენ ჩვენს შორის,
შუა ჩადგებოდნენ
და შენს ჩურჩულს ჩაახშობდა მათი ნკრიალი.
ჩემი მგოსნური ქედმაღლობა შენს წინაშე
სირცხვილით იწვის,
მგოსანო და მოძღვარო ჩემო,
მე შენს ფერხთით ვარ დაჩოქილი.
შემაძლებინე:
ცხოვრება ჩემი უბრალო და სადა გავხადო
ლერწმის მყიფე სალამურივით,
რომ შენი ტკბილი გალობითა აღავსო იგი.

8

ძვირფასი კაბით შემოსილ ბავშვს თამაშობა აღარ ახარებს,
სამოსი ბოჭავს მის ყოველ ნაბიჯს.
იგი ყველაფერს ერიდება, რომ მტვერში არ დაესვაროს
ძვირფასი კაბა,
და ამის გამო ტოლ-ამხანაგებს და მთელ ქვეყანას განზე გაურბის.
კარგს არაფერს არ მოუტანს, დედა, შენი ოქრომკედის
არტახები ნაშიერს შენსას,
თუკი მოწყდება იგი მიწის პოხიერ წიაღს,
კაცთა ცხოვრების განუზომელ სილამაზეს,
მასთან ყოფნის ბედნიერებას.

9

ჰე, უმეცარო,
შენ თავი შენი თავად გინდა ქედზე იტვირთო?
შენ მოწყალებას ითხოვ შენივ სახლის დირესთან?
დაეხსენ-მეთქი,
ტვირთი ეგე მას მიანდე, ვის ყოველი ხელეწიფება,
ვისთვის უღელი უმძიმესი მხოლოდ შვებაა.
შენი წადილი ღვთის უწმინდეს სასანთლებს ერთბაშად აქრობს,
მას ბინი ახლავს,
ბინიერთაგან შესანიშნავს არ შეინიშნენ!

10

აქ არის შენი საყუდარი –
დავანებულან ფერხნი შენნი
უსასოქმნილთა და უპოვართა, გლახაკთა შორის.
როცა თაყვანს გცემ შენს წინაშე ქვედამხობილი,
ველარა ვწვდები, მეუფეო, მე შენს ნატერფალს –
უსასოქმნილთა და უპოვართა, გლახაკთა შორის.
გულზვიადნი და ქედმაღალნი ვერ მოგეახლონ,
იქ, სადაც დახვალ შენ მორჩილის უბრალო ჩოხით –
უსასოქმნილთა და უპოვართა, გლახაკთა შორის.
და გულმან ჩემმან ვერ მოიმკოს შენი წყალობა,
იქ, სადაც სუფევე შენ სუფევეთ ჭეშმარიტითა –
უსასოქმნილთა და უპოვართა, გლახაკთა შორის.

11

ნუ ევედრები, ნუ ლოცულობ, ნულა ჰგალობ მაგ საგალობელს!
ვისა სცემ თაყვანს ამ უქმი და მივარდნილი ტაძრის კუთხეში?
ალახვენ თვალნი და იხილე:
შენი ღმერთი არა დგას შენს წინ!
იგი იქ არის, სად გუთნისდედა ყამირს ტეხს და
კირითხურო ქვებს ეზიდება,
ის მათთან არის ქარსა და მზეში –
პიროფლიანი, თავშიშველი და უხამური.
მოიხსენ წმიდა მოსასხამი,
ეახელ და უფლის მსგავსად შენც მათი სვე გაიზიარე.
სუფევის შვება?
მაგრამ სად ჰპოვო სასუფეველის ნეტარი ჩრდილი?
თავად უფალმა სიხარულით იდო ქედზე შესაქმის ღვანლი,
ჩვენთან იქნება იგი უამთა დასასრულამდე!
დასთმე ჭვრეტა და გალობათა ამო სალბუნი,
მოეშვი ლოცვებს!
მერე რაა, თუ სამოსი მზით და მტვერით შეგემუსრება.
პირისპირ შეხვდი შენს უფალს და მასთან ერთად იმუშავე
ოფლით პირისა შენისაითა!

12

ნინ დიდი გზა მაქვს და ხანგრძლივი მგზავრობა მელის.
ნათლის პირველი სხივის ეტლით გავცურე სივრცე
და სამყაროთა უდაბნოსკენ გეზალებულმა
ცთომილებსა და ვარსკვლავებზე აღვბეჭდე კვალი.
ეს გზა ყველაზე შორი გზაა,
სამაგიეროდ, შენს სამყოფლოს მიგვიყვანს იგი,
დახლართული და ძნელ სავალი,
სამაგიეროდ, უბრალო და სრულყოფილი
საგალობლის მომნიჭებელი...
უცხოთა კარებს უკაკუნებს ყარიბი, სანამ თავისას ჰპოვებს,
ცხრა მთას გადივლის, სანამ გულის საკურთხეველს არ მიადგება.
დავყიალებდი მეც უგზოუკვლოდ და აჰა, თვალეზდახუჭული,
ან ჩუმად ვამბობ: აქა ხარ-მეთქი.
კითხვა და კვნესა: ო, სადა, სადა, –
ცრემლთა ღვართქაფად მოინთქრევა
და მთელს ქვეყანას რწმენითა ნთქავს:
მე ვარი, ვარი!

13

უმღერელია აქამომდე
შენს სადიდებლად შემოდენილი საგალობელი.
სიმთა აწყობა-გადაწყობამ ბევრი მანვალა
და აჰა, უქმად წამივიდა კიდევ ერთი დღე.
გამექცა სიტყვა და ძლისპირს ველარ შევუგუე გალობა ჩემი...
მისი ხმა ვერსად გავიგონე და თვალი ვერსად წავატანე
ხატებას მისას,
გულისყურს მხოლოდ უჩუმარი ნაბიჯის ხმა ესმოდა გზიდან.
მასთან შეხვედრის მზადებაში გავიდა დღე და
სტუმრობის მაცნე ჭალი მაინც არ ანთებულა.
ასე, ყოველდღე სასოებით ველი ჩემს მოძღვარს,
დღეები გადის, ხოლო იგი არა და არ ჩანს.

14

მე მრავლის, მრავლის მონადინე მეოხად გიხმობ.
მაგრამ შენ მუდამ მშვეელი ხოლმე მკაცრი უარით.
და ამ უსაზღვრო მოწყალებით, მეუფეო,

აღვსილია ჩემი ცხოვრება.

იმ უბრალო და უვედრებელ ნიჭის ღირსი გინდა გამხადო,
ზეგარდმო რომ მომანიჭე:

ცისა და მიწის, სიცოცხლის და გულისნებისა,
რათა უძღვები სურვილები დამათმობინო.

როცა წადილით ანთებული საქმედ ვიჩქარი,
როდესაც მისთვის შეღონებულს გული მეღევა, –
უკუდგები და უღმობელი მირბიხარ ჩემგან.

ყოველ წუთსა და ყოველ საათს,

ძაბუნი და უკეთური გულისთქმით შეძრულს შენ მეშველები:
რომ შენი სრული ნათელლების ღირსი გამხადო.

16

მე აქ ვარ, შენთვის სიმღერები რომ ვიგალობო,
შენი დარბაზის კუთხეში ვარ დაყუდებული.
შენს სამყაროში სხვა არა მაქვს მე საზრუნავი
და უსარგებლო სიცოცხლე ჩემი მხოლოდ იმავე
უსარგებლო ხმას თუ გაიღებს.

როს შუალამის ბნელ ტაძარში
შენდამი უხმო თაყვანისცემის საათი დაჰკრავს,
მიბრძანე მე, უფალო ჩემო, შენს წინაშე გალობად დავდგე.
და როცა დილის გრილოვანში ოქროს ჩანგი
ამოდ, ამოდ გაიხმიანებს,
სიცოცხლე ჩემი შენთან იხმე, უფალო ჩემო.

16

მე მომინვიეს ამ სანუთროს დიად ზეიმზე
და ამგვარად სიცოცხლე ჩემი დაილოცა:
თვალთა ჩემთან იხილეს და ყურთა ჩემთა ისმინეს.

მე ამ ნადიმზე ჩემი ქნარი უნდა დამეკრა
და ყველაფერი, რაც ძალმედვა, მე გავაკეთე.

ახლა ვკითხულობ:

დადგა თუ არა საბოლოო ჟამი შენსკენ შემოვიქცე,
გიხილო და გიძღვნა ჩემი უხმო სალამი?

17

მე ველოდები მხოლოდ სიყვარულს, რათა მის ხელებს
მივენდო ბოლოს,
აი, რისთვის გავაცდინე ამდენი ხანი.
მოდიან ჩემთან, რომ ჩემზე წესი განანესონ და მით
შემბოჭონ,
მაგრამ მე მათი სამართლის ბჭეს არ ვეპუები...
მე ველოდები მხოლოდ სიყვარულს,
რათა მის ხელებს მივენდო ბოლოს.
კაცთა გაბრჭეს და გამამტყუნეს,
მეძახიან შლეგს, ცნობამიხდილს,
არ დავაყვედრი, ვიცი, წრფელი გულითა სჯიან.
მზე ჩაესვენა, მიინურა სამუშაო დღეც.
ხალხი, რომელიც ჩემი ხმობით ამაოდ დაშვრა,
განმერიდა ბოროტი გულით.
მე ველოდები მხოლოდ სიყვარულს,
რათა მის ხელებს მივენდო ბოლოს.

19

თუკი შენ დუმხარ,
გულს ავივსებ მე მაგ დუმილით და გავყუჩდები
და როგორც ღამე, ვარსკვლავებით თვალფხიზელი და
მოთმინებით თავდახრილი ჩუმი ღამე – დაგელოდები.
ცისკარი მოვა შეჭვებლად, გაჰქრება ბნელი
და შენი ხმა ციდან ოქროს ნაკადულად ჩამოეშვება.
მაშინ ეგ შენი ნაუბარი სიმღერების ფრთებს შეისხამს
ჩემი გულის ყველა ბუდეში
და შენი ტკბილი გალობანი ჩემს ჭალებში ყვავილებად
გაიშლებიან

20

იმ დღეს, როდესაც ყვავილობდა ლოტოსი, – ვაგლახ,
დაბნეული მქონდა მე გონი,
არ შემინიშნავს ყვავილები
და კალათა ცარიელი დამირჩა ისევ.
მხოლოდ ხანდახან, მჭეუნვარება როცა დამძლევდა
მე ვფხიზლდებოდი ბურანიდან და სამხრეთის საამო ქარში
უჩვეულო სურნელების დინებას ვგრძნობდი.
და ეს მომქროლი სიტკბოება გულს მიკლავდა სურვილით
და მეზმანებოდა,
რომ სუნთქვა იყო ის გულისთქმით ათრთოლებულ,
მაგრამ უკვე მზემინურვილ შემოდგომისა.
და არ ვიცოდი, ასე ახლო რომ იყო იგი, რომ ჩემი იყო,
და ეგ სრული სიტკბოება ჩემივ გულის მტილოვანში
რომ აყვავილდა.

21

დროა, შევცურო ჩემი ნავით ამ მდინარეში...
გულდასალევად იზღაზნება ჟამი ნაპირზე.
გადუქროლია ვარდობისთვეს,
უეცრად თვალს მიჰფარებია.
და აჰა, ვდგავარ მე, ცუდმაშვრალი,
უხმარი და დაფურცვლილი ვარდებით ხელში...
ყრუდ ახმაურდა სანაპირო,
მჭკნარი ფოთლები დაჰფენია ჩრდილოვან ბილიკს.
რა სიჩუმეა!
არა გრძნობ განა გარეშემო უცნაურ თრთოლვას,
იმ ნაპირიდან მოდენილი შორეული გალობის დუდუნს?

22

წვიმიანი ივლისის უკუნეთ ღამეში დაეხეტები შენ ფეხაკრეფით,
ღამისაებრ მდუმარი და პირშებურვილი.
დღეს ცის ნათელმა თვალნი მირულა,
ყური არ უგდო ჭალიკონის უნიან ძახილს
და სქელი ნისლი წაეფარა სიხარულით მბრწყინავ ლაჟვარდებს.
ტყეთა სიმღერა დაცხრა უკვე,
ჩაირაზა ყველა ჭიშკარი.
მხოლოდ შენ დახვალ – ამ ყრუ ქუჩის გვიანი მგზავრი.
ო, ჩემო ტკბილო მეგობარო, სანატრელო მოყვასო ჩემო,
მუდამ ღია მაქვს შენსთვის კარი –
ნუ ჩამივლი სიზმარეულ ჩვენებასავით!

23

ამ უდაბურ და ბობოქარ ღამეს არ მოხვალ ჩემთან
სიყვარულის გზით წამოსულო, მიჯნურო ჩემო?
თითქოსდა სასონარკვეთილნი ტირიან ცანი
ძილი გამიკრთა,
ვალეზ კარებს და განუჭვრეტელ უკუნეთს ვუჭვრეტ,
მიჯნურო ჩემო.
ვერაფერს ვხედავ – მაინც მივდევ ბნელში შენს ბილიკს.
შავი მდინარის აქაფებულ ზვირთების წიაღ,
თუ დაბურული უღრანების ტევრით მავალი –
მოეშურები ჩემსკენ ღამის მუხთალი გზებით, მიჯნურო ჩემო?

24

თუკი მზე მიდრკა, თუ არ გალობენ ფრინველები,
თუკი ჩადგა დაღლილი ქარი,
შემომბურე მე განუჭვრეტელ უკუნის ბნელით,
როგორც მოჰბურე დედამინა სიზმრის ბლონდებით
და მწუხრში ნაზად დაუხუჭე თვალები ლოტოსს.
ყარიბს, ვისაც ტანს სამოსელი შემოეძარცვა,
ვისაც საგზალი დაელია გზის დაღევამდე,
ვინც შუაგზაზე შეუდრკა ჭირს და მუხლი მოეჭრა –
ნაულე კდემის მდულარება და სიძაბუნე
და აღადგინე როგორც შროშანი,
შენი მოწყალე ღამის ჩრდილში განახლებული.

25

თუკი შენს ძახილს არვინ გაიგებს,
გულს ნუ გაიტეხ, უვალ გზაზე მარტო გასწიე.
თუკი ჯაბანნი, შიშმორეულნი, პირუმტკიცოდ
ზურგს შეგაქცევენ,
გახსენ გული და იდუმალი თავად სთქვი სიტყვა.
თუკი გულადიც უკან დაიხევს,
თუკი ძნელ გზაზე ხელს არავინ შემოგაშველებს,
შეუპოვარმა, უვალ გზაზე მარტო გასწიე.
თუკი წყვედიადი მოიცავს ყოველს,
თუკი ავდარში თავშესაფარს არავინ მოგცემს,
ელვით აინთე გულისგული,
შეუპოვარმა უვალ გზაზე მარტო გასწიე.

26

ამ ყრუ ღამეში დე, უდრტვინველად ჩამეძინოს
მსასოებელს მე შენდა მიმართ,
ნუ მაიძულე ულონოქმნილს შენს სამსახურად.
ეგ შენა ჰბურავ ღამეული საბურველით დღის მიმქრალ
თვალებს.
ძილისგან ამდგარს –
კვლავ სიცოცხლით რომ გაუბრწყინო დაღლილი მზერა.

27

იგი მოვიდა და ჩემს გვერდით დაჯდა,
მაგრამ არ გამელევიდა –
ო, წყეულიმც იყოს ის ძილი!
იგი მოვიდა უჩუმარ ღამეს თავისი ქნარით
და სიზმრები ჩემი მის ქნარს გაეხმაურნენ.
რად დაიკარგენ ყველა ჩემი ღამეები აგრე უკვალოდ?
რატომ ვერასდროს მას ვერ ვხედავ,
ვისი სუნთქვაც ჩემს ძილს ეხება?

28

სინათლე, ო, სად არის სინათლე?
აღანთე იგი სურვილისა მხურვალე აღით!
აღუნთებელი დგას სასანთლე
და ბედისწერა, გულო, შენიც ხომ ასეთია.
ო, სიკვდილი გიჯობს, სიკვდილი!

უბედურება გიკაკუნებს კარზე და გამცნობს,
რომ მღვიძარებს შენი უფალი,
და სამიჯნურო პაემანზე გიხმობს იგი ღამის უკუნში.
ცა ღრუბლითაა შებურვილი, წვიმს განუწყვეტლივ,
და მე არ ვიცი, შეჭირვებულს რა მემართება.
იელვებს ელვა და თვალისთვის უფრო დიდი სიბნელე მოაქვს
და გული ჩემი ეძიებს გზას,
გზას, საითაც მიმიხმობს მე ღამის გალობა.

სინათლე, ო, სად არის სინათლე?
აღანთე იგი სურვილისა მხურვალე აღით!
ქუხს და გრიგალი მოგუგუნე უკუნეთში მოექანება,
გიშერივით შავია ღამე...
ნუ გაატარებ ღამეებს ბნელში,
სასანთლე შენი სიყვარულის აღით ალაგზენ!

29

ულელი ჩემი მძიმე არის და მაინც ვჭმუნავ,
როცა მინდა მისი ჩამოხსნა.
მე სილალე მწყურია მხოლოდ,
მაგრამ მრცხვენის ვიყო მისთვის იმედნეული.
ვუნცი მე: შენში საუნჯეა აურაცხელი
და რომ შენა ხარ ჩემი ტკბილი, სათნო მოყვარე,
მაგრამ არ ძალმიძს ეგ რიოში ოქროული შემოვიძარცო.
მე რომ მბურავს საბურველი,
ის ამ მიწის და სიკვდილის საბურველია,
მე მძულს იგი და სიყვარულით ვეხვევი მაინც.
ცოდვები ჩემი დიდი არის, მარცხი ძლიერი,
და სირცხვილი მძიმე და უხმო,
მაგრამ როდესაც მე წყალობის მისაღებად მოვდივარ შენთან,
ვთრთი და მეშინის: ვაიმე თუ შეისმინო ჩემი ვედრება.

30

იგი, ვისაც მე მოვეზღუდე ჩემი სახელით,
უჩუმრად ტირის მრუმე საკანში.
მე მარადლე მალლა ამყავს მისი კედლები
და დღითიდღე ცადაზიდულ კედლის ჩრდილში იმალება
ჭეშმარიტი არსება ჩემი.
მე უკადრი ვარ ამ კედლების ყრუ ზვიადობით
და შიგ დარჩენილ მცირე ბზარსაც კირ-სილით ვლესავ.
ასე, თანდათან თვალის ჩინიდან მეკარგება
ჭეშმარიტი არსება ჩემი.

31

მე გამოვედი პაემანზე სრულიად მარტო.
მაგრამ ვინ არის, ვინ გამომყვა ამ ყრუ ღამეში?
მე განზე ვდგები, მასთანა ყოფნას რომ განვერიდო,
მაგრამ ამაოდ.
მისი ნაბიჯი, მედიდური, გზას ამტვრიანებს,
და ჩემგან თქმულ ყოველ სიტყვას უმაღლებს ბგერას.
ის ჩემი მცირე ორანია, მოძღვარო ჩემო, ყოველად ურიდი
და მე მრცხვენია
მასთან ერთად შემოვიქცე შენს სამყოფლოში.

32

ტუსალო, მითხარ, ვინ ჩაგჭედა ამ ბორკილებში?
ჩემმა მეუფემ, – თქვა ტუსაღმა.

მე მეგონა, აღზევებული ვიქნებოდი მთელ ქვეყანაზე
სიმდიდრით და ძალმოსილებით და უნჯი ჩემი
მბრძანებლისა ჩემი საუნჯის თაღებქვეშ დავფალ.
როცა ჩავთვლიმე, მისთვის გამზადილ სარეცელში
ვისურვე ძილი.

გაღვიძებულმა დავინახე, რომ ტყვე ვიყავი საკუთარი
საგანძურისა.

ტუსალო, მითხარ, ვინ გასჭედა უმუსვრელი შენი ბორკილი?
მე, – თქვა ტუსაღმა.

მე თვით გავჭედე გულმოდგინედ ჩემი ბორკილი.

აგრე მეგონა: შეუმუსვრელი ჩემი ძალა მთელ ქვეყანას
დაიმონებდა,

მხოლოდ მე ერთი ვიქნებოდი თავისუფალი.

დღისით და ღამით ვმუშაკობდი, ვანრთობდი ფოლაღს
და მერე ვჭედდი სასტიკი და მძიმე უროთი.

როცა მარჭვალნი ჯაჭვად შევკარ,

სამუშაკოს როღესაც მოვრჩი –

დავინახე: თურმე ჩემთვის გამიჭედავს ეს ბორკილები!

33

ვისაც ვუყვარვარ მე ამქვეყნად –
გულთანა ვყავარ და ალერსით მბოჭავს ნიადაგ.
მაგრამ შენი სიყვარული, მათ ტრფიალზე უდიდესი,
თავისუფლებას არ მართმევს მე, უფალო ჩემო.
რომ არასოდეს დავივიწყო, ისინი მე არ მშორდებიან,
დღეები კი მისდევენ დღეებს და შენი ხმა ჯერაც არ მესმის.
თუნდა არ გიხმობდე ჩემი ლოცვით,
და თუნდა გულში ჩაბეჭდილი არ მყავდე, მაინც –
შენი ჩემდამი სიყვარული ელოდება სიყვარულს ჩემსას.

34

ისინი დღისით შემოვიდნენ ჩემს კარიბჭეში და შემესიტყვენ:
შენს ჭერქვეშეთში ჩვენ დავიჭერთ უმცირეს ადგილს,
და მათ დასძინეს:
ვემსახურებით უანგაროდ შენს ღმერთს და მისი
მონყალების მცირე ნაწილს უდრტვინველად მივიღებთ მისგან.
გარნა წყვდიადში ძლიერნი და ბობოქარნი
შემოიჭრნენ ჩემს სალოცავში
და უნმინდური ანგარებით დაისაკუთრეს
მსხვერპლი უფლის საკურთხეველზე.

35

დე, ჩემგან დარჩეს ნატამალი მცირეზე მცირე,
რომ მე შემეძლოს სასოება: შენ ხარ ყოველი!
დე, შემემუსროს გულის ნება დაუთრგუნველი,
რომ შენი ტკბილი მეოხებით ვიარო მუდამ!
დე, ჩემგან დარჩეს ნატამალი ქრთილის ოდენა,
რომ ვერასოდეს შევიძლო მე შენი დაფარვა!
დე, ყველა ხუნდი და ბორკილი ტანს შემომაცვდეს,
რომ შენგან ტყვექმნილს
მხოლოდლა შენი სიყვარულის ბორკილი მედოს!

36

სადაც ფიქრი უშიშია და შუბლი ამაყად შემართული,
სადაც ცოდნა უფალია საკუთარ თავის,
სადაც სამყაროს ვერ დაყოფენ ცადაზიდულ ზღუდეებითა,
სადაც სიტყვა ჭეშმარიტების წიალიდან მოედინება,
სადაც უშრეტი მისწრაფება ხელებს უწვდის სრულყოფილებას,
სადაც გონების წმინდა ღვარი უნაყოფო და უსიცოცხლო
უდაბნოში არ იკარგება,
სად გონი დიად ფიქრების და საქმისაკენ მიმართულია,
თავისუფლების ამ უნისლო სასუფეველში, მამაო ჩემო, –
გაიღვიძოს ქვეყანამ ჩემმა.

37

აი, ვედრება ჩემი შენდამი –
უფალო დაამხე, დაამხე დვირემდე მკოდოვნება ჩემი გულისა.

მომეცი ძალი:

მწუხარება და სიხარული უდრტვინველად გადავიტანო.

მომეცი ძალი:

ნაყოფი ტკბილი მოისთველოს ჩემა ტრფიალმა.

მომეცი ძალი:

არ უარვეყო ძე უპოვარი და არასოდეს მოვიდრიკო
ძლიერთა წინა.

მომეცი ძალი:

აღვიმალლო სული ჩემი წარმავალ დღეზე,

და ძალი:

სიხარულით დავუწინდნო ძალნი ჩემნი ნებასა შენსა.

38

მე მეგონა, ხეტიალი ჩემი დასრულდა,
გზა ჩამეკეტა, მიმენურა საგზალი, ღონე,
დამეშრიტა ძალნი და ბოლოს – მე მეგონა,
მოვიდა ჟამი, შევფარვოდი მდუმარე უკუნს.
მაგრამ მე ვხედავ, შენი ნება უბოლოო ყოფილა ჩემში,
და როცა სიტყვა, ძველნათქვამი, ბაგეზე კვდება,
ახალი ჰანგი ამოსკდება მაშინ გულის ბჭეს,
და იქვე, სადაც იკარგება ძველი ურნატი,
ახალი ქვეყნის საოცარი კარი იხსნება.

38

მე რომ შენ მსურხარ და მხოლოდ შენ,
გაიმეოროს გულმა ჩემმა დაუსრულებლივ.
ყველა სხვა სურვილს, დღით და ღამით ჩემში ბუდებულს,
რიოშსა და ბედიტს დავარქმევ.
როგორც წყვიდადი,
თვის უკუნში რომ მალავს ლოცვას გათენებისთვის,
ეგრევე გული, და ჩემს გულში რეკს ძახილი:
მე მხოლოდ შენ მსურხარ, მხოლოდ შენი
როგორც გრიგალი, მგრგვინავი და ფრთამოგუგუნე,
მოვანებას მყუდროში ცდილობს,
ეგრევე სული, ბობოქარი ჩემი სული
შენს ტრფიალში ეძიებს სადგურს,
და არ ცხრება მედგარი ხმა მისი ძახილის:
მე მხოლოდ შენ მსურხარ, მხოლოდ შენი

40

დღეს რა მჭმუნვარე სალამოა, ცათა მეუფევე, როგორი ჩუმი.
და ფოთლოვანში დასავლეთის ცა გამოსჭვივის,
მშვიდი და ჩუმი

და ფრინველებიც არ გალობენ... მოყვასო ჩემო,
ხედავ, ღამდება, ჯერ მჭმუნვარე სალამო თუა,
ხედავ, ღამდება ყრუდ, უსასოდ და შემზარავად!

ვზივარ და გელი და მლიმარი მოხვიდე ნეტავ
და მე შემოგხვდე შენ, ძმაო და მოყვასო ჩემო.

მოდ, დღეს დიდი მჭმუნვარების სალამო თუა,
მოდ, ვუჭვრიტოთ და ჩუმი ხმით ვთქვათ ნუგეშინი.

ცათა მეუფევე, დღეს რა ჩუმი ფიქრი მიბოძე,
და ფოთლოვანში დაფიონის ღრუბლით შემკული
სალამოც ჩაქრა, მჭმუნვარე და ჩუმი სალამო,
და ფრინველებიც არ გალობენ... მოყვასო ჩემო,
ხედავ, ღამდება, შენ, ძმაო და მოყვასო ჩემო,
ხედავ, ღამდება ყრუდ, უსასოდ და შემზარავად!

41

როდესაც გული დაშრება და დამებუგება –
შენი წყალობა მომივლინე შხაპუნა წვიმად.
როცა დაჭკნება ყვავილობა სიხარულისა –
მოდით მაშინ და სიმღერებად ამოწყაროვდი.
როს გარეშენი მდრტვინავი ხმით აზვავდებიან –
მშვიდობითა და მოვანებით მოვედ, უფალო.
როდესაც გული, შენდა მვედრი ჩემი გული შეიკუმშება –
განახვენ კარნი ბჭეთანი და, მეუფეო, შენ შემობრძანდი
და როს სურვილთა ბედითი ხმა გონს დამიბნელებს –
ჩემდა მოიქეც, ჰოი წმინდაო,
და შეცდომილს გზა განმინათლე.

42

გვალვიან დღეებს არ უჩანთ ბოლო
და გულში დაშრა, გული დაშრა, უფალო ჩემო,
ცისკიდური ავად გაშიშვლდა,
ნოტიო ღრუბლის გამჭვირვალე ბლონდიც არა ჩანს
და შორეული გრილი წვიმის წამერთვა სასო.
ო, მოავლინე გულმძვინვარე შენი გრიგალი,
სიკვდილივით ბნელი, ბნელი, – თუკი შენი ნება იქნება,
ელვის შოლტებით ალაგზენ ცა კიდით კიდემდე.
ოლონდ მოიხმე, უფალო ჩემო, მოიხმე უკან
ეს ყრუ და ულმო მხურვალეა ჩემი გულისა,
რომ დამბუგა შემზარავი უსასოებით.
გულმონყალების შენის ღრუბელს დაბლა დახრიდე,
მსგავსად დედის ცრემლიანი შემოხედვისა
მამის საშინელ მრისხანების ყამს.

43

ასეთი უხმო და კრძალული
ყველაზე უკან რატომ დგახარ, ჩემო მიჯნურო?
შფოთით მიდიან მტვრიან გზაზე მოხეიშენი, შენ ვერ გამჩნევენ,
ხოლო მე შენთვის გამზადებულ შესანიშნავით
ვზივარ მარტო და მოლოდინით გული მეღევეა.
ჩემი კალათის ყვავილები სათითაოდ მიაქვთ უცნობებს.
მზე გადიხარა, მოახლოვდა სადამო ხანი
და მე დამაშვრალს მეხუჭება უკვე თვალები –
ნიშნისმოგებით მიყურებენ შინმიმავალნი

და მე ვინვი სირცხვილისაგან.

მათხოვარივით, თვალზეხელებაფარებული, ვზივარ გზისპირას,
არ კი ვიცი, რა ვუთხრა ამ ხალხს:

ის, რომ მოსვლა აღმითქვი და შენ გელოდები?
როგორ ვთქვა, შენთან – უპოვარს და ხელცარიელს –
მხოლოდ ჩემი სიღარიბე რომ მომაქვს მსხვერპლად!
ვზივარ მარტო და ცის დასავალს თვალს არ ვაშორებ,
ვოცნებობ ჩემთვის, შენს უეცარ გამოჩენაზე.
აილანძება ცა ოქროსფრად და საკვირველად – ცის ტატნობზე
ოქროვანი გავალაკით მოკაზმული შენი ეტლი გამომზევდება.

და რა უსაზღვრო განცვიფრება მოიცავს ყველას,
როცა მე, ვერხვის ფოთოლივით ათრთოლებულს,
მე – უპოვარს და არასმქონეს, გვერდით მომისვამ.
მაგრამ დრო მიდის.

ხმაურითა და ღრინანცელით ჩამიარეს მოზეიმეთა.

ნუთუ შენ კვლავაც უჩუმარად იდგები ჩრდილში

უმძრახად და ხმის გაუცემლად,

ხოლო მე შენი მოლოდინით გულდაღლეული,

ამაო ნატვრას და ოცნებას ცრემლით დავალტობ?

44

დილაადრიან ჩვენ ჩურჩულით ვუთხარით ერთურთს,
რომ ზღვაში ნავს შევაცურებთ მხოლოდ მე და შენ,
და ქვეყანაზე ძეხორციელი ვერ გაიგებს ჩვენი უმიზნო,
უსასრულო მგზავრობის ამბავს.

უკიდევანო ზღვათა შინა,
შენი მონყალე, მოლიმარე, ნათელი ცისქვეშ,
ამ ტალღებივით ნებიერი,
სიტყვის მკედით უკერველი გალობანი გადმომელვრება.

არ მონუელა ჯერ ჟამი ეგე?

სამუშაო დამრჩა რამ კიდევ?

აჰა, დღემ უკვე მიდრეკა და მზემ დასვლა იწყო,

და მზიან-ჩრდილში თოლიები ბუდეს ეძებენ.

ვინ იცის, როდის განშორდება ნავი სანაოს –

დამავალი მზის უკანასკნელი ნაჟურის მსგავსად ბნელს
რომ დაინთქას!

45

მე არ ველოდი შენს მობრძანებას და შენ, უფალო,
გულში უჩუმრად შემოხვედი, როგორც უცნობი ყარიბი ვინმე,
და საუკუნო ბეჭდით დაბეჭდე
ჩემი უქმი და წარმავალი ნუთისოფლის ყოველი წამი.
და ახლა, როცა უნებურად მაგონდება განვლილი ჟამი,
და ზედ ნიშანს ვამჩნევ შენეულს –
მე ვხედავ: ქვიშას გარევია
წუხილსა და სიხარულში მტვრად აღგვილი ჩემი ცხოვრება.
ჩემი ბაღლობის დღეებისთვის შენ ზურგი არ შეგიქცევია.
და შენი ჩუმი ნაბიჯები, მაშინ გულს რომ ეყურებოდა,
იგივ ხმა არის,
ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე რომ იფინება.

48

ეგ არის ჩემი სიხარული:
სახლის ერდოდან ვუჭვრიტო ცათა ჭვრივალე ნათელს,
ჩრდილის ძვრასა და სალამოთა ფერისცვალებას.
უცნობი ქვეყნის შიკრიკები მესალმებიან
და ისევ გზად მიიჩქარიან.
გული მევსება ნეტარებით
და ველთაგან მონაბერი გრილი სიო შვებას მანიჭებს.
გათენებიდან მიმწუხრამდე ვზივარ და გელი,
ვიცი, უეცრად ჩამოდგება ნათელი წამი და შენ გიხილავ.
მე მარტოსული ჩუმი ხმით ვგალობ და ვიღიმები,
ხოლო ჰაერი სავსე არის ცადადკმეულ სასოებითა.

47

არა გსმენია მისი ჩუმი, ჩუმი ფეხის ხმა?
იგი მოდის, იგი მოდის, მოედინება.
ყოველ წამს და წუთს, საუკუნეს, დღისით და ღამით:
იგი მოდის, იგი მოდის, მოედინება.
მე მწუხარე და მხიარულიც მიმღერია ბევრი სიმღერა,
მაგრამ მათი მოძახილი ეს იყო მუდამ:
იგი მოდის, მოდის, მოდის, მოედინება.
მზეგადაფრქვეულ, სურნელოვან აპრილის თვეში
ტყის ბილიკებით მოდის იგი, და მუდამაჟამს მოედინება.
და ივლისის წვიმიან და ბნელ ღამეებში,
შავ ღრუბელთა მგრგვინავი ეტლით,
იგი მოდის, იგი მოდის, მოედინება.
ჭმუნვათა შემდგომ, კვლავ წუხილთა შემოდგომისას
მისი ტერფები ებჯინება ჩემს გულს და მალხენს,
და ამ შეხებით მეფრქვევა მე სიხარულის მზე.

48

განა მე ვიცი, რა უხსოვარ წიალიდან მოიქლევი ჩემს
შესახვედრად?

შენმა მზემ და ვარსკვლავებმა
სამუდამოდ ვერ დაგმალეს ჩემი თვალისგან.
ო, ბევრჯერ, ბევრჯერ, ცისკარზე და მიმწუხრისას
მომწვდენია შენი ფეხის ხმა
და იდუმალი მოციქულის ჩუმი ძახილი.
არ ვიცი, გული უცნაურად რამ დამინურა,
ან სიხარულმა რად შემახო უეცრივ ხელი.
დრო არის აწი ჯაფასა და საქმეებს მოვრჩე
და ნეტარებით შევისუნთქო შენი ტკბილი მოახლების
ნელსურნელება.

48

მის ამარ ლოდინში მიიწურა თითქმის ეს ღამეც.
მე ვშიშობ, კარზე უთენია არ მომადგეს იგი უეცრად,
როცა დაღლილს და ღამენათევს ჩამეძინება.
ო, მეგობრებო, ჩემს მაგივრად გაუღეთ კარი,
არ დაუშალოთ ჩემს ეზოში შემობრძანება.
მისმა ფეხის ხმამ თუ უმალ არ გამომალვიდა,
ძილს ნუ გამიტეხთ, მეგობრებო, ან, ამასა გთხოვთ.
არა მსურს ფრინველთ ჟრიამულმა, დილის ნიაგმა,
ან გარიჟრაჟზე მზის ამოსვლამ გამომალვიძოს.
მაცალეთ ძილი, თუნდაც მეფეთ მეუფეც რომ მენვიოს სახლში.
ო, ჩემი რული მის სანუკვარ მოკარებას ელოდება,
რომ უკუიქცეს,
როცა წინაშე მოვა იგი, ვითა სიზმარი,
ძილის ბნელი უფსკრულიდან ზენამომდგარი.
დე, განეცხადოს თვალისჩინს იგი
ყველა სხივთაგან უპირველეს ხატად და სხივად.
გადვიძებული ჩემი გული, პირველი თრთოლვით,
დაე, მისმა ნათელმა შეძრას,
რომ ძილის ბნელი უფსკრულიდან უკუმოქცევას
მის დიდი ნათელთან ზიარების ხარება მოჰყვეს.

მათ გადიარეს ველები და მთები და ზღვები
და შორეთის უცხო ქვეყნები. –
– დიდება შენ, უსრულო გზის მხნე ქარავანო;
დაცინვა და საყვედური მაქეზებდა წამოვმდგარიყავ,
მაგრამ ჩემში ვერ იპოვეს გამოძახილი.
მე შევნირე თავი ამო დამდაბლების და ბუნდოვან
ნეტარების ჩრდილში დაკარგვას;
მზის სიმშვიდე – ფრთაშესხმული მწვანე მიმწუხრით
შემომადგა ნელიად გულზე.
მე დამავინყდა, გზაზე რისთვის გამოვეშურე
და ჩემი გონი უდრტვინველად გადავეცი გრილოთა და
გალობათა უცნაურ ბურანს.
დაბოლოს, როცა გამელვიძა, თვალხილულმა შენ დაგინახე:
დაგევანა ჩემს მახლობლად
და ჩემს სიზმრებს შენი ღიმის ცვარს აპკურებდი.
როგორ ვშიშობდი: გზა შორი და დამქანცველი მეგონა იყო.
და შეჭირვება მოსაღწევად შენამდე მძიმე.

52

სოფლის შარაზე მე კარდაკარ დავდიოდი წყალობის თხოვნად,
როს სიზმარეულ ჩვენების მსგავსი

ოქროცურვილი შენი ეტლი ვიხილე უცებ.

მე იმედებით აღმეძრა გული და გავიფიქრე:

მადლობა უფალს, გასრულდა-მეთქი ჩემი დუხჭირი

წუთისოფლის მწარე დღეები,

ვიდექი გზაზე და უხვი ხელით მონიჭებულ მოწყალებას
ველოდებოდი.

ეტლი გაჩერდა.

ჩამობრძანდი და შემომხედე ამო ღიმილით.

აჰა, ვიფიქრე, კარს მომადგა ბედნიერება.

მაგრამ უეცრად შენ მარჯვენა გამომინოდე და მშვიდად მითხარ:
რას მიწყალობებ?

ო, რა მეფური აზრი იყო –

მათხოვარს სთხოვო მოწყალება ხელგაშვერილმა.

მე არ ვიცოდი, რა მელონა თავგზააბნეულს,

ბოლოს გონება მოვიკრიბე, ჩემი აბგიდან ამოვიღე

პანანინა ხორბლის მარცვალი და მოგანოდე.

როგორ გავოცდი, როცა სალამოს, ჩემს უბადრუკ

ნაწყალობეებში

იმ ხორბლის მარცვლის ოდენავე ოქრო შევნიშნე.

მე გულმდუღარედ ავტირდი და მწარედ ვინანე:

უფალო, რატომ ყველაფერი არ შემოგწირე!

53

შელამდა. სოფლად სამუშაო დღე მიიწურა.

ლამეულ სტუმრად უკვე არვინ გვეგულებოდა
და ეზოებში ჩაირაზა ყველა ჭიშკარი.

მაგრამ ბნელში ვილაცამ თქვა:

„მეუფე მოვა“.

ჩვენ ჩავიცინეთ და ვუთხარით:

„არ ახდება ეგ სასწაული“.

ცოტა ხნის შემდეგ მოგვეჩვენა, თითქო კარზე მგზავრი
ვინმე აკაკუნებდა.

ქარია ალბათ – გავიფიქრეთ, ქარი ხმაურობს.

ჭაღების ალი ჩავაქრეთ და მივიძინეთ ნეტარი ძილით

მაგრამ ბნელში ვილაცამ თქვა:

„ეს მეუფის მოციქულია“.

ჩვენ ჩავიცინეთ და ვუთხარით:

„არა, არა, ქარი იქნება“.

შუალამისას უცნაური ხმა შემოგვესმა.

ბურანში მოგვწვდა: შორს, სადღაც შორს იქუხა თითქო.

მერმე შეინძრა დედამინა, შეზანზარდენ კედლები
და გამოგვეღვიძა.

ლამეულ ბნელში ვილაცამ თქვა:

„ეს ცხენების თქარათქურია“.

ჩვენ ძილღვიძილში წავიჩურჩულეთ:

„არა, ალბათ ქუხილის ხმაა“.

ჯერ კიდევ ბნელი ეფინა სოფელს, როცა მოგვესმა

დაფდაფების ხმა და ძახილი:

„ო, გაიღვიძეთ, წამოდექით, ნუ აგვიანებთ!“

ჩვენ ავცახცახდით შიშისაგან და ხელები გულს დავიკრიფეთ.
ვილაცამ წარსთქვა:

„ჰა, იხილეთ – მეუფის ეტლი!“

ზარდაცემულნი მაშინ სწრაფად წამოვიჭერით და ავწრიალდით:

„ჩქარა, ჩქარა, ნუ დავაყოვნებთ,

კარზე მოგვადგა ძალმოსილი ჩვენი მეუფე!

მაგრამ სად არის ჩირალდნები და გვირგვინები?

სად არის ტახი მეუფისა მოფენილი ყვავილებითა?“

ვილაცამ წარსთქვა:

„ამოდ შფოთავთ! ხელცარიელნი მიეგებეთ მეუფეს თქვენსას,
უბრალო ქოხში შეიყვანეთ თქვენი უფალი!“

გააღეთ კარი! დე, ისმოდეს მხიარული საგალობელი!

ლამის უკუნში მოგვეახლა ჩვენი პირქუში და მწუხარე

სახლის მეუფე.

ჭექა-ქუხილით ზანზარებს ზეცა.

ელვისაგან თრთის ლამის ბნელი.

გამოიტანე დაფლეთილი შენი ჭილოფი. გაშალე მოლზე.

გრიგალის ფრთებით შემობრძანდა ჩვენს სამყოფელში

საშინელი ლამის მეუფე.

54

ლამაზია შენი ოქროს სამაჯური, თვლებით უხვად
შემკული და მოოჭვილი ვარსკვლავებითა.
მაგრამ შენს მახვილს, ვიშნუს ღვთაებრივ ფრინველივით
ფრთაგაშლილსა და დაფიონის მენამული შუქით ნაფერს
უფრო დიდი სილამაზე შეუმოსია.
იგი თრთის, როგორც მიწურვილი სიცოცხლის ფეთქვა.
იგი ეღვარებს, ვით შესაქმის წმიდა ალი,
ამაო და მიწიერის უშრეტელი ცეცხლით შემწველი.
ლამაზია შენი ოქროს სამაჯური, თვლებით შემკული,
მაგრამ შენს მახვილს, ო, ქუხილთა მბრძანებელო,
ისეთი მძლე და საზარელი სილამაზე შეუმოსია,
რომ ძალა არ მაქვს მას ვუმზირო, ვიფიქრო მასზე.

55

გული დაგლია და თვალეი დაგხუჭვია ღრმა მწუხარებით.
არა გსმენია, რა ლამაზი ვარდი სუნთქავს ეკალთა შორის?
ო, გაიღვიძე, გაიღვიძე, –
დროს ამოდ ნულა დაკარგავ.
ამ კლდოვანი გზის დასასრულზე,
ქალწულებრივი სიმარტოვის ყრუ ქვეყანაში,
ჩემი მოყვასი მარტოდმარტო ზის და მოგელის,
ნუ ეცრუვები, ო, აღდექი, აღდექ ძილისგან!
მერმე რა, თუ ცა შუადღის ხვატისაგან თრთის და ზრიალებს,
და მხურვალე ქვიშა კვდება წყურვილისაგან.
ნუთუ შენს გულში სიხარულის წყაროც ამოშრა
და შენს ნაბიჯზე გზათა ქნარი
სალმობათა ტკბილ გალობად აღარ ხმიანებს?

56

აი, რადა ვარ მე გულსავსე შენი ხარებით!
აი, რისათვის გარდამოხვედ ცით სანატრელო!
ო, მეუფეთა მეუფეო, თუ არ ამ გულში,
სად იქნებოდა შეკრებილი გოლი შენი სიყვარულისა?
შენ მაზიარე აურაცხელ შენთა საუნჯეთ.
შენ ამიძგერე გული უშრეტ სიხარულითა.
ცხოვრებას ჩემსას შენი ნება მართავს სვიანად.
ცათა მეუფევე,
ჩემი გულის წარსატყვევენად შეგიმოსავს ეგ სილამაზე,
და აჰა, შენი სიყვარული უერთდება სიყვარულს ჩემსას
და ცხად არს ჩემდა საიდუმლო ამ სავსებისა.

57

ნათელო, ნათელო ჩემო,
ცით გამომჭვირალო ნათელო,
თვალთა მონასურო ნათელო,
გულთა მოაღერსე ნათელო.
ჩემი სიცოცხლის გულისგულში როკავს ნათელი –
მიჯნურო ჩემო!
ჩემი სიცოცხლის ჩაღანაზე გალობს ნათელი – მიჯნურო ჩემო!
ზანზარებს ზეცა, ჰყივის გრიგალი,
სიცილი არყევს ქვეყნიერებას!
ფრთეთა იალქნები შემართა ფარვანამ ნათლის მორევში.
აყვავდა შროშანი და იასამანი ნათლის მორევში.
ოქროს ნათელი მოეფინა მთებსა და ღრუბლებს –
მიჯნურო ჩემო!
ალმასის წვიმა წვიმს დედამინაზე – მიჯნურო ჩემო!
მხიარული ხმით ეხმიანება ფოთოლი ფოთოლს,
განიხვნენ ცათა საქანელნი, ჰყივის გრიგალი,
ზეცის დირენი გადმოხეთქა ნათლის ჩქერალმა
და სიხარულმა წარღვნა ქვეყანა უნაპირო – მიჯნურო ჩემო!

58

შეაერთებდე უკანასკნელ ჩემს სიმღერაში ჰანგს უშრეტი
სიხარულისა!

სიხარულისა:

დედამინას რომ ბალახების სიუხვით მოსავეს.

სიხარულისა:

ორ მარჩბივ ძმას – სიკვდილ-სიცოცხლეს
უსასრულო სამყაროზე რომ აროკვინებს.

სიხარულისა:

გრიგალთან ერთად რომ ბობოქრობს
და სიცილით არყევს სიცოცხლეს.

სიხარულისა:

აცრემლებული წყნარად რომ ზის
სალმობათა გაშლილ ლოტოსზე,

და სიხარულის:

ყოველივე, რაც აბადია, რომ აცამტვერებს

და სიტყვას რომ არ სცნობს, სიტყვით არ გამოითქმის.

59

ო, მე ვუნყი, ჩემი გულის ტკბილო მიჯნურო,
ყველაფერ ამას მხოლოდ შენი სიყვარული თუ დაერქმევა.
ამ ოქროს ნათელს, რომ ფარფატებს მწვანე ფოთლებზე,
მცონარა ღრუბლებს, ლაყვარდში რომ ცურავენ მშვიდად,
და მქროლავ ნიავს, სიგრილეს რომ მიტოვებს შუბლზე.
ცისკრის ნათელმა ამივსო მზერა –
ჩემს გულს ესეც შენ მიუბოძე.
შენი ხატება იხრება ციდან,
თვალები შენი უმზერენ ჩემსას
და გული ჩემი შენს ფერხთ შეეხო.

61

შენ მე გამაცან მეგობრები, უცნობი ჩემთვის.
შენ დღემდის უცხო სამყოფლოთა ჭერი დამხურე.
შენ მომიახლე შორიელი –
და უცხო კაცი ძმადნაფიცი გახადე ჩემი.
ძნელი ყოფილა შეჩვეული ჭირის დაგდება.
მე მავიწყდება, ახლის სამოსს რომ იცვამს ძველი
და რომ შენა ჰზი, სანატრელო, ჩემს სიახლოვეს.
დაბადების და სიკვდილის წიაღ,
ამას სოფლად და იმიერ ქვეყნად,
სადაც არ უნდა მიმიძლოდე, შენა ხარ მუდამ
მეგზური ჩემი ცხოვრებისა, –
ენითუთქმელს და უცნაურს რომ მიაჯაჭვე ჩემი არსება,
შენთან წილნაყარს არაფერი ეუცხოება,
მისთვის ღიაა ბჭეს შებმული ყოველი კარი.

82

მდინარის პირას, შამბიანში მე მას ვუთხარი:

„პატარა ქალო, საით მიგაქვს ეგ სანათური?

ჩემი სამყოფლო ბნელია და უკაცრიელი,

მო, განმინათლე!“

ერთ წამს ასნია წამწამები პატარა ქალმა

და შეღამების მკრთალ ბინდბუნდში თვალი შემავლო.

„მე აქ მოვედი, რომ დინებას გავატანო ჩემი სანათი,

როცა ნათელი მიდრეკება ცისა“.

ვიდექი და შამბნარიდან ვუცქეროდი მოცახცახე აღს,

ნაპირისაგან უგზო-უკვლო ზვირთით წაღებულს.

შემოღამების სიჩუმეში მე მას ვუთხარი:

„პატარა ქალო, აკი ჰხედავ, შუქია ყველგან,

საითლა მიგაქვს მოციმციმე ეგ სანათური?

ჩემი სამყოფლო ბნელია და უკაცრიელი,

მო, განმინათლე!“

მან შემომხედა ბუდეშური, შავი თვალეებით

და ერთი წუთით შეყოყმანდა პატარა ქალი.

„მე აქ მოვედი, რომ ზენაარსს შევწირო იგი!“

ვიდექი და ვუცქეროდი მცირე სანათურს,

ამ ველთა შორის უმიზეზოდ აციმციმებულს.

უმთვარო ღამის უკუნეთში მე მას ვუთხარი:
„პატარა ქალო, რად იხუტებ გულში სანათურს?
ჩემი სამყოფლო ბნელია და უკაცრიელი.
მო, განმინათლე!...“
მდუმარედ იდგა, ჩაფიქრდა და პატარა ქალმა
შავი თვალებით შემომხედა ღამეულ ბნელში.
„ჩემი სანათი, ანთებული ჩემი სანათი
მე მოვიტანე სანათურთა დღესასწაულზე!“
ვიდექი და ვუცქეროდი მის მცირე ნათელს
ზღვა სანათურთა სინათლეში ბრწყინვადაკარგულს.

83

ო, რანაირი ღვთაებრივი სასუმელის შესმა გსურდა
ჩემი სიცოცხლის პირგავსებულ ბარძიმიდან,
უფალო ჩემო?

სიტყვისმოქმედო, რასა გრძნობ ნეტავ,
როცა ჩემი თვალითა ჭვრეტ შენ მიერ შექმნილს,
ან როცა ჩემი გულისყურით
შენს მიუწვდომელ, საუკუნო სავსებას უსმენ?
შენი უსაზღვრო საბრძანისი ბადებს ხოლმე სიტყვას ჩემს
გულში
და იმ სიტყვას შენი წმინდა სიხარული აქცევს გალობად.
ჩემში ინთქმები შენ, უფალო,
და ნეტარებით შენსავ სიტკბოს ჩემი გულის საწყაულით
ეზიარები.

84

იგი, ვინც ჩემი გულის სკნელში ღრმად დამარხული
თვის საუფლოში უჩინარად კრთოდა ნიადაგ,
იგი, დღის ნათელს რაც არასდროს არ დაუნახავს,
გამოსათხოვარ საგალობლით ხორცშემოსილი
ჩემს უკანასკნელ მსხვერპლშენირვად მიიღე, ღმერთო!
ამაოდ მსურდა მომეგარსა სიტყვის ნაჭუჭით
და მას ყრუს და უსმს, ვეძახოდი მუდამ ამაოდ.
სადაც არ ვიყავ, გულში მყავდა ჩაბეჭდილი
და იმის ფერხთით ინგრეოდა და მალღებოდა ჩემი ცხოვრება.
ჩემს ფიქრებსა და საქმეებზე,
ჩემს სიზმრებზე და ოცნებებზე სუფევდა იგი,
და მაინც იგი შორს იდგა და კიდევან იდგა.
ბევრი მირეკდა, რომ ესმინა მისი ხმა ჩემგან,
მაგრამ ვერავინ გაიგონა ხმა უცნაური,
ქვეყნად არავის დაუნახავს იგი პირისპირ
იგი უხმო და მარტოსული შენლა თუ გელის,
რომ სიხარულით შენ, უფალო, გულზე მიირქვა.

65

შენ ხარ ცა და უზეშეთესი ბუდე ყოვლისა,
და ზენაარო, იმ ბუდეში სიყვარულს შენსას
ფერებით, ხმით და სურნელებით ითვისებს სული.
ოქროს კალათით მორონინობს დილა და მოაქვს
სილამაზის გვირგვინი, მიწას უჩუმრად რომ დაადგას თავზე.
და ყველასაგან მიტოვებულ, წმინდა ველებზე
გაუქელავი გზებით მოდის გრილი საღამო,
და სიმშვიდის დასავლეთი ოკეანიდან ოქროს სურით
მოვანების ქარები მოაქვს.
მაგრამ იქ, სადაც მისათვლელად სულისა ჩემის
უსაზღვრო ცა არის ფენილი, მეფობს მარადი სხივოსნება,
იქ არც დღე არის, არცა ღამე, არც სახე, ფერი,
და აროდეს, აროდეს სიტყვა.

66

მკლავებგაშლილი შემოდის დილით ჩემს სადგომში შენი
მზე და გულმხურვალედ მეფერება შელამებამდე,
რათა ბოლოს შენ მოგიტანოს ჩემი ცრემლების,
სულთქმისა და გალობისაგან აკრეფილი მსუბუქი ნისლი.
ნაზი ალერსით შემოიხვევ ამ ბუნდოვანი ნისლის
საბურველს და აურაცხელ სახესა და ფერს მიანიჭებ
მარადმედინი, უსასრულო ფერისცვალებით.

ჩვილია იგი, ცვალებადი, ჰაეროვანი,
პირქუში და ცრემლებით სავსე,
მაგრამ განა ამის გამო არ გიყვარს იგი?
და განა სწორედ ამის გამო არა ჩრდილავს
ის შენს წმინდა, შეუბღალავ, უბინო ნათელს?

87

იგივე ჩქერალი სიცოცხლისა,
ჩემს ძარღვებში დღით და ღამით რომ მიმოლეღავს:
მიედინება სამყაროშიც და ჯერით როკავს,
ეს იგივე სიცოცხლეა,
მინიდან ჩუმი აღტაცებით რომ შემართავს ბალახის ფურცლებს
და ჯეჯილთა მობიბინე ზღვად გადააქცევს.
იგივე სიცოცხლე, სიკვდილის და დაბადების ზღვათა აკვანში
მოქცევითა და უკუქცევით რომ მიირწევა.
მე ვგრძნობ, სხეული ჯადოსნურად გამიცისკროვნდა
ამ სიცოცხლის ძალუმი ფეთქვით,
რომ მისგანვე ვარ სიამაყით დამშვენებული
და რომ ახლა ჩემს ძარღვებში როკავს სისხლი საუკუნეთა.

68

არ შეგიძლია გაიხარო ამ უშრეტი სიხარულითა?
თავდავინყებით გადაეშვა, თან შეეთქვიფო
შმაგად მბრუნავი სიხარულის საშინელ მორევს?
წინ მიისწრაფვის ყოველივე მოუქცევლად, შეუსვენებლივ,
და არას ძალუძს შეაჩეროს ეგ მისწრაფება!
ამ დაუდეგარ სიმღერათა ხმაზე როკვენ და მიდიან
წელიწადის დღენი და თვენი:
და ყოველ წუთში განქარებული სიხარულის სიჭარბისაგან
უკიდევანო ზღვად მოღელავს გალობის ხმა,
ფერები და ნელსურნელება.

70

ეს იგი არის – იდუმალთა მესვეური,
გულს რომ მიღვიძებს
თავის ღრმა და შეფარული ხელისშეხებით.
ეს იგი არის – თვალისჩინი დაუბინდველი,
ჩემს გულში რომ იჭვრიტება ჭმუნვით და შვებით.
ეს იგი არის – მაიას სამოსს
ვერცხლს და ოქრომკედს, ჟრუნს და მწვანე ფერებს რომ აქსოვს,
და ღვთაებრივი ნაოჭები მოსავენ მის ფერხთ,
რომელთა ხილვამ ცნობისაგან მიმხადა ბევრჯერ.
უცვალებლად დის წელიწადი და საუკუნე,
და მუდამ – უთვლელ სახელით და უამრავ სახით –
ცრემლებით, შვებით, სიხარულით და სიმძიმით,
ჩემს გულზე მისი მეუფება აღუგველია.

71

განა განდგომა მოგვანიჭებს სუფევის შვებას?
ათას ბორკილით გულშებორკილს განმიცდია მე მისი სიტკბო!
ო, შენ ყოველთვის უხვად მასმევ შენი ცხოვრების
სურნელოვან, კურთხეულ ღვინოს
და მით ჩემი ყოფის ბარძიმს პირამდე ავსებ.
ათას კელაპტარს აგინთებს ჩემი წუთიერება
და შენს ტაძარში საკურთხეველს შესწირავს ყველას.
აროდეს დავხშავ, მეუფეო, მე ჩემს გულისბჭეს!
სმენის და ცქერის და შეხების სიხარულით
შეძრული გული, შენც სიხარულს მოგანიჭებს ჩემო მოძღვარო!
და ეგრე ყველა ჩემს ზმანებას სიხარულის ცეცხლი შემუსრავს,
და ყველა ჩემი საწაადელი სიყვარულის ნაყოფს დაისხამს.

72

მოსალამოვდა.

ჩრდილი დაეცა დედამიწას.

დროა წავიდე მდინარეზე,

დროა სურა ავავსო ჩემი.

მდინარე ჩუმად იზლაზნება,

მწუხარება ცა სალამური.

და მე ტალღათა უცნაური ჩქამი მეძახის.

დაჰბერა ქარმა და მდინარემ ჩურჩული იწყო,

ბილიკზე მგზავრიც აღარა ჩანს, გვიანი არის.

და მე არ ვიცი, დავბრუნდები შინ თუ აღარა,

და მე არ ვიცი, ამ ბინდბუნდში ვის შევეყრები...

მდინარის ფონთან, მცირე ნავში უცნობი ზის და ქნარზე უკრავს.

დროა წავიდე მდინარეზე.

დროა სურა ავავსო ჩემი.

73

შენი უსაზღვრო მონყალება ჩვენ – მიწიერთ
ყოვლით გვავესებს და
ისევ უკლებლივ უბრუნდება შენივე წიაღს.
მდინარე თავის ჩვეული გზით მიედინება,
სოფელდასოფელ მოდენილი ყანებს დაუვლის,
მაინც კი მისი საზრუნავი შენთა ფერხთა განბანვა არის.
ყვავილი ამო სურნელებით ათრობს მიდამოს,
და მაინც, ბოლოს შენს სამსხვერპლოს შეეწირება.
არ დაილლება დედამინა შენი წმინდა თაყვანისცემით!
ათასნაირად ესმით ხოლმე მგოსნის სიტყვები –
უკანასკნელი მათი აზრი შენა ხარ მხოლოდ.

74

ჩემი სიცოცხლის მეუფეო –
დღეუთვალავად უნდა ვიდგე მე შენს წინაშე?
და მეუფეო სამყაროთა –
ხელდაკრეფილი უნდა ვიდგნე მე შენს წინაშე?
შენი დიადი ცისქვეშეთის დუმილსა და უდაბნოეთში
მორჩილი გულით უნდა ვიდგე მე შენს წინაშე?
შრომით და ბრძოლით გულაგზნებულ წუთისოფელში
და ამ უშქარ ბრბოთა ხმაურში
უნდა ვიდგე მე შენს წინაშე მარტო, უჩუმრად?
და მეუფეთა მეუფეო –
უხმოდ, უსიტყვოდ უნდა ვიდგე მე შენს წინაშე?

75

მე შენ გიცნობ, როგორც ჩემს უფალს და განზე ვდგავარ.
მე ვერა ვბედავ გულისსწორად მიგიჩნიო და მოგეახლო.
მე შენ გიცნობ, როგორც მამას და მუხლს ვიყრი
ენს ფერხთა წინა.

მე არ გეხები, როგორც ძმას და როგორც მეგობარს.
მე იქ არ ვდგავარ, სადაც მაღლით შენ გადმოხვალ
და ჩემეულად თავს შერაცხავ, უფალო ჩემო,
არ მოგეხვევი, მეგობრადაც არ გალიარებ.
შენ ჩემი ძმა ხარ მოძმეთა შორის, რომელთაც მე არ ვეკარები.
მე მხოლოდ შენ და არა მოძმეთ ვუზიარებ ჩემს მცირე არჩივს.
ჭირსა და ლხინში მე არ ვეძებ მათ თანადგომას, არამედ შენსას.
მე არ მივყვები წუთისოფლის დღეთა დინებას
და გარემყოფი არ ვიძირები არსებობის დიდ მდინარეში.

76

ამ სანუთროში თუკი შენი პირის ხილვა არ მიწერია –
მუდამ, მარადღე მაგრძნობინე,
რომ ვერ ვიხილე მე ხატება მხისსახიანი,
ნუ დამავიწყებ ნურასოდეს, მწარედ მანანე,
გულს მომისართე მწუხარება დღისით და ღამით.

ამ წუთისოფლის საფარდულში ილევთან ჩემი დღეები
და მე ყოველდღე მონაგარით მევსება ხელი.
მაგრამ შენ მუდამ მაგრძნობინე, რომ არარა არ მომიგია,
ნუ დამავიწყებ ნურასოდეს, მწარედ მანანე,
გულს მომისართე მწუხარება დღისით და ღამით.

გზის ასაქცევთან როცა ვზივარ გულდამაშვრალი,
ქარსა და მზეში გულდაღლილი როცა ვისვენებ,
მუდამ, მარადღე მაგრძნობინე,
რომ გასალევი კიდევ შორი გზა მიდევს წინა,
ნუ დამავიწყებ ნურასოდეს, მწარედ მანანე,
გულს მომისართე მწუხარება დღისით და ღამით.

როს ჩემი სახლი მოკაზმული – იშვებს და ხარობს,
როცა ჩემს ჭერქვეშ მხიარული გალობა ისმის,
ო, მაგრძნობინე მე მარადჟამს, ყოველ წამს და წუთს,
რომ გულბნელმა და უგუნურმა შენ არ განვიე,
ნუ დამვიწყებ ნურასოდეს, მწარედ მანანე,
გულს მომისართე მწუხარება დღისით და ღამით.

77

მე ვგავარ ღრუბელს, შემოდგომის ცაზე უგზოდ მოხეტიალეს.
ო, ჩემო მზეო დიდმშვენიერო!
ნისლშებურვილი ვერ გამჭვრიტა ჯერ შენმა შუქმა,
ვერ შემაზავა შენს ნათელთან
და მე ამგვარად დღეებსა და თვეებს ვითვლი შენთან გაყრილი.
თუკი ხარება და თუ ნება იქნება შენი,
ნაიღე ჩემი წარმავალი ამაოება,
ქარს გაატანე, ან განფინე ის ცვალებად სასწაულებად.
მწუხრზე კი, როცა მოისურვებ დაასრულო შენი თამაში –
მე გავქრები შემომდგარ ბნელში,
ანდა თეთრი და გამჭვირვალე დილის ღიმილში.

78

უქმე დღეებში მე ვნაღვლობდი დაკარგულ დროზე,
მაგრამ ის არ დაკარგულა, უფალო ჩემო, –
შენ მოგიმკია ჩემი ფუჭი წუთისოფლის ყოველი წამი!
არსთა წიაღში დაფარული,
შენ გამოსძალავ თესლიდან ყლორტებს,
შტოებს ყვავილით შემოსავ და აყვავებულ ხეს დაასხამ
მნიფე ნაყოფებს!
მე დავშვერი და ჩამეძინა უქმ სარეცელზე,
ასე მეგონა: მოვრჩი-მეთქი შრომას და გარჯას.
დილით, როდესაც გამელვოდა, ავდექი და მოვიხილე:
ჩემი სავარდე ჯადოსნური ყვავილებით ავსებულყო.

79

უსასრულოა დრო შენს ხელში, ჩემო ხელმწიფე,
ვინ შემოსწეროს მზეგრძელობა შენი ჟამისა!
მიგელავს დღე და მიდის ღამე
და ვარდებივით იშლება და იფურცლება წელიწადები.
საუკუნენი ილევინან,
რათა სრულყონ პანანინა მინდვრის ყვავილი,
მაგრამ ჩვენ, შვილთა სოფლისათა,
განა ძალგვიძს დროის გაცდენა?
და ჰა, დრო მიდის,
მე კი – უბირი, უშურველად ვჩუქნი მას ყველას,
და მოუცლელს დრო აღარ მრჩება შენთვის მსხვერპლის
შემოსანირად.
შიშით და ძრწოლით მოვიჩქარი შელამებულზე:
შენი კარიბჭე ჩაკეტილი არ დამხვდეს-მეთქი,
და ვხედავ – არა, ჯერეთ კიდევ არ არის გვიან.

80

დედა, შენს გულმკერდს მე ჩემი ჭმუნვის ხელთუქმნელი
მძივით შევამკობ.
ვარსკვლავებმა სხივებისგან გამოჭედეს სამაჯურები
შენთა ფერხთა გასამშვენებლად,
განა ჩემი სამკაული გულს დაგიმშვენებს.
დიდებითა და ძლევითა ვარ შენგან მორჭმული
და შენს ხელთაა მათი აყრა და მონიჭებაც.
მაგრამ ჩემი მწუხარება მხოლოდ ჩემია
და როცა მას მსხვერპლად გწირავ,
შენი მეოხი და მოწყალე გულითა მწყალობ.

81

ეს განშორების ტკივილია, განფენილი მთელ სამყაროზე,
უსაზღვრო ცაში აურაცხელ სახეს რომ ბადებს.

ეს წუხილია განშორების –

ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე რომ იფინება

და ივლისის წვიმიან მწუხრში

ფოთლებთან რომ შრიალებს მშვიდად.

ყოვლისმომცველი ტკივილია ეგ – ჩვენს ქოხებში

სურვილის, ტანჯვის, ხარების და სიყვარულის ფესვით

ჩამდგარი,

და ესე იგია,

რაც მარად ღღევა და სიმღერებად მოედინება ჩემი გულიდან.

82

როცა პირველად გამოვიდნენ მბრძანებელის დარბაზებიდან,
სად დამალეს მეომრებმა თავისი ძალა?
სად იყო მათი თორ-აბჯარი, ჯაჭვ-მუზარადი?
ბედშავნი და შესანყალნი ვაგლახად იდგნენ
და თავზე რისხვად აცვივოდათ მტერთა ისრები,
როცა პირველად გამოვიდნენ მეომრები მბრძანებლის
დარბაზებიდან.

როცა მბრძანებლის დარბაზებში კვლავ შემოიქცნენ,
სად დამალეს მეომრებმა თავისი ძალა?
გარეშერტყმული შემოიხსნეს ხმალი და
მშვილდი კაპარჭითურთ ძირს დაანარცხეს,
მათ შუბლზე იყო აღბეჭდილი მთელი ქვეყანა,
და ყველა მათი მონაგარი სანუთროს დარჩა,
როს მეომრები მბრძანებელის დარბაზებში კვლავ შემოიქცნენ.

83

სიკვდილი – შენი მოციქული კარზე მომადგა.
ზღვა გადმოლახა იდუმალი
და შენი ჩუმი დაძახილი შინ მომანვდინა;
ლამის უკუნში შიშისაგან კრთის ჩემი გული.
ჩირაღდნით ხელში ავდგები მაინც, გავაღებ კარს და
კარიბჭესთან შენს მოციქულს მივესალმები.
თვალცრემლიანი თაყვანს ვცემ და მის წინ მოვიღებ
ჩემი გულის ყველა საუნჯეს.
და ჩემს ცარიელ სამყოფლოში მხოლოდ ნეშტი დარჩება ჩემი.
ვით შეწირული შენთვის მსხვერპლი უკანასკნელი.

84

რა ხანი არის მას დავეძებ სასომიხდილი,
დავჩხრიკე სახლის ყველა კუთხე – ის კი არა ჩანს.
ჩემი სადგომი მცირეა და
ის, რაც ერთხელ ზღურბლს გადასცდა, არასოდეს
დამიბრუნდება.
მაგრამ უზღვროა, უნაპირო, ღმერთო, შენი უსასრულო
სასუფეველი,
და მე შენს ბჭეებს შემოვადექ სამარადისოს,
სად არაფერი იმუსრება – არც ხარება და სასოება
და არც ცრემლებით დაღტობილი მწუხარე სახე.
და ჰა, ვდგავარ მე ან, უფალო,
შენი მღვივანი შელამების გუმბათის ქვეშე
და მესავი შენ შემოგყურებ.
ო, დანთქე ჩემი უგვანი დღე ამ უსაზღვრო ოკეანეში,
შენს სამყაროსთან მოკარების დაკარგული სიტკბოება
განმაცდევინე.

85

დაქცეული ტაძრის ღვთაებავ!
 მიმწუხრის ზარი შენს მლოცველებს აღარ მოუხმობს,
 დადუმებულან შენი წყნარი შემოგარენიც.
 შენს გაუქმებულ სამყოფლოში მხოლოდ ველთა ნიავე დაპქრის
 და გაზაფხულის ყვავილების სურნელი მოაქვს,
 ყვავილებისა, რომელსაც შენ აღარ გწირავენ.
 შენი ერთგული მსახური კვლავ უგზოუკვლოდ დაეხეტება,
 მესავი შენი წყალობისა, რომლიც მას აღარ ეღირსა.
 საღამოს, როცა მზე და ჩრდილი ბნელს შეერევა,
 დაღლილი ჩუმად უბრუნდება იგი შენს ტაძარს.
 ბევრი დღე მიდის უწირველად
 დაქცეული თაღების ქვეშე,
 ბევრი ღამე და სამეუფო დღესასწაული...
 ბევრი ხატება აღუმართავთ ქვისგან ოსტატებს,
 მაგრამ წამხდარა მათი დრო და აღუგვია დავიწყების
წმინდა მდინარეს.
 მხოლოდ ამ უქმი, დაქცეული ტაძრის ღვთაება
დგას საუკუნოდ მიგდებული,
 თავად სიკვდილის ბრჭალთაგანაც მივიწყებული.

88

ვერ გაიგონებთ ან ხმამალალ, მქუხარე სიტყვას ჩემი პირიდან.
ასეთია ნება ჩემი მბრძანებელისა!

ამიერიდან გული ჩემი ხმაუჩუმარ სიმღერებად
გადმოიღვრება.

ხალხი ხელმწიფის საფარდულში მიიჩქარის
და აჰა, თავი შეუყრიათ მყიდველებს და გამყიდველებსაც.
მაგრამ მე ხელმა უცნაურმა მომარიდა მათ აურზაურს,
ჭირის ოფლს და შუადღის გნიასს.

მაშ, გაიშალოს ვარდი ჩემი სავარდისა,
თუმცა ჯერ კიდევ არ მომდგარა ვარდობის ალო,
ბალში ფუტკრებმა, დე, ამო და უზრუნველი ზუზუნი იწყონ!
დიდხანს ვიყავი გულდაბმული

სიკეთისა და ბოროტების სასტიკი ბრძოლით,
ან მინდა ჩემთა უქმე დღეთა სანატრელ მოყვასს

უზრუნველად მივაცრდნო თავი...

ვერ გაიგონებთ ან ხმამალალ, მქუხარე სიტყვას ჩემი პირიდან,
ნება ჩემი მბრძანებლისა ასეთი არის.

87

როცა სიკვდილი კარზე წყნარად მოგიკაკუნებს,
სტუმარს შენსას რით დაუხვდება?
ჩემი სიცოცხლის სავსე ბარძიშ დაგუდგამ წინ და
მხიარული მასპინძელი ვიქნები თავად.
ზაფხულის დღეთა ჭირნახულს და შემოდგომის ღამეების
ჭვირვალ ღვინოებს,
ჩემი ტვირთმძიმე წუთისოფლის ყველა მომკულს
მის წინ მოვიღებ ჩემს დღეთა ბოლოს –
როცა სიკვდილი კარზე წყნარად მომიკაკუნებს.

88

ო, მოდი და მიჩურჩულე მე –
სიცოცხლის აღსრულებავ უკანასკნელო:
შენ, სიკვდილო, სიკვდილო, მოდი.
დღიდან დღემდე მოგელოდი შენ და შენთვის გადვიტანე
სალმობა და სიხარული ამა სოფლისა.
იგი, რაც მე ვარ, რაც მახლავს, ან რისთვისაც ვესავ
და ჩემი ზღვა სიყვარული მუდამ შენსკენ მოისწრაფოდა.
მხოლოდ ერთი შემოხედვა შენი, სიკვდილო,
და სიცოცხლეს საუკუნოდ მიითვლი ჩემგან.
საქორწილო გვირგვინები დანნეს და, აჰა, შემომდგარ ბნელში
შენ გელოდები, მშვიდს და ტკბილად მოღიმარესა.
ო, მოდი და მიჩურჩულე მე –
სიცოცხლის აღსრულებავ უკანასკნელო:
შენ, სიკვდილო, სიკვდილო, მოდი.

89

მე ვიცი, მოვა დღე, როდესაც ამ მშვენიერ დედამიწას
ველარ ვიხილავ.
წავა სიცოცხლე და თვალეებზე უკანასკნელ მოსაბურავს
ჩამომაფარებს.
ვარსკვლავები კი კვლავაც თრთოლვით ჩასხდებიან
ზეცის კალთაში
და ის ღამეც გათენდება უწინდებურად.
მაგრამ როდესაც მე გარდაცვლის უკანასკნელ წამისთვის
ვფიქრობ,
წამთა სამანი ირღვევა და სიკვდილის შუქზე
შენს უსაზღვრო სამყაროს ვხედავ
უზრუნველად გაბნეული საგანძურებით.
რაც მე ამოდ მინატრია, ან რაც მივიღე –
დაიქცეს და განმშორდეს იგი,
ოღონდ წამდვილად მას ვფლობდე მე,
რასაც მუდამ გავურბოდი და უარვყოფდი.

90

ჩემმა საათმა დაჰკრა უკვე!
უნდა დაგშორდეთ, მშვიდობის გზა მისურვით, ძმებო!
აჰა, კლიტენი ჩემი სახლისა,
სამუდამოდ დამიგდია ეგ სამყოფელი.
ამას გთხოვთ მხოლოდ,
ტკბილი სიტყვა მომაშველეთ განშორების ჟამს.
ერთმანეთს დიდხანს ვუმეზობლეთ, როგორც შეგვეძლო,
თუმც კი ნაკლები გავეცი მე, ვიდრე მივიღე.
და ჰა, დღე იგი შერიჟრაჟდა,
ნელ-ნელა ჰქრება სასანთლეთა მბჟუტავი ალი.
მშვიდობით, ძმებო, განშორების საათმა დაჰკრა!

92

მე შეცნობილი არ მაქვს ის წამი,
ამ სანუთროში პირველად რომ შემოვდგი ფეხი.
რამ გადამშალა ამ ვეება საიდუმლოში,
როგორც შუალამ ტყებურვილში გაშლილი კვირტი?
როცა სინათლე ვიხილე დილის, მე მყის ვიგრძენი,
რომ ამქვეყნად უცხო არ ვიყავ,
რომ უსახელო და უსახო იდუმალეებამ
მე საკუთარი დედის სახით გულს ჩამიხუტა.
სიკვდილის ჟამსაც მომევლინება ამგვარადვე იგივე უცნოი,
როგორც ჩემთვის მუდამ ცნობილი,
და რადგან მიყვარს ეს სიცოცხლე,
ვუწყი: სიკვდილიც მიყვარება,
პატარა ტირის, როდესაც დედა მოაშორებს მარჯვენა ძუძუს,
რომ იმავე წამს მარცხენაში ჰპოვოს სიმშვიდე.

93

როცა მე წავალ ამ სოფლიდან, განშორებისთვის იყოს თქმული,
რომ იგი, რაც მე ვიხილე, მიუწვდომია.

მე ვიგემე გოლეული, ნათლის უსაზღვრო სივრცეებზე
გაშლილ ლოტოსის – რითაც ვეკურთხე,
და ეგ იყოს ჩემგან თქმული განშორებისთვის.
ამ ქვეყნის უშქარ სახეულთა განსაცხრომელში
მე შევასრულე სახიობა ჩემი და თვალის აქვე მოვკარ
ჩუმს და უსახოს.

ჩემი სხეული აათრთოლა მისმა შეხებამ,
ვისაც ვერასდროს შეეხები.

და აღსასრულიც თუკი მოვა, დეე, მოვიდეს –
განშორებისთვის ჩემგან თქმული სიტყვა ეგ იყოს.

84

შენთან გულმშვიდად მოთამაშე
არასოდეს შეგკითხვივარ – ვინა ხარ-მეთქი!
მე არა ვგრძნობდი მწუხარებას, შიშსა და ძრწოლას,
ჩემი ცხოვრება უზრუნველად ედინებოდა.
დილაადრიან მალვიძებდი უდარდელ მოყვასს
და სიხარულის უსასრულო გზებით მიგყავდი.
მესმოდა შენი გალობანი და უგულისხმოდ
პირი უმაღვე ბანს აძლევდა შენს საგალობელს.
ახლა, როდესაც თამაშის დრო უკვე წავიდა,
რა სანახავი იხილა სულმა?
შიშით მოცულა სამყარო და შენს ფერხთით უხმოდ
დაუხრია ვარსკვლავთ თვალები.

95

ჩემი დიდი და საბოლოო დამარცხების გვირგვინით მოგრთავ.
ეგ არის ჩემი ერთადერთი ნაალაფარი,
ვერც მე გადვურჩი უძლეველის მსახვრალ მარჯვენას!
დასცხრება ჩემი სიამაყე, მე კარგად ვიცი;
მწარე ტკივილით დაიმსხვრევა ჩემი სიცოცხლე
და ქარისაგან ატირებულ ლერწამივით აქვითინდება.
მე ვიცი, ბოლოს გადიშლება

გოლეულით ავსებული ლოტოსის გული,
მაღალი ციდან უფლის თვალი დამაშტერდება
და მიმიხმობს უძლეველი ხელმწიფის ხელი.
ველარსად წავალ, წასასვლელი გზაც არ მექნება
და მე შენს ფარხთით თავდახრილი შევხვდები სიკვდილს.

96

მოვა უამი და საჭეს ჩემგან მიტოვებულს შენ ჩაიბარებ:
ამაო არის ყოველივე, არ გარდავა გარდაუვალი!
დასცხერ შენ, გულო, შეურიგდი ამ დამარცხებას
და მოწყალეზად მიითვალე უჩუმრად იქ დაყუდება,
სადაც მოგინვეს.

ქარმა ჩამიქრო ჩირალდნები
და მისთვის მზრუნველს დამაფინყდა აკი ყოველი!
ბრძნად მოვიქცევი მე ამჯერად,
გავშლი ჭილოფს და სიბნელეში დაგელოდები.
და რა ინებო –
მოძღვარო ჩემო, შემობრძანდი ჩემს სამყოფლოში!

97

მე ვიძირები სახეულთა ოკეანის ბნელ უფსკრულებში
იმ იმედით, რომ უსახოს სწორუპოვარ მარგალიტს ვპოვებ.
მეყო ამ ზღვებზე რაც ვიქროლე დაუდგრომელად,
დრო არის აწი, გრიგალებით შემუსვრილი ჩემი ნავი
ნავსადგურში შემოვაცურო.

იმ დაუსაბამ საუფლოში,
სადაც შენი უსმენელი გალობა ისმის,
ჩემი სიცოცხლის ჩაღანით შევალ.
გარდასულ დღეთა ჰანგებს დავუკრავ
და როს მინყდება უკანასკნელ გალობათა ხმა,
უთქმელის ფერხთით დავაყუდებ მას საუკუნოდ.

98

ნესი, რომელიც არ შესრულდა,
საზორველი შეუწირავი,
ვიცი, ო, ვიცი, დაკარგული არ არის იგი.

ნორჩი კვირტები, გაუშლელად ძირს დაცვენინი,
მდინარეები დაშრეტილნი უდაბნოს გულში –
ვიცი, ო, ვიცი, არ გამქრალა ეგე ყოველი.

სანუთროს ბრუნვამ რაც განიგდო, განზე დასტოვა.
ვიცი, ო, ვიცი, არ გამქრალა ეგე ყოველი.

რაც არ აღსრულდა ამა ქვეყნად,
რაც ამ სოფლად არ აღმოცენდა –
შენს ჩაღანაზე გალობს მარად, უფალო ჩემო.

ვიცი, ო, ვიცი, დაკარგული არ არის იგი.

❧

გალობა ჩემი შენ გეძებდა მთელი სიცოცხლე.
მასთან ერთად დავდიოდი მე კარდაკარ
და მხოლოდ მისი მეოხებით ვცნობდი ქვეყანას.
ის მაგონებდა ყოველივეს, მიჩვენებდა გზებს იდუმალს.
და თვალთა ჩემთა ჩემივ გულის ცადაქნილზე
ვარსკვლავები მან დაანახა.

მასთან ერთად დავდიოდი მე მთელი დღე
წამების და ნეტარების იდუმალ ქვეყნად
და ვითარ ბჭეებს მივადგებით ჩვენ მიმწუხრზე
მგზავრობის ბოლოს?

100

მე დავიქადე კაცთა წინაშე – შენ გიცნობ-მეთქი.
ყველა ჩემს ნაშრომს და ნახელავს შენი ხატების
წარუხორციელი ბეჭედი აზის.
მოდინ და მეკითხებიან: „ვინ არის იგი?“
მე არ ვიცი, რა ვუპასუხო და ვეუბნები:
„ო, ვინ იცის ჭეშმარიტად ვინ არის იგი!“
ისინი ზიზღვით მიყურებენ, მკიცხავენ და მიდიან ჩემგან.
შენ კი ზიხარ და იღიმები.
ჩემს გალობაში მუდამ შენზე ფიქრი მარხია.
იღუმალეზამ გადმოხეთქა გულის ბჭენი და სიმღერებად
გადმომელვარა.
მოდინ და მეკითხებიან: „გვითხარ მათი ფარული აზრი!“
მე არ ვიცი, რა ვუპასუხო და ვეუბნები:
„ო, ვინ ამოხსნას დამარხული მათში გულისხმა!“
ისინი ზიზღით მიყურებენ, მკიცხავენ და მიდიან ჩემგან.
შენ კი ზიხარ და იღიმები.

101

შენდამი ერთ მისალმებად, უფალო ჩემო,
განმელოს მე გულის ბჭე და შენს ფერხთა მტვერში
ეზიაროს ამ ნუთისოფელს!
შემოდგომის ტვირთმძიმე და დედამინაზე ქვედაზიდულ
ჯიქანსავესე ღრუბელთა მსგავსად –
დაიდრიკოს სული ჩემი შენს კარიბჭესთან!
შენდამი ერთ მისალმებად, უფალო ჩემო, –
შეიკრიბოს ყველა ჩემი საგალობელი
და შთაინთქას მდუმარების უყამო სკნელში!
წეროთა მსგავსად, დღისით და ღამით სამშობლოსკენ
რომ ისწრაფიან –
თვის საუფლოში დაივანოს ჩემმა სიცოცხლემ
შენდამი ერთ მისალმებად, უფალო ჩემო!

კ ჰ ო ნ ი კ ა

❖ ჩვენ შეცდომით წავიკითხავთ ხოლმე ცხოვრების წიგნს, ვამბობთ კია, რომ იგი გვატყუებს.

❖ იგი, რაც შენ ხარ – მას შენ ვერა სჭვრეტ.
მას, რასაც ხედავ – შენი ჩრდილია.

❖ მდინარის ამომშრალ კალაპოტს
მადლობის გრძნობა არა აქვს წარსულის მიმართ.

❖ უბრალო ბალახის მეოხებით ხდება
უზარმაზარი დედამინა სტუმართმოყვარე.

❖ ნისლი წადილია დედამინისა.
იგი ეფერება მზეს, რომლისთვისაც გული ელევა.

❖ ფესვები იგივე ტოტებია – მინაში დანთქმული,
ტოტები იგივე ფესვებია – ჰაერში განტოტილი.

❖ სხივმოსილი სამოსელი მზისა უბრალოა,
ხოლო ღრუბლები ფუფუნებით იკაზმებიან.

❖ გულწრფელობა ადვილია მაშინ,
როცა სრული სიმართლის თქმას არ აპირებ.

❖ ხალხი სასტიკია, მაგრამ ადამიანი – კეთილი.

❖ შესაძლებელმა ჰკითხა შეუძლებელს:
სად დაგივანია, და უძღურის ოცნებაშიო.

- ❖
ეს წუთისოფელი საუფლოა ველურ გრიგალთა,
რომელთაც სილამაზის გალობა ათვინიერებს.
- ❖
ვინც ბევრსა ფიქრობს იმაზე – სიკეთე ვქნაო,
დრო აღარ ყოფნის კეთილი იყოს.
- ❖
წუთისოფელი არ იწრიტება,
რადგან სიკვდილი ბზარი არ არის.
- ❖
უცხოელივით გადმოვედი მე შენს ნაპირზე,
სტუმარივით ვიცხოვრე მე შენს სახლში,
მაგრამ გეთხოვები, როგორც მეგობარს, წუთისოფელო.
- ❖
სიყვარული – სიცოცხლეა პირამდე ავსილი,
როგორც ღვინით სავსე თასი.
- ❖
ჭეშმარიტება თავის სამტროდ დასძრავს ხოლმე ქარაშოტს,
რომელიც შორს მიმოაბნევს მის თესლს.
- ❖
დამიფარე მე ჩემი განუსრულებელი წარსულისაგან,
იგი მეჭიდება და მიმძიმებს სიკვდილის საათს.
- ❖
მშვენიერი იყო ეს სიცოცხლე
გაზაფხულის წმინდა შროშანივით,
მშვენიერი იყოს სიკვდილიცა,
როგორც ფოთოლცვენა შემოდგომისა.
- ❖
სიცოცხლე ნიჭად გვენიჭება.
სიცოცხლის შეწირვით ვიმსახურებთ სიცოცხლეს.



კურთხეულია იგი,
ვისი დიდებაც მისივე ქეშმარიტებას არ ალემატება.



ქებამ შემარცხვინა მე, რამეთუ იდუმალ მისურვია იგი.



ერთი ბენო ბალახს ჯუჯა ნაბიჯები აქვს, მაგრამ მის
ფერხთ ქვეშეა დაფენილი ეს დედამინა.



ბელურას ეცოდება ფარშევანგი – მძიმე კუდი აქვსო.



ბრძენნი ამბობენ, მოვა დრო და თქვენც ჩაქრებითო, –
უთხრა ციცინათელამ ვარსკვლავებს.
ვარსკვლავებმა არაფერი უპასუხეს.



ვარსკვლავებს არ ეშინიათ, ციცინათელებად მიგვიჩნევენო.



ცვარი დავკარგეო ჩემი,
შესჩივლა შროშანმა განთიადის ზეცას,
რომელსაც ყველა ვარსკვლავი ერთბაშად დაჰკარგოდა.



შენ ლოტოსის ქვეშ მოქცეული დიდი წვეთი ხარ,
მე კი წვეთის ნატამალი მის ზედაპირზე, –
ასე შეესიტყვა ცვარი ტბას.



სანუთროს ხმაური დასცინის მარადისობის გალობას.



მკვდარი სიტყვების მტვერმა სული დაგიბნელა,
მოყვასო ჩემო,
განიბანე მდუმარების წმიდა ნაკადულით.

❖
ყვავილთა ფურცლების წყვეტით ვერ მოიხვეჭ მათ სილამაზეს.

❖
მზესუმზირა განითლდა, როცა გაიფიქრა:
ის უცნობი ყვავილი ჩემი ნათესავიაო.
მზე აღმოხდა, დიდთა და წვრილთა მოაფინა თავის ნათელი,
გაუღიმა ყვავილსაც და ჰკითხა:
თავს როგორა გრძნობ, ჩემო საყვარელოო.

❖
ღრუბლები ანიჭებენ მდინარეებს წყალთა სიუხვეს,
ხოლო თავად მთების იქით იმალებიან.

❖
წყალი ჭურჭელში გამჭვირვალეა;
ზღვათა წყალი – განუჭვრეტელი.
მცირე ჭეშმარიტებას ნათელი სიტყვა ახლავს.
ჭეშმარიტებას უდიადესს – უსაზღვრო დუმილი.

❖
წყალში თევზი დუმს. ქვეყანაზე ცხოველი ყივის.
ფრინველები გალობენ ჰაერში.
მაგრამ კაცის გულში დავანებულია
მდუმარება ზღვისა, ქვეყნიური გნიასი და ცათა გალობაცა.

❖
ჩემი დღე გასრულდა და მე ვგავარ ნაპირზე ამოთრეულ ნავს,
ზღვათა საღამური მოქცევის სიმღერას რომ უსმენს.

❖
სიბოროტეს არ ძალუძს თავი დასთმოს დასათრგუნავად,
სიკეთეს – ძალუძს.

❖
სინმინდე საუნჯეა, სიყვარულის სიჭარბისაგან შობილი.



შენი ხმა, საყვარელო ჩემო, რიალებს ჩემს გულში, როგორც გულისხმიერ ფიჭვთა შორის გაღებულ ზღვათა უნაზესი ჩქამი.



რას უნდა ნიშნავდეს ეს უხილავი ხანძარი უკუნეთისა, რომელსაც ნაპერწკლები ვარსკვლავებად მიმოუფანტავს?



ჩუმად, გულო ჩემო, ჩუმად:
ეს დიდი ხეები ლოცვებია ცად აღწეული.



გულში ცოფი ჰქონდათ და ჰკლავდნენ და კაცნი აქებდნენ მათ.




ცისკიდურის ბნელში მიყუყულა მშვიდი ღრუბელი.
აღმოხდა მნათი და განთიადმა შარავანდით შემოსა იგი.



ხეები მალღებთან და მოინევენ ჩემი სარკმლისაკენ,
როგორც ნადილთა და მწუხარებით აღტყინებული ხმები მუნჯი დედამიწისა.

ბ ე ნ გ ა ლ ი ა



ბ ე ნ გ ა ლ ი ა

ამ წიგნში შეკრებილი წერილები ჩემი ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერ პერიოდს მოიცავს, როცა მე დიდი და კეთილი განგების წყალობით ნაკლებად ცნობილი და ახალგაზრდა ვიყავი. სიჭაბუკე წყაროსაებრ სჩქეფდა, დრო ბევრი მქონდა და წერილთა წერა, საქმიანი ბარათების გამოკლებით, მე მხოლოდ საამო აუცილებლობად მიმაჩნდა. იგი ლიტერატურული მფლანგველობის თავისებური სახეა, რომელიც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც სული ფიქრების და გრძნობების სიუხვისაგან კიდემდეა ავსილი. ლიტერატურული შემოქმედების სხვა ფორმები ავტორთან რჩება და საზოგადოების კუთვნილებად მხოლოდ მისი კეთილი ნების მეოხებით იქცევა, წერილები კი, რომლებიც კერძო პიროვნებებს სრულ საკუთრებად ეძლევათ, უაღრესი გულუხვობით ხასიათდება. მოხდა ისე, რომ ამ მრავალრიცხოვან წერილთა რჩეული ნაწყვეტები მათი დაწერიდან დიდი ხნის შემდეგ უკანვე დამიბრუნდა. სავსებით მართებულად იყო გათვალისწინებული, რომ ისინი დიდ სიხარულს მომანიჭებდნენ, მომაგონებდნენ რა იმ დაუვინყარ დღეებს, როდესაც მე – ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობი – ვტკბებოდი უდიდესი თავისუფლებით, რომელიც კი ოდესმე განმეცადა. ეს წერილები ჩემი დაბეჭდილი თხზულებების მნიშვნელოვანი ნაწილის სინქრონიულია, და მე ვიფიქრე, რომ მათი შეპირისპირება მკითხველისათვის ჩემი პოემების გაგებას გააფართოვებდა, როგორც ფართოვდება ბილიკი, როდესაც მას საწინააღმდეგო მიმართულებით კიდევ ერთხელ გადასერავ. ასეთი იყო მათი გამოქვეყნების მოტივები ჩემს თანამემამულეთათვის. იმ იმედით, რომ ბენგალიის სოფლის სურათები, რომლებსაც ეს წერილები მოიცავენ, შეიძლება რამდენადმე მაინც იყოს საინტერესო ინგლისელი მკითხველისათვის, ამ წერილთა რჩეული ადგილების თარგმნა მე მივანდე კაცს, ვინც, ჩემი ფიქრით ყველაზე უკეთ შეასრულებდა ამ საქმეს.



დაუცხრომელი ოკეანე ბობოქრობს და თეთრად მოელვარე ქაფით ინთქრევა. იგი შებოჭილ გველეშაპს მაგონებს, რომელიც ცდილობს დაწყვიტოს ბორკილები, ამ დროს კი ხახადაბჩენილი ურჩხულის პირისპირ ჩვენ ავაშენეთ საცხოვრისი და ვაკვირდებით, ნაპირზე მომწყდარი ეს გველეშაპი რა ველურად უხათქუნებს თავის კუდს ქვიშას. რა უსაზღვრო ძლიერებაა ამ ტალღებში, ტიტანის კუნთებივით რომ იბურცებიან.

ქვეყნის დასაბამიდან მიმდინარეობს ეს შუღლი დედამინასა და წყალს შორის. თანდათან ხმელეთი მდუმარედ იპყრობს თავისთვის ადგილს და საკუთარ შვილებს წიაღს უფართოვებს. თითო მტკაველობით უკან იხევს ქვითინისაგან აცახცახებული და გააფთრებისა და სასონარკვეთილებისაგან მკერდდალენილი ოკეანე. ერთ დროს ხომ წყალი იყო თვითმპყრობელი, თავისუფალი და ძალმოსილი მეუფე. დედამინა მისი საშოდან გამოვიდა, დაეუფლა მის ტახტს და იმ დროიდან მწუხარებისაგან გაშმაგებული, ქაფის ქალარა ფაფარით მოსილი ბებერი დაუცხრომლად კენესის და ჩივის, როგორც მეფე ლირი ბობოქარ სტიქიონთა შორის.



შრომის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეხმარება კაცს უფრო მსუბუქად მოეკიდოს თავის სიხარულსა და ტანჯვას. მე ვიგონებ ერთ შემთხვევას შაზადპურში. ჩემმა მოსამსახურემ დილით როგორღაც დაიგვიანა და მე ძლიერ განწყენებული დავრჩი ამ გარემოებით. ბოლოს იგი გამოჩნდა, ჩვეული სალამი მომცა და ოდნავ მოცახცახე ხმით მაცნობა, რომ წინაღამით რვა წლის გოგონა გარდაეცვალა. მერე აიღო ცოცხი და ოთახების დალაგებას შეუდგა.

შრომის ფართო ასპარეზს თვალს თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ერთი ვაჭრობს, მეორე მინას ამუშავებს, მესამე ტვირთს ეზიდება, ხოლო ყოველივე ამის მიღმა დღიდან დღემდე მოედინება ინტიმურად ღრმადდაფარული, უხილავი ნაკადი სიკვდილისა, მწუხარებისა და გაჭირვებისა. ამ ნაკადს რომ თა-

ვი ვერ დაეოკებინა და ოდესმე ზედაპირზე ამოხეთქილიყო, შრომის მთელი მანქანა ერთბაშად დადგებოდა. პირადი უბედურების ზედაპირზე გადის ქვითმოგებული გზა, რომელზეც გრუხუნით მიემართებიან ზუსტად განწესებული მატარებლები. ისინი არსად არ ჩერდებიან, თუ არა განაწესში მითითებულ სადგურებზე. შესაძლოა, სწორედ ეს სისასტიკე შრომისა წარმოადგენდეს თავისებურ მკაცრ ნუგეშს.



დღეს მივიღე ანონიმური წერილი, რომელიც ასე იწყებოდა: „ვისიმე ფერხთთ მთელი შენი არსების მოღება ნიჭთაგან უჭემმარიტესია“.

ავტორს მე არასოდეს ვუნახივარ, მაგრამ მიცნობს ჩემი წარმოებებით და ასე განაგრძობს:

„რაც არ უნდა შორს იყოს ან არარაობას წარმოადგენდეს რაბის^{*} თაყვანისმცემელი, იგი თავის წილ მზეს მიითვალავს. თქვენ მსოფლიო პოეტი ხართ, მაგრამ მე მეჩვენება, რომ თქვენ მარტო ჩემი პოეტი ხართ!“ და ასე შემდეგ და ამნაირად.

ადამიანის გულში ისეთი ძლიერი მისწრაფება ცოცხლობს რაიმე ობიექტისათვის სიყვარულის მინიჭებისა, რომ იგი თავის-სავე იდეალს იყვარებს. მაგრამ რატომ უნდა დავუშვათ, რომ იდეაში უფრო ნაკლები ჭეშმარიტებაა, ვიდრე გარეგან ფაქტში? ჩვენ ვერასოდეს დავრწმუნდებით იმის ჭეშმარიტებაში, რასაც გარეგანი შეგრძნებებით აღვიქვამთ. მაშ, ეს დაეჭვება ჩვენივე გონების მიერ შექმნილი იდეის მიმართ რატომ უნდა იყოს უფრო დიდი?

მშობელი საკუთარი ბავშვების მეოხებით დიად იდეას წვდება, რომელიც ყველა ბავშვში ცოცხლობს, მაგრამ რომლის უთუობა ყველასათვის ცხადი არ არის. შეგვიძლია განა ვთქვათ, რომ ის, რაც მშობლის მთელი ცხოვრების სტიმულს წარმოადგენს, მხოლოდ ილუზიაა, ხოლო ის, რაც ასეთივე ძალით ვერ დაგვიპყრობს, ნამდვილ ჭეშმარიტებას წარმოადგენს-თქო?

*რაბი — თაგორის სახელის ფუძე, მზეს ნიშნავს.

თითოეული ადამიანი უსაზღვრო სიყვარულს იმსახურებს, რადგან მისი სულის სილამაზე უკიდვეანოა... მაგრამ მე განზოგადებას ავყევი. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ერთის მხრივ, რა თქმა უნდა, უფლება არა მაქვს მივიღო შემოთავაზებული გრძნობა ჩემი პატივისმცემელისა, ანდა, სხვანაირად რომ ვთქვა, მას შესაძლოა არც განეცადა ეს გრძნობა, ჩემს ყოველდღიურობაში რომ ვენახე. მაგრამ არის მეორე მხარე, რის გამოც მე სავსებით ღირსი ვარ ამგვარი, ხოლო შესაძლოა, უფრო დიდი თაყვანისცემისაც კი.



როცა მე მთვარის შუქით განათებულ ნაპირზე ვსეირნობ, სიჩვეულებრივ მენწვევა ხოლმე საქმეებზე მოსალაპარაკებლად. იგი გუშინ საღამოსაც მენწვია. ხოლო საუბრის შემდეგ, როცა წავიდა და ირგვლივ კვლავ მყუდროებამ დაისადგურა, მე უცებ შევიცანი სამყაროს მარადიულობა, ჩემს წინაშე საღამური სინათლით რომ წარმოდგა. ფუჭი ლაყბობა კმაროდა, რომ მის ყოველისმომცველ გამოვლინებას აფარებოდა.

როდესაც შეწყდა ლაქლაქის შადრევანი, ვარსკვლავებიდან მდუმარე სამყარო გარდამოვიდა ჩემზე და სული კიდევამდის ამივსო. ყოფიერების დიად და იდუმალ საკრებულოში, მილიონობით მოციმციმე სამყაროს გვერდით მე ჩემი კუთხე დავიგულე.

ახლა ვცდილობ საღამოობით უფრო ადრე გამოვიდე და ამ სიმშვიდით ს-ს მოსვლამდე გავიმსჭვალო, რომ მან გული არ გამიწყალოს კითხვებით იმაზე, თუ რამდენად მომეწონა რძე და დავამთავრე თუ არა წლიური ანგარიშის გადათვალიერება.

რა კურიოზულია ჩვენი ბალანსირება მარადიულსა და ეფემერულს შორის. კუჭის საქმეებზე უმნიშვნელო მინიშნება ისეთ უიმედო დისონანსად ჟღერს, როცა გონება სულიერზე არის დაუნჯებული, – და მაინც, უხსოვარი დროიდან სული მშვენივრად ეთვისება კუჭს. მთვარით გაჩახჩახებული მთელი ეს მიწა ჩემი საკუთრებაა. მაგრამ მთვარე მეუბნება, რომ ჩემი ზემინდარობა ილუზიაა, ხოლო ჩემი ზემინდარობა მეუბნება, რომ მთვარე სიცალიერეა და მე უბედურს, თავგზა მებნევა მათ შორის.



ნაშუალამევს წყლის ხმაურმა გამომადვიდა. რაღაც უეცარი, მძაფრი ბორგნეულობა შეინიშნებოდა მდინარის ნაკადში, ალბათ ახალი მიწისქვეშა ჭავლი ამოვარდა. ასეთი რამ ხშირად ხდება წლის ამ დროში, როცა წყლის ფიცრულ ბაქანზე დგახარ, გრძნობ ხოლმე, შენს ქვეშ როგორ ბორგავს და ლელავს რომელიღაც დაფარული ძალა. ნაზი შეყრყოლება, მსუბუქი რწევა და უეცარი ბიძგი მუდმივ შეხებაში მამყოფებს მსრბოლავი ნაკადის მაჯისცემასთან.

მე ავდექი და ფანჯარას მივუჯექი. ღამეულ ბინდბუნდში შეშფოთებული მდინარე სავსებით გაცოფებული ჩანდა. ცაზე ბნელი ღრუბლები მიჰქროდნენ. უზარმაზარი ვარსკვლავის ათინათი გრძელ ზოლად კანკალებდა წყალში, როგორც ტკივილით გახსნილი ცხელი ჭრილობა. მძიმე რულში ჩაძირული ნაპირები ბუნდოვნად მოჩანდა, ხოლო მათ შორის ბორგნეულად დულდა ეს ველურად მშფოთვარე დაუცხრომლობა.

როდესაც ღამეში ამგვარ სურათს აკვირდები, გგონია, რომ შენ სულ სხვა კაცი ხარ და დღისიერი ცხოვრება სიზმარია. მაგრამ დღისით პირიქითაა, – ეს ღამეული ქვეყანა რაღაცნაირ ზღაპრულ მოჩვენებად იქცევა და სიზმარივით ქრება. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამავე დროს რაღაცნაირ თავიანთ ჭეშმარიტებას იმაღავენ გულში.

დღისიერი ქვეყანა მე ევროპული მუსიკის მსგავსი მგონია. მისი კონსონანსები და დისონანსები ერთმანეთს თანახმიერებით ერწყმება და ერთ დიად ჰარმონიად ერთიანდება. ღამეული ქვეყანა ინდურ მუსიკასა ჰგავს – ნმინდა, განთავისუფლებულ მელოდიას, მტანჯველად მშვენიერსა და საზეიმოს. მათ შორის არსებული განსაცვიფრებელი კონტრასტის მიუხედავად ორივე გულამდე გვწვდება. ურთიერთ დაპირისპირებულთა ეს პრინციპი თავად ქმნილების ფესვშია ჩადებული და მეფესა და დედოფალს შორის უფლების განაწილებას ასახიერებს: ღამე და დღე, ერთიანი და განწილული, მარადიული და განვითარებადი.

ჩვენ – ჰინდონი, ღამესა ვართ დაქვემდებარებულნი. ჩვენ მარადიულში, ერთობილში ვართ დაძირულნი, – ჩვენი მელოდიები განმარტოებისას საკუთარი თავის მიმართ იმღერება. მათ ყო-

ველდლიურობის ქვეყნიდან თვითდაუნჯების უდაბნოში მივყავართ. ევროპული მუსიკა იქმნება მასებისათვის, რომლებიც ადამიანურ შეჭირვებასა და სიხარულში როკვით მიჰქრიან.



მე დღეს ვნახე მკვდარი ჩიტი, რომელიც დინებას მოჰქონდა. ამ ჩიტის სიკვდილის ამბავი ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ. სოფლის ბოლოს მანგოს ხეზე მას ჰქონდა ბუდე. იგი საღამოთი დაბრუნდა შინ და თავის რბილბუმბლიანი ამხანაგების გვერდით მოკალათებულმა მშვიდად დაიძინა, რომ მოესვენებინა თავისი დაღლილი სხეული. მაგრამ უეცრად, ღამეში, ძლიერი პაღმა ოდნავ შეირხა თავის სარეცელზე და მანგოს ფესვებს მიწა მოურღვია. ბუდიდან გადმოვარდნილმა პატარა ქმნილებამ მხოლოდ წამით გაიღვიძა, რათა იმწამსვე საუკუნოდ დაეძინა.

როცა მე პირისპირ ვდგავარ ყოვლისდამქცეველი ბუნების საშინელი საიდუმლოს წინაშე, ჩემსა და სხვა ცოცხალ არსებათა შორის არსებული განსხვავება უმნიშვნელო და ფუჭი მეჩვენება. ქალაქში, სადაც ადამიანთა საზოგადოება წინა პლანზეა, იგი დიდი და მნიშვნელოვანი ჩანს. იგი სავსებით უგრძობელია სხვა ქმნილებათა შეებისა და მწუხარების მიმართ, მას მხოლოდღა საკუთარი ახსოვს.

ევროპაშიც იგივეა. ადამიანი ისე რთულია და ისე დომინირებს ყველაფერზე, რომ ცხოველი მისთვის მხოლოდ ცხოველია. ცხოველიდან ადამიანში და ადამიანიდან ცხოველში სულის გადასახლების იდეა ინდოელებს უცნაურად არ ეჩვენებათ და ამიტომ ყველა მგრძობელი არსებისადმი სიბრალული, როგორც სენტიმენტალური გაზვიადება, გამორიცხული არ იყო ჩვენი წმინდა წერილებიდან.

როცა მე მჭიდრო ურთიერთშეხება მაქვს სოფლის ბუნებასთან, ჩემში თვითდადგინებას ესწრაფვის ჰინდო და მე არ შემოდელია გულგრილი ვიყო თვით ამ პანანკინტელა სულის მიმართ, რომელიც სიცოცხლის სიხარულით ფეთქავდა დაღუპული ჩიტუნას ნაზ გულმკერდში.



საფოსტო განყოფილება ჩვენი მამულის კანტორასთან არის მოთავსებული. ეს დიდი შეღავათია, რამდენადაც ფოსტას მოსვლისთანავე ვიღებთ. ხანდახან ფოსტის უფროსი სალაპარაკოდ შემოივლის ჩემთან. მე სიამოვნებით ვუგდებ ყურს მის მონაჭორს. იგი დაუფერებელ არაკებს უსერიოზულესი ტონით მიყვება.

გუშინ მიაბო, თუ რა ღრმა თაყვანისცემით სარგებლობს ჩვენს არემარეში წმინდა მდინარე განგი: როცა ვინმე კვდება და ნათესავებს შესაძლებლობა არა აქვთ ფერფლი წმინდა განგს მიაბარონ, თურმე წვრილად ფხვნიან მისი დასაკრძალავი კოცონიდან აღებულ ძვლის ნატეხს და იმ დრომდე ინახავენ, ვიდრე არ შეხვდებიან კაცს, რომელსაც განგის წყალი აქვს დალეული. მაშინ ისინი უგზავნიან ამ კაცს პანას ჩვეულებრივ მოსაკითხავში ჩამალულ ფხვნილს და მიაჩნიათ, რომ ამრიგად მათი გარდაცვლილი ნათესავის ნეშტის ნაწილს წმინდა მდინარის განმწმენდელი ძალა ეხება.

მე ღიმილით შევნიშნე: ეს შეიძლება თავისებურ გამოგონებად ჩაითვალოს-მეთქი. იგი ღრმად ჩაფიქრდა და დიდხნის დუმლის შემდეგ მიპასუხა: დიახ, შესაძლოა ასეც არის...



წუხელ მე არაჩვეულებრივი სიზმარი ვნახე. თითქოს მთელი კალკუტა რალაცნაირმა საშინელმა საიდუმლომ დაბურა. სახლები ბუნდოვნად კრთოდნენ სქელ ნისლში, რომლის საბურველქვეშ უცნაური ამბები ხდებოდა.

მე დაქირავებული ეტლით გადავჭერი პარკ სტრიტი და როცა წმიდა ქსავერის კოლეჯს ჩავუარე, შენობამ სწრაფად იწყო გაზრდა და ბნელი ბურით მოქუფრულმა წარმოუდგენელ სიმაღლეს მიაღწია. აქ მე უცებ მომაგონდა, რომ კალკუტაში ჯადოქართა დასი იყო ჩამოსული და რომ მათ ათასგვარი უცნაურობის ჩადენა შეეძლოთ, თუკი კარგ გასამრჯელოს გადაუხდიდნენ.

როდესაც ჯორასანკოში სახლში მოვედი, ჯადოქრები უკვე იქ აღმოჩნდნენ. ისინი მეტად უშნოები იყვნენ, მონლოლური

ტიპისა, მეჩხერი უღვაშები ჰქონდათ და ნიკაპზე რამდენიმე გრძელი ბალანი ეკიდათ. გამოირკვა, რომ მათ შეუძლიათ ადამიანისათვის სიმალლის მომატება. ვილაც გოგოებმა მოინდომეს სიმალლეში გაზრდა. ჯადოქრებმა თავზე დააყარეს ფხვნილი და ისინი იმნამსვე გაიზარდნენ. ყველას, ვინც კი გზად მხვდებოდა, მე ერთი და იმავე სიტყვით მივმართავდი: ეს პირდაპირ განსაცვიფრებელია, თითქოს სიზმარში ხდება-მეთქი!

ამ დროს ვილაცამ ჩვენი სახლის გადიდება შესთავაზა ჯადოქრებს. ისინი დათანხმდნენ და წინასწარ მისი ცალკეული ნაწილების დანგრევა იწყეს. კედლები რომ დაანგოეს, ფული მოითხოვეს და განაცხადეს, რომ სხვაფრივ არ დაამთავრებდნენ საქმეს. მოლარე გამწარებული ეკამათებოდა, როგორ შეიძლება ფულის გადახდა, როცა სამუშაო ჯერ კიდევ დამთავრებული არ არისო? მაშინ ჯადოქრები განძვინდნენ და მთელი სახლი თავზარდამცემი სიჩქარით დააბზრიალეს, ისე რომ ქვები და ადამიანები ერთმანეთში აილუფხენ და ნანგრევებიდან მხოლოდ მათი გამოჩრილი თავები და მხრები მოჩანდა.

ეს უკვე მთლად ეშმაურ ოინსა ჰგავდა და მე უფროს ძმას მივმართე: ხედავ-მეთქი ახლა, რა საქმეცაა? ეს მე მგონი, ყველაფერს აჯობებს საშველად ღმერთს მოვეუხმოთ-მეთქი. მაგრამ როგორც კი მოვიხდომე ღვთის სახელით ვედრების დანყება, ვიგრძენი, რომ გულში რალაც ჩამწყდა და პირიდან სიტყვა არ ამომდის.

საგულისხმო სიზმარია, არა? სატანის ხელთ მოხვედრილი კალკუტა ეშმაურად იზრდება უწმინდური ნისლის ბნელი საბურველის ქვეშ.



სალამოთი, მე, ჩვეულებრივ, მარტოდმარტო ვსეირნობ ხოლმე ჩვენი სახურავის ტერასაზე. გუშინ, ნასადილევს ჩემს მოვალეობად ჩავთვალე სტუმრებისათვის ადგილობრივი სანახების სილამაზე გამეცნო. მათთან ერთად გამოვედი სახლიდან და მეგზურად აგორე გავიყოლე.

თვალსაწიერის კიდეზე ცისფრად კიაფობდა ხეთა შორეული ქობა, ხოლო მის თავზე ნატიფ ხაზად განოლილიყო არაჩვეულებ-

რივად ლამაზი მუქლურჯი ღრუბლის ფთილა. მე პოეზიაში შევტოპე და ვთქვი, რომ ღრუბლის ეს ფთილა წამწამების კიდებულურჯ ჩრდილს მაგონებს, რომელიც მშვენიერ ცისფერ თვალს კიდევ უფრო ამშვენებს-მეთქი. ერთმა ჩემმა თანამგზავრმა ვერ გაიგონა ეს შენიშვნა, მეორემ ვერ გაიგო, ხოლო მესამემ იგი გაანადგურა პასუხით: დიახ, მართლაც რომ მშვენიერია. პოეტური აღფრთოვანების შემდეგი ცდისათვის მე აღარ მიმიმართავს.

ერთი მილი რომ გავიარეთ, კაშხალს მივადექით, სადაც მცირე გუბურის გასწვრივ მარაოსებური პალმების ხეივანი იყო გაჭიმული. პალმების ქვემოთ ბუნებრივი წყარო ჩქეფდა. წყაროს სანახავად შეჩერებულებმა უცებ თვალი მოვკარით, რომ ღრუბლის ფთილა, რომელიც ჩრდილოეთით შევნიშნეთ, ჩვენსკენ მოინეცდა. იგი თანდათანობით იზრდებოდა, იქუფრებოდა და ზოგჯერ ელვის ცისფერი ათინათით კრთოდა.

ჩვენ ერთსულოვნად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ბევრად უფრო მართებული იქნებოდა ბუნების სიმშვენიერის ჭერქვეშეთიდან ჭვრეტა, მაგრამ ის-ის იყო მოვბრუნდით სახლისაკენ, რომ გაშლილ დაბლობზე გიგანტური ნაბიჯებით მოახლოვებული ქარიშხალი გულისწყრომით დაგეაცხრა თავზე. როცა მე ბუნების ამ თვალწარმტაცი ქალბატონის წამწამებზე ჩამუქებული ჩრდილით ვტკბებოდი, აზრდაც კი არ მომსვლია, რომ მას შეეძლო გამძვინვარებული დიასახლისივით თავს დაგვტყდომოდა და საფუძვლიანი ალიყურით დაგვმუქრებოდა.

ჰაერში ავარდნილი მტვრისაგან ისე დაბნელდა, რომ რამდენიმე ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა. ქარიშხლის რისხვა მატულობდა. ქვიანი ნიადაგიდან ახვეტილი ღორღის ნამუსრევი ტყვიევივით გვსუსხავდა, ხოლო ქეჩოში ჩაფრენილი ქარბორბალა წვიმის მსხვილი წვეთების შოლტით წინ მიგვერეკებოდა.

თავს ვუშველოთ! გავიქცეთ!.. მაგრამ ოკრობოკრო არემარე ხრამებით იყო დასერილი. მათი გადალახვა არამც თუ ქარიშხალში, ჩვეულებრივ დროსაც კი გაჭირდებოდა. მე კვრინჩხის ჯაგებში გავიბლანდე და მისგან თავის დასაღწევად გაჩერებული კინალამ არ მომცელა ქარმა.

სახლს რომ მივუახლოვდით, ჩვენს შესახვედრად მსახურთა მთელი არმია გამოცვივდა ყვირილითა და ხელების ქნევით და ისიც ქარიშხალივით დაგვეძგერა. ზოგიერთი ხელჩაკიდებული მოგვეყვებოდა, ზოგი ვიშვიშებდა ჩვენს თავზე დატეხილი უბედურების გამო, ზოგი გზას გვიჩვენებდა, სხვები უკან მოგვეყვებოდნენ, თითქოს ეშინოდათ, ქარიშხალს საბოლოოდ არ გავეტაცებინეთ. ჩვენთვის არც ისე იოლი იყო თავი დაგვეხსნა ყურადღების ესოდენ გადაჭარბებული გამოვლინებისაგან. ბოლოს და ბოლოს, აქლოშინებულებმა, განუწულებმა და თმააბურძგვნილებმა, როგორც იქნა, სახლამდე მივალწიეთ.

ყოველივე ამან მე ზოგიერთი დასკვნა გამომატანინა. მე უკვე არასოდეს დავინწყებ რომანსა და მოთხრობაში იმის ტყუილად მტკიცებას, რომ გმირი – გულში აღბეჭდილი მიჯნურის ხატებით – მშრალად გადურჩა ქარსა და წვიმას. ასეთ ქარიშხალში სავსებით შეუძლებელია გულში ვისიმე ხატება შეინარჩუნო, რაგინდ საყვარელიც არ იყოს იგი, მეტად დიდი ჯაფა გადგას თვალებიდან მინისა და მტვრის ამონმენდისას.

ვიზნუელი პოეტები აღფრთოვანებით აღწერენ რადჰას, რომელიც ბობოქარ ღამეში კრიშნასთან პაემანზე მიიჩქარის. დაფიქრებულან კი იმაზე, თუ რა დღეში გამოეცხადებოდა იგი თავის მიჯნურს? ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა საშინლად შეეგლისებოდა თმა ან რას ეგვანებოდა საერთოდ, მისი ტუალეტი. კარგი შესახედავი კი იქნებოდა, როცა თავით ფეხამდე მტვრით დაფარული და წვიმისაგან გატალახიანებული ბოლოს და ბოლოს მიაღწევდა ფანჩატურს.

მაგრამ როცა ვაიშნავს ვკითხულობთ, თავში ასეთი აზრები არ მოგვდის. ჩვენი გონებრივი მზერის წინაშე წარმოდგება ხატება მშვენიერი ქალისა, რომელიც შრავანის* ბობოქარ ღამეს აყვავებულ კადამბებს შორის ჯუმნას ნაპირისკენ მიეშურება. მას არ ახსოვს ქარი და წვიმა. იგი სავსებით დანთქმულია დამატყვევებელ სასიყვარულო ოცნებებში. იგი სამკლავებაკრუ-

* შრავანი — ივლის-აგვისტო, წვიმების ალო.

ლი, რომ მათ არ ეყდარუნათ, და მუქლურჯ მოსასხამში გახვეული, – რომ ვერ ეცნოთ, საყვარლისკენ მიემართება. მაგრამ მან არ წამოიღო ქოლგა, რომ არ დასველებულიყო, არ წამოიღო ფარანი, რომ არ წაქცეულიყო.

ოჰ, ყველა ეს სასარგებლო ნივთი – რამდენად მნიშვნელოვანია ისინი პრაქტიკულ ცხოვრებაში და როგორ უგულებელყოფენ მათ პოეზიაში! მაგრამ პოეზია ამოდ ცდილობს გაგვათავისუფლოს ჩვენ ამ ბორკილებისაგან, – ისინი მუდამ დაგვიმძიმებენ სულს. ამოდ ხომ არ ამბობენ, რომ ცივილიზაციის პროგრესთან ერთად პოეზიის ცეცხლი თანდათან განელდებაო, მაშინ როცა ქოლგებისა და ფეხსაცმელების გაუმჯობესებაზე პატენტის ამორჩევა არასოდეს შეწყდება.



ამ დღეებში მე მომივიდა აზრი, რომ მამაკაცი მხოლოდ შავად არის გამოჯორკნილი, ხოლო ქალი უკვე დასრულებული არსებაა. ქალში არის რალაცნაირი მთლიანობა და შინაგანი შეთანხმებულობა მანერებს, ჩვევებს, ლაპარაკსა და მორთულობაში. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე ბუნება ქალს ერთ გარკვეულ როლს ანიჭებდა და მას უგუებდა მდედრის არსებას. არავითარ კატაკლიზმებს, არავითარ რევოლუციებს, სოციალური იდეალების არავითარ ცვალებადობას არ მოუცდენიათ ქალი თავისი განსაკუთრებული დანიშნულებისათვის და ხელი არ შეუშლიათ მისი თვითგამორკვევისათვის. მისი საქმე იყო სიყვარული, ბავშვის გაზრდა, ალერსი. ქალი მეტს არაფერს აკეთებდა. და იმ დახვეწილი ოსტატობით, რომელიც მან ამ სფეროში მოიხვეჭა, გაყდენთილია ყველა მისი საქმე და მთელი მისი არსება. მისი მიდრეკილება და მოღვაწეობა, ყვავილისა და მისი სურნელის მსგავსად, მთლიანი და განუყოფელია. ამიტომ მან არ იცის არც დაეჭვება და არც მერყეობა.

მამაკაცის ხასიათში ჯერ კიდევ ბევრი ნაპრალი და ნახნაგია. ყველა იმ განსხვავებულმა ძალამ და გარემოებამ, რომლებიც სამოქმედოდ აღძრავდნენ მამაკაცს, კვალი დააჩნია მის არ-

სებას. ამიტომ თვალში გხვდება ერთთან შუბლის არათანაზომიერი განვითარება, მეორესთან ზედმეტად წამოზიდული ცხვირი, მესამესთან შეუმჩნეველი სისასტიკე ტუჩის კუთხეებში. მამაკაცს რომ მიზანთა და მისწრაფებათა ისეთივე კეთილმოქმედი მუდმივობა და ერთსახეობა ხლებოდა, ბუნება ალბათ შესძლებდა მისთვისაც გამოემუშავებინა გარკვეული სულიერი შაბლონი, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მამრს უბრალოდ და ბუნებრივად, ზედმეტი ძალისხმევისა და დაძაბვის გარეშე ემოქმედა. მაშინ მას აღარ მოუხდებოდა თავისთვის ქცევის ესოდენ რთული კოდექსის შექმნა. და არ ექნებოდა გარეშე გარემოებათა ზეგავლენით ნორმალური გზიდან გადახვევის ასეთი მიდრეკილება.

ქალი იმთავითვე დედაკაცის ყალიბში იქნა ჩამოსხმული. მამაკაცს არ მიუღია რაიმე თავდაპირველი დანიშნულება. აი, რატომ ვერ შესძლო მან სრულყოფილი ქმნილების ასეთ სილამაზემდე ამალლება.



მდინარის მოპირდაპირე მხარეს ჩვენი ნავი სილიან ნაპირს მიადგა. ირგვლივ განფენილია სილის უკიდევანო ზღვა, რომელიც აქა-იქ წყლის ვიწრო ზოლითაა გადასერილი, თუმცა ეს მოლაპლაპე ზოლები ისევ სილა აღმოჩნდა.

არც სოფელი ჩანს და არც კაცის ჭაჭანება. არ ჩანს არც ერთი ხე და ბალახის ღეროც კი, მონოტონურ სივრცეს მხოლოდ მოზიმზიმე ნაპრალები არღვევენ. ეს ნაპრალები ღელეთა ამომშრალ კალაპოტებს წარმოადგენს, რომელთაც შავი თიხნარი ფსკერი აქვთ.

აღმოსავლეთით რომ გაიხედავ, უსაზღვრო სილურჯეა ზემოთ და უნაპირო სითეთრე – ქვემოთ. ცარიელი ზეცა, ცარიელი დედამიწა. ქვემოთ უსიცოცხლო და მკაცრი სიცარიელეა, ზემოთ – გუმბათისმაგვარი და ეთერიული. ძნელად თუ მოიძებნება უღიმღამო უდაბნოს უფრო სრულყოფილი სურათი. მობრუნდები დასავლეთით და წყალია – მაღალი ნაპირის ჩარჩოში ჩას-

მული დაკლაკნილი მდინარის სიმშვიდე. ზედ ნაპირამდე სოფლის ქალებია მომდგარი, მათ შორის გამომზირალი სახლებითურთ. საღამური ნათელის შუქში ყველაფერი ეს თვალწარმტაც ოცნებასა ჰგავს. საღამური ნათელის-მეთქი იმიტომ, რომ ჩვენ საღამოობით გამოვდივართ სასეირნოდ. ასე აღიბეჭდა ეს ხედი ჩემს გულში.



კალიგრამში ჩვენ დავტოვეთ მომაკვდავი ადამიანის სისხლის მიმოქცევისასავით მოღუნებული პატარა მდინარე და მხიარულად მსრბოლავი ნაკადის დინებას დავყევით. ამ დინებამ მიგვიყვანა მხარეში, სადაც დედამიწა და წყალი თითქოს ერთიმეორეში გადადის, სადაც ადრეულ ბავშვობაში და-ძმის მსგავსად, მდინარესა და ნაპირს შორის სამოსელში განსხვავება არ შეიმჩნევა.

მდინარემ დაჰკარგა თავისი მთლიანობა, რაკი დაქსაქსული დინება სხვადასხვა მხარეს მიმართა. ბოლოს იგი ჭაობისდარ დუბელად გადაიქცა, რომელშიც მწვანე ბუსნარის კუნძულები წყლის მოლაპლაპე ზოლს ენაცვლება. ეს სურათი დედამიწის სიყმანვილის მოგონებას აღძრავს, როცა ქვეყანამ პირველად ამოჰყო თავი ზღვათა უსაზღვრო სივრციდან და როცა ხმელისა და წყალის ცალკეული ნაწილები სავსებით ჯერ კიდევ არ იყო განწილული.

ადგილი, რომელსაც მივადექით, მეზადურთა ბადეებითაა მოფენილი. ცაში ირავს ჰკრავს ძერა, რომ დრო იხელთოს და ბადეებიდან თევზი აიტაცოს. ზედ წყლის პირას, ლამზე, ფიქრში გართული კეთილმსახური ყარყატები დგანან. ყველა ჯიშის უამრავი წყლის ქათამი დაფრთხილობს. წყლის ზედაპირს მოდებული აქვს მწვანე ლია. აქა-იქ ნოტიო თიხნარ ნიადაგზე უკაცრიელი, დაუმუშავებელი ბრინჯის ყანები მოჩანს. დუბელა წყალზე ღრუბლებად დაფრინავს ნემსიყლაპიების გუნდი.

გათენებისას კიჩიკატა გავიარეთ, სადაც ბილის წყალი გასავალს პოულობს ასე ექვსი-შვიდი ადლის სიგანის დაკლაკნილ არხში და ჩქაფუნით მიედინება. დინება საშინელი სისწრაფით მიგვაქროლებს და ნიჩბოსნებს ფხიზლად ყოფნა უხდებათ. ნავი

ნაპირებს რომ არ დაეჯახოს, ისინი ჭოკეებით ხმარობენ ნიჩბებს. ამრიგად, ჩვენ ისევ გაშლილ მდინარეში ვავედით.

ცა მძიმე ღრუბლებით დაიფარა, დაუბერა ნოტიო ქარმა და წვიმამაც დაუშვა. ნიჩბოსნები სიცივისაგან კანკალებდნენ. ავდრის ეს ნესტიანი, პირქუში დღეები მეტისმეტად უსიამოვნოა და მე უზადრუკად გავატარე უსიცოცხლო დღეა. ორ საათზე მზემ გამოანათა და ყველაფერი ისევ საამურად გამოცოცხლდა. ჩვენც მშვიდი ჭალაკებითა და მომხიბვლელი განმარტოებული სახლებით მოფენილ მალალ ნაპირებს დავუყუევით...

სალამოს ჩვენი ნავი უდაბურ მოსახვევში ნაპირს მივაყენეთ. გამჭვირვალე ციდან სავსე მთვარე დაქათქათებს არემარეს. მდინარის ზედაპირი მთვარის მოციმციმე ნათელზე ლივლივებს. დუმილი და უკაცრიელობაა გამეფებული ორივე ნაპირზე. ხშირ ხეივნებში მიყუჟულ სოფელს უდრტივინველად სძინავს. მხოლოდ კრუალების დაუცხრომელი ხმა არღვევს ღამის მყუდროებას.



ნავმისადგომთან დგას დიდი ნავი, ხოლო პიდაპირ, ნაპირზე სოფლის დედაკაცებს მოუყრიათ თავი. ერთ-ერთი მათგანი, როგორცა ჩანს, მიემგზავრება, სხვები გასაცვილებლად მოვიდნენ. ბავშვები, ჩადრები და ჭალარა თმა – ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ერთი გოგონა განსაკუთრებით იზიდავს ჩემს ყურადღებას. იგი შესაძლოა ათი-თორმეტი წლისაა, მაგრამ სიმკვირცხლითა და ენერგიით თოთხმეტ-თხუთმეტი წლისას ჰგავს. მას მშვენიერი სახე აქვს, შავგვრემანი, მაგრამ არაჩვეულებრივად ღამაზი. თმა ბიჭვით აქვს შეკრეჭილი – მოკლედ, და ეს საოცრად უხდება მის ნათელ, გულლია და გამომეტყველ სახეს. ხელში ბავშვი უჭირავს და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით მათვალისწინებს დაჟინებული, თამამი და ჭკვიანური თვალებით. მისი ქალაბიჭური მანერები პირდაპირ აღტაცების მომგვრელია – რომანტიკული ნაზავი მამაკაცური მოურიდებლობისა და ქალური მომხიბვლელობისა. მე არც კი წარმომედგინა, თუ ასეთი ტიპის ქალი შემხვდებოდა ბენგალურ სოფელში.

როგორცა ჩანს, ამ ოჯახიდან არც ერთი არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიმორცხვით. ერთ-ერთ მათგანს მზისთვის მიუფიცხებია თმა და თითებით ივარცხნის, ამავე დროს კი ოჯახური საქმეების გამო ხმამაღლა ელაპარაკება ნავში მჯდომარე მეორე ქალს. მე შევიტყვე, რომ ეს გოგონა მისი ერთადერთი ქალიშვილია და რომ, მისი სიტყვით, იგი ტუტრუცანა არსებაა, არ იცის როგორ მოიქცეს და როგორ ილაპარაკოს, ისიც კი არ შეუძლია, რომ თავისიანი და უცხო განასხვავოს. მე შევიტყვე აგრეთვე, რომ სიძე გოპალა არამზადა აღმოჩნდა და მის ქალიშვილს არა სურს ქმართან დაბრუნება.

ნავის წასვლის დრო მოახლოვდა და თმაშეკრეჭილი გოგონა, რომელსაც ოქროს სამაჯურებით მოსალტული ფაფუკი ხელები და ნათელი, უეშმაკო სახე ჰქონდა, გემბანზე აიყვანეს. მე მივხვდი, რომ იგი მამისეული სახლიდან თავისი ქმრის სახლში ბრუნდებოდა. გამცილებლები ნაპირზე დარჩნენ და მიმავალ ნავს მზერით მიაცილებდნენ. ზოგი სარის წვერით იმშრალედა აცრემლებულ თვალებს. პატარა გოგონა კისერზე მოეხვია ჭაღაროსან დიაცს და ჩუმად აქვითინდა მის მხარზე. შეიძლება იგი ეთხოვება თავის საყვარელ „დიდიმანის“, ვისთანაც სახლობანას თამაშობდა და ვისაც გაუგონრობისათვის ალბათ მიუტყეპია კიდევ.

ნავის ნელი სვლა უფრო მეტ პათოსს მატებს სიკვდილის მსგავსს გამოთხოვების ჟამს – გამგზავრებული თვალიდან გვეკარგება, დარჩენილი თავის ყოველდღიურ ცხოვრებას უბრუნდება. თუმცა მწუხარება მხოლოდ ერთ წამს გრძელდება. შესაძლოა, წასულებმა და დარჩენილებმაც უკვე გადაიტანეს ეს წამი, – ტანჯვა წარმავალია, დავინყება – მარადიული. და მაინც ტანჯვაშია ჭეშმარიტება და არა დავინყებაში. და ყოველთვის, გამოთხოვების ჟამსა თუ სიკვდილში, ჩვენ გვესმის თუ რა შემზარავი ჭეშმარიტებაა ეს.

* დიდიმანი — ძვირფასი და უფროს დას მიმართავენ ასე.



ბალის ნავმისადგომი დიდი ლამაზი ხეებითურთ საკმაოდ თვალწარმტაც სურათს წარმოადგენს, ხოლო მთელი არხი პუნასავით პატარა მდინარეს მოგაგონებთ. დაფიქრდი და ვიგულისხმე, რომ არხი უფრო მეტად მომეწონებოდა, ნამდვილი მდინარე რომ ყოფილიყო.

ქოქოსის პალმები, მანგო და სხვა ტოტეგაშლილი ხეები ამშვენებს მის ნაპირებს, რომლებიც დიდებული მწვანე ბალახითა და აქა-იქ მიმოფანტული აყვავებული მიმოხებით დაფარული დამრეცი ფერდობით ეშვება წყლისაკენ. ზოგან თვალში მოგხვდებათ ფიჭვის კორომი. ხეთა შორის დარჩენილ შუალედებში შორეთისაკენ მიქცეული უსასრულო ველები მოჩანს. ნაწვიმარზე ეს ველები ისეთი რბილი და ხავერდოვანი მწვანით იმოსება, რომ თვალს უხარია მათი შეხედვა. უფრო შორს ქოქოსისა და ფინიკის პალმებში ჩამჯდარი, საავდროდ ქვედაზიდული ღრუბლების ნოტიო კალთებქვეშ შეყუყუული პატარა სოფლები მოჩანს. ამ ლანდაშაფტზე თავისი მწვანე ნაპირებით გრაციოზულად მიიკლავნება მყუდრო არხი, რომელსაც იწროებში არშიად ევლება ლაქაში და ლელიანი, მათ შორის მოტივტივე წყლის შროშანებითურთ. და მაინც ძნელია მოიშორო დასანანი აზრი, რომ ეს ბოლოს და ბოლოს ხელოვნური არხია და არა მდინარე.

დროთა დასაბამთან ეხოდ არ გაისმის მისი ნაკადების დრტვინვა.

მან არაფერი იცის შორეული ნაპრალებისა და მიუვალი მთების საიდუმლოებისა. ძველებური მდედრული სახელით შემკულს საუკუნობით არ უდინია და სანაპირო სოფლები თავისი რძით არ გამოუკვებია. ძველი ხელოვნური ტბებიც კი უფრო მეტი ღირსებით არიან აღბეჭდილნი.

მაგრამ შესაძლოა როდისმე, ასეული წლების შემდეგ, ხეებმა მის ნაპირებზე უფრო მეტი დიდებულება შეიმოსონ; მანძილის აღმნიშვნელი ქვის სამანები ქარწვიმისაგან გამოიხრან და ხვიფლით დაიფარონ, ხოლო მის კარიბჭეზე აღნიშნული თარიღი - 1871, საპატიო მანძილით დაგვშორდეს. და თუკი მაშინ, ჩემს

ბადიშად გარდასხეულებული, ისევ გავემგზავრები კუტაკის სანახების მოსახილველად, იქნებ სხვა თვალით შევხედო მას.



„ო, იქ რომ ვცხოვრობდე!“ – ხშირად მომდის აზრად, როცა სურათზე ლამაზ ლანდშაფტს ვუყურებ. და აი, ახლა აქ ისევ ვგრძნობ თავს, თითქოს ფერებით მოელვარე სურათის გაცოცხლებულ ტილოზე მოვხვდი. ბავშვობაში „პოლი და ვირჟინის“ და „რობინზონ კრუზოს“ წიგნში ნახულ ზღვისა თუ ტყის ილუსტრაციებს ყოველდღიურობის სამყაროდან შორს გადავყავდი. აქაური მზე ჩემთვის გულში იმავე გრძნობებს აღძრავს, იმ სურათების დათვალეირებისას რომ განვიცდიდი.

მე არ ძალმიძს ზუსტად გავერკვიო და გავიგო რაშია არსი ჩემში აღძრული ამ მღელვარებისა. მე მეჩვენება, რომ ესაა მთრთოლავი პულსაცია რომელიღაც არტერიისა, რომელიც ფართოდ გაშლილ მსოფლიოსთან მაერთებს. თითქოს ჩემზე იმ დროთა შორეული ბუნდოვანი მოგონებები გადმოიღვარა, როცა მე და მთელი დედამიწა ერთ მთლიანობას წარმოვადგენდით; როცა ჩემს სხეულზე მწვანე ბალახი ამოდიოდა და შემოდგომის ნათელი მეცემოდა; როცა მზის მცხუნვარე ალერსისაგან ჩემი უზარმაზარი, ნაზი და მწვანითმოსილი სხეულის ყველა უჯრედიდან თბილი სუნთქვა იფრქვეოდა და ტკბილი სიხარულით გაჟღენთილი მოზარდი სიცოცხლე არაცნობიერად იბადებოდა ჩემი სხეულის უკიდევანო სივრცეზე და უსაზღვრო ცისქვეშეთში მდუმარედ იფინებოდა ველმინდვრებად, მთებად და ზღვებად.

მე იმასვე ვგრძნობ, რასაც მე მგონი, ჩვენი ძველთუძველესი დედამიწა განიცდის, მზის ცხელი კოცნისაგან ყოველდღე ექსტაზით რომ ცახცახებს. ჩემი ცნობიერება თითქოს ბალახის თითოეული ღეროთი, თითოეული ხარბადმწოველი ფესვით მოედინება და მინაში შესრუტული წვეთთან ერთად ადის ხეებში, სიხარულის ჟრუანტელი თრთის პურის ჯეჯილში და პალმების მომრიალე ფოთლებში.

მე ვგრძნობ მოთხოვნილებას სიტყვით გამოვხატო დედამიწასთან ეს სისხლისმძიერი კავშირი, და ჩემი ნათესაური სინაზე გაუუმყლავნო მას. მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ვერ გამიგოს.



მე ვიავადმყოფე და ჯერ კიდევ სუსტადა ვარ. ამ მდგომარეობაში განსაკუთრებით მძაფრად ვგრძნობ ბუნების კეთილმყოფელ ზემოქმედებას. მცონარე ბუნებასავით მეც ზმორებით ვეფიცხები მზეს და უგულისყუროდ ვწერ წერილებს.

მთელი ქვეყანა მე მარად ახალი მეჩვენება, თითქოს იგი ჩემი ძველი მეგობარი იყოს, რომელიც მე მიყვარდა წინანდელ და ამ ცხოვრებაში და რომელსაც მე დიდიხანია რაც ვიცნობ.

მე ადვილად წარმომიდგება თვალწინ, გარდასულ საუკუნეებში, როცა სავსებით ყმანვილი დედამიწა ის-ის იყო გამოვიდა ზღვის ემბაზიდან და ლაღადით მიესალმა მზეს, – ახლადშექმნილი ნიადაგიდან როგორ ავიყარე ნორჩი ტანი და პირველყოფილი ინსტინქტის სინედლით მოსილი ფოთლებით როგორ ავშრიალდი.

უზარმაზარი ზღვა თავის პირმშოს – ახლდაბადებულ ქვეყანას მოყვარულ დედასავით მარწევდა, ნანას მიმღეროდა და მეაღერსებოდა, ხოლო მე მთელი ჩემი არსებით ვტკბებოდი მზის სხივებით, ლურჯი ცის ქვეშ ჩასახვის არაცნობიერი აღტაცებით ვთრთოდი და ხარბად ვწოვდი ფესვებით დედამიწის ძუძუებს. ბრმა სიხარულით იშმუშნებოდნენ ჩემი ფოთლები და იფურჩქნებოდნენ ჩემი ყვავილები, ხოლო როცა ბნელი ღრუბლები მოქუფრავდა ცას, მათი ნაზი კალთა ცხოველმყოფელი ფშვინვით გადამეფარებოდა ხოლმე თავს.

მერე და მერე, საუკუნიდან საუკუნემდე მე სხვადასხვა გარდასხეულებით ავლორძინდებოდი დედამიწაზე. და როცა ახლა მასთან სრულიად მარტო ვდგავარ პირისპირ, ძველი მოგონებები ერთიმეორის მიყოლებით აღიძვრის ჩემს გულში.

დღეს ჩემი დედამიწა მზის ოქრომკერდით მოქსოვილი სამოსით ზის მდინარის პირას პურის ყანაში, ხოლო მის ფერხით, მის

მუხლებთან, მის კალთასთან მე ვანცობ და ვთამაშობ. იგი – უთვალავი შვილების დიდი დედა, უსაზღვრო მოთმინებით, მაგრამ ამავე დროს თითქოს რალაცნაირი სიშორიდან უსმენს მათ უსასრულო ძახილს. იგი ზის და ფიქრში გართული უჭვრეტს დაბინდული ზეცის კიდეს, მაშინ როცა მე დაუცხრომლად ვტიტინებ და ვქაქანებ.



მე ერთი საათი ვისეირნე მდინარის პირას. საღამური განბანვის შემდეგ თავს მხნედ ვგრძნობდი. მერე ჩავჯექი ნავეში, შუა მდინარეში ჩავუშვი ღუზა და აი, ახლა, ფიცრულ კიჩოზე რომ გავშალე ჭილოფი, გულალმა ვწვეარ შემომდგარ მიმწუხრში. პატარა ს. ჩემს გვერდითა ზის და გაუჩერებლად ტიტინებს, ხოლო ცა სულ უფრო მეტად იხუნძლება ვარსკვლავებით.

მე ყოველდღე მეზადება ასეთი აზრი: ავლორძინდები თუ არა კიდევ ოდესმე ამ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ? ვიგემებ თუ არა კიდევ ოდესმე მყუდრო ბენგალურ მდინარეზე ჯადოსნურ საღამოთა ამ სიმშვენიერეს? ალბათ არა. თუმცა შესაძლოა მდგომარეობა შეიცვალოს და მე რომელიმე სხვა ცნობიერებით ავლორძინდე.

მრავალი ამდაგვარი საღამო დადგება, მაგრამ ისინი არ მონდომებენ ასე სათნოდ, ასეთი ნდობითა და სრული თავდავიწყებით განისვენონ ჩემს გულზე.

სასაცილოა, რა თქმა უნდა, მაგრამ ყველაზე მეტად ევროპაში დაბადებისა მეშინია, იმიტომ, რომ იქ ხალხს არ შეუძლია, აი, ასე, მთელი თავისი არსებით მიეცეს მის თავზე განხმული უსასრულობის ჭვრეტას. გარინდებასა და უქმად წოლას მათ ურჩევნიათ ფხიზლად, გონივრულად გამოიყენონ თავიანთი დრო. მე იქ, ალბათ მომიხდებოდა რომელიმე კანტორაში, ბანკში ან პარლამენტში ფაცაფუცი. მათი ტვინი, მათივე გზებხავით, მძიმე ინდუსტრიის საჭიროებისამებრ არის დაბეტონებული, გეომეტრიულად დახაზული და ზუსტად რეგულირებული.

მე, რა თქმა უნდა, ვერ ავხსნი – ეს ბუნდოვანი, სიზმარეული, თავის თავში დანთქმული და განცხრომით აღსავსე განწყობილება რატომ არის ჩვენთვის უფრო სასურველი და აქ, ნავის კიჩოზე წამოწოლილს, მსოფლიოში ყველაზე დასაქმებულ კაცზე ნაკლებად რატომ არ მიმაჩნია თავი. მეტსაც ვიტყვი: ახლა რომ ვაიძულო თავი უფრო მოძრავი და მოქმედი ვიყო, უზადრუკ არარაობად გამოვჩნდებოდი ამ მასიური მუხის ფიცრების ფონზე.



ამ დილით მზემ გამოაჭყიტა. წვიმამ გუშინვე გადაიღო, მაგრამ დასალიერზე ისეთი ხშირი ღრუბლებია, რომ შესვენება დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს. თითქოს ღრუბლების მძიმე ხალიჩა ერთ მხარეს დაახვიესო. ყოველ წუთს შეიძლება მოვარდეს ქარი და ისევ მთელი სიგანით გაშალოს იგი და მზის ოქროსფერი შუქით გამომჭვირალი ცის თვალი ისევ მოქუფროს.

წყლის რა კოლოსალური მარაგია დაგროვილი წლეულს ცაზე. მდინარე უკვე ჩორებს* მოადგა და დამწიფებულ ჭირნახულს წარღვნიტ ემუქრება. ბედშავი, სასონარკვეთილი გლეხები მკიან და ნავეებით მიეზიდებიან ჯერ კიდევ უმწიფარი ბრინჯის ძნებს. როცა მათი ნავეები გვერდით ჩამივლის, მე მესმის, როგორ დასტირიან ისინი თავიანთ ბედს. და მართლაც, რა გულის ხეთქვაში უნდა იყოს ის, ვინც იძულებულია მწიფობამდის აიღოს თავისი მოსავალი. იმედად ისლა აქვთ, რომ იქნებ ზოგიერთ თავთავში მანც აღმოჩნდეს ცოტად თუ ბევრად გამაგრებული მარცვალი.

უეჭველია, რომ განგების საქმეებში არის ელემენტი სიბრალულისა და გულმონყალებისა, სხვაფრივ საიდან გაგვიჩნდებოდა ეს გრძნობები ჩვენ? მაგრამ მიუწვდომელია განგების ნება! ამ ასობით და ათასობით უმწეო არსების სიბეჩავე, როგორცა ჩანს, უპასუხოდ რჩება. წვიმა კოკისპირულად ასხამს, წყალდიდობა მატულობს და არავითარ ვედრებას არ ძალუძს აარი-

*ჩორები — ნაყოფიერი შლამით დაფარული ქვიშიანი ნაპირი.

დოს მათ ეს უბედურება. თუმცა შეიძლება კაცმა ნუგეში იმასი ჰპოვო, რომ ყველაფერი ეს ალმატიება ადამიანთა გაგების უნარს. და მაინც კაცისთვის რა სასიცოცხლოდ საჭიროა იცოდეს, რომ ქვეყანაზე არსებობს ისეთი რამე, როგორცაა გულშემატიკიერობა და სამართლიანობა.

მაინცდამაინც არა ხამს სასო წარვიკვეთოთ. გონება

გვეუბნება, რომ ქმნილება არ შეიძლება ბოლომდე ბედნიერი იყოს. რაკი იგი თვითონ არაა სრულყოფილი, მას საქმე აქვს ტანჯვასთან და არასრულყოფილებასთან. იგი მხოლოდ მაშინ იქნება სრულყოფილი, როცა მოიძარცვავს ქმნილებისათვის ნიშანდობლივს და ღმერთად გადაიქცევა. გაბედავენ კი ოდესმე მლოცველები ამალდნენ ამ აზრამდე. რაც უფრო მეტს ფიქრობ ამაზე, მით უფრო ხშირად უბრუნდები ამოსავალ წერტილს: რატომ არსებობს, საერთოდ, ქმნილება? რამდენადაც ჩვენ ძალა არ შეგვწევს შინაგანად უარყოთ საკუთარი არსებობის ფაქტი, უსარგებლოა ვემდუროდეთ მის მარადიულ მხლებელს – ტანჯვას.



მე ნავის სარკმელთან ვიჯექი და მდინარეს გადავყურებდი, რომ უცებ რომელიღაც უცნაური ფრინველი დავინახე. ფრინველი წყალზე მისრიალებდა მოპირდაპირე ნაპირისაკენ. ნავზე ერთი დავიდარაბა ატყდა. გამოირკვა, რომ შინაურმა ქათამმა „გალერებზე“ გარდაუვალი დაღუპვისაგან თავის დახსნა მოინდომა და გემბანიდან გადაფრინდა. იგი თავგანწირულად ცდილობდა გადაელახა მდინარე. ის-ის იყო მიაღწია ნაპირს, რომ მდეურის ულმობელი ხელი შემოეჭდო კისერზე. ქათამი დიდის ამბით დააბრუნეს უკანვე. მე ვუთხარი მზარეულს, სადილისათვის არ მოეტანათ ხორცეული.

მე ნამდვილად მინდა ხორცის ჭამას დავანებო თავი. ჩვენ ხორცს იმიტომ ვჭამთ, რომ არა ვფიქრობთ, რა სასტიკ ცოდვას ჩავდივართ. არსებობს ბევრი ცოდვა თვითონ ადამიანისაგან გამოგონილი და შექმნილი. მათი არსი დადგენილი ჩვევების, ადა-

თებისა და ტრადიციებისაგან გადახვევაში მდგომარეობს. მაგრამ სისასტიკე სხვა რამეა. სისასტიკე ძირითადი ცოდვაა და იგი არ საჭიროებს არც დამტკიცებასა და არც დიდ განმარტებას.

თუ არ დაფუძვებით, რომ გული საბოლოოდ გაგვიქვავდეს, სისასტიკის დასათრგუნად მისი პროტესტის ხმა ცხადად მოგვესმება. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველანი ისე მხიარულად და ადვილად ჩავდივართ სისასტიკეს, რომ ავადმყოფურ მიდრეკილებად მიგვაჩნია, როცა ვინმეს არ სურს შემოგვიერთდეს ამ საქმეში.

რა ხელოვნურია ცოდვის ჩვენეული გაგება! მე ვიცი, რომ უზენაესი იმპერატივი – ყველა მგრძნობელი არსებისადმი სიმპათიის აღთქმაა. სიყვარული ყველა რელიგიის საფუძველია. გუშინ თუ გუშინნინ ერთ ინგლისურ გაზეთში წავიკითხე, რომ რომელიცა საარმიო ინტენდანტში, აფრიკაში, გააგზავნეს 50000 გირვანქა დაკლული საქონელი, მაგრამ გზაში ხორცი გაფუჭებოდათ და პორტსმუტში აუქციონიდან შემთხვევით რამდენიმე გირვანქა სტერლინგად გაეყიდათ. სიცოცხლის რა აღმაშფოთებელი გაპარტახებაა! რა გულსასტიკობა დასჭირდა ამას! რამდენი ცოცხალი არსებაა მსხვერპლად მიტანილი სადილის განსაკუთრებული კერძისათვის, რომელთა დიდი ნაწილის მიმართ სავსებით გულგრილია მომხმარებელი.

როცა შეგნებული არა გვაქვს ჩვენი სისასტიკე, შეიძლება კიდევ გვეპატიოს. მაგრამ იმის შემდეგ, როცა სიბრაღულის გრძნობა აღგვეძრება, და გულში ჩავიხშობთ მას მხოლოდ იმის გამო, რომ არ მოვინდომებთ სიცოცხლის მტაცებლურ განადგურებაში სხვებს ჩამოვრჩეთ, – ჩვენ შევურაცხყოფთ ყველაფერს ჩვენში საუკეთესოს.

მე გადავწყვიტე ვეგეტარიულ დიეტაზე გადავიდე.



აქ უკვე მაგრად დაცხა, მაგრამ მე კარგად ვიტან სიცხეს. მხურვალე ქარი ერთბაშად დაბერავს, ნუთით ერთ ადგილას დაბზრიალდება და მერე მტვრის, ხმელი ფოთლებისა და ტოტების მოფრიალე მოსასხამით გზას გაუდგება ისევ.

მაგრამ დილით მაინც შემოდგომისნაირად გრილოდა. ყოველ შემთხვევაში, ბანაობისას თავს ნეტარების სიმაღლეზე არ ვგრძნობდი. რა ძნელია გაიგო სინამდვილეში, რა ხდება ბუნებად წოდებულ ამ დიდ მექანიზმში. რომელიღაც უმნიშვნელო ხრახნი ამგარადვე უმნიშვნელო ნაწილისა შეტრიალდება და მთელი სურათი იმნამსვე იცვლება.

ადამიანის ცნობიერება ისეთივე საიდუმლო მექანიზმია, როგორც თვალთ ხილული ბუნება – მე გუშინ ვფიქრობდი ამაზე. რალაცნაირი მიუწვდომელი ალქიმიური პროცესები მიმდინარეობს არტერიებში, ნერვებსა და ტვინის ქსოვილში. სისხლი თავისი გზით მიედინება, ნერვების სიმები ვიბრირებს, გულის კუნთი იშლება და იკუმშება, და ამის მიხედვით იცვლება ამინდი ადამიანის ორგანიზმში. როგორი ქარი დაბერავს ახლა, როდის დაბერავს და რომელი მხრიდან – ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით.

დღეს მე მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ ყველაფერი დიდებულად მიდის. მე თავს საკმაოდ ძლიერად ვგრძნობ იმისათვის, რომ გადავლახო ყველა დაბრკოლება და განსაცდელი, რომელიც კი გზად შემეყრება. და ისე ვარ დამშვიდებული, თითქოს ჯიბეში მთელი ჩემი მომავალი ცხოვრების დაბეჭდილი პროგრამა მედოს. მაგრამ ხვალ, უეცრად რომელიღაც უცნაური ხვრელიდან გამომძვრალი საძაგელი ქარი დაბერავს, ცა საავდროდ გაემზადება და მე უკვე მეეჭვება გაეუძლებ თუ არა კარზე მომდგარ ქარიშხალს. მხოლოდ იმის გამო, რომ სადღაც სისხლძარღვსა თუ ნერვიულ ბოჭკოში რალაც ისე არ მოხდა, როგორც საჭიროა, მე ვკარგავ მთელ ჩემს შემართებასა და კეთილგონიერებას.

ეს საიდუმლო მაშინებს. იგი მაიძულებს თავი შევიკავო იმის განსაზღვრისაგან, თუ რას ან როგორ მოვიმოქმედებ. რადა მაქვს აკიდებული ეს უზარმაზარი საიდუმლო, რომლის წვდომა და დაურევება არც კი შემიძლია? არადა, ისიც კი არ ვიცი, მე ვმართავ მას თუ თვითონა ვარ მისგან მართული. მე არ შემიძლია დავინახო რა ხდება, მონაწილეობას არ ვლებულობ იმის განსჯაში, თუ რა მოხდება, ამავე დროს კი პატრონის როლს ვასრულებ და თავს უკვე მომხდარის ერთ-ერთ და მთავარ გამგებლად ვასაღებ.

მე თითქოს ცოცხალი ინსტრუმენტი ვარ – ჩემს შიგნით უამრავი სიმითა და რთული მექანიზმით აწყობილი. ამავე დროს სულაც არ შემძლია ვთქვა ვინ არის მუსიკოსი და მხოლოდ გუმანით ვხვდები, რატომ უკრავს იგი. მე მარტო ის ვიცი, რა იკვრება ამ ინსტრუმენტზე – მხიარული მელოდია თუ მწუხარე, მკვეთრ ხმას გამოსცემს იგი თუ ხავერდოვანს, რიტმულია თუ არა კილო ან მალალი თუ დაბალია გასაღები. მაგრამ ესეც კი ისე მესმის, როგორც საჭიროა?



გუშინ, ნასადილევს ცა ისეთი მრისხანე ღრუბლებით მოიგრაგნა, რომ თავზარი დამეცა. ასეთი საშინელი სურათი არც კი მაგონდება, რომ მენახოს. სქელი, ინდიგოსფრად აფუებული შვავები ერთმანეთს დაეზვიენენ ზედ ჰორიზონტზე და რომელიღაც გაავეებული დემონის აჯაგრულ ქეჩოს დაემსგავსენ.

ღრუბლების დაკბილული ქვეშეთიდან – თითქოსდა ცას აფარებული, დედამინისთვის მძვინვარე დარტყმის მისაყენებლად გამზადებული ბენვგაშლილი და ქედდადრეკილი ბიზონის თვალებიდანო – სისხლისფერი ელვარება იფრქვევოდა.

ყანა და ხის ფოთლები თავსწამომდგარი განსაცდელის შიშმა აათრთოლა. წყალთა გლუვი ზედაპირი ურჯოლამ აიტანა. ყვავები შეშფოთებული ყრანტალით აწრიალდნენ ჰაერში.

მე აქ ოთხი დღეა, რაც ვიმყოფები, მაგრამ რაკი დროის ანგარიში დავკარგე, მეჩვენება, რომ უკვე დიდი ხანი გავიდა, იმდენად დიდი, რომ დღეს კალკუტაში დაბრუნებულს ალბათ მეტისმეტად შეცვლილი მომეჩვენებოდა ქალაქი. თითქოს მდუმარე მარტოობაში დიდხანს ვიდექი დროის ნაკადთან ვერ შემცნობელი იმისა, რომ ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა თანდათან.

და მართლაც, აქ, კალკუტას მოშორებული, მე განკერძოებულ შინაგან სამყაროში ვცხოვრობ, სადაც დრო ჩაჭედილი არ არის საათის კოლოფში, სადაც მისი ხანგრძლივობა მხოლოდ განცდების დაძაბულობით იზომება; სადაც წუთი ანშარიში ჩასაგდები არ არის და ამის გამო მომენტი საათებად იქცევა ხოლ-

მე, ხოლო საათი მომენტებად. მე მეჩვენება, რომ დროისა და სივრცის ყველა დანაყოფი მხოლოდ ილუზორული ცნებაა. ყოველი ატომი უსაზომოა და ყოველი წამი უსასრულო.

არის ერთი სპარსული ზღაპარი, რომელმაც ძალუმად დაიპყრო ჩემი გონება, როცა ბავშვობაში წავიკითხე იგი, – მე ვფიქრობ, რომ უკვე მაშინ ნაწილობრივ გავარკვიე მასში ჩადებული იდეის აზრი, თუმცა პატარა ვიყავი. დროის ილუზორულობა რომ დაემტკიცებინა ფაკირმა მაგიური წყლით აავსო ჭურჭელი და ხელმწიფეს შესთავაზა თავი ჩაეყო შიგ. ხელმწიფემ თავის ჩაყოფა ვერ მოასწრო, რომ უცხო ზღვისპირა სამეფო დაინახა, სადაც მას თითქოს დიდხანს ეცხოვროს და ბედის ბევრი უკუღმართობა გადაეტანოს. იგი დაცოლშვილებულა, მეუღლე და შვილები მოჰკვდომია, დაუკარგავს მთელი თავისი ქონება და იმ დროს, როცა მწუხარებით დათრგუნვილი მწარედ იტანჯებოდა, უცებ თავისი კარისკაცების გარემოცვაში, ისევ იმავე ოთახში აღმოჩნდა. ხელმწიფემ ვაზირებისაგან მოითხოვა გაეკიცხათ ფაკირი იმ ტანჯვისათვის, თავს რომ გადახდა. მაგრამ მათ უპასუხეს: „ყოვლადძლიერო, შენ ხომ მხოლოდ ერთი წამით ჩაჰყავი თავი წყალში“.

მთლიანობაში მთელი ჩვენი ცხოვრება ყველა სიხარულითა და მწუხარებით, ზუსტად ასევე, დროის მხოლოდ ერთ წამშია მოქცეული. რა გრძლად და დაძაბულადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი დინებისას, ამსოფლიური ცხოვრების ჭურჭლიდან თავს როცა ამოვყოფთ, გვგონია, თითქოს ყველაფერი მხოლოდ მსუბუქი და წარმავალი სიზმარი იყო.



...ვერ ვიტყვი, რომ ლანდშაფტი აქ ყოველთვის განსაკუთრებით საინტერესოა-მეთქი, – ყვითლად ბზინავს სილიანი ნაპირი, რომელსაც არაფერი არ აცოცხლებს, არც ხე და არც ბალახი. სანავეზე მიბმულია ცარიელი ნავი. წყალი მოლურჯოა, იმავე ელფერისა, როგორისაც ბნელი ცა. და მაინც მე არ შემიძლია გამოვხატო, როგორ მალეღვებს ყოველივე ეს. მე მგონია, რომ ძველი ოცნებები და მისწრაფებები წიგნის კითხვით გატაცებუ-

ლი ჩემი ბავშვობისა, როცა მე მყუდროდ განმარტოვებულ ოთახში არაბული ღამეებით ვტკბებოდი და სინდბად ზღვაოსანთან ერთად განვიცდიდი მის თავგადასავალს უცხო ქვეყნებში, ჯერ კიდევ არ მომკვდარან ჩემში და სილიან ნაპირზე მიბმული ცარიელი ნავის დანახვისას ისევ ცოცხლდებიან.

მე დარწმუნებული ვარ, ბავშვობაში ჯადოსნური ზღაპრები რომ არ მომესმინა და არაბული ღამეები და რობინზონ კრუზო არ წამეკითხა, შორეული ნაპირებისა და თვალუნვდენელი ველების ხილვა ასე ძლიერ არ ამალეღვებდა. მთელი ქვეყანა მაშინ სულ სხვა გრძნობებს აღმიძრავდა.

ოცნებისა და სინამდვილის რა რთული კვანძი იხლართება ადამიანის სულში! მოთხრობის, ამბის, სურათის სხვადასხვა მხარე – უმნიშვნელო თუ დიდად მნიშვნელოვანი – ყველაფერი როგორ კავშირდება ერთ მთლიანობად!



მდინარის პირას გდია დიდი, მსხვილი ანძა. რამდენიმე სოფლის ბიჭმა, რომელთაც არასოდეს ცმიათ სამოსის მსგავსი ნაფლეთიც კი, დიდი ხნის ბჭობის შემდეგ გადაწყვიტა, რომ თუკი შესძლებდნენ მის გადაგორებას მხიარული შეძახილის აუცილებელი რაოდენობის თანხლებით, ახალი და საკმაოდ საინტერესო გართობა გამოვიდოდა. თქმა და ქმნა ერთი იყო: ცოცხლად! აბა, ჰე! მიდი! და ანძის ყოველ გადაგორებაზე ხარხარის გამაყრუებელი აფეთქება გაისმოდა.

ამ კამპანიიდან ერთადერთი გოგოს საქციელი იყო სულ სხვანაირი. იგი ბიჭებთან იმიტომ თამაშობდა, რომ თავისი მეგობრები აქ არ ჰყავდა, მაგრამ ამავე დროს აშკარა უგულვებელყოფას ამჟღავნებდა ასეთი უხეში ღრიანციელისადმი. უეცრად იგი ანძაზე შეხტა და სიტყვის უთქმელად, მშვიდად მოიკალათა ზედ.

ასეთი მშვენიერი თამაში და ასე უეცრად უნდა შეწყდეს? როგორცა ჩანს მოთამაშეთაგან ზოგიერთმა გადაწყვიტა, დანებებულიყო და ბოროტებისათვის დაეთმო. ისინი განზე გადგნენ და პირქუშად უყურებდნენ ანძაზე მშვიდი მედიდურობით მოკალა-

თებულ გოგონას. ერთმა ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს მისი გადაგდება უნდოდაო, მაგრამ ამან იოტის ოდნავაც ვერ შეუცვალა მას მშვიდი და თამამი იერი. ბიჭებს შორის ყველაზე უფროსი მივიდა მასთან და უჩვენა ის ადგილები, სადაც ასევე კარგად შეეძლო მას დაესვენა. გოგონამ ენერგიულად გააქნია თავი, ხელები მუხლებშუა ჩაიყო და უფრო მოხერხებულად მოეწყო თავის ქანდარაზე. ბოლოს მათ მიმართეს ზემოქმედების ფიზიკურ მეთოდს, რაც სრული წარმატებით დაგვირგვინდა.

ისევ გაისმა მხიარული ყიჟინა. ანდა ისევ მარჯვედ ააგორეს, რომ გოგონამაც კი უკუაგდო კეთილშობილი სიმარტოვე და ამპარტავენობა და ერთი წუთით საერთო სიხარულს შეუერთდა. მაგრამ მის სახეს არ შორდებოდა იმაში სრული დარწმუნების გამომეტყველება, რომ ბიჭებმა არ იციან ისე თამაში, როგორც საჭიროა და რომ ყველანი ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან. მისი თიხის ყვითელი თოჯინა რომ წესრიგში ყოფილიყო, განა იკადრებდა იგი უჭკუო ბიჭებთან სულელურ თამაშს?

უცებ ბიჭებს თავში მოუვიდათ ახალი, დიდებული აზრი. ორმა მათგანმა მესამეს ხელი სტაცა ხელებსა და ფეხებში და აქეთ-იქით გააქან-გამოაქანა. ეს, როგორცა ჩანს, დიდად გამახარებელი ოინი იყო, რაკი მათ აღტაცებას საზღვარი არ უჩანდა. მაგრამ გოგონასათვის ეს უკვე ნამეტანი იყო. მან აღშფოთებით და ათვალისწინებით დატოვა თამაშის ველი და შინ გაიქცა.

მაგრამ აქ ერთი კაზუსი მოხდა. პატარა ბიჭი, რომელსაც აქანებდნენ, ხელიდან გაუვარდათ. განანყენებულმა ბიჭმა მიატოვა ამხანაგები და თავქვეშ ხელებამოდებული წამოწვა ბალახზე, თითქოს იმის საჩვენებლად, რომ მას უკვე აღარასოდეს არაფერი ექნება საერთო ამ ბოროტ და სასტიკ წუთისოფელთან, და რომ მარადუამს ასე მარტოდმარტო იწვება, რათა ვარსკვლავებს უჭვრიტოს და თვალი გააყოლოს ღრუბლების რონინს.

უფროსმა ბიჭმა ვერ აიტანა ქვეყნისაგან ესოდენ უდროო განდგომის მძიმე სურათი, მიიბრინა უნუგემოდ დარჩენილთან, მისი თავი მუხლებზე დაიდო და სინანულით სავსე, ალერსიანი ხმით დაუნყო ხვენწა: წამოდი ძამიკო, კარგი, ადექი! ძალიან გეტკინა

ძამიკო? და რამდენსამე ხანს ლეკვებივით ბლლარძუნობდნენ...
ორი ნუთიც არ გასულა, რომ პატარას ისევ აქანებდნენ.



მე ჩემი ცხოვრების ოცდამეშვიდე წელში გადავდექი. ეს ამბავი დგას ჩემს წინაშე და ჩრდილავს ყველა სხვა ამბავს ახლო წარსულისას.

ხუმრობა ხომ არ არის ოცდაშვიდი წლის ასაკს მიაღწიო! გაიარო ოცდაათისაკენ მიმავალ გზაზე ოციანი წლების მერიდიანი. ოცდაათი! – ეს ხომ მოწიფულობაა. ეს არის ასაკი, რომლისგანაც უკვე ნაყოფებს მოელიან და არა მარტო ნორჩ ყლორტებს. ვაგლახ! სად არის შეპირებული ნაყოფები? როცა მე თავს გავიქნევ, იგი ჯერ კიდევ პირამდის სავსეა ნეტარი ფუქსავატობით და ფილოსოფიის ნატამალიც არა ჩანს.

მე ვხედავ, გარშემო როგორ იწყება დრტვინვა: სად არის ის, რასაც შენგან ველოდით და რის გამოც ასე გვაფრთოვანებდა ნორჩი ყლორტების ნაზი სიმწვანე? ნუთუ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევურიგდეთ ამ უმწიფრობას? დროა, უკვე დროა, გამოვარკვიოთ რისი იმედი შეიძლება გვექონდეს. ჩვენ ზუსტად გვინდა შევაფასოთ ზეთის ის პროპორცია, რომლის გამონურვასაც შესძლებს შენგან უგულო, ავტომატური, დიდად გაბრძნობილი კრიტიკოსი.

მეტად უკვე აღარ შეიძლება ამ ადამიანთა მოთმინებით აღსავსე მოლოდინის გაცრუება. როცა ჯერ კიდევ ყმაწვილი ვიყავი, ისინი მთელ თავის იმედებს ჩემზე ამყარებდნენ. არ ივარგებს ახლა გავამტყუნო მათი იმედი, როცა უკვე ოცდაათის ზღურბლთან ვდგავარ. მაგრამ რა უნდა ვქნა მე, თუკი სიბრძნის სიტყვები ხელთ არ მომყვება? მე აბსოლუტურად არა მაქვს უნარი ისეთი რამე გავაკეთო, რაც სარგებლობას მოუტანს ბრბოს. მე ვერასგზით ვერ გავცილდი მხიარული სიმღერის უბრალო ნაწყვეტსა და მსუბუქ ლაყბობას და შეჭველია, რომ ისინი, ვინც დიდ რამეს მოელოდა ჩემგან, ახლა რისხვით შემომიბრუნდებიან. მაგრამ განა ოდესმე, ვინმეს უთხოვია მათთვის იმედებით ცთუნებულიყვნენ?



თუ ჩვენ მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას მივანიჭებთ ინგლისელთა შექებას, მოგვიხდება დავთმობთ დიდი ნაწილი იმისა, რაც კარგია ჩვენში და მათგან ბევრი ცუდი რამ შევითვისოთ.

ჩვენ მოგვერიდება უწინდებოდ სიარულისა, ხოლო მათი საბალო მორთულობის დანახვისას სირცხვილის გრძნობას გადავეჩვევით. ჩვენ სინდისის უქენჯნელად თავს დავანებებთ ძველ ჩვეულებებსა და თავაზიანობის უკმარობაში გავეჯიბრებით მათ. მეტად აღარ დავიხურავთ ჩვენს აჩვანებს, იმიტომ რომ მათი რამდენადმე გაუმჯობესება კიდევ შესაძლებელია და არც კი დავფიქრდებით, ისე დავუთმობთ ჩვენს თავებს მათებურ ქუდებს, თუმცა ძნელია კაცმა უფრო საზიზღარი თავსაბურავი წარმოიდგინოს.

მოკლედ, ნებისთ თუ უნებლიეთ, ჩვენ მოგვიხდება შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება იმის მიხედვით, გვიკრავენ თუ არა ისინი ტაშს.

და აი, მე მივმართავ საკუთარ თავს შემდეგი საზეიმო სიტყვით: ო, თიხის ქოთანო! ღვთის მადლმა, მოერიდე თუჯის ქოთანს! გულისწყრომით მოგადგება ის თუ მხოლოდ იმისათვის, რომ მფარველის კეთილმონყალებით მოგითათუნოს ხელი ბეჭებზე, შენ სულ ერთია დაიმსხვრევი და დაილუპები. მაშ, გვედრები, გახსოვდეს ეზოპეს ბრძნული რჩევა და შორს დაიჭირე მისგან თავი!

თუჯის ქოთანმა დე, მდიდართა სახლები დაამშვენოს. შენ საქმე თავზე საყრელი გექნება ღარიბების სახლშიც. უკეთუ თავს დაამსხვრევი ვინმეს, საჭირო აღარ იქნები არც აქ და აღარც იქ, უბრალოდ ნაცრად გადაიქცევი ან უკეთეს შემთხვევაში, კუროზის სახით მოხვდები მუზეუმის თაროზე. მაგრამ დამიჯერე, ბევრად უფრო საპატიოა, უკანასკნელ სოფლის დედაკაცს გამოადგე წყლის მოსატანად.



...ბრინჯის ყანებში ტალღების შხუილი მოისმის. მანგოსა და ქოქოსის კენწეროები მალლა აშვერილან, ხოლო მათ მიღმა ჰორიზონტზე ფაფუკი ღრუბლები მიცურავენ. მსუბუქი ნიავი პალ-

მების ფორს ოდნავ აფრიალებს. შლამიან ნაპირზე აყვავებული ლელიანი ჩანს. გულის გასახარი სურათია!

ეს-ეს არის შინ მობრუნებული კაცის გრძნობა, მისი მახლობლების მოუთმენელი მოლოდინი, დილის საამური ნიავი თითქოს შეითქვენენ, ფანჯრიდან მაქცერალი მარტოსული ჭაბუკი გამოუთქმელი აღტაცებითა და სევდით დაეთრგუნათ.

ფანჯარაში გაელვებული ხედი ახალ სურვილებს აღძრავს, ან, უფრო სწორად, ძველ სურვილებს ახალი ძალით აცოცხლებს. სამიოდე დღის წინ, როცა ნავის ფანჯარასთან ვიჯექი, ახლოს სათევზაო „დინგიმ“ ჩაგვიარა. მენავე მღეროდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს სიმღერა მაინცა და მაინც მელოდირი იყო-მეთქი. მაგრამ მან მომაგონა ჩემი ბავშვობისდროინდელი ერთი ღამე. ჩვენ პადმაზე მივდიოდით ნავით. ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ გამომეღვიძა. გავნიე დარაბა და ფანჯარაში თავგაყოფილმა დავინახე მთვარიანში მოქათქათე წყლის გლუვი, უნაოჭო ზედაპირი. პატარა ნავში იჯდა ბიჭი და მღეროდა. ო, რა სიმღერა იყო ეს! ასეთი ჯადოსნური მელოდია მე არასოდეს გამეგონა.

მე შემიპყრო გიჟურმა სურვილმა დავბრუნებულიყავი უკან, ამ სიმღერის დღეებთან, რომ ნება მქონოდა ხელახლა გამეველო ცხოვრება და ფუჭად არ გამეტარებინა დაკარგული დღეები. ყალყზე შემდგარი მოქცევის ზურგზე ამხედრებული, მე პოეტის ხმამალალი სიმღერით გადავუქროლებდი მთელ მსოფლიოს. მე ვუმღერებდი ხალხს ამ სიმღერას და დავიპყრობდი მათ არსებებს. გულს გადავუშლიდი და შევეცდებოდი გამეგო მათი გულისტკივილი. სიცოცხლისა და სიჭაბუკის შმაგი ქარაშოტით გადავუვლიდი მე მთელ ქვეყანას, ხოლო მერე დავუბრუნებოდი გასრულებულ და ნაყოფიერ სიბერეს, რომ შინ გამეტარებინა იგი ისე, როგორც პოეტს შეჰფერის.

თითქოს არც თუ ისე მალალ იდეალთაგანია? ქვეყნად მადლის ქმნა, უეჭველად, უფრო ღირსეული საქმეა. მაგარმ მე შორსა ვარ მიუნვდომელ სიმალლემდე აღზევების პატივმოყვარე ოცნებისაგან. მე ვერაფრით ვერ ვურიგდები იმ აზრს, რომ სიცოცხლის ძვირფასი წყალობა მსხვერპლად შევწიროთ თავდადების

შიმშილს და ნუთისოფელი მარხვით, განსჯითა და მტკიცების დაუცხრომელი ნიაღვრით წავიმწარო. მე ვფიქრობ, საკმარისია იცხოვრო და მოკვდე ისე, როგორც კაცურ კაცს შეშვენის – მსოფლიოს მიმართ რწმენითა და სიყვარულით აღსავსე, რომ არ ხედავდე მასში არც შემოქმედის ილუზიასა და არც სატანის ბადეს. და მე ოდნავადაც არა მაქვს იმის პრეტენზია, რომ ანგელოსთა დასში შემრაცხონ.



პოეზია ჩემი ძველი სიყვარულია. მასთან ჯერ კიდევ რატის* ასაკში ვიყავი დანიშნული. საბავშვო ლექსები და გადია ქალეზის ზღაპრები, განმარტოების საათები წყალსაცავის უკან მდგარი ბანიანგის ხის ქვეშ, შიდა ბალები, ჩვენი სარდაფის მიუკვლეველი კუნჭულები – ყველაფერი ეს ჩემს სულში ქმნიდა ჯადოსნური ოცნებებით სავსე საოცარ ქვეყანას. ძნელია გადმოგცეთ იმ პერიოდის ყველა იდუმალი და უცნაური ამბავი, ერთი რამის თქმა შემიძლია უცილობლად: პოეტურ ფანტაზიასა და ჩემს შორის ყვავილწნულების გაცვლა შესაფერისი ზეიმით იქნა გადახდილი.

და მაინც უნდა ვაღიარო, რომ ჩემი დანიშნული არ წარმოადგენს მაინცა და მაინც ხელსაყრელ სწორფერს. თუ მას რამე მოჰყვება მზითვად, ეს არ იქნება დიდი ქონება. ვერ ვიტყვი, ჩემთვის ბედნიერი წუთები არ მოუნიჭებია-მეთქი, მაგრამ სულიერ სიმშვიდეზე ლაპარაკი მასთან ცხოვრებისას ზედმეტია. დროდადრო თავის გამორჩეულს ნეტარების სისავსეს თუ მაინც ანიჭებს, სამაგიეროდ უწყალო ჩახუტებით ბევრ სისხლსაც ნოვს გულიდან. ყოველ შემთხვევაში, იმ კაცისათვის, ვინც მას ჩაუვარდება ხელში, გამორიცხულია პერსპექტივა მტკიცე სოციალური მდგომარეობის მქონე, დინჯი და წინდახედული მეურნე გამოვიდეს.

*რავი — თაგორის ხუთი წლის ვაჟი.

ჩემს ცხოვრებაში მე ნებსით თუ უნებლიეთ, რა თქმა უნდა, ბევრი ცუდი საქციელი ჩამიდენია, მაგრამ ჩემს პოეტურ შემოქმედებაში არასოდეს მითქვამს უმართლო სიტყვა, – იგი წმინდათა წმინდაა, სადაც ივანებენ უღრმესი ჭეშმარიტებანი ჩემი სულისა.



მე ვგრძნობ, როგორა ვარ დახარბებული სივრცეს, და აქ, ამ ფანჯარა და კარებდაფრიალებულ ოთახებში, სადაც თვითმყრობელ ხელმწიფესავით ვუფლობ, თვალდამშეული გავყურებ მიდამოს. ყველაზე უფრო აქ მეზადება წერის განწყობილება და სურვილი. გარეშე ცხოვრების თრთოლვა გულში მწვანე ჩქერების შხუილით მეღვრება და მათი ხმა, ფერი და სურნელი ჩემს წარმოსახვაში წერილებად და მოთხრობებად იწურება.

შუადღის ამ საათებს რალაცნაირი თავისებური მომხიბვლელობა ახლავს, მზის მოკაშკაშე, დამაბრმავებელი ნათელი, მყუდროება და უკაცრიელი მიდამო, ფრინველთა ხმა, განსაკუთრებით კი მამლის ყვილი, და მშვიდი, სასიხარულო განცდა სრული თავისუფლებისა თითქოს შეითქვენ ჩემს გასატაცებლად სულ სხვა ქვეყანაში.

სწორედ ასეთი შუადღეები უნდა ყოფილიყო არაბული ზღაპრების შექმნის ეპოქაში, დამასკოსა, ბუხარასა და სამარყანდში, – მათი უდაბური გზებით, აქლემების ქარავნებით, მხედრებითა და ფინიკის ქალების ჩეროში მჩქეფარე კამკამა წყაროებით, მათივე შირაზული ღვინით, ვარდის ბუჩქებითა და ბულბულის გალობით, მათი ბაზრებით, სადაც მინისაკენ ჩაშვებული ბალდახინებით მოჩრდილულ ვინრო შუკებში ჭრელი დოლბანდებითა და ფართო ხალათებით შემოსილი ხალხი ნესვებს, ფინიკსა და კაკალს ჰყიდდა. მათი სასახლეების სურნელოვანი საკმევლით, აბრეშუმის საუცხოო სავარძლებით და ბალიშებით, ჯუბაჩით, ფართო სანმერთულებითა და ოქრომკედით ნაქარგი ქოშებით ძვირფასად მორთული მათი ზობეიდებით, ამანებითა და სუფიებითურთ, რომელთა ფერხითი ზეაგრეხილი ნარგილები იდგა; მათ დასაცავად მდგარი ბუზმენტებით მოკაზმული

მრისხანე საჭურისებით, ადამიანურ საქმეთა და სანატრიონთა, შვებისა და მწუხარების გამო შეთხზული ყველა მათი ცხადითა და მოგონილით, – ამ შორეულ, იდუმალ ქვეყანაში.



უკვე რამდენიმე დღეა, რაც აქ პაექრობენ ზამთარი და გაზაფხული. დილით, შესაძლოა, დედამინა და მდინარე ისევ შეაყრყოლოს ჩრდილოეთის ქარმა, ხოლო საღამოს მოცახცახე სამხრეთის ნიავმა დაქროლოს მთვარიანში.

გაზაფხულის მოახლოება ეჭვს არ იწვევს. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ისევ მწვდება პაპაიის ძახილი გაღმა ჭალებიდან. კაცთა გულიც შეცბუნებულია. შეღამებისას ჯერ კიდევ მოისმის სიმღერების ხმა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კარი და ფანჯარა ღამის დადგომისთანავე, საჩქაროდ აღარ იკეტება, რათა ქოხში ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულნი მყუდროდ ჩათბუნდნენ.

დღეს სავსე მთვარემ გამოანათა და მისი ფართო, მრგვალი სახე გაღებულ ფანჯარაში იჭვრიტება, თითქოს იმის ნახვა სურდეს, დავნერ თუ არა მის შესახებ შეუფერებელ რამეს. შეიძლება იგი ეჭვობს, რომ ჩვენ – მოკვდავებს მის შუქზე უფრო მისი ლაქები გვაინტერესებს. რომელიღაც ჩიტი გულსაკლავად კვნესის ქვიშიან ნაპირზე. გარინდებული ჭალაკი უძრავ ჩრდილსა ფენს მინაზე. ბურუსიან ცაში მთვარე მთვლემარე თვალსა ჰგავს. აწი საღამოები სულ უფრო და უფრო ბნელი გახდება და შესაძლოა, ხვალ, როცა მე კანტორიდან დავბრუნდები, მთვარე – ჩემი საყვარელი მეგობარი დევნულებში, უფრო შორს გაინევს ჩემგან, თითქოს იმაში დაეჭვებული, უჭკუოდ ხომ არ მოიქცა, გუშინ გული რომ გადამიშალა, და ნელ-ნელა მომარიდებს სახეს.

მიყრუებულ ადგილას როცა ცხოვრობ, ჭეშმარიტად, ინტიმურ დამოკიდებულებას ამყარებ ბუნებასთან. მე უკვე რამდენიმე დღეა გულწრფელად ვწუხვარ, რომ მოვანების შემდეგ დღითი დღე მომაკლდება მთვარის ნათელი. მე სულ უფრო და უფრო მარტოხელად ვიგრძნობ თავს, როდესაც მთვარიანში გახვეული ეს სიღამაზე და სიმყუდროვე აღარ დამელოდება მდინარის პირას და შინ მოსვლა სიბნელეში მომიხდება.

როგორც არ უნდა იყოს, მე აღვნიშნავ, რომ მთვარის დღე-
ვანდელი მოვანება, გაზაფხულის პირველი მოვანებაა. მრავალ-
ლი წლის შემდეგ ეგების მომაგონდეს ეს ღამე, ნაპირზე ჩიტის
დაძახილი, ნავზე სავსე მთვარის შუქი, ხეების ჩრდილით ქობა-
შემოვლებული მდინარის მოციმციმე, გლუვი ზურგი და ბურუ-
სიან შორეთში მოქათქათე თეთრი ზეცა.



ეს იყო ნამდვილი ჯონ ბული, ურცხვი და კადნიერი - უზარ-
მაზარი მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა, მზაკვრული თვალები
და ადლიანი ნიკაპი. ახალი პროექტი, რომელიც ნაფიც მსაჯულ-
თა სასამართლოს ეხებოდა და ჩვენს უფლებებს ძალზე კვეცავ-
და სწორედ ახლაა მთავრობაში წარმოდგენილი განსახილვე-
ლად. ყმანვილი პირთამდე აევსო ამ თემას და გამწარებით ეკა-
მათებოდა ჩვენს სტუმარს ბედშავ ბ. ბაბუს. იგი ამტკიცებდა,
რომ მორალური დონე ჩვენი ხალხისა ძლიერ დაბალია, რომ მას
არა აქვს საკმაო პატივისცემა ცხოვრების წმინდა უფლებისა და
რომ ამის გამო იგი არაა ღირსი უფლება მიიღოს ნაფიც მსაჯულ-
თა სასამართლოში.

ის აბსოლუტური უკადრისობა, რომლითაც ეს ადამიანები
ჩვენ გვეპყრობიან, ჩემთვის ნათელი გახდა, როდესაც დავინა-
ხე, რომ მათ შეუძლიათ ისარგებლონ ბენგალელის სტუმართმოყ-
ვარეობით, უსხდნენ მის სუფრასა და ამავე დროს სინდისის უქენ-
ჯნელად ასეთი ტონით გველაპარაკონ.

როცა სადილის შემდეგ ვიჯექი სასტუმროს კუთხეში, თვალ-
ზე ბინდი გადამეფარა და მომეჩვენა, რომ მე სასთუმალთან ვუ-
ჯექი უნუგეშოდ მიგდებულ, იავარყოფილ და წარსული დიდები-
საგან გაძარცვულ ჩემს დიდსა და დაჩაგრულ სამშობლოს. მე ვერ
გადმოგცემთ, თუ რა ღრმა მწუხარებამ ამივსო გული.

რა უგუნურ შეუსაბამობად მომეჩვენა მე საღამურად მორ-
თული ყველა ეს მემსაპიბი, უგვანი ინგლისური ლაპარაკი, მა-
თი მკვეთრი სიცილი. რაოდენი ჭეშმარიტებაა ჩვენთვის ძველი
ინდოეთის ტრადიციებში და რა იაფი და ყალბია ინგლისური
ხალხური სადილობის ეს ფუჭი ცერემონიები.



ზეცა შავად აფუებულმა, უზარმაზარმა ღრუბლებმა მოგ-
რაგნეს. მათ ჩემ თვალწინ საშრობი ქალღმერთის ვეება შრეების
მსგავსად შეისრუტეს მზის ბრწყინვალეობა. ალბათ მალე განვიმ-
დება, ვინაიდან ქარიც ნამიანი და ნოტიოა.

ცაში აღმართულ სიმლის მწვერვალებს რომ ზეახედო, ნათ-
ლად წარმოგიდგება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქ ამ
ღრუბლებს და მათ მისასალმებლად რამდენი წყვილი შენუხე-
ბული თვალთა ცად აპყრობილი.

მე სიყვარულის უნაზესი გრძნობითა ვარ გამსჭვალული ჩვე-
ნი გლეხკაცობის – განგების ამ უმწეო, დიდრონ და გულუბრყ-
ვილო შვილთა მიმართ, რომელთაც ლუკმა-პურის მოპოვებაც
კი უჭირთ. როდესაც დედამინას მკერდი უშრება, მათ სხვა არა
შეუძლიათ რა გარდა იმისა, რომ იტირონ. მაგრამ საკმარისია
შიმშილი მოიკლან, რომ უკვე აღარ ახსოვთ გარდასული ჭირი.

მე არ ვიცი, ახდება თუ არა დოვლათის შედარებით თანაზო-
მიერი განაწილების სოციალისტური იდეალი, მაგრამ თუ არა –
განგების ძალა ჭეშმარიტად სასტიკი ყოფილა, ხოლო ადამიანი
– ქმნილებათაგან უსანწყალობლესი. ვინაიდან თუკი ქვეყანაზე
სამუდამადად უნდა არსებობდეს გაჭირვება, დაე, იარსებოს.
ოლონდ უნდა იყოს რაიმე გამოსავალი, თუნდაც ჩრდილი შესაძ-
ლებლობისა, რომ კაცობრიობის კეთილშობილ ნაწილს დაუშრო-
მელი ღვანლით მისი შემსუბუქება მაინც შეეძლოს.

საშინელებას ამბობს ის, ვინც ამტკიცებს – მსოფლიო პრო-
დუქციის ისეთი განაწილება, რომლის დროსაც ყველა გამაძღა-
რი და შემოსილი იქნება, მხოლოდ უტოპია არისო. ყველა ეს სო-
ციალისტური პრობლემა ისე რთულია! კაცობრიობას ბედისა-
გან ისეთი ბეჩავი და დაბეჭედილი ჯვალა აქვს ნაწყალობევი, რომ
თუკი მით ქვეყნის ერთ კიდეს შევმოსავთ, მეორე დარჩება გა-
შიშვლებული. საკუთარ სიღატაკესთან ბრძოლაში ჩვენ უამრავ
სიმდიდრესა ვკარგავთ, ამ სიმდიდრესთან ერთად კი რა დიდ-
ებული და ძალმოსილი ქვეყანაა ჩვენთვის დაკარგული.

მაგრამ მზე ისევ ბრწყინავს, თუმცა დასალიერზე ჯერ კი-
დევ ფარფატებენ ღრუბლის ქულები.



როცა ჩემი ფიქრი, ჩემი განცდა, ჩემი აღქმა წრფელია, აქედან ბუნებრივად და გარდუვალად გამომდინარეობს მოთხოვნილება წრფელადვე განსახიერებისა. ჩემში არის რაღაცა ძალა, რომელსაც მუდამ ამ აღსრულებისაკენ მივყავარ, მაგრამ იგი მარტო ჩემში როდია, მთელ სამყაროს ავსებს იგი, ცალკეულ პიროვნებებში გამოვლინებული, მაგრამ მათგან დაუოკებელი ეს ზეგარდმო ძალა თავისი საკუთარი ბუნების თანახმად მოქმედებს. და უდიდესი სიხარული სწორედ ისაა, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე მისი სრული ხელმწიფების ქვეშეა მოქცეული. ეს ძალა ჩვენ არა მარტო თვითგამოხატვის უნარს, არამედ გულისხმიერებასა და სიხარულსაც გვანიჭებს. ამიტომ გვეჩვენება ხოლმე საკუთარი განცდები ყოველთვის ასეთი სიახლითა და საოცრებით მოსილი.

როდესაც მე ჩემი პატარა გოგონა გულს მიხარებს, იგი სიხარულის პირველქმნილ საიდუმლოს ეზიარება, რომელიც სამყაროა. და ნაზი ალერსი მე ლოცვებისდარად მელვრება გულიდან. მე მნამს რომ ყოველგვარი სიყვარული სხვა არაფერია, თუ არ საღმრთო მუხლის მოყრა დიდი იდუმალების წინაშე. ოღონდ ეს შეუცნობცლად ხდება ჩვენში. მისი სხვანაირად ახსნა შეუძლებელია.

როგორც მიზიდულობის კანონი მეფობს ნივთიერი სამყაროს დიდსა და მცირეზე, ეგრევე ეს ზეგარდმო სიხარული ავსებს მთელ ჩვენს შინაგან სამყაროსა და თავგზას გვიბნევს, როცა მას კერძო გამოვლინებაში ვაკვირდებით.

ერთადერთი რაციონალური ახსნა, რისთვის ვპოვებთ ხოლმე ადამიანსა და ბუნებაში სიხარულს – უპანიშადებშია: რამეთუ სიხარულისაგან იშვა ყოველი.



...მე ვზივარ და ვფიქრობ: რატომაა ყოველთვის ასეთი მჭმუნვარებით მოსილი ჩვენს ქვეყანაში მდინარეთა ნაპირები და ველები, ცა და მზის ნათელი. და მე ვასკენი, ალბათ, იმიტომ რომ ბუნება ჩვენს ცხოვრებაში დიდსა და მნიშვნელოვან როლს ას-

რულებს. ზეცა უსაზღვროა, ველები უკიდევანო და მზემ მოკაშკაშე მთლიანობად შერწყა ისინი. რა უხამსია ამ ფონზე ადამიანი. იგი ნავსა ჰგავს, რომელიც მდინარის წიაღ მიმოდის, ერთი ნაპირიდან მეორემდე, და მოისმის მოზუზუნე დვრინი მისი ფუჭი ლაპარაკისა, მისი შეუნყობელი სიმღერების გამოძახილი. იგი ამაოდ ფუსფუსებს თავისი უბადრუკი სურვილების მსოფლიო ბაზარზე განხორციელებისათვის. მაგრამ რა წვრილმანი და ჟამიერია, რა ტრაგიკულად უმნიშვნელოა ყველაფერი ეს სამყაროს განუზომელი სივრცის წინაშე.

ეს კონტრასტი – დიდმშვენიერი, უკიდევანო, დაუბინდველი ბუნების ასეთ წყნარსა და უხმო, შეუვალ სიმშვიდესა და ჩვენს უგვან და მტანჯველ, შუღლით დამძიმებულ, ყოველდღიურ საზრუნავს შორის – ჭკუიდანა მშლის, როდესაც მე მდინარის გაღმა ველებზე ხეების შორეულ, მუქ-იისფერ ზოლს გავყურებ.

იქ, სადაც ბუნება არასოდეს ჩანს, სადაც იგი ნისლითა და თოვლით, ღრუბლითა და წყვდიადითაა მოცული – ადამიანი თავს ბატონადა გრძნობს. მას მიუცილებელი და მნიშვნელოვანი ჰგონია საკუთარი საქმეები და სურვილები. იგი მომავალს შეჰყურებს, ძეგლებს აგებს და ბიოგრაფიებსა წერს. და იქამდეც კი მიდის, რომ თავად სიკვდილს ადგამს სამარის ლოდებს. იგი იმდენად მოუცლელია, რომ დროც არა აქვს იფიქროს თუნდაც იმაზე, თუ რამდენი ძეგლი აღიგავა პირისაგან მიწისა, რამდენი სახელი მიეცა დავიწყებას!



ვიდრე ჩვენ შეგვიძლია რისამე შექმნა, ვიცხოვროთ უჩინრად. სხვისა არ ვიცი და მე ამ აზრისა ვარ. ჩვენ თუ მხოლოდ იმად ვარგივართ, რომ გვიჭვრიტონ, რა საფუძველი გვაქვს პატივისცემა მივითვალთ ჩვენდამი? ხოლო უკეთუ ჩვენ ქვეყანაზე თუნდაც ერთი ციდა საკუთრებად დავიმკვიდრეთ და თუ ოდნავ მაინც შევეწიეთ მის განვითარებას, მაშინ სხვა ყველაფერს შეგვიძლია ღიმილით შევხედოთ. დავრჩეთ ჩვენსავე მტკიცე ბალავარზე და მშვიდად ვაკეთოთ ჩვენი საქმე.

მაგრამ ჩემი თანამემამულენი, როგორც ეტყობა, სხვა აზრისა არიან. მათ არ აკმაყოფილებთ ის უბრალო და ინტიმური მოთხოვნილებები, რომლებიც, ჩვეულებრივ, კულისების გარეთ აღედგრებათ ხოლმე. მთელი მათი ყურადღება მიმართულია ნუთიერ პოზასა და თავის გამოჩენაზე.

ჩვენი ქვეყანა ჭეშმარიტად ღვთისგან დავინწყებულა. ჩვენთვის ისე ძნელია შევიწინააღმდეგოთ ნება ქმედებისათვის. ჩვენ არც კი ძალგვიძს შევისმინოთ ჯანსაღი აზრი. ირგვლივ, მრავალი მილის მანძილზე ვერ შეხვდები ცოცხალ ადამიანს. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს არვინ ფიქრობდეს შენ გვერდით, არ გრძნობდეს, არ მუშაობდეს. ვერ ნახავ კაცს, რომელიც ძლიერ შინაგან ბრძოლას განიცდიდეს, ანდა ცხოვრობდეს ნამდვილი, ჯანსაღი სიცოცხლით. მხოლოდ ჭამენ და სვამენ, დადიან სამსახურში, თამბაქოს ეწევიან, სძინავთ და სისულელეს ლაყობენ. ახსენებ ემოციებს და სენტიმენტალობა მოეძალებათ, მსჯელობა თუ დაინწყე – ბალღებად გადაიქცევიან. გულით გინდა თუნდაც ერთ სისხლსავსე, ძლიერ და მამაც პიროვნებას შეეყარო, ირგვლივ კი მხოლოდ ლანდები დალასლასებენ, რომელთაც ყოველგვარი კავშირი დაუკარგავთ მსოფლიოსთან.



მე მეუცნაურება ის ამბავი, რომ ჩემი ცხოვრების მხოლოდ ოცდათორმეტი შემოდგომა მიიყარა, იმიტომ რომ ჩემი მახსოვრობა უხსოვარ დროთა ბნელ წიაღამდეა განფენილი. როდესაც სული კიდემდე ამევსება ხოლმე სინათლით, როგორც შემოდგომის ამ უღრუბლო დილით, მე მგონია, რომელიღაც ჯადოსნური კოშკის სარკმელთან ვზივარ და შორეულ მოგონებათა ქვეყანას მონუსხული მზერით გავყურებ-მეთქი. ნაზად მომქროლავ ნიავს მოჰქონდეს თითქო ჩემთან გარდასულ ჟამთა ძლივსშესაგრძნობი ნელსურნელება.

გოეთე სიკვდილის სარეცელზე ითხოვდა: „მეტი სინათლე“. თუკი ამ დროს სანატრელი მექნება რამე, დაუშვებ: „და მეტი სივრცე“, ვინაიდან მე უსაზღვროდ მიყვარს სივრცე და სინათ-

ლე. ზოგიერთები ბენგალიის შესახებ ამბობენ, უკიდევანოდ განფენილი დაბლობიაო. მაგრამ სწორედ ამიტომა მხიბლავს მე იგი. მისი დაუბინდველი ზეცა, მყუდრო შეღამების ბინდბუნდით კიდემდე აღვსილი, ამეთვისტონის ბარძიძია თითქოს. და უჩუმარი და მთვლემარე შუადღის მოოქროვილი საბურველი დაჰფენია მთელ მის სივრცეს დაუბრკოლებლივ.

სად არის სხვა ქვეყანა, თვალისათვის ეგზომი სივრცისა და სულისათვის ესოდენი განცდების მომნიჭებელი!



რაც უფრო დიდხანს ცხოვრობ მარტოდმარტო მდინარის ნაპირზე ან სოფლად, მით უფრო ცხადი ხდება შენთვის, რომ ამ საწუთროში შენი ყოველდღიური ბუნებრივი და უბრალო ვალისმობდაზე მშვენიერი და დიდებული არა არის რა. მინდვრის ბალახიდან ცათა ვარსკვლავებამდე ამისთვის იღვნის ეს ქვეყანა. და სწორედ იმიტომა ვხედავთ ესოდენ ღრმა სიმშვიდესა და ენითუთქმელ სიმშვენიერეს მთელს ბუნებაში, რომ იქ არაფერი ისწრაფვის ძალით გადალახოს მისთვის დადგენილი საზღვრები.

ამავე დროს კი რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია მისი თუნდაც უმცირესი საქმე. ბალახის ვალია რაც კი ძალი და ღონე აქვს, შეისრუტოს ფესვებში გამოსაკვები წვენი, რათა თავის ადგილზე ბალახად ამოიზარდოს. იგი არ ცდილობს ბანიანგის ხედ გადაიქცეს და ამის გამო დედამიწა მომხიბვლელი მწვანით იმოსება. ადამიანთა საზოგადოებაშიც ეგრევეა, – სიმშვიდისა და სილამაზის ის მცირე ოდენობა, რომელიც მას სცხია, თავის არსებობას უნდა უმადლოდეს არა ლამაზ სიტყვებსა და დიად საქმეებს, არამედ ყოველდღიურ მცირე საქმეთა უდრტივინველად შესრულებას.

შეიძლება იმიტომ, რომ ყოველთვის ნათლად არა გვაქვს წარმოდგენილი საკუთარი სიცოცხლის საბოლოო აზრი, ჩვენ ყოველდღიური მოვალეობის კირთებისაგან დახსნილი მომავლის მომხიბლავი სურათებითა და ამას იმედებით ვიმშვიდებთ თავს. მაგრამ ეს ილუზიაა.



მე აქ კიდევ ერთი სიამოვნება მაქვს. ხანდახან ჩემს მოსაკითხად შემოივლის ხოლმე რომელიმე ჩვენი ძველი, ერთგული, საყვარელი გლეხიკაცთაგანი. და რა ხალასი და გულისაღმძვრელია მათი მოკრძალებული თაყვანისცემა. რამდენად მალა დგანან ისინი ჩემზე თავიანთი გრძნობების მშვენიერი სისადავითა და პატივისცემის სინრფელით. თუნდაც ღირსი არ ვიყო ასეთი თაყვანებისა, მათი გრძნობების ფასი ამით სრულებითაც არ ილახება.

ეს დიდი, წვეროსანი ბალები ჩემში ისეთსავე ნაზ გრძნობებს აღძრავენ, როგორც პატარა ბიჭუნები. მაგრამ აქ სხვაობაცაა. მათში უფრო მეტია ბავშვური. პატარები გაიზრდებიან, ეს დიდი ბალები კი – არასოდეს.

უდრტვინველი, გულუბრყვილო და უბრალო სული გამოსჭვივის მათი დაძაბუნებული, დამჭკნარი სხეულებიდან. პატარა ბავშვები გულუბრყვილონი არიან მხოლოდ. მათში არ არის ეს უანგარო, ბრმა გრძნობა ერთგულებისა.

თუკი არსებობს რაიმე იდუმალი დინება, რომლითაც უკავშირდებიან ერთმანეთს ადამიანთა სულნი, ჩემი წრფელი კურთხევა მიაღწევს და შეეწევა მათ.



სოფლური ცხოვრების მდინარება არ გამოირჩევა განსაკუთრებული სიჩქარით, მაგრამ მან უძრაობაც არ იცის. შრომა და დასვენება ხელიხელჩაკიდებულნი მხარდამხარ მიდიან. ბორანი მდინარის წიაღ მიმოდის. დედაკაცები ბამბუკის შარაგულებს წყალში ძირავენ და რეცხავენ ბრინჯს. გლეხები თავზე შემოდგმული კანაფის კონებით ბაზარში მიიჩქარიან. მოშორებით ორი კაცი კუნძს აპობს შეწყობილი, ხმიერი დარტყმებით. დიდი ასვატის ხის ქვეშ სოფლის დურგალი გადმობრუნებული, მომცრო ნავის შეკეთებითაა გართული. არხის ნაპირას უმიზნოდ დაბორილობს ორლობის ნაგაზი. ძროხები წვანან და ცვრიანი ბალა-

ხით გულამსუყებულნი იცოხნებიან, ყურებს იბერტყავენ და კუდით იგერიებენ ბუზებს. ხანდახან, როცა მათ ზურგზე მოკალათებული ყვაეები ზედმეტს გაბედავენ – მოუთმენლად შეაქნევენ ხოლმე თავებს.

შეშისმჭრელთა ნაჯახისა და სადურგლო ჩაქურჩის მონოტონური კაკუნი, ნიჩბების დგაფუნი, შიშველი ბალღების მხიარული შეძახილები, ნაღვლიანი სიმღერა გლეხიკაცისა, სადღვებელის გულისგამანვრილებელი ჭრიალი, – კაცთა ჯაფსა და გარჯილობის ყველა ეს ხმა ჰარმონიულად ერწყმის ფოთოლთა შრიალსა და ფრინველთა გალობას. ხოლო ყველაფერი ეს ერთიანდება რომელიღაც უხილავი და გრანდიოზული ორკესტრის ამადღეღვებელ ანსამბლში, უზარმაზარი, დაუოკებელი პათოსით აღსავსე მუსიკალურ ნაწარმოებს რომ გადმოგვცემს.



ერთ-ერთ დღევანდელ წერილში ნახსენები იყო ა-ს სიმღერა და მე გული უცნაურად დამენურა. ცხოვრების ყველა პატარა სიხარული, რომელსაც ჩვენ ჯეროვნად ვერ ვაფასებთ ქალაქური ცხოვრების აურზაურში, კივილით გვიხმობს ხოლმე, როდესაც ხალხისაგან შორს ვიმყოფებით. მე მიყვარს მუსიკა. კალკუტა მოკლებული არ არის კარგ ხმებსა და ინსტრუმენტებს, მაგრამ მე მათ იშვიათად ვუსმენ და ეგ სულში სტოვებს მოუკლავი წყურვილის რალაცნაირ კვალს, რომელიც ხშირად მთელი სისრულით არც კი გვაქვს ხოლმე შეცნობილი.

წერილის კითხვისას მე ვიგრძენი მწველი სურვილი კვლავ დავმტკბარიყავი ა-ს ტკბილი სიმღერით. მე უცებ ნათლად ვიგრძენი, რომ ამ უამრავ, დათრგუნვილ სურვილთაგან დასაკმაყოფილებლად ყველაზე უფრო ძლიერად ის სიამენი გვიხმობენ, რომელთაც იოლად ავისრულებდით. მიუწვდომელი ქიმერების დევნით გატაცებულნი ჩვენ შიმშილითა ვკლავთ საკუთარ სულს და მე ჩემს გულში სულ უფრო და უფრო მძაფრადა ვგრძნობ მცირე სიამეთა მუდმივი უარყოფისაგან დასადგურებულ სიცარიელეს.

და ვინ იცის, ეგების მოვა ის დღე, როცა მე ვიგრძნობ: შესაძლო რომ იყოს გარდასულ დღეთა დაბრუნება, აღარ გამოვუდგებოდი აუხდენელს, არამედ ვეცდებოდი ბოლომდე შემესვა იმ ყოველდღიურ, მოულოდნელ სიამეთა ფიალა, რომელსაც ცხოვრება გვანვდის ხოლმე.



კოჯაგარის მოვანება იყო. მე უხმაუროდ დავეხეტებოდი მდინარის პირას და საკუთარ თავს ვესაუბრებოდი. თუმცა გაჭირდებოდა მისთვის საუბარი დაგვერქმია, იმიტომ რომ არსებითად მარტო მე ვლაპარაკობდი, ჩემ მიერ წარმოსახული მოსაუბრე კი მხოლოდ მისმენდა. სანყალ ბიჭს ვერაფერი ეთქვა, რადგან მე არ ხელმეწიფებოდა განა გადამექცია იგი ჩემს კითხვებზე უსუსური სახით მოპასუხე რეგვენად?

მაგრამ რა ღამე იყო ის ღამე! რამდენჯერ ვეცადე ამენერა იგი, ყოველთვის ამაოდ! მდინარეზე ნაოჭიც არ იძვრის. ხოლო იქ, სადაც დიდი, ქვიშნარი სერის გადაღმა, მთავარი კალაპოტის მოპირდაპირე ნაპირი მოჩანს, მთვარიანის ფართო ზოლი ქათქათებს. არა ჩანს ნავი, ძე ხორციელი, არც ხე და ბალახი ამ ქვიშიანი კუნძულის უკაცრიელ ნაპირზე.

თითქო უდაბურ დედამინას დაჰნათოდა მჭმუნვარე მნათობი. მდინარე მშვიდად მიედინება გარინდებულ უდაბნოში. ხანგრძლივმედინი ჯადოსნური ზღაპარი გასრულდა ბოლოს და ქვეყანა გაუკაცრიელდა. ხელმწიფენი და სეფექალნი თავიანთი ვაზირებითურთ, მათივ ოქროს სასახლეებით გაქრენ და შვიდი ზღვა და ცამეტი მდინარე და უნაპირო ველი ოდესღაც მათზე მოყარიბე მამაცი უფლისწულებით მკრთალად ციალებენ ბუნდოვან მთვარიანში. ჩემი ნელი ნაბიჯები მომაკვდავი ქვეყნის მიწურვილ მაჯისცემასა ჰგავდა. მე დავრჩი მარტოდმარტო – სხვა ყველა, მდინარის გაღმა, სიცოცხლის ნაპირზე იყო, იქ, სადაც ბრიტანეთის მთავრობა და მეცხრამეტე საუკუნე თავს ირთობენ ხელისუფლებით, ჩაისა სვამენ და სიგარეტებს ეწევიან.



ჯერ ხუთი საათიც არ არის და უკვე ინათლა. დილის საამური ნიავი ქრის, ფრინველებმა გაიღვიძეს ბაღში და ჟღერტული მორთეს. კოელი მგონი მთლად გადაირია. ვერ გაიგებ, ასე დაუცხრომლად და დაჯინებით რად გაჰკივის თავის სიმღერას. რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ ჩვენ გაგვართოს, ანდა სიყვარულის ქმუნვა გაუქარვოს ვისმე, უეჭველია იგი რომელიღაც თავის საკუთარ მიზანს მიესწრაფის. სანყენია მხოლოდ, რომ ეს მიზანი, როგორცა ჩანს, მიულნეველია. მაგრამ იგი გულს არ იტეხს და აგრძელებს თავის სიმღერას, რომელიც ხანდახან განსაკუთრებულად ცხარე კრიმანჭულში გადადის. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ხოლო იქ, მოშორებით რომელიღაც ჩიტი ჩუმად და სანყალობლად ყიფყივებს და მის გალობაში არ იგრძნობა ენერგია და აღფრთოვანება, თითქოს ყველა იმედი დიდი ხანია რაც დაკარგვიაო. და მაინც მას არ შეუძლია თავი შეიკავოს ამ ხანმოკლე ჩივილის განუწყვეტელი განმეორებისაგან: ყივ, ყივ, ყივ.

რა ცოტა ვიცით ჩვენ სინამდვილეში ამ უმანკო ფრთოსან ქმნილებათა შინაური საქმეებისა! რატომ გალობენ ისინი დღემუდამ?



ადამიანებს ჩვენ მხოლოდ პუნქტირული მოხაზულობით ვიცნობთ, ე. ი. ჩვენს ცოდნას ხარვეზები აქვს, რომლებიც შეძლებისდაგვარად თვითონვე უნდა შევავსოთ. ამრიგად, მათი სურათიც კი, ვისაც ჩვენ კარგად ვიცნობთ, რამდენადმე მაინც ჩვენი წარმოსახვის ნაყოფია. კონტურები ზოგჯერ ისეა დაწყვეტილი და ალაგ-ალაგ იმდენადაა მოკლებული სახელმძღვანელო ნერტილებსაც კი, რომ სურათის ნაწილი ჩვენთვის გაურკვეველი, დაჩრდილული და ბუნდოვანია. და თუკი ჩვენი საუკეთესო მეგობრები ჩვენივე წარმოსახვის ძაფზე ასხმულ დატეხილი ხაზების ნაწყვეტებს წარმოადგენენ, მაშინ ვიცნობთ თუ არა ჩვენ, საერთოდ, ვინმეს და გვიცნობს თუ არა ჩვენ ვინმე სხვაფრივ, თუ არ ამ დაწყვეტილი, დანაწევრებული სახით.

მაგრამ ამ ქუჭრუტანებში რომ გარეშეთა წარმოსახვის შუქი იღვრება, იქნებ სწორედ ეგა ქმნიდეს სიახლოვეს კაცთა შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, პიროვნება კარჩაკეტილი თავის დაურღვეველ ინდივიდუალობაში ყველასათვის შეუვალი იქნებოდა.

ჩვენ, ჩვენივე საკუთარ „მე“-საც მხოლოდ ნაფლეთების სახით ვიცნობთ და ამ ნაკუნებისაგან, ისევ და ისევ, წარმოსახვის მეშვეობით, იძულებულნი ვართ შევექმნათ გმირი ჩვენი ცხოვრებისა. უცილოა, რომ განგებამ ნებისთ დასტოვა ეს ფართო შორედები, რათა საკუთარი სიცოცხლის შემოქმედებაში ჩვენ თვითონვე მივიღოთ მონაწილეობა.



დროდადრო, როცა წარმოვიდგენ – ცხოვრების ჯერ კიდევ რა დიდი გზა მაქვს გასავლელი და რა მრავალრიცხოვანია გაჭირვება, ამ გზაზე რომ შეგვეყრება და ვერსით ნაუვალთ – მე მიჭირს სულის მხნეობის შენარჩუნება.

საღამოობით, როდესაც მარტო ვუზივარ მაგიდას და ლამპრის ალს შევცქერი, მე აღთქმას ვეძებ, განვლო ეს ცხოვრება ისე, როგორც შეშენის მამაც ადამიანს – უდტრვინველად, მედგრად და უჩუმრად. გადავწყვეტ რა ამას, იმავე წუთში ცუდმედიდობა მომეძალება და წამით ჩემი თავი მართლა ძლიერი პიროვნება მგონია, მაგრამ საკმარისია ფეხი დავადგა გზათა ეკალს, რომ მყისვე ტკივილისაგან ვიკრუნჩხები და მომავლის სერიოზული შიში მიპყრობს. ცხოვრებს გზა მე ისევ გრძელი მეჩვენება, ხოლო ძალა მის დასაძლევად – უკმარისი.

მაგრამ ეს უკანასკნელი დასკვნა არ შეიძლება სწორი იყოს, ვინაიდან სწორედ ამ უმნიშვნელო, მცირე სატიკვართა გადატანა ყველაზე უფრო ძნელი. ჩვენი სულის მეურნეობა ეკონომიითაა მოწყობილი და მისი სახსრები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იხარჯება. მათ უბრალოდ არა ფლანგავენ. ძალთა მთელი მარაგი ძუნწი და მკაცრი მომჭირნეობით ინახება მანამდის, სანამ დიდსა და ნამდვილ გასაჭირს არ შევეყრებით. აი, რატომ ძალუძს უმნიშვნელო შეჭირვებათა გამო დაღვრილ ცრემლთა გარკვეულ რაოდენობას მოწყალებით აღგვიძრას გული.

მაგრამ როცა თავს დიდი უბედურება გვატყდება, მაშინ მარაგ-თა ყველა საუნჯე იხსნება, გარეგანი ქერქი სკდება, ნუგეში წყაროსაებრ ამოხეთქს და ვაჟკაცობა და მოთმინება ერთდებიან, რათა შეასრულონ თავიანთი საქმე. დიდ უბედურებას აგრე მოაქვს ძალა უდიდესი მოთმინებისა.

თუ ადამიანის ერთი მხარე შვებასა და სიამეს მიელტვის, არის მეორე მხარე, რომელიც თავგანწირვას მიესწრაფის. როცა პირველს იმედი უცრუვდება, უკანასკნელი ძალას იხვეჭს, იძენს ფართო სარბიელს და სულს კიდემდე გვივსებს დიდი და მძლე აღტაცებით.

ამრიგად, წვრილმანი შეჭირვებანი ჩვენ გვაკრთობს და გვაშინებს, მაშინ როცა თავს დამტყდარი დიდი უბედურება გვაძულვებს მამაცურად დაუხვდეთ ჭირს. იგი ააშკარავებს ჩვენში დაფარულ შინაგან ძალებს და ამაში დიდი სიხარულია.

ლიტონი პარადოქსი არ არის, როცა ამბობენ, ტანჯვაშიაო სიხარული, ისევე როგორც სავსებით მართებულია მტკიცება, რომ ტკობაში არის ელემენტი დაუკმაყოფილებლობისა. ძნელი არ არის მივხვდეთ, რატომა ხდება მაინცდამაინც ასე.



ქალი, რომელიც ცდილობს მახვილგონიერი იყოს, მაგრამ სიმკვავეში გადადის – აუტანელია. რაც შეეხება მის კომიკურობას, ეს ცდები ქალში ყოველთვის საზიზღარია. სულ ერთია გამოუდის თუ არა მას ეს. კომიკურში ყოველთვის არის მოუხეშავობის და გადამლაშების ელემენტი და ასეთია არსებითად კომიკურის დამოკიდებულება საზეო საქმეებისადმი.

სპილო სასაცილოა. აქლემი და ჟირაფი სასაცილონი არიან. გადამეტებული ყველაფერი სასაცილოა. კაცმა რომ თქვას, მახვილგონიერება რამდენადმე მაინც ენათესავება მშვენიერებას, როგორც ეკალი ვარდს. ამიტომ სარკაზმი თუმცა კი გვსუსხავს, მაგრამ უსიამო არაა ქალში. მაგრამ მე ვურჩევდი მას უმაღლესი სქესისათვის დაეთმო სასაცილო. მამრ ფალსტაფს შეუძლია სიცილით დაგვხოცოს, მაშინ როცა ქალი-ფალსტაფი მხოლოდ ძარღვებს აგვიშლის.



ჩვენ ვჩერდებით და აღვნიშნავთ თითოეულ ნაბიჯს ცხოვრების გზაზე. მაგრამ მთლიანობაში – საკმარისი იქნება ორსაათიანი დაფიქრება, რომ თავიდან ბოლომდე გავითვალისწინოთ იგი.

შელიმ, თავისი ოცდაათწლიანი, აქტიური ცხოვრების შემდეგ მხოლოდ ბიოგრაფიის ორტომეულისათვის საკმარისი მასალა დასტოვა, ისიც – მნიშვნელოვანი ნაწილი ამ წიგნისა დაუდენის ლაყბობას უჭირავს. ჩემი ცხოვრების ოცდაათი წელი ერთ ტომსაც ვერ აავსებს.

რა უნდა გააკეთოს კაცმა დროის ამ უბადრუკ მონაკვეთში. თავისი მამულების გასაფართოებლად და ვაჭრობისა და კომერციის მეშვეობით მათი მატერიალური კეთილმოწყობის გასაუმჯობესებლად იზრუნოს, თუ მოიხვეჭოს უფრო დიდი სივრცე ამ წუთისოფელში, მაშინ როდესაც ერთი პატარა სკამიც საკმარისია, რომ თავისუფლად მოთავსდეს. და მერე, როცა ყველაფერი ეს აღსრულდება და გარდავა, მასალა რჩება მხოლოდ და მხოლოდ ორსაათიანი დაფიქრებისა და წერილის ერთი-ორი გვერდისათვის.

ცხოვრების ამ რამდენიმე ფურცელზე რა პანანკინტელა ნაწილს იკავებს ჩემი სიცოცხლის ყველა ეს ცარიელი და მთვლემარე დღე.

და მაინც – მდინარის უდაბურ ქვიშაზე შემომდგარი ეს მდუმარე დღე არ დასტოვებს განა თავის პატარა, მაგრამ მკაფიო და ოქროვან ნაკვალევს ჩემი მარადი ნარსულისა და მარადი მომავლის მატყინეში?



ამქვეყნად ბევრი პარადოქსია და ერთიც ის არის, რომ იქ, სადაც გრანდიოზული ლანდშაფტი და უსაზღვრო ცაა, გრძნობები აღმოუთქმელი და ღრუბლები გულისაღმძვრელი სისპეტაკით არიან მოსილნი, მოკლედ რომა ვთქვათ, სადაც უსასრულობა ასე აშკარაა, იქ ერთი კაცის საუფლოა. ბრბო ამ ფონისათვის შეუსაბამო და საცოდავია.

პიროვნებასა და უსასრულობას თანახსორი უფლებები აქვთ და ღირსნი არიან თავიანთი ტახტებიდან უცქირონ ერთმანეთს. მაგრამ იქ სადაც ბევრი ხალხი იკრიბება, რა პატარა ჩანს კაცობრიობაცა და უსასრულობაც და რა მძაფრი შეტაკება უხდებათ მათ ერთმანეთთან შესაგუებლად. თითოეულს სწადია, რაც შეიძლება, მაღლა შეიმართოს, ამიტომ ბედნიერ შემთხვევას უნდა უცადო, რათა დროდადრო კისერი წაიგრძელო და ბრბოდან ცოტა ხნით მაინც ამოჰყო თავი.

და ერთადერთი შედეგი ჩვენი მისწრაფებისა უფრო მჭიდროდ შევერწყათ ერთმანეთს ისაა, რომ ხელებშებორკილთ აღარ ძალგვიძს მივწვდეთ ამ უსასრულო და უკიდევანო სივრცეს.



გუშინნინ, სალამოს მე ვკითხულობდი ინგლისურ წიგნს კრიტიკის შესახებ, პოეზიის, ხელოვნების, მშვენიერებისა და მისთანათა მიმართ გააფთრებული დებატებით სავსეს. იმ დროს როცა მე კეთილსინდისიერად ვუჯექი ამ ხელოვნურობით აღსავსე მსჯელობებს, ჩემი დაჩლუნგებული გონებრივი შესაძლებლობანი თითქოს რომელიღაც დამცინავი ალქაჯის მრუდი ღიმილით განათებულ არეში დაბორიალობდნენ.

უკვე საკმაოდ შეგვიანებულიყო. მე დავხურე წიგნი და მაგიდაზე ვისროლე. მერე დასაძინებლად მომზადებულმა ლამპარს ჩაებერე. ვერც კი მოვასწარი მისი ჩაქრობა, რომ ღია ფანჯრებში სრულიად მოულოდნელად მთვარის ნათელმა შუქმა იფეთქა.

ეს უკადრისი ლამპარი მთელი სალამო გესლიანად დამცინოდა, თითქოსდა მეფისტოფელი ყოფილიყო. და მისი უბადრუკი ღიმილი ჩქმალავდა ჩემგან სიხარულის ამ უსაზღვრო ნათელს, სიყვარულის წიაღიდან რომ მოედინება და ავსებს მთელ სამყაროს. და კაცმა რომ თქვას, რას ვეძებდი მე ამ წიგნის ფუჭ ნალაყებში? ის ხომ, რასაც მე მიველტვოდი, მთელი ამ დროის განმავლობაში გარეთ მელოდებოდა, განფენილი ცის უფსკრულებზე.

მე რომ დარაბებმიხურულ ოთახში დამეძინა და ეს ჩვენება ჩემთვის დაკარგულიყო, იგი მაინც ასე იკაშკაშებდა და არაფ-

რად ჩააგდებდა ლაძპარის პრახჭვა-გრეხას იქ, ოთახის ძიგხით. მე რომ მთელი ჩემი სიცოცხლე თვალი დამესებოდა და გული დამხურვოდა ლამპარის მოზეიმე შუქით დაბრმავებულს – იმ დრომდე, ვიდრე საუკუნო ბნელში დანთქმული უკანასკნელად დავიძინებდი, უშფოთველი და მშვიდი მთოვარე მაშინაც ასეთი-ვე სათნო ღიმილით დამელოდებოდა, როგორც მელოდა იგი უკუნიდან მოაქყამამდე.



რალაცნაირი განსაკუთრებულად ღრმა გრძნობასა და უსაზღვრო სიმშვიდეს მგვრის ბენგალური დაისი, ჰორიზონტამდე გაშლილი, დასალიერზე ხეებით ქობამოვლებული, უკიდვარონო და უკაცრიელი ველების იქით რომ იფერფლება.

სიყვარულითა და ამავე დროს რალაცნაირი სევდით იხრება ჩვენი საღამური ზეცა, რათა მოშორებით დედამიწას შეეყაროს. იგი მწუხარე ნათელს აფენს ქვეყანას, რომელსაც სტოვებს, და ეს ნათელი მარადი განყოფის^{*} ღვთაებრივ ჭმუნვაზე ფიქრების აღმძვრელია. რა გამომეტყველია ის მდუმარება, შემდგომ ამისა რომ მოეფინება ცასა და დედამიწას.

მუნჯი აღტაცებით გულშეძრული მე ვდგავარ და ვფიქრობ: რა იქნება, ამ მდუმარებამ თავისი თავი რომ ველარ დაიტოს, რომ ამ წუთმა, რომელიც დასაბამიდან თავის გამოთქმას მიელტვოდა, ბოლოს გარეგანი გამოსახულება უპოვოს თავის განწყობილებას, რა საოცრად დიდებული და მტიკვენეულად გულისშემძვრელი მუსიკით აივსებოდა მთელი სივრცე დედამიწიდან ვარსკვლავთა სფეროებამდე!

ცოტა ხანს საკუთარ თავს რომ მივაპყროთ გულისყური, შეგვეძლება მუსიკით გამოვხატოთ ფერებისა და სინათლის ეს გრანდიოზული ჰარმონია, რომელიც მთელ სამყაროს ავსებს. ამისათვის საჭიროა თვალები დახუჭო და გულისყურით დაიჭირო ამ მარადმედიანი სანახაობის ფაქიზი ვიბრაცია.

*მარადი განყოფა — პურუშასა და პრაკრიტს, — შემოქმედსა და ქმნილებას შორის.

მაგრამ როდისღა მოვეშვები მე ამ დაისებსა და განთიადებს? მე ყოველდღე განვიცდი მათ ცხოველმყოფელ სიახლეს. მაგრამ როგორღა მივალწიო მათი გამოხატვისას მეც ამნაირსავე სიახლეს?



მე მძაგს ყოველგვარი პირობითობა და ცრუმორწმუნეობა და მზად ვარ უსასრულოდ ვიმეორეო ერთი და იგივე ფრაზა: ო, რატომ არ დავიბადე არაბ ბედუინად – ლამაზ და ლომგულ, ძლიერ, თავისუფალ ბარბაროსად!

მე ვგრძნობ მოთხოვნილებას შევაჩერო გონებისა და სხეულის ეს უდროო დაძაბუნება, გამონვეული ძველ და დახვესებულ ჭეშმარიტებათა მუდმივი შეხებით და თავისუფალი და ჯანსაღი სიცოცხლის სიხარული ვიგრძნო; მქონდეს და არ მენალვლებოდეს – კარგია თუ ცუდი ისინი, – ფართო, თამამი, ლალი რწმენანი და მისწრაფებანი, შეუბოჭველნი ჩვეულებასა და გონებას შორის, გონებასა და წადილს შორის, წადილსა და მოქმედებას შორის ამ მარადი უთანხმოებით.

მე რომ შემეძლოს, ყველა ამ ბორკილს შემოვიცლიდი, ქარბორბალასავით გადავუქროლებდი მსოფლიოს და ჩემს გარშემო ბობოქრობისა და ამბოხების ზვირთებს ავშლიდი. გახელებული წინ გავიჭრებოდი, როგორც გაუხედნავი კვიცი და ჩემივე თავდავიწყებული ქროლვის სიხარულით დავითვრებოდი. მაგრამ ვაი რომ ბედუინი კი არა, მხოლოდღა ბენგალელი ვარ. წინანდებურად ვზივარ მე მყუდროში ჩემი მჭმუნვარებით, ჩივილითა და ფილოსოფიით გულგასენილი. შემწვარი თევზის მსგავსად ვაბრუნებ ჩემს ტვინს აქეთ-იქით და მდულარე ზეთი ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს წვავს.

მაგრამ, დე, აგრე იყოს. რამდენადაც მე არ შემეძლია ნამდვილ ველურად გადავიქცე. შევეცდები, ნამდვილად ცივილიზებული ადამიანი მაინც ვიყო. რატომ გავთხაროთ მათ შორის უფსკრული?



გუშინ, აზარხის* პირველ დღეს, წვიმათა ალოს შემოდგომა ამ ამბისათვის შესაფერი ზეიმით აღინიშნა. მთელი დღე ხვატი იდგა, ხოლო ნასამხრალზე შავი ღრუბლები უცნაურ ტალღებად დაიჯარნენ ცაზე.

მე წვიმების ამ პირველ დღეს ჩაკეტილ ოთახში ჯდომას გარეთ გასვლა ვამჯობინე, თუნდაც რომ თხემით ტერფამდის დავესველებულიყავ.

1293 წელი** მეტად ხომ აღარ განმეორდება ჩემს ცხოვრებაში და კაცმა რომ თქვას, აზარხის კიდევ რამდენ პირველ დღეს შევესწრები? კარგა ხანსაც რომ ვიცოცხლო, ოცდაათჯერ თულა ვიხილავ აზარხის ამ პირველ დღეს, თავის მნიშვნელობით უკვდავყოფილს, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მაინც, მეგჰადუტას შემოქმედის მიერ.

მე ხანდახან მღელვარებით ვფიქრობ, რა უსაზღვროდ ბედნიერი ვარ მით, რომ ყოველი დღე თავის ადგილს იკავებს ჩემს ცხოვრებაში. იგი ხან განთიადის და დაისის მენამული დაფიონითაა განათებული, ხან მრუმე ღრუბელთაგან გადმოღვრილი მაცოცხლებელი სიგრილითაა აღვსილი, ხანაც თეთრი ლოტოსივით იშლება მოკაშკაშე მთვარიანში, – რა განუზომელი სიმდიდრეა!

ათასი წლის წინათ კალიდასა მიესალმე აზარხის პირველ დღეს და ჩემი სიცოცხლის ყოველ წელიწადში ერთხელ, მთელი თავისი დიდებით ბრწყინავს აზარხის იგივე

დღე, ეს თავისებური დღე ძველებურ უჯანთა მგალობელი-სა, რომელმაც აურაცხელ მამაკაცსა და დიაცს მოუტანა შეყრის სიხარული და ტანჯვა განშორებისა.

ყოველ წელს, საუკუნეთა ნათლითმოსილი ერთი ასეთი დღე მიდის ჩემი ცხოვრებიდან. მოვა ყამი და კალიდასას ეს დღე, დღე მეგჰადუტასი, ინდოსტანში ოდითგანვე წვიმათა პირველ დღედ

* აზარხი — იენის-იელისი, — წვიმების ალო.

** ძველინდური წელთაღრიცხვით.

წოდებული – ჩემთვის აღარ დადგება. როცა ამაზე ვფიქრობ, მოსიყვარულე თვალი მინდა მოვავლო ბუნებას, ალერსით შევხვდე მზის ყოველ ამოხდომას და გულითადი მშვიდობა ვუთხრა მინურვილ დღეს, როგორც ჩემს მახლობელს.

რა დიდებული დღესასწაულია, რა გრანდიოზული ზეიმი! და იგი გამოძახილს ვერ პოულობს ჩვენს გულში, იმიტომ, რომ ჩვენ ასე შორსა ვართ ბუნებისაგან. ვარსკვლავთა შუქი უზარმაზარ მანძილს ჰკეცავს, დედამიწას რომ მოაღწიოს, მაგრამ ჩვენს გულამდე ვეღარ აღწევს, – მეტად დიდი მანძილი ჰყოფს მას ჩვენგან!

მე საოცარი არსებებით დასახლებულ ქვეყანაში მოვხვდი. ისინი დღემდე, თავის გარშემო ზღუდეების ამართვითა და ყოველგვარი წესების დანესებით არიან გართულნი. და რა მონდომებით მიეფარებიან ხოლმე ფარდებს, რომ ვერაფერი დაინახონ და არც თვითონ მოხვდნენ თვალში ვისმე. გასაკვირია, ჯერაც რომ არ მოუგონიათ დაბამბული საბნები ყვავილთა შესაფუთნავად და ფარდაგები მთვარის შუქისაგან თავის დასაცავად. თუ მომავალი ცხოვრება ანმყოს სურვილების შესაბამისია, მე ჩვენი შეფარვული ცთომილის შემდეგ, სიხარულის ნათელსა და თავისუფალ საუფლოში უნდა ავლორძინდე.

მხოლოდ ის, ვისაც არ ძალუძს მშვენიერებასთან გულის სრულად შერწყმა, მხოლოდ იგი თუ შეხედავს ამრეზით ბუნებას. მაგრამ ვისაც მისი ენითუთქმელი მომხიბლაობის ძალა განუცდია, მან იცის, რამდენად შეუვალა იგი თვალისა და ყურის უმადლესი აღქმისათვის. გულისყურსაც კი არ ძალუძს ჩანვდეს მისი ფშვენისა და ჩურჩულის იდუმალ აზრს.

მე არა ვთქვი სწორედ ის, რის გამოც წერა დავიწყე. ნუ გეშინია, იგი ოთხ ფურცელს არ დაიჭერს კიდევ. სწორედ აზარხის პირველ დღეს, საღამოთი კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. ეგაა სულ.



მე აღარა მსურს მეტი მოგზაურობა. მე მინდა თავი შევაფარო მყუდროებას, მოვშორდე ბრბოს.

ინდოეთს ორი ასპექტი აქვს, ერთში ის მეპატრონეა, მეორეში – მოყარიბე განდევილი. პირველს უშინია თავის სამყოფლოდან ერთი ნაბიჯის გადადგმისა, უკანასკნელს არცა აქვს სახელი. მე ჩემში ვპოულობ ორივე ამ საწყისს. მე მინდა უსასრულო ხეტიალთ მოვიარო ეს უკიდევანო ქვეყნიერება. ამავე დროს კი მყუდრო სადგომი მენატრება. ისევე, როგორც ფრინველს ესაჭიროება საცხოვრებლად პატარა ბუდე და სანავარდოდ – უსაზღვრო ლაყვარდი.

მე ვოცნებობ მივარდნილ ადგილზე, იმიტომ, რომ იგი სიმშვიდეს მანიჭებს, ჩემს სულს გულწრფელად სწადია მოქმედება, მაგრამ პირველსავე ცდებისას ბრბოს დაჯახებული ისე მტკივნეულად შავდება, რომ გახელეებული ბღღვინავს და ბორგავს, როგორც გალიაში დამწყვდეული მხეცი. მას რომ მინიჭებული ჰქონდეს მეტი დრო და სიმარტოვე, რათა მშვიდად მიდამომჭვრეტელს ეფიქრა და ეოცნება თავისდა სანეტაროდ და შეძლებისდაგვარად გამოეთქვა კიდევაც თავისი განცდები და ნაფიქრალი – იგი სავსებით დაკმაყოფილებული იქნებოდა.

განმარტოების თავისუფლება – აი, რისი მოხვეჭა სურს ჩემს სულს, რომ მარტოდმარტო დარჩეს თავის საფიქრალთან, როგორც საკუთარ ქმნილებაზე გონდაუნჯებული შემოქმედი.



როდესაც მე გავიარე კალიგრამის ბიილები, ერთი შედარება მომაგონდა. აზრი მართალია არახალი, მაგრამ ზოგჯერ ძველი იდეები ჩვენს ცნობიერებაში განსაკუთრებულად რელიეფურ ინაკვთებიან.

წყლის მთელი სილამაზე განქარებულია, როდესაც ის კარგავს მისთვის დამახასიათებელ ნაპირებს და ერთსახოვან, უფორმო სივრცეში იფინება. იგივე ემართება ლიტერატურულ ენას. ზომა მისთვის ნაპირების მაგივრობას ეწვეა და ფორმას, სილამაზესა და ხასიათს ანიჭებს მას. როგორც ნაპირები აძლევს ყოველ მდინარეს მისთვის დამახასიათებელ თავისებურებას, ეგ-

რევე რიტმი გადააქცევს ყოველ პოემას ინდივიდუალურ ნახარ-
მოებად. პროზა კი ჰგავს ერთსახოვან, ფრიალა ბიილს. მერე კი-
დევე, მდინარისეულ წყალს დინება გააჩნია და წინ მიისწრაფის,
ბიილის წყალი კი მხოლოდ წყალდიდობის მეოხებით ფარავს სივ-
რცეებს. სწორედ ასევე, იმისთვის რომ მივანიჭოთ ენას სიძლიე-
რე, საჭიროა იგი ჩავეკეტოთ ზომის ვინრო კალაპოტში. არა და
იგი სულ უფრო და უფრო გაიფინება და წინ აღარ გაიწევს.

ამ ბიილებს ხალხი „მუნჯ წყალს“ უწოდებს. იგი უთქმელია,
მას არ გააჩნია თავისი ენა. მდინარე დაუცხრომლად დის და ხმი-
ანებს. ლექსის სიტყვებიც ასევე ხმიანებენ, მას არ გააჩნია „მუნ-
ჯი სიტყვები“, აგრე ჰბადებს იძულება ფორმის სილამაზეს, ძრა-
ობასა და მუსიკას. ვინრო საზღვრებში მნიფდება არა მარტო სი-
ლამაზე, არამედ ძალაც.

პოეზია ზომის თამაშს ბრმა ჩვეულების გამო კი არ ემორჩი-
ლება, არამედ იმისათვის, რომ ამ გზით იგი მოძრაობის სიხა-
რულს იძენს. გონებადახშული ადამიანები ფიქრობენ – ზომა ერ-
თგვარი სიტყვიერი ვარჯიში, ანდა მდიდრული სამკაულია, რი-
თაც საგანი აღტაცებული ბრბოს წინაშე უნდა გამოჩნდესო, –
არ არის სწორი. ზომაც ისევე იბადება, როგორც ყოველგვარი
სილამაზე სამყაროისა. მოძრაობა, შეზღუდული გარკვეული
საზღვრებით, ზომისმიერ ლექსს ისეთ სიძლიერეს ანიჭებს ადა-
მიანთა სულის გასამჭვალავად, რაიც მიუღწეველია მონოტო-
ნური და განთხეული პროზისათვის.

ასეთი აზრი მკვეთრად გამოიკვეთა ჩემს ცნობიერებაში, რო-
ცა ჩვენი ნავე მდინარიდან ბიილში და ბიილიდან მდინარეში
გადადიოდა.



ყველაფერი, რაც კი შემიძლია ვთქვა „იდუმალი პოეტების“
ირგვლივ მიმდინარე კამათის გამო, ისაა, რომ თუმცა გრძნობე-
ბის სიძლიერე შესაძლოა სავსებით ერთნაირი ჰქონდეთ მათ,
ვინც მდუმარეა და მათაც, ვინც მგალობელია, მაგრამ პოეზიას-
თან ამას არავითარი კავშირი არა აქვს. პოეზია გრძნობათა სა-
განი კი არ არის, არამედ ფორმათა შექმნა.

იდეები სახიერდებიან პოეტის სულში აღძრული რაღაც იდუმალი პროცესის ძალით, და ეს ქმედითი ძალა აძლევს სანყისს პოეზიას. ცნებები, გრძნობა, ენა – ნედლი მასალაა მხოლოდ. ერთს შეიძლება მინიჭებული ჰქონდეს გრძნობა, მეორეს ენა, მესამეს ერთიცა და მეორეც, მაგრამ მხოლოდ იგი, ვინაცა ფლობს ქმედით გენიას, მხოლოდ იგია პოეტი.



... მე ვფიქრობ იმაზე, თუ რატომ არ გვანიჭებს მთელი ფურცლები პროზისა იმ სიხარულის ნატამალსაც კი, რასაც ჩვენ მცირე ზომის დასრულებული პოემა განგვაცდევინებს ხოლმე. ეს იმიტომ, რომ პოემაში განცდანი იმოსებიან ფრიად სრულყოფილი ფორმით. თითქმის ყოველი მათგანი თითებით შეგვიძლია ავილოთ, მაშინ როცა პროზა ჰგავს ნედლ, ურჩსა და მძიმე მასალას, რომელსაც ვერ მოიხმარ სურვილისამებრ.

მე რომ შემეძლოს დღეში თითო ლექსის დანერა, ჩემი ცხოვრება ლალი და სიხარულით სავსე იქნებოდა. მაგრამ ვაგლახ, თუმცა მე დიდი ხანია ხელი მოვკიდე პოეზიას, ჯერ ვერ შევძელი მისი სავსებით მოთვინიერება, რომ ფრთოსან რაშად განაფული დავიურვო, როცა მე მომინდება. ხელოვნების სიხარული ისაა, რომ შემოქმედებითი ალტყინების ჟამს თავისუფლად შეიმართო წარმოსახვის უმაღლეს დირეებამდის, მაშინ ციხე-ქვეყნად მობრუნების დროსაც კი ყურებში ხმიანებს ტკბილი დვრინი და სული კიდემდის ავსილია ალტაცებით.



დღეს მე პატარა დაბიდან სკოლის მასწავლებლები მენვივნენ. ისინი მდუმარედ ისხდნენ და ისხდნენ და მე რომც მოგეკალით, არ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა მათთან. ყოველ ხუთ წუში მე ვჩხრეკდი ახალ შეკითხვას და შენიშვნას, მაგრამ ისინი იმწამსვე მაძლევდნენ უმოკლეს პასუხს, ხოლო მე კვლავ მდუმარედ ვიჯექი, კეფას ვიფხანდი და ხელში კალმისტარს ვანვალებდი.

ბოლოს მე მოვიგონე კითხვა ნათესების შესახებ. მაგრამ ისინი მხოლოდ სკოლის მასწავლებლები იყვნენ და არაფერი გაეგებოდათ ნათესებისა.

მოსწავლეებისა მე მათ უკვე ყველაფერი გამოვკითხე, რისი მოგონებაც კი შემეძლო, მაგრამ იძულებული ვიყავი თავიდან დამეწყო: რამდენი ბიჭია თქვენს სკოლაში? ერთმა თქვა ოთხმოციო, მეორემ – ას სამოცდათხუთმეტი. მე იმედით ავენთე, იქნებ ამან მაინც გამოიწვიოს კამათი-მეთქი, მაგრამ ვაგლახ! – ისინი სწრაფად მორიგდნენ ერთმანეთში.

მე არ შემეძლია ვთქვა საათნახევრიანი სტუმრობის შემდეგ რატომ გამომემშვიდობენ ისინი. მათ საფუძველი ჰქონდათ ერთი საათით ადრე მოემოქმედებინათ იგივე, ანდა თუ აგრეა, თორმეტი საათით გვიან. ცხადია, ამ გადანყვეტილებამდე ისინი წმინდა ემპირიული გზით მივიდნენ, რაიმე განსაზღვრული მეთოდის გარეშე.



გუშინ, როცა მე დარბაზობა მქონდა გამართული არენდატორებთან, უცებ, ხუთი თუ ექვსი ყმანვილი შემოვიდა და ჩემ წინ დიდი ამბით გამწკრივდა. ხმის ამოღება ვერ მოვასწარი, რომ მათმა ორატორმა დიდად მაღალფარდოვანი სტილით მომმართა: „ბატონო, წყალობამ ყოვლადძლიერისამ და თქვენთა უღირსთა შვილთა კეთილმა განგებამ ერთხელ კიდევ შეგვასწრო ამ სანახებში თქვენი ბრწყინვალეების სვიანად მოზრძანებას“. იგი მოჰყვა და კარგი ნახევარი საათი ამგვარად ლაპარაკობდა. დრო და დრო ავიწყდებოდა გაკვეთილი, ჩერდებოდა, მიაშტერდებოდა ჭერს და მერე ისევ განაგრძობდა. ბოლოს და ბოლოს მე გავიგე, რომ მათი სკოლა ცუდად იყო მომარაგებული სკამებითა და მერხებით. „ამ ფიცრულ მონყობილობათა გამო, – განაგრძობდა იგი, – ჩვენ არ ვუნყით, სად დავსხედით, სად დავსხათ ჩვენი პატივცემული მასწავლებლები და რაზე დავსვათ ჩვენი ღრმად პატივცემული ინსპექტორი, როცა იგი ჩვენს მოსახილველად ჩამოდის ხოლმე“.

მე ძლივს ვიკავებდი ღიმილს მჭევრმეტყველების ამ ნაკადისაგან, რომელიც ესოდენ პატარა ბიჭუკელას პირიდან იფრქვეოდა. იგი განსაკუთრებით უადგილო იყო აქ, გლეხების თანდასწრებით, რომლებიც თავიანთ დიდ გაჭირვებას სადა და უბრალო ადგილობრივი კილოკავით გამოთქვამდნენ. მაგრამ მოურავები და გლეხები მას, როგორც ეტყობოდა, დიდი გულისყურითა და შურითაც კი უსმენდნენ, თითქოს ნანობდენ, მშობლებმა მათაც რომ არ ასწავლეს თავიანთი ზემინდარისადმი მიმართვის ასეთი ჩინებული საშუალება.

მე სიტყვა შევანყვეტინე ორატორს და დავეპირდი, ვიზრუნებ სკოლის მერხებით მომარაგებისათვის-მეთქი. იგი არც კი შეტოკებულა, სიტყვის თქმა მაცალა, ისევ თავისას მიუბრუნდა და განაგრძო სწორედ იმ ადგილიდან, სადაც მე შევანყვეტინე. სათქმელი დაასრულა, მდაბლად თავი დამიკრა და თავისი რაზმეული ოთახიდან საზეიმო მარშით გაიყვანა.

მე მგონი, იგი ყურადღებას არ მიაქცევდა ჩემს უარს, მაგრამ უეჭველად დიდად განანყენებული დამრჩებოდა, სიტყვის დაზეპირებაზე განეული ამოდენა შრომის შემდეგ – მისი თუნდაც მცირე ნაწილიც რომ გასცდენოდა. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მელოდებოდა, იძულებული გავხდი, ბოლომდე მომესმინა მისთვის.



ვედანტა თითქოს ბევრსა შველის, რომ სამყაროსა და მისი პირველმიზეზის თაობაზე გონება ეჭვებისაგან იხსნას, მაგრამ ჩემი ეჭვები ვერაფრით გაიფანტა. ვედანტა ნამდვილად სხვა თეორიების უმრავლესობაზე მარტივია. ქმნილებისა და მისი შემოქმედის პრობლემა უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვითა ჩანს. მაგრამ ვედანტა არსებითად მას ნახევრად აუბრალოებს, როცა ჰკვეთს გორდისეულ კვანძს და ქმნილების საკითხს სავსებით ხსნის.

არსებობს მხოლოდ ბრაჰმა, სხვას ყველაფერს ჰგონია, რომ ის არსებობს. განსაცვიფრებელია, როგორ დაიგია ადამიანის

გონებამ ასეთი აზრი, მაგრამ კიდევ უფრო საკვირველია, რომ ეს იდეა, რარიგ უცნაურადაც მოგვეჩვენოს, საკმაო ლოგიკურობით წარმოგვესახვის, მთავარი სიძნელე, მე მგონი, ნამდვილად ისაა, დაამტკიცო „საგანი თავისთავად“ რომ არსებობს.

და როცა ახლა ნახევრად თვალეზიანი ნავის ზემო ბაქანზე ვწევარ, თავზე სავსე მთვარე დამნათის და ნაზი ნიავი მიგრძობს კითხვებით განამებულ თავს, ირგვლივ განფენილია ცა, წყალი და დედამიწა. მდინარეს ოდნავი ჭავლი მოსდებია, ახლოს მომცრო ნავი მისრიალებს, ხეთა ბუნდოვანი ქობა ჰკვეთს მთვარიანით განათებულ ველებს, ხოლო მათ უკან ჭალების ხშირი ჩრდილებით მობურული მძინარი სოფელი მოჩანს, – ყველაფერი ეს ჭეშმარიტად მაიას ილუზიასა ჰგავს. და მაინც იგი გულსა და გონებას უფრო რეალურად იტაცებს, ვიდრე თავად ჭეშმარიტება, რომელიც მხოლოდ აბსტრაქციაა. და სრულიად გაუგებარია, სულის რა ხარისხის შვებას მოგვიტანს ყველაფერ ამისაგან თავის დახსნა.



რელიგია, რომელსაც ჩვენ საღვთო წერილებიდან ვითვისებთ, ჩვენი გულის საკუთრებად არასოდეს იქცევა. ჩვენ მხოლოდ ჩვეულების ძალით ვართ მასთან დაკავშირებული. რელიგიის მოპოვება საკუთარ გულში – ეს დიდი და ვაჟკაცური საქმეა, რომელიც მთელ ცხოვრებადა ღირს. ტანჯვის მწვერვალებზე იბადება იგი, გულის სისხლით იზრდება და იმისდა მიუხედავად მოაქვს თუ არა შვება კაცისათვის, მისი ცხოვრების გზა აღსრულების სიხარულით მთავრდება.

ჩვენ ხშირად ვერ შეგვიგნია, რამდენად მცდარია ყველაფერი ის, რასაც სხვათა პირიდან ვისმენთ ან განუწყვეტლივ ვიმეორებთ საკუთარი თავს. ამ დროს კი დღითი დღე, აგური აგურს ედება და ჩვენ გულში საკუთარი ჭეშმარიტების ტაძარი შენდება. ჩვენ ვერ ჩავენვდებით ამ მარადი ქმნადობის საიდუმლოს, თუკი ჩვენს ჭმუნვასა და სიხარულს, ჩვენი ცხოვრების სიკეთისა და სიავის

დღეებს თვითეულს ცალ-ცალკე, სწრაფადმედინი დროის ფონზე განვიხილავთ. ისევე როგორც გაუგებარი ხდება წინადადების აზრი, როცა მას მარცვალ-მარცვალ დავანანეერებთ.

როგორც კი ჩავწვდებით საკუთარ გულში მიმდინარე შემოქმედებით პროცესის ერთობლივ სქემას, იმავე წუთში ნათელი ხდება სამყაროს მარადგანვითარებად პანორამასთან ჩვენი ურთიერთდამოკიდებულება. ჩვენ ვინყებთ იმის შეგნებას, რომ ყოფიერების შექმნის პროცესთან ჩვენცა ვართ წილნაყარნი, ამ ციურ სამყაროთა მსგავსად, რომელთაგან თითოეული თავის საკუთარ ორბიტზე მოძრაობს, – და ყველა ჩვენი მისწრაფება და ტანჯვა-წამება თავის შესაფერ ადგილს იკავებს მსოფლიოს მთლიანობაში.

მართალია, ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა ხდება. ჩვენ არაფერი ვიცით თვით უმცირესი ნაწილისაც კი. მაგრამ როცა ჩვენ შევიცნობთ, რომ საკუთარ გულში მიმდინარე სიცოცხლის ნაკადი მსოფლიოს საერთო ნაკადის სავსებით იდენტურია, ყველა ჩვენი საშვებელი და მწუხარება სიხარულის ერთ გრძელ ასხმად გვეჩვენება. სინამდვილის ფაქტები: მე ვარ, მე ვმოძრაობ, მე ვვითარდები, – მთელი თავისი უზარმაზარი მნიშვნელობით გადიშლება ჩვენთვის, როგორც კი შევიცნობთ რომ ყველაფერი დანარჩენი აქვეა, ჩემთანაა, და რომ მე ვერცერთი უმცირესი ატომი გვერდს ვერ ამივლის.

ჩემი გულის ურთიერთობა შემოდგომის ამ მომხიბლავ დილასა და მოკამკამე სივრცესთან ახლონათესაური დამოკიდებულებაა. ყველა ეს სურნელი, ფერი და მუსიკა სხვა არაფერია თუ არა ჩვენი იდუმალი ურთიერთობის გარეგანი გამოხატულება. ეს მუდმივი შეცნობილი თუ შეუცნობელი ურთიერთობა ჩემს გონებას აიძულებს ათრთოლებულმა იმუშაოს. ჩემი შინაგანი და გარე სამყაროს ურთიერთშეთანხმებით მე ვქმნი ჩემს რელიგიას, დიდსა თუ მცირეს, ჩემი ძალების შესაბამისად. ხოლო ამ სინათლეზე მე უკვე შემიძლია გავერკვე საღვთო ნერილებში მანამდე, სანამ მივიღებდე და შევითვისებდე მათ.

რ ე ა ლ ო ბ ი ს ბ უ ნ ე ბ ა

(თაგორისა და აინშტაინის საუბარი)

აინშტაინი. გნამთ, სამყაროსაგან იზოლირებული ღმერთი? **თაგორი.** იზოლირებული არა. ადამიანის დაუშრეტელი პიროვნება წედება სამყაროს. ადამიანისთვის არაფერია მიუნვდომელი. ეს ამტკიცებს, რომ სამყაროს ჭეშმარიტება ადამიანური ჭეშმარიტებაა.

ჩემი აზრის განსამარტავად ერთი მეცნიერული ფაქტით ვისარგებლებ. მატერია შედგება პროტონებისაგან და ელექტრონებისაგან, რომელთა შორის არაფერი არსებობს; მაგრამ მატერია – მთლიანი, იმ სივცობრივი კავშირების არმქონე გვეჩვენება, რომლებიც მის ცალკეულ ელექტრონებსა და პროტონებს აერთიანებს. კაცობრიობაც ზუსტად ასევე, ინდივიდუუმებისაგან შედგება; მაგრამ მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება და კავშირი ადამიანთა საზოგადოებას ცოცხალი ორგანიზმის მთლიანობას ანიჭებს. მთლიანობაში სამყარო ისევეა დაკავშირებული ჩვენთან, როგორც ცალკეული ინდივიდუუმები. იგი ადამიანის სამყაროა.

გამოთქმული იდეისათვის მე თვალი მიმიდევნებია ხელოვნებაში, ლიტერატურასა და ადამიანის რელიგიურ ცნობიერებაში.

აინშტაინი. ორი განსხვავებული კონცეფცია არსებობს სამყაროს ბუნების შესახებ:

1) სამყარო როგორც ადამიანზე დამოკიდებული ერთიანი მთლიანობა.

2) სამყარო როგორც ადამიანის გონებისაგან დამოუკიდებელი რეალობა.

თაგორი. როცა ჩვენი სამყარო ჰარმონიაშია მარადიულ ადამიანთან, ჩვენ ვწვდებით მას, როგორც ჭეშმარიტებას და შევიგრძნობთ ხოლმე როგორც მშვენიერებას.

აინშტაინი. მაგრამ ეს ხომ სამყაროს პირნმინდად ადამიანური კონცეფციაა.

თაგორი. სხვა კონცეფცია არც შეიძლება არსებობდეს. ეს სამყარო ადამიანის სამყაროა. მეცნიერული წარმოდგენები მასზე სწავლულების წარმოდგენებია. და ამიტომ ჩვენგან გამოცალკევებული სამყარო არ არსებობს. ჩვენი სამყარო ფარდობითია. მისი რეალობა ჩვენი ცხოვრებისაგან არის დამოკიდებული. არსებობს გონიერებისა და მშვენიერების ერთგვარი სტანდარტი, რომელიც ამ ქვეყანას უტყუარობას ანიჭებს, – მარადიული ადამიანის სტანდარტი, ვისი შეგრძნებებიც ჩვენსავე შეგრძნებებს ემთხვევა.

აინშტაინი. თქვენი მარადიული ადამიანი კაცობრიული არსის განხორციელებაა.

თაგორი. დიახ, – მარადიული არსისა. ჩვენ უნდა შევიმეცნოთ იგი საკუთარი ემოციებისა და ქმედების მეშვეობით. და ჩვენ ვიმეცნებთ უზენაეს ადამიანს, რომელსაც არ გააჩნია ჩვენთვის ნიშანდობლივი დასაზღვრულობა. მეცნიერება იმას განიხილავს, რაც ცალკეული პიროვნებით დასაზღვრული არაა. იგი ჭეშმარიტებათა პიროვნულის გარემყოფ ადამიანურ სამყაროს წარმოადგენს. ამ ჭეშმარიტებებს რელიგია ნვდება, რათა ჩვენს უღრმეს მოთხოვნილებებთან მათი კავშირი დაადგინოს. ამრიგად, ჭეშმარიტების ჩვენეული ინდივიდუალური შეცნობა ზოგად მნიშვნელობას იძენს. რელიგიის მეშვეობით ენიჭება ღირებულება ჭეშმარიტებებს და ვწვდებით რა მათ, ვგრძნობთ ჩვენს შორის არსებულ ჰარმონიას.

აინშტაინი. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება ან მშვენიერება ადამიანისაგან დამოუკიდებელი არაა.

თაგორი. დიახ, ასეა.

აინშტაინი. კაცთა მოდგმა უეცრად რომ განყვეტილიყო, განა აპოლონ ბელვედერელი აღარ იქნებოდა მშვენიერი?

თაგორი. რა თქმა უნდა, არა!

აინშტაინი. მშვენიერების ასეთნაირ კონცეფციას მე ვეთანხმები, მაგრამ არ შემიძლია დავეთანხმო ქეშმარიტების კონცეფციას.

თაგორი. რატომ? ქეშმარიტებასაც ხომ ადამიანი იმეცნებს?

აინშტაინი. მე არ შემიძლია ჩემი კონცეფციის სისწორის დამტკიცება, მაგრამ ეს ჩემი რელიგიაა.

თაგორი. მშვენიერება სრულყოფილი ჰარმონიის იმ იდეალშია დავანებული, რომელიც უნივერსალურ ადამიანშია ხორც-შესხმული. ქეშმარიტება უნივერსალური გონების სრულყოფილი წვდომაა. ჩვენ – პიროვნებანი, დიდი და წვრილმანი შეცდომების ჩადენით, გამოცდილების დაგროვებისა და საკუთარი გონების განათლების გზით ვუახლოვდებით ქეშმარიტებას, რადგან კიდევ რა გზით შეიძლება ქეშმარიტების შეცნობა?

აინშტაინი. მე არ შემიძლია დავამტკიცო, რომ მეცნიერული ქეშმარიტება კაცობრიობისაგან დამოუკიდებლად სამართლიან ქეშმარიტებად უნდა იქნას მიჩნეული, მაგრამ ეს მე ურყევად მჯერა. გეომეტრიაში პითაგორას თეორემა ადამიანის არსებობის დამოუკიდებლად ადგენს რაღაც მიახლოვებით ნამდვილს. ყოველ შემთხვევაში, თუკი ადამიანისაგან დამოუკიდებელი რეალობა არსებობს, მაშინ ამ რეალობის შესატყვისი ქეშმარიტებაც უნდა არსებობდეს, და პირველის უარყოფა უკანასკნელის უარყოფას იწვევს.

თაგორი. უნივერსალურ ადამიანში ხორცშესხმული ქეშმარიტება, არსებითად ადამიანური უნდა იყოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს, რასაც ჩვენ – ინდივიდუუმები შევიმეცნებთ, არასოდეს დაერქმეოდა ქეშმარიტება, უფრო კი მეცნიერული ქეშმარიტება, რომელსაც მხოლოდ იმ ლოგიკური პროცესების დახმარებით შეგვიძლია მივუახლოვდეთ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, აზროვნების იმ ორგანოს მეშვეობით, რომელიც პირწმინდად ადამიანურ ორგანოს წარმოადგენს.

ინდური ფილოსოფიის თანახმად, არსებობს ბრაჰმა, – აბსოლუტური ჭეშმარიტება, რასაც ცალკეული ინდივიდუუმის გონება ვერ შეწვდება და რაც სიტყვით არ გამოიხატება. იგი მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების უსასრულობაში სრული დანთქმის გზით შეიმეცნება. ასეთი ჭეშმარიტება არ შეიძლება მეცნიერებას განეკუთვნებოდეს. ხოლო იმ ჭეშმარიტების ბუნება, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, გარეგნულ ხასიათს ატარებს, ე.ი. იმას წარმოადგენს, რაიც ადამიანურ გონებას წარმოუდგება ჭეშმარიტებად, და ამიტომ ეს ჭეშმარიტება ადამიანური ჭეშმარიტებაა. მას შეგვიძლია მიაა, ანუ ილუზია ვუნოდოთ.

აინშტაინი. თქვენი კონცეფციის თანახმად, რომელიც შესაძლოა, ინდური ფილოსოფიის კონცეფციას წარმოადგენს, ჩვენ საქმე გვაქვს არა ცალკეული პიროვნების, არამედ ერთობლივ, მთელი კაცობრიობის ილუზიასთან.

თაგორი. მეცნიერებაში ჩვენ დისციპლინას ვემორჩილებით, უკუვაგდებთ ხოლმე ჩვენივე პიროვნული გონებისაგან დადგენილ ყოველგვარ შეზღუდვას და ამრიგად უნივერსალური ადამიანის გონებაში ხორცშესხმულ ჭეშმარიტებას ვწვდებით.

აინშტაინი. ჩვენი ცნობიერებისგან არის განა დამოკიდებული ჭეშმარიტება? აი, რა არის პრობლემა.

თაგორი. ის, რასაც ჩვენ ჭეშმარიტებას ვუნოდებთ, რეალობის სუბიექტურ და ობიექტურ ასპექტებს შორის რაციონალურ ჰარმონიას მოიცავს, რომელთაგან თითოეული უნივერსალურ ადამიანს განეკუთვნება.

აინშტაინი. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი ჩვენ იძულებულნი ვართ საგნებს, რომლებსაც მოვიხმართ, ადამიანისაგან დამოუკიდებელი რეალობა მივანეროთ. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ გრძნობათა ორგანოების მონაცემთა შორის გონივრული ურთიერთკავშირი დავამყაროთ. მაგალითად, ეს მაგიდა თავის-სავე ადგილას დარჩება იმ შემთხვევაშიც კი, როცა სახლში არავინ იქნება.

თაგორი. დიახაც, მაგიდა მიუწვდომელი იქნება ინდივიდუალური, მაგრამ არა უნივერსალური გონებისათვის. ჩემს მიერ აღქმული მაგიდა შესაძლოა აღქმული იყოს იმავე რიგის გონების მიერ, როგორც მე მაქვს.

აინშტაინი. ადამიანისაგან დამოუკიდებელი ჭეშმარიტების არსებობის შესახებ ჩვენი ბუნებრივი თვალთახედვის არც ახსნა შეიძლება და არც დამტკიცება, მაგრამ მისი ყველას სჯერა, თვით პირველყოფილ ადამიანსაც კი. ჩვენ ჭეშმარიტებას ზეადამიანურ ობიექტურობას მივანერთ. ჩვენი არსებობისაგან, ჩვენი ცდისაგან, ჩვენი გონებისაგან დამოუკიდებელი ეს რეალობა აუცილებელია ჩვენთვის, მიუხედავად იმისა, რომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რას ნიშნავს იგი.

თაგორი. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ მაგიდა როგორც მყარი სხეული მოჩვენებითობაა მხოლოდ, და მაშასადამე, ის, რასაც ადამიანის გონება მაგიდის სახით აღიქვამს, არ იარსებებდა, რომ არ არსებულებოდა ადამიანის გონება. ამავე დროს, ისიც უნდა ვალიაროთ, რომ მაგიდის ელემენტარული ფიზიკური რეალობა სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა ელექტრონულ ძალთა ცალკეულ მბრუნავ ცენტრებს, და მაშასადამე, ისევ და ისევ ადამიანის გონებას განეკუთვნება.

ჭეშმარიტების წვდომის პროცესში ხდება ხოლმე იმთავითვე არსებული კონფლიქტი უნივერსალურ ადამიანურ გონებასა და ცალკეული პიროვნების დასაზღვრულ გონებას შორის. შემეცნების განუწყვეტელი პროცესი მიმდინარეობს ჩვენს მეცნიერებაში, ფილოსოფიაში, ჩვენს ეთიკაში. ყოველ შემთხვევაში, კიდევაც რომ არსებულებოდა ადამიანისაგან დამოუკიდებელი აბსოლუტური ჭეშმარიტება, ჩვენთვის იგი აბსოლუტურად არარსებული იქნებოდა.

ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ გონება, რომლისთვისაც მოვლენათა თანმიმდევრობა სივრცეში კი არ ვითარდება, არამედ მხოლოდ დროში, მუსიკაში ნოტების თანმიმდევრობის

მსგავსად. ამისთანა გონებისათვის რეალობის კონცეფცია იმ მუსიკალური რეალობის მონათესავე იქნება, რომლისთვისაც პითაგორას თეორემას არავითარი აზრი არა აქვს. არსებობს ლიტერატურის რეალობისაგან უსასრულოდ შორს მდგარი ქალაქის რეალობა. ქალაქის მჭამელი ჩრჩილისათვის ლიტერატურა აბსოლუტურად არ არსებობს, მაგრამ ადამიანის გონებისათვის ლიტერატურას, როგორც ჭეშმარიტებას, უფრო დიდი ღირებულება გააჩნია, ვიდრე თვით ქალაქს. ზუსტად ასევე, თუკი არსებობს რამენაირი ჭეშმარიტება, რომელიც ადამიანური გონების მიმართ რაციონალურ ან გრძნობით ურთიერთობაში არ იმყოფება, იგი არარა იქნება მანამდე, სანამ ჩვენ ადამიანის გონებით მორჭმულ არსებებად არ ვიქცევით.

აინშტაინი. ამ შემთხვევაში მე უფრო რელიგიური ვარ, ვიდრე თქვენ.

თაგორი. ჩემი რელიგია – ჩემსავ საკუთარ არსებაში მარადიული ადამიანის, უნივერსალური გონის შემეცნებაა. ეს იყო თემა ჩემი ჰიბერტისეული ლექციებისა, რომელთაც მე „ადამიანის რელიგია“ ვუწოდე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში გამოქვეყნებული რაბინდრანათ თაგორის ნაწარმოებების, თაგორის შემოქმედებაზე დაბეჭდილი სტატიებისა და ნარკვევების, ქართულად გამოცემული თაგორის წიგნებისა და მათზე დაბეჭდილი რეცენზიების ბიბლიოგრაფია

ჟურნალ-გაზეთები და კრებულები

1. 1913. გაზ. „სახალხო გაზეთი“, სურათებიანი დამატება, N185; დაიბეჭდა თაგორის პორტრეტი და ცნობა მისი ნობელის პრემიით დაჯილდოებისა.

2. 1913. გაზ. „სახალხო გაზეთი“, სურათებიანი დამატება, N1051, 24/XI. ლეო ქიაჩელის სტატია „ინდოეთის თანამედროვე მგოსანი“, ფრანგულიდან პროზად თარგმნილი „გიტანჯალის“ 4 ლექსი და ჟურნ. Les Annales-დან თარგმნილი იგავი „მოცეკვავე ქალი“.

3. 1914. გაზ. „სახალხო განათლების გაზეთი“, სურათებიანი დამატება, N194, 26/I. სანდრო შანშიაშვილის მიერ გერმანულიდან თარგმნილი „გიტანჯალის“ 7 ლექსი, სათაურით „უზენაესი საგალობელი“.

4. 1914. გაზ. „სახალხო განათლების გაზეთი“, სურათებიანი დამატება, N195, 9/II. სანდრო შანშიაშვილის მიერ გერმანულიდან თარგმნილი „გიტანჯალის“ 8 ლექსი, სათაურით „უზენაესი საგალობელი“.

5. 1915. გაზ. „საქართველო“, N3 (126) გრიგოლ რობაქიძის მიერ გერმანულიდან თარგმნილი 5 ლექსი (2 „გიტანჯალიდან“).

6. 1916. კრებული „ჩანგი“. ტ. II. გვ. 344 (6 ლექსი, 2 „გიტანჯალიდან“) გრიგოლ რობაქიძის მიერ გერმანულიდან თარგმნილი.

7. 1916. გაზ. „საქართველო“, N26, 25/VI. გიორგი ლეონიძის მიერ თარგმნილი ლექსები წიგნიდან „მებაღე“.

8. 1917. გაზ. „საქართველო“, N1, 1/1. გიორგი ლეონიძის მიერ თარგმნილი ლექსები წიგნიდან „მებაღე“.
9. 1917. ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, N23. გიორგი ლეონიძის სტატია „აღმოსავლეთის სიტყვა ტაგორეზე“.
10. 1918. ურნ. „თეატრი და ცხოვრება“, N9. ლავრენტი ძიძიგურის მიერ რუსულიდან თარგმნილი 4 ლექსი.
11. 1945. ურნ. „მნათობი“, N4-5. „ნამგალა მთვარე“. თარგ. ლ. ძიძიგურისა.
12. 1953. ურნ. „მნათობი“, N11. „ჩემი ბალის ყვავილები“ თარგ. ლ. ძიძიგურისა.
13. 1954. გაზ. „კიროველი“, N25, 28/VI, „გიტანჯალიდან“. თარგ. თამაზ ჩხენკელისა.
14. 1954. ურნ. „დროშა“, N11. ბავშვი, მშვიდობა, სიყვარული. თარგ. ლ. ძიძიგურისა.
15. 1956. ურნ. „მნათობი“, N10. მინიატურები. თარგ. ლ. ძიძიგურისა, ლილი კალანდაძისა.
16. 1958. ურნ. „მნათობი“, N8. „გიტანჯალი“. თარგ. თ. ჩხენკელისა.
17. 1958. გაზ. „ლიტ-გაზეთი“, N37, 41. „მებაღე“. თარგ. გიორგი ლეონიძისა.
18. 1958. ურნ. „დროშა“, N9. ლექსი, თარგ. თ. ჩხენკელისა.
19. 1961. ურნ. „უნივერსიტეტის გაზეთი“, N16, 8/V. ლიტერატურული გვერდი: „დიდი ინდოელი მწერალი და მოქალაქე“.
20. 1961. ურნ. „ცისკარი“, N5. ინდოეთის სახელმწიფო ჰიმნი „ჯანაგანამანა“ და ლექსი „ბენგალიის მინა“. თარგ. თ. ჩხენკელისა.
21. 1951. ურნ. „სკოლა და ცხოვრება“, N6. არჩილ უშვერიძის სტატია „რაბინდრანათ თაგორი“.
22. 1961. ურნ. „მნათობი“, N5. ვ. ცომაიას სტატია „თაგორი და საბჭოთა კულტურა“.
23. 1962. ურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, N1. გ. გადილიას სტატია „რაბინდრანათ თაგორ — მხატვარი“.
24. 1965. კრებ. „არმაღანი“, „საბჭოთა საქართველო“. „გიტანჯალი“. თარგ. თ. ჩხენკელისა.

მონოგრაფია

25. 1961. თამაზ ჩხენკელი, რაბინდრანათ თაგორი (რედ. აკად. გ. ახვლედიანი).

წიგნები

26. 1927. მემკვიდრეობის დარაჯი. თარგ. ს. თავართქილაძისა

27. 1928. ლირიკა. თარგ. ლ. ძიძიგურისა.

28. 1956. რჩეული: მებაღე, თარგ. ლანა ლოლობერიძისა. ნამგალა მთვარე, თარგ. ლავრენტი ძიძიგურისა. კჰონიკა, თარგ. ლ. ლოლობერიძის, თ. ჩხენკელისა. გიტანჯალი, თარგ. თამაზ ჩხენკელისა. დღენი ჩემი სიჭაბუკისა, თარგ. ნუნუ ხომერიკისა.

29. 1958. ლირიკა და წერილები. თარგმნა თამაზ ჩხენკელმა.

30. 1960. გიტანჯალი. ინგლისურიდან თარგმნა თამაზ ჩხენკელმა.

31. 1961. მოთხრობები. თარგმნა ლილი კალანდაძემ.

32. 1961. მებაღე. ინგლისურიდან თარგმნა ციციწო გამყრელიძემ.

33. 1968. დღენი ჩემი სიჭაბუკისა. თარგმნა ნუნუ ხომერიკმა.

რეცენზიები


34. 1958. ურნ. „ცისკარი“, 8. რამაზ პატარიძე, თაგორის ნაწარმოებთა კრებული (რჩეული, 1956).

35. 1958. გაზ. „კომუნისტი“, N287. 13/XI. გოგი გაჩეჩილაძე, რ. თაგორი ქართულად (თ. ჩხენკელის თარგმანი).

36. 1960. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, N124, 15/X. რევაზ თვარაძე, „გიტანჯალი“ ქართულად (თ. ჩხენკელის თარგმანი).

37. 1961. ურნ. „მნათობი“. N5. რამაზ პატარიძე, თაგორის „გიტანჯალი“ ქართულად (თ. ჩხენკელის თარგმანი).

ახალი ინდოეთის მოამბროვნები



მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი ს ა ღ მ ი

აქ წარმოდგენილი ლექციები და წერილები დიდ ინდოელ მოაზროვნეებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს ეკუთვნით. მათში განმარტებულია ინდური ფილოსოფიის ძირეული ცნებები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც ინტელექტუალური ლანდშაფტის უჩვეულობის გამო ძნელად ითარგმნება უცხო ენაზე. გადავლახავთ თუ არა გარეგან სიძნელებს, ჩვენ – ნათესაური ადამიანური გულის, არა მაინცა და მაინც ინდურის, ან ევროპულის, არამედ უბრალოდ, ადამიანური გულის კონგენიალურ ფეთქვას ვიგრძნობთ, – წერდა ინდოეთის ყოფილი პრეზიდენტი ს. რადჰაკრიშნანი.

ინდურ აზროვნებას უკვე ორი საუკუნეა, რაც იცნობენ ევროპასა და რუსეთში. მისი სიღრით და სიდიადით მოხიბლულნი იყვნენ გოეთე და ჰეგელი, ტორო და ემერსონი, ჰარტმანი და შოპენჰაუერი. XX ს-ში, – წერს ჰიუბშერი, – პირველყოფილ-მითოსურისადმი და დასაბამიერისადმი ლტოლვამ ევროპელი მოაზროვნეების (მწერლებისა და პოეტების) ყურადღება კვლავ მიმართა აღმოსავლეთისაკენ, კერძოდ, ინდოეთისაკენ. ახალ დროში ევროპული და ინდური აზროვნების მჭიდრო კონტაქტის ინიციატორები იყვნენ ვივეკანანდა და რომენ როლანი.

ვივეკანანდას (1862-1902) სახელთან არის დაკავშირებული ახალი დროის ინდური ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელი. ვივეკანანდა იყო ერთერთი დამაარსებელთაგანი ინდოეთის ნაციონალური მოძრაობისა. პირდაპირ თუ არაპირდაპირ მან უდიდესი გავლენა მოახდინა თანადროული ინდოეთის განვითარებაზე, – წერდა ჯ. ნერუ. აბხედანანდა, რომლის წიგნიდან (ატმა-ჯნანა) მცირე ნაწყვეტი გვაქვს თარგმნილი, ვივეკანანდას მონაფეთაგანი იყო.

მაჰატმა განდის, ჩვენი დროის ინდოეთის უსაჩინოეს პოლიტიკურ მოღვაწესა და მოაზროვნეს, უთუოდ იცნობს მკითხველი. მისი წიგნი „ჩემი ცხოვრება“ ორგზის დაისტამბა ჩვენში.

ჯ. ნერუ დამოუკიდებელი ინდოეთის (1947) პირველი პრემიერმინისტრი, ხოლო ს. რადჰაკრიშნანი პირველი პრეზიდენტი იყო, და ესეც, რა თქმა უნდა, ეცოდინება მკითხველს. მათი წიგნები „ინდოეთის აღმოჩენა“ და „ინდური ფილოსოფია“ 1955 – 57 წლებში გამოიცა.

ამ წერილების მიზანია ინდური ფილოსოფიის კარიბჭემდე ყველაზე საომედო ბილიკებით და ყველაზე გამოცდილი მეგზურების წინამძღვრობით მიიყვანოს მკითხველი.

თ. ჩ.

1978

ვიეკანანდა

ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ი ლ ე ქ ც ი ე ბ ი დ ა ნ



ყოველი კაცის მოვალეობაა თავისი ხალხის იდეალების შესაბამისად იქცეოდეს. კაცმა ის უნდა აკეთოს, რაც აამაღლებს, და სიქველით შემოსავს მას თანამემამულეთა თვალში.

ნურასოდეს დაივიწყებთ, რა დიადია ადამიანი თავისი ბუნების მეოხებით. მე ვარ უდიდესი ღვთაება, ვინც ოდესმე ყოფილა ან იქნება. ქრისტე, ბუდა და სხვანი მხოლოდ ტალღებია თვალუწიერი ოკეანისა, ოკეანე კი მე ვარ.



უდიდესი ადამიანები შეუმჩნეველნი იყვნენ მუდამყამს. ჩვენთვის ცნობილი ქრისტე და ბუდა მეორე თანრიგის გმირები არიან იმ დიდებამოსილებთან შედარებით, რომელთა შესახებ მსოფლიომ არაფერი იცის. ამნაირ უცნობ გმირთა ასეულნი ცხოვრობდნენ ყველა ქვეყანაში. ისინი ჩუმად მუშაკობდნენ, ჩუმად ცხოვრობდნენ და ჩუმადვე კვდებოდნენ. მაგრამ დროთა მანძილზე ბუდათა და ქრისტეთა მოძღვრებაში პოულობდა გამოძახილს მათი აზრები. და ამიტომ მხოლოდ ესენი არიან ჩვენთვის ცნობილნი. კაცთა შორის უფრო მაღალთა და მაღლად მხედთათვის არარაა სახელის მოხვეჭა. ისინი თავიანთ იდეებს მსოფლიოს ანდობენ და საკუთარი სახელობის არავითარ სკოლასა და სისტემას არ აარსებენ. ეგ უხამსობა იქნებოდა მათთვის. მათ არაფრის დაჩემება არა სურთ, რაკი უჩუმარი, სიყვარულში განხევებული წმინდა ს ა ტ ვ ი კ ა ს ე ბ ი არიან...

გაუტაბა ბუდამ თქვა, რომ იგი ოცდამეხუთე ბუდა იყო. ოცდაოთხი მისი წინამორბედი უცნობია ისტორიისათვის, თუმცა ჩვენთვის ცნობილმა ოცდამეხუთემ მათ მიერ ჩაყრილ საძირკველზე იყო იწყო შენება. კაცთა შორის მაღლად მხედნი შეუმჩნეველნი არიან მუდამ, რადგან მათ იციან ჭეშმარიტი აზრის ძალმოსილება. მათ იციან, რომ მღვიმეში ამოქოლილებმა ხუთი ჭეშ-

მარიტი აზრიც რომ მოიაზრონ, ეს ხუთი აზრი მარადისობას გასწვდება. და მართლაც, ეს აზრები გაჰკვეთენ წყალსა და ქარს, გადალახავენ მთებსა და ზღვებს, მთელ მსოფლიოს მოეფინებიან. ეს აზრები შეაღწევენ და კაცთა სულსა და გულში დაიბუდებენ, ისინი შობენ ადამიანებს, რომლებიც კაცობრიობის ცხოვრებაში პრაქტიკულად განახორციელებენ მათ... ბუდანი და ქრისტიანი მოველინებიან ქვეყანას და იქადაგებენ ამ ჭეშმარიტებებს. მაგრამ სატვიკასები მეტად მიახლოვებულნი არიან ღმერთთან, რათა იბრძოლონ და იმოქმედონ, რათა იქადაგონ, ანუ — როგორც ქვეყნიერნი იტყვიან — სიკეთე მოუტანონ კაცობრიობას.



უკეთუ ეძიებთ ღმერთს სიყვარულისას, ნურასოდეს დავინწყებთ, რომ იგი ძალაა უმაღლესი. სინმინდებზე უფრო დიდი ძალმოსილება არ არსებობს... ღვთისადმი დიდი სიყვარული დაბუნთათვის მიუღწეველია. მაშ, ნურც სულითა და ნურც სხეულით დადაბუნდებით. ძლიერნი, ძლიერნი, ძლიერნი იყავით.

ძლიერება, ვაუკაცური გონი, მუდმივი ზრუნვა საზოგადო სიკეთისათვის და სრული უანგარობაა პირობა მიზნის მისაღწევად... და კიდევ ერთი რამ: სურვილი მიზნის მიღწევისა.



კაცმა შეიძლება არ იცოდეს არც ერთი ფილოსოფიური სისტემა, არ ირწმუნოს არც ახლა და არც მომავალში არავითარი ღმერთი, შეიძლება თავის სიცოცხლეში არც ერთხელ არ ილოცოს, მაგრამ უკეთუ მას ძალა კეთილი საქმეებისა იქამდე მიიყვანს, რომ მზად იქნება სხვებისთვის გასწიროს სიცოცხლე და ყველაფერი, რაც აბადია ან რაც ახლავს, — იგი შეიმართება უმაღლეს მწვერვალებამდე, რასაც მორწმუნენი თავიანთი ლოცვებით, ხოლო ფილოსოფოსნი თავიანთი ცოდნით აღწევენ.

მამაცნი იყავით! სიმამაცე უმაღლესი სიკეთეა. ყველას შეუპოვრად უქადაგეთ სიმართლე — დაუფარავად, უშიშრად, უკომპრომისოდ, და ნუ ზრუნავთ მდიდართა და ქედმაღალთათვის! მდიდრებთან ჩვენ არაფერი გვესაქმება. მათ წინაშე ლაქუცი, ლიქნა და პირფერობა როსკიპი ქალის საქმეა.

ჩვენი ვალია გლახაკთა და უპოვართა მახლობლად ყოფნა. ესენი უნდა შევიყვაროთ, სიხარულით ვემსახუროთ, თავი შევწიროთ.

შივა, შივა! განა ოდესმე დიდი საქმე მდიდართა მეოხებით გასრულებულა? ქმნის გული და გონება, და არა ფულით გატყენილი ქისა!..

ჩვენ უპოვარნი ვართ, ჩემო შვილებო, ჩვენ არარანი ვართ, მაგრამ სწორედ ისინი, ვისაც არარაობად თვლიან, სწორედ ისინი არიან საჭურველნი ზენაარისა...



თუკი თქვენ მოინდომებთ საკუთარი თავის ხსნას, ჯოჯოხეთში მოხვდებით. სხვების ხსნას უნდა ეცადოთ. უმჯობესია, სხვებისთვის მეცადი ჯოჯოხეთში მოხვდე, ვიდრე საკუთარი თავის ხსნისათვის ცა მიითვალო... რამაკრიშნამ ქვეყანას შესწირა თავი და მეც მსხვერპლად მინდა გავიღო სიცოცხლე. და თქვენც, თქვენ ყველამ იგივე უნდა მოიმოქმედოთ. ყველა ეს მსხვერპლი დასაწყისი იქნება მხოლოდ. ჩვენგან დანთხეულ სისხლზე ბუმბერაზნი დაიზრდებიან, — გმირი მუშაკები, რომლებიც მსოფლიოს გადაატრიალებენ.

მსოფლიოს ისტორია რამდენიმე თვითმრწმენი კაცის ისტორიაა. ეს რწმენა იხმობს ხოლმე გულში დამარხულ ღვთაებას: თქვენ ძალგიძთ ყოველი! და მხოლოდ მაშინ დამარცხდებით, თუ არ დაძაბავთ ძალას თქვენშივე დაფარული დაუსაბამო ძლიერების გამოსავლენად. იმ წამსვე, დაჰკარგავს თუ არა კაცი ან ერი საკუთაერი თავის რწმენას, სიკვდილი მოდის. უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავი ირწმუნეთ და მერე ღმერთი. ძალგულოვანთა ერთი გუნდი მთელ ქვეყანას ააყირავებს.



ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრიბება... თუკი ერი მას უკუაგდება, თუკი იგი უკუაგდება საკუთარი ცხოველმყოფელობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმო-

ცემულ გეზს, ეს ერი კვდება. ინგლისელებისთვის სასიცოცხლო პრინციპი პოლიტიკური ძლევამოსილებაა, სხვა ხალხისათვის მხატვრული გატაცება. ინდოეთისათვის მთელი აკორდის ტონიკას რელიგიური ცხოვრება წარმოადგენს, ამიტომ თუკი თქვენ უკუაგდებთ რელიგიას და სასიცოცხლო ცენტრად მას პოლიტიკასა და სოციოლოგიას გაუხდით, თქვენ ჩააქრობთ მის სიცოცხლეს. ...პოლიტიკური და სოციოლოგიური რეფორმები ინდოეთში რელიგიის გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს.

ყოველი კაცი, ყოველი ერი მოწოდებულია აირჩიოს თავისი ხვედრი. ჩვენ მრავალი საუკუნის წინ ავირჩიეთ ჩვენი ხვედრი. ეს არის რწმენა უკვდავი სულისა... მე გაფრთხილებთ, არ უღალატოთ მას. თქვენ ვერ უღალატებთ საკუთარ ბუნებას.

ნუ ჭმუნავთ! თქვენ აირჩიეთ მადლიანი, კეთილი ხვედრი. დიდი ძალაა თქვენს ხელთ. თუკი შეიცნობთ მას და იქნებით მისი ღირსნი, მთელ მსიფლიოს გადააბრუნებთ. ინდოეთი სულიერების განგია. ანგლო-საქსური რასის მატერიალური მიღწევები, რომლებსაც არ ძალუძს მისი ოდნავადაც შეფერხება, შექმნილია სწორედ მის განსაფენად. ინგლისის ძლევამოსილებამ შეაკავშირა მსოფლიოს ხალხები, გაკვალა გზები ოკეანისა, რათა ამ გზებზე ინდოეთის სულმა იდინოს, ვიდრე დედამიწის კიდებამდე არ მიიქცევა.



იგი, რასაც ელოდება დღეს მთელი მსოფლიო, და შესაძლოა, უფრო მეტად დაბალი კლასები, ვიდრე მაღალი, უბირნი უფრო მეტად, ვიდრე გონების არისტოკრატია, დამორგუნველებზე უფრო დათრგუნვილები — ეს არის მსოფლიოს სულიერი ერთიანობის გრანდიოზული იდეა. ეს არის ერთადერთი და დაუსაბამო არსი, რომელიც ყოველში არსებობს, თქვენშიც და ჩემშიც, ჩემს გულში და ყველას გულში... ეს არის დაუსაბამო ერთობა სულისა, იდეა, რომ მე და შენ არა მარტო ძმები ვართ, არამედ ეს ერთი და იგივეა. ევროპას ესაჭიროება იგი ისევე, როგორც ჩვენს დათრგუნვილ მასებს. ეს დიადი პრინციპი ამჟამად საფუძვლად უდევს, თუმცა კი გაუცნობიერებლად, ინგლისის, გერმანიის,

საფრანგეთისა და ამერიკის ყოველ ახალ პოლიტიკურ და სიცი-
ალურ მისწრაფებას.

და სწორედ ეს არის საფუძველი უძველესი ვედანტური
მოდღვრებისა, ინდური გონის ათასწლოვან ქმნილებათაგან ყვე-
ლაზე უფრო ღრმა და წმინდა მოძღვრებისა.



მე მსაყვედურობენ, რომ ასე ბევრს ვქადაგებ ა დ ვ ა ი ტ ი ზ მს
და ასე ცოტას დუალიზმს. დიახ, მე ვიცი, რა სიდიადეს, სიყვა-
რულის რა ოკეანეს, რა კურთხევასა და ექსტაზურ სიხარულს
აფრქვევენ დუალისტური რელიგიები... მე ვიცი ეს. მაგრამ ჩვენ
ახლა დრო არ გვაქვს გულჩვილობისა. ამდენი ხნის გულჩვილო-
ბამ ბამბის ნაკრაულს დაგვამსგავსა.

ჩვენს ქვეყანას ახლა სჭირდება რკინის კუნთები, ფოლადის
ნერვები, უტეხი ნება, რომელსაც ვერაფერი დაუდგება წინ და
რომელიც მიზნის მისაღწევად თუ საჭიროა ზღვის ფსკერზე და-
ეშვება და პირისპირ შეხვდება სიკვდილს. აი, რა გვჭირდება
ჩვენ! და ყოველივე ეს შეიქმნება, დადგინდება და განმტკიცდე-
ბა, თუკი ჩვენ განვახორციელებთ ა დ ვ ა ი ტ ა ს ი დეალს — საყო-
ველთაო ერთობას.

რწმენა, რწმენა, რწმენა საკუთარი თავისა!

თუკი თქვენ იწამებთ იმ თქვენს სამას მილიონ მითოლოგი-
ურ ღმერთს და სხვა ღმერთებსაც, რომლებსაც უცხოელები მო-
გიტანენ, თქვენი ხსნა არ იქნება. ირწმუნეთ თავი თვისი!..



რატომ არის, რომ ერთი მუჭა უცხოელები ათასი წლის გან-
მავლობაში თავზე ასხედან სამასმილიონიან ხალხს? იმიტომ,
რომ მათ ჰქონდათ რწმენა საკუთარი თავისა, ჩვენ კი არა გვქო-
ნია. მე წავიკითხე გაზეთში, თუ როგორ მოკლა ან შეურაცხყო
რომელიღაც უბედური ინდოელი ინგლისელმა. და მთელი ქვე-
ყანა ჰგოდებს. მაგრამ მერე ვეკითხები თავს, — ვინ აგებს პა-
სუხს? ჩვენ და არა ინგლისელები! ჩვენ ვაგებთ პასუხს ინდოე-
თის დაცემისა და დაკნინებისათვის! ჩვენი არისტოკრატი წინაპ-

რები ისე დიდხანს თრგუნავდნენ მდაბიოთა მასებს, რომ ისინი უმწეონი გახდნენ, — ისე დიდხანს, რომ ტანჯვა-წამებამ ამ უბედურ ხალხს გადაავინყა ადამიანური არსებობა. ისინი ისეთ დაბალ საფეხურზე დაეშვნენ და იქამდე მივიდნენ, რომ ფიქრობენ მონებად ვართო დაბადებულნი...



თქვენ — პატრიოტებად და რეფორმატორებად წოდებულნი — გრძნობთ თუ არა, რომ ღმერთთა და ბრძენთა შთამომავალი ხალხი ნახირს დაემსგავსა? გილონდებათ თუ არა ამის გამო გული, გიფრთხებათ თუ არა ძილი? გრძნობთ თუ არა, რომ უმეცრება შავი ნისლივით დაანვა ქვეყანას და ამისაგან ჭკუაზე იშლებით?

საუკუნეთა განმავლობაში ჩვენს ხალხს უნერგავდნენ მისთვის დამამცირებელ აზრებს. მთელი დედამიწის ზურგზე მასებს ეუბნებიან, რომ ისინი არარა არიან. ხალხს ისე აშინებდნენ საუკუნეთა განმავლობაში, რომ თითქმის ცხოველთა ჯოგს დაამსგავსეს. მათ არასოდეს აძლევდნენ ნებას მოესმინათ საუბარი ა ტ მ ა ნ ის შესახებ... დაე, მათაც გაიგონ საუბარი ატმანის შესახებ. დაე, იცოდნენ, მათ შორის უმდაბლესიც თავის გულში რომ ატარებს ატმანს, ატმანს, რომელიც არასოდეს შობილა და არასოდეს კვდება, ატმანს, რომელსაც ხმალი არ სჭრის და ცეცხლი არ სწვავს, — უკვდავ, დაუსაბამო, უსასრულო, უწმინდეს, ყოვლისშემძლე ატმანს!

დაე, ყოველმა კაცმა, ყოველმა დიაცმა, ყოველმა ბავშვმა — განურჩევლად წარმოშობისა, კასტისა, ძლიერებისა და უძლურებისა — შეიცნოს და იცოდეს, რომ ძლიერთა და უძლურთა მიღმა, აღზევებულთა და მდაბალთა მიღმა, ყველასა და თვითეულის მიღმა დგას ეს უსასრულო სული, რომელიც თვითეულისათვის უსასრულო შესაძლებლობებისა და დიდების, სიკეთის უსაზღვრო ნიჭის საწინდარია.

აღდექით, აღდექით ძილისაგან! და ნუ შეჩერდებით, ვიდრე მიზანს არ მიაღწევთ. გამოფხიზლდით! გაიღვიძეთ ამ მომწუსხველი სიძაბუნისაგან! ნამდვილად არც არავინაა სუსტი: უსასრულოა, ყოვლისშემძლეა, ყოვლის მცოდნეა სული.

აღდექით!

ჩვენ რელიგია გვინდა, რომელიც ადამიანებს შეჰქმნის!

ჩვენ აღზრდა გვინდა, რომელიც ადამიანებს შეჰქმნის!

ჩვენ მოძღვრება გვინდა, რომელიც ადამიანებს შეჰქმნის!

აი, ჭეშმარიტების თვალი პატიოსანი: ყველაფერი, რაც გა-
ძაბუნებთ, რაც აძაბუნებს თქვენს სხეულს, გონებასა და სულს
— უკუაგდეთ! ჭეშმარიტება სიძლიერეა! ჭეშმარიტება სინმინ-
დეა! ჭეშმარიტება სინათლეა! იგია წყაროსთვალის ენერჯისა...

უკუაგდეთ ეგ თქვენი დამაძაბუნებელი მისტიციზმი და ძალ-
გულოვნება შეიმოსეთ! სამყაროს უდიდესი ჭეშმარიტებანი უბ-
რალოა, უბრალოა, როგორც თქვენივე ყოფიერება.

აი, რატომ მაქვს დასახული მიზნად შეეკმნა ინდოეთში და-
ნესებულებანი, სადაც ჩვენს ჭაბუკებს შეასწავლიან მარადიულ
ჭეშმარიტებათა ქადაგებას ინდოეთსა და ინდოეთს გარეთ. ადა-
მიანები გვინდა, ადამიანები! ყოველივე დანარჩენს მერეც მო-
ვესწრებით. ახალგაზრდა, ლომგული, ენერჯიული, თხემით ტერ-
ფამდე რწმენით სავსე გულწრფელი ადამიანები — აი, როგორი
ხალხი მჭირდება მე! მომეცით მათი ასეული და ქვეყანას ავაყი-
რავებ. ნება ქვეყანაზე ძლიერია. ნებას უნდა დაეთმოს ყოველი,
რამეთუ იგია ღმერთი. წმინდა, ძალმოსილ ნებას ყოველი ძა-
ლუძს!



მომავალი ოცდახუთი წლის მანძილზე ჩვენი გონებიდან უნ-
და გაქრეს ყველა ცრუ ღმერთი. ჩვენი საკუთარი ხალხია ის ერ-
თარსი ღმერთი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს უნდა გაიღვიძოს.
ყველგან მისი ხელ-ფეხია. ყველგან მისი ასოები და სხეულია.
ყველა სხვა ღმერთს სძინავს. რად გინდათ, უსაშველოდ ეძებთ
ღმერთები, უკეთუ თაყვანს არა სცემთ ღმერთს ვ ი რ ა ტ ა ს, რო-
მელსაც თქვენს გარშემო ხედავთ? ყველა კულტთა შორის უპირ-
ველესია ვ ი რ ა ტ ა — თქვენს გარშემო მყოფი ადამიანების კულ-
ტი. ადამიანები, ცოცხალი ადამიანები — აი, ჩვენი ღმერთები!
და უპირველესი ღმერთები, ვისაც ჯერ არს თაყვანი ვცეთ, ჩვე-
ნი თანამემამულენი არიან.

მ ა ი ა ღ ა ი ლ უ მ ი ა

თითქმის ყველა თქვენგანს გაუგია სიტყვა მ ა ი ა. ჩვეულებრივ, მას გრძნობათა მოცუთუნების, ილუზიის, ხიბლის აღსანიშნავად ხმარობენ. მე არასწორად მიმაჩნია ეს. ხოლო ვინაიდან ამ სახელით გამოხატული ცნება ერთ-ერთი იმ ბურჟთაგანია, რომელზედაც ვედანტაა დაფუძნებული, მასზე რამდენადმე უფრო ხანგრძლივად შევჩერდები...

ვედურ ლიტერატურაში სიტყვა მაია თავდაპირველად მართლაც ხიბლის მნიშვნელობით იხმარება. იქ ამგვარი გამონათქვამი გვხვდება: „ინდრა თავისი მაიას მეშვეობით სხვადასხვანაირ სახეს იღებდა“. აქ სიტყვა მაია თითქოს რაღაც მაგიურს გამოხატავს. მაგრამ მაშინ, როცა ეს ინერებოდა, მაიას თეორია ჯერ არ იყო დამუშავებული, შემდეგ ეს სიტყვა სულაც არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიტყვით აღნიშნული იდეის განვითარება გრძელდება. უფრო გვიან ასეთი კითხვა გვხვდება: „რატომ არ ძალგვიძს გავიგოთ სამყაროს საიდუმლოება?“ პასუხი: „იმიტომ, რომ ფუჭი ლაპარაკითა და გრძნობითი საგნებით ვკმაყოფილდებით, აგრეთვე იმიტომ, რომ სურვილებითა ვართ გატაცებულნი და სინამდვილეს თითქოსდა ნისლითა ვბურავთ“. აქ სიტყვა მაია არა ჩანს, მაგრამ მისი იდეა კი გამოსჭვივის: ჩვენი უმეცრების მიზეზად წარმოდგენილია ნისლი თუ ბური, რომელიც ჩვენგან ფარავს ჭეშმარიტებას. ბევრად უფრო გვიან, ერთ-ერთ უპანიშადაში, სიტყვა მაია ისევ გამოჩნდება, მაგრამ ამ დროისათვის მისი მნიშვნელობა უკვე დიდად შეცვლილი ჩანს. წამოყენებული და უარყოფილი იყო მისი მრავალგვარი განმარტება, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, ამ სიტყვით გამოხატული იდეა საბოლოოდ არ დადგინდა. შვეტა-შვატარა უპანიშადაში ჩვენ ვკითხულობთ: „უნყოფე, რომ ბუნება მაია არის, ხოლო გონება, რომელიც მას წარმართავს, თავად უფალი“.

დიდ შ ა ნ კ ა რ ა მ დ ე ჩვენი ფილოსოფოსები ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობდნენ. ნაწილობრივ ბუდაელნიც მეცადინეობდნენ ამ თეორიისათვის, და მათ შორის მიიღო ამ

სიტყვამ იძასთან ძალიან დაახლოვებული მნიშვნელობა, რაც ახლა იდეალიზმად იწოდება. ბუდაურ ფილოსოფიურ სკოლათა შორის იყო გარესამყაროს არსებობის საკვებით უარმყოფელი ერთი სკოლა, რომელიც ამ სოფელს ილუზიად მიიჩნევდა და მას მაიას უწოდებდა. აქედან მიეცა დასაბამი მაიას იმ აზრით ხმარებას, რომელიც წინამდებარე წერილის თავში იყო აღნიშნული.

მაგრამ ვედანტას მაია, მისი განვითარების უკანასკნელი სახით, არც იდეალიზმია და არც რეალიზმი. იგი თეორიაც არ არის, არამედ უბრალოდ, აღმნიშვნელია იმისა, რასაც წარმოვადგენთ ჩვენ და ჩვენი გარემომცველი სინამდვილე... რანი ვართ ჩვენ და რას წარმოადგენს ჩვენი გარემომცველი სამყარო? ამ კითხვას ახლა, ჩვეულებრივ, ასე პასუხობენ: ჩვენ სამყაროს გაცნობა მხოლოდ ახლა დავიწყეთ, დავიცადოთ რამდენიმე ათასწლეული და საკითხი თავისთავად გადაიჭრება. გარესამყაროს ვერავითარი შემეცნება, — ამბობს ვედანტელი, — ვერასოდეს ვერ გაცემს პასუხს ამ კითხვას. გონება დასაზღვრულია, ხოლო მისი საზღვრების გადალახვა შეუძლებელია. ადამიანის გონებას არ ძალუძს უარყოს დროის, სივრცისა და მიზეზობრიობის კანონის ცნებები. ისევე როგორც არც ერთ კაცს არ ძალუძს გაძვრეს თავისი ტყავიდან, არავის არ ძალუძს გავიდეს მისთვისა და ყველა ჩვენთაგანისათვის დასაზღვრული დროისა და სივრცის კანონის საზღვრებიდან. მათი ამოხსნის ყოველგვარი ცდა უსარგებლოა, ვინაიდან თავად საკითხი უკვე თავისთავში მოიცავს ამ სამის არსებობის აღიარებას, ხოლო ეს სრულებითაც არ არის დამტკიცებული.

რას გვეუბნება სამყაროს არსებობაზე ვედანტა? იგი გვეუბნება, რომ ამ სამყაროს არ ახლავს უთუო არსებობა, თუმცა ფარდობითად არსებობს ჩემსა და თქვენს ცნობიერებასთან მიმართებაში. ჩვენ აღვიქვამთ ამ ქვეყანას ხუთი გრძნობის მეშვეობით, ხოლო მეექვსე გრძნობაც რომ გვექონოდა, იგი სულ სხვანაირად წარმოგვესახებოდა. კიდევ სხვა, ახალი გრძნობა რომ გავჩენოდა, სამყარო ისევ სხვაგვარად მოგვეჩვენებოდა და ა. შ. ამიტომ სამყაროს არ გააჩნია არსებობა, ე. ი. მისი აღქმის საშუ-

ალებათაგან დაძოჟიდებელი უცვალებელი, საუკუნო არსებობა. მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი სულაც არ არსებობს, რადგან მას ვხედავთ, შევიგრძნობთ, მასში ვცხოვრობთ, ვმოქმედებთ მასზე და მისი მეშვეობით. ამიტომ სამყარო, ჩვენი შეგრძნებების კვალობაზე არსებობს და თან არც არსებობს — აშკარა წინააღმდეგობაა!

განყენებული საკითხებიდან ჩვენი ცხოვრების წერილმანებზე რომ გადავიდეთ, დავინახავთ: მთელი ჩვენი ცხოვრებაც წინააღმდეგობებისაგან, არსებობისა და არარსებობის ნაზავისაგან შედგება. იგივე წინააღმდეგობაა ჩვენს ცოდნაშიაც. გვეჩვენება, თითქოს ადამიანს ყველაფრის გაგება შეუძლია თუ მოინდომებს. მაგრამ უმალ, ვიდრე რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდეს, იგი აწყდება გადაულახავ კედელს, რომლის შიგნით შეღწევა აღარ ძალუძს, კაცი ხედავს, რომ მისი ყველა მოქმედება წრეშია მოქცეული და ამ წრეს თავს ვერ აღწევს. თვით მისთვის ძვირფას და სანუკვარ საკითხებშიც კი, მას რომ დღედაღამ ანუხებს და ახსნას ითხოვს, იგი უღონოა, რადგან არ შეუძლია თავის გონებაზე მალღა დადგეს. და თუმცა ამის მიღწევის სურვილი ჩვენს გულში მაგრად არის ფესვგადგმული — შეგნებული გვაქვს, რომ უმჯობესია ამ მისწრაფებით გატაცებისას თავშეკავება და თავისდაოკება გამოვიჩინოთ.

ჩვენი გულის ყოველგვარი ლტოლვა დღენიადაგ ეგოისტურ საქციელს გვეკარნახობს, ამავე დროს კი რალაცნაირი უმალღესი ძალა შთაგვაგონებს, რომ მხოლოდ უშურველობაა კარგი. ყოველი ბავშვი ოპტიმისტად იზადება. მას ოქროს სიზმრები ესიზმრება. ჭაბუკობაში მისი ოპტიმიზმი ძლიერდება. ყმანვილკაცს ძნელად დააჯერებ, რომ არსებობს სიძაბუნე, განადგურება, სიკვდილი. მაგრამ მოდის სიბერე და გაჩანაგებულ ნანგრევებად აქცევს. ოცნება იფანტება და ბერიკაცი პესიმისტი ხდება. ასე გადავიდვართ ჩვენ ერთი უკიდურესობიდან მეორეში, ასე გვთელავს ბედი, რომელსაც არც კი ვიცით საით მივყავართ, და ვერ ვამჩნევთ, რომ ამ ბედისწერის მონები ვართ. ეს მე ლალიტა ვიშტარას — ბუდას ბიოგრაფიის სახელგანთქმულ საგალობელს მა-

გონებს. ბუდა იმიტომ დაიბადა, — გვამცნობს ეს წიგნი, — რომ ეხსნა კაცობრიობა, მაგრამ სასახლის ფუფუნებაში დაავინყდა თავისი მოციქულობა. მის გულში რომ კვლავ გაელვობინათ მოგონებანი, ანგელოსებმა ბუდას უგალობეს სიმღერა, რომლის ყოველი მონაკვეთი ასე მთავრდებოდა: „ჩვენ მივცურავთ არსებობის მდინარეში და ეს მდინარე მუდმივი ცვალებადობაა, რამაც არ იცის შეჩერება, არც შესვენება“. ასეთია ყველა ჩვენთაგანის ცხოვრება... ოპტიმიზმსა და პესემიზმს შორის ასე გავივლით ჩვენი ცხოვრების გზას.

მერე არის კიდევ ერთი საშინელი რამე — სიკვდილი. ყველა ჩვენგანი სიკვდილისაკენ მიდის. ყველაფერი კვდება. ყველა ჩვენს წარმატებას, ყველაფერს, რითაც თავი მოგვაქვს — ჩვენს რეფორმებს, ფუფუნებას, სიმდიდრეს, მეცნიერებას — ყველაფერს ერთი ბოლო აქვს — სიკვდილი. ყველაფერი რომ სიკვდილით მთავრდება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. აშენებდნენ ქალაქებს, რომელთა სახელიც კი აღგვილია პირისაგან მიწისა, ქმნიდნენ სახელმწიფოებს, რომლებიც აყვავდნენ და შემდეგ წარიხოცნენ. პლანეტები მტვრად იშლებიან და ეს მტვერი სხვა პლანეტების ატმოსფეროებს მიაქვთ. ასეა ჟამთა დასაბამიდან. მაგრამ სად არის დასასრული? დასასრული ყოვლისა სიკვდილია. სიკვდილია დასასრული სიცოცხლის, სილამაზის, სიმდიდრის, სიქველისა და ძლიერებისა. აღესრულებიან წმინდანნი, აღსასრულის დღე უდგებათ ცოდვილთაც. კვდებიან მეფენი და მონანი, დიდებულნი და გლახაკნი. ყველაფერი სიკვდილისაკენ მიდის და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, გრძელდება ეს დაუთრგუნველი მისწრაფება სიცოცხლისადმი. ჩვენ არ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ მას. ეს არის მაია.

ჩვენ ყველას ოქროს საწმისის ხელში ჩაგდება გვსურს. ყველა ფიქრობს, რომ მისთვის არის განკუთვნილი იგი, მაგრამ გონიერი კაცი ხვდება, რომ საწმისის ხელში ჩაგდების შანსი ნაკლებად აქვს... და მაინც არავის ძალუძს ბრძოლისაგან თავის შეკავება, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ვერასოდეს მიაღწევს მიზანს — ესეც მაიაა.

სიკვდილი დღისითა და ღამით უჩინარი ნაბიჯებით დადის დედამიწაზე, ჩვენ კი მაინც ვფიქრობთ, რომ მარადიულად ვიცოცხლებთ. ერთხელ მეფე იუდჰიშთჰირას ჰკითხეს: რა მიგაჩინათო ყველაზე დიდ სასწაულად ამ ქვეყნად? მეფემ მიუგო: ყოველდღე ჩვენს გარშემო კვდება ხალხი, თვითუფიქრობს — მე არასოდეს მოვკვდებიო! — ისეე მაია — ჩვენს გონებაში, ჩვენს ცოდნასა და ცხოვრებაში, ჩვენს გარემომცველ ყოველ საგანსა და მოვლენაში ჩაბუდებულია წინააღმდეგობა. ნეტარება, ტანჯვას რომ მოსდევს და ტანჯვა ჭირთა გარდახდის შემდეგ... ახალგაზრდამ იქნებ ვერც კი შეამჩნიოს ეს, მაგრამ იმისათვის, ვისაც უნახავს ცხოვრება და შეუპოვრად უბრძოლია, ეს ცხადია. ასეთია საგანთა არსებული მდგომარეობა და ეს მაიაა.

ასეთი მდგომარეობაა ყველგან და ყოველთვის. კითხვაზე თუ რატომ ხდება ასე, პასუხის გაცემა შეუძლებელია. პასუხის გაცემა კი იმიტომ არ შეიძლება, რომ მისი ლოგიკურად ჩამოყალიბებაა შეუძლებელი. მასში არ არის არც „როგორ“ და არც „რატომ“. ჩვენ არ შეგვიძლია მასზე ხანგრძლივად შევჩერდეთ, რათა მოვიაზროთ პასუხი. არც მისი დაჭერა ძალგვიძს თუნდაც ერთი წუთით, იგი ყოველ წამს ხელიდან გვისხლტება...

ამგვარად, მაია — ამ წუთისოფლის და მისი ზემოქმედების, რეალურად არსებული ფაქტებისა და მათი აუხსნელი, საშინელი წინააღმდეგობის დადგინებაა. ჩვეულებრივ, ხალხი შინდება, როცა ამას ეუბნებიან, მაგრამ მამაცურად უნდა გავუსწოროთ თვალი ამ ფაქტებს. მათი მიჩქმალვა საშველის მონახვას არ ნიშნავს. მწვეართაგან დევნილი კურდღელი თავს ბუჩქებს აფარებს და გადავრჩიო ჰგონია. როცა ჩვენ ოპტიმიზმს ან პესიმიზმს ვაფარებთ თავს, ამ კურდღელსა ვგავართ, მაგრამ ეს არ არის საშველი.

არსებობს მაიას თეორიის საწინააღმდეგო აზრი, რომელიც, როგორც თქვენ დაინახავთ, იმათგან მომდინარეობს, ვინც ამქვეყნიური სიკეთის მომეტებული ნაწილით სარგებლობს. აქ, ინგლისში, ძნელია პესიმიზმი იყო. აქ ყველა ამბობს, რომ მსოფ-

ლიო თანდათანობით სრულყოფილი ხდება. მაგრამ თვითეული ჩვენგანისათვის მსოფლიო ისეთია, როგორებიც ჩვენა ვართ. ამბობენ, რომ ქრისტიანობა საუკეთესო რელიგია არისო და დასამტკიცებლად ქრისტიანი ხალხების სიმდიდრეზე მიუთითებენ. მაგრამ სიმდიდრე ცუდი დამამტკიცებელი საბუთია. იგი ხომ სხვა ხალხების ტანჯვასა და ძარცვაზეა დაფუძნებული... ცხოველები მცენარეთა ხარჯზე ცხოვრობენ, ადამიანები — ცხოველებისა, ან, რაც კიდევ უფრო უარესია, ერთმანეთის ხარჯზე, ძლიერი სუსტს ჩაგრავს და ა. შ. ეს ყოველთვის და ყველგან ასეა, და ეს არის მათა.

ჩვენ ყოველდღე გვეუბნებიან, რომ სამაგიეროდ, მოვა დრო და ყველაფერი გამოსწორდებაო. ეს ფრიად საეჭვოა. მაგრამ კიდევაც რომ დავეუშვათ, რომ ასე იქნება, მაინც საკითხავია, რატომ უნდა მივალწიოთ მომავალს ასეთი დიაბოლური საშუალებებით? რატომ უნდა მოვიმკათ კეთილი უხამსი და არა კეთილივე გზით? რატომ უნდა ვპოვო ნუგეში იმაში, რომ რომელიღაც მომავალ საუკუნეში ჩვენი შთამომავლობა ბედნიერი იქნება? ესეც მათაა და მას ახსნა არა აქვს.

ჩვენ ხშირად გვესმის, რომ ევოლუციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ბოროტების დამცრობაა და რომ ამის შედეგად მომავალში მხოლოდ სიკეთე გამეფდება. ამის მოსმენა ძალზე სასიამოვნოა. იგი აკმაყოფილებს ჩვენს პატივმოყვარეობას, ანდა, ყოველ შემთხვევაში, იმათსას მაინც, ვისაც ამ სოფლისაგან სიკეთის გვარიანი ნაწილი მიუთვლია, ვინც არ გასრესილა ამ ეგრეთ წოდებული ევოლუციის ბორბლებით. მერე რა, რომ ჩვეულებრივ ადამიანთა ჯოგი იტანჯება, განა ღირს ამაზე თავისტეხა? — შესანიშნავია! მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეს მსჯელობა თავიდან ბოლომდე მცდარია. უპირველეს ყოვლისა, დამტკიცებულად არის მიჩნეული, რომ ამ ქვეყნად გამოვლენილი სიკეთისა და ბოროტების ჯამი მუდმივი სიდიდეა.

ხოლო სხვა, კიდევ უფრო საეჭვო ვარაუდს უშვებს, თითქოს ეგრეთ წოდებული ევოლუციის შედეგად სიკეთის რაოდენობა მატულობს, ხოლო ბოროტებისა კლებულობს, ე. ი. დადგება დრო,

როცა ბოროტება მთლიანად აღიგვება და სიკეთეს დარჩება ბურთი და მოედანი. ამის თქმა ადვილია, მაგრამ ვინ დაამტკიცებს, თითქოს ბოროტება კლებულობდეს? ამგვარივე საფუძველი ხომ არ გვექნება, რომ ეთქვათ ბოროტება მატულობსო?...

ველურმა არ იცის რა არი იჭვი,არ იცის სამსახური, სასამართლო, ჯარში განვევა, არ იცის რაა საზოგადოების ქება და ძაგება, არ იცის დღისით და ღამით გამოვლენილი ადამიანთა დიაბოლიზმის მუდმივი ტირანია, გულის ყველა კუნჭულამდე რომ აღწევს. მან არ იცის, რომ ადამიანი მთელი თავისი უსარგებლო ცოდნით, მთელი თავისი ამპარტავნობით, შეიძლება ყველა სხვა ჯურის ცხოველზე ათასჯერ უფრო საშინელ პირუტყვად გადაიქცეს. ასე რომ, როცა გრძნობათა განსაკუთრებულ ბატონობისაგან ვთავისუფლდებით, ტკობისა და ამავე დროს, ტანჯვის განცდის უმაღლეს თვისებებსაც ვივითარებთ, რაკი ჩვენი ნერვები იხვენება და შეგრძნების მეტ უნარს იძენს. ჩვენთვის ნათელია, რომ ყოველგვარ საზოგადოებაში გაუნათლებელი ადამიანი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს შეურაცხყოფას... მაშინ, როცა ჯელტმენი უხეშ სიტყვასაც ვერ იტანს, უსიამოვნების განცდის მისეულმა უნარმა სიამოვნების განცდის უნართან ერთად მოიმატა... და ჩემი უბრალო შენიშვნით, თუკი ბედნიერების განცდის უნარი არითმეტიკული პროგრესიით გვიმახვილდება, უბედურების განცდის უნარი გეომეტრიული პროგრესიით გვივითარდება. ტყიური და ველური ადამიანი ნაკლებად არის საზოგადოებაზე დამოკიდებული, მაშინ როცა ჩვენ განვითარების პროპორციულად უფრო და უფრო განვიცდით საზოგადოების კირთებას, და საკითხავია, ეს ხომ არ არის მიზეზი შეშლილთა სამი მეოთხედის დაავადებისა?

ამრიგად, ჩვენთვის ნათელია, რომ სიტყვა მაია მსოფლიოს ამოსახსნელ თეორიად არ არის შემოთავაზებული. იგი მხოლოდ იმ ფაქტის დადგინებაა, რომ თავად ჩვენი არსებობის საფუძველშივე წინააღმდეგობა, რომ სადაც არ უნდა წავიდეთ, ეს საშინელი წინააღმდეგობა გადასალახი გვექნება, რომ იქ, სადაც სიკეთეა, ბოროტებაც იქნება და იქ, სადაც ბოროტებაა — სიკეთე. მაია ად-

გენს იმ ფაქტს, რომ სიცოცხლეს მუდამ თანა სდევს სიკვდილი, და რომ ის, ვინც დღეს იცინის, ხვალ ატირდება, ხოლო ის, ვინც დღეს ტირის, ხვალ სიცილს მისცემს ძალს. საგანთა ამ მდგომარეობის შეცვლა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ძნელი არ არის მომავალში ისეთი ადგილი წარმოვიდგინოთ, სადაც მხოლოდ სიკეთე იქნება და სავსებით არ იბოგინებს ბოროტება, სადაც ჩვენ ვიშვებთ, ვიხარებთ და არასოდეს დავღონდებით, მაგრამ ეს ოცნება აუხდენელია თავად მავანთა ბუნების გამო, რადგან პირობები ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე იქნება. იქვე, სადაც ბედნიერების მომნიჭებელი ძალა ჰგეის, ჩასაფრებულია ძალა, რომელიც უბედურებას გვიქადის.

ამრიგად, ვედანტას ფილოსოფია არც ოპტიმიზმია და არც პესიმიზმი. იგი საგანს მისსავე რაგვარობაში განიხილავს და აღიარებს იმ ფაქტს, რომ ეს ქვეყანა კეთილისა და ბოროტის, სიხარულისა და მწუხარების ნაერთია. მოაჭარბეთ პირველი და მასთან ერთად მოჭარბდება მეორეც. მსოფლიო არასოდეს არ იქნება კარგი, იმიტომ რომ უკვე ამ იდეის გამოთქმაშია ჩადებული წინააღმდეგობა, მაგრამ ის ცუდიც არ შეიძლება იყოს. ვედანტას ანალიზის მეოხებით უდიდესი საიდუმლო ცხადდება: სამყაროში კეთილი და ბოროტი როგორც ცალკეული, დამოუკიდებელი საგნები არც არსებობენ, ამ სოფლად არ არის ისეთი საგანი, რომელსაც უთუოდ და უთუმცაოდ დაერქმევა სავსებით კარგი ან სავსებით ცუდი. ის მოვლენა, დღეს რომ კარგი გვეგონია, ხვალ შეიძლება ცუდი გვეჩვენოს. ის საგანი, ერთს რომ მწუხარებას ანიჭებს, მეორისათვის შესაძლოა, სიხარულის მომგვრელი იყოს. ...ტკივილის შემგრძნობი ძარღვი სიამოვნებასაც შეიგრძნობს. ამიტომ ბოროტების დაოკება მხოლოდ ერთი რამით შეიძლება — სიკეთის დაოკებით. სხვა გამოსავალი არ არის. სიკვდილი თუ არ გინდა, სიცოცხლეს არ უნდა გინდოდეს. სიცოცხლე სიკვდილის გარეშე და შვება მწუხარების გარეშე — თვითონ თავიანთ განსაზღვრებებში შეიცავენ წინააღმდეგობებს და განუხორციელებელ რამედ წარმოგვიდგებიან, რაკი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ორივე მათგანი ერთი და იმავე საგნის გამოვლინებაა... საგანთა ასეთი წესი ჩვენ

უიმედო წინააღმდეგობაში გვაგდებს: არც არსებობაა და არც არარსებობა, არამედ მათი ნაერთი. არც სიხარულია და არც მწუხარება, არამედ ერთიც და მეორეც. მაშ, რა სარგებლობა უნდა მოგვიტანოს ვედანტამ და ყველა სხვა რელიგიამ და ფილოსოფიამ? უპირველეს ყოვლისა, რა სარგებლობა მოაქვს კეთილი საქმის აღსრულებას? ეს კითხვა გარდუვალად ებადება ყველას და ხალხი გამუდმებით კითხულობს: თუკი ისეა საქმე, რომ არაფერი ეშველება სიკეთეს, ხოლო ბოროტებას ვერაფერს დავაკლებთ, და რაც არ უნდა შევეწიოთ ბედნიერებას, მაინც უბედურებისა და ტანჯვის მთები იქნება აღმართული, მაშინ რა აზრი აქვს რისამე გაკეთებას? ამაზე, ჯერ ერთი, ის პასუხია, რომ თუ გვინდა თავი ადამიანებად ვიგრძნოთ, სხვათა ტანჯვის შესამსუბუქებლად უნდა ვიღვანოთ, ეს არის ერთადერთი გამოსავალი. განათლებული კაცი ამას უფრო ადრე ხვდება, უმეცარი გვიან, მაგრამ ამ დასკვნამდე მიდის ყველა ადრე თუ გვიან. მეორეც — თუმცა ჩვენ ვიცით, რომ არ დადგება არასოდეს ისეთი დრო, როცა დედამინა შვებითა და ბედნიერებით იქნება სავსე და მწუხარების ნატამალიც არ იჭაჭანებს, მაინც უნდა ვეცადოთ ამის განხორციელებას. ამ მცდელობისას კაცობრიობის ტანჯვამ კიდევაც რომ იმატოს, ჩვენ მაინც უნდა ვაკეთოთ ჩვენი საქმე. ორივე ეს ძალა — შვება და მწუხარება ხელს შეუწყობს ნუთისოფლის არსებობას, ვიდრე არ დადგება უამი, როცა გაგვეღვიძება, ბურანისგან გამოვერკვევით და შევწყვეტთ წყლის ნაყვას, ვინაიდან ახლა ჩვენ მხოლოდ ამითა ვართ გართულნი. ეს უნდა შევიგნოთ, ხოლო ამისათვის დიდი, დიდი დრო დაგვჭირდება.

ვედანტა გვეუბნება, რომ დაუსაბამო ხილულია, ვით დასაბამი. გერმანიაში ამ საფუძველზე ფილოსოფიური სისტემის აგებას ეცადნენ. იგივე ცდებს ჰქონდა ადგილი ინგლისშიაც. ამ ფილოსოფიურ სისტემათა ძირითადი დებულება ის არის, რომ დაუსაბამო ცდილობს გამოვლინდეს ამ სამყაროს მეშვეობით. უნდა დადგეს დრო, როცა იგი, ბოლოსდაბოლოს, მიაღწევს თავის მიზანს, ე.ი. უნაშთოდ, მთელი სისრულით გარდაიცვლება გამოვლინებულად, ან სხვაგვარად, დაუსაბამო დაინრიტება, რაკი დასაბამიერად მოიქცევა...

მაგრამ ლოგიკურ აზროვნებას მიჩვეული კაცი იკითხავს: რა საფუძველზე უნდა ამტკიცო, რომ დაუსაბამო შეიძლება დასაბამიერად მოიქცეს, მაგ: ერთი — ოცი მილიონ ასეთივე ერთეულად იქმნას? ყოფად მოქცეული აბსოლუტური და დაუსაბამო დასაზღვრული უნდა გახდეს, რადგან ყველაფერი გრძნობითა და გონებით ნვდომილი აუცილებლობის ძალით დასაზღვრულია. გამოდის, რომ დაუსაზღვრელი დასაზღვრულის ბადალია, ხოლო ეს აშკარა უაზრობაა და ამიტომ შეუძლებელია ეს მოხდეს.

ვედანტა ამბობს: ჭეშმარიტად, ბრაჰმა (აბსოლუტი) ესწრაფვის თავისი თავის დასაბამიერში გამჟღავნებას, მაგრამ მოვა ყაში, როცა იგი მიხვდება, რომ ეს შეუძლებელია და უკუიქცევა. ეს უკუიქცევა ჭეშმარიტ რელიგიას მისცემს დასაბამს. განდგომა ზღურბლია რელიგიისა. თანამედროვე ადამიანისათვის ძნელი წარმოსადგენია განდგომა. ამერიკელების აზრით, როცა მე განდგომაზე ვლაპარაკობ, იმ ქვეყნის მკვიდრსა ვგავარ, რომელიც უკანასკნელი ხუთიათასი წლის განმავლობაში მკვდარი და დამარხული იყო. შესაძლოა, ინგლისელმა ფილოსოფოსებმაც იგივე თქვან და მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში მხოლოდ ერთი მოწოდებაა ჭეშმარიტი — განუდექ წუთისოფელს! უარჰყავ!

დაძაბეთ თქვენი გონება, ყველაფერი იღონეთ, რომ დახსნათ ეს წინააღმდეგობანი და მაინც ვერაფერს გააწყობთ, ვიდრე თქვენი გონება არ აღდგება ხანგრძლივი და შემზარავი ძილისაგან. ბოლოს დადგება ეს დღე. ბალლი თავს მიანებებს სათამაშოებს და ატირდება, რათა დედამ წაიყვანოს. იგი მიხვდება, რომ წადილს არ აცხრობს ასრულება, არამედ უფრო აცხოველებს, როგორც ცეცხლის ალს ზედ დასხმული ზეთი". ამგვარია გრძნობისა და გონების ყოველგვარი დაშოშმინება, რაც კი კაცის გულს შეუძლია. მათი მეოხებით მაიას ბადეში ვართ გახლართულნი და ამ ბადეს ვერასოდეს გავარღვევთ. მის შიგნით წინ და უკან სირბილი შეგვიძლია, მაგრამ გამოსავალს ვერ ვიპოვნით. და რა მივითვლით განცხრომის თვითეულ ნამცეცს, მის წილ ყოველთვის ჩვენს დამრთგუნავ განსაცდელს შევეყრებით. რა უსაშველო და საშინელია ასეთი ვითარება! ამაზე როცა ვფიქრობ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ სიცოცხლის საუკეთესო და ერთა-

დერთ ახსნას მაიას თეორია გვაძლევს. რაოდენი სიბოროტით არის სიცოცხლე აღვსილი! სხვადასხვა ერები და რასები ცდილობდნენ მოეშორებინათ იგი სხვადასხვანაირი საშუალებებით, მაგრამ ამაოდ! ყველა ერთსადაიმავე გადაულახავ დაბრკოლებას აწყდებოდა და წარმატებას ვერაფერს აღწევდა. თუ ერთ ადგილას სიბოროტე მინიმუმამდე მცირდება, მეორეგან უზარმაზარ მასებად ხვადებოდა. ასე იყო აქამდე და ახლაც ასეა... ღირს კი მაშინ კეთილი საქმის აღსრულება? ო, დიალაც, და უფრო მეტი გულმოდგინებით, ვიდრე როცა ეს არ ვიცოდით... მუშაობის უნარი მატულობს საქმის ნამდვილი ვითარების გაგებისას, რადგან გვემატება მოთმინება. უბედურება და ბოროტება წონასწორობას ვერ დაგვაკარგვინებს და ვერ გვაიძულებს მოჩვენებებს დავედევნოთ. რაკი გვეცოდინება, მსოფლიოს მხოლოდ ამ გზით შეუძლია წინსვლა, მოთმინებით აღვივსებით...

ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ყოფიერების მძლავრი მდინარე ოკეანისაკენ მიედინება და რომ მასზე მოტივტივე ნავის ნამუსრევი და თივის ბულულები როგორც არ უნდა ცდილობდნენ აღმა მოძრაობას, ბოლოს და ბოლოს, ნებით თუ უნებლიეთ, ამ უკიდევანო ოკეანეში აღმოჩნდებიან. ასევეა ჩვენი ცხოვრებაც: იგივე ყველა თავისი სიხარულითა და მნუხარებით, ღიმილითა და ცრემლებით, დაუსაბამო ოკეანისაკენ მიედინება და მხოლოდ დროზეა დამოკიდებული — თქვენ და მე, მცენარეები და ცხოველები, ან სადაც გინდა არსებული სიცოცხლის ყოველი ნაწილი — თავისუფლებისა და ღმერთის უსასრულო ოკეანეში როდის მივიქცევით.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რადგან ეს შეცდომა ხშირად მეორდება, რომ ვედანტას დებულება არ შეიცავს არც ოპტიმიზმსა და არც პესემიზმს. იგი არ ამბობს, რომ ეს საწუთრო მთლიანად ბოროტებაა, მაგრამ იმასაც არ ამბობს, რომ იგი მთლიანად სიკეთეა. პირიქით, იგი ამტკიცებს, რომ ჩვენი ბოროტება ჩვენს სიკეთეზე მნიშვნელოვანი არ არის და ჩვენს სიკეთეს ჩვენსავე ბოროტებაზე მეტი ღირებულება არ გააჩნია. ისინი ერთი მთელის წიბოებია. ასეთია ეს ქვეყანა და რა გვეცოდინება მისი ბუნება და ზნე — მოთმინებით ვიმუშაკებთ.

მაგრამ თქვენ ისევ შემეკითხებით: რისთვის, რილასთვის ვი-
მუშავოთ? თუ ასეთია საქმის ვითარება, რაღას გავხდებით ან რას
ვუშველით ჩვენ? ან რატომ აგნოსტიკოსები არ გავხდებით? უახ-
ლეს აგნოსტიკოსსაც ხომ მიაჩნია, რომ საკითხი ამოუხსნელია,
ანუ, როგორც ჩვენ ვამბობთ ინდოეთში: მაიას საბურველიდან
გამოსავალი არ არის. მაშ, დავკმაყოფილდეთ იმით, რაც არის
და შევიტყობთ ეს ცხოვრება. ისევ საშინელი თავგზადაბნეულო-
ბა! თავგზადაბნეულობა-მეთქი იმიტომ, რომ ვინც საკითხს ასე
სვამს, იგი ჩვენს გარემომცველ ცხოვრებად მხოლოდ და მხო-
ლოდ გრძნობით ცხოვრებას გულისხმობს. ამაში ჩვენს შორის
უკეთესნიც კი მხოლოდ ოდნავ გამოირჩევიან ცხოველებისაგან.
მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს შორის ისეთი კაცი
არა ზის, რომლის ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ გრძნობიერი
იყოს. ცხოვრება ჩვენთვის გაცილებით მეტ რამეს ნიშნავს. ჩვე-
ნი განცდები და აზრები ამავე ცხოვრების ნაწილია აგრეთვე, და
განა იდეალისაკენ, სრულყოფისაკენ სწრაფვა მთელის უფრო
მნიშვნელოვანი ინგრედიენტი არ არის? აგნოსტიკოსის აზრით,
ცხოვრება უნდა მივიღოთ ისეთი, როგორც არის, მაგრამ იგი
მოიცავს ჩვენს სიხარულსა და მწუხარებასაც, ჩვენს მიზნებსა
და მისწრაფებებსაც და უპირველეს ყოვლისა ჭეშმარიტების და-
ულალავ ძიებასა და სრულქმნილებისაკენ ლტოლვას, რაც სა-
ფუძველია ჩვენი არსებობისა. აგნოსტიკოსს ცხოვრებად მიაჩ-
ნია ყველაფერი, მინუს ეს უკანასკნელი ელემენტი, და რაკი იმ
დასკვნამდე მივიდა, რომ შეუძლებლად სცნო ცხოვრების გაუმ-
ჯობესების საშუალების პოვნა, თავი დაანება ამ ძიებას. ამ
მხრივ, ჩვენ თავისუფლება უნდა შევინარჩუნოთ და ამიტომ აგ-
ნოსტიკოსის თვალით ვერ შევხედავთ მსოფლიოს.

✓ ამრიგად, ვედანტიელის მ ა ი ა თავად ბუნებაა ანუ სამყარო.
ყველა რელიგია უხეშიდან და პირველყოფილიდან ამაღლებულ
და ზემშვენიერამდე ამ მაიადან გაღწევის ცდას წარმოადგენს.
ყველა მათგანს ერთი მიზანი აქვს — რითაც არ უნდა გამოიხა-
ტებოდეს იგი: მითოლოგიით და სიმბოლოთი, ღვთაებისა და ან-
გელოსთა, დემონების, ადგილის დედის, წმინდანების, ნათელმ-
ხილველთა თუ ღიადი წინასწარმეტყველების ისტორიითა და

განყენებული ფილოსოფიით — გაარღვიოს მაიას საბურველი, გააბიჯოს მის საზღვრებს გარეთ და გაგვიცხადოს რალაც ისეთი, რაც მასზე მაღლა დგას.

ქვეცნობიერად თუ ცნობიერად კაცი შებორკილად გრძნობს თავს. იგი გრძნობს, რომ ის არ არის, რაც მას სურდა რომ ყოფილიყო. და როგორც კი გარშემო მიმოიხედავს, მაშინვე ასეთი აზრები ებადება. კაცი ხედავს, რომ კირთების ქვეშ არის, მიუხედავად იმისა, რომ გულში უღვივის რალაცა და ეს რალაცა იქით მიიწევს, საითაც სხეული ვერ გაჰყვება. თვით უმდაბლეს რელიგიურ სისტემებშიც კი, რომლებშიც უპირატესად მძვინვარე და სასტიკი გარდაცვლილი წინაპრებისა და სხვათა სულელები მფარველობენ სახლსა და მახლობლებს, და რომლებშიც გაუთავებელი სისხლისღვრა და ღრეობაა, — თვით მათშიც კი ჩვენ ვპოულობთ თავისუფლებისადმი ამ საერთო მისწრაფებას. ამ სისტემებშიც კი, ღმერთების თაყვანისმცემელი კაცი უფრო მეტ თავისუფლებას ხედავს, ვიდრე საკუთარ თავში: ჩაკეტილი კარი ღმერთებისათვის არაფერს ნიშნავს. ისინი კედელში გადიან. ფიზიკური ზღუდეები მათთვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდს. თავისუფლების ეს იდეა თანდათანობით ვითარდებოდა, ვიდრე მაიას საზღვრებს დაუქვემდებარებელი ერთი პიროვნული ღმერთის ცნებამდე არ ამაღლდა.

ახლა მე თითქოს მომესმის უფრო მნიშვნელოვანი ხმა, თითქოს ყურს ვუგდებდეთ დაბურული ტყის სიგრილეში ძველ ინდოელ ბრძენ-მოძღვართა მიერ ამ საკითხის განსჯას. ერთ-ერთი ასეთი თავყრილობისას, როდესაც თვითონ უხუცესმა და უწმინდესმა ვერაფერი გადაწყვიტა, წამოდგა პირტიტველი ჭაბუკი და განაცხადა: „მისმინეთ უკვდავების შვილნო!.. მე ვპოვე გზა ამ უკუნეთიდან და ეს გზა იმის მოპოვებაა, ვინც ყოველგვარ უკუნეთზე მაღლა დგას“. ამავე უპანიშადაში თქმულია, რომ ჩვენ მაიათი ვართ გარემოცულნი და ეს საშინელებაა, რადგან მის წინაღუდას ვეუძლებდებით. თუკი კაცთაგანი იტყვის: „მე ამ მდინარის პირზე ჩამოვჯდები და როცა მთელი წყალი ოკეანეში ჩაიწურება, მაშინ გადავალ ფონსო“, ეს კაცი ისეთივე ჭკვიანი იქნება, როგორც მეორე, რომელიც იტყვის: ვიმუშაკებ, ვიდრე სა-

ნუთრო მშვენიერი არ გახდება, ხოლო მერე დავტკბები ჩემი ჭირ-ნახულითო. არც ერთი და არც მეორე არ ახდება. ჩვენი ჭეშმარიტი გზა მაიას ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო დ მიდის და არა მასთან ერთად... ჩვენ უნდა შევითვისოთ ის, რომ ბუნების მსახურებად კი არა ვართ დაბადებულნი, არამედ მის მოწინააღმდეგეებად... კაცობრიობის მთელი ისტორია ეგრეთწოდებული ბუნების კანონებთან გამუდმებული ბრძოლის ისტორიაა, და ბოლოს და ბოლოს, ადამიანი იმარჯვებს. შინაგან სამყაროშიც იგივე ბრძოლა მიმდინარეობს — მხეცკაცსა და სულიერ კაცს შორის, ბნელსა და ნათელს შორის. და აქაც ადამიანმა უნდა გაიმარჯვოს. იგი თითქოს გზას იკაფავს თავისთვის — ბუნებიდან თავისუფლების იდეისაკენ.

ამრიგად, ახლა ჩვენ გვესმის, რა არის მაია, და ვიცით, რომ როგორც ვედანტას ფილოსოფოსებმა მოიაზრეს, — მასზე ძალიან დეგას რაღაცა, რაც მისგან შეუბოროკავია. და თუკი ჩვენ იქამდე ავმალდებით, გავარღვევთ კიდევ მაიას საბურველს. ყველა რელიგიისათვის საერთო ეს იდეაა სწორედ ის, რასაც თეიზმი ეწოდება. მაგრამ ვედანტაში იგი რელიგიის მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს და არა დასასრულს. ვედების მიხედვით, პიროვნული ღმერთის — შემოქმედისა და სამყაროს გამრიგეს, მაიასა და ბუნების განმგებელის იდეა — მხოლოდ დასაწყისია. ეს იდეა თანდათანობით ვითარდება, ვიდრე ვედანტელი არ აღიარებს, რომ იგი, ვინც მის გარეშე დეგას, სინამდვილეში იგივეა, ვინც მის გულშია დავანებული. ეს იგია, ვინც თავისუფალი იყო, ეგონა კი შებოროკილი ვარო...

მ ა ი ა დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

„ჩვენ მოვდივართ და თან მოგვყვება დიდების შარავანდედი“, — ამბობს პოეტი. ამავე დროს უდავოა, რომ არამც თუ ყველა ჩვენთაგანს არ მოჰყვება დიდების შარავანდედი, არამედ ბევრს შავი ნისლი მოსდევს თან. და განა ჩვენი ნებით მოვდივართ ამ ქვეყნად? თითქოს ბრძოლის ველზე გვაგზავნიანო საომრად. ტირილით მოვდივართ, რომ გზა გავიკაფოთ სიცოცხლის უსასრულო ტყეში, რათა ჩვენს შემდეგ კვალიც აღარ დარჩეს. ამ ტყეში გულდაგულ შევდივართ და უკან ვიტოვებთ გრძელ საუკუნეებს, უსასრულო სივრცეს. ჩვენ წინ მივინევთ, ვიდრე არ მოვა სიკვდილი და ბრძოლის ველიდან არ გაგვიყვანს, ვინ იცის, გამარჯვებულს თუ დამარცხებულს. ეს არის მაია.

იმედებით სავსეა ბავშვის გული. მის ფართოდ გახელილ თვალეში ოქროვან სიზმრებსა ჰგავს ეს ქვეყანა. თავისი ნების უმაღლეს მისთვის არაფერი არსებობს. მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ბუნება წინაღმართული კედლის მსგავსად გზას უკეტავს. იგი ეჯახება ამ კედელს და ცდილობს გაანგრიოს, რომ გაღმა გავიდეს, მაგრამ ამაოდ. რაც უფრო წინ მიდის, მით უფრო შორდება იგი მიზანს, ვიდრე არ დადგება სიკვდილის ფამი, რომელმაც შესაძლოა, თავისუფლებაც კი მოუტანოს. და ესეც მაიაა...

გრძნობა იტაცებს ადამიანის გულს. კაცი ბედნიერებას ეძებს იქ, სადაც მისი პოვნა შეუძლებელია. უთვალავი საუკუნის განმავლობაში ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ეს უსახური და ამაოა, მაგრამ არასგზით არ გვინდოდა ამის გაგება. შეუძლებელიცაა ამის სწავლა თუ თავად არ გამოსცადე და აჰა, ჩვენ ვცდილობთ, მაგრამ ბედი უარესს გვიზღავს. ნუთუ ესეც არაფერს შეგვაგნებინებს? — არა! და ფარვანას მსგავსად, ცეცხლისაკენ რომ მიიწევს, ჩვენ კვლავ გრძნობების ქსელში ვეხვევით იმ იმედით, ამჯერად მაინც მოვიმკდ ნეტარებასო. გაასკეცებული ენერგიით ვუბრუნდებით ჩვენს გრძნობებს და ასე გრძელდება ეს წვალება, ვიდრე სამარეში არ ჩავალთ იმედგაცრუებულნი და გულდაკოდილნი. და ეს მაიაა.

იგივე ითქმის ჩვენი გონების მიმართაც. ვცდილობთ რა ამოვხსნათ სამყაროს საიდუმლოებანი, გამუდმებით ვსვამთ კითხვებს, რომ ბოლოს და ბოლოს აღარაფერი დაგვრჩეს შეუცნობელი. მაგრამ გადავდგამთ თუ არა რამდენიმე ნაბიჯს, ჩვენთვის გადაულახავ, დაუსაბამო და უსასრულო დროის კედელს მივასკდებით. ყველაფერი ისევ მიზეზისა და შედეგის უცვლელ საზღვრებშია, რომელთაც თავს ვერ ვაღწევთ. მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ, ჩვენ უნდა ვეცადოთ. და ეს მაიაა. ყოველი ამოსუნთქვისას, გულის ყოველ ძგერაზე, თვითეული ნაბიჯის გადადგმისას თავისუფალი რომ გვგონია თავი, იმავ წუთს ვრწმუნდებით, რომ ბუნებისაგან შებორკილი მონები ვართ, რომ ჩვენი გული და გონება, ყველა ჩვენი გრძნობა და აზრი შებოჭილია. და ესეც მაიაა.

ქვეყანაზე არა ყოფილა ისეთი დედა, თავისი შვილი არაჩვეულებრივი ბავშვი არ გონებოდეს. მას გაგიჟებით უყვარს თავისი პატარა. ბავშვი იზრდება და ლოთი, უხეში პირუტყვი ხდება, რომელიც, შესაძლოა, ცუდად ეპყრობა დედამისს. მაგრამ რაც უფრო მეტი სიავეა მის მოქცევაში, მით უფრო უყვარს იგი დედამისს. ყველა აქებს დედის უანგარო გულს, იმას კი არ უფიქრდებიან, რომ ის, უბრალოდ, დაბადებიდანვე მონაა და თავს ვერ შველის. მას არ ძალუძს ამ ბორკილების მოშორება და ამიტომ მათ ყვავილებით ამკობს და სიყვარულს ეძახის. და ესეც მაიაა...

ასეთია ყველა ჩვენგანი. ერთხელ ნარადამ ჰკითხა კრიშნას: უფალო, დამანახე როგორია მაია. რამდენიმე დღის შემდეგ კრიშნამ გაიყოლია ნარადა უდაბნოში. ცოტა რა გაიარეს, კრიშნამ თქვა: მომწყურდა, ეგების წყალი იშოვნო სადმე. ნარადა წყალზე წავიდა. ახლომახლო სოფელი ყოფილიყო. ნარადა შევიდა სოფელში და უცნობი სახლის კარზე დააკაკუნა. კარი ლამაზმა ქალიშვილმა გაუღო. მშვენიერი დიაცის ხილვამ ნარადას დაავინყა რისთვის გამოეშურა აქეთ, მასლაათი გაუბა ქალს. მეორე დღეც ამ დიაცთან საუბარში გაატარა, შეუყვარდა ქალი და მამამისს სთხოვა მომათხოვეო. ასე დაცოლშვილდა ნარადა. გაიარა თორმეტმა წელმა... ერთხელ, ღამით ადიდდა მდინარე და

დატბორა სოფელი. სახლები და საქონელი წყალმა წაიღო. ნარადა უნდა გასცლოდა იქაურობას, და აჰა, იგი ცდილობს ფონზე გასვლას. ერთი ხელი ცოლისათვის ჩაუკიდია, მეორე უფროსი ბავშვისათვის, ხოლო უმცროსი კისერზე უზის. მაგრამ დინება მძლავრი აღმოჩნდა და უმცროსი ტალღამ მოსტაცა. ნარადამ იღრიალა, ხელი უშვა დანარჩენთ და მას გაედევნა, მაგრამ ვერ დაენია. ხოლო წყალმა ცოლი და უფროსი შვილიც დაუხრჩო. გულშემოყრილი ნარადა მდინარემ გამოორიყა ნაპირზე. იგი მწარედ მოსთქვამდა და თავბედს იწყევლიდა, როცა ვილაცამ ხელი შეახო და წყნარად შეეკითხა: სად არი წყალი, ჩემო შვილო? შენ ხომ წყლის მოსატანად ნახვედი? მე უკვე ნახევარი საათია გელოდები.

ნახევარი საათი? ამ ნახევარ საათში მან განიცადა თორმეტი წლის სიცოცხლე! ესეც მაიაა. ასე თუ ისე, ჩვენ ყველანი მასში ვართ გახვეულნი. ასეთი მდგომარეობა უაღრესად რთული და ძნელად გასაგებია, მაგრამ რას გვიჩვენებს ეგე? — რაღაც მეტად საშინელს, რასაც ყოველ დროს ასწავლიდნენ ყოველ ქვეყანაში და რასაც მხოლოდ მცირენი აღიარებდნენ, რადგან სანამ თვითონ არ გამოცდი, მანამ ვერ ირწმუნებ.

მერე მოდის ყოვლის მიმართ შურისმაძიებელი დრო, რათა წარხოცოს ყველაფერი. იგი ნთქავს ცოდვასა და ცოდვილს, მეფესა და მონას, მშვენიერსა და მახინჯს — და განქარებულთა ყოველი. ყველაფერი ერთ მიზანს ელტვის — გაქრობას. ჩვენი ცოდნის, ხელოვნების, მეცნიერების ბოლო ერთია — დაღუპვა. ვერაფერი აღუდგება წინ ამ სრბოლას, ვერაფერი მოაბრუნებს უკან თუნდაც ერთი წამით. ჩვენ შეგვიძლია თავდავინწყებას მივცეთ თავი, ჟამიანობის დროს შევებასა და განცხრომას დახარბებული მოქალაქეებივით. და აკი ამას ვაკეთებთ კიდევ. მაგრამ მაინც თავზე გვემხოება ყველაფერი. როგორ ვუშველოთ თავს, როგორ გამოვიდეთ ამ მძიმე მდგომარეობიდან?

ორგვარი რჩევა იყო შემოთავაზებული. ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი: დიახ, ყველაფერი ასეა. მაგრამ ნუ იფიქრებთ ამაზე. დრო გაატარეთ. მოიმკეთ ამ სოფლის სიამენი, ყურადღებას ნუ მიაკცევთ ცხოვრების ბნელ მხარეებს... იმხიარულეთ შეძლებისდაგ-

ვარად! ამ შეგონებაში არის სიმართლის ნატამალი, მაგრამ დიდი სა-
შიშროებაც... ერთ მშვენიერ დღეს თქვენ შენყვეტით ბრძოლას, რო-
გორც ეს შეიძლება დაემართოს თვითეულს, ვინც გვირჩევს: მიი-
ღეთ ეს ქვეყანა ისეთი, როგორც არის. წყნარად იყავით. რაც შეიძ-
ლება კარგად მოენყეთ და თქვენი ბედით დაკმაყოფილდით. ხოლო
როცა უბედურება შეგემთხვევათ, თქვით, რომ ეს უბედურება კი
არა — ნეტარებაა. და როცა ქედზე უღელს დაგადგამენ — ამტკი-
ცეთ, რომ თავისუფალი ხართ. იმეორეთ ეს სიცრუე დღე და ღამე,
რადგან ეს არის ერთადერთი საშუალება ცხოვრებისა. ამას ცხოვ-
რებისეული სიბრძნე ჰქვია, და იგი არასოდეს ყოფილა ისე მოძალე-
ბული, როგორც XIX საუკუნეში, ვინაიდან არასოდეს ისე არ განუც-
დიათ ბედისწერის შემოტევა, როგორც ახლა, არასოდეს მეტოქეო-
ბა ისეთი მძაფრი არა ყოფილა და ხალხი ასე სასტიკი მოყვასთა მი-
მართ, როგორც ახლა. აი, რატომ გვთავაზობენ ამ შეგონებას. ახლა
ამას განსაკუთრებული დაჟინებით გვირჩევენ, თუმცა ეს რჩევა ყო-
ველთვის უძლური იყო. მძორი ყვავილებით არ დაიფარება. ყვავი-
ლები დაჭკნება და მძორი კიდევ უფრო აყროლდება. ასეა წუთსო-
ფელიც. ჩვენ ვცდილობთ მისი თხრამლიანი იარებო ოქრომკერდით
დავფაროთ, მაგრამ მოვა დრო და საშინელი იარები გამოჩნდება.

ნუთუ საშველი არ არის?

ჩვენ ყველანი მაიას ტყვეები ვართ: მაიაში დავიბადეთ და მაი-
აში ვცხოვრობთ. მაგრამ ნუთუ არ არის გამოსავალი აქედან? ყვე-
ლანი რომ განწირულნი ვართ, რომ ეს ქვეყანა სატუსალოა, რომ
თვით ეგრეთწოდებული „მომხიბლავი მშვენიერება“ — ჭკუა-გო-
ნება — მხოლოდ ციხესაკანია, ყველა ეს ჭეშმარიტება საუკუნეე-
ბის წინათაც ცნობილი იყო. არ უცხოვრია ისეთ კაცს, დროდადრო
რომ არ ეგრძნოს ეს. ხანდაზმული ხალხი ამას უფრო მწვავედ
გრძნობს, რადგან ცხოვრების უფრო დიდი გამოცდილება აქვთ.
ისინი ადვილად არ მოტყუვდებიან. მაიას სიცრუე მათ მაგრად ვერ
მოალორებს. მაშ, რაშია საქმე? ნულუ განქარებულთა თვით იმე-
ღიც კი?

ჩვენ ვიცით, რომ ყველა ამ ფაქტების მიუხედავად, ამ წუთისო-
ფელშიც კი, სადაც სიცოცხლე და სიკვდილი სინონიმებია, აქაც კი,
საუკუნეთა განმავლიბაში ყველა ქვეყანასა და თვითეული კაცის

გულში ისმის ძახილი: „ღვთაებრივია ეს ჩემი მათა. იგი გ უ ნ ე ბ ის ა-გ ა ნ (თვისებები) მოედინება და მისი გადალახვა ძნელზე ძნელია. მაგრამ მათ, ვინც მე შემომიდგება, გადავაცურვინებ სიცოცხლის მდინარეს“... ან „მოვედით ჩემთან ტვირთმძიმენო და ჭირთაგან მოყვრიანნო და მე შეგიწყნაროთ თქვენ“. ამ ხმას ჩვენ წინ მივყავართ. ადამიანს ეს ხმა საუკუნეთა განმავლობაში ესმოდა და ახლაც ესმის, როცა სასონარკვეთილება მოიცავს, როცა ეცლება ძალა და თვალსა და ხელს შუა ეკარგება ყველაფერი, როცა მისი სიცოცხლე იავარქმნილ ნანგრევებს ემსგვესება. ასეთ დროს ესმის ეს ხმა ადამიანს და ამას ეწოდება რელიგია...

რელიგიის ყველა ნაირსახეობას ერთი მთავარი საფუძველი აქვს: თავისუფლების ქადაგება, ამ ქვეყნისაგან თავდახსნის ქადაგება. მათ მხედველობაში არა აქვთ სააქაოსა და რელიგიის შერიგება და სააქაოსთან კომპრომისზე მისი დაფუძნება. რელიგია თავის საკუთარ იდეალზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამას ქადაგებს ყველა რელიგია და ვედანტას ამოცანაა შეათანხმოს მათი მისწრაფებანი, რომ საერთო საფუძველი დაეძებნოს როგორც მათ შორის უზენაესს, ისე უდარესსაც. იმას, რასაც ჩვენ აშკარა ცრუმორწმუნეობას ვუწოდებთ და იმას, რასაც უმაღლეს ფილოსოფიად ვნათლავთ, ერთი ამოსავალი წერტილი აქვს: ამქვეყნიური არსებობისაგან თავდახსნის საშუალებათა მოპოვება. რელიგიათა უმრავლესობა გვეუბნება, რომ ის ვილაცის თუ რალაცის მეოხებით ხდება, იმის მეოხებით, ვინც ნივთიერი სმყაროს გარეთ დგას, ვინც თავად არ არის შებოჭილი ბუნების კანონებით, ერთი სიტყვით, ვინც თავისუფალია. მიუხედავად სიძნელისა და აზრთა სხვადასხვაობისა, ამ თავისუფალი შემოქმედის ბუნებასთან დაკავშირებით რომ იყო და არის აღძრული (გაუთავებელი პაექრობა იმაზე, ღმერთია თუ არა, და თუ ღმერთია, პიროვნული ღმერთია თუ არა იგი, ე.ი. ადამიანის მსგავსი გონიერი არსება, ხოლო თუკი ასეა, რა სქესის უნდა იყოს იგი) — ყველა განსხვავებულ რელიგიურ სისტემაში ჩვენ ვხედავთ ერთიანობის ოქროს ძაფს, რომელზედაც ასხმულნი არიან ისინი. ყველა რელიგიას ერთი ძირი აქვს. ყველა რელიგია თავისუფლების მიღწევის პირობას წარმოადგენს.

საოცარია, ყველა ჩვენს სიხარულსა და მწუხარებაში, ჩვენს ბრძოლასა და შეჭირვებაში, მაინც დარწმუნებულნი რომ ვართ, თითქოს თავისუფლებისაკენ მივინევთ, დასმული იყო პრაქტიკული საკითხი: „რას წარმოადგენს სამყარო? საიდან წარმოიშვა იგი და საითკენ მიდის?“ პასუხი ასეთია: „ თავისუფლებაში წარმოიშვა იგი, თავისუფლებაში სუფევს და ხანგრძლივი არსებობის შემდეგ თავისუფლებაში განზავდება“. ამ უცნაურ იდეას ვერ განუდგებით. თქვენი სიცოცხლე, თქვენი მოქცევა დაბურდული იქნებოდა იმ იდეის გარშემო, რომ თავისუფალი ხართ. ბუნება ყოველ წუთს გვიმტკიცებს, რომ ეს ასე არ არის, რომ ჩვენ მონები ვართ, მაგრამ ამავე დროს, ჩვენ არ გვეშვება აზრი: და მაინც მე თავისუფალი ვარ... რაღაც, ჩვენს არსში დავანებული, გვარწმუნებს ამაში. ამ თავისუფლების განხორციელებისას, მის გამოვლენისას გადაულახავ დაბრკოლებებს ვანყდებით და, მიუხედავად ამისა, რაღაც ხმა ჩვენს არსში დაუინებით იმეორებს: თავისუფალი ვარ, თავისუფალი ვარ!

მსოფლიოს ყველა რელიგიაში ნახავთ თქვენ ადამიანის თავისუფლების ამ იდეას. საზოგადოების მთელი ცხოვრებაც თავისუფლების პრინციპის გამოცხადებაში მდგომარეობს და ყოველგვარ ამბოხსა და გადატრიალებას ამ პრინციპის განხორციელება იწვევს. ყველას, იცის თუ არა მან ეს, მოსწვდენია... თავისუფლებისაკენ მომწოდებელი ხმა. ეს ხმა ჩვენთან ერთად დაიბადა და იგია ყველა ჩვენი მოქმედების აღმძრავი მიზეზი... რად გვახლავს ზნეობა, თუ არ უნდა მივსდით ამ ხმას? და არა მარტო გულს კაცისას, არამედ ყველას და ყველაფერს, უმცირესი ატომიდან უმაღლეს ადამიანამდე, ესმის ეს ხმა და თვითეული ცდილობს მისდიოს მას. ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ერთმანეთისთვის გზის გადამჭრელნი, ერთმანეთს შეჯიბრებულნი და ერთმანეთის შემანეევარნი — კაცნი იბრძვიან თავისუფლებისათვის და ამ ბრძოლაშია სიცოცხლე თავისი სიხარულითა და მწუხარებით, მისწრაფებით, ტანჯვითა და ნეტარებით, თვით სიკვდილითაც. მთელი სამყარო სხვა არაფერია, თუ არ შედეგი შმაგი სწრაფვისა შეეხმაუროს ამ იდუმალ მხარეს. სინამდვილეში ჩვენ მხოლოდ ამას ვაკეთებთ და ეგ არის მიზანი ბუნებისა.

მაგრამ რას მოგვცემს ამის გაგება? როგორც კი ვიხმეთ ეს ხმა და გავიგონეთ მისი მოწოდება — ხილულმა იწყო ფერისცვალება. ქვეყანა, მანამდე მაიას საშინელ ბრძოლის ველს რომ წარმოადგენდა, ახლა რალაც სხვად იქცა, უფრო კარგ და მშვენიერ რამედ. ჩვენ უკვე წყველა-კრულვას აღარ ვუთვლით საწუთროს და აღარ ვამბობთ, რომ იგი ამაო და შემზარავია. რაკი გავიგონეთ ეს ხმა, ჩვენთვის ნათელი გახდა, ბრძოლის მიზეზი, მიზეზი ჯიბრისა და სისასტიკისა, უღმობელი ძლევისა და დამარცხებისა. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ამის მეოხებით ვიკაფავთ გზას იმ შინაგანი ხმისაკენ, რომელიც მოგვინოდებს.

ამრიგად, მთელი კაცობრიული ცხოვრება თავისუფლების გამოვლინებისათვის მიმართული მისწრაფებაა. მთელი ბუნება, თვითონ მზე, მის გარშემო მბრუნავი დედამიწა და მთვარე, რომელიც დედამიწას გარს უვლის — ამ მიზნისაკენ მიმართული მოძრაობაა. „ამ მიზნისათვის ელვარებს მზე და მთვარე, ამ მიზნისათვის ქრიან ქარნი და ქუხან ღრუბელნი, ამ მიზნისათვის დახეტილობს უჩუმარი ნაბიჯებით სიკვდილი“. ყველა ერთნაირად მიისწრაფის მისკენ. მისკენ მიედინებიან წმინდანი და ცოდვილი, გულუხვი ქველმოქმედი, გლახაკი და ძუნწი, სიკეთის მთესველი დიდებული მოღვაწე და უკეთური ზარმაცი. ვერცერთი მათგანი ვერ გაჩერდება. ზოგი ამ გზას ხშირად უხვევს ხოლმე და ჩვენ მას სუსტს ვეძახით. სხვანი იშვიათად შვრებიან ამას და მათ ძალგულოვანთ ვუნოდებთ. კარგი და ცუდი ორი სხვადასხვა რამე არ არის, არამედ ერთი და იგივეა. განსხვავება აქ გვარში კი არ არის, არამედ ხარისხში...

ბუნებაზე ჩვენი თვალთახედვის გაფართოების შესაბამისად ფართოვდება სულის ცნება და იქამდე მივდივართ, რაც მონოთეიზმად იწოდება. აქ ჩვენ ვხედავთ მაიას ანუ ბუნებას და აგრეთვე რალაცას, რაც მაიას ზემდგომი და უმაღლესია და რაც გვაიმედებს, რომ ბოლოს თავს დავალწევთ მას. იმ სათავიდან, საიდანაც გამოდიოდნენ მონოთეისტური იდეები, დაიწყო ვედანტაც.

ვედანტას ფილოსოფია გვეუბნება, რომ მაიასაგან დამოუკიდებელი უზენაესი სულის იდეა ძალიან კარგია, მაგრამ იგი, თუმცა პირდაპირ არ ეწინააღმდეგება გონებას, მაინც საკმაოდ ბუნდო-

ვანი და ბნელია. ვედანტას მიმდევარი იმას მიელტვის, რაზეც თქვენს საგალობელშია ნათქვამი: „რამეთუ მოგეახლო უფალო!“ ეს საგალობელი ზედგამოჭრილია ვედანტელისათვის, თუმცა ერთ სიტყვას ასე გადაასწორებდა: „რამეთუ მომეახლო უფალო!“ ბუნების გარეშე მდგარი უშორესი მიზანი, რომელიც ყველას თავისკენ გვიზიდავს, სულ უფრო და უფრო გვიახლოვდება ისე, რომ ნაკლებ ამალღებული არ ხდება: ციერი ღმერთი ბუნებითი ღმერთი ხდება, ხოლო ბუნებაში მყოფი ღმერთი, ტაძარსა შინა — ჩვენს სხეულში დავანებული ღმერთი. ამ ტაძარში დავანებული ღმერთი თავად იქცევა ტაძრად და იგი, ვისაც ბრძენნი ეძიებდნენ, კაცის სულად და ხორცად გარდაიცვლება. და მისგან ნამოვა უკანასკნელი სიტყვა, რომელიც დაგმოძღვრის ჩვენ. ვედანტა გვეუბნება, რომ ხმა ჩვენს მიერ მოსმენილი, თუმცა ჭეშმარიტებას გვაუწყებდა, სწორი გზით არ გავემართეთ მისკენ. თავისუფლების ის იდეალი, რაც შვეიცანიტ, ჭეშმარიტია, მაგრამ ჩვენს გარეშე გვეგონა იყო და ეს არის ჩვენი შეცდომა. დაიახლოვეთ იგი უფრო და უფრო, ვიდრე არ დაინახავთ, რომ იგი თქვენს არსში იყო მუდამ, თქვენს გულში იყო გულისგულად. თავისუფლება თქვენი საკუთარი ბუნება ყოფილა და სინამდვილეში მაიას არასოდეს შეუბოჭიხართ. ბუნებას არასოდეს ჰქონია ძალა თქვენს გულზე...

ჩვენ მარტო გონებით კი არ უნდა მივწვდეთ ამ თავისუფლებას, ყველაფერ ამსოფლიურზე უფრო გარკვევით უნდა შევიგრძნოთ იგი. მხოლოდ მაშინ განვთავისუფლდებით. მხოლოდ მაშინ თუ გაქრება ყოველგვარი გაუგებრობა, დაცხრება გული და გამოსწორდება ჩვენი შეცოდება. მაშინ განქარდება მრავლობითობის ილუზია და ბუნება შემზარავი, უიმედო ჩვენების ნაცვლად მშვენიერ ოცნებად გადაიქცევა, ხოლო დედამინა სატუსალოს მაგივრად განსაცხრომელად. ყველა დაბრკოლება, ფათერაკი და სატანჯველი ღვთაებრივით შეიმოსება და თავის ჭეშმარიტ სახეს გამოამყლავნებს. ეს სახე დაფარულია ყოველთა მიღმა, იგი ერთია და ყოველი საგნის არსს წარმოადგენს, და იგივეა ჩემი საკუთარი ჭეშმარიტი სული.

ამბობენ: კაცი — ის, ვინც დასთესს — მოიმკის კიდეც,
და ყოველ მიზეზს შედეგი მოსდევს: კარგს კარგი და ბოროტს
ბოროტი,

და ვერავინ უკურიგდებს ამ მტკიცე კანონს.
სახით მოსილი — ბორკილითაც დაბორკილია...
ყოველი სახის და სახელის უმაღლეს ჰგიეს
თვალშეუდგამი, თავისუფალი, საუკუნო სული — ატმანი.
უნყოდე, გულმხნე სანიასანო: შენ — იგი ხარ, და იგალობე:
ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

და არ უნციან ჭეშმარიტი მათ — უაზრო სიზმრებს ვინც ხედავს —
დედას და მამას, შვილებს, ცოლსა და ერთგულ მოყვასს...
ო, სქესის წიაღ მდგარო არსო,
ვისი მამა და ვისი ძეა, ვისი მტერი და მოყვარეა
იგი, ვინც მუდამ ერთი იყო და მარადლე ერთი იქნება?
ყოველთა შინა ყოველია, მის გარე ყოფად არაფერი არ მოიქცევა.
და შენ მდგარო სანიასანო — შენა ხარ იგი!
ეს რაკი უნცი, იგალობე: ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

მყოფობა მხოლოდ იმ ერთს ახლავს —
თავისუფალს, უორანოს, არსებულს, ყოველადს,
ერთს — ვისაც სახლი, სახე და ფერი არ აბადია,
არამედ სიზმართ მზმანებელი მაია, და ის
ბუნებისა და გონის სახით გამოვლენილი უჭკვრეტს ამ სიზმრებს...
შენ ხარ იგი!
უნყოდე ეგე გულმედგარო სანიასანო და იგალობე:
ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

იქ, სადაც ფიქრობ მოიხვეჭო თავისუფლება,
თავისუფლებას ვერ მოგაგებს ვერც ესა და ვერც ის ქვეყანა.
ამაოა შენი შრომა ტაძართა და წერილთა შინა,

თავად შენა გაქვს ხელთ საბელი ჭირთაგან მხსნელი...
 ნუვისლა ჰყვედრი მაშ ამოდ!
 დასთმე ყოველი, რაცა გბოჭავს და მშვიდად წარსთქვი:
 ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

ეს უთხარ ყოველს: მშვიდობა თქვენდა!
 სიცოცხლით მორჭმულს მე არაფერს არ ვემუქრები,
 მე — ყოველი ვარ ყოველთა შინა,
 მალალთა შინა და ყოველი მდაბალთა შინაც.
 მე უარყოფ ცხოვრებას აქ და იმიერ ქვეყნად,
 მე უარყოფ ყველა ცას და ყველა სოფელს, თვით ჯოჯობეთსაც,
 ყოველგვარ შიშსა და სასოებას...
 მაშ, მოიძარცვე ბორკილები გულმედგარო სანიასანო
 და იგელობე: ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

ჭეშმარიტება არ ბოგინობს იმ ჭერქვეშეთში,
 სადაც დიდება, სიხარბე და ავხორცობაა...
 სრულყოფილებას ვერ მოიხვეჭს კაცი,
 რომელიც დიაცში ხედავს გულისთქმის საგანს,
 ვერც იგი, ვისაც თუნდაც ცოტა რამ აბადია.
 ვერც ის, ვის გულშიც ცოფი მძვინვარებს.
 მათგან ვერცერთი გადალახავს მაიას ბჭეებს—
 ეს ყოველივე დასთმე სათნო სანიასანო და იგალობე:
 ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

შენ არ გჭირდება კარ-მიდამო, სახლი, სადგომი,
 ვერ შეგაჩერებს შენ ვერცერთი სამკვიდრებელი.
 ცის გუმბათია უქცეველი შენი ჭერი,
 მწვანე ველი — ქვეშაგებელი,
 და შემთხვევითი შეჭამადი (შენთვის სულერთი უნდა იყოს—

ავად თუ კარგად შემზადილი) დაგაპურებს შენ.
 და არ არსებობს სასმელი და შეჭამადი ქვეყნად ისეთი,
 რომ მას შეეძლოს
 თავისი თავის შემეცნების მონადინე ატმანის შესვრა.
 მარადმედინი ნაკადულის მსგავსად იდინე!
 იდინე ქვეყნად გულმედგარო სანიასანო და იგალობე:
 ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

მცირედთ უწყიან ჭეშმარიტი...
 ხენეში გულით დაგცინებენ უმეცარნი,
 ღვარძლიანი სიძულვილით შეგიძულევენ.
 ყურს ნუ დაუგდებ უგუნურთა უმწეო ლულლულს,
 გასწი შენს გზაზე და უმეცართ მიახს ბნელი სამეფოდან
 გალმა გასვლა გაუადვილე.
 ტანჯვის წინაშე ქედუხრელო, ნარმავალი ნეტარების
 ცქაფი გულით არმიმხვეჭელო,
 გასწი შენს გზაზე გულმედგარო სანიასანო და იგალობე:
 ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

აგრე, მარადლე, დაუცხრომლად განამტკიცე შენ სული შენი,
 ვიდრე კარმის ძალისხმევა საბოლოოდ დაიშრიტება.
 აღარ არსებობს შენთვის უკვე არც სიკვდილი, არც დაბადება,
 არც „მე“ და არც „შენ“.
 არც მოკვდავი და არც უკვდავი.
 გარდაიცვლება „მე“ ყოვლად და ყოველი „მე“-დ გარდაიცვლება!
 უწყოდე მხნე და გულმედგარო სანიასანო, რომ შენ იგი ხარ,
 და ხმამაღლა იგალობე: ა უ მ. ტ ა ტ ს ა ტ. ა უ მ!

გონი და მატერია

გონი და მატერია ყოველთვის განსჯისა და კამათის საგანი იყო, როგორც მეცნიერებაში, ისე ფილოსოფიასა და რელიგიაში. ყველა ქვეყნის დიდი მოაზროვნეები ცდილობდნენ გაეგოთ ამ ორი ტერმინის ჭეშმარიტი მნიშვნელობა და დაედგინათ მათი ურთიერთდამოკიდებულება. ამ ორ სიტყვას სხვადასხვა სინონიმები გააჩნია, მაგალითად: „მე“ და „არა — მე“, სუბიექტი და ობიექტი, გონი და მატერია. სწავლულნი და ფილოსოფოსნი, გვიმარტავდნენ რა თავიანთ აზრებსა და ცნებებს მათ შესახებ, სხვადასხვა თეორიებს გვთავაზობდნენ და სხვადასხვა დასკვნამდე მიდიოდნენ. ზოგი ამტკიცებს, რომ გონი ანუ გონება, ანუ „მე“ — მატერიის მიზეზია, მაშინ როცა სხვები მატერიას მიიჩნევენ გონის მიზეზად. ამ დასკვნებმა დასაბამი მისცა სხვადასხვა მსოფლგაგებას, რომლებიც სამ ნაკვეთად შეგვიძლია დავყოთ: თეორია სპირიტუალისტებისა ანუ იდეალისტებისა, მატერიალისტებისა და თეორია მონისტებისა...

რა არის მატერია? უნახავს ვინმეს იგი?.. არა, ჩვენ ვხედავთ ფერს. ერთი და იგივეა ფერი და მატერია? — არა, ფერი თვისებაა მატერიისა. რაშია ეს თვისება? გაუნათლებელ კაცს შეიძლება ეგონოს, რომ იგი თვითონ საგანში არსებობს, მაგრამ ფიზიოლოგი მას აუხსნის, რომ ჩვენს მიერ აღქმული ფერი, როგორც ასეთი, არ არსებობს საგანში. იგი მხოლოდ შეგრძნებაა, რომელსაც ჩვენში ვიბრაციის გარკვეული რიგი იწვევს. ამ ვიბრაციას ოპტიკური ნერვების მეშვეობით აღიქვამს ჩვენი ცნობიერება. თითქოს უცნაურია, მაგრამ ეს სინამდვილეა. ფერის შეგრძნება რთული შედეგია: როგორც კი შეაღწევს მხედველობის ორგანოში ეთერის ვიბრაცია, იგი ვიბრაციის სხვა რიგს აღძრავს ტვინის უჯრედებში და ამ უკანასკნელს აღიქვამს გონიერი არსი. ამიტომ ფერი ობიექტური და სუბიექტური ელემენტების შერწყმის შედეგია. იგი პროდუქტია გარე სამყაროდან მომდინარე ნაკადისა და სუბიექტური ან მატერიალური მოღვაწეობის შერწყმისა. ამრიგად, ჩვენ ვიგებთ, რომ ფერი საგანს არ ახლავს. იგი

გაპირობებულია თვალის ბადურის გარსით და აგრეთვე დამოკიდებულია ოპტიკურ ნერვსა და ტვინის უჯრედებზე. ამიტომ ფერი და მატერია არ შეიძლება ერთი და იგივე იყოს.

შეგვიძლია ზუსტად ასევე ვიკითხოთ: ერთი და იგივეა თუ არა ჩვენ მიერ მოსმენილი ბგერა და მატერია? — არა. ბგერაც გარკვეული ხასიათის ვიბრაციისა და გონის მოქმედების შერწყმის შედეგია.

ძილში ბგერის ვიბრაცია აღწევს სმენის ორგანოებს და სმენითი ნერვის მეშვეობით ტვინის უჯრედებამდეც მიდის, მაგრამ არაფერი გვესმის, რაკი აღმქმელი გონი გამოთიშულია... ამიტომ ბგერა და მატერია ერთი და იგივე არ არის. ზუსტად ასევე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ არც სხვა გრძნობები გვიმარტავენ იმას, თუ რა არის მატერია.

...ჯონ სტიუარტ მილი მატერიას განსაზღვრავს როგორც „შეგრძნების მუდმივ შესაძლებლობას“, ხოლო გონს, როგორც „განცდის მუდმივ შესაძლებლობას“. მაგრამ ეს განსაზღვრება კიდევ უფრო აბუნდოვნებს ამ ცნებას. ...მოკლედ: მატერია არის ის, რაც შეიძლება მუდმივ შეიგრძნო ან აღიქვა. გონი არის ის, რასაც ძალუძს მუდმივ შეიგრძნოს ან აღიქვას. გონი წარმოადგენს შეგრძნების სუბიექტს.

ის, რაც მუდმივ შესაძლებელს ხდის შეგრძნებას, არასოდეს გამომყლავნდება გრძნობათა ორგანოების მეშვეობით, რადგან ეს ორგანოები ჩვენი შეგრძნებებისათვის მხოლოდ გახსნილ კარებს წარმოადგენს. ყველაფერი, რაც კი შეგვიძლია მატერიაზე ვთქვათ, ისაა, რომ იგი შეგრძნებებს იწვევს. როდესაც ვცდილობთ გავიგოთ მისი ბუნება *per se* ან დაწვრილებით ჩაწვდეთ მას — ჩვენი გრძნობები ვერაფერში გვეხმარება. თვალი მხოლოდ ფერების შეგრძნების იარაღია, ყური ბგერების აღქმისა, ნესტოები ყნოსვის შეგრძნებისა. გარე სამყაროს ჩვენეული აღქმა გრძნობათა ამ ორგანოებით არის დასაზღვრული. თუმცა კი ვიცით, რომ მატერია დროსა და სივრცეში არსებული რამ არის, და იგი სხვადასხვანაირ შეგრძნებებს იწვევს, მაინც არ ძალგვიძს მისი დანახვა და შეხება. ჩვენ შეგვიძლია შევეხოთ სკამს,

ხის ნაჭერს, მაგრამ თავად მატერიას ვერ შევეხებით. ეს დიდად საინტერესოა. ოქრო და ქვა მატერია არ არის, თუმცა ისინი მატერიისაგან არის შექმნილი. მატერია ხისა და ქვის სახით არის გამოვლენილი.

საინტერესოა, ვიცოდეთ სიტყვა „მატერიის“ ისტორია. ეს სიტყვა ლათინური materies-იდან წარმოდგება, რაც „ნივთიერებას“ ნიშნავს. თავდაპირველად იგი იხმარებოდა მაგარი ხისა ან ხარაჩოების აზრით. შემდეგ თანდათანობით საერთო ცნება შეიქმნა. ამრიგად materies-ში იგულისხმებოდა ნივთიერება, რომლისგანაც რაიმე კეთდებოდა ან იქმნებოდა. ხოლო შემდეგ, როცა დაისვა კითხვა: რისგან შეიქმნა სამყარო? — პასუხი დასძენდა, რომ ის მატერიისაგან შეიქმნა, რაც რაიმე განსაზღვრულს არ ნიშნავდა. ეს სიტყვა გამოყენებულია იმ უცნობი სუბსტანციის აღსანიშნავად, რომელიც აღქმის გარკვეულ ობიექტებს ჰქმნის. ამით ამოიწურება ამ სიტყვის ზუსტი და ნამდვილი მნიშვნელობა...

მაგრამ ეგვე — მეცნიერებასა და ფილოსოფიაში ის უცნობი სუბსტანციაა, რომლისგანაც წარმოდგება ყველა ფენომენური ფორმა. იგი აღქმის ორგანოთა მიღმაა, მაგრამ საფუძველია სამყაროს ყველა ობიექტისა. იგი დროისა და სივრცის იდენტური არ არის, მაგრამ ავსებს სივრცეს და ვლინდება დროში, და არ ისაზღვრება მიზეზობრიობის კატეგორიით. ყველა ეს ცნება ჩართულია სიტყვა „მატერიის“ მნიშვნელობაში. როდესაც სამყაროს სახით გამოვლენილ სუბსტანციაზე ვმსჯელობთ, ჩვენ იგი უზარმაზარ, შეუწერელ, საკვირველ და უცნაურ, მუდმივ ცვალებადი ძალით მორჭმულ რაიმედ წარმოგვესახვის...

მატერია არავის შეუქმნია. არავის უნახავს იგი არასოდეს და არც არავის ძალუძს მოიაზროს მატერიის არარაისგან შექმნა, ან მისი სრული განადგურება. თანადროული მეცნიერების განსაზღვრის თანახმად, მატერია თავისი ჭეშმარიტი ბუნებით ხელთუქმნელი ნივთიერებაა, რომელსაც ვერ ხელყოფ, სხვანაირად: იგი არ შექმნილა არარაისგან და არც განქარდება არა-რაში...

მატერია სამყაროული ნივთიერებაა. მისგან შედგება მთელი ობიექტური სამყარო ან ყველაფერი ის, რაც გრძნობებით აღიქმება, ან გონებით შეიმეცნება. მატერია ყოველთვის ობიექტურია, მაშინ როდესაც გონი ყოველთვის სუბიექტურია. და იგი აღიქვამს და შეიმეცნებს მატერიას, ობიექტს. ახლა ჩვენ გვესმის სხვაობა: გონი აღიქვამს და შეიმეცნებს, ხოლო მატერია აღიქმება, შეიგრძნობა და შეიმეცნება. პირველი სუბოექტია, მეორე ობიექტი... თეორია, რომელიც უშვებს ობიექტის არსებობას და უარყოფს გონის, გონების ან სუბიექტის არსებობას, ცალმხრივი და არასრულყოფილია, რაკი იმ ფაქტს უარყოფს, რომ მატერიას ან ობიექტს მხოლოდ სუბიექტთან მიმართებაში შეუძლია იარსებოს.

მატერიალისტების თეორია ლოგიკური შეცდომაა, რადგან იგი სუბიექტისა და ობიექტის ცნებების აღრევაზეა დაფუძნებული. ეს თეორია ამტკიცებს, რომ მატერია ობიექტურია, მაგრამ ამავე დროს იმის დამტკიცებაც სურს, რომ მატერია სუბიექტის მიზეზიცაა აგრეთვე, რაც შეუძლებელია. „A“ არასოდეს გადაიქცევა „არა A“-დ. მატერიალიზმი იმ იდეიდან გამოდის, რომ მატერია ობიექტურია, მაგრამ ამთავრებს იმით, რომ სურს დაამტკიცოს, თითქოს ეს ობიექტური საგანი თანდათანობით სუბიექტურობით მორჭმულ გონებად, სულად ან „მე“-დ გარდაიქმნება. იმ წინამძღვრიდან, რომ მატერია არის ის, რაც აღიქმება, რომ იგი მიზეზია შეგრძნებისა, — მატერიალიზმს თანდათანობით სურს დაამტკიცოს, რომ იგივე მატერია ჰქმნის იმას, რაც შეგრძნებებს აღიქვამს. ეს წინააღმდეგობა და აბსურდია.

...სპირიტუალისტების ანუ იდეალისტების თეორიაც ასევე ცალმხრივია. ვაღიარებთ რა არსებობას გონისას, ვაღიარებთ მატერიის არსებობასაც და პირუკუ. ამიტომ სწორი იყო გოეთე, როცა ამბობდა: „მატერიას არ ძალუძს არსებობა და მოქმედება გონის გარეშე, ხოლო გონს მატერიის გარეშე“.

სამყაროს სუბსტანციას, როგორცა ჩანს, ორი ატრიბუტი აქვს: სუბიექტი და ობიექტი, გონი, გონება, ანუ „მე“ და მატერია ან „არა-მე“. ისინი ერთიანი, მარადიული სუბსტანციის (რომე-

ლიც ჭეუცნობელი და უცნაური ყოფიერებაა) ორი ასპექტის მსგავსად არსებობენ. სპინოზა მას „სუბსტანციას“ უწოდებდა, ჰერბერტ სპენსერი „შეუცნობელს“. ეს იგივეა, რაც „Ding in sich“ ან ტრანსცენდენტური „საგანი თავისთავად“ კანტისა. პლატონი მას „სიკეთეს“ უწოდებს. ეს არის „უზენაესი სული“ — Over Soul ემერსონისა, ხოლო ვედანტის მოძღვრების თანახმად — „ბრაჰმანი“, აბსოლუტური მსოფლიო სუბსტანცია, უსასრულო და საუკუნო წყარო გონისა და მატერიისა, ობიექტურისა და სუბიექტურისა. ეს სუბსტანცია არ წარმოადგენს მრავლობითობას, არამედ ერთიანობას. ყველა მოვლენა ამ ერთიანი წყაროდან — ბრაჰმანიდან წარმოდინდა და მისადვე მიიქცევა დაშლის ჟამს. ეს არის სამყაროს ენერგია, ყველა ძალის დედა და შემოქმედი...

ეს სამყარო უზარმაზარ მაგნიტს შეგვიძლია შევადაროთ. მისი ერთი პოლუსი მატერიაა, მეორე — გონი, ხოლო ნეიტრალური წერტილი — აბსოლუტური სუბსტანცია. ამ საფუძველზე სამივენი, ე.ი. მატერია, გონი და ბრაჰმანიც მარადიულნი არიან.

მაჰატმა განდი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა წ ი გ ნ ი ს ა „ჩ ე მ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა“

ხუთი წლის წინ, უახლოესი თანამოაზრეების დაჟინებით, მე დავთანხმდი დამენერა ავტობიოგრაფია. საქმეს გულმოდგინედ შევეუდექი. იმ ხანად, ერთ ჩემს ღვთის მოშიშ მეგობართაგანს აღეძრა ეჭვი, რაც გამანდო კიდეც ჩემი „დუმილის დღეს“.

რა გიბიძგებთ ამ ავანტიურაზე? — მკითხა მან. — ავტობიოგრაფიის წერა ევროპელებს სჩვევიათ, აღმოსავლეთში არ მეგულება არც ერთი კაცი, ავტობიოგრაფია რომ დაენეროს, დასავლეთის გავლენის ქვეშ მოქცეულ პირთა გამოკლებით. ან რა უნდა დანეროთ? ვთქვათ ხვალ თქვენ უარყავით ის დებულებები, რომლებიც დღეს პრინციპულად მიგაჩნიათ, ანდა მომავალში გადასინჯეთ დღევანდელი გეგმები. ხომ არ გაირკვევა მაშინ, რომ ხალხი, რომელიც თავის მოქმედებას თქვენს ავტორიტეტულ სიტყვას უქვემდებარებდა, შეცდომაში იყო შეყვანილი? განა არ აჯობებს, მოეშვათ ამ საქმეს, ან ცოტახანს მაინც შეიკავოთ თავი?

ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანა. მაგრამ მე ხომ ნამდვილი ავტობიოგრაფიის დანერას არც ვაპირებ. მე უბრალოდ, ჭეშმარიტების ჩემეული ძიების ამბავი მინდა მოგიტხროთ... მე მჯერა, ან უკიდურეს შემთხვევაში, თავს ვაჯერებ, რომ ეს ამბავი მკითხველს ერთგვარ სარგებლობას მოუტანს. პოლიტიკის სფეროში ჩემი ძიებები ახლა არა მარტო ინდოეთშია ცნობილი, არამედ, გარკვეული აზრით, მთელს „ცივილიზებულ“ მსოფლიოში. ჩემთვის ისინი დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. კიდეც უფრო ნაკლები ღირებულება აქვს ჩემთვის „მაჰატმას“ წოდებას, რომელიც ამ ძიებებმა მომიპოვა. ეს ტიტული ხშირად მეტისმეტად მიწუხებდა გულს და მე არ მახსოვს, რომ მას ოდესმე გავეხარებინე. მაგრამ მე, რა თქმა უნდა, მოგიყვებით მხილოდ ჩემთვის საცნაური სულიერი ძიებების ამბებს, რომელთა მეშვეობითაც ვიხვეჭდი ძალას პოლიტიკის სფეროში. თუკი დავუშვებთ, რომ ჩემი ძიებები მართლაც სულიერების შესატყ-

ვისია, მაშინ აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს თავის ქებას და ჩემი მონათხრობი მხოლოდ ხელს შეუწყობს ჩემსავე თავმდაბლობას. რაც უფრო ხანგრძლივად ვუკვირდები წარსულს, მით უფრო ცხადად ვგრძნობ ჩემს შეზღუდულობას.

ოცდაათი წლის მანძილზე მე ერთადერთ რამეს ვესწრაფოდი — თვითშემეცნებას. მე მინდა პირისპირ ვიხილო ღმერთი, მივალწიო „მოქშას“ მდგომარეობას. მე მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად ვცხოვრობ, ვმოდრაობ და ვარსებობ. ყველაფერი, რასაც მე ვამბობ და ვწერ, მთელი ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობა, ამ მიზნისაკენ არის მიმართული და რაკი დარწმუნებული ვარ, რომ ყველას შეუძლია გააკეთოს ის, რასაც ერთი კაცი შესძლებს, საიდუმლოდ არ ვინახავ ჩემს გამოცდილებას. არა მგონია, ეს ამდაბლებდეს ამ გამოცდილების სპირიტუალურ ღირებულებას. არის საგნები, რომლებიც მხოლოდ შენთვისა და შენი შემოქმედებისთვისაა ცნობილი. მათი საქვეყნოდ გამოტანა, რა თქმა, უნდა არა ხამს. მაგრამ ის ექსპერიმენტები, მე რომ მინდა მოგიტხროთ, სულ სხვა ხასიათისაა. მათ გონითი, ან უფრო სწორად, მორალური ღირებულება აქვთ, რაკი რელიგიის არსს მორალი წარმოადგენს.

მე ვილაპარაკებ რელიგიის მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც თანაბრად გასაგებია, როგორც დიდთა, ისე ბავშვთათვის. თუკი შევძლებ და ამ ამბებს თავმდაბლად და მიუდგომლად მოგიყვებით, ჭეშმარიტების ბევრი სხვა მაძიებელიც ჰპოვებს ჩემს ნაამბობში ძალას შემდგომი წინსვლისათვის... მე შევძელი უღრმესი თვითანალიზი, გულმოდგინედ გამოვცადე ჩემი თავი, გამოწვლილვით გამოვიკვლიე და გავიაზრე სხვადასხვა ფსიქოლოგიური მომენტები. და მაინც, არამც და არამც არ დავიჩემებ, ეს დასკვნები საბოლოო და უთუო არის-მეთქი. ერთადერთი, რასაც ვიჩემებ, ისაა, რომ ეს დასკვნები აბსოლუტურად სწორი და საბოლოო მგონია ამ მომენტისათვის. ამ დასკვნების სისწორე რომ მეექვსეობდეს, ჩემს მოღვენობას მათზე არ დავაფუძნებდი. მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხან ვერწმუნებოდი, ხანაც უარვეყოფი მათ და ამის შესაბამისად ვიქცეოდი. ხოლო ვიდრე ჩემი მოქმედება აკმყოფილებს ჩემს გულსა და ტვინს, მე მტკიცედ დავიცავ ჩემს თავდაპირველ დასკვნებს.

მხოლოდ აკადემიური პრინციპების განსჯა რომ მომენდომებინა, მე, რალა თქმა უნდა, არ დავინყებდი ავტობიოგრაფიის წერას. მაგრამ მე მიზნად დავისახე მეჩვენებინა, პრაქტიკულად როგორ უნდა მოეხმარათ ეს პრინციპები და წინამდებარე წიგნს ამიტომ ვუნოდე „ჭეშმარიტების ჩემული ძიებების ამბავი“... ჩემთვის ჭეშმარიტება არის თავდაპირველი, უპირატესი პრინციპი, რომელიც სხვა მრავალ პრინციპს მოიცავს. ეს ჭეშმარიტება გახლავთ სიმართლე არა მარტო სიტყვისა, არამედ აზრისაც, არა მხოლოდ ფარდობითი ჭეშმარიტება ჩვენეული გაგებისა, არამედ ამასთან ერთად აბსოლუტური ჭეშმარიტებაც — მარადიული პრინციპი, ანუ ღმერთი.

არსებობს ღმერთის აურაცხელი განსაზღვრება, რადგან ღმერთის გამოვლინებაც აურაცხელია. ეს გამოვლინებანი მაცვიფრებენ და მოკრძალებული თრთოლვით მივსებენ გულს, ხოლო ზოგჯერ თავზარსაც მცემენ. მაგრამ მე ღმერთს თაყვანსაც ვცემ მხოლოდ როგორც ჭეშმარიტებას. მე ჯერ არ მიპოვნია იგი, მაგრამ ვეძიებ. ამ ძიებას მე მზადა ვარ ყველაფერი ვუმსხვერპლო, ჩემთვის ყველაფერზე უძვირფასესიც კი. მე თავად სიცოცხლესაც გაწირავ, თუკი ეს საჭირო იქნება. და მაინც — მანამ, სანამ არ შემიცვნია აბსოლუტური ჭეშმარიტება, ჩემეული გაგების ფარდობით ჭეშმარიტებას უნდა დავეყრდნო. იგი ჩემი შუქურა და ფარი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გზა მახვილის პირივით ბასრი და პირდაპირია, ჩემთვის მაინც ყველა გზაზე მოკლე და ადვილი იყო. ჩემი უდიდესი შეცდომებიც კი, არარაობად მეჩვენება იმის წყალობით, რომ მე განუხრელად ვადექი ამ გზას.

ამ გზამ მიხსნა ჭმუნვისაგან, და მე შინაგანი სინათლით გულანთებული მისივე წინამძღვრობით მივიწვედი წინ. ამ გზაზე არა ერთხელ მომიკრავს თვალი ღმერთის სუსტი გამოკრთომისათვის და ჩემს გულში დღითიდღე მტკიცდებოდა რწმენა, რომ მხოლოდ იგია რეალობა, ხოლო ყველაფერი დანარჩენი გაძარცულია რეალობისაგან. დაე, მათ, ვისაც სურს შეიმეცნონ, როგორ მტკიცდება ჩემში ეს რწმენა, გაიზიარონ ჩემი გამოცდილება. ჩემში მნიფდებოდა შეგნება, რომ ყველაფერი, რაც მისაწვ-

დომია ჩემთვის, მისანვდომია აგრეთვე ბავშვებისთვისაც. მე ამას სრული საფუძვლით ვამბობ. ჩემი ძიებების პრაქტიკულად განხორციელება რამდენადაც ადვილია, იმდენადვე ძნელიც არის. ეს ძიებანი შეიძლება სავსებით მიუღწეველი მოეჩვენოს ქედმაღალ კაცს, უმანკო ბავშვს კი — სავსებით ხელმისაწვდომი. ჭეშმარიტების მაძიებელი გორახზე თავმდაბალი უნდა იყოს. მსოფლიონი ფეხით ქელავენ გორახს, ჭეშმარიტების მაძიებელმა კი იმდენად უნდა დაიმდაბლოს თავი, რომ გორახს შეეძლოს მისი გაქელვა. და მხოლოდ მაშინ და არა მანამდე იგი განჭვრეტს ჭეშმარიტების კრთომას. ეს სავსებით ნათელი ხდება ვაშიშტასა და ვიშვამითრას დიალოგიდან. ქრისტიანობა და ისლამიც სავსებით ადასტურებენ ამას.

უკეთუ მკითხველს მოეჩვენება, რომ ჩემს ნაამბობში ქედმაღლობა გამოსჭვივის, ეს იმის ნიშანია, რომ რალაც შეცდომა მომსვლია ჩემს ძიებებში და მე ჭეშმარიტების ნაპერწკალი კი არ დამინახავს, არამედ მხოლოდ მირაყი. დაე, ათასობით დაილუპონ ჩემისთანები, ოღონდ გაიმარჯვოს ჭეშმარიტებამ. ერთი ბენოთიც კი არა ღირს გადავუხვიოთ ჭეშმარიტებას, როცა ისეთი შეცდომილი მოკვდავის მოღვაწეობას აფასებთ, როგორც მე ვარ.

მე გთხოვთ, ნიგნში გაბნეული რჩევები არავინ მიიჩნიოს ავტორიტეტულად. ჩემს მიერ აღწერილი ექსპერიმენტები განხილულ უნდა იქნას როგორც მხოლოდ მაგალითები. ყველას, ვინც ამ მაგალითებს გაეცნობა, შეეძლება საკუთარი ნიჭისა და მიდრეკილებების შესაბამისად ჩაატაროს ცდები. მე ვვარაუდობ, რომ ასეთი უკუთქმით შემოთავაზებული ჩემი მაგალითები მართლა სასარგებლო იქნება, რაკი განზრახული არა მაქვს დავფარო ან მივჩქმალო უსიამო ამბები, რომელთა გამო ღირს ლაპარაკი. მე იმედი მაქვს მკითხველს გავაცნო ყველა ჩემი შეცდომა და ნაკლი. ჩემი ამოცანაა აღვწერო ჩემი ძიებანი ს ა ტ ი ა გ რ ა ხ ა ს სფეროში და არა ის, რომ გითხრათ, რა კარგი ვინმე ვარ. საკუთარი თავის შეფასებისას შევეცდები ჭეშმარიტებისებრ მკაცრი ვიყო და ვისურვებდი სხვებიც ასეთივე ყოფილიყვნენ. ასეთი საზომით რომ ვუდგები საკუთარ თავს, მე მინდა სუდრასავით შევძახო:

არის ამ ქვეყნად გარენარი —
ეგზომ ბინიერი და გულარძნილი, როგორიც მე ვარ?
მე უარყავი გამჩენი ჩემი,
იმდენად ცრუ და ზნედაბალი ვარ.

რადგან მე დღენიადაგ მანამებს აზრი, რომ ჯერ კიდევ შორ-
სა ვარ იმისაგან, და ეს დანამდვილებით ვიცი, — ვინც მართავს
ჩემს ყოველ ამოსუნთქვას და ვისთანაც ჰკიეს ჩემი დასაბამი. მე
ვიცი, ავი გულისთქმა რომ მაშორებს მისგან, მაგრამ არ შემიძ-
ლია დავთრგუნო გულისთქმა...

სხვადასხვა რელიგიების გაცნობა

ინგლისში ყოფნის მეორე წლის მიწურულში მე გავიცანი ორი მარტოხელა ძმა — თეოსოფები. ძმებმა „გიტაზე“ დამიწყეს ლაპარაკი, მათ ერვინ არნოლდის მიერ თარგმნილი ლეთაებრივი საგალობელი წაეკითხათ და ახლა შემომთავებეს ერთად წავეკითხა დედანი. მე მრცხვენოდა, რომ ეს ლეთაებრივი პოემა წაკითხული არ მქონდა, არც სანსკრიტზე და არც გუჯარათულ ენაზე. მაგრამ იძულებული გავხდი მეღიარებინა, სიამოვნებით დავთანხმდი ამ წინადადებას და ვუთხარი, რომ თუმცა ცუდად ვიცი სანსკრიტი, იმედი მაქვს-მეთქი, აღვნიშნო ის ადგილები, სადაც მთარგმნელმა ვერ შეძლო დედნის გადმოცემა. ჩვენ ერთად დავიწყეთ „გიტას“ კითხვა. მეორე თავის შლოკებმა ჩემზე უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი დღემდე ხშიანებენ ჩემს სმენაში:

გრძნობათა საგნების მიმართ გულისთქმით აღძრული —
მათ მიერვეა დაბმული,

და ეგ ბაღებს წადიერებას.

წადიერება გულისწყრომას ბაღებს,
გულისწყრომესაგან თავგზა გვებნევა,
თავგზადაბნეულთ ცნობა გვეხდება,
ცნობამიხდილნი გონებასაც ვკარგავთ,
უგონოქმნილნი ვილუპებით...

ვინც გულის ვნებას ნებისყოფით დაიოკებს და
წადილსა და ზიზღისაგან

განდგომილი გრძნობათა ბჭეს გადალახავს —
ატმანის ერთგული, გონების სინათლეს მოიპოვებს.
მაშინ განქარდება მისი საჭმუნავი,
რადგან ცნობა გონებანათელისა განმტკიცებულია.

წიგნი დაუფასებელი მეჩვენა. რაც მეტი ხანი გადიოდა, მით უფრო მიმტკიცდებოდა ეს შეხედულება. ამ წიგნს მე ახლაც ქეშ-

მარიტების შემეცნების უმთავრეს წყაროდ მივიჩნევ. მე „გიტას“ თითქმის ყველა ინგლისური თარგმანი წავიკითხე და ერვინ არნოლდის თარგმანი საუკეთესო მგონია, იგი მეტად ზუსტია, ამავ დროს თქვენ ვერა გრძნობთ, რომ ეს თარგმანია. იმ ხანად, „გიტას“ რომ ვკითხულობდი, მე არ შემისწავლია იგი. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იქცა ჩემს სამაგიდო წიგნად.

ძმებმა მირჩიეს აგრეთვე წამეკითხა ერვინ არნოლდის „აზიის სინათლე“. აქამდე იგი მხოლოდ „ღვთაებრივი საგალობელის“ მთარგმნელი მეგონა. ეს წიგნი კიდევ უფრო დიდი ინტერესით წავიკითხე, ვიდრე „ბჰაგავატგიტა“. დავიწყე კითხვა და ველარ მოვეშვი. მათ გამაცნეს აგრეთვე ქალბატონი ბლავატსკაია და მისის ბეზანტი. ეს უკანასკნელი იმ ხანად შესულიყო თეოსოფიურ საზოგადოებაში და მე დიდი ინტერესით ვისმენდი მისი მოქცევის სხვადასხვა ამბებს. მეგობრებმა მეც მირჩიეს შევსულიყავი ამ საზოგადოებაში, მაგრამ თავაზიანი უარი ვუთხარი: ჩემს საკუთარ რელიგიაში კინი ცოდნა მაქვს და არ მინდა-მეთქი ვეკუთვნოდე არცერთ რელიგიურ საზოგადოებას. ძმების დაჟინებით წავიკითხე, მახსოვს, ბლავატსკაიას „გასაღები თეოსოფიისათვის“. ამ წიგნმა ჩემში აღზრა სურვილი მეკითხა წიგნები ინდუიზმის შესახებ.

მე უკვე აღარ მჯეროდა მისიონერებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ინდუიზმი ცრურწმენებითაა სავსე.

დაახლოებით ამ ხანში, ვეგეტარიანულ პანსიონში გავიცანი ერთი მანჩესტერელი ქრისტიანი. მან ქრისტიანობაზე დამიწყო ლაპარაკი. მე გაუუზიარე ჩემი მოგონებები რაჯკოტაზე. მას გული ეთანაღრებოდა, მითხრა: — მე ვეგეტერიანელი ვარ, არა ვსვამ. რა თქმა უნდა, ქრისტიანთაგან ბევრი ჭამს ხორცს და სვამს სპირტიან სასმელებს, მაგრამ წმინდა წერილით არცერთი არაა დაშვებული. ნაიკითხეთ ბიბლია.

მე გადავწყვიტე მესარგებლა მისი რჩევით. თვითონ იგი ბიბლიის ეგზემპლარების გასაღებით იყო დასქამებული. მისგანვე ვიყიდე ბიბლიის გამოცემა, რომელიც რუკებით, საგნობრივი მაჩვენებლებითა და სხვა დამხმარე აპარატურით იყო აღჭურ-

ვილი და დავინყე კითხვა, მაგრამ ვერაფრით დავძლიე „ძველი ალტემა“. „შესაქმე“ ნავიკითხე, სხვა თავებზე კი ჩვეულებრივ, მეძინებოდა. მაგრამ იმისთვის, რომ მეთქვა, ნაკითხული მაქვს-მეთქი ბიბლია, სხვა თავებსაც გულმოდგინედ ვკითხულობდი. ამაზე უზარმაზარი შრომა მეხარჯებოდა, თუმცა ბიბლია უკვე აღარ მაინტერესებდა, თანაც ვერაფერს ვიგებდი. განსაკუთრებით „რიცხვთა“ არ მომეწონა.

ახალმა ალტემამ სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სახარებამ გულის სიღრმემდე შემძრა. მას გიტას ვადარებდი. აუნერელი ალტაცება მომგვარა შემდეგმა სტრიქონებმა:

„ხოლო მე გეტყვი თქვენ: არა წინააღდგომად ბოროტისა, არამედ რომელმან გცეს შენ ყვრიმალსა შენსა მარჯვენესა, მიუპყარ მას ერთკერძოიცა. და რომელსაც უნდეს სასჯელად და მიღებად კვართი შენი, მიუტყვე მას სამოსელიცა შენი“.

მე გამახსენდა შამალა ბჰატას შეგონება: „ჭიქა წყლისათვის კარგი ჭამადით გაისტუმრე“ და ა.შ. ახალგაზრდული ჭკუით ვცდილობდი დამეკავშირებინა „გიტასა“ და „აზიის სინათლის“ მოძღვრება. მე ვხედავდი, რომ რელიგიის უმაღლესი ფორმა განდგომაა, და ეს ღრმად ჩამრჩა გულში.

ბიბლიის კითხვამ ჩემში აღძრა სურვილი რელიგიის სხვა დამარსებელთა ცხოვრებასაც გავცნობოდი. ერთმა ნაცნობმა მირჩია კარლეილის წიგნი „გმირთა შესახებ“ ნამეკითხა. მე ნავიკითხე თავი, სადაც ლაპარაკია გმირზე, როგორც წინასწარმეტყველზე და წინასწარმეტყველთა დიდების სულით განვიმსჭვალე. ალტაცებული ვიყავი მათი მამაცობითა და ასკეტიზმით.

რელიგიების ამგვარ გაცნობაზე შორს წასვლა იმ პერიოდში მე არ შემეძლო, რაკი გამოცდებისათვის მზადება სხვა საქმისათვის დროს აღარ მიტოვებდა. მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა, რომ შემდეგში შეძლებისდაგვარად ნავიკითხავდი რელიგიურ თემებზე დაწერილ მეტ წიგნს და ყველა უმთავრეს რელიგიას გავეცნობოდი.

მაგრამ განა შემეძლო გავქცეოდი ათეიზმს? ყველა ინდოელისათვის ცნობილია ბრადლოს სახელი და მისი ეგრეთწოდე-

ბული ათეიზმი. მე გადავიკითხე რამდენიმე ათეისტური წიგნი, რომელთა სათაურები აღარ მახსოვს. მათ ჩემზე არ მოუხდენიათ შთაბეჭდილება, რადგან მე უკვე გავაბიჯე ათეიზმის უდაბნოს. იმ ფაქტმა, რომ მისის ბეზანტმა, რომელიც მაშინ მოდაში იყო, ათეიზმიდან თეიზმს მიაშურა, კიდევ უფრო განმამტკიცა ათეიზმისადმი ზიზღი. მე წავიკითხე მისი წიგნი „როგორ გავხდები თეოსოფი“.

დაახლოვებით ამ ხანებში გარადაიცვალა ბრადლო. იგი უოკინგის სასაფლაოზე დაკრძალეს. ვიყავი დაკრძალვაზე და მემგონი, ლონდონში მცხოვრები ყველა ინდოელი იყო იქ. დაკრძალვას რამდენიმე მღვდელიც ესწრებოდა. მათ უკანასკნელი პატივი მიაგეს განსვენებულს. იქიდან წამოსულებმა მატარებლის მოლოდინში ბაქანზე მოვიყარეთ თავი. ვილაც ათეისტი უშვერად მიადგა ერთ მღვდელს:

— ბატონო ჩემო, აბა, რას მეტყვი, გნამთ ღმერთის არსებობა?

— დიახ, — მიუგო მან ხმადაბლა.

— და, რა თქმა უნდა, ისიც იცით, რომ დედამიწის წრენირი 28 ათას მილს უდრის? — დარწმუნებული კაცის ღმილით შეეკითხა ათეისტი.

— რასაკვირველია.

— მაშინ ისიც მითხარით, თუ ღმერთი გნამთ, რა მოცულობისაა თქვენი ღმერთი და სად იმყოფება იგი?

— კარგი იქნებოდა გვცოდნოდა, მაგრამ, მემგონი, თქვენსა და ჩემს გულში სუფევს იგი.

— ჰო, კარგი, კარგი, ბავშვი ხომ არ გგონივარ, — თქვა ათეისტმა და გამარჯვებული მზერა გვესროლა. მღვდელი გულმდაბლად მდუმარებდა.

ამ საუბარმა უფრო მეტად განმამტკიცა რწმენა ათეიზმის წინააღმდეგ.

სარვაპალი რადჰაკრიშნანი

ინდური ფილოსოფიის ახლანდელი მდგომარეობა

ამჟამად მსოფლიოს დიადი რელიგიები და აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობანი ინდოეთის მიწაზე შეიყარნენ. დასავლეთის სულთან კონტაქტმა დაარღვია ამასწინდელი მშვიდი კმაყოფილება.

უცხო კულტურათა შეთვისებამ ცხადი გახადა, რომ უმაღლესი პრობლემების არავითარი ოფიციალური გადანყვეტა არ არსებობს. ახალმა ვითარებამ ტრადიციული გადანყვეტისადმი რწმენა შეარყია და გარკვეული აზრით, ხელი შეუწყო განსჯის დიდ თავისუფლებასა და მოქნილობას.

ტრადიცია კვლავ ცვალებადი შეიქნა; და იმ დროს, როცა ზოგიერთი მოაზროვნე ძველის ახალ საფუძველზე გადაკეთებით იყო გართული, სხვებმა ამ საფუძვლის სრული გაცამტვერება მოინდომეს.

თანადროული გარდამავალი ეპოქა მეტად საინტერესო და ამავე დროს მერყევია. სულ ცოტა ხნის წინათ თანადროული აზროვნების მთავარი დინებისაგან გარიყული ინდოეთი ღუზაჩაშვებული იდგა ყურეში, ახლა კი იგი უკვე აღარ არის იზოლირებული დანარჩენი მსოფლიოსაგან. სამი ან ოთხი საუკუნის შემდეგ ისტორიკოსები ბევრ რამეს იტყვიან ალბათ ინდოეთსა და ევროპას შორის კავშირის შედეგებზე, რომლებიც ახლა დაფარულია ჩვენგან. რაც შეეხება ინდოეთს, ჩვენ აღვნიშნავდით ადამიანის გამოცდილების საზღვრების გაფართოებას, კრიტიკული განწყობილებების ზრდასა და თავისებურ ზიზღს უბრალო სპეკულაციებისადმი. მაგრამ არსებობს მედლის მეორე მხარეც. აზროვნების სფეროში, ისევე როგორც მოქმედებისაში, ადამიანის გონი თანაბრად არის დასაცემად განწირული ანარქიისა და მონობის შემთხვევაში.

რამდენადაც ლაპარაკია კულტურასა და ცივილიზაციაზე, ყოველთვის ვერ მისცემ უპირატესობას რომელიმე მათგანს. ანარქია შეიძლება ნიშნავდეს მატერიალურ მოუწყობლობას, ეკონომიურ განადგურებასა და სოციალურ საშიშროებას, ხოლო მონობა — მატერიალურ კეთილმოწყობას, ეკონომიურ მდგრადობას და სოციალურ მშვიდობას. მაგრამ სწორი არ იქნებოდა ერთმანეთში აგვრეოდა ცივილიზაციის ნორმები და ეკონომიური კეთილდღეობა ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ადვილი გასაგები იყო ინდოელთა გულისთქმა, თაობების ბრძოლისა და პირადი ტანჯვის შემდეგ ბრიტანეთის მმართველობას ოქროს ხანის ცისკარით რომ შეეგებნენ. მაგრამ ასევე ადვილად ინვეეს თანაგრძნობას ინდოელთა მისწრაფება ჩვენს დროში, როცა ადამიანის სულს კეთილმოწყობა კი არ სწყურია, არამედ ბედნიერება, მშვიდობა კი არა, არამედ წესრიგი, სიცოცხლე და თავისუფლება. ახლა ეკონომიური მდგრადობა და სამართლიანი მთავრობა კი არაა მთავარი, არამედ იმის უფლება, თუნდაც შეუპოვარი შრომისა და უბოლოო გაჭირვების ფასად თავისუფლებას მიაღწიო. ავტონომიის გარეშე თვით პოლიტიკური სათნოებანიც კი ვეღარ ხარობენ. ბრიტანეთის მმართველობამ ინდოეთს მშვიდობა და უშიშროება მიანიჭა, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. თუკი მნიშვნელოვან საგნებს სათანადო ადგილს მივუჩინებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიური მდგრადობა და პოლიტიკური უშიშროება სულიერი თავისუფლებისათვის დაუფასებელი და აუცილებელი საშუალებაა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ საშუალება. ბიოროკრატიულ დესპოტიზმს, რომელიც სულიერ მიზნებს ივინყებს, მთელი თავისი ერთიანობისა და განათლების მიუხედავად, არ ძალუძს ძალა მიანიჭოს ხალხს და რამდენადმე ცოცხალი გამოხმაურება მაინც გამოიწვიოს. როცა სიცოცხლის წყარო დამშრალია, როცა ეს იდეალები, რომელსაც ერი ათასი წლის განმავლობაში იცავდა — ცნობიერების ერთიანობა, ნიჭის თავისუფალი წურთნა, წუთისოფლის თამაში, მსოფლიოს სისავსე — პრანარამან, მანანანდამ, სანტი-სამრიდჰამ — დაცემის მდგომარეობაშია, გასაკვირი არ არის, რომ ინდოეთი კირთების შემსუბუქებას კი არ განიცდის, არამედ დიდ მწუხარებასა და სიმძიმის.

უსარგებლოა ინდოელს ბრიტანეთის მიერ განუული მუშაობის მნიშვნელობაზე ელაპარაკა იმიტომ, რომ მიღნეულის სულიერ თვისებათა შეფასებიდან გამოაქვს ისტორიას მსჯავრი. თუკი ჩვენი წინამორბედები იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ წარსულის უბრალო ექოს წარმოადგენდნენ და არა დამოუკიდებელ ხმებს, თუკი ისინი — ლიდერები გარდასული თაობებისა ინტელექტუალურ შუამავლებს წარმოადგენდნენ და არა ორიგინალურ მოაზროვნეებს, — ეს უნაყოფობა დიდად იყო გაპირობებული დასავლეთის სულობის გავლენითა და მორჩილების სირცხვილით. ბრიტანელებმა უწყინან ინდოეთის თანადროული პოზიციის ღრმა და ფესვეული მიზეზები, რაც არ უნდა ენოდებოდეს მათ: შფოთი, ამბოხი თუ გამონვევა. ისინი ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ თავიანთი ცივილიზაცია, რომელსაც ბუნებრივია, უმაღლეს ცივილიზაციად მიიჩნევდნენ და ეს ინდოელთა შეშფოთებას იწვევდა. ეს უკანასკნელნი გრძნობდნენ, რომ საჭიროა საჩქაროდ, მერყეობის გარეშე და ძალისხმევის შეუსუსტებლად განახორციელონ სწავლა-განათლების საქმე, რაც თავისთავად, რა თქმა უნდა, სასიკეთოა.

მაგრამ ინდოეთი არავითარ სიმპათიას არა გრძნობს კულტურული იმპერიალიზმის ამ პოლიტიკისადმი. იგი მტკიცედ იცავს თავის ძველ წეს-ჩვეულებებს, რომელთა მეშვეობითაც შესძლო კონტროლი გაენია რისხვის აფეთქების, გაღიზიანების სიბრმავისა და სურვილთა ნაქეზების მზარდი პროცესებისათვის. იგი, ვინც იცნობს ინდოეთის წარსულსა და ისტორიას, თანაუგრძნობს მის ზრახვას — ეშინავებოდეს თავისი შინა, თავისი საკუთარი სულობის სახლი, იმიტომ რომ „ყოველი კაცი თავისი სახლის პატრონია“.

პოლიტიკური ქვეშევრდომობა დაბრკოლებას უქმნის ამ შინაგან თავისუფლებას, და ეს დიდ დამცირებად განიცდებოდა. თვითმმართველობის მოთხოვნა სულობის სფეროში შემოჭრისაგან თავდაცვის გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს. მაგრამ მომავალი იმედის მომცემია. თუკი ინდოეთი თავისუფლებას მოიხვეჭს, დასავლეთის გონი დიდად წაადგება ინდოეთის სულს.

კულტურის საკითხებში ინდუისტური თვალსაზრისი არასოდეს არ ემხრობოდა მონროს დოქტრინას. თვით უძველეს დროშიც კი, როცა ინდოეთს საკმაოდ ბევრი სულიერი საზრდო ჰქონდა, რათა

თავისი ხალხის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, მემატინათა მიერ არცერთი ისეთი ეპოქა არ ყოფილა აღნიშნული, რომ იგი მზად არ ყოფილიყოს, ან არ ნდომოდეს ღირსებისამებრ დაეფასებინოს სხვა ხალხების შემოქმედების ნაყოფი. საუკეთესო ხანებში ინდოეთი იზიარებდა ათენელთა ბრძნულ თვალთახედვას, რომლის გამო პერიკლე ამბობდა: „ჩვენ ხალხისით ვუსმენთ სხვათა აზრს და არ ვბრაზობთ, როვა ვინმე არ გვეთანხმება“.

გარეშე გავლენისადმი შიში ჩვენივე სიძაბუნისა და საკუთარი თავისადმი ურწმუნოების პროპორციულია.

ღიახაც, ახლა ჩვენს სახეებს მწუხარების ბეჭედი აზის და თმა გათეთრებული გვაქვს სიბერისაგან. ზოგიერთი ჩვენგანი, ვისაც გული და აზრი ერჩის, შეშფოთებული ფიქრითაა დამძიმებული, ხოლო სხვები პესიმიზმითაც კი გაიმსჭვალნენ და ამრიგად, ინტელექტუალურ განდეგილებად იქცნენ.

დასავლურ კულტურასთან თნამშრომლობის შეწყვეტა წარმავალი ეპიზოდია. ეს არაბუნებრივი მდგომარეობით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, დასავლური კულტურის სულის გაგებისა და შეფასების ცდები უწინდებურად გრძელდება. თუკი ინდოეთი დასავლური ცივილიზაციის ღირებულ ელემენტებს შეითვისებს, იგი მხოლოდ იმ ანალოგიურ პროცესებს გაიმეორებს, რომელთაც ინდური აზროვნების ისტორიაში მრავალჯერ ჰქონიათ ადგილი.

ისინი, ვისაც დასავლური გავლენა არ შეხებია, უმეტეს წილად ინტელექტუალური და მორალური არისტოკრატები არიან... ისინი ფიქრობენ, რომ შესაძენი ან ხელახლა შესასწავლი მაინცა და მაინც არაფერი აქვთ, და რომ თუნდაც იმით იხდიან თავიანთ ვალს, რომ წარსულის მარადიულ დჰარმას გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს. მათ ესმით, რომ ახლა სულ სხვა ძალებია ჩართული, რომელთა შეჩერება ან კონტროლის განევაც არ ძალუთ, და მოგვინოდებენ ცხოვრების ქარიშხალსა და იმედგაცრუებას შეუბღალავად შევხვდეთ. ეს ის კლასია, რომელიც უკეთეს ხანებში უფრო მოქნილი იყო და ყოველთვის ცდილობდა ღია რელიგიასთან გონივრული ფილოსოფია შეერიგებინა.

ეს ხალხი ურწმუნოთა და ერეტიკოსთა საპირისპიროდ, ყოველთვის იცავდა და განმარტავდა რელიგიას და ღვთისმეტყველურ ახსნა-განმარტების ინსტრუმენტად ალეგორიულ მეთოდს იყენებდა. მათი თვალსაზრისის თანახმად, რელიგია თავის სფეროში მოიცავს ადამიანის მთელ ბუნებას, მის ინტელექტს, აგრეთვე პრაქტიკულ და ემოციურ მიღწევებს. თუ ახლანდელ დროში ძველი მოძღვრების წარმომადგენლებზე ზემოქმედებას ახდენს წარსული, მათ სხვა ძალებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის მაგივრად, ორიგინალობითა და თავისუფლებით აღჭურვილი ახალი სქემა უნდა შეიმუშავონ და თავისი ძალისხმევა ძველი სიბრძნის ასათვისებლად უნდა მიმართონ. მათთვის კი დამახასიათებელია აზრსა და შემოქმედებაში, სასულიერო საერო საქმეებში ავტორიტეტისადმი გაზვიადებული თაყვანისცემა, რის გამოც გონებრივ ქვემეთრობასა და ობსკურანტიზმს უვარდებიან ხელთ.

თუ ისლამამდელ ხანაში ავტორიტეტის მოშველიება არ თრგუნავდა ინტელექტუალურ დამოუკიდებლობას, თუ იმ დროს ადამიანებს შეეძლოთ და მზადაც იყვნენ არჩეული ავტორიტეტისადმი ერთგულების გონივრული საფუძველი წამოეყენებინათ, — სულ ერთია, ვე დ ე ბ ი იქნებოდა ეს თუ ა გ ა მ ე ბ ი, თუკი მაშინ ავტორიტეტი იმისთვის არსებობდა, რომ გონების თვალთ შიეხებათ მოვლენებისათვის და კრიტიკული არჩევანი და ფილოსოფიური ახსნა-განმარტება მოეხდინათ და გამოეყენებინათ, ახლა ავტორიტეტისადმი თაყვანისცემა ადამიანის სულის ციხედ იქცა. წმიდა წერილების ტექსტში ეჭვის შეტანა იმას ნიშნავს, რომ დიდებული მიცვალებულების ავტორიტეტმა დაგაეჭვოს. წმიდა წერილების მიღება ლოიალობის ნიშანს წარმოადგენს.

ძიებებსა და დაეჭვებას ძველი ტექსტებიდან მოტანილი ციტატებით ახშობენ, მეცნიერულ ჭეშმარიტებას აბუჩად იგდებენ, თუკი იგი დადგენილი რწმენის პროკრუსტეს სანოლზე არ ეტევა.

ქედმოხრილობა, მორჩილება და მდუმარე თანხმობა უპირველეს ინტელექტუალურ სათნოებად იქცნენ. გასაკვირი არ არის, რომ ახლო წარსულის ფილოსოფიური თხზულებები გარდასული

საუკუნეების საუკეთესო ნამუშევრების დონეზე გაცილებით დაბლა დგანან. აზრი რომ ნაკლებ ითრგუნებოდეს, მას მეტი აღმაფრენის უნარი ექნებოდა.

ინდოელი მოაზროვნეები გონებისადმი რწმენის დიადი ტრადიციის ნაშიერები არიან. ძველი წინასწარმეტყველები შექმნას ცდილობდნენ და არა ასლის გადაღებას. ისინი ჭეშმარიტების ახალ სფეროებს ხსნიდნენ და ცდილობდნენ ამოეხსნათ იმ ცდის საიდუმლოება, რომელიც ყოველწამს იცვლება და მარადის ახალია. მდიდარი მემკვიდრეობა მათი გონების დამონებას არასოდეს ემსახურებოდა.

ჩვენ არ უნდა გადავიღოთ ასლი წარსულის გადაწყვეტილებებისა, რადგან ისტორია არასოდეს მეორდება. ის, რაც თავის დროზე გააკეთეს წინა თაობებმა, იმის ხელახლა გაკეთება საჭირო აღარ არის. ჩვენ უნდა გავახილოთ თვალეები და ჩვენს პრობლემებში თვითონვე გავერკვიოთ, წარსულში მხოლოდ შთაგონება უნდა მოვიძიოთ მათ გადასაწყვეტად. ჭეშმარიტების სულმა განუწყვეტილად უნდა განაახლოს თავისი ფორმები.

თვით ძველი სიტყვითაც კი ახლებურად სარგებლობენ. ახლანდელი დროის ფილოსოფია ახალი დროის შესატყვისი უნდა იყოს და არა წარსულისა. იგი თავისი ფორმითაც და შინაარსითაც იმ ცხოვრებასავით თავისთავადი უნდა იყოს, რომელსაც ხსნის და განმარტავს. ხოლო რაკი ანმყო წარსულის გაგრძელებაა, წარსულის მდინარება შეუწყვეტელია. კონსერვატორების ერთ-ერთი არგუმენტი ის არის, რომ დრო გავლენას არ ახდენს ჭეშმარიტებაზე. ჭეშმარიტების არიდება შეუძლებელია ისევე, როგორც აურიდებელია მზის ჩასვლის სილამაზე ან შვილისადმი დედის სიყვარული. ჭეშმარიტება, შესაძლოა, უცვალეებელი იყოს, მაგრამ მისი ფორმა ცვლადი ელემენტებისგან შედგება...

ორი ათასი წლის წინათ მცხოვრები, უფრო სახელგანთქმული, ვიდრე განსწავლული ინდუისტი ლიდერები საფლავიდან რომ წამომდგარიყვნენ, თავიანთ ჭეშმარიტ მიმდევრებს შორის ნაკლებად იპოვნიდნენ ისეთებს, ვისაც არასოდეს გადაეხვიოს მათი შეხედულებების ანაბანადან¹. ახლა დიდძალი ღორღი დაგროვ-

და და ეს ხელს უშლის სულის თავისუფალ მდინარებას... კონსერვატიული გონება უნდა განიხივას ცვლილებათა აუცილებლობის წინაშე, ხოლო რაკი მისთვის მთლად ცხადი არ არის ეს აუცილებლობა, ფილოსოფიის სფეროში არაფილოსოფიური დახლართულობისა და გამჭრიახობის უცნაურ ნაზავს ვხედავთ.

მოაზროვნე ინდოელების ენერჯია მიმართული უნდა იყოს შემდეგ ამოცანებზე: როგორ განვითავოთ დღევანდელი რწმენა დროებითი დანაშრეებისგან, როგორ დავაყენოთ რელიგია მეცნიერების გვერდით ერთ რიგში, როგორ ავხსნათ ტემპარამენტიცისა და ინდივიდუალობის მოთხოვნები, დღევანდელი რწმენის საფუძველზე როგორ მოვახდინოთ სხვადასხვა გავლენების ორგანიზება. მაგრამ სამსუხაროდ, ზოგიერთი პარიჰადი ამ პრობლემებთან შეჭიდების მაგივრად ისეთი საკითხებით არის გართული, რომელიც მხოლოდ არქაულ საზოგადოებას შეეფერება... ერის რელიგიური განათლება ფართო მასშტაბით არ ხორციელდება. დაშვებულია პრივილეგიებული უმცირესობის მონოპოლია იყოს სულიერი მემკვიდრეობა. იდეები ძალთა განსახიერებაა და ისინი ფართოდ უნდა გავავრცელოთ, უკეთეს დალუპვისაკენ მიმავალი ანწყოს გადარჩენა გვსურს. მართლაც უცნაური იქნებოდა, რომ უპანიშადებს, გიტას და ბუდას დიალოგებს, რომელთაც კაცთა გულის აღძვრა და ასეთ მშვენიერ თემებზე მათი განსჯის წარმართვა შეუძლიათ — ხელმწიფება დაეკარგათ ადამიანის გონებაზე. თუკი ახლა, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ხორციელდება ნაციონალური ცხოვრების გარდაქმნა, ეს იმას ნიშნავს, რომ ინდურ აზროვნებას მომავალი აქვს და ჯერ კიდევ ვერაინ იტყვის, რა ფერის ყვავილებით აყვავდება და რანაირ ნაყოფს დაისხამენ დღევანდელი და გამძლე ხეები.

იმ დროს, როცა დასავლური კულტურის ზეგავლენას არდაქვემდებარებულნი, თეორიისა და პრაქტიკის ყველა საკითხში კონსერვატორები არიან, — იმათ შორის, ვინც განათლება აზროვნების დასავლური ნიმუშების მიხედვით მიიღო, არის ხალხი, რომელიც ნატურალისტური რაციონალიზმის უიმედო ფილოსოფიას გვთავაზობს. ეს უკანასკნელნი შეუწყნარებლად ეკიდებიან ტრა-

დიცხას და ეჭვის თვალთ უყურებენ საუკუნის დადგენილ სიბრძნეს. „პროგრესისტების“ ასეთი დამოკიდებულება ადვილად გასაგებია. ერის სულიერმა მემკვიდრეობამ ვერ იხსნა ინდოეთი მიმდლავრებისა და მიტაცებისაგან. ისე ჩანს, რომ იგი მოტყუვდა ამ მემკვიდრეობით და მორჩილების თანადროულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „პროგრესისტებს“ სურთ დასავლეთის სახელმწიფოების მატერიალურ მიღწევებს მიბაძონ და ძირფესვიანად გლეჯენ უძველეს ცივილიზაციას, რომ ადგილი გაუთავისუფლონ დასავლეთიდან შემოზიდულ სიახლეებს.

ჯერ კიდევ ახლახან, ჩვენს უნივერსიტეტებში ინდური აზროვნება შესწავლის საგანი არ ყოფილა და თვით ახლაც კი მისი ადგილი უნივერსიტეტების სასწავლო გეგმებში უმნიშვნელოა. განათლების მთელი ატმოსფერო გაჟღენთილია შეფარული აზრით, რომ ინდური კულტურა უფრო დაბალ დონეზეა. მაკოლეის მიერ გატარებულ პოლიტიკას, მისი კულტურული ღირებულების მიუხედავად, მხოლოდ ერთ მხარეზე გადაჰქონდა ყურადღება. იგი დიდად ზრუნავდა იმაზე, რომ ჩვენ არ დაგვეწყნოდა დასავლური კულტურის ძალმოსილება და ცხოველმყოფელობა. მაგრამ სრულებით არ გვეხმარებოდა, რათა შეგვეყვარებინა ჩვენი საკუთარი კულტურა და სრულგვეყო მისი ესა თუ ის მხარე. ზოგიერთ შემთხვევაში მაკოლეიმ სავსებით შეისრულა განზრახვა და ახლა ჩვენ გვყავს განათლებული ინდოელები, რომლებიც — მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ — „ინგლისელებზე უფრო მაგარი ინგლისელები არიან“.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ზოგიერთი მათგანი იზიარებს ინდური კულტურის ისტორიის შეფასებისას უცხოელთა მტრულ კრიტიკას. ინდოეთის კულტურულ ევოლუციას ისინი უყურებენ როგორც გახრწნის, შეშლილობისა და ცრურწმენის სამწუხარო სანახაობას. ერთერთმა მათგანმა ამასწინათ განაცხადა, რომ თუკი ინდოეთს აყვავება და წარმატება უნერია, „სულიერ დედად“ ინგლისი უნდა გაიხადოს, ხოლო „სულიერ დიდედად“ საბერძნეთი...

გასაოცარი ამბავია, სწორედ მაშინ, როცა ინდოეთს უცხოელთა თვალში აეხადა უცნაურობის საბურველი, იგი მაინცა და მაინც ასეთი ეჩვენება მის საკუთარ შვილთაგანს. დასავლეთმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დაერწმუნებინა უნდოეთი, თით-

ქოს მისი ფილოსოფია აბსურდულია, მისი ხელოვნება ცარიელია, პოეზია შთაგონებისაგან გაძარცვული, რელიგია უცნაური, ხოლო ეთიკა ბარბაროსული. ახლა, როდესაც დასავლეთი გრძნობს, რომ მისი თვალთახედვა სწორი არ არის, ზოგიერთი იმ აზრს ადგას, თითქოს უცხოელთა ეს შეხედულება სავსებით სწორი იყოს. და თუმცა ძნელია, განსჯის საუკუნეში ადამიანებს კულტურის განვითარების უფრო ადრეული სტადიისაკენ უბიძგო და იხსნა ეჭვისა და დიალექტიკის შემამოფოთებელი ძალისაგან, — ჩვენ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ უმჯობესია უკვე ჩაყრილ საფუძველზე დავინყოთ შენება, ვიდრე მორალის, სიცოცხლისა და ეთიკის სავსებით ახალი სტრუქტურის საფუძველზე. ჩვენ არ უნდა მოვწყდეთ საკუთარი ეროვნული ცხოვრების სათავეს. ფილოსოფიური სქემები გეომეტრიული კონსტრუქციების მსგავსი არაა, ისინი ცხოვრების პროდუქტს წარმოადგენენ. ისტორიის მემკვიდრეობა ის საკვებია, რომელიც აზრის დაშრეტისაგან გამონეულ შიმშილს გვინაზღაურებს.

კონსერვატორები დარწმუნებულები არიან ძველი მემკვიდრეობის დიდებამოსილებასა და თანადროული კულტურის უღმერთობაში. რადიკალებიც ასევე გარკვეულად არიან დარწმუნებულები ძველი მემკვიდრეობის ამოცობასა და საბუნებისმეტყველო რაციონალიზმის ღირსებაში. ამ თვალთახედვებზე ბევრი რამ უნდა ითქვას აუცილებლად. მაგრამ ინდური აზროვნების ისტორია სწორად რომ შევისწავლოთ, დავინახავთ, რომ ორივე ეს თვალთახედვა თანაბრად ნაკლებადანია. ის, ვისაც მიაჩნია, რომ ინდური კულტურა უსარგებლოა, ცუდად იცნობს ამ კულტურას, ხოლო ის, ვინც მას სრულყოფილად მიიჩნევს, არ იცნობს არცერთ სხვა კულტურას.

რადიკალები და კონსერვატორები, ახალ იმედსა და ძველ მოძღვრებას რომ უჭერენ მხარს, უნდა დაახლოვდნენ და გაუგონ ერთმანეთს. იმ მსოფლიოში, სადაც თვითმფრინავები და გემები, რკინიგზები და ტელეგრაფი კაცობრიობას ერთ მთლიანობად აკავშირებს, ჩვენ ვერ ჩავიკეტებით საკუთარ ნაჭურჭში. აზროვნების ჩვენეულმა სისტემამ უნდა იმოქმედოს და ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიოს პროგრესზე.

უძრავი სისტემები, ჭაობებისა არ იყოს, უსიამოვნო პროდუქტებს შობენ, მაშინ როცა გამდინარე ნაკადულში შთაგონების მარად ცინცხალი ჩქერები იღვრება. არაფერი ცოდვა არ არის იმაში, რომ სხვა ხალხების კულტურას დავესესხოთ, მხოლოდ საჭიროა გავაძლიეროთ, ავამაღლოთ და დავნმინდოთ ნასესხები ელემენტები, რომ ისინი ჩვენში საუკეთესომ შეისრუტოს. განდის, თაგორის, აურობინდოგჰოშისა და ბჰაგავანდასის ნაშრომებში გარედან ნასესხები სხვადასხვა ელემენტის ნაციონალურ ბრძმედში გადადნობის პროცესი გამარტივებულად არის ნაჩვენები. მათში ჩვენ ვხედავთ დიდებული მომავლის ბუნდოვან იმედს, სქოლასტიკაზე გამარჯვების ზოგიერთ ნიშანს, მაგრამ ამასთანავე დიდი კულტურის განხმასაც.

ინდოეთის წარსულში ჰუმანისტური იდეალიზმის წყაროს რომ ნახულობენ, ისინი დასავლური გონების დიდ გამჭრიახობასაც აღნიშნავენ. მათ გულითა სურთ კვლავ მიაგნონ მდინარის ძველ სათავეს, რომ ველზე გაუბინძურებელი არხებით მიუშვან იმ მდინარის წმინდა ჩქერები. მაგრამ ის მომავალი, რომელსაც ჩვენ ვნატრობთ, არ არსებობს. დილის ცისაკრი მხოლოდ იმ პოლიტიკური ალგზნების დანელებასთან ერთად მოვა, რომელიც ინდოეთის ზოგიერთი დიდი მამულიშვილის ენერჯიას იწირავს. იგი მოვა ინდური აზროვნების ბეჯითი შესწავლის გაძლიერებასთან ერთად იმ ახალ უნივერსიტეტებში, რომლებიც ამ საქმეში მეტისმეტად უხალისოდ მიჰყვებიან ძველ უნივერსიტეტებს.

ნაკლებ მოსალოდნელია, რომ კონსერვატორებმა, რომლებიც გარდასულ ცხოვრებას ამჯობინებენ შემდეგში მოსულს, ძალა მოიციენ მომავალში. დღეს ინდური ფილოსოფიის წინაშე ასეთი პრობლემა დგას: თავის სფეროში დასაზღვრულ და თანადროული ფაქტების მიმართ სავსებით გამოუყენებელ კულტამდე იქნება იგი დაყვანილი თუ — ცხოველმყოფელი და რეალური — თანადროული მეცნიერების არაჩვეულებრივად გაზრდილ ცოდნასა და ინდური ფილოსოფიის ძველ იდეალებს შორის კავშირის დამყარების მეშვეობით კაცობრიული პრიგრესის ერთ-ერთ უდიდეს ქმედით ელემენტად იქცევა.

ყველა ნიშანი იმაზე მეტყველებს, რომ მომავალი უკანასკნელ ალტერნატივასთანაა დაკავშირებული.

აზროვნების წინამორბედი სისტემებისადმი ერთგულება და ფილოსოფიური მისია ჩვენგან ისეთ თვალსაზრის ითხოვს, რომელიც თანდათანობით გაფართოვდება. ინდური ფილოსოფია დიდ მნიშვნელობასა და თავის გამართლებას ანმყოს წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენს და იპოვის, თუ წინ წასწევს და გააკეთილშობილებს ცხოვრებას. ინდური ფილოსოფიის განვითარების განვლილი ეტაპი გვიმაგრებს ამ იმედს. ი ა ჯ ნ ა ვ ა ლ კ ი ა და გ ა რ გ ი, ბ უ და და მ ა ჰ ა ვ ი რ ა, გ ა უ ტ ა მ ა და კ ა პ ი ლ ა, შ ა ნ კ ა რ ა და რ ა მ ა ნ უ ჯ ა, მ ა დ ჰ ა ვ ა და ვ ა ლ ა ბ ჰ ა და სხვა მრავალი დიდებული მოაზროვნე საქვეყნოდ აცხადებს არსებობაზე ინდოეთის უდიდეს უფლებას, თვალნათლივ ადასტურებს ინდოელთა ღირსებას, როგორც სულით მორჩმული ერისას, რაც იმის დამამტკიცებელი და უმაღლესი შესაძლებლობის საწინდარია, რომ ინდოეთს ძალუძს თავის საკუთარ თავს აჯობოს და აღემატოს.

ბ ჰ ა გ ა ვ ა ტ გ ი ტ ა

ბჰაგავატგიტა მაჰაბჰარატას მეექვსე წიგნის — ბჰიშმაპარ-
ვას ნაწილია, იგი მთელი სანსკრიტული ლიტერატურის ყველა-
ზე პოპულარული პოემაა. ჰუმბოლტი ამბობდა: ჩვენთვის ცნო-
ბილ ენებზე დანერგილი პოემებიდან გიტა უმშვენიერესი და, შე-
საძლოა, ერთადერთი ჭეშმარიტად ფილოსოფიური პოეტური ნა-
წარმოები იყოსო. ამ თხზულებაში გადანაცვლებულია ფილოსოფი-
ური, რელიგიური და ეთიკური პრობლემები. გიტა განიხილება
არა როგორც შ რ უ ტ ი (წმინდა წერილი), არამედ როგორც ს მ რ
ი ტ ი (თქმულებად ქცეული). მაგრამ თუკი ვიმსჯელებთ წიგნის
მნიშვნელობაზე იმ გავლენის მოხედვით, რასაც იგი ახდენს ადა-
მიანთა გონებაზე — გიტა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოე-
ბია ინდური აზროვნების განვითარების ისტორიაში.

ამ წიგნში გაცხადებული აზრი მეტად უბრალოა. აკი მხოლდ
მდიდარს შეუძლია მოიხვეჭოს ღმერთების წყალობა მსხვერპ-
ლის შეწირვით და მხოლოდ განათლებულ კაცს შეუძლია მის-
დიოს ცოდნის გზას, გიტა კი ყველასთვის ხელმისაწვდომ მე-
თოდს გვთავაზობს: ეს არის ბჰაქტი — ღვთაებისადმი ერთგუ-
ლება. ავტორისათვის თვით კაცთა შორის ზეგარდმოსული
ღმერთია მოძღვარი. არჯუნა სიმბოლოა საერთოდ ადამიანისა,
რომელიც თავისი ცხოვრების უმძიმეს კრიზისს განიცდის, და
სწორედ მას მიმართავს ეს მოძღვარი. არჯუნა თავისი საქმის სა-
მართლიანობაში დარწმუნებული გამოდის ბრძოლის ველზე და
მზად არის შეერკინოს მტერს. და აქ დგება ისეთი ფსიქოლოგიუ-
რი მომენტი, როცა მას ძალა აღარ ჰყოფნის თავისი მოვალეო-
ბის აღსასრულებლად. არჯუნას სინდისი ჰქენჯნის. მას გული
ეფლითება ტკივილისაგან, მისი სული ემსგავსება „პატარა ამ-
ბოხებულ სამეფოს“. უკეთუ კაცის კვლა ცოდვაა, მაშინ უმეტე-
სი ცოდვა იმათი მოკვლაა, ვისაც ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ და
გვიყვარდეს. არჯუნა ისეთი პიროვნებაა, რომელიც შინაგან
ბრძოლას განიცდის, რომელიც გრძნობს მსოფლიოს იდუმალე-
ბასა და კირთებას. არჯუნას სულიერი სამყარო ჯერ არ ქცეუ-
ლა იმ ცენტრად, რის მეოხებითაც კაცმა უნდა შეძლოს საკუ-

თარ ვნებათა და სურვილთა არარეალურობის არა მარტო შეცნობა, არამედ პირისპირ მდგარი სამყაროს ჭეშმარიტი არსის წვდომაც. არჯუნას სასონარკვეთილება გულაცრუებული კაცის წარმავალი განწყობილება კი არ არის, არამედ რაღაცნაირი, გულისკვდომის მსგავსი სიცარიელის გრძობაა, რასაც საგანთა არარეალურობის შეგრძობა ჰბადებს. არჯუნა მზად არის, თუკი აუცილებელია, გასწიროს საკუთარი სიცოცხლე. მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცის სწორი გზის არჩევა. იგი საშინელი ცთუნების წინაშე დგას და საშინელ გულისწუხილშია. მისი სულის კვილი უბრალოა, მაგრამ შემადრწუნებელი. ა მ ს უ ლ ი ს ძ ა ხ ი ლ ი გვამცნობს ადამიანურ ტრაგედიას, გასაგებს ყველასათვის, ვისაც წუთიერი დრამის წიაღ ადამიანის მთელი ცხოვრების ტრაგედიის დანახვის უნარი შესწევს. გიტას პირველ ნაწილში ნაჩვენებ არჯუნას სასონარკვეთილებას მისტიკოსები უწოდებენ „სულის ბნელ ღამეს“ — წინსვლის გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. წვდომისა და თვალის ახელის შემდგომი საფეხურები დიალოგის მსვლელობაში ხდება საცნაური. მომდევნო ნაწილი შეიცავს ფილოსოფიურ ანალიზს. ადამიანისთვის უმთავრესი და არსებითი სხეული და შეგრძნება კი არ არის, არამედ უცვალელებელი სული — ა ტ მ ა ნ ი. და აი, არჯუნას ფიქრი ახალი გეზით მიემართება. ამიერიდან კურუქშეტრის ბრძოლის ველი სულის ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს, ხოლო კაურავები სულის განვითარების დამაბრკოლებელი მტრები არიან. არჯუნა, რომელიც არ ნებდება ცთუნებებს და იოკებს გულისთქმას — კაცური სასუფეველის მოხვეჭას ცდილობს, აქ წინსვლის გზა — ტანჯვისა და თავის დათრგუნვის გზაა. არჯუნა ცდილობს რაიმე მოიმიზეზოს და გაექცეს განსაცდელს, ამისათვის კი ათასნაირ თავის გასამართლებელ მოსაზრებას იგონებს. ღმერთი კრიშნას პირით გულის გამსჭვალავ სიტყვას ეტყვის არჯუნას, ჭმუნვისაგან რომ იხსნას იგი. პირველი თავი გვიჩვენებს ადამიანის გულის ღრმა წვდომას, მასში აღძრულ ნდომათა ჭიდილს, ეგოიზმის ძალასა და ეშმას ვერაგულ ჩურჩულს. დიალოგის შემდგომ მსვლელობაში ყველა დრამატული ელემენტი ჰქრება, ბრძოლის ხმა ყრუდება და ველზე მარტო რჩებიან ერთმანეთთან მოასაუბრე ღმერთი და კაცი. საომარი ეტლი განდევ-

გილის სენაკად იქცევა და ომის ასპარეზის ეს მშვიდი კუთხე, სადაც მიყურებულა ღრიანცელი და ქვეყნიური გნიასი, უზენაეს არსებაზე გონის დაუნჯების ადგილი ხდება.

ეს მოძღვარი ინდოეთის ყველაზე პოპულარული ღმერთკაცია, სიყვარულისა და სილამაზის ღვთაება, მისი თაყვანისმცემლები ტახტზე მჯდომარესა და ყვავილთა ფურცლებით თავმშეკულს რომ გამოსახავენ. ისინი ღმერთის ამ ხატს უკავშირებენ ყველაფერს, რაც კი ღმერთი და სიციცხლით მორჭმულია ამქვეყნად. თავის წარმოსახვაში პოეტი ცხადად გვიხატავს, როგორც უნდა ღმერთს კაცებრივით შემოსილი ღმერთი. პოეტი კრიშნას თავის თავზე, როგორც ბრაჰმანზე მოლაპარაკეს წარმოგვიდგენს და ეს მომენტი დასტურდება ვედანტა - სუტრებში. ვედური ნაწყვეტი, სადაც ღმერთი ინდრა თავს ბრაჰმანად აცხადებს, იმ ვარაუდის საფუძველზეა ახსნილი, რომ ინდრა გამოთქვამს მხოლოდ ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას ადამიანის გულში დავანებული ატმანისა და უზენაესი ბრაჰმანის იგივეობის შესახებ. როცა ინდრა ამბობს: „თაყვანი მეც მე“, ეს ნიშნავს: „თაყვანი ეც ჩემში უფალს, რომელსაც მე ვცემ თაყვანს“. ამგვარადვეა ახსნილი ვამადევას განცხადება, რომ ის ერთდროულად არის მანუ და სურია. გარდა ამისა, გიტა გვასწავლის, რომ გულისთქმისა და შიშისაგან თავისუფალი, ჭეშმარიტი ცოდნის ყოვლისგამწმენდელ ცეცხლში გამობრძმედილი პიროვნება ღმერთს შეერთვის; გიტას მიხედვით, კრიშნა დაუსაბამოში დასაბამიერის სიმბოლოა, გრძნობების გარსით მოგარსული კაცებრივით ხორცშესხმული ღმერთია.

გიტა ყოვლისმომცველი ნაწარმოებია. იგი ფართოდ გავრცელებული ინდუიზმის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენს. გიტას ავტორი ღმერთი კულტურის კაცია, იგი აზროვნების სიღრმით უფრო გამოირჩევა, ვიდრე გონების კრიტიკული ნყოფით. იგი არ ქადაგებს რომელიმე ახალ რწმენაზე მოქცევას, არ ემხრობა სექტას, არ აარსებს რაიმე სკოლას, პირიქით, მისი ნიგნი „ყველა ქარებისთვის განხმრულია“. ავტორი ღმერთის თაყვანისცემის ყოველგვარ ფორმას იზიარებს და სწორედ ამიტომ კარგად გადმოგვცემს ინდუიზმის სულს, რომლისთვისაც უცხოა კულტურათა განკერძოებულ ნაწილებად დაყოფა, ამავე დროს

იგი არ უარყოფს აზროვნებისა და მოქმედების სხვა ფორმებსაც. გიტაში გვატყვევებს არა მარტო აზრის ძალა და სახეთა დიდებულება, არამედ ღმრთისადმი ჭეშმარიტი ერთგულების პათოსი და რელიგიურ განცდათა სიციხეცხალე. თუმცა გიტა სულიერი კეთილმოსაობის მიზნებს ემსახურება და გამოხსნასტიკ მოქმედებას, კრიტიკული ელემენტის სისუსტის გამო იგი არ ებრძვის ღვთისმოსაობის ცრუ ფორმებს.

გიტას კილო საკმაოდ კატეგორულია და ავტორის მხრივ შეცდომის დაშვების შესაძლებლობას გამორიცხავს. ავტორი ჭეშმარიტებას ისეთნაირად წარმოსახავს, როგორაც ჭვრეტს, ხოლო ჭეშმარიტებას იგი ჭვრეტს მთელი სისავსითა და მრავალნახნაგოვნებით და სწამს მისი მხსნელი ძალა.

გიტაში ჩვენს წინაშე დგას ცოდნით შთაგონებული, გრძნობების დიდი ძალითა და ენთუზიაზმით მოუბარი ბრძნემოდღარი, და არა რომელიმე სკოლის განსწავლული ფილოსოფოსი, რომელიც თავის სააზროვნო მასალას დადგენილი მეთოდის შესაბამისად აწვლილებს, ხოლო თავისი დოქტრინების უკანასკნელ საფეხურებამდე სისტემატიზირებული იდეების მეშვეობით მიდის (გარბე). გიტა ნახევრად ფილოსოფიური სისტემაა და ნახევრად პოეტური შთაგონების ნაყოფი. იგი უპანიშადებისაგან განსხვავებით ბევრ ფიქრს არ გვაიძულებს. რამდენადაც მასში სიცოცხლის პრობლემა წინდანინვე ინტელექტუალური გზითაა გადაჭრილი. ეს მოძღვრება განკუთვნილია იმისათვის, რომ ემსახუროს ადამიანს ცხოვრების მძიმე წუთებში, როცა სინდისი ალბორგებული და გონება შეშფოთებულია.

გიტას მოძღვრების ძირითადი აზრი იგივეა, რაც უპანიშადებისა, მაგრამ მასში უფრო მეტად არის აქცენტირებული რელიგიური მხარე: სულის მრავალმხრივ მოთხოვნილებათა დაკამაყოფილება არ შეიძლება უპანიშადების მჭლე აბსტრაქციებით. სიცოცხლის ამოხსნის სხვა ცდები უფრო თეისტური ხასიათისაა. გიტას ავტორს მიაჩნია, რომ ადამიანის ბუნება მიდრეკილებას არ ამჟღავნებს ლოგიკური კონსტრუქციებისადმი, ამიტომ იგი ეყრდნობა რა უპანიშადებს, იღებს მისგან რელიგიურ საფუძველს და მას ხალხური მითოლოგიისა და ფანტაზიის მეოხებით ცოცხალ სისტემად აქცევს.

ჯავაპარლალ ნერუ

უპანიშადები

უპანიშადები დაახლოებით ჩ. წ-მდე 800 წელს განეკუთვნება. უპანიშადები გამსჭვალულია კვლევისა და ძიების სულით. ესწრაფვის საგნებისა და მოვლენებში აღმოაჩინოს ჭეშმარიტება. რა თქმა უნდა, ამ ჭეშმარიტების ძიება თანამედროვე მეცნიერების ობიექტური მეთოდებით არ ხდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვითონ საკითხისადმი მიდგომა მეცნიერული მეთოდის ელემენტებს შეიცავს. არავითარ დოგმას არ ეძლევა უფლება შემეცნების გზას გადაუდგეს.

უპანიშადებში ყურადღება უპირასეტესად თვითშემეცნებას, პიროვნული მესა და აბსოლუტური მე-ს შემეცნებას ექცევა. ამავე დროს, თავისი არსით, ორივე იგივეობრივად ცხადდება. ობიექტური გარესამყარო არარეალურად არ მიიჩნევა, თუმცა იგი ფარდობითი აზრით არის რეალური, როგორც შინაგანი რეალობის სახე.

უპანიშადებში ბევრი ბუნდოვანებაა. ყველა ეს ბუნდოვანება ათასნაირად იყო ხოლმე განმარტებული; მაგრამ მათი შესწავლა და გარკვევა ფილოსოფოსის ან მეცნიერების საქმეა. უპანიშადების საერთო ტენდენცია მონიზმისაკენ არის მიმართული და, როგორც ჩანს, ისეა გააზრებული, რომ მოაწესრიგოს ის უამრავი უთანხმოება, რომელიც მაშინ ალბათ არსებობდა და ცხარე პაექრობასაც იწვევდა. ჭეშმარიტების ძიების უპანიშადისეული გზა — ეს არის სინთეზის გზა. მაგისადმი და სხვა ამგვარი ზებუნებრივი ცოდნისადმი ინტერესი მკაცრად დაგმობილია, ხოლო რიტუალისა და წესების შესრულება შემეცნების გარეშე უსარგებლოდ არის მიჩნეული. „ისინი, ვინც მათ შეუგნებლად ასრულებს, თუმცა თავი მცოდნე და სწავლულ ადამიანანებად მოაქვთ, უმიზნოდ დაეხეტებიან იმ უსინათლოთა მსგავსად, ბრმა მეგზური რომ მიუძღვით ნინ. ვერასოდეს მიაღწევენ ისინი მიზანს“. ვედებიც კი უწევენ ანგარიშს დაბალი რანგის ცოდნას. უმაღლეს ცოდნად მხოლოდ ინტუიციური წვდომაა აღიარებული. უპანიშადები გვაფრთხილებენ,

ნუ შეეცდებით იმ ფილოსოფიის შესწავლას, რასაც ქცევის დისციპლინა არ ახლავსო. ამავე დროს განუხრელად ცდილობენ სულიერ ძიებებს საზოგადო მოღვაწეობა შეუთანხმონ. ცხოვრების მიერ დაკისრებული მოვალეობების აღსრულება საჭიროა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც მარტვილური ცხოვრების წესი იძლევა ამის ნებას.

შესაძლოა, განსაკუთრებული ყურადღება პიროვნული სრულყოფილების ეთიკას ექცეოდა, რის გამოც მსოფლმხედველობის სოციალური მხარე ჩრდილიში რჩებოდა, „არაფერია პიროვნებაზე უმაღლესი“, — ამბობს უპანიშადა. ეტყობა, საზოგადოება მაშინ ყოველმხრივ მონესრიგებული ყოფილა და ადამიანის ერთადერთ, მთავარ საზრუნავს პიროვნების სრულყოფა წარმოადგენდა, და ამ სრულყოფის საძიებლად მისი გონება ცათა შორის თუ სულის უიდუმალეს კუნჭულებში დაეხეტებოდა. ძველი ინდოელების ეს თვალსაზრისი ვინროდ ნაციონალური როდი იყო, თუმცა საფიქრებელია, ინდოეთშიაც მიაჩნდათ, რომ ინდოეთია დედამიწის ჭიპი, როგორც სხვადასხვა ეპოქაში ასევე ეგონათ ჩინელებს, ბერძნებსა თუ რომაელებს. „მოკვდავთა მთელი ქვეყნიერება ერთი სხეულის ურთიერთდამოკიდებული ნაწილებია“, — ნათქვამია „მაჰაბჰარატაში“.

მიჭირს უპანიშადებში განხილული საკითხების მეტაფიზიკურ მხარეს მივწვდე, მაგრამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მიახდინა თვითონ მიდგომამ პრობლემისადმი, რაც ხშირად, ბრმა სარწმუნოებრივი დოგმების წყვედიადით იყო მოცული. ეს იყო ფილოსოფიური და არა რელიგიური მიდგომა. მე მიზიდავს აზრის ძალა, კვლევის სურვილი, რაციონალისტური სარჩული. უპანიშადების სტილი ლაკონურია, ხშირად გვხვდება მოძღვარსა და მოწაფეს შორის კითხვა-პასუხის ფორმა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ უპანიშადები მეცნიერული საუბრების ერთგვარ ჩანაწერს წარმოადგენს, თვითონ მოძღვარისა ან მისი მოწაფეების მიერ აღწუსხულს. პროფესორი ფ. უ. თომასი თავის წიგნში წერდა: „უპანიშადებს განსაკუთრებული თავისებურებითა და ფერშეუცვლელი მიმზიდველობით ჰმოსავს მათთვის ნიშანდობლივი, არაჩვეულებრივი და გულწრფელი კილო მეგობრების საუბრისა, დიდად ამაღელვებელ

საკითხებზე რომ მსჯელობენ". ჩ. რაჯაგოპალაჩარია მჭევრი სიტყვით ამკობს მას: „დაუშრეტელი ძალა წარმოსახვისა, აზრის აღმაფრენა და კვლევის დაუთრგუნველი სულისკვეთება, რის მეშვეობითაც ჭეშმარიტების დაუოკებელი წყურვილით აღძრული მოძღვარნი და მოწაფენი ცდილობენ შეაღწიონ „განხმულ საიდუმლოში“, მსოფლიოს ამ უძველეს წმინდა წერილებს ყველაზე დამაჯერებელ და თანადროულ ნიგნად ხდის“. უპანიშადების დამახასიათებელი ნიშანია ჭეშმარიტების რწმენა: „გაიმარჯვებს ჭეშმარიტება და არა სიცრუე. ჭეშმარიტებითაა მოკირწყლული გზა ღვთაებრიობისაკენ“, ხოლო ცნობილი მონოღება — გონებისა და სინათლისადმი მონოღებაა: „წარმიძელ რიოშიდან ჭეშმარიტისკენ! წარმიძელ უკუნიდან სინათლისაკენ! წარმიძელ სიკვდილიდან უკვდავებისკენ!“

ისევ და ისევ ბორგავს მარადმაძიებელი, მარადშემკითხველი, დაუდგარი გონება: „ვისი მეოხებით შეიმართა გონება სიმაღლედ? ვისი ბრძანებით აღმოცენდა დასაბამად სიცოცხლე? ვისი ნებით არის მორჭმული კაცთაგანი მეტყველების ნიჭით? რომელი ღმერთი მართავს სმენას და მზერას? შემდეგ: „რატომ არ შეუძლია ქარს დაყუდება? რატომ არ იცის კაცის გონებამ მოსვენება? რატომ და რის საძიებლად დის მდინარე და ერთი წამითაც არ ძალუძს შეჩერება?“ ძიების სული გამუდმებით უხმობს ადამიანს და მას, უსასრულო გზაზე ამგზავრებულს, უკვე აღარ უწერია მოსვენება. „აიტარეა ბრაჰმანში“ ერთი გალობაა ხანგრძლივი, უბოლოო გზისადმი, საითაც უნდა გავეშუროთ. ყოველი სტროფი ასეთი მისამღერით ბოლოვდება: „ჩარაივეტი, ჩარაივეტი! წინ გასწი, წინ გასწი!“.

ამ ძიებებს არ ახლავს რელიგიასთან ასოცირებული ყოველადძლიერი ღვთაების წინაშე ქედმოხრილობის გრძნობა, ეს არის გონიერების ზეიმი გარემომცველ სინამდვილეზე. „ჩემი სხეული ფერფლად იქცევა, ჩემი სუნთქვა გამჭვირვალე, უკვდავ ჰაერს შეურთდება, მაგრამ ჩემი არსება და ჩემი საქმე არ განქარდება. ეჰი, გონებაო, მარადლე გახსოვდეს ეგე, გახსოვდეს ეგე!“ ცისკრის ლოცვაში კი ასეთი მიმართვაა მზისადმი: „ჩაუქ-

რობელი დიდებით მოელვარე მზეო. მე გქმნი შენ იმად, რაცა ხარ!"
რა შესანიშნავი თვითდარწმუნებაა!

რა არის სული? მისი აღწერა ან განსაზღვრა მხოლოდ ნეგატიურად შეიძლება: „იგი არ არის არც ეს და არც ის“. ანდა გარკვეული აზრით, პოზიტიურადაც: „იგი შენ ხარ“. აბსოლუტური სულის მოგიზგიზე კოცონიდან ამოვარდნილ და მასშივე შთანთქმულ ნაპერწკალსა ჰგავს ინდივიდუალური სული. „ცეცხლის მსგავსად, რაც თუმცა კი ერთობილია, მაგრამ ქვეყნად მოქცევისას სხვადასხვა სახეს იღებს, იმის შესაბამისად თუ რა იწვება, — ასევე შინაგანი მე ყოველ ნივთშიც იმის მიხედვით გარდაისახება, რომელსაგანშიაც მიიქცევა. თავად მას არ გააჩნია სახე“. ეს შეგნება, რომ ყველა საგნის არსი ერთიდაიგივეა, ამ საგნებისაგან ჩვენს დამაშორებელ ზღუდეებს სპობს და ჩვენში კაცობრიობასთან და ბუნებასთან თანაზიარობის გრძნობას ბადებს, რაც გარე სამყაროს მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის საფუძველშივე ძევს. „მათთვის, ვინც იცის, რომ ყველა საგნის არსი მე-ა და ყველაფერი თანაზიარია, არ არსებობს მწუხარება და ცთომილება“, ან „არაფერი არ იქნება დაფარული იმ ადამიანისაგან, ვინც ყველა საგანში მე-სა, და მე-ში — ყველა საგანს ჭვრეტს“.

საინტერესოა შევუდაროთ და შევუპირისპიროთ ინდო-არიების უკიდურესი ინდივიდუალიზმი და გაუცხოება ამ ყოვლისმომცველ თვალსაზრისს, ყველა კასტობრივი და კლასობრივი ზღუდისა და ყველა სხვა გარეგანი და შინაგანი განსხვავების გადალახვა რომ ძალუძს. აქ თავისებური მეტაფიზიკური დემოკრატიაც კია: „იგი, ვინც ერთიან გონს ხედავს ყოველში და ყოველს ერთიან გონში, ვერ უგულებელყოფს ქვეყნად ვერც ერთ ქმნილებას“. თუმცა ეს მხოლოდ თეორია იყო, მას უეჭველად კვალი უნდა დაეჩნია ცხოვრებისათვის და შეექმნა გონიერებისა და შემწყნარებ-

¹ შეუდარე უ. უეტმანის „უზარმაზარო მოელვარე მზევ, რა სწრაფად მომკლავდი, თავად ჩემშიც შენებრი მზე რომ არ ამოდიოდეს“. „ტატ ტვამ ასი“, ინდური სპირტუალიზმის უძირითადესი მცნებაა, ფსიქიკურისა და კოსმიურის იდენტურობის გამოხმატველი; „ჩხანდოგია, უპანიშადა“ (6,12.) (მთარგმნელის შენიშვნა).

ლობის ის ატმოსფერო, რწმენის საკითხებში ის აღიარება თავისუფალი აზრისა, ის მისწარფება და უნარი — იცხოვრო და სხვებსაც მისცე ცხოვრების საშუალება — რაც მთავარ თვისებას შეადგენს როგორც ინდური, ასევე ჩინური კულტურისა. რელიგიასა და კულტურაში არ ყოფილა აბსოლუტიზმი და ეს მეტყველებს ძველი სიბრძნით სავსე, ამოუწყავი სულიერი მარაგის მქონე ცივილიზაციის არსებობაზე.

უპანიშადებში გვხვდება ერთი კითხვა, რომლებზეც უცნაური და ამავე დროს მრავლისმეტყველი პასუხია გაცემული. კითხვა ასეთია: „რას წარმოადგენს ეს სამყარო? საიდან წარმოიშვა იგი? საით მიდის? პასუხი გვაუწყებს: „თავისუფლებამ შვა იგი. თავისუფლებაში ყოფიერობს იგი. თავისუფლებაში განზავდება იგი“. მე არ შემიძლია ამის ზუსტ აზრს ჩავწვდე, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ უპანიშადების ავტორები თავისუფლების იდეის თავგამოდებული მსახურები იყვნენ და მის შუქზე ჭვრეტდნენ ყველაფერს. სვამი ვივეკანანდა ყოველთვის აღნიშნავდა ამ ასპექტს.

ჩვენთვის ძნელია, თუნდაც ოცნებით გადავინაცვლოთ იმ შორეულ ეპოქაში და იმდროინდელ სულიერ ატმოსფეროს ვეზიაროთ. უპანიშადების თავად ლიტერატურული ფორმა გვეჩვენება ახლა უცნაური, უჩვეულო და ძნელად სათარგმნი. ცხოვრების პირობებიც სრულიად სხვა იყო მაშინ. უამრავ რამეს ახლა მხოლოდ იმიტომ ვეთანხმებით, რომ მივეჩვიეთ მათ, თუმცა ბევრი რამ უცნაური და არაგონივრულია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია შეაფასო და გაიგო ის, რასაც სრულებითაც ვერ მივეჩვიეთ. ყველა ამ სიძნელისა და გადაულახავი დაბრკოლების მიუხედავად, ინდოეთის მთელი ისტორიის მანძილზე ეს უმესანიშნავესი ლიტერატურული ძეგლი გულისხმიერ და გულმოდგინე მკითხველებს პოულობდა და მან ეროვნული სულისა და ხასიათის ფორმირებაზე უღრმესი გავლენა მოახდინა. „არაორთოდოქსალური ბუდიზმის ჩათვლით არ არსებობს ინდური აზროვნების არც ერთი მნიშვნელოვანი ფორმა, — ამბობს ბლუმფილდი, — უპანიშადებში რომ არ ჰქონდეს ფესვი“.

ადრეული ხანის ინდურმა აზროვნებამ ირანის საზღვრები გადალახა და საბერძნეთშიც იქონია გავლენა ზოგიერთ ბერძენ მოაზროვნესა და ფილოსოფოსზე. გაცილებით გვიან ირანული და ინდური ფილოსოფიის შესასწავლად აღმოსავლეთს ეწვია პლოტინი. მან განსაკუთრებით განიცადა უპანიშადების მისტიკური ელემენტების ზემოქმედება. პლოტინის მეშვეობით, როგორც ამბობენ, წმინდა ავგუსტინემაც მრავლად ისესხა იდეები უპანიშადებისაგან, და ამან მაშინდელ ქრისტიანობასაც დააჩნია გარკვეული კვალი¹.

ევროპამ უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში მეორედ აღმოაჩინა ინდური ფილოსოფია, რამაც უზარმაზარი ზემოქმედება იქონია ევროპელ ფილოსოფოსებსა და მოაზროვნეებზე. ამასთან დაკავშირებით, ხსირად იშველიებენ შოპენჰაუერს:

„უპანიშადების ყოველი ფრაზა ღრმა, ორიგინალურ და დიდებულ აზრებს ბადებს. ეს წიგნები გულწრფელობით, კეთილშობილური სინმინდით არის გამსჭვალული... მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება ესოდენ სასარგებლო და ამაღლებელი ნაღვანი... უპანიშადები უმაღლესი სიბრძნის ნაყოფია“...

შემდეგ: „უპანიშადების შესწავლა მანუგეშებდა მთელი სიცოცხლე და ეგევე მექნება ნუგეშად სიკვდილის ჟამსაც“. კომენტარს უკეთებს რა შოპენჰაუერის ამ ნათქვამს, მაქს მიულერი აცხადებს: „შოპენჰაუერისაგან ყველაზე ნაკლებ არის მოსალოდნელი, რომ ის განუსჯელად დაწერდა რამეს, ან თავის თავს უფლებას მისცემდა ეგრეთნოდებული მისტიკური, ბუნდოვანი განსჯის ზეგავლენით ექსტაზს მისცემოდა“. მე არ მეშინია და არცა მრცხვენია ვალიარო, რომ ვიზიარებ ამ ენთუზიაზმს ვედანტას მიმართ, და თავს დავალბებულად ვგრძნობ მრავალი რამის გამო, რამაც ჩემი ცხოვრების გზაზე დიდი სარგებლობა მომიტანა“.

¹ რომენ როლანი ვივეკანანდაზე დანერჩილ თავისი წიგნის დამატებაში, ვრცლად განმარტავს „პირველი საუკუნეების ელინისტურ-ქრისტიანული მისტიციზმის ინდურ მისტიციზმთან ურთიერობას“. იგი ამტკიცებს, რომ ბარე ასი ფაქტი ადასტურებს, ჩვენი ნელთაღრიცხვით მეორე საუკუნეში თუ რა დიდ გავლენას ახდენდა აღმოსავლეთი ელინისტურ აზროვნებაზე.

სხვა ადგილას მაქს მიულერი წერს: „უპანიშადები სათავეა ვედანტური ფილოსოფიისა, სისტემისა, სადაც, მე მგონია, კაცობრიულმა აზრმა უმაღლეს დონეს მიაღწია“. „სიცოცხლის უბედნიერეს წუთებს მე ვედანტას წიგნების კითხვა მანიჭებს. ჩემთვის ისინი ცისკრის ნათელსა და მთის წმინდა ჰაერსა ჰგვანან: ისე უბრალო და ჭეშამრიტია მათში განხმული აზრი, როცა ჩასწვდები“.

მაგრამ, მე მგონი, ყველაზე ენამზიანი ხარკი უპანიშადებისა და შედარებით გვიანდელი ბჰაგავატგიტასადმი ირლანდიელმა პოეტმა ჯ. უ. რასელმა გაიღო: „თანამედროვე ავტორებს შორის გოთე, უორდსვორტი, ემერსონი და ტორო იყვნენ რამდენადმე ზიარებულნი ამ აქტიურობასა და სიბრძნეს, მაგრამ ყველაფერი, რაც მათ თქვეს, ჩვენ შეგვიძლია მოვიძიოთ აღმოსავლეთის უდიდეს წმინდა წიგნებში. ბჰაგავატგიტა და უპანიშადები სიბრძნის ისეთ ღვთაებრივ სავსებას შეიცავენ, რომ მე მგონია, მათ ავტორებს — ვიდრე ისინი ასეთი დამაჯერებლობით შესძლებდნენ წერას საგანთა გამო, რომელთა ჭეშმარიტებას ცხადლივ გრძნობს სული — წარსულისაკენ უძრავი გულით მიბრუნებულებს, მოჩვენებებთან ბრძოლითა და ვნებით სავსე ათასთა სიცოცხლე უნდა განეჭვრიტათ¹.

¹ ერთ-ერთ უპანიშადში („ჩხანდოგია“) საოცარი და საინტერესო ადგილია: „მზე არც არასოდეს ჩადის და არც არასოდეს ამოდის. როცა კაცთ ჰგონიათ მზე ჩადისო, სინამდვილეში იგი მხოლოდ დღის კიდეს მიაღწევს ხოლმე და ამიტომ ამიერ მხარეს ღამეს ჰბადებს, იმიერ მხარეს კი დღეს. შემდგომ, როცა კაცთ ჰგონიათ, დილით მზე ამოდისო, ღამის კიდეს მიღწეული იგი უკანვე ბრუნდება და ამიერ მხარეს დღეს ბადებს, ხოლო იმიერ მხარეს ღამეს. სინამდვილეში მზე არასოდეს ჩადის“.

ბ ჰ ა გ ა ვ ა ტ გ ი ტ ა

ბჰგავატგიტა ნაწილია მაჰაბჰატასი — ერთი ეპიზოდი ვრცელი დრამისა. მაგრამ იგი გამოცალკეებულია და დასრულებულ ნაწარმოებს წარმოადგენს. ეს, შედარებით მცირე ზომის, 700 შლოკიანი (შლოკა სანსკრიტული ორსტრიქონედია, თ ჩ.) პოემა „ჩვენთვის ცნობილ ენებზე არსებული ემშენიერესი და, შესაძლოა, ერთადერთი ჭეშმარიტად ფილოსოფიური თხზულება იყოს“, ასე დაახასიათა გიტა ვილჰელმ ფონ შუმბოლტმა. ბუდამდე ეპოქაში შექმნილი ამ პოემის გავლენა არასოდეს მოშლილა ინდოეთში და ახლაც მას მიმზიდველობის დიდი ძალა აქვს. აზროვნებისა და ფილოსოფიის ყველა სკოლა მიმართავს და თითოეული მათგანი თავისებურად განმარტავს მას. კრიზისის უამს, როვა გონება შეჭირვებაშია და გულს ეჭვი და ურთიერთსაწინააღმდეგო მოვალეობანი სწენავს, სახელმძღვანელოდ უფრო და უფრო ხშირად მიმართავს გიტას, რაკი თავად იგი პოლიტიკური და სოციალური, მეტიც — ადამიანური გონის კრიზისების უამს არის წარმოქმნილი.

წარსულში გიტას განსამარტავად ურიცხვი კომენტარი დაწერილა. ახლაც იწერება ეს კომენტარები. მას განმარტავდნენ ინდოეთში აზრისა და მოქმედების თანამედროვე მეუფენი: ტილაკი, აურობინდო გჰოში, განდი — და აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს თავისებურად ესმოდა იგი. განდი მასზე აფუძნებს უ ძ ა ლ ა დ ო წინააღმდეგობის თავის შეურყვეველ რწმენას, სხვები პირიქით, გიტას მოშველიებით სამართლიანი საქმისათვის ბრძოლასა და ძალმომრეობას ამართლებენ.

პოემა იწყება დიდ ომამდე ბრძოლის ველზე გამოსული კ რ ი შ ნ ა ს და არჯუნას საუბრით. არჯუნა შეძრწუნებულია. მას გულს უკლავს უსაზმნო ხოცვა-ყლეტა, მოგვარეთა და მახლობელთა წინააღმდეგ ხმლის შემართვა. კი, მაგრამ რისთვის? რა აგვინაზღაურებს ამ დანაკარგს, ასეთნაირ ცოდვას? ძველი წარმოდგენები, შეგონებანი და იდეალები ემხოზა. არჯუნა ასახიერებს კაცის შეძ-

რწუნებულ გულს, რომელსაც ურთიერთსანიანა აღმდეგო მოვალეობანი და ეთიკური პრინციპები სწენენ მარადღე.

კრიშნასა და არჯუნას ამ საუბარს მკითხველი თანდათანობით შეჰყავს პიროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობის, კაცთა ცხოვრების ეთიკურ და სულიერ თვალსაზრისთა სულ უფრო და უფრო მაღალ და აბსტრაქტულ სფეროებში. აქ ბევრია მეტაფიზიკური. ავტორი ცდილობს მოარგოს და შეათანხმოს ადამიანური პროგრესის სამი გზა: გონების ანუ ცოდნის გზა, მოქმედების გზა და გზა რწმენისა (ჯნანა-იოგა, კარმა-იოგა, ბჰქქტა-იოგა... თ. ჩ.). როგორცა ჩანს, უპირატესი ყურადღება რწმენას ეთმობა, და ბოლოს ყოველი კაცის ბედზე მზრუნველი პიროვნული ღმერთიც კი ცხადდება.

გიტა უმთავრესად, კაცობრიული არსებობის სულიერ საფუძვლებს ეხება, და სწორედ ამ კონტექსტშია განხილული ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკული პრობლემები. ეს არის მონოდება მოქმედებისაკენ, რათა შეასრულო ცხოვრებისაგან დაკისრებული მოვალეობანი, ოღონდ ისე, რომ ყოველთვის მხედველობაში გქონდეს მსოფლიოს უფრო ფართო მიზნები და სულიერი საფუძვლები. უმოქმედობა განკიცხულია, ხოლო ქმედება და თავად სიცოცხლე ეპოქის უმაღლეს იდეალებს უნდა ესადაგებოდეს. რაკი ისინი ეპოქიდან ეპოქაში ცვლილებებს ექვემდებარება. ყოველთვის უნდა გვექონდეს მხედველობაში ი უ გ ა დ ჰ ა რ მ ა, ანუ კონკრეტულად მოცემული ეპოქის იდეალი. თანადროული ინდოეთისათვის ნიშანდობლივი ღრმა იმედგაცრუებისა და იმის გამოც, რაც მან იწვნია ზედმეტი კვიეტიზმისაგან, მოქმედებისაკენ ამ მოწოდებას დიდი ძალა აქვს. ეს მოქმედება შეგვიძლია აგრეთვე თანადროულობის პოზიციიდან განვიხილოთ როგორც სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად მომართული მოქმედება, რომელიც პრაქტიკული, უანგარო, პატრიოტული და კეთილშობილური მიზნებით ემსახურება საზოგადოებას. გიტას თვალთახედვით ასეთი მოქმედება სასურველია, — მაგრამ უნდა შეიცავდეს სულიერ იდეალს. და რაც მთავარია, მოქმედება უნდა აღსრულდეს განდეგილის გულით: შედე-

გისადმი განსაკუთრებული გულმიდრეკის გარეშე. მიზეზ-შედეგის კანონი ძალაშია ყველგან და ყველაფერში., ამიტომ კეთილსაქმეს ასეთივე შედეგი მოჰყვება მუდამ, თუმცა, შესაძლოა, ეს შედეგი მაშინვე არ გაცხადდეს.

გიტა შეზღუდული არ არის სექტანტური მიზნებით. იგი უნივერსალურია თავისი მიდგომით ყველასადმი — ბრაჰმანისა და პარიასადმი. „ჩემსკენ მოემართება ყოველი გზა“ — ბრძანებს იგი. სწორედ ამ უნივერსალურობის გამოა იგი აღიარებული ყველა კლასისა და სკოლის მიერ. მასში არის უბერებელი, მარადი განახლების უნარის მქონე რაღაცნაირი შინაგანი თვისება, რომელსაც კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ძალა შესწევს სერიოზული მიკვლევისა და ძიებისა, განჭვრეტისა და მოქმედებისა, მდგრადობისა და წონასწორობისა. ყველაფერ ამაში იგრძნობა რაღაცნაირი განონასწორება და ერთიანობა. იგი ერთიანად გამსჭვალულია ცვალებადი გარემოცვის მიმართ უპირატესობის სულით, მაგრამ გიტა განდგომილი არ არის მისგან, არამედ ეგუება მას.

2500 წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დაიწერა გიტა, ინდოელის ბუნება მრავალჯერ დაქვემდებარებია ცვალებადობის, განვითარებისა თუ დაცემის პროცესებს. გამოცდილებას ცვლიდა გამოცდილება, აზრს აზრი, მაგრამ იგი ყოველთვის ნახულობდა ბჰაგავატგიტაში რაღაც ცხოველმყოფელს, რაღაც ისეთს, რაც ეპასუხებოდა აზროვნების განვითარებას. რაღაც ახალსა და იმ სულიერ პრობლემათა შესატყვისს აზრს, რომელთა გადასაჭრელად მარადის იბრძვის გონება.

ჩ ე მ ი მ ს ო ფ ლ მ ხ ე დ ვ ე ლ ო ბ ა

ექვსი თუ შვიდი წლის წინათ ერთმა ამერიკელმა გამომცემელმა შემომთავაზა წერილი დამენერა ჩემს მსოფლმხედველობაზე. კრებულის გამოცემას აპირებდა და იმისთვის უნდოდა. ეს აზრი მიმზიდველი მეჩვენა, მაგრამ ვყოყმანობდი, და რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ამაზე, მით უფრო მიძნელდებოდა კალმის ხელში აღება. ბოლოს და ბოლოს ხელი ავიღე ამ წერილის დაწერაზე.

რამა არსი ჩემი მსოფლმხედველობისა? მე არ ვიცოდი. რამდენიმე წლის წინ არ შემიძყრობდა ასეთი მერყეობა. იმ ხანად ჩემი აზრები და მისწრაფებები გარკვეულობით გამოირჩეოდა, რასაც ახლა ვერ დავიკვებხნი. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ინდოეთში, ჩინეთსა და ევროპაში და მთელ დანარჩენ მსოფლიოში მომხდარი ამბები მაძრწუნებდნენ, მთრგუნავდნენ და მალეღებდნენ და ჩემთვის მომავალი გაურკვეველი, ბუნდოვანი გახდა, რაკი ის მკაფიო მოხაზულობა დაჰკარგა, ჩემს ცნობიერებაში რომ გააჩნდა.

ეს ეჭვები და სიძნელეები უმთავრეს საკითხებში ხელს არ მიშლიდა უშუალო მოღვანეობაში. თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისინი ცოტა არ იყოს მიჩლუნგებდნენ ქმედების უნარს. მე უკვე აღარ შემეძლო ისე მემოქმედა, როგორც ახალგაზრდობისას ვაკეთებდი ამას, როცა გატყორცნილი ისრის მსგავსად პირდაპირ მივისწრაფოდი დასახული მიზნისაკენ და ამ მიზნის გარდა არაფერს დაგიდევდით. მაგრამ მე მაინც ვმოქმედებდი, რაკი გულში მედო ქმედებისადმი სწრაფვა, და ეს მოღვანეობა ეთანხმებოდა ჩემს ნამდვილსა თუ წარმოსახულ იდეალებს. ამასობაში მე შემიძყრო მზარდმა ზიზღმა პოლიტიკაში იმ სახით მონაწილეობისადმი, როგორითაც იგი ხორციელდებოდა ჩემს თვალწინ, ასე რომ თანდათანობით ცხოვრებისადმი მთელი ჩემი მიმართება შეიცვალა.

წარსულის იდეალები და მისწრაფებები განაგრძნობდნენ აწმყოში არსებობას, მაგრამ მათი ბრწყინვალეობა რამდენადმე დაცხრა, და თუმცა ჩვენ კვალში ვუდექით ამ იდეალებს, მათ მო-

ეძარცვათ ის შარავანდედი, რომელიც წინათ გულს გვითბობდა და სხეულს გვიკაყუებდა. ბოროტება საკმაოდ ხშირად ზეიმობდა გამარჯვებას, მაგრამ უარესი ის იყო, რომ მახინჯდებოდა და ირყენებოდა ის, რაც ასე სრულყოფილი ჩანდა. ნუთუ ადამიანის ბუნება იმდენად ბინიერია, რომ ტანჯვა-წამების საუკუნეებია საჭირო მის აღსაზრდელად? ნუთუ მას არ ძალუძს გინივრულად მოქცევა და იმ სასტიკ, გულარძნილ და ცრუ ქმნილებაზე ამაღლება, რაიც დღეს არის? და ნუთუ მანამდე, ახლანდელ დროსათუ უახლოეს მომავალში, ადამიანის ბუნების რადიკალური გარდაქმნისაკენ მიმართული ყოველგვარი ძალისხმევა მარცხით დამთავრდება?

მიზნები და საშუალებანი: არსებობს თუ არა მათ შორის განუყოფელი კავშირი, ახდენენ თუ არა ისინი ერთმანეთზე ზემოქმედებას, მივყავართ თუ არა მცდარ საშუალებათა გამოყენებას დასახული მიზნის დამახინჯებამდე, ხოლო ზოგჯერ თვით განადგურებამდე? მაგრამ ხომ შეიძლება, მართებული საშუალებანი ადამიანის სუსტი და ეგოისტური ბუნებისათვის მიუღწეველი აღმოჩნდეს? როგორღა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? უმოქმედება იმის მომასწავლებელი იქნებოდა, რომ თავი დამარცხებულად გვეცნო და დავმორჩილებულიყავით ბოროტებას, მოქმედება კი ძალიან ხშირად ამ ბოროტებასთან რალაცნაირ კომპრომისზე წასვლას მოასწავებდა, ყველა იმ მავნე შედეგებთან კომპრომისს, რომლებისკენაც მივყავართ ხოლმე ამგვარ დათმობებს.

თავდაპირველად ცხოვრების პრობლემებისადმი ჩემი მიდგომა მეტნაკლებად მეცნიერული იყო. მასში შეიმჩნეოდა რალაც იმ მშვიდი ოპტიმიზმისა, რაც ნიშანდობლივი იყო XIX და XX საუკუნის დასაწყისის მეცნიერებისათვის. უზრუნველყოფილი და მყუდრო ცხოვრება, ენერგია და თვითდაჯერება მიძლიერებდა ოპტიმიზმის ამ გრძნობას. მე ერთთავად მონუსხული ვყავდი რალაცნაირ ბუნდოვან ჰუმანიზმს.

რელიგია იმ სახით, როგორითაც სცნობდა და აღიარებდა მას თვით ძლიერი გონების ხალხი, მე არ მიზიდავდა. მე მეჩვენებოდა, რომ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცრურწმენებთან და დოგმატურ სარწმუნოებებთან, ხოლო პრობლემისადმი მისი

მიდგომა აშკარად არ იყო მეცნიერული. მასში იყო რაღაც მაგიური, არაკრიტიკულად მისანდობი, რაღაცნაირი რწმენა ზებუნებრივისადმი.

და მაინც თვალნათლივ ჩანდა, რომ რელიგია ადამიანის გულის რაღაცნაირ ღრმა შინაგან მოთხოვნილებებს ეპასუხებოდა და რომ მთელ მსოფლიოში კაცობრიობის უდიდეს უმრავლესობას არ ძალუძს გვერდი აუქციოს ამა თუ იმ რელიგიურ სარწმუნოებას. რელიგიამ ბევრი დიდებული ადამიანი შექმნა, თუმცა ბევრი ფანატიკური, შეზღუდული, სასტიკი ტირანიც. კაცობრიობის სულიერი ცხოვრება მან მრავალი ღირებულებით გაამდიდრა, და თუმცა ზოგიერთ მათგანს უკვე დაეკარგა მნიშვნელობა, ხოლო ზოგიერთი მავნეც კი გახდა, სხვანი და სხვანი მორალისა და ეთიკის საფუძველს წარმოადგენენ დღესაც.

უფრო ფართო აზრით რელიგია დაკავშირებული იყო თანადროული პოზიტიური მეცნიერული შემეცნების მიერ კაცობრიული ცდის გამოურკვეველ სფეროებთან. უნდა მივიჩნიოთ, რომ გარკვეული აზრით რელიგია აფართოვებს გამოკვლეულისა და შემეცნებულის საზღვრებს, თუმცა მეცნიერებისა და რელიგიის მეთოდები სრულიად განსხვავებულია და უმრავლეს შემთხვევაში სხვადასხვა საშუალებებით სარგებლობენ. აშკარაა, რომ ჩვენ გარემოცული ვართ შეუცნობელის ვრცელი სფეროთი და მეცნიერებამ, მთელი თავისი შესანიშნავი მიღწევების მიუხედავად, მეტად ცოტა რამ იცის მასზე. შესაძლოა აგრეთვე, რომ მეცნიერების ჩვეულებრივი მეთოდები, რომლებსაც საქმე ხილულ სამყაროსთან და სიცოცხლის პროცესებთან ჰქონდათ, მთელი სავსებით ვერ ეგუებიან უხილავი სამყაროს ფიზიკურ, მხატვრულ, სულიერ და სხვა ელემენტებს. სიცოცხლე არა მარტო ხილულ სამყაროს მოიცავს, იმას რასაც ვხედავთ, ვისმენტ ან შევიგრძნობთ ხოლმე, ან რაც დროსა და სივრცეში იცვლება — იგი ამავე დროს გამუდმებით ეხება უხილავ სამყაროსაც, რომელიც სხვაგვარი და შესაძლოა, უფრო მდგრადი ან ასევე ცვლადი ელემენტებისაგან შედგება. ვერცერთი ჭკუათმყოფელი კაცი ვერ უარყოფს ამ უხილავ სამყაროს.

მეცნიერება ცოტას გვეუბნება სიცოცხლის მიზანზე. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ ამის თაობაზე იგი არაფერს გვაუწყებს. მაგრამ დღეს იგი განზე სწევს თავის საზღვრებს და შეიძლება სულ მოკლე ხანში შეიჭრას ეგრეთწოდებული უხილავი სამყაროს საუფლოში და მოგვეხმაროს ამ მიზნის უფართოესი აზრით გაგებაში, უკიდურეს შემთხვევაში, რამენაირი შუქი მაინც მოჰფინოს კაცობრიული არსებობის პრობლემას. მეცნიერებასა და რელიგიას შორის ძველი კონფლიქტი ახალ ფორმას იღებს: მეცნიერულ მეთოდს ადამიანის ემოციური, სულიერი ცხოვრების მიმართ იყენებენ.

რელიგია მისტიციზმში, მეტაფიზიკასა და ფილოსოფიაში გადადის, მსოფლიო იცნობდა უდიდეს მისტიკოსებს, რომელთა მიზიდულობის დიდი ძალა გააჩნდათ და რომელთაც, აქაოდა თავგზააბნეული უმეცარნი არიანო, გვერდს ისე უბრალოდ ვერ აუვლით. და მაინც მისტიციზმი (ამ ვიწრო გაგებით) მაღიზიანებს. მე მეჩვენება, რომ ის ამორფული, დონდლო და უნიათოა. მისტიციზმი გონების მკაცრი დისციპლინა კი არ არის, არამედ მის წინაშე კაპიტულაცია. ეს არის ემოციური აღქმების ზღვაში ჩაძირვა. მაგრამ ისიც ხდება, რომ სწორედ ამგვარის აღქმა გადაგვახედებს ხოლმე შინაგან და უფრო დაფარულ პროცესებში, თუმცა მასვე მიყვავართ თვითმოტყუებისკენ.

მეტაფიზიკა ან ფილოსოფია ან მეტაფიზიკური ფილოსოფია უფრო იზიდავს გონებას, რადგან დაუცხრომელ განსჯას, ლოგიკისა და მსჯელობის მომარჯვებას მოითხოვს, თუმცა ყველაფერი ეს აუცილებლობით გამომდინარეობს იმ ძირითადი თავისთავად შეჭველად მიჩნეული წანამძღვრებისაგან, რომლებიც შესაძლოა, არც კი იყვნენ ჭეშმარიტნი. ყველა მოაზროვნე კაცი ამა თუ იმ ზომით ხარკს უხდის მეტაფიზიკასა და ფილოსოფიას, რადგან ამის არგაკეთება მსოფლიოს მრავალფერი ცხოვრების ბევრი ასპექტის იგნორირების მომასწავლებელი იქნებოდა. სხვადასხვა ეპოქაში მეტაფიზიკასა და ფილოსოფიას სხვადასხვაგვარი ყურადღება ხვდომიათ წილად. ძველი დროის აზიასა და ევროპაშიც გარე მოვლენებზე ადამიანის შინაგანი ცხოვრე-

ბის პრიმატს მიიჩნევდნენ ფუძე იდეად, ხოლო ამას გარდუვალად მივყავდით მეტაფიზიკასა და ფილოსოფიისაკენ. თანამედროვე ადამიანი შეუდარებლად უფრო მეტად არის ჩათრეული გარე მოვლენებში, მაგრამ თვითონ ისიც კი, სულიერი კრიზისისა და შეჭრვების უამს, ხშირად მიმართავს ხოლმე ფილოსოფიურ და მეტაფიზიკურ განსჯას.

რამენაირი, მკაფიო თუ ბუნდოვანი ცხოვრებისეული ფილოსოფია ყველა ჩვენთაგანს აქვს, თუმცა უმრავლესობა ბრმად იზიარებს ჩვენი თაობისა და გარმოსათვის დამახასიათებელ საერთო შეხედულებებს. უმრავლესობა აგრეთვე იმ რწმენის შემადგენელ ზოგიერთ მეტაფიზიკურ კონცეფციას იზიარებს, რომლის ნიაღშიც აღვიზარდეთ. მე არასოდეს არ მიზიდავდა მეტაფიზიკა, ერთგვარ ზიზღსაც კი ვგრძნობდი განყენებული აზროვნებისადმი. და მაინც არაერთხელ მიმიღია ინტელექტუალური სიამოვნება როცა ვცდილობდი მივყოლოდი ძველი თუ ახალი დროის მეტაფიზიკოსებისა და ფილოსოფოსების აზროვნების მკაცრ მდინარებას. მაგრამ მე არასოდეს არ ვგრძნობდი თავს ლაღად ამ სფეროში და შვებით ამოვისუნთქე, როცა თავი დავიხსენი მათი ხიბლისაგან.

ძირითადად მე ეს ქვეყანა მაინტერესებს, მაინტერესებს ეს ცხოვრება და არა რომელიღაც სხვა ქვეყანა ან საიქიო ცხოვრება. მე არ ვიცი, არსებობს თუ არა სულის უკვდავება ან სიკვდილის შემდეგ ახალი ცხოვრება, და რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს, მე სრულებით არ მალეღვებს ეს საკითხები. გარემო, რომელშიაც გავიზარდე სულის (უფრო ზუსტად ატმას) და იმიერი ქვეყნის არსებობას, კარმას (მიზეზისა და შედეგის) და გარდასხეულების თეორიებს უცილობლად მიიჩნევს. მეცა მცხია მათი და ამიტომ, გარკვეული აზრით, მიდრეკილება მაქვს დავეთანხმო ამ წარმოდგენებს. შესაძლოა ფიზიკური სიკვდილის განმცდელი სული მართლაც არსებობდეს. სამყაროს განმგებელი მიზეზ-შედეგის თეორია გონივრული მგონია, თუმცა, როცა საქმე პირველ მიზეზამდე მიდის, აშკარა სიძნელეებს ვაწყდებით. თუ დავუშვებთ სულის არსებობას, სულის გარდასხეულების თეორიაშიც დავინახავთ ერთგვარ ლოგიკას.

მაგრამ მე ამ თეორიებიდან არცერთს არ ვიღებ და არცერთ დაშვებას არ ვიზიარებ, როგორც რელიგიურ დოგმას. ისინი სხვა არაფერია თუ არა გონებრივი კონსტრუქციები და იმ სფეროს განეკუთვნებიან, რომლის თითქმის არაფერი ვიცით. ისინი ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენენ ჩემს ცხოვრებაზე და ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, დამტკიცდება თუ არა შემდგომში მათი მცდარობა ან სიმართლე.

სპირიტიზმი თავისი სეანსებითა და ეგრეთწოდებული სულთა გამოხმობით, მე ყოველთვის მეჩვენებოდა საიქიო ცხოვრების ფსიქიკურ მოვლენათა და საიდუმლოთა გამოკვლევის საკმაოდ სასაცილო და უაზრო საშუალებად. ჩვეულებრივ იგი უარესიცაა, რაკი თავგზას უბნევს იმ ზედმეტად მიამიტ ადამიანებს, რომლებიც ნუგეშსა და სულიერ შეჭირვებისაგან ხსნას ეძებენ. მე არ უარვყოფ იმ შესაძლებლობას, რომ ამ ფსიქიკურ მოვლენათაგან ზოგიერთი ჭეშმარიტია. მაგრამ თვითონ საშუალება სავსებით არასწორი, ხოლო უკმარი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი მონაცემებისაგან შეკონინებული დასკვნები უსაფუძვლო მგონია.

ხშიარად, ამ ქვეყანას რომ ვუკვირდები, ვგრძნობ მის იღუმალებას, მის შეუცნობელ სიღრმეებს, სურვილი მიპყრობს შეძლებისდაგვარად შევიცნო იგი, მთელი სისავსით შევიგრძნო და ჰარმონიულად შევენყო მას. ვფიქრობ, რომ შემეცნებისაკენ მიმავალი გზა ძირითადად მეცნიერული გზა უნდა იყოს, რომელიც ობიექტურ მიდგომას გულისხმობს; თუმცა მე ისიც მესმის, რომ ჭეშმარიტი ობიექტურობა არ შეიძლება არსებობდეს, ხოლო თუკი სუბიექტური ელემენტი გარდუვალი და აუცილებელია, იგი მეცნიერული მეთოდის მეშვეობით მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს.

რას წარმოადგენს შეუცნობელი, მე არ ვიცი. მე არ ვარქმევ მას ღმერთს, რადგან ღმერთის ცნება ბევრ ისეთ რამეს მოიცავს, რაც მე არა მნამს. მე სრულებით არა მაქვს უნარი ღვთაება ან რომელიმე შეუცნობელი უზენაესი ძალა ანთროპომორფულ ხატად წარმოვიდგინო. და ჩემს განცვიფრებას გამოიწვევს ყოველთვის ის, რომ სწორედ ასეთია უმრავლესობის წარმოდგენა. პი-

როვნული ღვთაების ყოველგვარი იდეა მე დიდად უცნაური მეჩვენება. გონებით შემოძლია ასე თუ ისე შევაფასო მონიზმის კონცეფცია. ყოველთვის მიზიდავდა ადვიაიტას ფილოსოფია ანუ ვედანტას არადუალისტური ფილოსოფია, თუმცა პრეტენზია არა მაქვს იმისა, რომ მთელი სიღრმითა და სირთულით მაქვს გაგებული იგი. მე მესმის, რომ ამგვარ საკითხებში მარტოოდენ განსჯითი შეფასება საკმაო არაა. ამავე დროს ამ საკითხებისადმი ვედანტას მიდგომა და ყველა სხვა ანალოგიური მიდგომა მაშინებს უსასრულობაში მათი ექსკურსების ბუნდოვანებითა და გაურკვეველობით. ბუნების სავსება და მრავალფეროვნება მალეღვებს, გულში ჰარმონიის გრძნობას აღმიძრავს და მეჩვენება, რომ თავს შიანურად ვიგრძნობდი ძველ, წარმართულ, პანთეისტურ საბერძნეთსა და ინდოეთში, ოღონდ მათთვის ნიშანდობლივი ღმერთის ან ღმერთების იდეის გარეშე.

ჩემთვის მიმზიდველობის დიდი ძალა აქვს ცხოვრებისადმი ერთგვარ ეთიკურ მიდგომას, თუმცა გამიძნელებოდა ლოგიკურად დამესაბუთებინა იგი. მე ყოველთვის მიზიდავდა განდის მიერ დაჟინებით ხაზგასმული დებულება იმის შესახებ, რომ მიზნის მისაღწევად მართებული საშუალებების არჩევანს აუცილებელია. და მე ეს მიმაჩნია მის ერთ-ერთ უდიდეს წვლილად ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თვითონ ეს იდეა დიახაც არახალია, მაგრამ ეთიკური დოქტრინის ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან მისადაგება უეჭველად ახალ რასმე წარმოადგენდა. აქ მრავალი სიძნელეა, შესაძლოა, მიზნები და საშუალებანი საერთოდ განუყოფელი არიან. ისინი გარკვეულ ორგანულ მთელს შეადგენენ. მსოფლიოში, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მიზნებზე ფიქრობენ და უგულებელყოფენ საშუალებებს, საშუალებების არჩევაზე ეს უპირატესი ყურადღება უცნაური და საკვირველი ჩანს. მე არ შემოძლია ვთქვა, რაოდენ წარმატებით გამოიყენებენ ამ პრინციპს ინდოეთში, მაგრამ ეჭვი არაა, რომ მან ბევრზე მოახდინა ღრმა და წარუხოცელი შთაბეჭდილება.

მარქსისა და ლენინის შესწავლამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემს შეგნებაზე და მომეხმარა ისტორია და თანადროული ცხოვ-

რება ახალ შუქზე დამენახა. ისტორიულ ამბებსა და საზოგადოებრივი განვითარების დიდ ჯაჭვში გარკვეული აზრი აღმოჩნდა, გარკვეული თანმიმდევრობა, ხოლო მომავალი უკვე აღარ მეჩვენებოდა ისე ბუნდოვნად. საბჭოთა კავშირის პრაქტიკული მიღწევებიც განსაკუთრებულად ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა. მე ხშირად არ მომწონდა, ჩემთვის ხშირად გაუგებარი იყო ზოგიერთი მოვლენა სსრკ-ში. მაფიქრებდა ის, რომ მეტიმეტად დიდი ყურადღება ეთმობოდა დიდი სახელმწიფოს პოლიტიკის მომენტის მოთხოვნილებებთან შეგუებას. მაგრამ ყველა ამ ამბებისა და, შესაძლოა, ადამიანის სრულყოფისაკენ თავდაპირველი მხურვალე მისწრაფებისაგან გარკვეული დაცილების მიუხედავად არ მეეჭვებოდა, რომ საბჭოურმა რევოლუციამ დიდად წასწია წინ კაცობრიული საზოგადოება და მგზნებარე ცეცხლი დაანთო, რომლის ჩაქრობა შეუძლებელია. მან საფუძველი ჩაუყარა იმ ახალ ცივილიზაციას, საითაც წინსვლა შეუძლია მსოფლიოს. მე ძალიან დიდი ინდივიდუალისტი ვარ და დიდად მწამს პიროვნების თავისუფლება, რომ შემედლოს გადამეტებული რეგლამენტაციის მოწონება, მაგრამ ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ რთულ სოციალურ ორგანიზმში პიროვნების თავისუფლება უნდა შეიზღუდოს და რომ ამგვარი შეზღუდვა სოციალურ სფეროში, შესაძლოა, პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს. ხშირად აუცილებელი ხდება თავისუფლების — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით — ინტერესებისათვის შეზღუდო ხოლმე მეორეხარისხოვანი თავისუფლებანი.

მარქსისტულ ფილოსოფიურ მსოფლგაგებაში მე ბევრ რამეს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გავიზიარებდი: მის მონიზმს, გონისა და მატერიის ერთიანობას, მატერიის მოძრაობასა და განუწყვეტელი ცვლილებების დიალექტიკას: ეს ცვლილება ხდება როგორც ევოლუციის გზით, ისე ნაბტომისებურად, ფორმულის მიხედვით: თეზისი, ანტითეზისი, სინთეზი. მაგრამ სრული კმაყოფილება ამ მოძღვრებამ ვერ მომანიჭა. ჩემს ცნობიერებაში აღარულ კითხვებს იგი ვერ პასუხობდა, და თითქოს ჩემდა შეუმჩნევლად,

გულში გზას იკვალავდა ბუნდოვანი იდეალისტური თვალსაზრისი, რომელიც ყველაზე უფრო ვედანტიურ შეხედულებას უახლოვდებოდა. გონისა და მატერიის განსხვავებაშიც არ იყო აქ საქმე. უფრო მეტად ეს ეხებოდა იმ რაღაცას, რაც აზროვნების საზღვრების მიღმაა. გარდა ამისა აქ იყო კიდევ ეთიკური საკითხები. მე მესმოდა, რომ მორალური მიდგომა ცვალებადია, რომ იგი აზროვნებისა და კულტურის განვითარებაზეა დამოკიდებული და თითქოს ეპოქის სულიერი ამინდითაა განსაზღვრული. და მაინც იგი შეიცავს რაღაც უფრო მეტს, მეტი მუდმივობით აღბეჭდილ გარკვეულ მისწრაფებებს. მე არ მომწონდა კომუნისტებისა და სხვების პრაქტიკაში ხშირად შემჩნეული განხეთქილება მოქმედებასა და ამ ძირეულ მისწრაფებებსა თუ პრინციპებს შორის. შედეგი ის იყო, რომ ჩემს ცნობიერებაში დაიხლართა ყველაფერი და მათში გარკვევა აღარ შემეძლო. ჩემი საერთო ტენდენცია იყო, თავი არ მეტეხა თუმცა კი მნიშვნელოვან, მაგრამ ამოუხსნელ საკითხებზე და ამის მაგივრად ჩემი ყურადღება ცხოვრებისეულ პრობლემებზე დამეუნჯებინა, რათა გამეგო ეს შედარებით ვიწრო და უშუალო პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები მომეძებნა. რასაც არ უნდა წარმოადგენდეს პირველადი რეალობა, დამოუკიდებლად იმისაგან, შევძლებთ თუ არა ჩვენ ოდესმე მის მთელი სისავსით, ან თუგინდ ნაწილობრივ შეცნობას, უეჭველია, რომ არსებობს ადამიანის ცოდნის გამრავლებისა და კაცობრიული ცხოვრებისა და საზოგადოების საორგანიზაციო პირობების გაუმჯობესებისათვის და სრულქმნისათვის მისი გამოყენების უფართოესი შესაძლებლობა, თუნდაც რომ ეს ცოდნა მეტნაკლებად სუბიექტური იყოს.

ზოგიერთ ადამიანს წარსულში და ამჟამაც, თუმცა ამჟამად უფრო ნაკლებად, მიდრეკილება ჰქონდა სამყაროს ამოუხსნელ ამოცანაზე პასუხის ძიებას ჩაღრმავებოდა. ეს მათ პირად და საზოგადო საჭირობოროტო პრობლემებს აშორებს და როცა ისინი რწმუნდებიან, რომ არ ძალუძთ ამოხსნან ეს ამოცანა, სასონარკვეთილებაში ვარდებიან, ხელს იღებენ მოქმედებაზე, წვრილმანებში ეფლობიან, ანდა ნუგეშს რომელიმე დოგმატურ მოძღვრებაში პოულობენ. სოციალურ მანკიერებებს, რომელთა

უმრავლესობას შეიძლება ეშველოს, პირველყოფილ ცოდვას, ადამიანის ბუნების სიმდაბლეს ან საზოგადოებრივ წყობილებას მიაწერენ, ხოლო ინდოეთში მათ წინანდელ გარადასხეულებათა გარდუვალ მემკვიდრეობად აცხადებენ. ამის გამოა, რომ ეს ადამიანები რაციონალისტურად და მეცნიერულად აზროვნების ცდაზე დაც კი ამბობენ უარს და თავშესაფარს ირაციონალიზმში, ცრუმორწმუნეობაში, უგუნურ და უსამართლო სოციალურ ცრურწმენებსა და საქმეებში ნახულობენ. მართალია, თვით რაციონალური და მეცნიერული აზროვნებაც არ გვაძლევს ყოველთვის უფლებას ისე შორს გავიწიოთ, როგორც ეს ჩვენთვის იქნებოდა სასურველი. არსებობს ათასგვარი ფაქტორებისა და ურთიერთკავშირის ურიცხვი რაოდენობა, რომლებიც სულ სხვადასხვაგვარ ზემოქმედებას ახდენენ მეცნიერებაზე და განსაზღვრავენ მათ. შეუძლებელია ყველა მათგანს მოერიო, მაგრამ ჩვენ უნდა ვცადოთ მოქმედი ძალებიდან გამოვავლინოთ უმთავრესნი და გარეგანმატირიალურ რეალობაზე დაკვირვების მეოხებით, ცდისა და პრაქტიკის დახმარებით, ექსპერიმენტებისა და შეცდომების წიაღ მოვსინჯოთ გზა სულ უფრო ფართო ცოდნისა და ჭეშმარიტებისაკენ.

ნაჩვენებ საზღვრებში ამ მიზნებისათვის საერთო მარქსისტული მეთოდი, რომელიც მეტნაკლებად პასუხობს მეცნიერების ახლანდელ მდგომარეობას, როგორც მე მგონია, დიახაც სასარგებლო აღმოჩნდებოდა. მაგრამ თვით ამ მეთოდის გამოყენებისას მიღებული დასკვნები და წარსული ან მიმდინარე ამბების ინტერპრეტაცია ყოველთვის არ ყოფილა ცხადი. მარქსის მიერ ახსნილი საზოგადოებრივი განვითარების ანალიზი შესანიშნავად სწორია და მაინც, მომდევნო ხანებში, უახლოეს მომავალზე მარქსის წარმოდგენებთან შეუთანხმებელი ამბები მოხდა. ლენინმა წარმატებით განავითარა მარქსისტული თეორიის დებულებები ზოგიერთ ამ გვიანდელი ამბებისადმი მისადაგებით, მაგრამ ამის შემდეგაც ახალი განსაცვიფრებელი ამბები მოხდა: აღმოცენდა ფაშიზმი და ნაციზმი, ყველაფერ იმასთან ერთად, რაც მათ უკან იდგა. ტექნიკის ესოდენ სწრაფი განვითარება და მეცნიერების უდიდესი მიღწევების პრაქტიკაში განხორციელება გასაოცარი სისწრაფით უცვლის მსოფლიოს სახეს და ახალ პრობლემებს ბადებს.

ამრიგად, სოციალისტური თეორიის ძირითად დებულებებს რომ ვალიარებდი, არ ვუფიქრებდებოდი მის მრავალრიცხოვან შინაგან წინააღმდეგობას, მალიზიანებდა ინდოეთის მემარცხენე დაჯგუფებები. ისინი უამრავ ენერგიას ხარჯავდნენ მოძღვრების სხვადასხვა წვრილმანი მხარეების გამო ურთიერთ დავასა და მხილებაში, ხოლო ეს წვრილმანები მე სრულებით არ მაინტერესებდა. ცხოვრება მეტისმეტად რთულია, და ჩვენი ახლანდელი ცოდნის შესაბამისად, რამდენადაც მისი გაგების უნარი შეგვენეს — უნდა ვალიაროთ, რომ მასში მეტისმეტად ბევრი ულოგიკობაა, რათა შეგვეძლოს გარკვეული დოქტრინის ჩარჩოში მოვაქციოთ იგი.

ჩემთვის ნამდვილ პრობლემად რჩება პიროვნებისა და საზოგადოების ჰარმონიული არსებობის, პიროვნების შინაგანი სამყაროსა და გარემოს სათანადო შესატყვისობის, ცალკეულ პიროვნებებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთდამოკიდებულების რეგულირების, ადამიანის გამუდმებული გაკეთილშობილებისა და სრულყოფის პრობლემები, სოციალური პროგრესისა და ადამიანის შეუწყვეტელი ძიებების პრობლემები. ამ პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია დაკვირვების, ფაქტების ზუსტი დადგენისა და მეცნიერული მეთოდების შესაბამისად ფრთხილი დასკვნების მეშვეობით მოქმედება. მაგრამ ჭეშმარიტების ჩვენეულ ძიებებში ეს მეთოდი ყოველთვის არ გამოგვადგება, რადგან ხელოვნება, პოეზია და ფსიქიკის ზოგიერთი მოვლენები, როგორცა ჩანს, სხვა სიბრტყეზე დგას და მეცნიერების ობიექტურ მეთოდებს არ ექვემდებარება. ამიტომ უარს ნუ ვიტყვით ინტუიციაზე და ჭეშმარიტებისა და სინამდვილის წვდომის სხვა მეთოდებზე. ისინი თვით მეცნიერების მიზნებისათვისაც კი აუცილებელნი არიან. მაინც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ცდისა და პრაქტიკის მეოხებით შემონმებული ობიექტური ცოდნის ღუზა. ჩვენ გვმართებს დადარაჯებული ვიყოთ მუდამ, რომ არ ჩავიძიროთ იმ თეორიული მსჯელობების უნაპირო ზღვაში, რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ცხოვრების საჭირობოროტო პრობლემებთან. ცოცხალი ფილოსოფია დღევანდელობის საჭიროებებს უნდა პასუხობდეს.

ჩვენ, ახლანდელი ეპოქის მიღწევებით გათამამებული თანამედროვე ადამიანები, შესაძლოა, ჩვენივე ეპოქის ტყვეები ვიყოთ, ზუსტად ისევე, როგორც ძველი სამყაროსა და შუასაუკუნეების ადამიანები იყვნენ თავიანთი ეპოქის ტყვეები. შესაძლოა, ჩვენც ვცდებოდეთ, როგორც ჩვენამდეც ცდებოდნენ, როცა გვგონია რომ გარემომცველი მოვლენებისადმი ჩვენიული მიდგომა ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ერთადერთი სწორი მიდგომაა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია თავი დავალწიოთ ამ ტყვეობას და სავსებით გავთავისუფლდეთ ამ ილუზიისაგან, თუკი ეს მართლა ილუზიაა.

ასეა თუ ისე, მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანის ცხოვრებაში არაფერს ისეთი რევოლუცია არ მოუხდენია, მეცნიერებამ რომ მოახდინა თავისი მეთოდებითა და მიდგომით. მან გაკვალა გზა შემდგომი, კიდევ უფრო რადიკალური ცვლილებებისათვის, რომლებსაც იმის კარიბჭეში შეეყავართ, რაც დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომლად ითვლებოდა. მეცნიერების ტექნიკური მიღწევები სავსებით უცნობელია. მისი უნარი — შიმშილის ეკონომიკა სიუხვის ეკონომიკად გადააქციოს — თვალსაჩინოა. აქამდე ფილოსოფიის საუფლოდ მიჩნეულ ბევრ სფეროში მისი შეჭრა სულ უფრო ცხადი ხდება. სივრცობრივ-დროულმა და ქვანტურმა თეორიებმა სრულიად შეცვალეს მატერიალურ სამყაროზე ჩვენი წარმოდგენები. მატერიის ბუნების, ატომის სტრუქტურის, ელემენტების გარდაქმნისა და ელექტრონული და სხივური ენერჯიის ურთიერთრანსფორმირების გვიანდელმა გამოკვლევებმა კიდევ უფრო გააღრმავა კაცობრიობის ცოდნა. ადამიანი ბუნებას უკვე აღარ განიხილავს როგორც რაღაც მისგან განკერძოებულსა და განსხვავებულს. ახლა ადამიანის ბედისწერა ბუნების რიტმული ენერჯიის ნაწილად წარმოგვესახება.

მეცნიერების განვითარების შედეგად წარმოშობილმა აზროვნების ყველა ამ ძვრებმა სწავლულთა წინაშე ახალი, მეტაფიზიკის მომიჯნავე სფერო გამოაჩინა, საიდანაც მათ განსხვავებული, ხოლო ბევრჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო დასკვნები გააკეთეს. ზოგიერთები ამაში შემთხვევითობის საპირისპირო ახალ ერთიანობას ჭვრეტენ. სხვები, ბერტრან რასელის მსგავსად აცხადებენ:

„პარმენიდეს დროიდან აკადემიური ფილოსოფოსები სამყაროს ერთიანობაში იყვნენ დარწმუნებულნი. ჩემი უძირითადესი მრწამსი კი ის არის, რომ ეს სისულელეა“. ანდა: „ადამიანი იმ მიზეზთა მოქმედების შედეგია, რომელთაც რაიმე გარკვეული მიზანი არ ჰქონიათ დასახული. ადამიანის ამ ქვეყნად გაჩენა, მისი ზრდა, მისი იმედები და შიში, მისი სიყვარული და რწმენა სხვა არაფერია, თუ არა ატომების შემთხვევითი განლაგების შედეგი“. ამავე დროს, ფიზიკის უახლესი მიღწევები ბუნების ერთიანობის ბევრ საბუთს გვანჯდის. „ის წარმოდგენა, რომ საგნები ერთიანი სუბსტანციიდან არის შექმნილი, ისევე ძველია, როგორც თავად აზრი. მაგრამ მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ჩვენმა თაობამ გამოიჩინა უნარი აღიქვას ბუნების ეს ერთიანობა არა როგორც საფუძვლის არმქონე დოგმა ან დებულება, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არა აქვს, არამედ როგორც ჩვენთვის ცნობილ ყველაზე ცხად და მკაფიო მტკიცებებზე დაფუძნებული მეცნიერული რპინციპი“¹.

რაც არ უნდა ძველი იყოს ეს წარმოდგენები აზიასა და ევროპაში, საინტერესო იქნება მეცნიერების ზოგიერთი უახლესი დასკვნა ვედანტას არადუალისტურ თეორიას — ადვაიტას ძირითად იდეებს შევუდაროთ. ამ იდეების არსი ის იყო, რომ მთელი სამყარო ერთიანი სუბსტანციიდან არის შექმნილი, სუბსტანციიდან, რომლის ფორმა მუდამ იცვლება. და შემდეგ, რომ ენერჯიის საერთო რაოდენობა მუდმივ უცვლელია. ეს თეორია იმასაც გვაუწყებდა, რომ „საგანთა ამოხსნა მათსავ საკუთარ ბუნებაშია საძიებელი და რომ სამყაროში მომხდარი მოვლენების ასახსნელად საჭირო არ არის რაიმე გარეშე არსებათა ან ფაქტორთა აღიარება“. ხოლო აქედან სამყაროს თვითგანვითარების დასკვნა გამომდინარეობდა.

მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა ალარა აქვს საით წავიყვანს ეს ბუნდოვანი მსჯელობები, რაკი ამ დროს ასი სხვადასხვა მიმართულებით მიიწევს თვითონ წინ. იგი, იყენებს რა დაკვირვების ზუსტ ექსპერიმენტულ მეთოდს, ცოდნის გამოკვლეულ სფეროებს აფართოებს და პროცესების შედეგად ასხვაფერებს კაცობრიობის ცხოვრებას. მეცნიერება იქნებ მნიშვნელოვან საიდუმლო-

¹ Karl K. Darrow, *The Renaissance of physics*, New York, 1936, p. 301.

თა აღმოჩენის ზღურბლზეც იდგეს, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ მას ხელიდან დაუსხლტეს ეს საიდუმლოებანი. რაც არ ინდა იყოს, იგი მომავალშიც წინ ივლის წინასწარ დასახული გეზით, რადგან მის წინსვლას არა აქვს დასასრული. მეცნიერებას ჯერჯერობით გვერდზე რჩება ფილოსოფიური „რატომ“? მაგრამ განაგრძობს პასუხის ძიებას კითხვაზე „როგორ“? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით იგი უფრო მეტ შინაარსს და აზრს ანიჭებს ცხოვრებას და შესაძლოა, იმ დღესაც კი გვიახლოვებდეს, როცა პირველ კითხვებზედაც მივიღებთ პასუხს.

მაგრამ იქნებ ჩვენ საერთოდ არ ძალგვიძს გადავლახოთ ეს დაბრკოლება და მიუწვდომელი მიუწვდომლადვე დარჩება, ხოლო ცხოვრება, მთელი თავისი ცვალებადობით ჩვენს წინაშე იდგება როგორც ერთმანეთზე ახორხლილი ავკარგი, შეჯახებათა უწყვეტი ჯაჭვი და ურთიერთმტრული და შეუთავსებელი მისწრაფებების უცნაური ხლართი.

ბოლოს, შესაძლოა, ისიც მოხდეს, რომ მეცნიერების პროგრესი, რომელიც არაფრით არ არის დაკავშირებული ზნეობრივ დისციპლინასთან, ან რომელიც გინდა ეთიკურ შეხედულებასთან, ძალაუფლებასა და მის მიერ შექმნილ ნგრევის საშინელ იარაღს თვითონვე ჩაუგდებს ხელში უმეცრული და ეგოისტური ბუნების ხალხს, იმათ, ვინც სხვა ადამიანებზე ბატონობასა და სწორედ ამიტომ ამ პროგრესის დიადი მიღწევების განადგურებას ესწრაფის. რაღაც ამდაგვარი აგერ ახლა ხდება, ჩვენს თვალწინ: ამ ომის უკან ისევე იგივე ადამიანური გონის შინაგანი კონფლიქტი დგას.

მაგრამ მაინც რა საოცარია ეს ადამიანური გონი აურაცხელი სისუსტის მიუხედავად. საუკუნეების განმავლობაში ადამიანი თავის სიცოცხლესა და ყველაფერს, რაც მისთვის ძვირფასი იყო, მსხვერპლად სწირავდა იდეალს, ჭეშმარიტებას, რწმენას, მამულსა და ღირსებას. ეს იდეალი იცვლებოდა, მაგრამ თავგანწირვის უნარი უცვლელადვე რჩებოდა, და ამის გამო ბევრი რამ შეიძლება ეპატიოს ადამიანს. მისდამი რწმენა არ უნდა დავკარგოთ. უბედურებაში მას არ დაუკარგავს ღირსება და რწმენა იმ ღირებულებებისა, რომელსაც აფასებდა. მან, ამ შეუწერელი სამყაროს უსახურმა ნატა-

მალმა, ბუნების მძვინვარე ძალების პატარა სათამაშომ, ბრძოლა გამოუცხადა სტიქიონებს და შეეცადა თავისი გონების — რევოლუციის ამ აკვანის მეოხებით დაეპყრო ისინი. რანაირი ღმერთებიც არ უნდა არსებობდნენ, ადამიანში ნამდვილად არის რაღაც ღვთაებრივი, ისევე როგორც მასშივეა რაღაც დიაბოლურიც.

მომავალი გაურკვეველი და ბნელით მოცულია. მაგრამ მისკენ მიმავალი გზის ნაწილი ჩანს და ჩვენ შეგვიძლია ამ გზაზე მტკიცე ნაბიჯით ვიაროთ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ვერაფერი გატეხს ადამიანის სულს — სულს, რომელმაც ამდენ ხიფათს გაუძლო. უნდა გვახსოვდეს აგრეთვე, რომ ტანჯვა-წვალების მიუხედავად, წუთისოფელში სიხარული და მშვენიერებაც სუფევს და ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია — თუკი გვეცოდინება როგორ უნდა გავაკეთოთ ეს — ბუნების ჯადოსნურ ტყეში ვიხეტილოთ...

სად არის სიბრძნე?

სად არის სიკეთე უმეტესი,

ღვთისმიერი მაღლი მოკვდავთა მიმართ?

ბრძოლის ველზე ხომ არა, —

ოდეს გამარჯვებულ მარჯვენას

მტერს თავზე დავადებთ?

მშვენიერია გამარჯვების წამი!

მშვენიერი გვეთნევა მუდამ!¹

¹ ევრიპიდე. ბაქხი დიაცები, 877-881.თარგმანი ზ. კიკნაძისა.

რომენ როლანი

ინდურ მოძღვრებათა
ამერიკელი წინამორბედები
ემერსონი, ტორო, უოტ უიტმენი

უაღრესად საინტერესოა ზუსტად ვიცოდეთ, როგორ განიმსჭვალა XIX საუკუნის განმავლობაში ამერიკული აზროვნება (სულერთია, შუალობით თუ უშუალოდ) ინდური გავლენებით, რადგან უეჭველია, რომ მათ თავიანთი როლი შეასრულეს თანამედროვე ამერიკის თავისებური რელიგიური და მორალური წყობის ჩამოყალიბებაში. ეს წყობა თავის თავში მოიცავს ინგლის-საქსონური პურიტანიზმის, იანკის ქმედითი ოპტიმიზმის, პრაგმატიზმის, ფსევდომეცნიერულობისა და ფსევდოვედანტიზმის უცნაურ ნაზავს, რისი გაგებაც უთუოდ გაუჭირდება პირწმინდა ევროპელს. რამდენადაც ვიცი, ჯერ არცერთ ისტორიკოსს არ მიუქცევია ყურადღება ამისთვის, ამავე დროს კი, ეს პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფსიქოლოგიური პრობლემაა, და საშურთა აქეთკენ მიმართოს თავისი ინტერესი ჩვენი ერთობლივი ცივილიზაციის მკვლევარმა. ამჟამად მე ხელთ არა მაქვს ამ პრობლემის ამოხსნისათვის საჭირო ბევრი მონაცემი, მაგრამ მაინც მინდა გამოვეყო ზოგიერთი საკითხი.

როგორცა ჩანს, შეერთებულ შტატებში ინდური აზროვნების ერთ-ერთი მთავარი გამტარებელი ემერსონი იყო, ხოლო ემერსონმა, თავის მხრივ, საფიქრებელია, ტოროს ძლიერი ზემოქმედება განიცადა. ემერსონი მომზადებული იყო ასეთი ზემოქმედებისათვის. 1830 წლიდან ეს უკვე იგრძნობა მის „დღიურებში“, სადაც ხშირად გვხვდება მითითებანი ინდურ რელიგიურ ტექსტებზე. 1838 წელს, ჰარვარდის უნივერსიტეტში წარმოთქმული მისი ცნობილი სიტყვა, რომელმაც თავის დროზე აღშფოთება გამოიწვია, ადამიანში ღვთაებრივი დასაბამის რწმენას აცნაურებს, ხოლო ეს რწმენა საკმაოდ უახლოვდება სულის შესახებ „ატმან-ბრაჰმანის“ მოძღვრებას.

მართალია, ემერსონი ამ რწმენასთან თვითონ თავისი პიროვნებისა და თავისი რასისათვის ნიშანდობლივ მორალურ ან მორალისტურ წარმოდგენებსაც მჭიდროდ აკავშირებდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშში, ასეთ თვალსაზრისს „სამართლიანობის“ იოგას ქვეშარიტ განხორციელებამდე მივყავართ, რაც ორმაგი აზრით, ზნეობრივი სიკეთისა და კოსმოსური წონასწორობის აზრით გაიგებოდა. თავის ჰარვარდულ სიტყვაში იგი ამბობდა: „რამდენადაც კაცი სამართლიანია გულში, იმდენად ეს კაცი ღმერთია... სამართლიანობასთან ერთად მის გულში უკვდავება და ღვთაებრივი დიდებამოსილება მკვიდრდება. ყოველი არსი ერთიანი გონიდან წარმოდინდება და ისევე, როგორც უქეანის სხვადასხვა ნაპირზე მას სხვადასხვა სახელი ჰქვია, განსხვავებულად გამოვლენილ ამ არსთაც სხვადასხვა სახელი ეწოდება: სიყვარული, სამართლიანობა, სიბრძნე. ამ კანონების წვდომა სულში აღვიძებს რელიგიურ განცდას, და ჩვენთვის ეს უზენაესი ბედნიერების წყაროა... ეს არის თოვლიანი მწვერვალების ჰაერი, ეს არის სილამაზე ცათა, ეს არის ვარსკვლავთა უხმო გალობა, ეს არის ნეტარება ადამის ძისა“...

ემერსონს, – გვეუბნება უილიამ ჯემსი, – სწამს თავისი არსებით ზნეობრივი მსოფლიო სული. ღვთაებრივი სამართლიანობის წინაშე ყველამ და ყველაფერმა უნდა მოიდრიკოს ქედი, მწერმა და კაცმა და მნათობებმაც.

ეს სამართლიანობა, ეს ზნეობრივი არსება არ უნდა დავავინროვოთ მის ისეთნაირ გაგებამდე, როგორც ეს გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. მას ტრანსცენდენტური ხასიათი აქვს... ემერსონისთვის სწორედ ეს ღრმა კოსმოსური განცდა იყო ნიშანდობლივი. ეს იმანენტიზმი ასაზრდოებს და დიდებამოსილებას სძენს მის მორალიზმს.

მაგრამ ემერსონი არც წიგნის კითხვასა და არც წერაში არ გამოირჩეოდა მეთოდურობით. ემერსონზე დაწერილ თავის შრომაში კაბო ამბობს, რომ ის ხშირად ისაზღვრებოდა ამონაწერებითა და ციტატებით იმის მაგივრად, რომ თავიდან ბოლომდე წაეკითხა წიგნი. რაც შეეხება ტოროს, იგი კითხვის დიდი მოტრფილე იყო. 1837-62 წლებში ტორო ემერსონის მეზობლად ცხოვრობ-

და. ემერსონი აღნიშნავს, რომ ტორომ მას ნაუკითხა ნაწილები თავისი წიგნიდან „კვირიაკენი“, ხოლო ეს „კვირიაკე“ ბჰაგავატგიტათი, ინდოეთის დიადი პოემებითა და უზენაესი ფილოსოფიით აღტაცების ბობოქარი ზღვაა. ტოროს სურდა შეედგინა შედარებითი ბიბლია ინდური, ჩინური, ირანული, ებრაული და წმიდა წიგნებისაგან, რათა ის „მსოფლის საზღვრებამდე“ მიეტანა...

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გავლენებს უკვალოდ არ ჩაუვლია და ემერსონს გადაედო ტოროს მგზნებარე ენთუზიაზმი. ინდური ფილოსოფიის გაცნობისაგან მოგვრილი შთაბეჭდილება დიდად გამაოგნებელი უნდა ყოფილიყო, თუკი მას 1856 წელს, შექმლო ვედანტიზმით ისეთი ღრმად გამსჭვალული ლექსი დაენერა, როგორცაა მისი მშვენიერი „ბრაჰმა“...

იმ დროს ახალი ინგლისი სულიერი განახლებისა და აღტაცებული იდეალიზმის ხანას განიცდიდა, რაც 1848 წლის წინარე ხანის ევროპაში იდეალიზმის ასეთსავე აფეთქებას შეესაბამებოდა, თუმცა ამ უკანასკნელისგან დიდად განსხვავდებოდა თავისი ნაკლებკულტურული, მაგრამ უფრო ფესვმაგარი, ბუნებასთან უსაზღვროდ ახლომდგარი საფუძვლით. ჯორჯ რიპლის და „საყოველთაო პროგრესის მეგობრების“ მოუსვენარი საზოგადოებები პირველყოფილი ძალების სიჭარბისგან აღზნებულ სხვადასხვა რწმენისა და პროფესიის ადამიანებს აერთიანებდა, რომლებიც ცდილობდნენ განთავისუფლებულიყვნენ წარსულის სიცრუისაგან, რათა ახალი ჭეშმარიტება მოეძიათ, ვინაიდან კაცობრიობას არ ძალუძს არსებობა, უკეთუ არ დარწმუნდება იმაში, რომ მორჩმული აქვს ჭეშმარიტება.

ვაგლახ! იმან, რასაც დაენინდა ამერიკის სული მომდევნო ნახევარსაუკუნეში არ გაამართლა თაფლობის თვის იმედით სავსე მოლოდინი. ჭეშმარიტება ჯერ არ მომწიფებულებო და მით უმეტეს, ჯერ არ მოწიფულებო ისინი, ვისაც სურდა მოემკო იგი. მაგრამ ეს კეთილშობილი იდეების უქონლობით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ ეს ძალ-იდეები ნაჩქარევად ჰქონდათ შთანთქმული, რომ ისინი გონივრულად არ ჰქონდათ შეთვისებული. დიდი სამოქალაქო ომით გამონვეულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა ძვრებმა და მათგანვე გაპირობებულმა ნერვულმა შერყევებმა,

ავადმყოფურმა ნაჩქარეობამ, რამაც შემდგომში ცხოვრების შმაგი რიტმი შექმნა, ამერიკული საზოგადოება ხანგრძლივი დროით გამოიყვანა წონასწორობიდან.

მიუხედავად ამისა, საუკუნის მეორე ნახევარში მოქმედ თაობაში ძნელი არ იქნება იმ თესლის აღმოჩენა, რომელიც კონკორდის პიონერებმა – ემერსონმა და ტორომ მიმოაბნინეს. მაგრამ რა უცნაური ცომი მოზილეს ამ მარცვლებისაგან Mind Cure-სა და მერი ბეკერ-ედის მიმდევრებმა!

უეჭველია, რომ ერთმაც და მეორემაც, მეტად თუ ნაკლებად, შეგნებულად ისარგებლეს იმ ინდური პრინციპებით, რომლებიც ემერსონის იდეალიზმში იყო გაბნეული, მაგრამ ეს პრინციპები მათ დაიყვანეს უშუალო გამოყენებისთვის მიმართული გლუვი უტილიტარიზმის დონემდე, უაღრესად უხეშ ცრურწმენაზე დაფუძნებულ ერთგვარ მისტიკურ ჰიგიენამდე, რომლებმაც თავიანთი ნახევარმეცნიერება და ნახევარქრისტიანობა ქედმაღლურად მონათლეს Chritian Sciece-ს სახელით.

ორივე ამ მოძღვრებისათვის საერთოა ვულგარული ოპტიმიზმი, რომელიც ბოროტების პრობლემას უბრალო უარყოფით იშორებს თავიდან, უფრო სწორად, იმით, რომ ანგარიშს არ უწევს მას: „ბოროტება არ არსებობს, მოვარიდოთ მას ჩვენი მზერა“... ასეთი განყენებული მიდგომა და უკიდურესად გამარტივებული თვალსაზრისი, არც ისე იშვიათად, თვითონ ემერსონისაც ახასიათებდა. რამდენადაც შეეძლო, იგი თავის ნაწერებში გვერდს უვლიდა ავადმყოფობას და სიკვდილს. მას არ უნდოდა ჩრდილის ხსენება. „პატივი მივაგოთ ნათელს“... ეს არ იყო მამაცური პატივის მიგება. ემერსონს სუსტი მზერა ჰქონდა. მან დაიწყო იმით, რომ მზე აბაჟურით მოიჩრდილა. ხალხი მის მაგალითს, მეტი რომ არა ვთქვათ, ხალისით იზიარებდა. ამბობენ, რომ ქმედებისათვის საჭიროა ამგვარი ოპტიმიზმი. მაგრამ მე არ ვენდობი იმ კაცის, ან ხალხის ენერგიას, რომელიც იმაზეა დაფუძნებული, რაც თავდაპირველად შემოგვთავაზა *Natura Rerum*-მა. მსგავს შემთხვევაში, უპირატესობას მარგორიტ ფულერის სიტყვას ვანიჭებ: „მე ვაღიარებ მსოფლიოს“. მაგრამ აღიარებ თუ არა, უპირველეს ყოვ-

ლისა, საჭირა დაინახო ის! დაინახო მთლიანად, მთელი სავსებით! და ჩვენ მალე მოვისმენთ, როგორ ეტყვის ვივეკანანდა თავის ინგლისელ მონაფეს: „ისწავლეთ დედუფლის შეცნობა ბოროტებასა და საშინელებაში, ტანჯვასა და არყოფნაში ისევე, როგორც სცნობთ მას სათნოებასა და სიხარულში!“ და მოლიმარ რამაკრიშნასაც კი, სიყვარულსა და ბედნიერებაზე თავისი ოცნების სიღრმეებიდან შეეძლო დაენახა და შეეხსენებინა ხოლმე „მადლითმოსილი ღმერთის“ გულუბრყვილო თაყვანისმცემლებისთვის, რომ მარტო „მადლი და სიკეთე“ უკმარისია იმ ძალის განსასაზღვრავად, რომელსაც ათასობით უბრალო და უდანაშაულო ადამიანი მსხვერპლად ეწირება ყოველდღე.

აქ არის ის ძირითადი განსხვავება, რაც ინგლის-საქსონური ოპტიმიზმისაგან თიშავს ინდოეთსა და ჰეროიკულ საბერძნეთს. ეს უკანასკნელნი თვალეებში უყურებენ სინამდვილეს, სულერთთა, ინდოეთის მსგავსად აღიარებს მას, თუ საბერძნეთის მსგავსად ებრძვის, რათა დაიმორჩილოს იგი. მათთან ქმედება არასოდეს არ ბღალავს შემეცნების სფეროს, როგორც ეს ამერიკაშია, სადაც შემეცნება ქმედების მომსახურებაზეა გამობმული, პირბადე აქვს ჩამოფარებული და თავზე მოსირმული ქუდი ჰხურავს შესაფერი წარწერით: „პრაგმატიზმი“!

ადვილად წარმოსადგენია, რომ ვივეკანანდა ვერ შეურიგდებოდა ამ მასხრულ ჩაჩს და ზიზილიპილებს, რომელშიც გამონყობილიყვნენ მისი დიდმშვენიერი, თავისუფალი და ხელმწიფებამოსილი ვედანტიზმის უბადრუკი ნაბიჭვრები.

მაგრამ ცოცხალთა ამ ფარას თავზე ედგა გარდაცვლილი გიგანტი, ვისი აჩრდილიც ათასჯერ უფრო თბილი იყო, ვიდრე ცივ მეთოდურ შუშებში არეკლილი ყოფიერების მზე. იგი წინ მოუძლოდა ვივეკანანდას და მას თავის ფართო მარჯვენას უწვდიდა... როგორ მოხდა, რომ ვივეკანანდამ არ ჩამოართვა გამონვდილი ხელი? ან უფრო სწორად (რადგან ჩვენ ვიცით, რომ შემდგომ, ინდო-

¹ ომით დასუსტებულ ევროპაში, სამწუხაროდ, იგივე ზნეობრივი ნორმები მკვიდრდება. ყველაზე უარესი ის არის, რომ ასეთნაირ გონებრივ სიმხდალეს თან ახლავს ცრუ ტრაბახი, რომელსაც თავი მოაქვს რეალიზმითა და ვაჟაკობით.

ეთში ვივეკანანდამ წაიკითხა „ბალახის ფოთლები“), როგორ მოხდა, რომ ვივეკანანდას ცხოვრების მემატრიანეებს, საკმაოდ დაუდევრებს და ნაკლებ განათლებულებს, თავიანთი ისტორიის წერისას მხედველობიდან გამორჩათ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორც ატმან-ბრაჰმანის ინდოელი ელჩისა და „თავის თავის“ ეპიკური მეხოტბის უოტ უიტმენის თანახვდომა იყო?!

იგი ერთი წლით ადრე, 1892 წლის 26 მარტს მიიცვალა კემდენის, ფილადელფიის მუშათა გარეუბნის მახლობლად და მისი ტრიუმფალური დაკრძალვის გამოძახილი – არა წარმართული, როგორც მაშინ წერდნენ, არამედ ინდური უნივერსალიზმის სულის შესაგვანი, ჯერ კიდევ ხმიანობდა ხსოვნაში. ვივეკანანდასთან მაშინ უიტმენის ბევრი მეგობარი მივიდა. ვივეკანანდა თვითონ დაუმეგობრდა იმათ, ვინც უკანასკნელი „მშვიდობით“ უთხრა პოეტს, მაგალითად, ცნობილ ორატორს, აგნოსტიკოსს და მატერიალისტს რობერტ ინგერსოლს, რომელსაც ვივეკანანდა კეთილმოსურნედ ეკამათებოდა ხოლმე. როგორ შეიძლებოდა, მას არაფერი სმენოდა უიტმენზე?

თუმცა ეს დიდი კაცი საკმაოდ ცნობილია ბევრ ქვეყანაში მისდამი მიძღვნილი მნიშვნელოვანი შრომების წყალობით (კერძოდ, საფრანგეთში ჩვენი ძვირფასი ამხანაგების ბაზალგეტის მიერ დანერილი შრომისა: „უოტ უიტმენი, კაცი და მისი საქმე“, 1908), მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია, აქ მოკლედ გადმოვცე მისი რელიგიური სოფლხედვა. მისი მოღვაწეობის ეს მხარე ყველაზე ნაკლებ არის განმარტებული, მაგრამ სწორედ აქ არის უიტმენის შემოქმედების გულისგული.

ეს სოფლხედვა საიდუმლოებით არ არის მოცული. კეთილი უიტმენი არც ფარავდა მის სიშიშვლეს. მისი რწმენა „ბალახის ფოთლების“ ყველა ნაწილში მჟღავნდება, თუმცა ის განსაკუთრებით დაუნჯებულა მის ერთ დიდ პოემაში, რომელიც „სიმღერამ თავის თავზე“ მეტისმეტად დაჩრდილა და რომელსაც საჭიროა კვლავ დაუბრუნდეს ის ადგილი, სადაც თვითონ უიტმენმა მტკიცედ დაადგინა, მიუჩინა რა მას თავისი წიგნის საბოლოო

გამოცემაში, უშუალოდ „მიძღვნათა“ შემდეგ, პირველი ადგილი. ეს არის „დაძვრა პაუმიანოკიდან“. რას გვიცხადებს ამ პოემაში ავტორი?

„მე ვაარსებ რელიგიას...

მე ვაბობ, მთელი დედამინა და ციური მნათობები

რელიგიისთვის არსებობენ მხოლოდ და მხოლოდ.

იცოდე, მხოლოდ იმისთვის ვმღერი, რომ მინის გულში

უფრო დიდი რელიგიის თესლი ჩაეყარო,

მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემთან ერთად გაიზიარო ორი დიდება

და მესამეც – აღმომავალი,

იმ ორის გულზე მიმრქმელი და მათზე უფრო აღმატებული:

სიდიადე სიყვარულის, დემოკრატიის

და სიდიადე რელიგიისა“...

რატომ უნდა ჩრდილავდეს კომენტატორთა თვალში არსებითად მეორეხარისხოვანი „სიდიადე“ მესამეს, რომელსაც „გულზე ჰყავს მირქმული“ ისინი და მათზე აღმატებულია? ეს რელიგია იმდენად მახლობელი იყო მისთვის, რომ ლექციებად უნდოდა წაეკითხა მთელს ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ არ უყვარდა საჯარო გამოსვლები. ეს რელიგია კონცენტრირებული იყო ერთ სიტყვაში, რომელიც ინდური სულის მუსიკასავით ხმიანებს. ეს არის სიტყვა „იგივეობა“, რაც თავიდან ბოლომდე მსჭვალავს მის ლექსებსა და პოემებს. ამ სიტყვას ორგვარი მნიშვნელობა ახლავს. პირველი მნიშვნელობა უფრო მუდმივია: ერთიანობის უშუალო აღქმა. მეორე მნიშვნელობა გულისხმობს „მე“-ს უცვალელობას მარადიული მგზავრობისას... მე ვფიქრობ, ეს მეორე მნიშვნელობა წინა პლანზე უფრო ხშირად ავადმყოფობისა და სიბერის წლებში გამოდის.

ყოველწამიერი იგივეობა სიცოცხლის ყველა ფორმასთან. განხორციელებული ერთიანობის უშუალობა და იმის ღრმარწმენა, რომ ყოველი წამი და ყოფიერების უმცირესი ატომიც კი მარადიულია.

ასეთ ზნეობრივ წინასწარგანწყობას უკვე ბავშვობიდანვე ხელი უნდა შეეწყოს უიტმენისთვის გამოემუშავებინა მისტიკური თვითდაუნჯების ჩვეულება, რომელიც მაინცდამაინც განსაზღვრულ ობიექტზე თუ არ იქნებოდა მიმართული, მით უმეტეს, ყველა მისი განცდა უნდა განემსჭვალა. სხვა დანარჩენი პატარა უოტის ნიჭმა დაასრულა. მას ბუნებისაგან მონიჭებული ჰქონდა რალაცნაირი ხარბი ამთვისებლობა, რომელიც აიძულებდა მსოფლიო ზვრებიდან არა მარტო ტანჯვისა და ნეტარების მტევნები ეკრიფა ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, არამედ მეყსეულად ყველა მის მიერ ხილულ საგნად გარდასხეულებულიყო. მან ეს იშვიათი თვისება აღწერა თავის ერთ განსაცვიფრებელ პოემაში „შემოდგომის ნაკადულები“:

იყო ყრმა, რომელიც სეირნობდა ყოველდღე
და რომელიმე საგნის დანახვისთანავე ამ საგნად გარდაიხახებოდა
და საგანი იგი იქცეოდა მის ნაწილად
მთელი დღე ან დღის მცირე ჟამით,
ანდა წლობით, ანდა მთელი საუკუნეებით...

პირწმინდა ინსტიქტის მსგავსად, გაუცნობიერებლად, მთელი სამყარო მისთვის ობიექტი კი არ იყო, არამედ სუბიექტი, იყო თვითონ ის. როცა მან უეცრად გაიცნობიერა ეს, თავისი ცხოვრების ოცდამეათე წელს (დაახლოვებით 1851-52 წლებში), თავის ნამდვილ დაბადებად რომ თვლიდა, მასზე ამან დამაბრმავებელი ელვის, ნათელხილვისებური ექსტაზის შთაბეჭდილება მოახდინა:

ო, ნეტარებავ, გრძნობდე სულის წონასწორობას თვითონ მასშივე
ყოველი საგნის მეშვეობით იგივეობის მიმღებელი ჩემი სული
იღუმალ თრთოლვით ისევ ჩემსკენ მოემურება...

როგორ დაეუფლა უიტმენს ასეთი რწმენა? რა თქმა უნდა, უეცრად, ცის განხმასავით, უფრო სწორად, ცხოვრებისეული კრიზისის ჟამს, მას შემდეგ, რაც ოცდაათი შეუსრულდა, ახალ

ორლენში მოგზაურობის უჩვეულო მღელვარების შემდეგ. ძნელად წარმოსადგენია, რომ მას ოდესმე წაეკითხოს ინდური წიგნები. როცა 1856 წლის ნოემბერში ტორომ უთხრა, შენი „ბალახის ფოთლები“ აღმოსავლურ პოემებს მაგონებს, ხომ არ იცნობ რომელიმე მათგანსო, უიტმენმა კატეგორიული „არათი“ უპასუხა. და ჩვენ საბაბი არა გვაქვს ამაში დაეჭვებისა: ის ცოტას კითხულობდა და არ უყვარდა ბიბლიოთეკები და წიგნზე გაზრდილი ხალხი. თავის სიცოცხლეში იგი ერთხელაც არ დაინტერესებულა, რამდენად სწორი იყო კონკორდის ვინრო წრეში შექმნილი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ მისი მსოფლმხედველობა აზიურ მოძღვარებებს უახლოვდება. ყოველთვის, როცა თავის ჰომეროსისეულ ჩამოთვლებში ინდოეთის სახე შემოჰყავს, გამოთქმათა უკიდურესი ბუნდოვანება წარმოადგენს საგნის არცოდნის საუკეთესო დასტურს. იგი ერთიორჯერ ახსენებს მაიას, ავატარას, ნირვანას, მაგრამ ისე, როგორც ამას გაუნათლებელი კაცი იტყოდა: „წყვიდადი, ნირვანა, სიმშვიდე და ღამე, დავინწყება“... სიმბოლიკური სათაურის მქონე ლექსი „გზა ინდოეთში“ რაიმე უფრო კონკრეტულ წარმოდგენას არ გვაძლევს ინდურ აზროვნებაზე, ვინემ ამ უფერულ სტრიქონებშია გაცხადებული: „უსასრულოდ შორი, ძველი და იდუმალი ბრაჰმა, ნაზი, უწვერული ბუდა“. კიდევ უფრო უფერულია ის, რასაც უიტმენი ამბობს ინდოეთზე პოემაში „სალამი სამყაროს“...

მით უფრო საინტერესოა, როგორ შესძლო მან, თავისი პიროვნების, ასპროცენტისანი ამერიკელის პიროვნების საზღვრებიდან გაუსვლელად, თავისდაუნებურად გამოეხატა ვედანტური თვალსაზრისი (აკი ეს მსგავსება ემერსონის წრიდან არავის გამოჰარვია, არც თვითონ ემერსონს, ავტორს ნაკლებად ცნობილი, მაგრამ შესანიშნავი ხუმრობისა: „ბალახის ფოთლები“ მე მაგონებს ბჰაგავატ-გიტას და „ნიუ იორკ ჰერალდ“-ის ნაზავს).

რა პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, უიტმენი თავისი რასის შინაგანი არსიდან, ამ რასის რელიგიური მემკვიდრეობიდან გამოდიოდა. მამის მხრივ, მისი ოჯახი კვაკერიზმის მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა, რომელიც ელიას ჰიკსის გარშემო იყო დაჯ-

გუფებული (ამ კაცს თავისი სიცოცხლის მიწურულს უიტმენმა მცირე ნაწარმოები უძღვნა). ეს, ყოველგვარი ეკლესიისაგან და კრედოსაგან თავისუფალი რელიგიური ინდივიდუალისტები რელიგიის არსს შინაგან ნათელხილვასა და „უსიტყვო ექსტაზში“ ხედავდნენ. მას ეჩვენებოდა, რომ „პირველად გაიღვიძა, და რომ აქამდე ყველაფერი უბადრუკი სიზმარი იყო“.

და ბოლოს, ემერსონის ზოგიერთმა ლექციამ და საუბარმა მას გზა გაუხსნა იმისკენ, რომ გაეცნობიერებინა თავისი ჯერ კიდევ ბუნდოვანი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი ინტუიციები და იდეებად ექცია ისინი. ვინაიდან ამ კაცს, ყოველთვის გულგრილად რომ ეკიდებოდა განსჯათა ლოგიკასა და მეტაფიზიკურ მსჯელობებს,¹ იდეათა მთელი ჯაჭვი დაყვანილი ჰყავდა უპირატესად სწრაფადმედინ აწყმოსა და ნათელხილვაზე, რომელიც მის გულში ელვისებურად იხსენებოდა დროისა და სივრცის უსასრულობად. ასე რომ იგი უმაღვე მონიშნავს და თავის თავში მოიცავს ყოველ ცალკეულ ობიექტს, თვითონ გარდასხეულდება ყოველ მათგანად და მათ გრანდიოზულ ერთობლიობად.

განა ეს უმაღლეს ექსტაზს, ბჰაქტაიოგას მიმდევართა ყველაზე უფრო თავდავინყებულ სამადჰის არა ჰგავს?

აქ ჩვენს წინაშეა ვედანტიზმისადმი მიდრეკილების ტიპიური გამოვლინება, რაც ამერიკაში ვივეკანანდას გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა. ეს მიდრეკილება ფაქტიურად, ყველა ქვეყანასა და ყველა ეპოქაში ადამიანის სულის თვისებას წარმოადგენს და სრულიადაც არ არის დაკავშირებული რომელიმე ერთი ქვეყნის მოძღვრების სისტემასთან, როგორც ამას შეცდომით ვარაუდობს ზოგიერთი ინდოელი ვედანტიტი. მაგრამ ეს კია, რომ ამ მიდრეკილებას მეტად ან ნაკლებად უწყობს

¹ „ჩემს ფანჯარასთან ამოსული უსურვაზი უფრო მეტს მაძლევს, ვიდრე წიგნების მეტაფიზიკა“ („სიმღერა ჩემს შესახებ“). ანდა მშვენიერი ლექსი „Calibus“-იდან, სადაც ის „გარეგნულ ნიშნებისადმი საშინელ უნდობლობაზე“ ლაპარაკობს, როცა ყველაფერი მერყეობს, როცა ვერავითარი აზრი და განსჯა ვერ განუგეგმებს, მეგობრის ხელის უბრალო შეხება მხნეობას ანიჭებს მას: „ის, ვისაც უპყრია ჩემი ხელი, მე სავსებით მაკმაყოფილებს“.

ხელს სხვადასხვა ხალხის განვითარების პერიპეტიები და ის რწმენა და ზნეჩვეულებები, რომელთა საფუძველზე შენდება მათი კულტურა. შეიძლება გულდაჯერებით ითქვას, რომ ასეთნაირი განწყობილება ფარული სახით ყველგან არსებობს, ყოველი კაცის გულში, ვისაც კი ოდესმე მოხვედრია ნაპერწკალი შემოქმედებისა. განსაკუთრებით ეს ითქმის დიდ ხელოვანთა შესახებ, რომელთა არსებაში არა მარტო აირეკლება, არამედ ხორცს ისხამს მთელი სამყარო.

მე შემთხვევა მქონდა ბეთჰოვენის შემოქმედებაში აღმენიშნა იმ დაფარულ არსებასთან დიონისური შეერთების აფეთქება, რომელსაც დედამინის ყოველ ამოსუნთქვაში შეიგრძნობს ხოლმე სული. XIX საუკუნის დიდი ევროპული პოეზია, განსაკუთრებით უორდსვორტისა და შელის დროინდელი ინგლისური პოეზია, სავსეა ამდაგვარი უცარი გასხივოსნებით. მაგრამ არცერთ დასავლელ პოეტს არ შეუკრებია ერთ ბრძმედში ესოდენი ძალითა და შეგნებით ყველა ეს დაფარტული ნალვერდალი და არ აუმაღლებია თავისი ინტუიცია ისეთ ძლევამოსილ რწმენამდე, როგორც ეს უიტმენმა შესძლო: მან ირწმუნა თავისი ერი, მთელი კაცობრიობა, სამყარო.

რა უცნაურია, რომ ეს რწმენა არ შეეჯახა ვივეკანანდას რწმენას! იგი უნდა განეცვიფრებინა მთელ რიგ მოულოდნელ დამთხვევებს, ასე რიგად მკვეთრსა და დაუინებულს უიტმენტან, მაგალითად, მის უალრესად მტკიცე რწმენას იმის შესახებ, რომ პიროვნება „ტრილიონი წლების წიაღ“ მოგზაურობს და რომ გამუდმებული „გარდასხეულებისას“ გათვალისწინებულია ყველა გარდასული არსებობის ნაგებ-მოგება. იგი უნდა განეცვიფრებინა ატმანბრაჰმანის შესაბამის ორმაგ „მე“-ს, რომელთაგან არცერთს არ სურს ქედი მოიდრიკოს მეორის წინაშე, მაიას ბადეს, რომელსაც ის გლეჯს, რათა ფართო ჭუჭრუტანებიდან ღვთის მოელვარე თვალი იხილოს: „წრე – შექმნილი ურიცხვ წრეთაგან. ო, მდულარე დასაბამო, რუდუნებით შენახულო ფარულო დვრიტავ, შენა ხარ გულისგული ყოვლისა“. დიდებულ „საყოველთაო სიმღერას“, რომელშიც დაპირისპირებულთა ჰარმონიად შერწყმა ხორციელდება. ყვე-

ლა რელიგიის, ყველა რწმენისა და უარყოფის, ეჭვისა და აზრის ყველა ტემპერამენტების შერწყმას, მსოფლიოს ყველა სულის ერთობის იდეას, რაც ინდოეთში რამაკრიშნას მიერ თავის მოწაფეებისადმი მიცემულ აღთქმას წარმოადგენდა: „ყველაფერი ჭეშმარიტებაა!“

უიტმენს ვივეკანანდასთან ანათესავენდა პიროვნულ თვისებათა ზოგიერთი მხარეც. ეს ზვიადი ქედმაღლობა, რომელიც ნებას რთავდა ღმერთისთვის გაეტოლებინა თავი („არავინ, თავად ღმერთიც კი, არ ნიშნავს კაცისთვის უფრო მეტს, ვიდრე თვითონაა“... „მე ვერ წარმოვიდგენ, რა უნდა იყოს უფრო საოცარი, ვიდრე ვარ თვითონ“), სიმშვიდის მტრის და შერკინების მოსურნე გულოვანი ქშატრიის მეომრული სულისკვეთება, რომელიც არა თუ უკრთის, პირიქით, თვითონ მოუხმობს ხიფათს და სიკვდილს („მე ვარ სიმშვიდის მტერი და სხვებსაც ამისკენ მოვუწოდებ, ჩემი სიტყვები იარაღია, ხიფათით და სიკვდილით მორჭმული“), საშინელის ეს კულტი, ჰიმალაის მთებში მოგზაურობისას sister Nivedita-სადმი უივეკანანდას პირქუშ აღსარებებს რომ გვაგონებს („ჩემიანებად მიმაჩნხხართ, თქვენ საზარელო, მუქარით სავსე ჩვენებანო“).

და მაინც, ასევე ნათლად ვხედავ, რა არ მოეწონებოდა უიტმენში ვივეკანანდას: ეს არაბუნებრივი ნაზავი New York Herald-ისა და გიტასი, რომელმაც ემერსონის ასეთი ღიმილი გამოიწვია, ეს მეტაფიზიკური ჟურნალიზმი, ეს იაფი, ლექსიკონების საშუალებით შექნილი ერუდიცია, ეს ცოტა არ იყოს, ბაზრული მორთულობა წვეროსანი ნარცისისა, ეს მეტისმეტი კმაყოფილება თავისი თავით და თავისი ერით, ეს დემოკრატიული ამერიკანიზმი, ბალღური ამაოება და სარკის წინ ფრთებგაშლილი ვულგარიზმი, – ყველაფერ ამას დიდი ინდოელის არისტოკრატიული ათვალისწინება უნდა გამოეწვია, განსაკუთრებით კი ამ იდეალიზმის მაკომპრომენტირებელი სიახლოვეს „მეტაფსიქიკის“ საეჭვო გასართობებთან: სპირიტუიზმთან, მოჩვენებებთან და სხვ., რაც ჭირისდესავით სძულდა ვივეკანანდას.

მაგრამ საპირისპირო მომენტებს არ შეეძლო გაექარწყლებინა ის მიზიდულობა, რასაც ეს მძლავრი მაგნიტი ახდენდა ისეთი ლითონისაგან ჩამოსხმულ პიროვნებაზე, როგორც ვივეკანანდა იყო. და არც გაუქარწყლებია, ვინაიდან ჩვენს ხელთაა სარწმუნო საბუთი იმისა, რომ ინდოეთში ვივეკანანდა კითხულობდა „ბალახის ფოთლებს“ და რომ იგი, ჩვეულებისამებრ, ამერიკის სანიასინს უწოდებდა უიტმენს, რითაც მასთან სულიერ ნათესაობას ადასტურებდა. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მან უიტმენის პოეზია ამერიკაში ყოფნის მხოლოდ ბოლო პერიოდში გაიცნო, რაკი მისი იქ ყოფნის დანვრილებით აღწერაში ვივეკანანდას მონაფეებს ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ უიტმენის შესახებ?

როგორც არ უნდა იყოს, უიტმენის სული მათ წინაშე რიალებდა და იმას ადასტურებდა, რომ ამერიკა მზად იყო თავის წიაღში მიეღო ინდური აზროვნება. ეს სული მიეგება მათ და კემდენის მხცოვანმა წინასწარმეტყველმა საზეიმოდ ამცნო ამერიკას ინდოეთის გამოცხადება:

ჩვენთან, ო, ჩემო ქალაქო, მოდის მამათმთავარი,
ენათა პირველსამყოფელი, გარდასული დროის ხალხი,
ბრაჰმას ხალხი მოდის...

იგი მიეგება ინდოეთს. მან ჩააბარა ამერიკის „დემოკრატიის ტაძარს“ რელიგიის სახელით მოგზაური ინდოელი ყარობი:

შენშია დავანებული გარდასული...
შენ დიდებამოსილი თანამგზავრები გახლავს,
სულისმიერი ინდოეთი შენთან ერთად ივლის ამიერიდან.

ასე რომ, ვივეკანანდას ინდოელმა ბიოგრაფოსებმა ხელიდან გაუშვეს იმის შესაძლებლობა, რომ იმ პირველთაგანთა შორის დაესახელებინათ უიტმენი, ვინც ახალ კონტინენტზე გულდახელგამოღილი მიეგება უცხოელ სტუმარს.

მაგრამ მივაგებთ რა საკადრის ადგილს ვივეკანანდას გვერდით, მის მხარდამხარ, – მხარბეჭის იმავე გაშლილობით, მაინც მოვერიდოთ ამერიკაზე მისი გავლენის გადამეტებულ შეფასებას. მასათა ამ ჰომეროსმა ვერ შესძლო მასებში შეღწევა. ამერიკაში დემოკრატიის დიადი ბედის მაუწყებელი ეს წინასწარმეტყველი კვდებოდა გაუგებარი, ახალი ქვეყნის დემოკრატიების მიერ შეუმჩნეველი. ღვთაებრივი საშუალოების ამ მგალობელს იყვარებდნენ და თაყვანს სცემდნენ მხოლოდ ხელოვანთა რჩეული წრეები და ამასთან, უფრო მეტად ინგლისელები, ვიდრე ამერიკელები. მაგრამ ასეთია ბედი ყველა დიდი წინამორბედისა. და ამის გამო ისინი სულაც არ არიან უფრო ნაკლებ ჭეშმარიტი წარმომადგენლები თავიანთი ხალხებისა, თუნდაც რომ საკუთარი ერი მათ არ აღიარებდეს: მათში დროზე ადრე თავისუფლდება სიღრმისეული ძალები, რომლებიც ადამიანთა მასაშია დაფარული და რომელსაც ეს მასა თვითონვე თრგუნავს. უიტმენი იყო გენიალური წინამორბედი იმ ფარული სულისა, რომელსაც ეძინა (სავსებით არც ახლაც გაღვიძებული) მისთვის მშობლიური ხალხის ოკეანისეულ სიღრმეებში.

ვივეკანანდას მსოფლიო სახარების დამატება

განმარტება I

რელიგიური გონის ინტუიციური მოქმედება თანადროული დასავლეთის ფსიქოლოგიური მეცნიერების მიერ საკმარისად არ იყო შესწავლილი. ხოლო თუ სწავლობდნენ, არც თუ იშვიათად ისეთი დამკვირვებლები, რომლებსაც რაკი თვითონ არ გააჩნდათ არავითარი „რელიგიური“ მიდრეკილება, ნაკლებ იყვნენ მომზადებული ასეთი შესწავლისათვის, და უნებურად მათთვის უცხო შინაგანი გრძნობის გაუფასურების ტენდენციას ამჟღავნებდნენ.

ამ ძირითადი თემისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი საუკეთესო შრომათაგანია ფერდინანდ მორელის ესეები „მისტიკურ ინტროვერსიაზე“ (ყენევა, 1918). ეს წიგნი მტკიცედ ეყრდნობა რა პათოლოგიური ფსიქოლოგიისა და ფროიდის, ჟანეს, იუნგის, ბლეილერისა და სხვათა ფსიქოანალიზის მეთოდს, დიდი რუდუნებითა და გამონვლილვით განიხილავს ელინურ-ქრისტიანული მისტიციზმის ზოგიერთ დამახასიათებელ წარმომადგენელს. განსაკუთრებით საინტერესოა ფსევდოდეიონისეს (პეტრე იბერის, თ. ჩ.) მისეული ანალიზი...

ამ მინაწერის ფარგლებში მე შესაძლებლობა არა მაქვს დეტალურად განვიხილო მორელის დებულებანი, რასაც იმსახურებენ ისინი. მაგრამ მინდა მოკლედ მაინც მივუთითო, ჩემი აზრით, მათ სუსტ მხარეებზე და უფრო რეალური ახსნა მოვუწახო მათ...

თითქმის ყველა ზემოხსენებულ ფსიქოლოგს რიბოს მიერ შექმნილი რეგრესიის თეორიის გავლენა ჰქონდა. ეს თეორია უთუოდ სწორი იყო განსაზღვრულ სფეროში, როცა რიბო თავის ფსიქოპათოლოგიურ ეტიუდებში ფსიქიკურ ფუნქციათა დარღვევას ეხებოდა. მაგრამ იგი შეცდომით გაავრცელეს ნორმალური და არანორმალური გონების მოქმედების მთელ სფეროზე.

რიბომ დაადგინა, რომ „ყველაზე ადვილად ავადდებიან ის ფსიქიკური ფუნქციები, რომლებიც ყველაზე გვიან განვითარდნენ და უკანასკნელები არიან ინდივიდუუმის ევოლუციაში

(ონტოგენეზი). ხოლო ონტოგენეზი ძირითად ხაზებში იმეორებს გვარის ევოლუციას (ფილოგენეზი)". ჟანემ, ფროიდმა და მათმა „სუროგატებმა“ ეს დაკვირვება ყველა ნერვოზზე განავრცეს, ხოლო შემდეგ მთელი სულიერი მოქმედების ერთობლიობაზე. აქედან მათ ერთი ნაბიჯილა რჩებოდათ იმ დასკვნამდე, რომ მოქმედება, რომელსაც ახლახან ჰქონდა ადგილი და ყველაზე სწრაფად შეწყდა, უფრო მაღალი საფეხურიისა და რომ სხვა მოქმედებისაკენ დაბრუნება წარმოადგენს რეგრესიას, ამ სიტყვის უარყოფითი მნიშვნელობით, — ე. ი. გონის დაცემას, დაქვეითებას. მაგრამ ჩვენი აზრით ეს მცდარი ნაბიჯია.

უწინარეს ყოვლისა, ვნახოთ, რას გულისხმობენ ისინი გონის „უმაღლეს მოქმედებაში“. ეს ისაა, რასაც ჟანე რეალურის ფუნქციას უწოდებს და რასაც იგი განსაზღვრავს როგორც სინამდვილის მიმართ ყურადღებას, სინამდვილეში მოქმედებას, სინამდვილით ტკობას. ამაზე დაბლა ჟანე აყენებს „უანგარო აზრსა და მოქმედებას“, რომლებიც რეალურ სინამდვილეს არ ითვალისწინებენ. და ბოლოს, ყველაზე დაბლა აყენებს იგი „ცრუ წარმოდგენას“, ანუ წარმოსახვისა და სიზმრის მთელ სფეროს. ფროიდი მისთვის დამახასიათებელი ენერგიით აცხადებს, რომ სიზმარი და ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული, ევოლუციის თავდაპირველი სტადიის გადმონაშთს წარმოადგენსო. საერთოდ, ბლეიერის მსგავსად, ერთმანეთს უპირისპირებენ წმინდა აზრის მონათესავე „არარეალურის ფუნქციას“ და ეგრეთწოდებულ „რეალურის ფუნქციას“, რაც თითქოს „სულის ბასრ პირს“ წარმოადგენდეს (თუ შეიძლება ასე ითქვას, პირუკუ აზრით რომ მოვიშველიოთ ფრანცისკო სალელის ცნობილი გამოთქმა, რომელსაც იგი — ო, ირონიაჲ! — დიამეტრულად სანინალმდეგო ცნებას უსადაგებს).

მსგავსი კლასიფიკაცია — „ანგარებითი მოქმედების“ უმაღლეს საფეხურზე და გონის დაუნჯების უდაბლეს საფეხურზე დამყენებელი, მე ვფიქრობ, თვითონვე ეწინააღმდეგება თავის თავს, როგორც პრაქტიკული, ისე ნორმალური, ჯანსაღი აზრის თვალსაზრისით. ქმედითი გონისთვის დიდად აუცილებელი მოქმედების — თვითჩაღრმავების (რათა იოცნებო, წარმოისახო და განსაჯო, იმსჯელო და იფიქრო) — ასეთი დაუფასებლობა პათოლოგიურ აბსტრაქციას ესაზღვრება თითქმის. გინდა ეგრევე, უპატივცემულოდ შესძახო: „მკურნალო, განიკურნე თავად!“

მე მგონი, უადგილო არ იქნება ერთგვარი ეჭვის ქვეშ დაგვეყენებინა ის დიდი მნიშვნელობა, რასაც მეცნიერება ევოლუციას ანიჭებს. უდავოდ მიგვაჩნია რა მისი დაურღვევლობა და უნივერსალურობა, რომელმაც არ იცის გამონაკლისი, უნდა აღვნიშნოთ მაინც, რომ იგი ფაქტიურად წარმოადგენს მხოლოდ ცოცხალ მატერიაში მიმდინარე ცვლილებათა და დიფერენციალურ უწყვეტელი (თუმცა ზოგჯერ წყვეტილი) რიგის მარტოდენ კონსტატაციას. ამ ბიოლოგიურ პროცესს არავითარი უფლება არ აქვს იმ დოგმის მნიშვნელობა დაიჩემოს, რომელიც, გინდა თუ არა, გვაიძულებს ყაბახზე შედგმულ ჯილდოსავით, სადღაც ზევით და პირდაპირ ვუჭვრეტდეთ ცოცხალი არსების რომელიღაც იდუმალ და უმაღლეს „განხორციელებას“. ბოლოს და ბოლოს ევოლუციას გვარი გარდუვალად მიჰყავს გამოფიჭვისა და განადგურებისაკენ. რომელ განსაზღვრულ სტადიაში შეგვიძლია გადავწყვიტოთ, ზევით მიდის მრუდი თუ უკვე ეშვება პირიქითა დაქანებაზე? მე ასეთივე უფლებით შემეძლო მემტკიცებინა, რომ გონის სხვადასხვანაირ მოქმედებასა და მიმოქცევას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ისინია, რომლებიც ბოლოს ჰქრებიან, რაკი ყოფიერების საფუძველს წარმოადგენენ, მაშინ, როცა ის, რაც ადვილად იშლება, არსებობის ზედაპირულ შრეებს განეკუთვნება.

დიდმა ესთეტიკოსმა, მეცნიერსა და შემოქმედ-ხელოვანს რომ წარმოადგენს ერთდროულად, ანუ გონებისა და ინტუიციის სრულყოფილმა კაცმა ედუარდ მონო-გერცენმა სწორედ ესა თქვა:

„საჭიროა ურთიერთისაგან გავარჩიოთ მოცემული ინდივიდუუმის წინამორბედი კო ს მ ო ს ი ს გავლენა (რომლის ნაკვალევს ჯერ კიდევ ატარებს ამ ინდივიდუუმის სუბსტანცია) და მისი თანადროული გარემომცველი გავლენები, რომლებიც ყოველდღიურად აღბეჭდავენ ხოლმე მის გულში ნაკვალევს. პირველი, — პიროვნების თანდაყოლილი თვისებაა და ეგე ჰქმნის მის მემკვიდრეობას. მეორე — შექმნილი თვისება — მის შემგუებლობას ჰქმნის“...

„შექმნილი თვისება“, იერარქიული თვალსაზრისით, რით არის უფრო მაღალი „თანდაყოლილ თვისებაზე“? იგი მაღლა შეიძლება იდგეს მხოლოდ ქრონოლოგიის თვალსაზრისით. და — განაგრძობს მონო-გერცენი — „ინდივიდის ახლანდელი მდგომარეობა თვისებათა ორივე ჯგუფის შეთავსებას წარმოადგენს“ (პარიზი, 1927).

რატომღა გავყოთ ისინი? თუ ეს მეცნიერული კვლევის საჭიროებისათვის ხდება, ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ თვითონ განსაზღვრების დედააზრის მიხედვით, „თანდაყოლილი“ ან „თავდაპირველი თვისებები“ ამ გამოყოფისაგან უფრო ნაკლებ ზიანდებიან, ვიდრე „შეძენილი თვისებები“, სახელდობრ იმიტომ, რომ უკანასკნელნი უფრო გვიან გაჩნდნენ და აუცილებლობის ძალით გულისხმობენ მათზე უწინარეს არსებულთ.

შ. ბოდუენი, ცდილობს რა შესწორება შეიტანოს ფსიქოანალიზის იმ ტენდენციაში, ევოლუციის გზაზე ფსიქოლოგიური „უკუქცევითი მოვლენების“ დაუფასებლობას რომ იჩენს, — წერს:

„შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ევოლუცია, რომელიც რეფლექსიდან ინსტინქტამდე, ინსტინქტიდან უმაღლეს ფსიქიკურ ცხოვრებამდე მიდიოდეს ისე, რომ თანმიმდევრულ შეფერხებებსა და მათთან დაკავშირებულ ინტროვერსიებს არ მიმართავდეს. საჭიროა, ახალ-ახალ შეფერხებებს ყველა საფეხურზე ჰქონდეს ადგილი, რომ ენერგიას საშუალება არ მიეცეს მოტორული გზით უმაღლე დაიხარჯოს და ინტროვერსიით, ენერგიის შიგნი-შებრუნების მეოხებით შეფერხებულ მოქმედებას თანდათანობით აზრი შეენაცვლოს. აზრი (როგორც ეს საჩინო ჰყო ჯონ დიუეიმ) შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც შეფერხებულ მოქმედებათა შედეგი, რომლებიც სუბიექტს სრულ განხორციელებამდე არ მიჰყავს... ამიტომ სწორი არ იქნებოდა ერთმანეთში აგვერია ინტროვერსია და წმინდა რეგრესია, რამდენადაც ეს უკანასკნელი ევოლუციის ხაზზე უკან დაბრუნებას ნიშნავს (და მე დავუმატიებდი „უიმგანზრახვოდ, რომ კვლავ გააგრძელოს წინ მოძრაობა“), მაშინ როცა ინტროვერსია აუცილებელი პირობაა ამ ევოლუციისა, და თუკი იგი ზოგჯერ უკუქცევას ნიშნავს, იმ უკუქცევათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც ქანის აღების საშუალებას გვაძლევენ“¹.

მაგრამ განვიხილოთ დიადი ინტროვერსია უდიდეს მისტიკოსებთან, ნორმალური აზრის შერბილებულ ფორმაში კი არა,

¹ ეს სახელდობრ ის არის, რაც წინამდებარე ნაშრომის უკანასკნელ თავში („ინდოეთის გაღვიძება“) აღვნიშნე: „თუკი თანადროული ინდოეთის მისტიკური აზროვნება რამაქრიშნას, ვივეკანანდას ლა აურობინდო გჰოშის სახით ზოგჯერ უკუმიიქცევა ხოლმე თავისი ევოლუციის ძირებისაკენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ქანი აიღოს და დიდი ნახტომი გააკეთოს წინ“.

არამედ ყოველგვარი ცვლილების გარეშე მოცემულ სრულ, აბსოლუტურ ფორმაში.

პათოლოგიური ფსიქოლოგიისათვის (ხოლო ფერდინანდ მორელი იზიარებს მის დასკვნებს)¹ ინტროვერსია პირველყოფილ სტადიაში მუცლადყოფნად დაბრუნებას წარმოადგენს. სიმბოლური გამოთქმები, რომლებსაც ერთში განზავების აღსაწერად ხმარობენ მისტიციზმის მოძღვარნი ინდოეთსა და ალექსანდრიაში, არეოპაგელი და აგრეთვე ეკჰარტისა და ტაულერისთანა უსაზღვრო სულები, თითქოს ამართლებენ კიდეც ამ ახსნას. ამართლებენ როგორც საგულისხმო ინსტიქტს, რომელმაც რამაკრიშნას ინდოეთში — დედოფალის, ხოლო ქრისტიანობაში — დედაქალწულის ვნებიანი კულტი წარმოშვა.

ჩვენ პატიოსნად ვთამაშობთ. ჩვენ ვუშვებთ ამას?

განა საკმარისი არ არის ცნობიერი აზრის ასეთი დაძირვა, ასეთი უკუმიქცევა თავად სიცოცხლის იმ შორეულ სათავეებამდე, დაბადება რომ უძღვიან წინ? რადგან მისტიკოსთა გამონვლილ-ვითი შესწავლა სრული სიცხადით ადგენს, რომ ცნობიერება არსებობს და ერთი ნუთითაც არ იბინდება წარსულის მთელ ამ გიგანტურ კიბეზე, რასთანაც უელსის „დროის მანქანა“ მხოლოდ ბავშვური სათამაშოა. ფ. მორელი არაერთგზის უბრუნდება ამას:

„ყველაზე აბსოლუტურ ინტროვერსიაში (როგორიც იცოდა დიონისე არეოპაგელმა), ცნობიერების დაკარგვასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მხოლოდ ყურადღების გადანაცვლებასთან. ექსტაზური განცდა ღრმად იბეჭდება მისი განმცდელის გულში, რაც არ მოხდებოდა, ეს რომ სიცარიელისა და არყოფნის შთაბეჭდილებები ყოფილიყო. როდესაც გარე სამყარო ქრე-

¹ „წმინდა ინტროვერსიის ღრმა ნარცისიზმი დედის ნიაღში რეგრესიაა, უკეთუ ინდივიდი მოკლედ ისევე იმეორებს რასის განვითარების მთელ პროცესს“.

² ვუშვებთ სანაყისი ნერტილის აზრით. მაგრამ ინტუიციური „უკუმიქცევის“ დიდმა ანალიტიკოსებმა ედ. ლე-რუას მსგავსად, გვიჩვენებს თუ რითი განსხვავდება საბოლოო მიღწევადი „უბრალოება“ იმ „დისკურსიული სირთულის წინაზე არსებული უბრალოებისაგან, რომელიც ბავშვის ბუნდოვან ინტუიციამდელ ხანას მიეკუთვნება... ეს უბრალოება მდიდარი და ნათელია. იგი იფანტება ანალიზის გაფანტვის შემდეგ, როგორც მისი დაძლევა და გადალახვა. მხოლოდ ის წარმოადგენს ჭეშმარიტი ინტუიციის ნაყოფს, მინაგანი თავისუფლების მდგომარეობას... სიმშვიდეს, მაგრამ არა პასიურს, არამედ უმაღლესი ხარისხის გამოვლენილ ქმედებას“ (ინტუიციის დისციპლინა, ჟურნ. „ერთობისაკენ“, 1925, №35-36).

ბა, ცნობიერების არე ვინროვდება და გვეჩვენება, თითქოს იგი სრულად ინურება ტვინის ქერქის რომელიღაც უცნობ ცენტრში. ცნობიერება თითქოს დედდება... იგი თითქოს ტვინის ცენტრების მთელი მოქმედების და ყველა ფსიქიკური ძალის ფოკუსში ექცევა და იქ ერთიანობით ტკბება... სხვა არაფერით"...

სხვა არაფერით? — მეტი რაღა გინდათ? როგორ, თქვენს ხელთაა (თვითონ აღიარებთ ამას) ფუნქციური ცნობიერებისა და ზეგრძნობითი ცხოვრების გულისგულში შესაღწევი იარაღი და არ სარგებლობთ ამ იარაღით გონის ყველა მოქმედების სრული შემეცნებისათვის? თქვენ, მეცნიერები, — არაცნობირის მცოდნენი, იმის მაგივრად, რომ ამ უკიდევანო სამეფოს მოქალაქეები გახდეთ, რათა უკეთ დაეუფლოთ მას, საკუთარი სამშობლოს უპირატესობის აკვიატებული აზრით შედიხართ შიგ. თქვენ ვერ დაგიძლევიათ მოთხოვნილება, რომ ყველაფერი, რასაც ხედავთ ამ უცნაურ ქვეყანაში, თქვენთვის ცნობილი ქვეყნის თარგზე გამოსჭრათ, და ეს გიფუჭებთ მხედველობას.

აბა წარმოიდგინეთ, რა უჩვეულოდ საინტერესო უნდა იყოს ინდოელი, ალექსანდრიელი და ქრისტიანი მისტიკოსების მიერ (ერთნაირი სიცხადით რომ მოიხვეჭეს ერთი და იგივე გამოცდილება, თუმცა არ იცნობდნენ ერთმანეთს) განსაცვიფრებლად აღწერილი აზრის სამმაგი მოძრაობა, განსაკუთრებით კი „წრიული მოძრაობა“¹. ეს უკანასკნელი მათ გამოიკვლიეს ბოლომდე. „იგი წარმოადგენს პერიფერიებიდან ცენტრისკენ მსწრაფ ფსიქიკურ მოძრაობას — წმინდა ინტროვერსიას, სტიქსის მძლავრ მდინარეს, შვიდეკცად რომ გარეერტყმის არსს, წრიულ როკვას, ცენტრის ძალმოსილ მიზიდულობას, შინაგანი სულის ცენტრისკენულ ძალას, რომელიც გარე სამყაროში მოქმედ მსოფლიო მიზიდულობის ძალას შეესაბამება... ან იქნებ არაფერს ნიშნავს ის, რომ უშუალო შინაგანი აღქმის მეოხებით მისწვდე დიად კოსმოსურ კანონებსა და ძალებს, რომლებიც ჩვენი ნებისადმი დაქვემდებარებულ სამყაროს მართავენ?

იმის თქმა — ფსიქიკური სიღრმეების ეს ცოდნა გარე სამყაროს ჭეშმარიტებაზე არაფერს გვეუბნებაო — მეცნიერი კაცი-

¹ სამი მრძრაობა: „წრიული“, როცა აზრი მთლიანად თავის გარშემო ბრუნავს. „სპირალური“, როცა იგი დისკურსიულად მსჯელობს, „სწორხაზოვანი“, როცა იგი გარესამყაროს მიემართება (შეად. პლატონის, პორფირიუსის, პერმიუსის, დიონისე არეპაგელისა და სხვ. თხზულებები და მათი მორელისეული გარჩევა).

სათვის ნიშნავს შეუგნებლად იზიარებდე ქედმაღლური შეუსმენლობის ცრურწმენას, ისეთსავე უმსგავსს, როგორც იმ რელიგიური სპირიტუალისტების ცრურწმენაა, მატერიასა და გონს შორის შეუვალე კედელი რომა აქვთ აღმართული. რა არის ეს „რეალურის ფუნქცია“, რომლის მეზიარახტრეებად მოაქვთ თავი სწავლულ ფსიქოლოგებს? და რა არის „რეალური“? შეიძლება კი მისი შეცნობა? გარე სამყაროსადმი მიმართულ დაკვირვებათა თანამხლებელია იგი თუ შინაგანი ჩაღრმავებისა, რაიც რაფაელის „დისპუტის“ წმინდა იოანეს მსგავსად თვალდახუჭული ჭვრეტს და კითხულობს? „სწორხაზოვანი“ მოძრაობაა იგი, „სპირალური“ თუ „წრიული“? არ არსებობს ორი რეალობა. ის რაც აღბეჭდილია ერთში, იგივეა მეორეში!

შინაგანი ფსიქიკური არსების კანონები, აუცილებლობის გამო, რეალური გარე სამყაროს კანონების იდენტურია. და თუკი თქვენ ისწავლით პირველის წაკითხვას, სრული საფუძველი გექნებათ მოელოდეთ, რომ მასში დადასტურებას (ან წინათგრთობას) ნახავთ იმისას, რაც წაკითხეთ ან რასაც წაკითხავთ მეორეში. როცა მე ვკითხულობ ლაო-ძის ღრმა აზრს — „ბორბალი ოცდაათი ხილული ხიდისაგან შედგება, მაგრამ იგი მორგვის გულში მოქცეული სიცარიელის მეშვეობით ტრიალებსო“, — მე ვფიქრობ ასტრონომიული მეცნიერების მიერ ამჟამად მიკვლეულ იმ უახლეს პიპოთეზებზე, რომელთა მიხედვით აურაცხელი გალაქტიკების კერებს კოსმოსური სიცარიელის უფსკრულები წარმოშობენ... როგორ გგონიათ, მოუვიდოდა ლაო-ძის ასეთი აზრი, გულში იდუმალად რომ არ ჰქონოდა აღბეჭდილი უნივერსალური კოსმოსური სუბსტანციის ფორმები და მისი უცნაური კანონები? — პიპოთეზაა, — იტყვით თქვენ? არც მეტი და არც ნაკლები, ვიდრე თქვენი

¹ მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი აზრი აქ დოქტორ ადოლფ ფერიერის აზრს ეთანხმება: „თუკი სხვადასხვა პიროვნებათა გონება შესაძლებელია დაყვანილ იქნეს საერთო მნიშვნელამდე — ზეპიროვნულ ან უპიროვნო გონებამდე... ეს იმას ნიშნავს, რომ თვითულის გონი და ის, რასაც ჩვეულებრივ, მის ბუნებას უწოდებენ, თავიანთი არსით ერთი და იმავე რეალობის ნაწილებს წარმოადგენენ, ერთი და იმავე კოსმოსური ძალიდან წარმოიშვნენ და ერთი და იგივე დასაბამი აქვთ“ (სულიერი პროგრესი. ჟენევა. 1927. გვ. 45).

ამრიგად, თუკი ინტროვერსია საშუალებას მოგვცემს მივალნიოთ, მე არ ვამბობ მაინცდამაინც სათავეს, მაგრამ სათავეს ახლო მყოფ იმ საარსებო დასაბამს, რომელიც სამყაროს ენერჯის ერთერთ ფორმას წარმოადგენს, — რატომ უნდა უგულვებელყოთ იგი? (შეადარე დოქტორ ფერიერის იმავე შრომაში თავი III, I: „ადამიანის მიკროკოსმოსი მაკროკოსმოსს შეესაბამება“. ამ შრომის თვით სათაური და იდეაც საესებით ესადაგება ევდანტურ კონცეფციას, რაც ვივეკანანდამ თავისი ჯნანაიოგას რამდენიმე ცნობილ ლექციაში გამოთქვა).

ყველაზე საიმედო და ნაყოფიერი მეცნიერული ჰიპოთეზები. მას ლოგიკურადაც დაეჯერება, რადგან სამყაროს კანონების მკაცრ ეკონომიას ეპასუხება და მათ ბუნებრივ ჰარმონიას ესადაგება.

მაგრამ თუ ეს ასეა, ღრმა ინტროვერსიის გონივრული გამოყენება მეცნიერს აურაცხელ შესაძლებლობას მისცემდა: რადგან ეს იქნებოდა ექსპერიმენტის ჩატარების ახალი მეთოდი, რომელსაც ის უპირატესობა აქვს, რომ ექსპერიმენტის ჩამტარებელი დაკვირვების ობიექტს გაუიგივებოდა... „ოფსის ოროსა“... პლოტინისებური ერთიანობა მხილველისა და ხილულისა¹.

პლოტინის ნათელი ინტუიცია, რომელიც თავის გულში ითავსებდა ელინური დაკვირვების სულსა და აღმოსავლურ გონის დაუნჯებას, ასე აღწერს ამ აქტს: „შესაძლოა, სულს ებადოს რაიმე, მაგრამ შეცნობილი არ ჰქონდეს ეს. მაშინ მას აბადია რაიმე უფრო მეტად, ვიდრე მაშინ, შეცნობილი რომ ჰქონოდა. მართლაც, როცა შეცნობილი აქვს, სულს აბადია რაიმე როგორც მისთვის უცხო და მისგან განსხვავებული საგანი, ხოლო როცა შეცნობილი არ აქვს, საგანი სწორედ ის არის, რაც მას აბადია“ (ენეადები. IV, IV, 4)².

ეს წორედ ის ცნებაა, რომლის დამკვიდრება უნდოდა მეცნიერებაში ინდოეთის უდიდეს თანამედროვე მოაზროვნეს აურობინდო გჰოშს, რათა ცხოველმყოფელ ინტუიციას სამყაროს მეცნიერული ათვისებისათვის მებრძოლი სულიერი ავანგარდის ადგილი დაბრუნებოდა.

ისინი, ვინც ამ მისწაფებას წმინდა რაციონალისტების, განსაკუთრებით კი ფსიქო-პათოლოგების ათვალისწინების გამომხატ-

¹ სინამდვილეში ყოველი დიდი მეცნიერ-ექსპერიმენტატორი მეტნაკლებად უიგივება თავის ცდის საგანს. ყოველნაირი ვნების, _ სულერთია, როგორია მისი საგანი, ხორციელი თუ სულიერი, _ განმასხვავებელი თვისება ის არის, რომ იგი მოიცავს ობიექტს და მასთან შერწყმას ესწრაფვის. ცნობილი ფიზიკოს-ბიოლოგი ჟ. ზ. ბოსი მეუბნებოდა, რომ იგი თითქოს ერწყმის იმ მცენარეებს, რომლებსაც აკვირდება. და ახლაც კი ცდის ჩატარებამდე მათ რეაქციებს გულში ატარებს. უფრო დიდი მასშტაბით ეს მოვლენა პოეტებსა და ხელოვანთ ახასიათებს.

² სიტყვა „შეცნობა“ აქ ნიშნავს ინტელექტუალურ, დისკურსიულ ცნობიერებას, როგორც ჩანს, მას ენაცვლება უმაღლესი ცნობიერება, სულერთია, რაც დაერქმევა მას, ფუნქციონალური, როგორც ფ. მორელი უნოდებს მას, თუ სრულყოფილი გონება _ პლოტინის თქმით. პლოტინი ასე განმარტავს თავის აზრს: „დისკურსიულად შეიძლება ჭერიტო მხოლოდ ის, რასაც ჯერ კიდევ არა ფლობ... სრულყოფილი გონება აღარაფერ ეძიებს მეტად. იგი დავანებულია იმის სიცხადეში, რითაც ავისილია“ (ენეადები. III. VIII. 2-5).

ველ ჟესტს უპირისპირებენ, ფსიქო-პათოლოგებისა, რომლებიც ჩრდილს აყენებენ „ინტელექტუალური დაკმაყოფილების კრიტიკრიუმს“, ან როგორც მკაცრი მოძაგებით ამბობს დიდი ფროიდი — „სიამოვნების პრინციპს“, რაკი მისთვის ეს „შეუგუებელთა“ პრინციპია, — უფრო ნაკლებად ემსახურებიან „რეალურს“, ვიდრე თვითონ ფიქრობენ, და სინამდვილეში წარმოადგენენ ქედმაღალი პურიტანული რწმენის მსახურებს. ეს რწმენა იმდენად ნიშანდობლივი გახდა მათთვის, რომ მის ახირებულობას ველარც კი ამჩნევენ.


თუკი დავუშვებთ სუბსტანციისა და კოსმოსურ კანონთა ერთიანობის ჭკუასთან ახლოს მდგარ ჰიპოთეზას, არავითარი საფუძველი არ ექნება იმის უარყოფას, რომ გონის მეოხებით სამყაროს ლოგიკური წყობის სრულ მიღწევას, დაპყრობასა და fruitio-ს თან ახლდეს უზენაესი ნეტარების განცდა. და უცნაური იქნებოდა, რომ გონის სიხარული მოცთუნების ნიშანი ყოფილიყო. უნდობლობა, რასაც თავის დაუფლების მოხარული გონის ლაღობისადმი იჩენს ფსიქოანალიზის ზოგიერთი მოძღვარი და ის, რომ ისინი ამ განცხრომას „ნარცისიზმს“ და „აუტოეროტიზმს“ ეძახიან, უნებურად მათშივე ააშკარავენს თავისებურ ასკეტიზმსა და უკულმართ რელიგიურ განდგომილებას.

მართალია, ისინი არ ცდებოდნენ, როცა გვიფარავდნენ ინტროვერსიის საფრთხისაგან. მაგრამ გონისათვის ყოველგვარი ცდა საფრთხის შემცველია. გრძნობები და თვით გონებაც კი არ წარმოადგენს საიმედო იარაღს, როცა საქმე გამუდმებულ დაკვირვებას ეხება. და არც არავითარი მკაცრად მეცნიერულ დაკვირვება არ წარმოებს tabula rasa-ზე. როგორც არ უნდა იყოს, თვალი ყოველთვის ისწრაფვის გამოიცნოს უფრო ადრე, ვიდრე დაინახავს. ასტრონომ პ. ლოუელის თვალს არ შეეძლო მარსის ზედაპირზე ყოველ შეხედვისას არ დაენახა არხები, თავად მისმა საკუთარმა მზერამ რომ გაავლო. პირადად მე არასოდეს არ ვამბობ უარს ამ ღრმა იჭვზე, რომელსაც ჩემს საკუჭნაოში ვინახავ, როგორც ძალგულოვანთათვის განკუთვნილ მაგარ, მწარე და გამამხნეველ სასმელს.

მაგრამ „რეალურ“, ე. ი. ფარდობით მსოფლიოში, სადაც ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ და ჩვენი შენობა უნდა ავაგოთ, — მე მიმაჩნია, რომ ჭეშმარიტი პრინციპი, რის დაკმაყოფილებასაც უნდა ესწრა-

ფოდეს სულის მოღვაწეობა, ესაა განსხვავებულ სულიერ ძიებათა წონასწორობა, მათი სწორი შეფარდება. ყოველგვარი გამომრიცხავი ტენდენცია სახიფათო და მცდარია. ადამიანს ხელთა აქვს შემეცნების სხვადასხვაგვარი, ურთიერთშემავსებელი მეთოდი¹. თუკი ზოგჯერ სასარგებლოა ამ ობიექტის განხილვა საკვლევ ობიექტში ბოლომდე შესაღწევად, შემდეგ, საჭიროა ხელახლა მოხდეს სინთეზი. ძლიერი პიროვნებები ინსტინქტურად ასე იქცეოდნენ ყოველთვის. დიდი „თვითმჭვრეტელი“ იმასაც შესძლებს დიდი „გარემჭვრეტელიც“ იყოს. ვივეკანადას მაგალითი ამ შემთხვევაში გადამწყვეტია (განა საჭიროა იმის შეხსენება, რომ ეს მაგალითი ერთადერთი არ არის? ვინ არ იცის, თუ რა ძლიერი იყო მოქმედების სული დიდ ქრისტიან მისტიკოს — თვითმჭვრეტელთა წმ. ბერნარს, წმ. ტერეზას, წმ. იგნატეს შორის?). პრინციპში თვითჩაღრმავებას არასოდეს გამოუწვევია მოქმედების შესუსტება. დასკვნა რისი გამოტანაც სურთ ზოგჯერ მისტიკური ინდოეთის პასიურობიდან, მცდარია: „აქ მიზეზად იმას მიიჩნევენ, რაც ersatz-ია მხოლოდ. ინდოეთის ფიზიკური და მორალური დაძაბუნება, რაც რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა, სულ სხვა მიზეზებზეა დამოკიდებული. მათი ფესვი კლიმატსა და სოციალურ წყობილებაშია, მაგრამ მისი თვითდაუნჯება... ჩვენს თვალწინ გადაიქცევა მისი ეროვნული აღორძინების წყაროდ. და ჩვენ ცოტა ხნის შემდეგ დავინახავთ, მოქმედების რა ცეცხლია დამარბული ამ ატმანში, რომელიც ათასი წელია, რაც მას გულით დააქვს. დასავლეთის ხალხებს — გარეგანის მჭვეტელთ — მე ვუსურვებ საკუთარ წიაღში დაძებნონ აქტიური და ქმედითი „თვითდაუნჯების“ იგივე წყარო. თუკი ისინი ამას არ გააკეთებენ, მათი მყობადი არ იქნება შესაშური. დასაცავად მოხმობილი გიგანტური ტექნიკა დაამთავრებს მათ განადგურებას. მაგრამ მე არ ველავ. იგივე ძალებს სძინავთ დასავლეთის სულის სიღრმეებში, დალუპვის კვირაძალში ისინი აღდგებიან.

¹ შეადარე შ. ბოდუენის ურთიერთშემავსებელი ინსტინქტების ანალიზი: თავდასხმისა და უკანდახვეის ინსტინქტისა, და მათი რიტმული კავშირი. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში, უკუქცევისა და ინტროვერსიისადი მისწრაფება აქვს წინსვლისა და ექსტრავერსიისას. ერთად ისინი პქმნიან მერყევ წონასწორობაზე დაფუძნებულ სისტემას, რომელიც ორივე მხარეს შეიძლება გადაიხაროს.



მხატვარი ს. გორკელიძე

ი ნ დ უ რ ი ს ა გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი

ინდური ლიტერატურა რელიგიური, რასიული და ენობრივი თანაარსებობის საფუძველზე აღმოცენებული მრავალნაზნაგოვანი და მრავალფერი კონგლომერატია, რომლის მთლიანობა და ტრადიციული ერთიანობა იმთავითვე გულისხმობდა დიდად განსხვავებული ელემენტების ერთობლიობას.

წინამდებარე კრებული, მეტად მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც გამოხატავს ინდური ლიტერატურისათვის ნიშანდობლივ ამ ნაირგვარობასა და ერთიანობას, რაც ძველ დროსა და შუა საუკუნეებში ენობრივი და რელიგიური საზღვრების ურთიერთშენაცვლებით ხასიათდებოდა. მაგალითად: თუ ერთის მხრივ, „ნალადიიარი“ და თამილის შივაური ჰიმნები ერთ ენაზეა შექმნილი და ამ ენაზე არსებული ლიტერატურული ტრადიციით არის აღბეჭდილი, მეორე მხრივ, ეს ჰიმნები და ჰინდი ენაზე შექმნილი მაჰმადიანი ქაბირის საგალობლები მსოფლმხედველობრივად მონათესავე შივაიზმისა და ვიშნუიზმისათვის საერთო ბჰაქტის რელიგიურ მეთოდზეა დაფუძნებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქაბირის ლირიკა გამდიდრებულია სუფიური პოეზიის გავლენით, რომელზეც თავის მხრივ გავლენა მოახდინა თამილურმა ბჰაქტი-პოეზიამ.

ორიოდე სიტყვა ბჰაქტი-პოეზიის შესახებ. „ტერმინი ბჰაქტი უკვე ეპოსში გვხვდება ღმერთის წვდომის იმ გზის აღსანიშნავად, რომელიც პიროვნულ და ემოციურ კონტაქტს გულისხმობს მასთან... ღვთისაკენ ლტოლვა ავინროვებს მის შემეცნებას და ამ აზრით ბჰაქტი უპირისპიდება ჯნანას – ცოდნის გზას“¹. ბჰაქტი, – როგორც აღნიშნავს რადჰაკრიშნანი, – მთელი ჩვენი გულითა და გონებით ღმერთის მიმართ სიყვარულს წარმოადგენს. თავის კულმინაციას იგი ღმერთის ინტუიციურ შეცნობაში აღწევს².

¹А. М. Пятигорский. Материалы по истории индийской философии. М. 1962. გვ. 76.

²С. Радхакришнан. Индийская философия. М. 1957. ტ. 11. გვ. 637.

ადრეულ შუა საუკუნეებში შივაური და ვიშნუური ბჰაქტი-ლიტერატურა პირწმინდად თამილური იყო. თამილში უკვე VII-VIII საუკუნიდან იწყო აღმოცენება შაივა-ბჰაქტისა და ვაიშნა-ვა-ბჰაქტის მოძღვრებამ. XI საუკუნეში გენიალურმა თამილელ-მა ფილოსოფოსმა რამანუჯამ, რომელიც სანსკრიტზე წერდა, თავის ფილოსოფიურ სისტემაში განავითარა ვაიშნავა-ბჰაქტის ფუძე იდეა ადამიანის სულისა და ვიშნუს იგივეობისა.

კაცისა და ღმერთის, ატმანისა და ბრაჰმანის ერთიანობისა და იგივეობის იდეას უღრმესი ფესვები აქვს ინდურ აზროვნება-ში. უპანიშადების „ტატ ტვამ ასი“ (იგი - ე. ი. ღმერთი - შენ ხარ), ბჰაგავატგიტაში კერძო, განწირული მარტოსულის უფალთან წილნაყოფობის აზრი და შივაური სენტენცია ჯივა და შივა ერთია (ჯივა - ცოცხალი სული, ადამიანი, შივა - უზენაესი ღმერთი) ამ იდეის ერთიან პრინციპზეა დაფუძნებული. რამანუჯას მიერ აღორძინებული ეს იდეა მისმა მიმდევარმა რამანანდამ XV საუკუნეში ბენარესში მოიტანა და უქადაგა ყველას, პარიებსა და მეძავეებს, კასტის წევრებს და მის გარეშე მდგართ: კაცთაგანი ნურავინ ჰკითხავს სხვას, რომელ სექტას ეკუთვნის ან ვინ არის. ყველა, ვინც თაყვანს სცემს უფალს, მისი წილია. ამ ღვთაებრივი სიტყვით დაიწყო ჩრდილოინდური ვიშნუიზმი, რომლის გენიალური წარმომადგენელიც იყო ქაბირი¹.

ნალადიიარი შექმნილია VI-X საუკუნეებში რამდენიმე ავტორის მიერ. იგი დანერილია ოთხსტრიქონიანი სტროფებით, რომლებშიც უხვადაა გაბნეული უპანიშადების, მაჰაბჰარატასა და პანჩატანტრას სენტენციები. ნალადიიარი სამი ნაწილისაგან შედგება (ნიგნში წარმოდგენილია მხოლოდ პირველი). „პირველ ნაწილში დადგენილია ადამიანის მოქცევისა და მოქმედების ეთიკური ღირებულება, რომლის ერთადერთ საზომს წარმოადგენს ნაყოფი, - ჩადენილი მოქმედების შედეგი. ეს ნაყოფი შემდგომ დაბადებაში გამოვლინდება. მაგრამ ნალადიიარში კარმას პრინციპი არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. წინანდელ დაბადებებში ჩადენილ საქმეთა ავი შედეგი შეიძლება

¹ P. Роллан. Л. 1936. ტ. XIX გვ. 40.

ანაზღაურდეს ქველი საქმეების შესრულებითა და საკუთარი სრულყოფისათვის მიმართული აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობით. ნალადიიარის ეთიკა მოქმედების ეთიკაა და არა ჭკრეტიცისა. შემოქმედებითი აქტიურობის პათოსი კულმინაციას 37-ე სტროფში აღწევს, სადაც იმაზეა საუბარი, რომ ადამიანად დაბადება საერთოდ, ყოფიერების ქმედითი არსის უმაღლესი გამოვლინებაა¹.

ნალადიიარის ავტორებისათვის ერთადერთ რეალურ ღირებულებას მხოლოდ წარუდინებელი სათნოება წარმოადგენს: სიქველე, სიკეთე, სინმინდე. ყველაფერი სხვა – შვება, სილამაზე, სიყვარული – წარმავალია და ამიტომ უფასური, მათ ადვილად წარხოცავს სიბერე და სიკვდილი.

„ნალადიიარის ეთიკა არსებითად ათეისტურია... წიგნის ძირითადი იდეა ასეთია: ცხოვრებაში ყოველი ადამიანი წინა დაბადებაში ჩადენილ საქმეთა ჯამს უპირისპირდება და ვერავითარი ღმერთი ვერ შეცვლის სამაგიერო ნაცვალგების კანონს, რომელიც სავსებით უპიროვნო ხასიათს ატარებს“².

ნალადიიარის შექმნის მშვენიერი ლეგენდა არსებობს. რვა ათასმა ჯაინელმა ბრძენმა შიმშილობის დროს თავი შეაფარა მადურელი პანდავების ერთერთი მეფის კარს. მათ პალმის ფოთოლზე თავიანთი ნაფიქრალის თითო სტროფი უნდა დაენერათ. მეფემ ფოთლები მდინარეში ჩაჰყარა, რომ გამოეცნო ბრძენთა ღირსება. ის ფოთლები, რომლებიც მდინარეს აღმა აჰყვა, ამოკრიფეს და მათზე დაწერილი ლექსებისაგან სამი კრებული შეადგინეს. ამ კრებულთაგან ერთერთი ნალადიიარი იყო.

ნალადიიარი, თამილური ჰიმნები და ქაბირის საგალობლები ინდური პოეზიის ოქროს საუნჯეს განეკუთვნება.

თამაზ ჩხენკელი

1973

¹ А. М. Пятигорский. Материалы... გვ. 18.

² იქვე, გვ. 19.



ს ი ქ ვ ე ლ ი ს ა თ ვ ი ს

1

ის, ვინც დღეს უხიაგობს, როცა მოსიყვარულე ცოლი
მრავალფერი
ჭამადით უმასპინძლდება, და გულამსუყებული უარს ამბობს
ჭამაზე, ხვალ, მშობლიურ მხარეს მოშორებული,
გლახაკივით მოწყალეებასა და ბრინჯის ნახარშს მოითხოვს,
და ღარიბული ჭამადი მისი ერთადერთი კერძი იქნება:
ხოლო თუ ასეა, მაშ, სიმდიდრე კაცთა ზრახვისა და სწრაფვის
ღირსი არ ყოფილა.

2

როგორც კი გაგიჩნდება უცოდველი გზით შექენილი
დიდი სიმდიდრე, – დახარჯე იგი,
ჭამე და სხვებსაც გაუნაწილე დაცეხვილი ბრინჯი!
სიმდიდრე არასოდეს არ არის მკვიდრი, იმ ღერძივით მკვიდრი,
რომელზედაც ბორბალი ტრიალებს.
ისიც ბორბალივით ტრიალებს მარადღე.

3

ისინი, ვინც დღეს სპილოს ზურგზე არიან ამხედრებულნი,
ხელმწიფური მპყრობელობის ნიშნით – მეფური გალავაკით
მოჩრდილულნი,
და დიდებამოსილებით წინ მიუძღვებიან შეჭურვილ სპას,
ხვალ, როცა წინარე დაბადებათა მოღვანეობის ნაყოფი
აიშრიტება, დაეცემიან და მტრები წაასხამენ მათ ცოლებს.

4

შეისმინე, რომ ის საგნები, რომელთა გამო იტყვი:
ისინი არსებობენ, ისინი არსებობენ, – სინამდვილეში
არ არსებობენ.
და უკეთუ არსებობს ის, რაც უნდა აღასრულო, რაც უნდა
აღასრულო, – ფიცხლად აღასრულე იგი!
სიცოცხლის დღეები მიდიან, მიდიან, და უკვე მოდის,
და უკვე მოდის შეუბრალებელი სიკვდილი.

5

რასაც არ უნდა ფლობდე,
ნუ დაიჩემებ: ეს მომავალში გამომადგება.
ვინც თავის დროზე გასცემს სიმდიდრეს, –
იგი ასცდება გზას, რომლითაც შეუდრეკელი და სასტიკი
სიკვდილი
თავის მსხვერპლს გვამების დასაწვავ კოცონზე მიერეკება.

6

დანიშნულ დროს ვერვინ გარდავა:
აქ არავინაა ისეთი, ვისაც ძალუძს დაუძვრეს, წაუვიდეს,
გაექცეს სიკვდილს, ან მოინელოს იგი.
დიდი სიმდიდრე დააგროვე? – გაექეცი საჩქაროდ! –
ხვალ ხომ უკვე – „დღინ-დღინ“ – დამკრძალავი დაფდაფების
ხმა გაისმება.

7

ისე, როგორც წყვდიადი ყოველდამე მიითვალავს მზეს –
სინათლის სიუხვის საწყაულს.
ეგრევე, შენი სიცოცხლის დღეებს სიკვდილი წყავს და ნთქავს.
მაშ, გულსავსე იყავ მადლით და სიკეთე სთესე.
ჯერ არ შობილა კაცი, რომელიც უკვდავი ყოფილიყოს.

8

თავის მოვალეობასა და თავისი არსებობის აზრსა და მიზანზე არდაფიქრებულ, მკვეხარა უმეცართა დიდი სიმდიდრე, იმ უმეცართა, რომ იქადიან – მდიდარი ხალხი ვართო, – შავი ღრუბლის გამპობელ ელვასა ჰგავს:
წამით გამოჩნდება და უკვალოდ დაინთქმება ისევ.

9

ის არ ჭამს, მისგან არ იღვრება დიდების ნათელი, საქებარ საქმეს არ აღასრულებს იგი, ძვირფას, ნაღვლიან მეგობრებს მჭმუნვარებას არ უქარვებს და უკეთუ ამნაირ ყოფით სიმდიდრეს აზის და არავის აძლევს, ამაოდ იტყვიან ამგვარ კაცზე: ო, ო!.. – მისთვის ყველაფერი დაკარგულია.

10

ისინი, ხორცის მოკვდინებით გართულნი, – არ იმოსებიან, არ იკვებებიან და უკვდავ საქმეებსაც არ აღასრულებენ. არავისთვის არაფერს იმეტებენ, არამედ იხვეჭენ და აგროვებენ და ამიტომ გარდუვალად დაჰკარგავენ ყველაფერს. ო, ღრუბლებს მიწვდენილი მთიანი ქვეყნის მბრძანებელო! ამგვარი ცხოვრების მაგალითი ხომ ფუტკარია, რომელიც ნიადაგ აგროვებს, ნიადაგ იმარაგებს.

11

ადრე თუ გვიან მოვა სიბერე, ეს რაკი ახსოვს, ბრძენი ჯერ კიდევ სიჭაბუკეში განუდგება სოფლიურ ცხოვრებას. მაგრამ ის, ვინც წარმავალი სიჭაბუკით იშვებს, სიჭაბუკით, რომელმაც არ იცის წინარე ცხოვრების ავ საქმეთა მონანიება, – სულ მალე ჯოხს დაეყრდნობა, ნაღვლიანად წამომდგარი სარეცელიდან.

12

მეგობრობა ჩაიფერფლა, ფასი დაეკარგა დიაცთა სიტურფეს,
სიყვარულის მანა მოფოლხვებულა!

ჩაიხედე გულში და ჰკითხე საკუთარ თავს:

რომ იშვებდი და იხარებდი, ნახე რაიმე სარგებელი?

ამის პასუხად მოგესმება ხმა –

ჩაძირული ხომალდიდან გაგონილი კივილის მსგავსი.

13

სიბერისაგან დაბლუებული, უკბილო პირით მოჩიფჩიფე,
წელში გატეხილი, ჯოხზე დაყრდნობილი რომ დაეხეტება, –
აჰა, იგი, ვისაც დაცინვითა და მოძაგებით შესცქერიან გარეშენი.

აჰა, იგი, ვინც შინ ჩაკეტილი, ჯერ კიდევ ლირნი თვალებით
დაეხეტება ხორციელი განცხრომის გზებზე.

ამგვარი კაცისათვის ბედნიერების გზა დახშულია.

14

ასეთი ტანჯვა იმათი ხვედრია, ვინც ახლა
ძაბუნნი და უნებური გულისთქმითა აღძრული დიაცის მიმართ,
რომელიც თავის დროზე დედამისის გამონაცვალ ჯოხს
მოიშველიებს და წელში მოხრილი, მოკაკული,
თავის კანკალით იჩაქჩაქებს, სანამ არ ნაიქცევა
და არ მოკვდება.

15

ქალი, რომელიც დედაჩემი იყო და მე აქ დამტოვა,
დედამისის გზას გაჰყვა, ხოლო იგი გზას იმისას,
ვისი შვილიც იყო: ასე გაჰყვება შვილი დედის გზას, –
აი, როგორია ჩვენი ნუთისოფელი.

16

ბრძენნი არ იშვებენ სიჭაბუკის სიხარულით,
რომელიც მოლზე მოკუნტრუშე კრავის ხალისივით მოკლეა. –

ძოვს კრავი ქორფა ბალახს და იმ ქურუმის ხელზე ჩამოკიდებული ყვავილწუნულის ნორჩ ფოთლებს, – ცხოველებს მსხვერპლად რომ სწირავს, იქ, სადაც სქანდას შმაგი როკვა სრულდება.

17

დაცვარული ხეხილის ყველა ნაყოფი ჩამოცვივდება და დაღუბება, – სიჭაბუკეც ასეა.

და ქალსაც, ვისი თვალებიც ელვისებრ ციმციმებს, შენ ნუ ინდომებ:

აკი სულ მალე მასაც ჩაუქრება ცეცხლი და წელში მოიხრება.

18

რა ხნისა ხარ? როგორა გაქვს კბილების საქმე?

ჯერ კიდევ შეგიძლია შეჭამო ორი კერძი?

თავაზიანი შეკითხვების ამნაირი წყობით ღრმად დაუნჯებული ბრძენკაცები საკუთარი სხეულის გამო არას ფიქრობენ.

19

ნუ იტყვი, ჯერ კიდევ ჭაბუკები ვართ,

კარგი კარმისათვის ჯერ კიდევ გვაქვსო დრო.

სანამ სიმდიდრით მორჭმული ხარ,

მოიხმარე ეს სიმდიდრე ქველი საქმისთვის.

მარტო მწიფე ნაყოფი ხომ არ ვარდება; უმწიფარიც

ძირს მოცვივა ამოვარდნილი ქარაშოტით ხეს მოგლეჯილი.

20

ჭეშმარიტად, ჩასაფრებულია სიკვდილი და უღმობლად ეპარება მსხვერპლს და ამიტომ, ვიდრე გვიან არ არის, აიღე შენი შულდაკი და თავს უშველე.

ბავშვის შობა ვერ მოასწრო დედამ და უკვე ტირის,

რადგან სიკვდილმა წაართვა შვილი.

ამიტომ ყოველთვის უნდა გახსოვდეს რა ვერაგია სიკვდილი.

21

თვით იმათ შესახებაც, ვინც მოვანებულ მთვარესავით
გამოჩნდებოდნენ,
მეფური გავალაკით მოჩარდახულ სპილოზე ამხედრებულნი, –
ამ ქვეყნად მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ დაიხოცნენ ისინი.
არავინ დარჩენილა წუთისოფელში
და არ იპოვება ამ ქვეყნად სიკედელს გადარჩენილი კაცი.

22

ყოველდღე აღმოხდება ელვარე შარავანდით მზე,
რათა მიითვალოს ჟამი თქვენი სიცოცხლისა.
და ამიტომ, ვიდრე არ გასულა თქვენი ცხოვრება –
კეთილი დათესეთ, ამ სანუთროს ხომ ჯერ არავინ გამოკერვბია.

23

საქორწილო დაფდაფის გუგუნით ივსება სახლი კაცთაგანის,
ვისთვისაც ცოტა ხნის შემდეგ, დღის იმავე დროს
და იმავე ადგილას, ეს დაფდაფი სამგლოვიაროდ აგუგუნდება.
ეს რომ უწყიან მალლად მხედნი ცდილობენ ხსნის გზა იპოვონ.

24

ისინი მოდიან და ერთხელ დაჰკრავენ საცემელს დაფდაფს,
ცოტას შეიცდიან და ისევ დაჰკრავენ საცემელს დაფდაფს –
კარგად შეხედე! და როცა მესამედ გაისმება დაფდაფის ხმა,
ისინი ჰხურავენ მას, ანთებენ ცეცხლს და მიდიან, –
ასე მიჰყავთ მკვდრები მოკვდავებს.

25

და თუმცა უგუნური ხედავს, ხმამალა მტირალ სახლიკაცებს
როგორ მიაქვთ მკვდარი სხეული გვამების დასაწვავ კოცონზე,
დაქორწინებული წამდაუნუმ იმეორებს:
აქ არის შვება, არის შვება, არის, –
„დონ-დონ“ – ბანს აძლევს მას სამგლოვიარო დაფდაფი.

26

როცა სული სავსებით შეასრულებს თავის საქმეს და დასტოვებს სხეულს, მას შემდეგ, რაც კარმის კანონის თანახმად ავისა და კარგის განცდის საშუალებას მისცემს ტყავის ამ ვაშკარანს, – განა სულერთი არ არის, თოკით გამოკრულს წაიღებენ მას, მზრუნველად დაკრძალავენ თუ სადმე გადააგდებენ, ან შესაგინებლად მისცემენ მრავალთ?

27

ამ უკიდუგანო დედამინაზე ვინ შეედრება უმაღლესი სიბრძნის იმ მცირერიცხოვან მფლობელთ, რომელთაც, – რაკი იციან, რომ სხეული მხოლოდ ძლიერ თავსხმაში ყოველწამს აღმოცენებული და იქვე გამქრალი ბუშტულთაგანია, – მტკიცედ გადანყვიტეს: ჩვენ უნდა აღვკვეთოთ ეს მერყეობა!

28

დაე, მათ ვისი სულიც ვერ გაექცევა სხეულის ბორკილს, სხეულისაგან წარმოშობილი ნაყოფი იგემონ. ხოლო კაცთა სხეული თეთრ ღრუბელსა ჰგავს, ქვედაზიდული – მთის ფერდობზე რომ დაფარფატებს. იგი უეცრად გამოჩენილ ღრუბელსა ჰგავს. დიდხანს რომ აღარ რჩება იქ და მალეღვე ტოვებს მთას.

29

საჩქაროდ აღასრულე კეთილი საქმე, – რაკი იცი, რომ ამ სანუთროში ისევე დაუდგრომელი და წარმავალია ყველაფერი, როგორც ბალახის წვერზე შერჩენილი ნამის წინწკალი. ახლა არ იყო, აგერ რომ იდგა, აგერ რომ იჯდა კაცი – და აჰა, უკვე ნაქცეულა და მახლობელთა ვაებაში მომკვდარა კიდევ.

30

ხმისგაუცემლად მოდიან ადამიანები,
ნათესავებივით ჩნდებიან სახლში და მერე უხმოდვე მიდიან,
და ჩიტის მსგავსად, უჩუმრად რომ გაფრინდება შორეთს
და მისი მხოლოდ ბუდე რჩება ხეზე – სტოვებენ ისინი
თავიანთ მახლობლებს და მხოლოდ სხეულს უტოვებენ.

31

წინანდელი მონანიების შედეგად ამ სიცოცხლეში ადამიანად
დაბადებულნი თუ კეთილ საქმეს არ აკეთებენ – იტანჯებიან,
რაკი გარე ბჭეებთან დგანან. მათი ადგილი იქ არის სწორედ!
შიგნით ისინი ვერ შევლენ და მალლა მაცქქერალნი ასე ამბობენ:
რა ბედნიერია, ვინც შიგნითაა.

32

ო, ხარბო გულო, ნუ იქადი: ჩვენ ვიცხოვრებთ სიმდიდრის
ნადილითა და მოვკვდებით სიქველის გაუხსენებლადო.
დიალაც, მიწყვი მორუდუნე – შვებით იცხოვრებ,
მაგრამ მითხარი, რას იზამ როცა შვების დღეები ჩაიქროლებს?

33

როცა წინანდელ ცხოვრებაში ჩადენილის გამო,
შურისგების უამი მოაწევს, მძიმედ ოხრავს უგუნური,
სანუთროს უჩივის და სასოწარკვეთილი დრტვინავს.
ხოლო იგი, ვინც დაფიქრებულა ამაზე და შეუცვნია,
რომ აწინდელი ცხოვრების ყველა უკუღმართობა
მხოლოდლა მათი წინანდელი გარდასხეულებების შედეგია,
იოკებს ბორგნეულობას და გულით უძრავი ხსნას მიელტვის.

34

ეგზომ ძნელად მისალწევ ადამიანურ სხეულს რომ შეიმოსავ –
წინანდელ დაბადებაში აღსრულებული სიქველის ნაყოფს,

ამ დაბადებაშიც ისწრაფე მიითვალო ქველ საქმეთა ნაყოფი;
 კეთილი საქმის აღსრულებისათვის იღვანე!
 რადგან შენი ძალისხმევა იმ წვენსა ჰგავს,
 რომელიც შაქრის ლერწამის ზროდან მოჟონავს.
 შემდგომში იგი შენი ძლიერი მშველელი იქნება,
 ხოლო შენს სხეულს გამოწურულ ლერწამივით გადააგდებენ.

35

ვინც თავის დროზე გამოწურული ლერწამიდან
 შაქარყინულს მიიღებს – საკუთარი ძალისხმევის მშვენიერ
 ნაყოფს, იგი ადვილად დაიოკებს ნაღველს,
 როცა მისი სხეულის გამხმარი ზრო დაიწვება.
 და ამრიგად, შრომითა და ძალისხმევით სხეულებრივი
 არსებობის ნაყოფს მოიმკის; ხოლო როცა სიკვდილი მოვა,
 სხეულთან გაყრის კაეშანს არ დანებდება.

36

იმ დღეს მოვა თუ კვირაძალში? ან – ნეტავ როდის მომადგება? –
 სიკვდილის ჟამზე ასე ნუ იტყვი,
 მის მოლოდინში სჯობს იმაზე მიმართო ფიქრი,
 რომ ის ყოველთვის შენს უკან დგას.
 ეს რაკი იცი, მთელი გულით უკუაგდე ბოროტება ყოველნაირი
 და ჭკვიანთა ქველ გზას დაადეგ.

37

ადამიანად დაბადება უდიდესი ნაყოფია
 წინანდელ დაბადებთა ჟამს შესრულებული ქველმოქმედებისა.
 ამაზე რომ დაფიქრდები, მიხვდები, რამდენი რამის გაკეთება
 შეუძლია ამქვეყნად ადამიანად დაბადებულს.
 მაგრამ ნუ გააკეთებენ იმას, რაც მხოლოდ კეთილი ანაგების
 მქონე შენს სხეულს გამოადგება, არამედ მოიღვანე
 ისეთი საქმე, რომლის ნაყოფსაც მომავალი დაბადებისას
 ზეციერ ქვეყნად იგემებ.

38

მცირეზე მცირე ბანიანგის თესლი რომ აღმოცენდება,
დიდი ჩრდილოვანის მქონე უზარმაზარ ხედ გადაიქცევა;
მადლიანი საქმის ნაყოფიც თუმცა პატარაა,
მარცვლად შეკუმშული, ღირსეული კაცის ხელში რომ მოხვდება –
ცათა უსაზღვროებას დაიტევს.

39

და მარადღე: რა იხილავენ ისინი ახალი დღის გათენებას,
მისი არსი არ გაეგებათ. და მარადღე: მომავალ დღეზე
„ის ჯერ კიდევ წინ არისო“ ასე იტყვიან.
მაგრამ მათ მიერ განვლილი ყოველი დღე გარდუვალად ემატება
ცხოვრების უკვე გარდასულ დღეებს.
ხოლო მათ არ ესმით ეს და უქმად ატარებენ დროს.

40

ნუთუ მე გავწირავ საკუთარი ღირსების საუნჯეს
და მათხოვარივით – დამცირებული და
სახელგატეხილი ვიცხოვრებ?
უღირსი საქმის მეოხებითაც რომ დანაყრდეს –
ძალითა და ჯანით მორჭმული,
კიდევ დიდხანს გასძლებს ეს სხეული.

41

ხოლო ეს ქკვიანნი, ყმანვილ ქალებს პირში რომ შესციცინებენ:
„ო, მანგოსფერსახიანო, ო, სადა უბრალოებით დამშვენებულო“. –
არ ფიქრობენ იმაზე თუ რა მყიფეა სისხლისა და ხორცის
ეს სანყაული.

ბუზის ფრთის ოდენა ნაწილიც რომ გაერღვეს სხეულს,
მას ხომ სახრის მეტი არაფერი დასჭირდება –
გვამზე მოფრენილი ყორნების მოსაგერიებლად.

42

და უკეთუ სხეული, ბევრი ჭუჭრუტანის მქონე გარეგანი გარსის – ტყავის ამ ვაშკარანის გამოა მხოლოდ მშვენიერი, გარსისა, რომელიც სიცრუესა და სიყალბეს მალავს, – მაშინ ამ სიზმარეული, სიცარიელის დამფარავი გარსისაგან აღძრული სამიჯნურო სიტყვის უთქმელად განიხილე სხეული, როგორც მხოლოდ ბალღამის გადმომთხვეელი ტოპრაკი.

43

და განა ოდესმე გაჰქრება მნიკვლი სხეულისა, რომელსაც ბრძენნი ადვილად ეყრებიან, რაკი უწყიან, რომ ჭამადის მონელებას თან ახლავს სიმყრალე, თუნდაც რომ ბეტელი ღეჭო, პირიდან ამომავალი სუნის მოსაშორებლად, ანდა ყოვლად რიოში გარეგნული სილამაზისათვის სურნელოვანი ყვავილების გვირგვინით შეიმკო თავი?

44

„ისინი ჭვირვალე წყალში მოცურავე შროშანები არიან, მათი თვალები თითქოს წმინდა ნაკადულში ერთმანეთთან შებმული ორი თევზია, მათი მზერა შუბის წვერსა ჰგავს“ – ასე იტყვიან დაბრმავებულნი, რომ შემაცბუნონ, მაგრამ განა ამისთვის მივატოვებ გზას სიქველისას? არა! მე ხომ ვიცი, რომ თვალთა ჭემმარიტი ბუნება პალმის ნაყოფის მსგავსია, რომლის ხორციან მარცვლებს იმის შემდეგ ამოიღებენ, როცა წმინდა წვენი შეიხვრიპება. მე კვლავაც გავყვები სიმართლის გზას.

45

განა მივატოვებ მე წვრთისა და თავშეკავების გზას იმის გამო, რომ მდაბალნი და უმეცარნი ეცდებიან შემაცბუნონ დიაცურ

მშვენებათა აღწერითა და აღტაცებით:

„მათი ტურკბილი მარგალიტით მოციმციმე უცვეთელას კოკორია!“
 არა! მე ვხედავ და ვიცი, ძვლებში აღუფხული მათი კბილები
 როგორ ყრია გვამების დასაწვავ ადგილას, რომ მათი ხილვა
 ყველას შეეძლოს. მე კვლავაც გავყვები სიმართლის გზას.

46

შიგნეული და ქონი, სისხლი და ძვალი, ქონთან შეტმასნილი კანი,
 ხოლო მის შიგნით ხორცი, ლორწო და ზინთი – აი, სხეული
 კაცთაგანის, – ასე არ არის?

მაშ, რაღას უნდა წარმოადგენდეს ამ უწმინდური

სხეულის შიგნით დავანებული დიაცი,

რომელსაც თავი ქორფა ყვაილები გვირგვინით შეუმკია?

47

და მარტოდენ შეძაგების ღირსს ჭურჭელს,

რომელშიც ათასნაირი სითხე ირევა და შეგრძნების ასოთა

ცხრა გარეგანი ნახვრეტიდან გარე მოჟონავს, უმეცარნი

უნოდებენ სამაჯურებით მკლავებმოსალტულ,

ლამაზმხრებიან, მშვენიერ დიაცს! ამას მხოლოდ იმიტომ

ამბობენ, რომ შავი კანის ელვარება აბრმავებთ,

უწმინდურებით ავსილ ამ ჭურჭელს გარს რომ აკრავს.

48

მათ არ იციან სხეულის ჭეშმარიტი ბუნება.

აღტაცებით ეალერსებიან ისინი ქალის სხეულს,

სანდალოზის ნელსაცხებლით ზელენ და ყვაილებით ამკობენ.

უმეცრები! – ნუთუ ვერ ხედავენ სხეულის ეტლს ღერძი როს

უტყდება მაშინვე მოფრენილი სვავეები ხარბი ნისკარტებით

როგორ ჯიჯგნიან დამპალ მძორს?

49

კაცნი უყურებენ მკვდართა კენჩხაზე თვალების მოზიმზიმე
ნაპრალეს და საშინელება იპყრობს მაცქერალთა გულს.
მკვდართა თავისქალები აფრთხილებენ ცოცხალთ და
უტურო პირის კბილებდაკრეჭილი ღიმილით შეაგონებენ მათ:
მტკიცედ დეგ ცხოვრების გზაზე, რადგან ხორციელი
არსებობის ფასი მხოლოდ ეგაა.

50

ამნაირად დაკრეჭილი თავისქალები ზიზლსაც იწვევს და
აშინებს კიდევ მათ, ვისაც ჰგონია ამ ქვეყანაზე
აღზევებულნი ვართო.
და მით აცხრობს მათ გულზვაგობას.
მაგრამ ის, ვინც განკურნებულია ამისაგან,
უხორცო თავისქალას რომ უჭვრეტს და ამბობს:
აი, როგორია სხეულის არსება, – თავის თავს
უკვე აღარ მიიჩნევს არსებად.

51

როცა ნათელი აღმოცენდება, წყვდიადი ქრება, – ასევე,
მონანიების წინაშე ქრება ადრე ჩადენილი ცოდვა!
ხოლო როცა ჭალში დაიშრიტება ზეთი, სიბნელე დგება, – ასევე,
როცა დაიშრიტება ადრე აღსრულებული მადლიანი საქმე,
ბოროტება იკავებს მის ადგილს.

52

განსჯიან რა ყოველი არსებულის დაუდგრომლობას,
ავადმყოფობას, სიბერესა და სიკვდილს,
ზნესრული ადამიანები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ.
ხოლო ისინი, ვისაც თავი ბრძენკაცებად მოაქვთ

და იქ გრამატიკასა და ვარსკვლავთმრიცხველობაზე
ბუტბუტებენ, შლეგთა შორის გამორჩეულ უმეცრებზე
ჭკვიანები არ არიან.

53

ბრძენნი გულმშვიდად უყურებენ ისეთ საგნებს,
როგორცაა სახლი, სიჭაბუკე, მიმზიდველობა და სილამაზე,
ან მდგომარეობა, სიმდიდრე, ძლიერება,
არც წუთისოფლის სიმოკლეზე წყდებათ გული.
სოფლისაგან განდგომილი და მონანიებად მიდრეკილნი
ხსნას ეძიებენ.

54

მრავალი ჭირის გარდამხდელი უმეცარი
სიხარულის დღეს მიელტვის ისევ და ისევ,
ხოლო გამჭრიახი ბრძენი, სიხარულის წიაღ ტანჯვას
რომ ხედავს, სრულ სიმშვიდეს ბედნიერი
ოჯახური ცხოვრების მიტოვებით იხვეჭს.

55

ფუჭად რომ გავატარე სიჭაბუკის ჟამი,
ან, მიტომ ხომ არ ველოდები სნებიან სიბერეს?
ო, სულს ჩემო, – ნულა ყოყმანებ, მოიეც ძალი და ამალლდი.
იქით აიღე გეზი, სადაც ერთად მივალწვეთ გზას სიმართლისას.

56

ქორწინების უღელში შებმულთათვის ძნელია მეტად მისი
მოშორება, თუნდაც რომ არ გყავდეს შვილები და
ცოლიც არ გესვას სათნოებით სავსე.
ძველ დროში იცოდნენ ბრძენთა, რომ შეუღლებას
ბედშავობა მოჰქონდა და ამის გამო,
ქორწინებასა და თავზარს ერთი სიტყვით გამოჰხატავდნენ.

57

როცა მწუხარება ისე მოდიდდება, რომ მას ძნელად თუ აღუდგება კაცი და როცა ძალთა მოზღვავეებისას კაცთა მიერ დადებული აღთქმანი დაირღვევა, მაშინ გულმტკიცენი და სულდიდნი მოიძარცვამენ ყველა ამ განსაცდელს და მართალ საქმეთა აღსრულებით ნეტარებას მოიპოვებენ.

58

ბრძენთა ვალი მარტო ის კი არ არის, რომ მშვიდად და უდრტვინველად გადაიტანონ სხვათა ქვედამხედობა, არამედ ისიც, რომ მათდამი სიბრალულით განიმსჭვალონ და შეაგონონ მათ: ჩვენი უგულებელყოფა სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მიგიყვანთ, სადაც ცეცხლით შეინვებით!

59

სწორი საქციელის გზაზე დამგარი გულითუძრავი კაცი, რომელსაც უნარი აქვს შეუსვრელად შეინახოს თავი, იოკებს რა გულისთქმას და ხორციელ ვნებას გრძნობათა ხუთი კვანძისას, – ჭუჭრუტანებად სხეულის სარცხვინელნი, პირი, თვალები და ყურები რომ გააჩნია, – საბოლოო განთავისუფლებას მოიპოვებს აუცილებლად.

60

უბადრუკ და უჯიშო ხალხს არ ძალუძს ხელი აილოს გულისთქმაზე, და მაშინაც კი, როცა ხედავს რომ ჭირი ხვავდება, – შვებას მიელტვის. ხოლო მალლად მხედნი – საამურში უამურის დამნახველნი – არ ეძიებენ საამურის მოხვეჭას.

61

კაცი ჩაივლიან – პატივს მოგვაგებენ, – დაე, ჩაიარონ!
კაცი ჩაივლიან – არად ჩაგვაგდებენ, ფეხქვეშ გაგვთელავენ, –
ჩვენთვის სულერთია, დაე ჩაიარონ!
ბრძენთა სიქველე სწორედ ისაა, რომ გულისწყრომას
არ აჰყვებიან, თუნდაც ფუნაგორია ააცოცდეთ თავზე.

62

როცა უბედურება გვატყდება თავს ან მოზღვავებულ ტანჯვას
თავს ველარ ვაღწევთ და ბოროტების გადატანაც
ალარა ძალგვიძს, – ის კაცი, რომლის გონება
დანყებულის გასრულებად არის მიდრეკილი
თავის ტკბილ და შეუმუსვრელი სიქველით სავსე
სიცოცხლეს გაეყრება განა?

63

თავაშეებული კაცი, დაუცხრომლად რომ აფრქვევს
გულისწყრომის სიტყვებს, გამუდმებით იწვის.
ხოლო ბრძენი, გულისხმიერი სმენით ყურისმიმგდებელი,
არასოდეს, თვით განრისხების ჟამსაც კი არ იტყვის
გულისწყრომის სიტყვას.

64

ბრძენთ არ იპყრობს სიცოფე და შუბლი არ ეცვარებათ ოფლით,
როცა მათზე დიდად უღირსი ავყია ხალხი ეკამათება,
ან აუგს ეუბნება, ხოლო უღირსნი,
დილაც შეურევებლუნი იმით თუ რას იტყვიან სხვები, –
მწარედ განიცდიან, ბორგავენ, ღრიალით იკლებენ მთელ ქალაქს
და სასონარკვეთილნი აქეთ-იქით აწყდებიან.

65

მხოლოდ ჭაბუკის თავშეკავებაა ნამდვილი თავშეკავება,
მხოლოდ მკოდოვანის მიერ გაცემულს მოაქვს ნაყოფი
მომავალ დაბადებაში.

ხოლო ჭეშმარიტ მოთმინებას იგი გაამჟღავნებს,
ვისაც მორჭმული აქვს ძალა ყველაფრის გადატანისა.

66

კეთილშობილნი მოთმინებით იტანენ შეურაცხყოფასა და
ლანძღვას, – ყველას დასანახად, ქვებივით რომ უშენენ მათ
უმსგავსი ადამიანები.

კეთილშობილების გამო თავს იკავებენ ისინი კობრის მსგავსად,
რომელსაც გაბერილი ყაბალახი იმნამსვე ეფუშება,
როგორც კი წმიდა ფერფლი დაეცემა.

67

იმათ რომ არ უმტრო, ვინც მტრად გადაკიდებული, შულლს
გინყებს შეუპოვარს, ჯაბანად არ მიგიჩნევენ ბრძენნი;
როდესაც სხვები აუტანელ შეურაცხყოფას აყენებენ
და მით ბოროტებას სჩადიან, სამაგიეროს
ბრძენნი ბოროტებითვე არ უხდიან არასოდეს –
და ამაშია მათი სიქველე და დამსახურება.

68

უმსგავსმა კაცმა გულისწყრომით დიდხანსაც რომ იბობოქროს,
არ იცის დაცხრომა: პირიქით, კიდევ უფრო გაავდება.

ხოლო ღირსებით შემოსილი გულისწყრომისაგან
თავს თვითონ იმშვიდებს, როგორც სიმხურვალე წყლისა,
საჭმლის შემზადების შემდეგ რომ ნელდება.

69

ჩინებული გვარისშვილი არამცთუ ბოროტების
ბოროტებითვე გარდახდას არ ესწრაფის,
რაც ცთომილების შედეგად შეიძლება წარმოიშვას,
არამედ ხელს უმართავს იმ უმსგავსო და უმადურ ადამიანებს,
რომლებიც – რაკილა ივინყებენ ნაწყალობევ სიკეთეს –
სიავით აღბორგებულნი მასვე ესხმიან თავს მარადღე.

70

კაცნი თვითონაც ხომ არ კბენენ ძაღლს იმის გამო,
რომ გაავებულმა ძაღლმა დაკბინა ისინი.
და განა იმას იზამს ბრძენი, რომ ერჩოდეს ზნედაბალს,
რომელიც უღირსი საქციელით შეურაცხყოფს მას?

71

ო, მშვენიერო ქვეყნის მამფალო, ქვეყნისა,
სადაც სიგრილით მფშვინავ კლდეებზე
ჩანჩქერების ყვავილწნულებია გადმოკიდებული! –
უბირ კაცთან ნურაფერზე იკამათებ.
უბირი, უკეთუ მას შეეკამათები, სიტყვას გადაგისხვაფერებს,
ამიტომ, მასთან კამათში შეუბმელად უკურიდება
სიქველედ მიიჩნიე.

72

როცა შენთან გონებით ვერშენონილნი
პირში გახლიან უხამსობას, – მშვიდად დაითმინე.
სხვაფრივ, კაცთა შორის არამცთუ ქებით არ იქნები
მოხსენიებული, არამედ გაიკიცხები კიდევც.

73

უკეთუ კაცთა უწყიან სიტყვის ფასი,
განა მათთვის მეგობრის მწარე ყვედრებაზე
უარესი არ უნდა იყოს მტრების პირმოთნეობა?
ო, ტალღებით აფუებული ოკეანისპირა ქვეყნის მამფალო,
ქვეყნისა, სადაც თითულ ყვავილს
მშვენიერი ფუტკრები და ზუზუნებენ!

74

გულითა მშვიდთა უწყიან ის, რისი ცოდნაც აუცილებელია,
და თავს არიდებენ იმას, რისიც უნდა ეშინოდეთ.
ბოძებულით მოხარულ ამგვარ ხალხს სიცოცხლის უნარი აქვს,
თვითონაც ხარობენ და ქვეყანასაც ახარებენ.

75

უკეთუ კეთილად შეწყობილი ორი კაცი მეგობრობს,
მაგრამ უეცრად ერთერთი მეორეს საეჭვოდ
დაუნყებს მოპყრობას,
დაე, მეორემ მოითმინოს ეს მანამდე, სანამდეც შეუძლია.
ხოლო უკეთუ ამის გადატანა არ ძალუძს,
დაე, უგინებლად თვითონვე განშორდეს მოყვასს.

76

და თუ მეგობარი უკეთურებას შეგამთხვევს, მაგრამ მიაჩნია,
რომ სასიკეთო საქმე გაგიკეთა, – გულმშვიდად შეხვდი ამ ამბავს.
ნუ გაამტყუნებ მეგობარს და ნუ მიატოვებ ამის გამო,
ის ხომ შენი მახლობელი იყო წინათ!
რადგან არამცთუ კაცის, პირუტყვის მიტოვებაც კი
გულდასაწყვეტია, ტყიანი ქვეყნის მამფალო!

77

განა დიდსულოვანნი მოთმინებით არ იტანენ იმათგან,
ვისაც ოდესღაც მათი დიდი სიყვარული მოუხვეჭია, –
იმას, რისი ატანაც ესოდენ ძნელია ხოლმე, ო, მათა და
მოჩხრიალე ნაკადულების მშვენიერი ქვეყნის მამფალო?

78

გაჭირვებისაგან და შიმშილისაგან დაშრეტილიც რომ იყო,
უღირსებს შენს სილარიბეზე ნურაფერს ეტყვი.
მხოლოდ საკუთარი თავისაგან ვერგანდგომილნი
ეუბნებიან ამას მეგობრებს, რომლებიც
საკუთარ გაჭირვებას მალავენ.

79

და თუნდაც სიამეს გგვრიდეს ქვენა საქმე, –
უკურიდე შენ ამ სიამეს!
და თუნდაც რომ იგემო უსაზღვრო განცხრომა,
ო, მთის ნაკადულთა ქვეყნის მამფალო, – იცოდე,
უმჯობესი გზა ის გზაა, სადაც ბინით არ შეისვრები.

80

რომც იღუპებოდე, ნუ განიზრახავ ღირსეულთა დაღუპვას,
რომც იშრიტებოდე შიმშილისაგან, –
უღირსთაგან ჭამადს ნუ მიიღებ.
და ნუ დასძრავ სიცრუით შერყვნილ სიტყვას,
სანაცვლოდ ცარვალით მოკარვულ ქვეყანასაც
რომ ისაკუთრებდე.

81

დიდს არს შიში, ხოლო განცხრომა ამისაგან ხანმოკლეა.
მუდამ შიშნეული უნდა იყო, რომ თუ გაგიგეს –

დაისჯები მეფის ბრძანებით.

პირდაპირ ჯოჯოხეთში მიყავხარ ამას და ამიტომ
ო, კდემამოსილო, სხვის ცოლს ნუ ინდომებ.

82

სიქველე, ჩინებულება, დიდება, მეგობრობა –
ეს ოთხი არ ახლავს იმათ, ვისი გულიც
სხვათა ცოლებისადმია მიდრეკილი.
ამგვარ კაცთა ხვედრია მხოლოდ სიძულვილი,
უღირსობა, სირცხვილი და შიში, –
ისინი ამ ოთხი თვისებით არიან გამორჩეულნი.

83

როცა იგი შედის დიაცთან, შიში აქვს გულში, როცა გამოდის
მაშინაც შიში აქვს და როცა იმალება – კვლავ იგივე შიში.
ეს ხომ მუდმივად მხოლოდ შიშის მომტანია,
მაშ, რატომ არ უშლის შიში მეზობლის სახლში შეპარვას?

84

თუ დაინახეს – გაილანძლება სახლი, ხოლო თუ ჩაიჭირეს,
ფეხს დაკარგავს, და როცა მრუშობს საძაგლად,
ჯოჯოხეთში მოხვედრის შიში კლავს.
უკეთუ უწყი, რომ ამას ნამება მოჰყვება,
ო, ლირწო, მითხარი, რალა გრჯის მაშინ?

85

ვისაც წინანდელ უმსგავსო ხალხთან ჰქონდა საქმე,
ლამაზ ძუძუებიან დიაცებს ეხვეოდა და ლირწებით აღბორგებული
სხვათა ცოლების გულს ინადირებდა, – ამ ცხოვრებაში აკუმაღ
დაბადებული, როკვით მოიპოვებს ლუკმაპურს.

86

ანდა რატომ უნდა უყურებდეს სხვის ცოლს კაცთაგანი,
 მაშინ როცა თვითონა ყავს დიასახლისი –
 ნაზი და მოყვარული ცოლი, ვისაც თავს ევლებოდა,
 ვინც ითხოვა კიდეც ვარსკვლავთმრიცხველთაგან
 რა შეიტყო ამ ამბისათვის შესატყვისი დღე და ეს დღე
 დაფდაფების ცემით შეატყობინა მრავალს?

87

იმ გულდაუდგრომელი კაცის შვება, რომელიც
 თავისი მეზობლის ცოლს ეხვევა,
 მაშინ როცა მეზობელი გახმაურებით ემუქრება,
 ხოლო შინაურები შიშისაგან თრთიან და
 სასონარკვეთილებაში არიან, –
 იმ კაცის შვებასა ჰგავს, კობრას რომ უღიტინებს თავზე.

88

თუ ძლიერი კაცია სიყვარულით ავად,
 ავადმყოფობა გარეთ არ გამოდის,
 არ ვრცელდება და სხვაზე არ გადადის.
 ო, თუმცა ეს სისასტიკეა, იგი ღუმს,
 რაკი ბოროტი მტრების
 წინაშე თავის მოჭრისა ერიდება,
 და ავადმყოფობაც გულშივე შუშდება.

89

ისარი და ცეცხლი, და მზის მცხუნვარება,
 თუმცა კი გვწყლავს და გვნავს – მხოლოდ კანს გვიმუსრავს.
 გულისთქმისა უფრო უნდა გვეშინოდეს,
 რადგან იგი სულს ბუგავს, ნაცრავს და ანამებს.

90

საშინელი მენამული ხანძრისაგან, უცებ რომ მოედება სოფელს,
წყალში ჩახტომით შეგიძლია უშველო თავს, –
სიყვარული კი დაგბუგავს, გინდაც წყალში გადაეშვა,
სიყვარული დაგნაცრავს, გინდაც მალალ ჭიუხს შეაფარო თავი.

91

იმ კაცისათვის, ვინც გულკეთილი და გულგახსნილია და შეუძლია
ჭირშიც ისევე, როგორც დალხინებაში, უშურველად გასცეს
რაც აბადია, – სამოთხის კარი არასოდეს დაიხურება.

92

წინ საძულველი სიბერეა და შენი სიკვდილის დღე,
უკან – სნება, გულზევაობის დამცხრობი.
ნუ განდიდდები, ნუ დაგაბამს კეთილდღეობა,
შენც ჭამე და სხვებსაც აჭამე და ნურასოდეს
შეინახავ მონაგარს.

93

გალარიბების შიშით მოცულნი, ჭირში არა შევლიან იმათ,
ვინც მათ შველასა თხოვს, – ამოდ! – აკი მოდენის უამს
დოვლათი ისედაც მოედინება, გინდაც რომ მოიხმარო
და სხვებს მოამხმარო; მაგრამ როცა დაიშრიტება
კეთილი კარმა, სიმდიდრე სულერთია წაგივა,
გინდაც რომ იძუნწო და კბილებით ჩააფრინდე.

94

ყოველდღე ჭამადით რომ ილხენ, ბრინჯის ერთი მარცვალი
მაინც სხვებს უწილადე, იცოდე, –

წინანდელ გარდასახულებაში ვინც არ გასცემდა, იმ ხალხზე ერის ხმა ამბობს, რომ ამ ცხოვრებაში, ღრმა ოკეანით გარემოცულ დედამიწაზე მათი სახლი ცარიელია.

95

ამ და სხვა გარდასახულებას რა დაუფიქრდება, ყოველმა კაცმა უნდა გაიღოს შეძლებისდაგვარად. უკეთუ სიღარიბის გამო, გაღებას ვერაფრისას შესძლებს, დაე, ნუ იმათხოვრებს მაინც, და მაშინ მისი დამსახურება ორჯერ აღემატება გამლებელთა დამსახურებას.

96

საწუთროს კაცთაგან ზოგი, ხელგაშლილობისა და უშურველობის თვისის გამო მრავალს რომ უყვარს, – უხვად მსხმოიარე, ნაყოფდახუნძლულ ხესა ჰგავს, რომელიც ქალაქის შუაგულში სამსხვერპლო ადგილზე აღმართული გალავნის შიგნით იზრდება; ხოლო ზოგი, სხვასთან პურის არგამტეხელი კაცი, მხოლოდ თავისი ოჯახის გამდიდრებისათვის რომ ზრუნავს, გვამების დასაწვავ ადგილზე აღმოცენებული უნაყოფი ხის შესაგვანია.

97

ო, უზარმაზარი ოკეანის გრილი სანაპიროს მამფალო. – დამპალი თევზის სიმყრალეს პუნას ყვავილის სურნელებით რომ თრგუნავ, მითხარი: რა ეშველებოდა ქვეყნას, კეთილი შეწირულება მაშინც რომ არ აღსრულებულიყო, როცა წვიმების ალო წვიმებს არ გვწყალობს?

98

კაცის ვალია, რისი მიცემაც შეუძლია,
დაუბრუნებლად მისცეს იმას,
ვინც ვერ შესძლებს გაცემულის უკანვე დაბრუნებას.
კაცის ვალია, უარით არ გაისტუმროს უპოვარი,
ვისი ხელიც მხოლოდ მისაღებად და არა მიღებულის
დასაბრუნებლადაა გაშვერილი.
ო, ტალღებაფუებული ოკეანის გრილი სანაპიროს მამფალო.
გაცემულის უკანვე დაბრუნებას ხომ მევახშეობა ჰქვია.

99

მცირედს რა მისცემ, ნუ იტყვი: ეს მცირედი, ეს არაფერია.
ბევრს მიაფინე შენი წყალობის სიკეთე.
თანდათანობით განა მცირედი მოწყალების გაღებით
არ აივსება შენი დამსახურების სანყაული,
კარიდან კარზე მოხეტიალე მათხოვარის ყულაბასავით?

100

დაფდაფის გუგუნი ერთი კათჰას მანძილზე ისმის.
მეხის ტეხის ხმა იოჯანუზე იფინება.
ხოლო წყალობის გამღებ ჩინებულთა სახელი
სამივე სკნელში განითქმება დაუყოვნებლივ.

101

ხარავანში რომ გაუშვა ხბო,
დედამისს, სულერთია, მაინც მიაგნებს.
ასეთივე უნარი აქვს გარდასული ძველების საქმეს,
უნარი – იპოვოს მისი აღმასრულებელი.

102

სიჭაბუკე და სილამაზე, სიმდიდრის ბრწყინვალეობა
და ამქვეყნიური პატივი თავს ერთად არ იყრის. ამიტომ იმ
კაცისათვის, ამას რომ ხედავს და არცერთ კეთილ საქმეს
არ აღასრულებს, სიცოცხლე მხოლოდ სხეულთან ერთად
არსებობს და მასთანვე კვდება.

103

ისეთ კაცს ვერ შეხვდები ქვეყნად,
რომ კეთილდღეობას არ მიელტვოდეს.
გარნა თვითეულს თავისივე გზის შესაბამისად
მოზომილი აქვს სანუთროს ლხენა.
ისეთ კაცს ვერ შეხვდები ქვეყნად,
რომ შეეძლოს ვილამის ხის ნაყოფი
მრგვალი, ხოლო ქალამისა შავი გახადოს.

104

თავად წმინდანსაც კი არ ძალუძს უკურიდოს არსებობას
და რაც მობოძებული გვაქვს,
არ შეიძლება სხვანაირი იყოს.
ისეთი არავინ არსებობს, რომ გვალვის დროს
წვიმა მოიყვანოსან აღკვეთოს მისი წყალუხვობა,
როცა წვიმების ალო დადგება.

105

იგი, ვინც მალღებოდა ტანად პალმასავით,
დიდებას რომ დაკარგავს, ფეტივის მარცვალავით დაკნინდება.
იფიქრე შენ ამაზე და გაიგებ: მიზეზი ამისა
სხვა არაფერია, თუ არა გარდასულ საქმეთა ნაყოფი.

106

მშვიდად კვდებიან ისინი; ვინც შეიმეცნა ღრმა
და ბრძნული მოძღვრების ნაყოფი:
ხოლო უმეტარნი! – ისინი სიცოცხლით ხარობენ, –
თუ რატომ, არ გინდა იცოდე? –
უმეტართ გულში შემეცნების გოლი არ უვით,
და გამხმარ ბულულად რომ მიაჩნია,
სიკვდილი გვერდს უვლის მათ.

107

გრძელ ქუჩაში სამათხოვროდ მონანნალე სვეგამნარებულ
კაცს თუ დაინახავ – იცოდე,
ო, ზღვისპირა გრილი ქვეყნის მბრძანებელო, ქვეყნისა,
სადაც კადამბის ფურცლებს ზვირთებში
მოფრთხიალე გედები გლეჯენ, –
ეგე წინანდელ საქმეთა ნაყოფია.

108

უვიცი არაა და თუმცა იცის ის, რისი ცოდნაც ხამს,
მაინც ცუდი საქციელით ვნებს საკუთარ სულს.
და აქაც დაინახავ შენ მისი გარდასული საქმეების შედეგს,
ო, უკიდევანო ოკეანის გრილი სანაპიროს მბრძანებელო,
სადაც ნელი ზღვაური შროშანთა
სურნელებითაა გაჟღენთილი.

109

მედინი წყლებით გარემოცულ დედამინაზე
არანაირად არ სურს არავის ხენეში ნაყოფი, არამედ კეთილი.
მაგრამ სურს ვინმეს თუ არა სურს, ვერავინ გარდავა იმას,
არსებობისთვის რაც წინასწარ განჩინებულა.

110

იმ ნიშნებში, წინანდელი ცხოვრების საქმით
შუბლზე რომ დაგწერია,
განსაცდელის ჟამს ნუ ისურვებ ნუგეში ჰპოვო, –
ნიშანთა რიგი არც იკლებს და არც იზრდება,
მათი წყობა შეუცვლელია და ამიტომ
რამ უნდა დაგალონოს სიკვდილის ჟამს?

111

ქვეყანაზე არავინ ჩაგითვლის შეცოდებად
სათხოვარზე უარის მთქმელი თუ იტყვი:
არა! მაგრამ თუკი კაცს წადილი კლავს,
ხოლო შენ გასაგულისებლად მისი წადილის
საგანს დაანახვებ და გაიქცევი, –
ასეთი რამ იმათ დანაშაულზე უარესია, ვინც მათთვის
მიგებულ სიკეთეს უარყოფს,
ო, სამაჯურებით მკლავებმოსალტულო დედუფალო!

112

არც ღირსებით სავსე და არც უღირსი ადამიანები
არასოდეს არაფერს კარგავენ თავიანთი ბუნებისას, –
ვინც გინდა ჭამოს, შაქრის ლერწამი არ გამწარდება,
ხოლო მარგოზის ნაყოფი არ გატკბილდება,
ღმერთებმაც რომ იგემონ იგი.

113

რომ აღზევდება, კაცს ბევრი მახლობელი გამოუჩნდება,
მალლა ცაზე ამოსული ვარსკვლავებივით,
ხოლო როდესაც უბედობის ჟამი დაუდგება,

ო, ცვრიანი ბორცვებით მოფენილი ქვეყნის გამგებელო,
კაცთაგან ცოტა თუ იტყვის:
მისი მახლობელი ვარო.

114

იგი, ვინც მიწვდება სამთაგან იმ ერთს,
რაც უსასრულო სამყაროს შუაგულში ჰგოეს –
იგი ორ სხვა კიდევანსაც მიაღწევს.
შუაგულის ვერმეცნაური მხოლოდღა ტანჯვასა გრძნობს,
მდულარეში ჩაგდებულის ტანჯვის შესაგვანს.

115

ჯიშინი ფურის მოგებული თუა,
როგორიც არ უნდა იყოს,
მანც კარგი ფასი დაედება დეკეულს.
უმეცარის სიტყვაც ასევე დაფასდება თუ ის მდიდარია,
ხოლო სიტყვა უპოვარისა იმ გუთანსა ჰგავს,
გვალვაში მინის ზურგზე რომ სხლტება
და სიღრმეში ვერ მიდის.

116

თავის ვერამლაგმავი თავს ვერ აილაგმავს,
თუნდაც გამოწვლილვით შეისწავლოს
მოძღვრება ჭეშმარიტებისა.
ეჰეი, დიდთვალეზავ! –
ველურ გოგრას სიმნარე არ გაუვა
მარილწყალში, ზეთში, რძეში და
ნადულშიც რომ მოხარშო იგი.

117

ისინი, ვინც არად გაგდებენ, არად ჩააგდეთ თვითონვე.
 სხვა რა უნდა იღონოს კაცმა? ო, სანაპირო ქვეყნის გამგებელო,
 ქვეყნისა, სადაც პუნას მშვენიერი ყვავილების სურნელებით
 გაჟღენთილი ტალღების შხეფით დაცვარული ჭალაკებია, -
 აკი, რაც უნდა მოხდეს, გარდუვალად მოხდება მაინც!

118

თუმცა ძროხის ბევრი ჯიშია,
 მათი რძე ერთნაირი და ერთი ფერისაა.
 გზა სიქველისა თავისი არსებით რძისაებრ ერთიანია,
 ხოლო ძროხებივით აქ სხვადასხვა აზრი ბოგინებს.

119

ვინ გაქცევია ამ ქვეყნად კაცთა ენამრავლობას.
 და გულმოდგინებით ვის არ მიუღწევია წარმატებისათვის?
 ცხოვრების შუა გზაზე ვის არ შეუცვნია სიმწარე მისი,
 ან სიკვდილის ჟამს ვინ დამტკბარა სიმდიდრის ძალით?
 ასე იტყვი, შენ, როცა ჩაუკვირდები წუთისოფელს.

120

ადამიანს ამ საწუთროდან მხოლოდ მისგან
 შესრულებული საქმე ნაჰყვება;
 სადაც გინდა იქ ეძებე, მის გარდა ვერსად ვერაფერს ნახავ.
 ხოლო კაცთაგან ესოდენ ნალოლიავები სხეული
 სულაც უსარგებლო ხდება,
 როცა სიკვდილი წარიტაცებს მას.

121

გვამების დასაწვავი ადგილი სავსეა იმათი სხეულებით,
ვინც განდგომას რაკი ვერ ეზიარა.
ამსოფლიური სივაგლახის მორევში მოჰყვა.
ამ გულარძნილი და უკუდმართი სულელების სტომაქი
მხოლოდ სასაფლაოდ გამოადგებათ პირუტყვებსა
და ფრინველებს.

122

იმას, ვინც ხოჭოების ბზუილით სავსე ტევრებში
თავისუფლად მოფრთხილავ უმწეო მწყერებსა და კაკბებს
მახეში აბამდა და გალიაში სვამდა, –
მტრების ხელთ ჩაეარდნილსა და მონად ქცეულს,
უნაყოფო მინის თოხნაში ამოძვრება სული.

123

როცა წინანდელი საქმეებისათვის შურისგების ჟამი დადგება,
იმ კაცს, ვისაც კიბორჩხალების ჭამა
და მათი კვნეტა უყვარდა, –
სასტიკი კეთრი შესჭამს, ხელისგულები
ნიჟარასავით გაუხმება,
ხოლო თითები დაულპება და მოძვრება.

124

სილბოთი ცვილს მიმსგავსებული საგნები
ხომ ცეცხლთან მიახლოვებისას იწვებიან,
იღვენთებიან და ამის გამო იტანჯებიან კიდევ.
ასევე, სასტიკ საქმეთა ჩადენით და გლისპებთან
დაახლოვებით საკუთარ არსებას იმრუდებენ და ყველაზე
ქველნიც კი გულქვანი ხდებიან.

125

ქველ და დიდებულ კაცთა მეგობრობა
 ახალ მთვარესა ჰგავს,
 თანდათან, დღითიდღე რომ ივსება სინათლით,
 ხოლო ზნედაბალთა ძმაკაცობა
 ნაკლულ მთვარესა ჰგავს,
 განუდრეკლად რომ ილევა და ჰქრება.

126

შენ ზნეკეთილი გეგონა და
 გულმრუდ კაცს კი დაუძმობილდი,
 მაგრამ მისმინე: მასთან ძმობაში რომ ვერ ნახავ
 სიმართლეს და პატიოსნებას,
 იმ გაცრუებულს დაემსგავსები,
 ნელსაცხებლის მოსაძებნად გახსნილ
 ზარდახშაში გველს რომ წააწყდა.

127

განა კაცთაგანს შეუძლია შეიმეცნოს სხვა კაცის გული?
 მაშ, ყური დამიგდე, ცვრიანი გორაკებით
 მოფენილი ქვეყნის მამფალო!
 გული კაცისა ერთია, ხოლო საქმე მეორე.

128

ნუ მოგაცთუნებს იმ ქვებუდანის მეგობრობა,
 ვისაც გულში ანგარება აქვს, პირში კი გეფერება.
 ო, ყვავილებით მოკაზმული ქვეყნის მამფალო,
 ქვეყნისა, სადაც მინდვრის ყვავილებს მოჩხრიალე
 ნაკადული რწყავს! –
 ასეთი მეგობრობა მხოლოდ შეაძრწუნებს კაცის გულს.

129

როგორც ხელს შეჩვეული საყვარელი ხმალი,
მტრის ხელთ რა მოხვდება,
უნინდელ პატრონს უმაღვე გაჰკვეთს, –
ამგვარადვე, უმეცართა ხელში მოხვედრილი სიმდიდრე
ორივე სკნელში დახვავებულ
ყველა დამსახურებას გააცამტვერებს
და ამიტომ ამგვარ უმეცართაგან უკუურიდება კეთილი კარმაა.


130

ოჯახური ცხოვრების ხვედრს რომ არ ეყრები, –
როდემდის გინდა იძგერო გულო,
შვილების შეძენის ნდომით აღძრულმა?
და რაგინდ მცირედი უნდა იყოს,
გასრულებული მადლის გარდა ხომ
ცოცხალ არსებას სხვა ნაყოფი არ აბადია.

სადაც

მიღებული

კანონები





ა პ ა რ ი

1

შივა – რვა სახედ არსებული უკიდევანო დედამინაა,
 ცეცხლი და წყალი, ქურუმი მსხვერპლის შემწირველი,
 მალალთა შინა მქროლი გრიგალი
 და მიუწვდომელ სიმაღლეზე მყოფი მთვარე, მზე და ეთერი.
 ის არის დიდი სიკეთეც და დანაშაულიც
 და ის არსებობს ვით დიაცი და მამაკაცი.
 ყოველი კაცის ხატი თვითონ მისი ხატია.
 ის იყო გუშინ, დღეს არის და იქნება ხვალაც.
 ამგვარი არის მენამულად თმაგაშლილი ამ ღმერთის სახე.

2

ის ქვეყანაა, მთაა და ზეცა.
 ის თვითონ არის აღმასიცა და იაგუნდიც,
 იგი – თვალი და თვალისჩინი –
 მოძღვრება და მისი ცოდნაც თვითონვე არის.
 ის დიაცი და მამრიც არის ამ დიაცისთვის,
 ის ქვეყანაა წარღვნის შემდეგ წარმოჩენილი.
 ის არის რიცხვი და ნიშანი ამ რიცხვისათვის,
 ის არის ჩვენი მეუფე და უმაღლესი ნათელის ბრწყინვა.
 ამგვარი არის ამ ღმერთის სახე.

3

იგი ქვა არის, ტალახი და ტყეც უსიერი,
მდინარის დენა, რუსხმული და რუსხმულის წყალი.
იგი – ბალახი, ჭალა და ყვერი – ქალაქად იქცა,
დამაქცევარი თვით რაქშასთა სამი ქალაქის.
იგი სიტყვაა და სიტყვის ძალი,
ქარი და ქარის ბობოქრობა.
იგი ბრინჯია, მინა და წყალი,
დიდი ნათელი, ღმერთი ზენას დამკვიდრებული.
ამგვარი არის ამ ღმერთის სახე.

4

ჭეშმარიტი გზის ვერ მპოვნელი ვეხეტებოდი
მე – აღგზნებული და თავზე თმაამონინკილი, –
შეჭამადის პეშვით მჭამელი.
და არ მრცხვენოდა ჩემი სიშიშვლის,
როცა ქალაქის დიდ ქუჩაზე დამცინოდნენ მოქალაქენი.
მე უმეცარი, არ დავენაფე არურაში
და არ შევესვი გოლეული
ცოდნისმომცემი შივასაგან წყაროსაებრ გადმომჩქეფარი.
ციცნათელების სინათლეზე თბებიან ასე,
მაშინ როცა იქვე გვერდით მოგიზგიზე ცეცხლი ანთია.

კ ა რ ა ი კ ა ლ ი

1

ის თვითონვეა მცოდნე და ცოდნის მომნიჭებელიც,
ის თვითონვეა ცოდნა და იგი, ვინც ამ ცოდნას ეზიარება,
ის თვითონვეა საცოდნელი უმაღლესი ჭეშმარიტება
და მოელვარე ნათელი, ზეცა და დედამიწა,
ის თვითონვეა – ეს ყოველივე.

იგი ცხადდება ორი მნათით, ცეცხლით და ეთერით,
იგი ცხადდება დედამიწით, წყლითა და ქარებით,
განცხადებული რვასახიან შივად და ქურუმად –
იგი არსებობს ვით სამყაროს მარადი სული.

2

იგი – დიადი, შეშლილის სახით მოვლენილი,
შლეგივით როკავს მინდორზე, სადაც გვამებსა წვავენ.
იქ, საშინელი, გაუმადლრად გვამთა მჭამელი,

ხარბი სული საგოდებლისა

დაგდებულ სხეულს ლოდინით უმზერს,
რომ გაიგოს მოკვდა იგი, თუ ჯერ კიდევ ცოცხალი არის.
და თუ უეცრად შეტოკდა გვამი,
შმაგი სული – შემზარავად თვალანთებული,
მუცელზე სიმწრით დაიშენს მუშტებს,

რომ დაიცხროს შიმშილის გვრემა

და ველურ შიშით ატანილი გაიძურნება.

ს უ ნ დ ა რ ა რ ი

1

ცხოვრება ესე – მაიაა... ნაცარია მისი არსება.

დაბადებათა ოკეანიდან ღვთაება, სნება

და შიმშილის სიავე მოდის,

ხოლო მათგან მოიქცევა ძალმომრეობა.

დაუყოვნებლივ აღასრულე კეთილი საქმე,

განადიდე იგი – წმიდა კედარამში დავანებული,

რომლის სამანებს ქვევიდან ვიშნუ

და ზევიდან ბრაჰმა ეძებდა.

2

ტანით, რომელსაც წელსქვემოთ ვინრო არდაგი მოსავს

და წმიდა ფერფლით დაფარულ შუბლით,

მე – შენამდე რომ მოვალწიე, ფერხთ გივარდები...

გემუდარები შემვივრდომო

შენ, ვის წილადაც იწოდება მახვილთვალა უმა –

ბადახში მალანადის სალოცავისა.

მოყვასო, ჩემო,

შენს გარდა ვისზე შემიძლია დავიუნჯო კიდევ გონება?

ტ ი რ უ მ უ ლ ა რ ი

დე, ნეტარება, რომელიც მე მოვიპოვე –

მოიპოვოს მთელმა ქვეყანამ!

იცოდეთ მტკიცედ, რომ ყველა კაცი მხოლოდ ერთი

სახლის ნულია,

რომ ყველა სწავლის მიმდევარს მხოლოდ ერთი ჰყავს ღმერთი

გულის დიადი ტაძარია ხორცშემოსილის სამყოფლო, ხოლო

უზენაესი ნეტარება – საკუთარი „მე“-ს ღრმად შემეცნება.

ნ ა მ ა ლ ვ ა რ ი

1

ყოველი კაცი საკუთარი ცოდნის თანახმად
 თაყვანს სცემს უფალს,
 და მიაჩნია, რომ იგია ერთადერთი ნამდვილი ღმერთი,
 რომ მისი ღმერთი სრულყოფილია.
 ხოლო ღმერთი დგას,
 კაცთაგანს ყველას რომ შეეძლოს მასთან მისვლა
 საკუთარი გზით.

2

ღმერთთა ცოდნისთვის მისი ყოფა შეუვალია.
 ზეცით მინამდე უზეშთესი მეუფეა მთელი ქვეყნისა
 იგი – ეს ღმერთი,
 ვინც სამყარო ყოველი შთანთქა,
 სამი ქალაქი ვინც დაჰბუგა და უკვდავების ცოდნა მომადლა,
 ვინც შივასაებრ შემუსრა და
 ბრაჰმასაებრ შეჰქმნა ეს მყარი.

3

ვეება, ცივი ოკეანის თვითეულ წვეთში
 გავრცობილია ის – თვითონვე ცა და მყარი შეუწერელი.
 დედამინაზე და ცათა შინა არსებობს იგი
 და ხარვეზი არ ახლავს სივრცეს
 სადაც მისი არყოფნა იყოს.
 თვალისაგან მოუხილავ ყოველ კუნჭულში
 და მუნვე მყოფ ყველა ნივთის გულში დაფლული –
 გავრცობილია ის – ყველა ამ ნივთთა შთამთქმელი.

4

უკეთუ ფიქრობენ, რომ იგი ჰგიეს – იგი ჰგიეს
და მისი სახეა ეს სახე.
უკეთუ ფიქრობენ, რომ იგი არ ჰგიეს – იგი არ ჰგიეს
და ეს მისი უსახობაა.
იგი ჰგიეს და არცა ჰგიეს,
ყოფნისა და არყოფნის ზნეთ მიწყევ მფლობელი
იგი ჰგიეს ორ ბუნებად მოაზრებული –
ვით ყოფილი და არყოფილი,
და უხარვეზოდ ყოვლით კერძო განფენილი,
სადაც უნდა არსობდეს იგი.

5

უზენაეს ზენათა უზენაეს სიქველეს ვინა ფლობს? – იგი.
მაიას დამთრგუნავ უმაღლეს სიბრძნეს ვინ გვაძლევს? – იგი.
უნიათობის შემმუსვრელი,
უკვდავ ღმერთებს ვინ წინამძღვრობს მარადღე? – იგი...
ჭირთა უკუმყრელ შარავანდში ქედდადრეკილო,
მაშ, აღდექი, შენ – სულო ჩემო!

მ ა ნ ი კ ა ვ ა შ ა გ ა რ ი

1

მე არავითარ დაბადების არ მეშინია
და არცა ვზრუნავ მე იმისთვის, რომ სიკვდილს ავცდე.
ცად ამალლებას მე არ ვესწრაფი
და არც ის მინდა – ხელმწიფობით ვიყო მორჭმული.
ო, შივა, შივა, გოლეულით სავსე ყვავილო,
ო, ჩვენო ტკბილო პერუმანო, ბატონო ჩვენო –
მე გვევდრები, მანიშნო ის დღე,
როცა წყალობას მომაგებ შენსას!

2

ო, შენ იგი ხარ, ვინც თავად ყოფად არ მოიქცევა,
ვინც უჟამოა და არც ბოლო არ გააჩნია.
ო, შენ იგი ხარ, ვინც ქმნის სამყაროს,
ყოფად ადგენს და თავად მუსრავს
ვისგანაც მაღლი წარმოდინდება.
ო. შენ იგი ხარ, ვინც მომავლინე მე ამ ქვეყნად ამ დაბადებით
და იგი, ვინც მე მომიყვანა შენ სამსახურად.

3

ო, შენ არ გახლავს მწუხარება და სიხარული
და მაინც გახლავს.
შენ – მოყვასი მოყვასისათვის, ყოვლად მყოფი, არსებული –
არცა რაი ხარ.
ო, შარავანდით მაშუქარო, ო, უკუნო გაუხარელო,
ო, მოსილო უხილავი დიდებულებით!
შენ, ვისაც გახლავს პირველადი დასაბამი,
დასასრული და საშუალო, და არცა გახლავს!
შენ – წინამძღვარო მამავ ჩემო, ო, პერუმანო!

4

შენა ხარ ცა და დედამინა, ქარი, ნათელი,
შენა ხარ ხორცი და სიცოცხლე,

არსებული, არარსებულიც.

მეფე, რომელიც კაცთა მოდგმას რომ აკვირდება
თოჯინებივით მოხტუნავეს თავიანთი მე-თი და ჩემი-თ, -
თოკებით მართავს მათ მიხრა-მოხრას...

ვითარი სიტყვით ვუთხრა ქება

შენს ღვთაებრივ მარადმყოფობას?

5

ყური დაუგდე შენ ამ სიტყვას, ო, პატარა თუთიყუშო,
ტკბილი ნაყოფით სავსე ბაღში მოყურებულო!

უსასრულოდ გულუხვი და ზეცის დამთმობი

შემოიქცა ამ ქვეყანად და სანუთროს კაცთ დაეუფლა.

ხორცის დამთმობი, იგი - ერთი,

შემოიქცა ჩემს გულში და გულისხმად იქცა.

საჩქაროდ რომ მოგეახლოს, იმ დიაცის მეუღლეს უხმე,

ვინც შველის მჯობი მშვენიერი თვალების მზერით

დაატყვევა მისი არსება!

6

დაე, ცოცხლობდეს ნამაჩივაია,

დაე, ცოცხლობდეს ტერფი ნათჰასი!

დაე, ცოცხლობდეს მისი ტერფი,

ვინც წამითაც კი არ სტოვებს ჩემი გულის ბჭეს!

დაე, ცოცხლობდეს მისი ტერფი - გურუთაგან უდიდესისა,

ვინც სვიანად მართავს ტირუვაავადუტურას!

დაე, ცოცხლობდეს უტკბილესი არსების ტერფი,

ვინც აგამებში ნეტარებად იხსენიება!

დაე, ცოცხლობდეს მისი ტერფი,

ვინც ერთი არის და იმავ დროს, ვინც მრავალია!

7

შლეგს გარქმევ მე შენ, –
ამრიზებული სპილოსაგან ხელით ტყავის შემომძარცველს.

შეშლილს გეძახი, –
ვისაც სამოსად უმძვინვარესი ვეფხის ტყავი შეგიმოსია.

სასიკვდილო შხამის დამლევ შლეგს გარქმევ მე შენ,
შლეგს, რომელსაც უელავს პირი და რომელიც
დაუცხრომლად როკავს ველზე, სად გვამებს წვავენ.

შენი მგმობელი, შენსავ მონად გადაქცეული,
შლეგს გარქმევ მე შენ.

მოზეიმენი, ტელენამის ცეკვას ვცეკვავთ და ვადიდებთ
დაბადებათა ჯაჭვის დამწყვეტის,

ბუდას, ბრაჰმას და ვიშნუსაგან და აგრეთვე ინდრასაგან
ქებაშესხმული, უცნაური, შლეგი მროკავის
ჩვენი მამის ჩვენსავ გულში შემოდგმულ ტერფებს.

შლეგია იგი,
იგი ნიხლით ანგრევს სუფრას, დაქმა-ბრაჰმანის მიერ
ღმერთთა გუნდისათვის გულუხვად გაშლილს.

იგი – ცისიერ ბინადართა შორის პირველი,
სიბრძნით უბრძენეს ბრძენმოდღერებზე აღმატებული,
მამაა ჩვენი პუთურაში დავანებული...

იგი – მიზეზი ყოველგვარი სიკეთისა – მოდის და გვერდით
სამაჯურებით მკლავშემკული დიაცი მოჰყავს,

იგი – ბრაჰმანთა ქალწულების ტყვემქმნელი და
გულის წამლები,

მოხეტიალე განდევილი ხელგანვდილი მოწყალებისთვის,
იგი – შლეგის სახელდებით ვისაც ვადიდებ...


8


მამაჩემია იგი, ჩემი მეუფე, იშა – ქვეყნიერთათვის,
ხოლო თედობს მხოლოდ არდაგი უფარავს, – იქნებ შლეგია იგი?
ოთხივე ვედა, დაფარული მათში აზრი, შასტრების სიბრძნე –
იცოდე ეგე,

მისი არდაგის ქსოვილია მხოლოდ, ჩ ა ლ ა ლ ო !
ველი გვამების დასანვაი – მისი ტაძარი,
ხოლო მძვინვარე ვეფხის ტყავი კაბაა მისი.
დედამამა არ ჰყავს, მარტოხელია, – ხედავ შენ ამას?
დედამამა არ ჰყავს, მარტოხელია, მაგრამ გაბედე და გაახელე,
ფერფლად აქცევს და
მტვრად აღხოცავს მთელ ქვეყანას იგი, ჩ ა ლ ა ლ ო !

9

ბალახი ვიყავ, მცენარე და მატლი და მუხა.
ვიყავი გველი და ფრინველი
და ცხოველთა მრავალფერი სახის მტვირთველი.
ვიყავი ქვა და ძე კაცისა, ავი სული, დევი და ეშმა.
ვიყავ მძლეთამძლე ასური და მუნი და ღმერთი.
ჰოი, შენ – ჩვენო პერუმანო! ყოველ არსად დაბადებული.
ყველა ამ უძრავ და მოძრავი საგნის გულში დავანებული –
მე დავიღალე,
ან, ჭეშმარიტად, შენთა ფერხთა ნათლის მჭვრეტი
მოვიპოვებ თავისუფლებას!





ო, საით მირბი ჩემს მოსაძებნად?
 მიმოიხედე გარეშემო – შენს გვერდით ვდგავარ.
 არც ტაძარში ვარ და არც მეჩეთში,
 არც ქააბაში, არც კაილასში.
 ვერ საჩინომყოფს მე იოგა და წირვა-ლოცვა,
 მსახურება და თაყვანისცემა.
 უკეთუ შენ ხარ ჭეშმარიტი მაძიებელი – უეცრად მპოვებ:
 ერთ მშვენიერ დღეს გზად მიმავალს შემოგეყრები.
 ქაბირი ამბობს: ო, ღვთისნიერო,
 სუნთქვა ცისა და ქვეყანისა – უფალი არის!



უკეთუ ღმერთი მეჩეთშია,
 ვის ეკუთვნის ეს ქვეყანა უკიდევანო?
 უკეთუ რამა ქვაში სუფევს,
 ვილამ გაბრჭოს საქმეები ამა სოფლისა?
 ჰარი მეუფებს აღმოსავლით,
 დასავლეთით ალაჰი ჰგიეს!
 საკუთარ გულში ჩაიხედე –
 იქ იპოვი რამასა და ქერიმის სახეს.
 ყველა კაცი და დედაკაცი
 იმ ერთის ცოცხალ ხატად ქმნილა.
 ო, შეისმინე მეგობარო,
 ქაბირი რამას და ალაჰის გულსავსე ძეა.



აროკდი შვეებით დღეს, გულო ჩემო,
 გარდარეული სიხარულით შესძარ ქვეყანა.
 სიხარულია, რომ ხმოვანებს დღისით და ღამით
 და მას სანუთრო ყურს მიუგდებს სულგანაბული.
 ო, აინყვიტე, გულო ჩემო, შმაგო, უგონოვ,
 ამ ხმაზე როკავს სიკვდილ-სიცოცხლე,
 როკავენ ცა და დედამინა, ზღვა და ველები,
 სიცილმა შესძრა, შეარყია მთლად ეს ქვეყანა.
 რად შევიმოსო მე სამოსი მონაზონისა,
 რატომ განვუდგე ამ ქვეყანას ამპარტავენებით?
 ო, სიყვარულო! გული როკავს ასეული სიხარულის
 აღტაცებითა
 და უფალი გულსავსეა ამ სიხარულით.



სადღაა ბნელი, როცა მზე ნათობს?
 უკეთუ ბნელა, მზე არ ნათობს თავისი ნათლით.
 სადღაა ცოდნა, უმეცრება თუკი გრძელდება?
 უკეთუ მეფობს უმეცრება, მაშინ ცოდნა წარხორცილია.
 სადაც გულისთქმის საუფლოა:
 სიყვარული ვით აღზევდება?
 იქ, სადაც უფლობს სიყვარული, გულისთქმა კვდება.
 ო, ძმაო ჩემო,
 იშიშვლე ხმალი, მიაშურე ფიცხლად ბრძოლის ველს!
 ვიდრე გრძელდება ეს ცხოვრება, – ხმლის ქნევა გმართებს!
 ზურგს არ შეაქცევს მტერს ომშიგან ვინც მამაცია,
 მტერთან პირისპირ შებმას მხოლოდ ჯაბანი უფრთხის.
 იცოდე, – ხმალი მენინავე – ძლიერად მბრძოლი,
 მისი სახელით მოქადული მართლის ხმალია...

ეს ბრძოლა მძიმე და სასტიკი,
ჭეშმარიტების მაძიებლის ბრძოლაა, ბრძოლა მარადყამული,
რადგან მართალი კაცის აღთქმა უფრო მძიმეა,
ვიდრე ქვრივის და მეომრისა;
მეომრებს გაჰყრის ღამის კალთა, კოცონის ცეცხლზე
ქვრივის სიკვდილთან შეჭიდებაც მალე თავდება.
მაგრამ მართალი კაცის ბრძოლა,
ჭეშმარიტების მაძიებლის სასტიკი ბრძოლა გრძელდება მარად...
ქაბირი ამბობს:
როდესაც ველზე გამოჩნდება ძლიერი მამრი,
დამფრთხალი მტერი უომრად გარბის!



ვით განვაცხადო იდუმალი, უთქმელი სიტყვა,
ან როგორა ვთქვა,
რომ იგი ჰგავს ამასა და არა ჰგავს იმას.
უკეთუ ვიტყვი: ჩემს შიგნით არის –
გარემყარი პირს უკუიქცევს.
უკეთუ ვიტყვი: ჩემს გარეთაა –
სიცრუეს ვიტყვი.
მან „შიგმყოფი“ და „გარემყოფი“ ერთურთს შერია,
საცნაური და უცნაური ერთმანეთს შერთო.
ის არც ცხადია, არც დაფარული,
არც ხილული და არც უხილავი.
მას ვერ შემოსავს სიტყვის ძალი,
რომ საცნაურყოს – რა არის და სად არის იგი.



ვისთან მივიდე,
ან სად ვიკითხო მე გზა-კვალი ჩემი მიჯნურის?
ქაბირი ამბობს:
როგორც ტყეს ვერ დაინახავ ხეთა გარეშე,
ეგრევე მიჯნურსაც ვერ იპოვი ხატების გარე.



მე ცნობაშმაგი ვიყავი და დავწყნარდი ახლა.
მე დავიგულე მეგობარი, მე ის ვიხილე.
თავისუფლება მწყუროდა და უღელი მედგა
და მე დავშვერი კირთების ქვეშე.
ქაბირი ამბობს: ან მიუღწეველს მივალნიე
და ჩემი გული მოიკაზმა სიყვარულის ყვავილებითა.



როცა იგი საჩინო ჰყოფს თავისსავე თავს –
ბრაჰმა უმალ შეიმეცნებს იმას, რაც ჩვენთვის
არასოდეს ხილულად არ შეირაცხება.
ისევე, როგორც მტილოვანი ნაყოფს დაისხამს,
როგორც ხეს ახლავს ჩრდილოვანი, ცას სივრცე და
სივრცეს სახე აურაცხელი –
უსასრულოდან უსასრულო წარმოდინდება.
და იმავე დროს, უსასრულო დასასრულად თავს დაისაზღვრებს:
ყოველი ქმნილი ბრაჰმაშია,
ხოლო ბრაჰმა ქმნილში არსებობს.
გაყოფილია მათი ყოფა,
მაგრამ მუდამ შეერთებულიც.

ის თავად არის თესლი, ხე და მისი ნაყოფიც.
 ის თავად არის ჩანასახი, მტილი და ჩრდილიც.
 ის თავად არის მზე, ნათელი და ნათელყოფა.
 ის ბრაჰმაც არის, ყოფადიც და მაიას ბურიც –
 ის მრავალსახე სახოვნება, უსასრულო განფენილობა.
 ის თავად არის სუნთქვა, სიტყვა და შემეცნება.
 ის თავად არის უსაზღვრობაც, დასაზღვრულობაც.
 ბრაჰმაში და ქმნილებაში მტკიცედ მდგარი გონია იგი,
 გულთა შინა საცნაური უზეშთესი, მაღალი სული,
 სულთა შინა საცნაური უზეშთესი, მაღალი არსი,
 და არსთა შინა საცნაური თინათინი – კვლავ სახილველი.
 ო, ქაბირი კურთხეულია –
 მან იხილა უზეშთესი მოსახილველი!



უსაფუძვლოა, წმინდანს ჰკითხო, რა წოდებას ეკუთვნის იგი,
 რადგან მეომარს, ვაჭარს და წმინდანს
 და ოცდათექვსმეტ წოდებასვე ერთნაირად ხედავს უფალი.
 სიგიჟეა, წმინდანს ჰკითხო, რა წოდებას ეკუთვნის იგი:
 ღმერთს ეზიარა მეთულუხჩე, დურგალი და ოქრომჭედელი,
 რაიდასიც კი ღმერთს ეძიებდა.
 ბრძენი სვაპაჰა მეჯადაგე იყო ხელობით.
 შინდონი და მუსულმანნი ერთნაირად იპოვებდნენ
 საუკუნო მადლს,
 რომლის წიაღში უმცირესი განსხვავებების ნიშანწყალიც
 წარხოცილია.



დაუსაზღვრელის ბჭეებამდე
დასაზღვრული როკავს და გალობს: ორივე ერთი ვართ!
მოდღვარი დაბლა იხრება და ჩურჩულით გვმოდღვრის:
ეს უდიდესი სასწაულია.



აყვავებული მტილოვანის საჭვრეტად მიხვალ?
ო, მეგობარო,
თავად შენშია მტილოვანი აყვავებული!
ათასფურცლოვან ლოტოსის გულში იპოვე ბინა
და მუნვე ჭვრიტე წარუვალი მშვენიერება.



ცთომილებანი დარაჯობენ სასახლის კარებს –
სიყვარულის გასაღებით გააღე იგი
და შენ – განხმულ კართა შინა მიჯნურს იხილავ.
ქაბირი ამბობს: ო, ძმაო, ამგვარ ნეტარებას
გვერდს ნუ აუვლი.



ვინ უნდა გაყოს სიყვარული შენს და ჩემს შორის?
როგორც ლოტოსის ფოთოლია მდინარის ახლოს,
ეგრევე შენა ხარ მეუფე და მე შენი მონა.
როგორც ჩაკორი, ღამეული, უსახო ჩიტი,
მთელი ღამე მთვარეს შესცქერის,
ეგრევე შენა ხარ მეუფე და მე შენი მონა.
დასაბამიდან ვიდრე ჟამთა დასასრულამდე
სიყვარულია შენს და ჩემს შორის
და ვინ შემუსროს ბჭე ასეთი სიყვარულისა.
ქაბირი ამბობს:
როგორც მდინარე ეზავება ზღვას უნაპიროს,
ეგრევე გული ჩემს მეუფესა.



მე არც უღმერთო კაცი ვარ და არც ღვთისნიერი.
მე არც გონების და არც გულის კარნახით ვცხოვრობ.
არა ვარ არცა ქადაგი და არცა მსმენელი,
არც უაზნო და არც აზნაური.
არც შერთული ვარ, არც ცალკერძ მყოფი.
მე შორსა ვარ მავანისაგან:
მე მავანთან დია ახლოს ვარ.
მე უამრავ საქმესა ვრენავ, მაგრამ არ მაქვს რამ სამუშაო.
ცოტას თუ ესმის ჩემი სიტყვა:
ის, ვისაც ესმის, უჩუმრად ჰგიეს,
ქაბირს არა სურს არც დაქცვა, არც დადგინება.



ამ თიხის სანყაულის შიგნით
ჩრდილოვანი ჭალაკი და მღვიმეებია
და მის შიგნით ჩემი მეუფეა.
ამ თიხის სანყაულის შიგნით
წმინდა მდინარე დის
და მის შიგნით საუკუნო ზარი ხმიანებს.
ქაბირი ამბობს: ყური დამიგდე, მეგობარო,
შიგნით ჩემი სანატრელი მეუფე ჰკიეს.



შემოქმედს შეაქვს არსის გულში ხარების თრთოლვა.
ცა და დედამინა მისი ხარებაა.
მისი ხარებაა მთვარისა და მზის ელვარება.
მისი ხარებაა დასაბამი, საშუალი და დასასრული.
მისი ხარებაა თვალისჩინი,
უკუნეთი და ნათლის შუქი.
მისი ხარებაა ოკეანე, ჯუმნა და განგი.
მისი თამაშია წყალი და ხმელი, მთელი სამყაროც.
მისი თამაშია მინა და ზეცა.
ლალი თამაშით მოიხვეჭა ქმნილმა სრულყოფა,
ლალი თამაშით განმტკიცდა და დადგენილ იქმნა.
ქაბირი ამბობს:
მთელი სამყარო მის თამაშზე დაფუძნებულა,
მაგრამ თავად მოთამაშე არვის უხილავს!



ეს დღე ამო და ძვირფასია ყველა სხვა დღეზე,
 რადგან დღეს ჩემი სანატრელი მბრძანებელი მენვია სტუმრად.
 ჩემი ერდო და ბჭეთა კარი დაამშვენა დღეს ამ სტუმრობამ.
 ტრფობით შეძრული ჩემი გული დღეს მას უგალობს
 და იძირება მის უკიდო სილამაზეში.
 სანუკვარ სტუმარს ფეხებსა ვბან
 და თვალეებში შევცქერი უხმოდ
 და მის წინ მომაქვს საზორველად
 ეს ჩემი სული და სხეული და ყრველი, რაც მახადია.
 კურთხეულია დღე იგი, როცა
 ჩემი მიჯნური სანატრელი სტუმრად მენვია.
 გულს სიავე და სიბოროტე შორდება უმალ,
 როდესაც ვუმზერ მბრძანებელს ჩემსას.
 ჩემი უსაზღვრო სიყვარული მისწვდა მის ტერფებს
 და სული მისწვდა მის უკიდო, შეუწერელ ჭეშმარიტებას.
 ქაბირი ამბობს:
 ყველა მსახურის მსახურია დღეს ჩემი გული.



მითხარი, ძმაო, საკუთარ თავს როგორ განვუდგე?
 როდესაც ქამარს ვიხსნი და ვიძლევი,
 მე გულისპირი მიჭერს და მბოჭავს.
 როდესაც ჩოხას ვიხდი და ვიძლევი,
 სხეული მაინც სამოსში მაქვს გამოხვეული.
 როცა უარვყოფ მე გულისწყრომას –
 მტრობა და ღვარძლი გულში მაქვს ისევ.
 როცა შევმუსრავე ღვარძლსა და მტრობას –
 მე უძღებობა მიღვივის გულში.
 როს უძღებობას აღვიგვი გულით –

ცუდმედიდობა კვლავ გულში მიზის.
როცა გონება მოიძარცვავს მაიას ბურანს –
მე მაინც კიდევ მისი ბეჭდით ვარ დაბეჭდილი.
ქაბირი ამბობს:
ყური დამიგდე, ძმავ, საყვარელო!
ჭეშმარიტი გზა დია ძნელად საპოვნელია.



ჩემი მეუფის ვებერთელა გუმბათის ქვეშე
აურაცხელი მზე, მთვარე და ვარსკვლავი ბრწყინავს.
იგი გულია ჩემს გულსა შინა,
იგი თვალია ჩემს თვალსა შინა
ო, რომ შეეძლოს ჩემს გულს და თვალს მისი შეხება!
ო, რომ შეეძლოს სიყვარულით მივწვდე ჩემს მიჯნურს
და გავაგონო ჩემი გულის წრფელი ძახილი!
ქაბირი ამბობს:
როს შენი ტრფობა შერწყმულია შენსავ სატრფოსთან,
სიყვარული სრულყოფას აღწევს!



მე მეცინება, როცა მესმის,
თევზი წყალში მწყურვალაო.
ჭეშმარიტება ვერა ჰპოვე შენსავე სახლში
და მინდორველად დაეხეტები?
მე გასწავლი ჭეშმარიტებას!
საითაც გინდა, იქით წადი –
გინდ ბენარესს, გინდა მატურას:
თუ შენსავ გულში ვერ იპოვი ღვთიურ სიმართლეს,
ეს ქვეყანა მკვდარია შენთვის!



ვინ შეაგონა ქვრივს – დაინვას
თავისი ქმრის სამარხ კოცონზე?
ანდა მიჯნურს ვინ ასწავლა –
ნეტარება მოიპოვოს განდევნობით?



მე ჭეშმარიტად მომწონს ის კაცი,
ვისაც ყარიბის სამშობლოში კვლავ მოხმობა ხელენიფება.
სამშობლოშია ჭეშმარიტი სიცოცხლის ფესვი,
სამშობლოშია კურთხევა და ნეტარება უზენაესი!
რატომ განვუდგე მე სამშობლოს
და უმეცრად ტყეს შევეფარო?
უკეთუ ბრაჰმა მე სიმართლის მიღწევაში დამეხმარება –
მე დია ვპოვებ სამშობლოში
მონობასაც და უსაზღვრო თავისუფლებას.
მე ჭეშმარიტად მომწონს ის კაცი,
ვინც იცნობს ბრაჰმას
და მისი ღრმა და უზეშთესი სასუფეველის
გულისყურით შემეცნება ხელენიფება.
ქაბირი ამბობს:
საუკუნო სამკვიდროა სამშობლო, მასში
ჭეშმარიტების უსასრულო სიკეთე ღვივის.
მხოლოდ სამშობლოს მეოხებით ძალუძს სულდგმულს
მოიპოვოს ჭეშმარიტება!
დარჩი იქ, სადაც შენი ძველი სამკვიდრო არის
და ყველაფერი თავის დროზე შენსკენ წამოვა.



მდინარეში ზვირთები ჰქმნიან მიმოქცევის ერთობლივ ნაკადს:
სადღაა ზღვარი მდინარესა და ზვირთებს შორის?
როდესაც ზვირთი მოიქცევა – წყალია იგი,
როცა ნაპირზე დაიმსხვრევა – იგივე წყალია,
სად უნდა ნახო მათ შორის ზღვარი?
რატომ არ იყო განჭვრეტილი მოაქყამამდე,
რომ იგი, რასაც ზვირთი ჰქვია წყალია მხოლოდ?..

უზენაესი ბრაჰმას შიგნით
აურაცხელი სამყარონი მძივებსა ჰგვანან:
ო, მეგობარო, ამ ვარდის ბალნარს გონიერი თვალით უჭვრიტე!



ო, გულო ჩემო, გაიღვიძე, აღდეგ ძილისგან:
მაღალთა მეფე და ხელმწიფე გენვია სახლში.
ო, გაიღვიძე, გაიღვიძე,
ამბორი უყავ სანატრელი მიჯნურის კალთას.
დიდხანს გეძინა, დიდი ჟამი განლიე რულში
და ნუთუ ახლა, როცა თავთით გიდგას მეუფე,
ამ მზიან დილით არ აღდგები შენ ძილისაგან?



მე ჩემს სხეულში განმიცდია ნუთისოფლის თავის შექცევა:
მაგრამ სანუთროს ცთომილებას მე განვუდექი.
შინაგანი და გარეგანი ერთ ცად შეიკრა,
სასრული და უსასრულო შეირწყა ერთად
და მე მთვრალი ვარ შემცნობელი ამ საოცრების.
ყოველს, ცას და მყარს, აცისკროვნებს ო, უფალო
შენი ნათელი –
ცოდნის ლანგარზე ანთებული კელაპტარი სიყვარულისა.
ქაბირი ამბობს:
იქ არ არსებობს ცთომილება
და არც სიცოცხლის და სიკვდილის მტკივნეული
და საზღვრულობა.



იქ, სადაც სულის საუფლოა,
სადაც მეუფებს წელინადის ალოთა მეფე –
უდარებელი მგალობელი თვის გულში გალბს.
სად უთვალავი კრიშნა სუფევს ხელდაკრეფილი,
სად უთვალავი ბრაჰმა ვედებს კითხულობს ჩუმად,
სადაც უთვალავ ვიშნუს მუხლი მოუდრეკია,
სად უთვალავი შივა ჭვრეტად არის დანთქმული,
სადაც უთვალავ ინდრას თვალი ცად აღუპყრია,
სად თვლა არა აქვთ ბრძენმოძღვართ და ნახევარღმერთებს –
ჩემი უფალი იქ თავის თავს თავად ამჟღავნებს.



მინყივ მბრუნავი ცათა ფერსოს შუაგულში
რა ჯადოსნური ლოტოსია ასე რომ ჰყვავის?
მცირეთ უწყიან ჭეშმარიტი მისი მშვენება.
გალობა ისმის მის გარშემო
და უსასრულო ოკეანის შვებას ერწყმის იქ კაცის გული.
ქაბირი ამბობს:
ჩაულრმავდი ნეტარების ამ ოკეანეს,
დაე, სიცოცხლის და სიკვდილის ყველა ცთუნება
განქარდეს შენში!



საცნაურის და უცნაურის ზღვართა შუა მერყეობს გონი.
ყველა არსი და მთლად სამყარო ამ გონზეა დაფუძნებული
და ეს მიზეზი მოქმედია მარადჟამულად.
აურაცხელი არსი ჰგიეს მის საუფლოში
და მუნვე იძვრის ვარსკვლავები, მზე და მთოვარე.
აურაცხელი საუკუნე მოვა და წავა,
ხოლო ის ქმედობს მარადჟამულად.
ქმედობა არის ყოველივე!
ცა და ქვეყანა, წყალი, ჰაერი.
თავად უფალიც მარად ჟამს ქმედი.
ამის მხილველი – მის მსახურად იქცა ქაბირი.



ჩემი უფალი უცნაურად მალავს თავის თავს
და საკვირველად
ჩემი უფალი თავს თვითონვე ამჟღავნებს ხოლმე.
ჩემმა უფალმა შეუვალი ციხით შემზღუდა
და ამგვარადვე
ჩემმა უფალმა ეს ზღუდენი გააცამტვერა.
ჩემს უფალს მოაქვს ჩემთვის ჭმუნვა და სიხარული
და ჩემივე უფალი შლის მათ შორის საზღვარს.
ჩემი უფლისად მომაქვს მსხვერპლად
მე სული და სხეული ჩემი
და ნუთისოფელს იმისთვის ვთმობ,
რომ არასოდეს დამავინწყდეს უფალი ჩემი.



შელამებამ დაივანა მღვიმეებსა და ჭალაკებში
და სიყვარულის მჭმუნვარება შემოადგა გულს და გონებას.
გააღე კარი, მეგობარო,
დასალიერის უსასრულო ცას შეერიე –
სვი გოლეული დაღვენთილი გულის ლოტოსზე.
ქაბირი ამბობს: შეხედე, ძმაო,
ჩემი სხეულის სანყაულში ჰგიეს უფალი!

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ნ ა ლ ა დ ი ი ა რ ი

1. მრავალფერი ქამადი. იგულისხმება ექვსი გემო სასმელ-საჭმელისა: მწარე, მლაშე, ტკბილი, მწკლარტე, მჟავე, ცხარე.
10. ე. ი. ცხოვრობენ როგორც განდეგილები, მაგრამ განდეგილებივით არ იღწვიან.
16. სქანდა. შივას ერთ-ერთი გამოვლინება.
20. შულდაკი. შთასადებელი მგზავრთ სატვირთავი (საბა).
35. ძალისხმევა: აქტიურობა. აქტიურობა წვენივით გადაინურება მომავალ დაბადებაში. შაქარყინული მომავალ დაბადებაში მიღებული აქტიურობის ნაყოფია.
40. ჯაინები მათხოვრობას დამამცირებლად თვლიან.
44. შებმისას თევზები ერთმანეთისაკენ თავებით მოტრიალდებიან და, გვერდიდან რომ შეხედო, თვალებს გვანან. ორი ნუშისებურად გრძელი თვალი ბრძოლად გამზადებულ ორი თევზის მოგონებას აღძრავს.
47. შეგრძნების ასონი: genitalia, anus-ი, პირი, თვალები, ნესტოები, ყურები. შავი კანის ელვარება... ქალის გლუვი, კრიალა კანი ის შავი ფარდაა, რომელიც ქალის ქეშმარიტ ბუნებას გვიმაღავს.
48. ძველად ჯაინები მიცვალებულებს ორმოებში დებდნენ.
52. მოვალეობა: ღჰარმა. ადამიანის საზოგადოებრივი მდგომარეობითა და ინტელექტუალური დონით გაპირობებული რელიგიური მოვალეობა, თავის მხრივ, ადამიანის მდგომარეობაცა და გონებრივი დონეც მისი წინანდელი ცხოვრების მოღვაწეობით – კარმით – არის განსაზღვრული. გრამატიკა და ვარკვლავთმრიცხველობა... აქ იგულისხმება საერთოდ მეცნიერება.

81. ჯოჯოხეთი. ჯოჯოხეთის ერთერთი სკნელი, სადაც ცოდვილებს თიხის ჭურჭლის გამოსანვავ ქურაში წვავენ.

85. აკუმბი. ესე არს არც მამალი, არც დედალი ... (საბა). ჰერმაფროდიტი.

100. კათჰა – 8 კმ. იოჯანუ – 16 კმ.

110. ადამიანს დაბადებამდე აქვს შუბლის ძვალზე დაწერილი თავისი ხვედრი და წინასწარგანჩინება.

129. კარმა: საქმე, მოღვაწეობა. ინდუიზმის ცენტრალური ცნება. ცოცხალი არსების ყოველი ქცევა გავლენას ახდენს მომავალ დაბადებაში მის ცხოვრებაზე. ავი საქმე სულის ტანჯვას იწვევს, კარგი – სულის ნეტარებას მომავალ ცხოვრებაში. ეს საქმეები ბადებენ კარმას, ხოლო კარმა აიძულებს სულს განხორციელდეს ცხოველის, ადამიანის ან ღმრთის სხეულში. ამრიგად, კარმა თითქოს ქცევებისა და საქმეების ირგვლივ შექმნილი ძალისმიერი ველია, რომელიც თავისკენ იზიდავს სხეულებს.

თ ა მ ი ლ უ რ ი ჭ ა ნ გ ე ბ ი

აპარი, VII ს. შივაელი სანტუ (წმინდანი). მდიდარი ოჯახის შვილი. ჭაბუკობისას ჯაინიზმს შეუდგა და ჯაინელთა დიდ მონასტერს მეთაურობდა. შემდეგ შივაიზმი აღიარა და ამ მოძღვრებაზე მოაქცია მეფე მაჰენდრავარმან I. ყარიბობისას შეეყარა სახელგანთქმულ შივაელ ჭაბუკს სამბანდარს, რომელიც, ლეგენდის თანახმად, თავის პატარძალთან ერთად ქორწინების დროს მიიცვალა, რათა მალე მიეღწია შივასთან ზიარების მარადიული ნეტარებისათვის. მათი შეხვედრისას სამბანდარმა მამა (აპარ) უწოდა, რის შემდეგაც ამ სახელით იწოდებოდა. მისი საგალობლები ემოციურია და თუმცა გვხვდება სტანდარტული ეპითეტები, მათში გამჟღავნებულია ღვთისადმი თაყვანისცემის ინდივიდუალური სული. თავის ლექსებში იგი სირცხვილით იგონებს იმ დროს, როცა ის ჯაინიზმის მიმდევარი იყო (საგალობელი - 4). დარჩენილია მისი 3110 ოთხსტრიქონედი იმ 49000-დან, რომელსაც მას სუნდარარი მიაწერს. მას ჰყავდა ცოლი და ღრმადმოხუცებული გარდაიცვალა.

კარაიკალი, VII ს. ლეგენდის მიხედვით დაბადებულია ქალაქ კარაიკალში, მდიდარი ვაჭრის ოჯახში. იყო სათნო მეუღლე და სამაგალითო დიასახლისი. შემდეგ უარჰყო ამქვეყნიური ცხოვრება და შივას წყალობით დიაცური მოჩვენების სახე მიიღო. სუნდარარი ამბობს: ამ მოჩვენება-დიაცის მონა ვარო მე. კარაიკალის საგალობლებში მრავალი თაობის უმდიდრესმა საკულტო გამოცდილებამ შეიმოსა ლიტერატურული მოდიფიკაცია. მაგალითად: მეორე საგალობელში გამოხატული შივას როკვა სათავეს იღებს წინაარსილი ხანის დასაკრძალავი რიტუალიდან.

სუნდარარი, VIII ს. დაიბადა ბრაჰმანთა ოჯახში. ლეგენდა გვამცნობს: ჩვიდმეტი წლისამ შეირთო მოცეკვავე გოგონა და თითქმის მაშინვე იქორწინა მეორე ცოლზე. თვრამეტი წლისამ დასტოვა ამქვეყნიური განსხეულება, რათა კაილასში – შივას სამყოფლოში დაბრუნებულიყო. მისი ცხოვრება ღმერთზე გონებადაუნჯეული განდევილისა და თავდავიწყებული ფანატიკოსის ცხოვრებას კი არ გავდა, არამედ ღვთისა და ბედის ნებიერისას. ყრმობაში იგი იშვილა მეფემ. ღვთისადმი ლტოლვა მის გულში შერწყმული იყო მიჯნურობასთან. მას ათრობდა თავისი დიდება, სწორუპოვარი პოეტური ნიჭი და სულიერი რჩეულობა.

მისი ნატიფი ლირიკა დაცლილია ნატურალიზმისაგან. იგი უპირატესად რეფლექსურია და ავტორის განწყობილებების გამომხატველი.

ტირუმულარი, VIII ს. გადმოცემა გვაუწყებს, რომ იგი დაემონაფა მითიურ ნანდის – კამეჩს, რომელზეც შივა იყო ამხედრებული. შივაურ მითოლოგიაში კამეჩი ნანდი პირველი შივაელი გურუა (მოძღვარი). ზეპირი გადმოცემის თანახმად მისი ლექსები სამბანდარმა ავადუტურის ტაძრის საკურთხეველში იპოვნა. ერთ საგალობელში ტირუმულარი ამბობს: ღმერთმა მე კარგად შემეძნა, რათა კარგადვე ვუგალობო მას თამილურზეო. ნიგნში დაბეჭდილ საგალობელში ცხადად ჩანს ღვთაების აბსტრაქტული ხასიათი. ავტორის მისდამი დამოკიდებულება უფრო ინტელექტუალურია, ვინემ ემოციური.

ნ ა მ ა ლ შ ა რ ი, IX ს. სახელგანთქმული ვიშნუელი აღვარი (ე.ი. ჩალრმავებული, იგულისხმება – საკუთარ სულში). თქმულება გვეუბნება: ჩვილი ნამი ძუძუს არ წოვდა და ხმას არ იღებდა. გაოცებულმა მშობლებმა იგი ვიშნუს ტაძარში წაიყვანეს, იქ თექვსმეტი წლის ქაბუკ იოგს გამოეცხადა ვიშნუ და მის ბაგებს მშვენიერი გალობანი აღმოათქმევინა. ნამალვარის ყველაზე დიდი კრებულია ტირუვაიმოლი (სიტყვა წმინდა ბაგეთა), რომელიც 1000 გალობისაგან შედგება.

მ ა ნ ი კ ა ვ ა შ ა გ ა რ ი, IX ს. დაიბადა ბრაჰმანის ოჯახში სოფელ ვადავურანში, რომლის სახელსაც ატარებდა, ვიდრე მანიკავაშაგარი – ლალისსიტყვიანი არ უწოდეს. შივაური იდეების ენციკლოპედიურობით, მათი გადმოცემის მრავალფეროვნებითა და ემოციური ძალმოსილებით შივაიზმის უდიდეს მოძღვრად არის აღიარებული. ავტორი ტირუვაშაგარისა, რომელიც შაივაბჰაქტის ლიტერატურის ცენტრი და მისი განვითარების კულმინაციური წერტილია. ამ „თამილურ უპანიშადებში“ რელიგიური გრძნობა არაჩვეულებრივ ძალასა და სისავსეს აღწევს. პოემაში განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ ღვთის თაყვანისცემა ყველა ქვეყნიურ მოვლენას, ყველა საგანსა და მიკროკოსმოსურ ასპექტში თვით სუბიექტსაც მოიცავს. ღვთის თაყვანისცემა მასთან ფილოსოფიურ-რეფლექსიასაც გულისხმობს.

მანიკავაშაგარი ჯერ კიდევ სიჭაბუკეში ხდება მადურის მეფის ვაზირთა უპირველესი. მისი სახელმწიფო მოღვაწეობა და შინაგანი რელიგიური ცხოვრება აბსოლუტურად გათიშული იყო. როცა მათი შეთავსება შეუძლებელი გახდა, მან მიატოვა მეფის კარი, რათა შივაელთა სალოცავები მოეხილა. მანიკავაშაგარი 31 წლისა გარდაიცვალა.


ქ ა ბ ი რ ი

ქაბირი, XV ს. ბენარესის მაჰმადიანი ფეიქარი, გენიალური პოეტი – ბჰაქტი, რომლის მიერ დაარსებული რელიგიური სექტა დღემდე არსებობს ინდოეთში. ქაბირმა სიკეთით აღსავსე, მოსიყვარულე და თავისუფალი ღმერთის ცოცხალ განცდაში შერწყა ინდური ბჰაქტიზმისა და მუსლიმანური სუფიზმის ტრადიციები. იგი იცნობდა ჰაფეზის, ხაიამისა და ჯელალ ედდინ რუმის პოეზიას.

ლეგენდა გვაუწყებს, რომ ქაბირის გარდაცვალების შემდეგ მის მაჰმადიან და ინდოელ მოწაფეებს, თავთავიანთი წესით მონდომებით მისი დაკრძალვა: მაჰმადიანთ სურდათ დაემარხათ იგი, ხოლო ინდოელთ დაეწვათ მისი გვამი. ქაბირი გამოცხადებია მოპაექრე მოწაფეებს და უბრძანებია აეხადათ მისი ცხედრისთვის საფარველი. როდესაც საფარველი ახადეს, გაოცებულმა მოწაფეებმა თურმე მშვენიერი ყვავილები იხილეს, რომელთა ნახევარი მაჰმადიანებმა მეგარაში დამარხეს, ხოლო მეორე ნახევარი ინდოელებმა წმინდა ქალაქ ბენარესში დასწვეს.

ქაბირის საგალობლები შეაგროვა, ინგლისურად თარგმნა და 1915 წ. გამოაქვეყნა რაბინდრანატ თაგორმა.

ეს შენიშვნები ძირითადად წინასიტყვაობაში მითითებული გამოკვლევებიდან არის ამოკრეფილი. — თ. ზ.



ॐ ॐ ॐ ॐ ॐ ॐ ॐ ॐ ॐ ॐ ॐ

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

თავის წიგნში — „ინდოეთის აღმოჩენა“ ბჰაგავატგიტას შესახებ ნერუ წერდა: „მასში არის უბერებელი, მარადი განახლების უნარის მქონე რალაცნაირი შინაგანი თვისება, რომელსაც, კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ძალა შესწევს სერიოზული მიკვლევისა და ძიებისა, განჭვრეტისა და მოქმედებისა, მდგრადობისა და წონასწორობისა... იგი ერთიანად განმსჭვალულია ცვალებადი გარემოცვის მიმართ უპირატესობის სულით“. 2500 წლის განმავლობაში ეს წიგნი გაცხოველებული კამათის საგანი, ფილოსოფიურ და რელიგიურ მიმდინარეობათა შთაგონების წყარო და მოაზროვნეთა და განმანათლებელთა ზნეობრივი საყრდენი იყო. შანკარა (X ს.) და რამანუჯა (XI ს.) — ორი უდიდესი ინდოელი ფილოსოფოსი — გიტას კომენტატორები იყვნენ. ბჰაგავატგიტას შეგონებანი დაედო საფუძვლად ვიშნუიზმის რელიგიურ-ფილოსოფიურ სკოლას, რომლის მოძღვრებამ შუასაუკუნეების ინდოეთში ევროპული რენესანსის ბადალი კულტურული აღორძინება გამოიწვია. გიტა სამაგიდო წიგნი იყო განდისა, რომელიც ამბობდა: „არაფერი ისე არ მხიბლავს მე, როგორც გიტა და რამაიანა, მუსიკა ამ ორად-ორი წიგნისა, რომელთა ცოდნაც მე შემიძლია დავიჩემო“. გიტაზე გამოკვლევები აქვთ დაწერილი დიდ თანამედროვე ინდოელ ფილოსოფოსს აურობინდო გჰოშს და ინდოეთის ყოფილ პრეზიდენტს სარვეპალი რადჰაკრიშნანს. ამ უკანასკნელმა 1948 წ. ნიუ-იორკში ბჰაგავატგიტას მეთხუთმეტე ინგლისური თარგმანი გამოაქვეყნა.

ევროპაში გიტა პირველად 1785 წ. გაიცნეს უილკინსის ინგლისური თარგმანით. საინტერესოა, რომ ამ თარგმანის ინიციატორი და წინასიტყვის დამწერი ინდოეთის პირველი გენერალ-გუბერნატორი უორენ ჰასტინგსი (1732-1818) იყო. „ამ დიდმა კაცმა, ამ დამპყრობელმა, დაიმორჩილა რა ინდოეთი, იგრძნო და საჯაროდ

*ჯ. ნერუ. ინდოეთის აღმოჩენა. მოსკოვი, 1955 წ. გვ. 112.

აღიარა ვედების ქვეყნის სულიერი უპირატესობა. მან ოსტ-ინდოეთის კომპანიის თავმჯდომარეს ურჩია ეთარგმნათ გიტა^{*}. მასვე ეკუთვნის წინასწარმეტყველური სიტყვები: ინდური ფილოსოფიის შემქმნელები იცოცხლებენ, როცა ინდოეთში ბრიტანეთის ხელისუფლება დიდხნის გაუქმებული იქნებაო.

უკვე ორი საუკუნეა, რაც გიტას იცნობენ ევროპაში და ამ ხნის განმავლობაში მას, ისევე როგორც უპანიშადებს და ინდური ფილოსოფიის სხვა ძეგლებს, გამუდმებით მიმართავდა დასავლეთის მაძიებელი გონი. ფრანგი ფილოსოფოსი ვიქტორ კუზენი (1792-1867) წერდა: „როდესაც დაკვირვებით ვსწავლობთ აღმოსავლეთის პოეტურ და ფილოსოფიურ მიმდინარეობებს, უწინარესად კი ინდოეთისას, რომლებიც ევროპაში იწყებენ გავრცელებას, მათში ღრმა ჭეშმარიტებათა დიდ სიმრავლეს ვპოულობთ. ეს ჭეშმარიტებები იმდენად დიდ კონტრასტს წარმოადგენს იმ მიღწევათა არარაობასთან, რომელზედაც ხანდახან ჩერდებოდა დასავლეთის გონი, რომ იძულებული ვხდებით ქედი მოვიდრიკოთ აღმოსავლეთის მიღწევათა წინაშე და კაცობრიობის ამ აკვანში უმაღლესი ფილოსოფიის სამშობლო დავინახოთ“. ამასვე აღიარებს მაქს მიულერი: „მე რომ მეკითხა ჩემი თავისთვის, ჩვენ, ევროპაში, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ბერძენთა, რომაელთა და ერთ-ერთი სემიტი ხალხის — ებრაელთა აზროვნებაზე აღზრდილთ, რა წყაროებიდან უნდა შეგვეძინა ის კორექტივი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი შინაგანი ცხოვრება უფრო სრულყოფილი, ყოვლისმომცველი, საყოველთაო და არსებითად უფრო ჭეშმარიტად ადამიანური გაგვეხადა, გვექცია იგი აღორძინებულ და მარადის ცხოვრებად — ისევ და ისევ ინდოეთზე უნდა მიმეთითებინა“.

გიტას იდეების სიღრმითა და სილამაზით მოხიბლულნი იყვნენ გოეთე და ჰეგელი, ტორო და ემერსონი. ჰარტმანმა ფილოსოფიური გამოკვლევა უძღვნა გიტას, ხოლო შოპენჰაუერს ციტირებული აქვს იგი (იხ. შენიშვნები. II, 19 და XVI, 21).

* რ. როლანი. ტ. XIX, ლენინგრადი, 1936 წ., გვ. 237.

რომენ როლანი, არ ეთანხმებოდა რა ზოგიერთ ევროპულ მეცნიერს, რომლებიც ინდურთან შედარებით დასავლური ფილოსოფიის უპირატესობად ამ უკანასკნელის მიერ ცოცხალი მოქმედებისა და ღვთაებრივი ჭვრეტის შეთავსებას მიიჩნევდნენ, განმარტავდა: „რა არის გიტა, თუ არა მოქმედების ჰეროიკული ეგზალტაცია?.. გიტა ახლაც სამოქმედო წიგნია განდისა და აურობინდო გჰოშისათვის, როგორც წინათ — ვივეკანანდასთვის. აურობინდო გჰოში გიტას ღმერთს განიხილავს არა მარტო როგორც გონითი შემეცნების მეშვეობით გამჟღავნებულს, არამედ როგორც ღმერთს, რომელიც წარმართავს და ხელმძღვანელობს ჩვენს მოქმედებასა და ბრძოლას, სრულყოფისაკენ მთელ ჩვენს მისწრაფებას, როგორც საქმეთა და მსხვერპლთა უზენაეს მეუფეს, ხალხთა მეგობარს, — ჩვენი დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი თ.ჩ.) იტყოდა: ასპარეზზე მებრძოლთა წინამძღვარს“.

XX ს. გიტასადმი ინტერესი კიდევ უფრო გაღვივდა. მას თარგმნიან ევროპულ ენებზე სახელგანთქმული ფილოლოგოსი მეცნიერები, სანსკრიტული ენისა და ძველი ინდური ფილოსოფიის გამოჩენილი მკვლევარები, პოეტები, ინდოელი მოძღვარნი და სახელმწიფო მოღვაწეები. გიტა 15-ჯერ არის თარგმნილი ინგლისურად. გერმანულად გიტას 10-მდე თარგმანი არსებობს. რამდენჯერმეა იგი თარგმნილი ფრანგულად, იტალიურად, პოლონურად და რუსულად.

ბჰაგავატგიტა „ღვთაებრივ გალობას“ ნიშნავს ქართულად. იგი 18 წიგნისაგან შემდგარი, უზარმაზარი ინდური ეპოსის — მაჰაბჰარატას მეექვსე წიგნის შემადგენელი ნაწილია. თვითონ გიტა 18 თავისაგან შედგება და 700 შლოკას — ორსტრიქონედს მოიცავს. გიტას სიუჟეტი ეპიკური ჩარჩოთი უკავშირდება მაჰაბჰარატას ეპოპეას.

მაჰაბჰარატა მოგვითხრობს ორი მონათესავე გვარის — დრი-თარაშტრასა და მისი ძმის — პანდუს ძეთა ბრძოლის ამბავს. მონინალმდებენი კურუს სამეფო გვარს ეკუთვნიან, მაგრამ ვინრო

* რ. როლანი. ტ. XX. გვ. 162-163.

მნიშვნელობით კაურავები, ე. ი. კურუს ნაშიერნი — დრიოარაშტრას პირდაპირ შთამომავალთ ენოდებათ, ხოლო პანდავები — პანდუს შთამომავალთ. ომს აჩალებს დრიოარაშტრას უფროსი ძე — დურიოდჰანა, რაც „ძნელადდასაძლევს“ ნიშნავს. იგი ადამიანის გულში დავანებული ცოდვის სიმბოლოა. გიტა ინყება ბრმა დრიოარაშტრას შეკითხვით, რომელიც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებს. კრიშნასა და არჯუნას დიალოგს დრიოარაშტრას მისი მეეტლე სანჯაია გადასცემს. თავისი საქმის სიმართლეში დარწმუნებული არჯუნა, თეთრჭუნებშებმული საომარი ეტლით გადის ბრძოლის ველზე. არჯუნას ეტლს ღვთაებრივი წინამძღვარი — კრიშნა მართავს.

არჯუნა „ნათელს“, „დილის რიყრაჟს“ ნიშნავს. იგი თეთრია, ვითარცა გამოვლენილი ჯივა — ინდივიდუალური „მე“, რომელსაც გამოუვლენელის სიღრმეებიდან კოსმოსური „მე“ — კრიშნა ანუ შავი განაგებს. აქ ბრძოლის ველიც სიმბოლურადაა გაგებულნი. კურუს ველი გააზრებულია როგორც დჰარმის, ე. ი. ღირსების, მოვალეობისა და კანონის ველი, როგორც საერთოდ კაცის ცხოვრება, მისი მოქმედებისა და ბრძოლის ადგილი. ამ ომში არჯუნამ თავისი არსებობა და სიმართლე უნდა დაიცვას. არჯუნა ქშატრია — მეომარი არის და ვალდებულიცაა იომოს. მით უმეტეს, რომ ეს „შჯულიერი ომია“. მაგრამ ბრძოლის ველზე გასულ არჯუნას ავი წინათგრძნობა იპყრობს. „ფოკუსში თავმოყრილ სხივებივით შეიკრიბა აქ გვარისა და ნათესავთა „კარმის ძაფები“ და წარსული წამოიმართა უკვე მომნიფებულ და, ამიტომ, გარდუვალ გარდასხეულებებში, მომავალი საჩინო ხდება შემზარავი, ბუნდოვანი მინიშნებით, „ავებდითი წინასწარგანჩინებით“ და ისინი აძრწუნებენ არჯუნას. ხოლო ყოველთვის მყოფი და არასდროს არსებული ანმყო — გრიგალური წერტილი (ვრიტა) კოსმოსური ცნობიერების (ჩიტა) ტალღებში თავზარდამცემ სისხლიან ლაქად შედედდა“... პირისპირ მდგარი ლაშქრის მენინავეთა შორის იგი ხედავს მახლობლებს, ნათესავებსა და გამზრდელებს. ადამიანური

* ბჰაგავატგიტა. აშხაბადი. 1956 წ. სმირნოვი. წინასიტყ. გვ. 41.

სიბრძნე ჰკარნახობს არჯუნას, რომ ეს ძმათამკვლელი ომი დამლუპველია: „ო, ჭეშმარიტად, უმჯობესია მოწყალებისათვის კარიდან კარზე ვიარო, ვიდრე მოვკლა ეს დიდებული მოძღვართმოდვარნი. სისხლიანი ხელებით ვითლა შევეჭამო მე ჩემი პური? და ჩვენ არ ვუნწყით, რაა უმჯობესი — ვძლიოთ თუ ვიძლიოთ დრითარამტრას ძეთა მიერ, რომელთა შემუსვრით სიცოცხლის ნდომა განგვიქარდება“. „ძალგულოვანი და შემმართველი“ არჯუნა უღონოდ ეშვება ეტლის საკარცლულზე. მას არა სურს იომოს. ნათესავთა დახოცვას იგი უბრძოლველად მიღებულ სიკვდილს ამჯობინებს. „ასე იწყება გიტაში ადამიანის ტრაგედია, რომელიც ბოროტებით შესვრილი მსოფლიოს უარყოფამდე მივიდა. სადღაა სიმართლე, როგორ უნდა ენდო ვისიმე სიტყვასა და გრძნობას, როცა ყველაფერი ბოროტება, სიცრუე და მოჩვენებაა და სიბნელითა და უსასოებით ავსებულ ამ ნუთისოფელში ერთადერთი იმედი, ერთადერთი ნათელი წერტილი — ზნეობრიობა (წმინდა კანონი, დჰარმა), რომელზედაც დაფუძნებულია ყველაფერი — დაქცეულია. დე, იგი ჩემს გარე დაითრგუნოს, დე, დაილუპოს ჩემი სიცოცხლე, ეს ჯერ კიდევ არ არის ტრაგედია. მაგრამ როცა თავად ჩემს გულს წენავენ წინააღმდეგობანი, როცა ჩემშივე იქუფრება ნათელი ხატი, მაშინ იბინდება ცნობიერება და გულს აღმოხდება de profundis — საკუთარი თავისაგან მიტოვებული ადამიანის სისხლიანი ტანჯვა“ სასონარკვეთილი არჯუნა ხსნას ევედრება და რჩევასა სთხოვს კრიშნას და იგი გამოუცნობი, იღუმალი ღიმილით იწყებს თავის „ღვთაებრივ გალობას“...

ბჰაგავატგიტა ცეზურით შუაგაყოფილი 16-მარცვლოვანი შლოკითაა დაწერილი. მას შიგადაშიგ, იქ, სადაც ხაზი უნდა გაესვას შინაარსს, „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, რომლის დაბალ შა-

* ბჰაგავატგიტა — აშხაბადი. 1956 წ. სმირნოვი. წინასიტყ. გვ. 40.

ირს, ფსიქოლოგიურად დაძაბულ ადგილებში, მაღალი შაირი ცვლის, — ტრიშტუბში ენაცვლება. ტრიშტუბში — სამ მუხლად განკვეთილი 11-მარცვლოვანი საზომია. იგი გამოყენებულია გიტას რამდენიმე თავში. გიტას შლოკებში მარცვალთა რაოდენობა მკაცრად არის ფიქსირებული, მაგრამ მას არ გააჩნია ფიქსირებული მახვილი. გიტას არა აქვს რითმა.

გიტას თარგმანების უმრავლესობა მეცნიერულ-ფილოლოგიური ხასიათისაა. ისინი ურთიერთისაგან ძნელადგასაგები და ბუნდოვანი ადგილების თავისებური ინტერპრეტაციით განსხვავდება. როგორც ნერუმ აღნიშნა — ამ თარგმანებს აკლიათ ორიგინალის პოეტური და ენობრივი ბრწყინვალეობა და ამიტომ სრულად ვერ გადმოსცემენ სანსკრიტული ტექსტის ღირსებასა და ძალმოსილებას. თარგმნას აძნელებს ის გარემოება, რომ „გიტა“, ისევე, როგორც უპანიშადები, სახელგანთქმულ ლიტერატურულ ძეგლებს წარმოადგენენ და ამავე დროს დიდი ფილოსოფიური სისტემების გამოხატვის საშუალებებსაც“. „როგორც შეუძლებელია პლატონის დიალოგების ბნკარედის ენით თარგმნა, იმის მაგივრად, რომ ამ ნაწარმოების მხატვრული ფორმა შესაბამისად გადმოიცეს, როგორც შეუძლებელია ბერძნული ტრაგედიების პოეტური ფორმის გადმოცემისას დავინწყებული იქნეს მათი ღრმა ფილოსოფიური შინაარსი, ასევე გიტას თარგმნისას შეუძლებელია მისი არსის რომელიმე მხარეს მიეცეს უპირატესობა. რადგან გიტას მხატვრული მხარე ისევე არსებითია, როგორც ფილოსოფიური. გიტას მთარგმნელის ამოცანა შეიძლება „ღვთაებრივი კომედიის“ მთარგმნელის ამოცანას შევადაროთ. ორივე შემთხვევაში მთარგმნელს მკაცრად მოეთხოვება დედანში გამოვლენილ ფილოსოფიურ და მხატვრულ შინაარსს შორის ნონასწორობის შენარჩუნება“.

პრაქტიკამ უარყო გიტას მეტრული საზომით თარგმნის ცდა. როგორც სმირნოვი აღნიშნავს, ლასენის გერმანული და არნოლ-

* ს. რადჰაკრიშნანი. ინდური ფილოსოფია. მოსკოვი. 1956, ტ. 1, გვ. 15.

** ბჰაგავატგიტა. სმირნოვი. წინასიტყ. გვ. 8.

დის ინგლისური თარგმანი არა მარტო ზუსტი არ არის, არამედ მხატვრულ დამაჯერებლობასაც მოკლებულია.

მეტრულ საზომში მოქცეულმა გიტას ტექსტმა არ შეიძლება შინაარსობრივი სახეცვლილება არ განიცადოს, რაც დაუშვებელია ისეთი ხასიათის ნაწარმოებისათვის, რომლის თითოეული სიტყვა მნიშვნელოვანი აზრის მატარებელია და მისი უმცირესი ნიუანსის გადმოსაცემად არის დამუშავებული. სწორედ ამიტომ აირჩია სმირნოვმა გიტას თავისუფალი ლექსით თარგმნის პრინციპი. თავისუფალი ლექსის რიტმი სინტაქსითაა განპირობებული. ამ პოეტურ ფორმაში მაორგანიზებელ როლს ის გარემოება ასრულებს, რომ აქ ლექსი თითქოს იგულისხმება, მაგრამ იგი რამდენადმე მკაფიო ფორმალურ-ხმიერ გამოსახულებას არ ღებულობს. მიუხედავად ამისა, ეს ხელს არ უშლის მეტყველებას ლექსთწყობის აგებულება მიიღოს.

გიტას ქართულ თარგმანში ბუნებრივად განხორციელდა ეს პრინციპი. როგორც ცნობილია, ბიბლიური პოეზიის უძველესი ნიმუშები ქართულად თარგმნილია „წყობილი სიტყვით“ — ძველქართული თავისუფალი ლექსით, რომელიც ხშირად უახლოვდება თანადროული გაგების რიტმიულ პროზას. აქ „ლექსთწყობას ჰქმნის არა მუხლედთა და ტერფთა რიტმიკა, არამედ შინაარსობრივად ერთიანი ტაეპების რიტმიკა, მთლიან ტაეპთა რიტმიული მონაცვლეობა... „წყობილი სიტყვის“ სალექსო ფორმას ქართულად უძველესი ტრადიცია ჰქონდა“. გიტას ქართული თარგმანი ამ ძველქართულ ტრადიციულ სალექსო ფორმას იყენებს და თანადროული მოთხოვნების შესაბამისად ალადგენს მას.

ქართულ თარგმანს საფუძვლად დაედო 1956 წ. სმირნოვის მიერ უშუალოდ სანსკრიტული დედნიდან თარგმნილი ბჰაგავატ-გიტას აკადემიური გამოცემა. წიგნში დაბეჭდილია როგორც სიტყვასიტყვითი, ისე მხატვრული თარგმანი. პირველს თან ახლავს

*პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბილისი, 1954 წ., გვ. 711, 726.

დანერილებითი კომენტარი — სანსკრიტული ტერმინების, ინდური ფილოსოფიის სპეციფიკური გამოთქმების ახსნა-განმარტებანი და ევროპულ ენებზე არსებული თარგმანების სმირნოვისეული თარგმანისაგან განსხვავებული წაკითხვები, რაც 600-მდე შენიშვნას მოიცავს.

წინამდებარე თარგმანში მე არ მქონდა და არც შეიძლება მქონოდა პრეტენზია გიტას ორიგინალის ჩემეული წაკითხვისა. ჩემი მიზანი იყო, მოცემული მასალის საფუძველზე სწორად გამეგო ტექსტი და, რაც მთავარია, შეძლებისდაგვარად, ქართული პოეტური მეტყველების ფარგლებში გამეცოცხლებინა მისი დიდი შემოქმედის დღემდე მომხიბვლელი აზრისმიერი სიღრმე და ექსპრესიული ძალმოსილება.

მ. წ.

1963

I

არჯუნას სასოწარკვეთილების იოგა

ღრითარაშტრამ თქვა:

1. დჰარმის ველზე,
კურუს დიდ ველზე ბრძოლად შეყრილებმა,
რა ჰქმნეს ჩვენებმა, აგრეთვე პანდავებმა, ო, სანჯაია?

სანჯაიამ თქვა:

2. რა იხილა პანდავების ლაშქართა წყობა, დურიოდჰანა მიეახლა თავის მოძღვარს და სიტყვა წარსთქვა:
3. მოძღვარო და მამათმთავარო, აჰა, უჭვრიტე, პანდუს ძეთა უთვალავი სპანი, შენმა ბრძენმა მონაფემ – დრუპადას ძემ, ბრძოლად დაჰკაზმა.
4. აქა დგანან – ომში ბჰიმასა და არჯუნას შესადარი
მოისარნი:
უაჟდჰანა, ვირატა და დიდსაომარი ეტლის მფლობელი
დრუპადა,
5. დრიშთაქეტუ და ჩეკიტენა კაშის განმგებელი,
კაცთა შორის ხარი – შაიბია, პურუჯიტი და კუნტიბჰოჯა,
6. ძალგულოვანი უტამოჯა და მამაცი უდჰამანიუ,
მკლავმაგარნი მოყმენი – სუბჰადრას ძე და ძენი დრუპადისა.
7. ჩვენ შორის უმჯობესნი შეიცან, ორჯერშობილო!
ჩემთა ლაშქართა წინამძღვარნი:
8. ჯერ თავად შენა, მეუფეო, სხვათ უწინარეს, მერმე,
ბჰიშმა და კარნა.
მძლეთამძლე კრიპა, ვიკარნა და აშვათჰამან, სომადატის
უძლეველი ძე.

9. ბერი სხვა მოყმეც აქვე არის,
ათასნაირად შეჭურვილნი, ჩემი გულისთვის თავსა სწირავენ.
10. და მაინც, ვხედავ, ჩვენი ლაშქარი, რომელსაც ბჰიშმა
მეთაურობს, მეტად მცირეა,
ხოლო მათი, ბჰიშმა რომელსაც წინამძღვრობს –
კმასაყოფელი.
11. ამიტომ გეტყვით: როგორც არ უნდა გაგიჭირდეთ,
ყოველნაირად დაიცავით ავისგან ბჰიშმა!
12. მისი გულის გასამხნეებლად, კურუთა შორის უხუცესმა
მამათმთავარმა
ლომისაებრ მგრგვინავი ხმით ჩაჰბერა ბუკს.
13. და მეყსეულად ატყდა დუმბულების ცემა, დაჰკრეს
დაფდაფებს
და საყვირებმა ქუხილის დარი ხმა გამოსცეს.
14. მაშინ, თეთრჰუნეშებმულ ეტლზე გულმშვიდად მდგარმა
მადჰავამ და პანდავამაც ჩაჰბერეს საყვირებს.
15. „ხუთლულიანს“ – ჰრიშიქეშამ, დჰანანჯაიამ –
„ღვთისბოძებულს“,
ხოლო თავზარდამცემმა ვრიკოდარამ პაუნდრას დიდ
ბუკს ჩაჰბერა.
16. „უსასრულოდ მძლეველს“ იუდჰიშთჰირა
უბერავდა – კუნტის ძე,
„ხმამშვენიერს“ და „თვლებითმოოჭვილს“ – ნაკულა და
საჰადევა.
17. სწორუპოვარმა მოისარმა: ბენარესის მფლობელმა,
უებრო მებრძოლმა შიქჰანდიმ,
დრიშთრადიუმნამ და ვირატამ – სატიაკას უძლეველმა
შთამომავალმა,

18. დრუპადამ და მისმა შთამომავალმა, სუბჰადრას
მხარგრძელმა შვილმა,
რიგრიგობით ჩაჰბერეს ღვთაებრივ საყვირებს.
19. და ამ ძახილმა, ცისა და ქვეყნის ზარით შემძვრელმა,
გული დაუფლითა დრითარაშტრას ძეთ.
20. და რა იხილა საომრად აღკაზმული ლაშქარი –
ზეალმართა მაიმუნისალმიანი მშვილდი პანდავამ
21. და ჰრიშიქეშას –ქვეყნის მეუფეს – ასე მიმართა:

არჯუნამ თქვა:

ამ სპათა შორის დაადგინე ჩემი ეტლი, ო, აჩიუტა!

22. რათა საომრად ატეხილ მოყმეთ თვალი მოვავლო,
სანამ მძვინვარე, ფიცხელ ომში მათ შევებმები.
23. მათი ცნობა მსურს, დრითარაშტრას ვერაგი ძის ნების
დასტურად
ერთმანეთზე საომარად ვინც აღმდგარა, მადჰუსუდანა!

სანჯანიამ თქვა:

24. ყურად ილო სიტყვა გუდაქეშასი და დიდებული ეტლი
ორ სპათა შუა შეაჩერა შეუმუსვრელმა.
25. ბჰიშმასა და დრონას წინაშე მან შესძახა:
„ო, პართვა, შეხედე ერთ ველზე თავშეყრილ კურუთ!“
26. და მაშინ იხილა არჯუნამ მამა-პაპანი, მამის ძმანი და
გამზრდელნი,
ამხანაგნი, ძმანი, შვილნი და შვილისშვილნი.
27. ნათესავნი და მეგობარნი, ორთავ ლაშქარში ბრძოლად
აღკაზმულნი,
ყველა მოყვარე ერთად თავშეყრილი იხილა კაუნტეამ,
28. და მან, უღრმესი სიბრალულით გულშეძრულმა,
ესლა ამოიგმინა:

არჯუნამ თქვა:

ერთმანეთზე აღმდგარ ჩემთა ნათესავთა ხილვისას,
ო, კრიშნა,

29. მუხლები მეკეცება და პირი მიშრება, თმა ყალყზე
მიდგება, ცხრო და თრთოლა მომდის.
30. მშვილდი ხელიდან მივარდება, გული მეწვის და
თავბრუდახვეული ფეხზე ველარა ვდგები,
31. და ვხედავ მე ავბედით წინასწარგანჩინებას, ო. ქეშავა!
კარგს არაფერს მოგვიტანს ეს ძმათამკვლელი ომი.
32. არა მწადს მე ძლევა, მეუფეო, არცა შვება,
არცა ხელმწიფება,
რას ვაქნევ სამეფოს, გოვინდა, ან შვებას ან თავად
სიცოცხლეს?
33. იმათ, ვის გამოცა მსურდა განცხრომა, შვებაცა და
ხელმწიფებაც.
აქ, ბრძოლის ველზე, წუთისოფლის მზე უბნელდებათ.
34. შვილნი და მამანი, ბიძათაშვილნი,
ნათესავნი და მოყვარენი აქ სულსა ლევენ.
35. არა მწადს მათთან შებრძოლება, გინდაც რომ მოვკვდე,
მადჭუსუდანა,
არამც თუ ქვეყნის, სამივე სკნელის მეუფეც რომ გავხდე!
36. უკეთუ დავხოცთ დრითარაშტრას ძეთ, რა გაგვახარებს
ამ ქვეყნად მერმე?
ცოდვას მოვიმკით მათი მოკვლით, ო, ჯანარდანა!
37. ამიტომაც არა ხამს დრითარაშტრას ძეთა მოკვლა,
მოყვარეთა შემუსვრის შემდეგ მხიარულნი ვითლა
ვიქნებით?

38. თუკი მათი უსამართლოდ შემკრებელი გული, თვისი
სიმუხთლის გამო,
ცოდვას ვერა ჭვრეტს გვარის შემუსვრაში,
39. ჩვენ, ამ დაღუპვის წინასწარ მხედნი, რატომ იმავ წამს
პირს არ შევაქცევთ ასეთ დიდ ცოდვას, ო, ჯანარდანა?
40. გვარის შემუსვრისას მისი ურყევი წესებიც იმუსრება
და მაშინ უწესრიგობა ეუფლება კაცთა ნათესავს.
41. უწესრიგობა რა დამკვიდრდება – დედაკაცნი
გაირყვნებიან,
დედაკაცთა გარყვნილების მეოხებით კასტები აღირევა.
42. შემდგომ ამისა ნათესავთა მკვლელნი და მათი გვარიც
ჯოჯოხეთს დაინთქება, დაემხოებიან მათნი წინაპარნიც...
43. გვარის დამღუპველთა დანაშაული აღგვის ტომის წესსა და
სახლის კანონებს.
44. წერილ არს: წესმორღვეული ტომის სამყოფლო
ჯოჯოხეთიაო, ო, ჯანარდანა!
45. ვაი ჩვენ, რომ დიდი ცოდვა დაგვედება ქედზე:
ხელმწიფური ნეტარების მოსახვეჭად მოყვარეთა
დაღუპვა რაკი გვნადის.
46. და ამის გამო, მირჩევნია შეუჭურველს და
ხელაღმართველს –
დრითარაშტრას შეჭურვილთა ძეთ ბოლო მომიღონ!

სანჯაიამ თქვა:

47. თქვა რა ეს, არჯუნა ეტლის საკარცხლულზე დაეშვა.
ღრმა მწუხარებით გულშეძრულმა მშვილდი გადააგდო და
კაპარჭი შემოიხსნა.

II

ს ა ნ ე ჰ ი ა ი ო გ ა

1. მას – სიბრალულით აღძრულს, თვალცრემლიანსა და სასონარკვეთილს – მადჰუსუდანამ მიუგო:

კ უ რ თ ხ ე უ ლ მ ა ბ რ ძ ა ნ ა :

2. საიდან დაგაცხრა თავს არიელისათვის შეუფერებელი
ეს უღირსი სულმოკლეობა,
სულისათვის ზეციური ნეტარების ნამლები და შემარცხვენელი?
3. ნუ შეუდრკები ჭირს, ო, პართჰა, რადგან ეგე შენ არ
შეგშვენის, დასძლიე გულის სიძაბუნე, აღდეგ, არჯუნა!

ა რ ჯ უ ნ ა მ თ ი ძ ვ ა :

4. როგორ გავგმირო ისრებით ჩემგან უღრმესი თაყვანისცემის
ღირსი ბჰიშმა და დრონა, არისუდანა?
5. ო, ჭემმარიტად, უმჯობესია მოწყალებისათვის კარიდან
კარზე ვიარო.
ვიდრე მოვკლა ეს დიდებული მოძღვართმოძღვარნი.
სისხლიანი ხელებით ვითლა შეეჭამო მე ჩემი პური?
6. და ჩვენ არ ვუნყით, რაა უმჯობესი –
ვიძლიოთ თუ ვიძლიოთ დრითარაშტრას ძეთა მიერ.
რომელთა შემუსვრით სიცოცხლის ნდომა განგვიქარდება.
7. ჩემი გული სიბრალულმა გამსჭვალა სრულად!
დჰარმისაგან უმეცარი შენ გვეედრები,
ჩემო წინამძღვარო, განმიცხადე, რაა უმჯობესი!
8. რადგან გული მეტყვის: სახმილივით დაგზნებულ ჩემს
მნუხარებას ვერ დააცხრობს ვერც ამ ქვეყნად მორჭმული ხელ-
მნიფება და ვერც ღმერთთა ზედა მეუფება, ო, ჯანარდანა!

სანჯანიამ თქვა:

9. და ამის შემდეგ არჯუნამ – ძალგულოვანმა და
შემმართველმა
– მე არ ვიომებო, – თქვა და დადუმდა.
10. ხოლო მას, გულშემუსვრილს, სპათა შორის მდგარმა,
თითქოსდა ღიმმორეულმა პრიშიქეშამ ასეთი სიტყვა უთხრა:
11. შენ იმათ გამო ჭმუნავ, ვის გამოც არა ხამს ჭმუნვა.
თუმცა კი ბრძენთა თქმულსა ჰგავს ეგ შენი სიტყვა.
ბრძენნი არ სტირიან არც ცოცხლებს, არცა მკვდართ.
12. რადგან არა ყოფილა ჟამი, ოდეს მე, ანუ შენ,
ანუ მეუფენი ქვეყნისა და ერისმთავარნი არ ვიყოფოდით,
და ჭეშმარიტად, უკუნისამდე ყოფად მოვიქცევით.
13. როგორც ამ სხეულით ხორცშემოსილი სული მოიცვლის
სიყრმეს, სიჭაბუკესა და სიბერეს, – ეგრევე შეიმოსს იგი
სხვა ხორცს. მალლად მხედი ამის გამო არ ჭმუნავს.
14. ნივთთა შეხება, ო, კაუნტეა, ჭმუნვასა და ხარებას,
მხურვალეებასა და სიგრილეს მოგვისართავს.
ნივთთაგან აღძრული დაუდგრომელია და წარმავალი,
მოიქცევა და კვალად განქარდება.
მამაცურად გადიტანე ჟამიერი, ო, ბჰარატა!
15. კაცთა შორის, მხოლოდ შეხებისაგან გულშეუძრავი,
ჭირში მედგარი კაცი არის უკვდავების ღირსი.
16. არყოფნას ვერ შეეზიარება ყოფნა.
ყოფნას ვერ შეეზიარება არყოფნა.
მათ შორის ზღვარი ნათელია მალლად მხედისთვის.
17. რადგან იცოდე, შეუმუსვრელია იგი, ვისი მეოხებითაც
განიფინა ცა და ხმელთი.
წარუდინებელი შეუმუსვრელია.

18. წარმავალია სხეული – წარუვალ, მარად და შეუცნობელ
საუკუნოზე
ხორციტ მოგარსული, – ამიტომ ბრძოლად შეიმართე,
ო, კაუნტია!
19. ვინც ფიქრობს, რომ იგი ჰკლავს,
და ვინც ფიქრობს, რომ იგი მოიკვლის – ცდება უცილოდ.
იგი არა ჰკლავს, არც თავად მოიკვლის.
20. იგი არ იშვის და არცა კვდება. მოუქცეველი არასოდეს
არ მოიქცევა.
არშობილი და საუკუნო იგი არ კვდება, როცა კვდება
უხუცესი მისი სხეული.
21. რომელმა უწყის უმუსვრელი, საუკუნო და წარუვალი, –
მოჰკლავს ის განა, ან აიძულებს კაცი მოჰკლას?
22. ვით კაცთაგანი განიგდებს ხოლმე ძველ სამოსს და ახალს
შეიმოსს,
ეგრევე განიგდებს გაცვეთილ ხორცს და ახალს შეიმოსს
უკვდავი სული.
23. ხმალი არა ჰკვეთს, ცეცხლი არა სწვავს,
წყალი არ ალბობს, ქარი არ აშრობს მას – საუკუნოს.
24. ცეცხლით შეუწველი, ხმალშეუვალი, დაუმხობელი და
დაუმრეტელია იგი –
ყოვლისმპყრობელი, უძრავი და უქცეველი, დადგინებული.
25. ენითუთქმელი, უცვალელებელი, მიუწვდომია მისი სახელი.
უკეთუ იგი შეიმეცნე – არა ხამს ჭმუნვა.
26. დაბადების და სიკვდილის მიერ ძლეულად რომ მიგაჩნდეს
იგი, ძალგულოვანო, მაშინაც კი არა ხამს ჭმუნვა.
27. ჭეშმარიტად, დაბადება წესია მოკვდავისა და სიკვდილი
დაბადებულისთვის, გარდუვალისთვის არა ხამს ჭმუნვა.

28. უჩინოა არსი დასაბამად, საჩინოა საშუალს შორის, კვლავ
უჩინო გასრულებისას და ამისათვის არა ხამს ჭმუნვა.
29. ერთი მას უჭვრეტს როგორც სასწაულს, მეორე იტყვის
როგორც სასწაულს,
მესამე უსმენს როგორც სასწაულს,
მაგრამ ვერავინ საცნაურყოს, გინდაც მსმენელმა.
30. იგი მარადის უმუსვრელია ყოველთა გულში
და ამიტომაც ნუვისთვის ჭმუნავ, ო, კაუნტეა!
31. შენს დჰარმას რაკი შეიმეცნებ, სიძაბუნეს განიგდებ
გულით, რადგან ჭეშმარიტ მეომრისათვის შჯულიერ
ომზე სანატრელი არა არის რა.
32. როგორც მეყსეულად განხმულ ცათა შინა, –
მეომარი სიხარულით შედის სამართლიან ომში, ო, ბჰარატა!
33. და უკეთუ სამართლიან ომში არ იომებ,
დჰარმისა და ღირსებისგან განდგომილი ცოდვით
დამძიმდები.
34. კაცნი დაძრახავენ შენს საქციელს,
ხოლო მამაცისთვის ნაძრახი სიცოცხლე სიკვდილზე
უარესია.
35. სახელგანთქმული მოყმენი შენს განდგომას შიშს
დააბრალებენ
და მათგან ღირსადცნობილს, იგინივე უღირსად
შეგრაცხავენ.
36. უგვანი სიტყვებით შემოგადგებიან მაგინებელნი შენნი
და შენს ვაჟკაცობას ლაფას დაასხამენ, – უარესი რა
უნდა იყოს!
37. მკვდარი ცათა სასუფეველს მიითვლი, ცოცხალი –
ქვეყანასა ზედა მეუფებას,
ამიტომ ბრძოლად შეიმართე, ო, კაუნტეა!

38. სწორად გიჩნდეს ჭირი და ლხინი, ჭმუნვა და ხარება,
გამარჯვება და დამარცხება, და რომ ცოდვა არ მოისართო –
აღდეგ საომრად!
39. მე განგიცხადე შეგონება სანქჰიასთან შეთანხმებული,
ან, ყურად იღე შეგონება იოგასთან
თანშენყობილი, და შენ ამ სიბრძნით შეჭურვილი
მოიშორებ კარმის ბორკილებს.
40. აქ არ იღუპება ძალისხმევა, აქ ხელი არა აქვს
უკუღმართობას. ამ დჰარმის უმცირესი ნატამალიც კი
უდიდესი შიშისაგან მხსნელია.
41. მტკიცე გონება ანუ ბუდჰი ერთობილია, ო, კურუთა
სიხარულო,
განტოტილი და უსასრულოა მერყევთა გონება.
42. მოკაზმულია უმეცართა სიტყვა, ო, პართჰა,
ვედების ჩხრეკით გულდაჯერებულნი რაკი ამბობენ:
„თვინიერ ამისა არა რაი არს“.
43. მათ მიერ თქმული გულისთქმით აღსავესა, მათი უმაღლესი
მიზანი სამოთხეა,
მათი სიტყვა დაბადებასა და კარმის მონაგარს გვპირდება.
მათი წესი და მოქმედება შვებასა და ხელმწიფობას
მიელტვის მარადლე.
44. ვისი გულიც მარადლე განცხრომასა და სუფევის ნატვრითაა
დაბმული,
მისთვის მიულწვევლია სამადჰით დაუნჯებული მტკიცე
გონება.
45. უარყავ სამი გუნა, არჯუნა: სატვა, რაჯასი და ტამასი,
რომელთა საუფლოშიც ვედები ჰგიეს. წინააღმდეგობისა
და ამოებისაგან თავდახსნილმა, სრულყოფაში დადგინე-
ბულმა, ატმანს უერთგულე.

46. ნათელღებული ბრამინისათვის ვედები იმდენადვეა
სასარგებლო,
როგორც მცირე ღელე წყალდიდობამორეული
ველებისათვის.
47. ამრიგად, მიხედვით საქმეთა შენთა და ნუ ზრუნავ
ნაყოფისათვის.
მისთვის ნუ დასთეს, რომ მოიმკო, ნუ დაებმი
უქმადყოფნითაც.
48. იოგაში დადგინებულმა, ჭირსა და ლხინში გულით უძრავმა,
გულმიუდრეკლად აღასრულე ყოველი საქმე,
ო, დჰანანჯაია!
შეუძვრელობას ჰქვია იოგა.
49. და რადგან საქმე სიბრძნის იოგაზე უდარესია,
სიბრძნეში ჰპოვე საყუდარი.
მონაგარისთვის გულადრული შესაწყალია.
50. ამიერ სოფლად მოიძარცვავს ბრძენი ცოდვებსა და
წარჩინებას,
ამიტომ იოგას ეზიარე. იოგა – საქმეში განაფვაა.
51. მონაგარისაგან რუდუნებით განდგომილი ბრძენკაცი
მოიშორებს დაბადების ბორკილებს და მყუდროებას
შეეზიარება.
52. როცა საცთურის ტევრისაგან თავს გამოიხსნის შენი
გონებაჰბუდჰიჰ,
მაშინ განუდგები შენ იმას, რაც უნდა შესმენილიყო ან
შესმენილ იქნა.
53. როდესაც წერილს წინაღობილი, სამადჰიზე დაუნჯდება
შენი გონება, მაშინ მიაღწევ შენ იოგას.

არჯუნამ თქვა:

54. როგორ შევიცნო კაცი, რომელმაც გონება დაიუნჯა და
სამადჰის მიაღწია?
როგორ უბნობს, როგორა ზის, როგორ დადის, ო, ქეშავა,
ასეთი კაცი?

კურთხეულმა ბრძანა:

55. რომელი უარჰყოფს ყოველგვარ გულისთქმას,
და ატმანის სიხარულს მხოლოდ თავის გულში ჰპოვებს –
გულდაპყრობილია.
56. რომელი დაიშრეტს განცხრომის ნდომას, დათრგუნავს
გულში შიშსა, წადილს და გულისწყრომას, –
მაღალი და მაღლად მხედიდა.
57. რომელი არა რას ინდომებს, რომელს საამური და
უამური სწორად უჩნს –
გული მისი დადგინებულ არს.
58. უკეთუ კაცთაგანი, კუს შესაფერად სხეულის ასოთ
ბაკანში რომ იკრებს, –
თავის გრძნობებს გრძნობათა საგანს მოსწყვეტს –
გული მისი დადგინებულ არს.
59. საგნები ქრება და არა გემოსხილვა საგნების მიმართ –
განდგომილისათვის.
საგანთა მიმართ გემოს იგი კარგავს, ვინც იხილა უზენაესი.
60. რადგან მოტყინარე და აღბორებულ გრძნობებს თავად
ღვანლმოსილი ბრძენკაცისთვისაც წარუტყვევნია გული,
ო, კაუნტია!

61. გულისთქმას რა დაიოკებს, ჩემზე უნდა დაიუნჯოს კაცმა
გონება.
რადგან გულდაუპყრობილის გონება დადგინებულ არს.
62. გრძნობათა საგნების მიმართ გულისთქმით აღძრული –
მათ მიერვეა დაბმული,
და ეგ ბადებს წადიერებას. წადიერება გულისწყრომას
ბადებს.
63. გულისწყრომისაგან თავგზა გვებნება, თავგზადაბნეულთ
ცნობა გვეხდება,
ცნობამიხდილნი გონებასაც ვკარგავთ. უგონოქმნილნი
ვიღუპებით...
64. რომელი გულის ვნებას ნებისყოფით დაიოკებს და
წადილისა და ზიზლისაგან
განდგომილი გრძნობათა ბჭეს გადალახავს –
ატმანის ერთგული გონების სინათლეს მოიპოვებს.
65. მაშინ განქარდება მისი საჭმუნავი,
რადგან ცნობა გონებანათელისა განმტკიცებულია.
66. არა არს გონება გულდაუპყრობელთან
და გულდაუპყრობელთან არა არს ძალი შემოქმედი,
უკეთუ არა გაქვს მორჭმული ძალი შემოქმედი, მშვიდობა
არა სუფევს გულთან. მშვიდობისაგან ნაკლულევანი –
შვებას ვერ მოიპოვებს.
67. რადგან ვნებათა ლელვისაგან აღძრული გული წარიტაცებს
გონებას,
როგორც ზღვაზე – ქარბორბალა მცირე კარაველს.
68. და ამიტომაც ის, ვინც გრძნობათა საგნებისგან
დაიგულებს გრძნობათ,
გული მისი დადგინებულ არს.

69. ის, რაც ღამეა ყველასათვის, ბრამინისტვის
 ძილფხიზლობის უამია,
 და როს ყველა ფხიზლობს, მაშინ დგება ღამე
 ნათელმხილველი მუნისათვის.
70. როგორც წყალუხვსა და უძრავ ოკეანეს ერთიან
 მდინარენი, ეგრეთვე ბრძენკაცის გულს – ნდომა-სურვილნი.
 ბრძენთან და არა სურვილთა მიერ დაბმულთა თანა სუფევს
 მშვიდობა.
71. კაცი, რომელიც დათმობს გულისთქმას,
 თავმედგრობისგან გამოხსნილი,
 თავის უფალი, – სიმშვიდეს იხვეჭს.
72. ამგვარი არის, ო, პართჰა, ბრაჰმას სასუფეველი. მართლად
 ვალს იგი, ვინც მას მიაღწევს. ამ სასუფეველს ზიარებული
 ბრაჰმას ნირვანას ეზიარება, თუნდაც სიკვდილსაც იყოს მი-
 წურული.

III

მოქმედების იოგა ანუ კარმა-იოგა

არჯუნამ თქვა:

1. თუკი შენ მოქმედებას სიბრძნის უდარესად მიიჩნევ, ო,
 ჯანარდანა,
 რატომ მაქეზებ მე ესოდენ საზარელი საქმის აღსრულებად?
2. გაუგებარი სიტყვებით შენ აძრწუნებ ჩემს გონებას და
 ამიტომ მხოლოდ ის შემაგონე გულმოდგინედ – როგორ
 მოვიპოვო საუკუნო ნეტარება.

კურთხეულმა ბრძანა:

3. ამ ქვეყნად, როგორც ზემორე გითხარ, ორგვარი გზაა,
ო, უცოდველო:
გონებამოსილთათვის – შემეცნების იოგა,
ღვანლმოსილთათვის – მოქმედების იოგა.
4. საქმისაგან განდგომილი კაცი ვერასოდეს მიაღწევს
ჭეშმარიტ უმოქმედობას,
რადგან ასეთი განდგომით სრულყოფამდე ვერ ამაღლდება.
5. არავის არასოდეს ძალუძს, თუნდაც ერთი წამით, უმოქმედოდ
ყოფნა, რადგან ყოველი, მისდა უნებურად, ბუნებიდან მომ-
დინარე თვისებათა გამო, მოქმედებას მიეღტვის.
6. ვნებათა ღელვის დამთრგუნველი, მაგრამ გულით საგანთა
მიმართ სურვიელი,
ჭეშმარიტ გზას აცდენილი და მოცთუნებულია.
7. ხოლო რომელი ვნებას გულშივე დათრგუნავს და
გულის-თქმას
კარმა-იოგაში განაფავს – განდგეილად იწოდება,
ო, არჯუნა!
8. გარდაუვალი აღასრულე: უმოქმედობას საქმისყოფა სჯობს,
უქმადმყოფი საკუთარ ტანსაც ვერ შეინახავ.
9. მსხვერპლისათვის არგაღებული საქმით ეს ქვეყანა
ბორკილებით შეიბორკება.
ამიტომ გულმიუდრეკლად აღასრულე ყოველი საქმე.
10. დასაბამად მსხვერპლის გაღებით შეჰქმნა ყოველი და არსთა
გამრიგემ სათნოჰყო: მსხვერპლითა იმრავლეთ და იყოს იგი
თქვენთვის წყარო ცხოვრებისა.

11. მსხვეპლით შეევედრეთ ღმერთებს და მათ შეგივრდომონ.
ასე მიაღწევთ უზენაეს სიკეთეს.
12. მსხვერპლით გულშეძრული ღმერთები ნასურვებ
სიკეთეს მოგაგებენ.
ვინც მათვე არ შესწირავს მათგანვე მომადლებულს -
მპარავია იგი.
13. მართალთა შესჭამონ მსხვერპლის ნამუსრევი და
დაუტევონ ცოდვები,
ხოლო მარტოდენ თავისთვის შემზადილი ჭამადით
წარწყმდენ უკეთურნი.
14. ჭამადისაგან აღორძინდა არსი, წვიმისაგან აღორძინდა
ჭამადი,
მსხვერპლისაგან აღორძინა წვიმა, კარმისაგან
აღორძინა მსხვერპლი.
15. ბრაჰმისაგან აღორძინდა კარმა, წარუდინებელისაგან
აღორძინდა ბრაჰმა,
და ამიტომ ყოვლისგამრიგე ბრაჰმა მსხვერპლთანა ჰგიეს.
16. კაცი, რომელიც არ მიჰყვება ამ ბორბლის ტრიალს,
ვნებათა უკეთური სანყაულია, ო, პართჰა, ამოდ ცხოვრობს
ამ ქვეყნად იგი.
17. მაგრამ ატმანით გულსავსე კაცმა დე, გაიხაროს ატმანის
მიერ. ატმანისაგან გულავსებულს სხვა რამ საქმე არ აბადია.
18. მას არ შეეხება ამ ქვეყნად უკვე აღარც საქმე,
არც უსაქმოება.
და მის ზრახვათ არაფერი აღარ ერჩის ამ ქვეყნად ქმნილი.
19. და ამიტომ მუდამ, მარადღე, გულმიუდრეკლად აღასრულე
საჭირო საქმე,
რადგან გულმიუდრეკლად აღსრულებული საქმით კაცი
გული უზენაესს ეზიარება.

20. საქმეებით არ მიაღწიეს განა სრულყოფას ჯანაკამ
და სხვებმა?
შენც უნდა მისდიო სოფლიურ საქმეს და მით ქვეყანას
შეენო.
21. საჩინო კაცის ნაქმარს სხვები მიჰბაძავენ და მასვე
აღასრულებს ერიც.
22. არაფერია სამივე სკნელში ჩემი ხელისაგან შეუქმნელი,
ო, პართჰა,
არაფერია ჩემგან მიუღწეველი, და მაინც საქმეთ
აღვასრულებ.
23. მე რომ დაუშრომლად საქმე არ ვაკეთო,
ჩემი გზით ივლიდა ეს ქვეყანაც, ო, პართჰა!
24. დაინთქმებოდნენ ეს სამყარონი, მე რომ საქმე არ
აღვასრულო
და მე ვიქნებოდი მიზეზი აღრევისა და კაცთა დაღუპვისა.
25. საქმისადმი გულმიდრეკილი შრომობს უმეცარი, ო,
ბჰარატა,
სიკეთის გამო, გულმიდრეკლად აღასრულებს თავის
საქმეს ბრძენკაცი.
26. საქმისადმი გულმიდრეკილ უმეცართ –
ნუ შეაძრუნებს მეცნავი კაცი,
ზენაარისთვის მორუდუნემ მათი საქმე შეებად აქციოს.
27. ბუნება აღასრულებს ხოლმე ყოველთვის ყოველგვარ
საქმეს,
მაგრამ თავკერძობით მოცთუნებული აგრე ზრახავს:
მე აღვასრულე!
28. გუნათა და საქმეთა ჭეშმარიტი ბუნება რაკი უწყის,
მათ მიერ გულდაუბმელი ამბობს: გუნები გუნებშივე
ბრუნავენ.

29. გუნათა ქმედების მიერ დაბმულთა, მათგან
დაბრმავებულთა,
ძაბუნთა და უბირთა გულს – კაცი გულმეცნიერი ნუ
შეადრწუნებს.
30. ჩემს მეოხებას მონადე ყოველი საქმე, უზუნაეს ატმანის
ერთგულმა თავი დაიხსენ გულისთქმისა და თავკერძობისა-
გან და ისევ ბრძოლად შეიმართე, ო, კაუნტეა!
31. გულმეცნიერნი ჩემს მოძღვრებას რა შემოუდგებიან –
უდრტვინველად,
რწმენითა და თავად საქმით მიითვლიან თავისუფლებას.
32. ხოლო რომელნი ჩემს მოძღვრებას არ შეისმენენ,
დრტვინვენ და უცნობოქმნილნი უგუნურად ილუპებიან.
33. თავად ბრძენიც კი თავისი ბუნების შესატყვისად იქცევა,
თავის ნიშატს მისდევს ყოველი არსი, რად წინ აღუდგე?
34. გრძნობათა მიმართ მიდრეკა და უკურიდება გრძნობათა
საგნებშივეა დამარხული. ორივე ბრძენის მტერია. მათს ხელ-
მნიფებას ნუ დაემონვი.
35. ნაკლულად შესრულებული საკუთარი დპარმა
კარგად შესრულებული უცხო დპარმის უმჯობესია:
საკუთარი დპარმით სიკვდილი გიჯობს,
ფათერაკით სავსეა უცხოთა დპარმა.

არჯუნამ თქვა:

36. მაშ, რაღა აქეზებს კაცის გულს ცოდვისაკენ, ო, ქეშავა?
თითქოსდა მისდა უნებურად რაღაც აცთუნებს.

კურთხეულმა ბრძანა:

37. ეს არის წადილი, ეს არის რისხვა,
მოძრაობის ძალისხმევით დაბადებული.
იცანი იგი, ამ ქვეყნად შენი მრავალცოდვილი,
უძლები მტერი.
38. ისე, ვით ცეცხლი კვამლით შეფუთვნილი, ისე ვით
უანგით დაფარული სარკე,
ისე, ვიც დვრიტა გარსით მოგარსული –
ეს ქვეყანა შებურული არის მის მიერ.
39. ბრძენის ამ მარადი მტრის მიერ არის შებურული თავად
სიბრძნე.
ეს არის კამას სახით გამოცხადებული დაუშრეტელი
გენია, ო, კაუნტეა!
40. გული, ცნობა და გონებაა მისი სარბიელი. მათ მიერ და მათი
მეოხებით
მოეგარსება რა სიბრძნეს, სხეულის შიგნით დავანებულს
აძრწუნებს ფრიად.
41. და ამიტომ, ბჰარატას ნაშიერთაგან გამორჩეულო,
დაიოკებ რა გულისთქმას,
დათრგუნე ცოდნისა და სიბძნის ეგ უძლები მტერი.
42. ვნებები დიდად იწოდება. ვნებათ უმაღლეს მანასია.
მანასის მალლა ბუდჰია, ხოლო იგი ბუდჰიზე უმაღლესია.
43. რა ეგ საცნაურჰყავ, რაკი გული ატმანის მიმართ
განიმტკიცე, ო, მკლავმაგარო, დასძლიე მტერი, ძნელადდა-
საძლევ კამას სახით მივლინებული!

IV

სიბრძნის იოგა ანუ ჯნანა-იოგა

კურთხეულმა ბრძანა:

1. ეს წარუდინებელი იოგა მე ვაუწყე ვივასვანს.
ვივასვანმა მანუს,
თავის ძეს აუწყა, მანუმ – იქშვაკუს, თავის ძეს გადასცა.
2. ასე, ერთიმეორისაგან იმოძღვრებოდნენ და აღიარებდნენ
მას რაჯა-რიშები,
მაგრამ მედინი დროის სარბიელზე დაიკარგა შემდგომ
ეს იოგა.
3. სწორედ ამ ძველ იოგას შეგაგონებ ან მე, რადგან ჩემი
მოყვასი და ბჰაქტა ხარ. ამ იოგაში უდიდესი საიდუმლოა.

არჯუნამ თქვა:

4. შენ იშვე შემდგომ, შენს უწინარეს ვივასვანი იშვა,
როგორ გულისხმავყო მე შენი სიტყვა?

კურთხეულმა ბრძანა:

5. მრავალი გარდასული დაბადება მაქვს მე, აგრეთვე შენცა,
არჯუნა.
მე ვცნობ ყველა ჩემს დაბადებას, ხოლო შენ ვერ სცნობ
შენსას, ო, პარანტაპა!
6. თუმცა მე არშობილი, წარუდინებელი ატმანი ვარ, თუმცა
მე ჩემსავე ბუნებაზე აღმატებული არსთა გამრიგე ვარ,
მე საკუთარი მაიას მეშვეობით ავლორძინდები ხოლმე.

7. რადგან ყოველთვის, როცა უსჯულოება მოეძალევა ქვეყანას, ხოლო დჰარმა დაძაბუნდება, მე თავად გამოვცხადდები ხოლმე ამ სოფლად.
8. კეთილთა შველად, მზაკვართა წარსახოცად, წესრიგის დასადგენად, მე ავლორძინდები საუკუნიდან საუკუნეში.
9. საკვირველია დაბადება ჩემი და საქმე ჩემი. ვინც ჭეშმარიტად შეიმეცნებს ამას – ხორცთან გაყრილი კვლავ დაბადებას აღარ მიელტვის, არამედ ჩემთან მოიქცევა, ო, არჯუნა.
10. განიშორებენ რა გულისთქმას, შიშსა და გულისწყრომას, ჩემით გულსავსენი და ერთგულნი, შეგონების ღვანლით განწმენდილნი, ჩემი ყოფის ბჭედ შემოიქცევიან.
11. ვითარი გულმოდგინებითაც მე შემომიდგენ, იმგვარადვე შევინყნარო იგინი. ჩემი გზითა ვალს კაცთა ნათესავი, ო, პართჰა!
12. მიწიერ საქმეთა აღმატებას ვინც მიელტვის, ღმერთებსა სწირავს მსხვერპლს. რადგან სანუთროში საქმით დაბადებული აღმატება მალედვე ახდება ხოლმე.
13. ოთხივე კასტის საქმე და თვისებათა განყოფა მე დავბადე, უწყოდე, მე ვარ მათი დამბადებელი და აგრეთვე არც დამბადებელი.
14. ვერ შემსვრიან მე საქმენი და საქმეთაგან მონაგარი არა მხიბლავს მე. რომელმა აგრე საცნაურმყოს – საქმეთაგან დაუბმელია.
15. უწყოდენ რა ეგე, საქმის აღსრულებით თავისუფლებას ესწრაფოდენ წინაპარნი. წინაპართა შენტა მსგავსად აღასრულე შენ შენი საქმე.

16. რაი არს საქმე და რაი უქმად ყოფნა? –
 თავად წინასწარმეტყველთაც თავგზა ებნეოდათ.
 მე განგიცხადებ შენ საქმეთ, რომელთა საცნაურყოფით
 ბოროტს განიშორებ.
17. გარჩევა უნდა ყოველგვარ საქმეს.
 აკრძალულ საქმეს და უქმად ყოფნას გარჩევა უნდა.
 იდუმალთა გზა შესაქმისა.
18. იგი, ვინც საქმესა ხედავს უქმად ყოფნაში და უქმად
 ყოფნას საქმეში, –
 კაცთა შორის მალლად მხედია. მან აღასრულა ყოველი საქმე.
19. ვისი შრომაც გულისთქმასა და გულისნადებს განეშორა,
 ვისი ღვაწლიც სიბრძნის სახმილშია გამობრძმედილი,
 იგი ნათელღებულად იწოდება.
20. მონაგარის მიმართ გულისთქმის დამთმობი, მარადღე
 კმაყოფილი, თავისთავადი,
 აკეთებს საქმეს, მაგრამ არაფერს არ აღასრულებს.
21. იმედთა გარემყოფს, გულისზრახვათა დამთრგუნველს,
 მონაგარის უარმყოფელს,
 მხოლოდ სხეულით მოქმედს, – არ ეკარება ცოდვა,
 ო, პართჰა!
22. უზრუნველად მოღებულთა გულსავსე, ორადობის
 გადამლახველი,
 ჭირსა და ლხინში გულშეუძვრელი, დაუბმელია მაშინაც კი,
 როცა მოქმედებს.
23. იგი თავისუფალი და შეუბორკველია. განიმტკიცა რა
 ზრახვანი სიბრძნით,
 მსხვერპლად მოაქვს თავის საქმეები და ისინი
 უნიშანწყლოდ ინთქმებიან.

24. ბრაჰმა მსხვერპლშენირვაა. ბრაჰმა მსხვერპლია, ბრაჰმას მიერ ბრაჰმას ცეცხლზე შენირული. მით მიეახლება ბრაჰმას ბრაჰმას საქმეში განაფული.
25. იოგთაგან ზოგიერთი ღმერთებისათვის
მსხვერპლშენირვაში იდებს წილს,
სხვები ბრაჰმას ცეცხლზე მოიღებენ საზორველს.
26. ზოგს სმენა და სხვა გრძნობები მოაქვს მსხვერპლად დაოკების ცეცხლზე, ზოგი ხმასა და გრძნობათა სხვა საგნებს შესწირავს მსხვერპლად გულისთქმის ცეცხლზე.
27. ზოგს სიბრძნით დაგზნებულ დაოკების ცეცხლზე გულის ყველა მისაქცეველი და მთელი სიცოცხლე მოაქვს შესაწირავად.
28. ზოგნი ქონებას, მამაცობას, იოგაში განაფულობას, სწავლასა და სიბრძნეს მოიღებენ მსხვერპლად – აღთქმის ერთგულნი.
29. სხვები ამოსუნთქვას ჩასუნთქვას და ჩასუნთქვას –
ამოსუნთქვას შესწირავენ
და რა დაიუნჯებენ მათ მიერ მორჭმულ ძალისხმევას –
პრანაიამას მიეცემაინ.
30. ხოლო კიდევ სხვანი, ჭამადის დამცრობით, თავის წილ სიცოცხლეს ერთ უფალს შესწირავენ. ყველანი ისინი მსხვერპლისმოდღვარნი და მსხვერპლითა ცოდვის შემმუსვრელნი არიან.
31. საუკუნო ბრაჰმასაკენ მიდის იგი, ვინც იგემა მსხვერპლის უკვდავების მომნიჭებელი ნამუსრევი – ამრიტა. შეუწირველთათვის ეს ქვეყანაც არა ჰგეის, საუკუნო ვითლა ეგების?
32. და აჰა, ბრაჰმას წინაშე დახვავებული მრავალგვარი შესაწირავი!
და ყოველი – საქმის მიერჰ არის ნაშობი. შეიცან და თავი დაიხსენ!

33. ნივთა შენირვას სიბრძნის შენირვა სჯობს,
სიბრძნე მოიცავს ყოველგვარ საქმეს, ო, პარანტაპა!
34. ვედრებითა და თაყვანისცემით შეიცან ეგე, მოძღვრის
ფერხითთ დაყუდებულმა,
ჭეშმარიტებას ზიარებულთა გაზიარონ შენცა ამ სიბრძნეს.
35. მეცნაურს ვერვინ მოგაცთუნებს და ამრიგად,
გამოუკლებლივ, სრულად იხილავ ყველა არსს შენსავ გულ-
ში და შემდეგ ჩემს გულში შეკრებილს.
36. და ცოდვილთაგან უცოდვილესიც რომ იყო,
სიბრძნის ნავით გადასცურავ ცოდვათა მორევს.
37. ცეცხლზე დადებულ ძელისაებრ, ო, არჯუნა,
სიბრძნის ცეცხლით დაინვება ყოველი საქმე,
38. რადგან ამ სოფლად, სიბრძნის სწორი განმნმედელი
არაფერია
და იოგაში სრულყოფილი – თანდათანობით დაიმკვიდრებ
მას გულისგულში.
39. მორწმუნე სიბრძნეს ეზიარება და გულისთქმის მპყრობელი
მაღედვე მიაღწევს უზენაეს საფუძველს.
40. უმეცარი, ურწმუნო და იჭვნეული დაილუპება.
მეჭველთათვის არ არსებობს არც ესა და არც სხვა
ქვეყანა, არც შვება და არც სიხარული.
41. ხოლო მას, ვინც იოგას მეოხებით განუდგა საქმეს,
ვისი იჭვიც სიბრძნემ დააცხრო, ვინც ერთგულია ატმანისა, –
მას საქმეები ვერ შებორკავს, დჰანანჯაია!
42. და ამიტომაც ატმანის სიბრძნის მახვილით გაჰკვეთე
უმეცრებით ნაშობი და გულს დამკვიდრებული იჭვი და
იოგასთან თანშენწყობილი აღდეგ, ბჰარატა!

V

მოქმედებისაგან განდგომის იოგა

არჯუნამ თქვა:

1. საქმეთაგან განდგომას, ო, კრიშნა, და აგრეთვე იოგას შენ აქებ. ორთაგან რომელია უმჯობესი – მაუნყე მე
გამონვლილვით.

კურთხეულმა ბრძანა:

2. განდგომაცა და კარმა-იოგაც, ორივე უზენაეს მადლის
შემქმნელია.
მაგრამ ორთაგან კარმა-იოგა აღემატება საქმეთაგან
განდგომას.
3. მუდმივ სანიასინად უნდა ვალიაროთ იგი, ვინც არც
მოძულეა და არც მოწადინე;
ორადობისაგან თავდახსნილი, ო, მკლავმაგარო, უღლისაგან
ბედნიერად თავისუფლდება.
4. ბალნი ამბობენ და არა მეცნიერნი: „სანქჰია და იოგა
სხვადასხვაო“.
ერთის მპოვებელმა ორთაგანვე მოიმკოს ნაყოფი.
5. რასაც სანქჰიები მიაღწევენ, მასვე მიაღწევენ იოგებიც.
ვინც ხედავს, რომ ორივე ერთია – ნათელმხილველია იგი.
6. მაგრამ, ძალგულოვანო, იოგას გარეშე ძნელადმისაღწევია
განდგომა.
ხოლო იოგას ერთგული ბრძენი ბრაჰმას ეზიარება
დაუბრკოლებლივ.

7. იოგას ერთგული, განწმენდილი, გულდაპყრობილი და
გულისთქმადათრგუნული –
შეერთება რა თავისი სულით ყოველთა არსთა სულს,
საქმითაც არ შეისვრება.
8. რადგან ერთგული და ჭეშმარიტებასთან ზიარებული აგრე
ზრახავს:
ოდეს ვჭვრეტ, ვისმენ, ვეხები, ვყნოსავ, გემოსა ვსინჯავ,
ვმოძრაობ, ვსაუბრობ, ვიძინებ თუ ვსუნთქავ – არა რასა ვიქმ!
9. ვიღებ თუ გამოვცემ, თვალს ვახელ თუ ვხუჭავ:
„გრძნობათა ასონი გრძნობათა საგნებს მიმოველებიან“
– მარადლე აგრე ზრახავს.
10. მოქმედი – ბრაჰმას რა შესწირავს საქმეთ,
გულმიუდრეკელს ველარ შესვრის ბოროტება, როგორც
წყალი ლოტოსის ფურცელს.
11. მხოლოდ გონებით, გულით, სხეულით და ინდრიების
მეშვეობით განწმენდისათვის აღასრულებენ
იოგები მოქმედებას.
12. ერთგული – მოიშორებს მონაგარს და მით სრულყოფილ
ქვეყანას მოიგებს.
ორგული – გულისთქმით მონაგარზე დაბმული უღელში ებმის.
13. ყველა საქმისაგან გულით განდგომილი, ხორცშემოსილი
განმგებელი შვებითა სუფევს ცხრაკლიტულ ქალაქში.
არც თავად იღვნის და არც სხვათ აიძულებს.
14. არც საქმეს და არც გასარჯელს არა ბადებს ქვეყნის
მეუფე.
არც აერთებს საქმეს მონაღვანთან და აჰა, მაინც ჰგიეს
ქვეყანა ეგე.

15. მართალთა მადლსა და შეცთომილთა ბრალს ქედზე არ
იდებს ქვეყნის მეუფე:
უცნაურობა მოსავს სიბრძნეს და იგი აბრმავებს კაცთა
ნათესავს.
16. მაგრამ ვინც ეს უცნაურობა ატმანის საცნაურყოფით
შემუსრა,
მისი ცოდნა მზეებრ გამოავლენს ზენას უზენაესს.
17. და რა შესწვდება მას და მისი მეოხებით თავსაც შეიმეცნებს
ზენაარ მიზნად მისი დამსახველი, ცოდნით ცოდვების შემმუს-
ვრელი – წავა და უკუ აღარ მობრუნდება.
18. ბრძენს სწორად უჩნს გულის სიმდაბლითა და სიბძნით
დამშვენებული ბრამინი, ძროხა, სპილო, ძალლი და თავად ძალ-
ლის მჭამელიც.
19. აქვე დაამარცხა ნუთისოფელი იმან, ვისი გულიც
შეუძვრელია,
რადგან უცოდველი და უქცეველია ბრაჰმა და იგიც
მასთანვე იყოს.
20. ბრაჰმასთან მყოფსა და ბრაჰმას მეცნაურს დე, საამური
ნუ აღხენს და უამური დე, ნუ უჩნს ჭირად.
21. გარეგან შეხებათა მიმართ გულმიოდრეკელი, ატმანში
ჰპოვებს სიხარულს,
წარუდინებელ ნეტარებას იგემებს იგი ბრაჰმანის იოგაში.
22. რადგან შეხებისგან მოგვრილი შვება – ტანჯვათა წიაღია.
წარმავალია იგი, კაუნტეა, და ნათელღებული მით
არა ხარობს.

23. ვისაც ძალუძს სრულ განთავისუფლებამდე –
 გულისტქმითა და გულისწყრომით დაბადებული
 სწრაფვანი სხეულიდან განირიდოს – ნეტარი არის.
24. ვინც გულთა შინაა მოხარული, ვინც გულთა შინაა
 ბედნიერი, ვინც გულთა შინავეა ნათელმოსილი –
 იოგია და იგი მოიპოვებს ბრაჰმას არსსა და ბრაჰმას
 ნირვანას.
25. ცოდვის შემმუსვრელი, ორადობის დამარღვეველი,
 თავდაჭერილი რიში მოიპოვებს ბრაჰმას ნირვანას –
 ყოველთა მადლის მოხარული.
26. გულისტქმისა და გულისწყრომის უარმყოფელი, გულის
 ნდომათა დამთრგუნველი,
 ატმანის მეცნაური მიეახლება ბრაჰმას ნირვანას.
27. ბრძენი განირიდებს გარეგან შეხებას, მზერას წარბთა
 საშუალ მიმართავს,
 ნესტოთა წიაღ განმავალ ამოსუნთქვასა და ჩასუნთქვას
 გაათანაბრებს,
28. დაიოკებს გულს, ცნობას და გონებას და უზენაესი
 თავისუფლების მოსწრაფე,
 გულისტქმის, შიშისა და გულისწყრომისაგან
 განდგომილი – საუკუნოდ განთავისუფლდება.
29. მე რა შემიმეცნებ – მსხვერპლითა და ღვანლით გარემოსილს,
 ყველა სამყაროთა უზენაეს მეუფეს, ყოველთა არსთა
 მონყალესა და მეგობარს, – სასუფეველს მოიპოვებ.

VI

თავისდაოკების იოგა

კურთხეულმა ბრძანა:

1. ვინც საჭირო საქმეთ აღასრულებს და საქმეთაგან
მონაგარს არ ეძიებს,
იგი სანიასინია, იგი იოგია და არა იგი, ვინც წესს არ
იცავს და უცეცხლოდ რჩება.
2. იგი, რაც განდგომად იწოდება, შეიგონე როგორც იოგა.
რადგან წადილთაგან განდგომის გარეშე არა არს იოგა.
3. იოგას მოსწრაფე მუნისათვის ღვანლი მეოხებაა,
იოგას მეცნაურისათვის მშვიდობა მეოხებაა.
4. რადგან, როცა იგი გრძნობათა საგნებისა და საქმეთაგან
დაუბმელია
და როცა იგი გულისთქმისაგან განრიდებულია, -
მაშინ იწოდება იოგას მეცნაურად.
5. დე, ამალლდეს იგი ატმანის მეოხებით და არ დაიმდაბლოს
თავი თვისი.
რადგან ყოველი - თავის თვისის მოყვარე და თავის
თვისის მტერია.
6. თავის თვისის მოყვარეა იგი, ვინც თავისაგან ძლეულია.
თავაულაგმავი - მტრისაგან უფრო თავის მტერია.
7. თავისგან ძლეული და გულმშვიდი ჭირსა და ლხინში,
დარსა და ავდარში ატმანზეა დაუნჯებული.
8. სიბრძნითა და სწავლით გაბრძნობილს, შეურყევლად
მწვერვალზე დადგინებულს,
გულისთქმის მძლეველს - იოგასთან ზიარებული ჰქვია
და სწორად უჩნს მას ოქრო, მინის გორახი და ქვა.

9. სწორად უჩნს მტერი და მოყვარე, მართალი და
შეცთომილი, თანამდგომი და წინაღმდგომილი.
10. დე, იოგი იღუმალად ინაფებოდეს იოგაში,
მარტოსული იყოს, უპოვარი იყოს, გულმშვიდი და
ცნობაწყნარი იყოს
11. წმიდა ადგილზე დაიდგას ტახტი, არც ფრიად მაღალი,
არც ფრიად დაბალი –
ფურირემის ნატიითა და კუშას ბალახით დაგებული.
12. იქ დაიოკოს ზრახვანი იოგაში და თვითგანმენდისათვის
გული თვისი ერთზე დაიუნჯოს.
13. სწორად და უძრავად დაიდგინოს ტანი, თავი და კისერი.
ცხვირის ჭვინტს მიაპყროს მზერა და თვალი არ გაექცეს
მიდამოთ კერძო.
14. დაიოკოს გული, განიშოროს შიში და მშვიდი გონებით
მგონებელმა მომიგონოს მე. ჩემდა მომართ მოსწრაფე
დე, ასე იჯდეს.
15. მარადლე აგრე ნაწვართი იოგი, დაიოკებს რა გონებას,
ჩემში დავანებული უზენაესი ნირვანის სასუფეველს
დაიმკვიდრებს.
16. ვერ ეზიარონ იოგას ვერცა ნაყროვანნი, ვერცა
მოძულენი ჭამადისა.
ვერცა ძილითა მცონარენი, ვერცა უძილობით მღვიძარენი.
17. ჭამადსა და თავისდაოკებაში ზომიერისათვის,
მოქმედებასა და საქმეებში ზომიერისათვის, ძილსა და ღვი-
ძილში ზომიერისათვის არის იოგა – ჭირთა წარმზოცველი.
18. როცა ცნობაწყნარი გონება ატმანში განმტკიცდება,
გულისთქმისაგან განდგომილი მაშინ იწოდებაზიარებულად.

19. „ვითარცა მყუდროში დადგინებული კელაპტარი
არ შეირხევა“...
ეგე - გონებადაოკებულ იოგების მსგავსებად თქმულა.
20. სადაც იოგაში წვრთით შეკავებული გულისზრახვა
დანყნარდება,
სადაც გულში ატმანის მხილველი, ატმანიტვე გაიხარებს.
21. იქ, გონებისთვის მისანდომი, გულისტქმაზე
აღმატებული, უმაღლესი სიხარული ცნაურდება,
და მასთან დავანებული - ჭეშმარიტებას არ უკურიდებს.
22. მისი მწვდომელი - მისანდომლის საზღვარს მისწვდება,
მასთან დავანებულს - დიდი საჭმუნავიც გულს
ვერ შეუძრავს.
23. მწუხარების უღლის მომშორვებლად იწოდება ეს იოგა.
მტკიცედ დაოკებული გონების მეოხებით.
24. ნატამალიც განიშორე გულისტქმით დაბადებული
ვნებათა ლელვისა.
დათრგუნე გულში ყოვლგნით აღძრული გრძნობათა ჯარი.
25. არარაის მდომელი და ატმანში დადგინებული, ნება-ნება
დაცხრება იოგი,
მტკიცედ დაოკებული გონების მეოხებით.
26. საითაც უნდა გაგეპაროს ხარბი და დაუდგრომელი გული,
ხამს, ატმანის ნებისყოფას დაუმორჩილო იგი მარადლე.
27. რადგან უცოდველ, გულისტქმადაოკებულ,
გულგანვრთნილ და ბრაჰმას მიმსგავსებულ იოგს -
უზენაესი ნეტარება მიეგება.
28. ატმანთან მარად ტკბილად თანშენყობილი, ცოდვათა
შემმუსვრელი იოგი,
მიეახლება რა ბრაჰმას - უმაღლეს სიხარულს იგემებს.

29. იოგასთან თანშენწყობილი, ყველგან ერთის მხილველი
ყველა არსს ატმანში დადგინებულს და ატმანს ყველა
კაცი -
არსში დადგინებულს ჭერეტს.
30. რომელმა ყოველში მე და ყოველი ჩემში იხილოს -
მე არ დავუტევო იგი და მან არ დამიტევოს მე.
31. რომელმა ყოველში მე მალიაროს, როგორც უნდა
ცხოვრობდეს იგი - მან ჩემში და ჩემთან იცხოვროს.
32. ატმანთან მიმსგავსების გამო, ვისაც ჭირი და ლხინი
სწორად უჩნს, იგია, ო, არჯუნა, ჭეშმარიტი იოგი.

არჯუნამ თქვა:

33. შენ მიერ დასაზღვრულ იოგაში, მადჰუსუდანა, მე ვერა
ვჭერეტ მტკიცე საფუძველს,
თვისი დაუდგრომლობის გამო.
34. რადგან გული დაუდგრომელი და ბორგნეულია, ო,
კრიშნა, მშფოთვარე და შეუპოვარია, და მგონია, მისი დაო-
კება ისევე ძნელია, როგორც ქარის დაყუდება.

კურთხეულმა ბრძანა:

35. ჭეშმარიტად, ძალგულოვანო, გული ძნელად დასაჭერი
და ბობოქარია,
მაგრამ წვრთნითა და სინმინდით, კაუნტეა, შესაძლოა
მისი დაოკება.
36. ძნელადმისაწვდომია იოგა გულდაუპყრობელისთვის -
მე ასე ვგონებ,
მაგრამ, ვინც თავით თვისით სძლია თავს და ინაფება,
იგი სწორად დაეუფლება იოგას.

არჯუნამ თქვა:

37. არგანდგომილი, იოგაზე ვერდაუნჯებული,
მაგრამ რწმენით გულსავსე კაცი
ვითარი გზით ვალს, ო, კრიშნა?
38. ორთაგანვე მოშორებული, ბრაჰმას ჭეშმარიტ გზას
აცდენილი,
განა დაფლეთილი ღრუბლის მსგავსად არ დაილუპება?
39. საბოლოოდ განმიქარვე ეს იჭვი, ო, კრიშნა,
რადგან შენს გარდა ვერვინ განმიმარტავს ამ საეჭველს.

კურთხეულმა ბრძანა:

40. ო, პართვა, არც აქა და არც იმიერ ქვეყნად
არ დაილუპება იგი,
რადგან გულმართალნი არასოდეს შედგებიან ბოროტ
გზაზე, შვილო ჩემო.
41. იოგაზე ვერდაუნჯებული, მართალთა საუფლოში
გაატარებს უთვალავ საუკუნეს
და შემდეგ წმიდა, ბედნიერ სახლში დაიბადება.
42. ანდა ბრძენი იოგების სახლეულთა შორის იშვება იგი.
მაგრამ ამ ქვეყნად ძნელად თუ მიაღწევს ვინმე ასეთ
დაბადებას.
43. წინანდელ გარდასხეულებათა ჟამს მოხვეჭილ სიბრძნეს
იგი კვლავ მოისართავს
და კვლავ სრულყოფისაკენ წავა იგი, ო, კურუთა,
სიხარულო!

44. გარდასული წვრთა და სწავლა უნებურად იზიდავენ
მის გულს.
იოგას შემეცნების მხოლოდლა მნებავიც კი გადალახავს
ბრაჰმას სიტყვას.
45. მაგრამ იოგი, იოგას მეოხებით გულდაპყრობილი და
ბრალთაგან განწმედილი,
მრავალ დაბადებათა შემდგომ სრულყოფას მიღწეული –
ზენაარი გზით მიემართება.
46. იოგი – განდეგილზე მაღალი და ბრძენზე მაღალია,
იოგი – საქმისმოქმედზე მაღალია, ამიტომაც იოგი იყავ
შენცა, ო, არჯუნა!
47. იოგთა შორის ვინც გულის სიღრმით ჩემი ერთგულია,
ვინც მაღიარა მთელი რწმენით, იგია სრულად
ზიარებული, მე აგრე ვფიქრობ.

VII

შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ი ო გ ა

კურთხეულმა ბრძანა:

1. ჩემს საუფლოში, იოგასთან ზიარებულმა,
ჩემი სიბრძნის გულსავსედ მეცნაურმა ეს შეიგონე.
2. ამ მოძღვრებასა და მის გამოყენებას მე სრულად გაზიარებ.
მის მეცნაურს ამა ქვეყნად მისაღწევი არარა რჩება.

3. ათასთა შორის ერთი თუ იპოვება სრულყოფის მონადინე, მონადინეთა და ზიარებულთა შორის ერთი თუ იპოვება ჩემი მეცნაური.
4. მიწა, ცეცხლი, წყალი, ჰაერი, ეთერი, გული, გონება და აჰანკარა, აი ჩემი რვამაგად ნილნაყარი ბუნება.
5. ასეთია ჩემი უდარესი ბუნება. მაგრამ გულისხმავა ჩემი უმაღლესი ბუნებაცა, ცხოველი სული, ძალგულოვანო. მისი მეოხებითა დგას ეს მედინი ქვეყნიერება.
6. მათ წიაღთა შინა სუფევს ყოველი არსი – ეს შეიგონე. მე ვარ ყოვლის დასაბამი და დასასრული.
7. ჩემს უზენაეს არარა ჰგიეს, ო, დჰანანჯაია, ჩემზეა ასხმული ყოველივე, როგორც მკედზე მარგალიტის მძივი.
8. მე ვარ წყალთა გემო, ო, კაუნტეა! მე ვარ მზისა და მთვარის ელვარება. მე ვარ ცხოველი სიტყვა ვედებისა, ხმა დარხეული ეთერში და კაცურობა კაცთაგანისა.
9. მე ვარ დედამინის წმინდა სუნი და ცეცხლის ნათელი, ყოველთა არსთა ცხოვრება და მოღვაწეთა ღვანღმოსილება.
10. საცნაურმყავი – ვით არსთა გულში დამარხული მარადი დერიტა. და მე ვარ სიბრძნე გულმეცნიერთა, ჩინებულთა ჩინებულება.
11. მე ვარ ძალი, ვნებათა და გულისთქმისგან განრიდებულ ძალგულოვანთა, და არსთა გულში სამყაროს წესთან შეწყობილი წმინდა სურვილი.

12. ჩემგანვე არის: სატვა, რაჯასი და ტამასი,
რადგან მე კი არა ვარ მათთან, არამედ ჩემთან ჰგიან იგინი.
13. ამ სამისაგან ცთუნებულია მედინი ქვეყანა
და მე – მათ ზედა ხელმწიფესა და წარუდინებელს ვერ
საცნაურმყოფს.
14. რადგან ძნელადგადასალახავია ბუნების ამ სამი
თვისებისგან მოქსოვილი ღვთაებრივი მაია,
ხოლო რომელნი მე შემომიდგენ – გაგლიჯონ იგი.
15. უმეცარნი, გულხენეშნი და მზაკვარნი არ შემომიდგებიან მე.
ისინი, მაიას მიერ ცოდნა-მოძარცულნი, ასურთა
ბუნებას აღიარებენ.
16. ოთხნაირთა მცენ თაყვანი, არჯუნა:
შეჭირვებულთა, გულისხმისა და მორჭმის მოსწრაფეთა
და ბრძენთა.
17. მათ შორის ერთის აღმსაარებელი, მარად ერთგული
ბრძენია გამორჩეული.
მთნავს მე ბრძენი და ბძენისათვის სათნო ვარ მე.
18. მალლად მხედია ოთხივე, ხოლო ბრძენს ჩემს მსგავსად
შევრაცხ,
რადგან ჩემთანა ჰპოვებს იგი უზენაეს გზას.
19. მრავალ დაბადებათა შემდეგ, მეზიარება რა ბრძენი, –
„ვასუდევაა ყოველივე“, აგრე იტყვის ძნელადსაპოვნელი
მაჰატმა.
20. ხოლო რომელთა ცნობა მრავალფერი გულისთქმითაა
წარტყვევნილი,
საკუთარი ნიშატიისაგან ძლეულნი, სხვა ღმერთებს
ეთაყვანებიან.

21. როგორ ბომონსაც უნდა სცენ თაყვანი,
მორწმუნეთა გულში მე ვამტკიცებ უქცეველ რწმენას.
22. ამ რწმენით განმტკიცებული ევედრება ზენაარს იგი,
თუმცა მისგან ნაწყალობევი ნიჭი ჩემგან არის მონიჭებული.
23. მაგრამ წარმავალია მცირედგაბრძნობილთა ეს ნიჭი.
ღმერთთან მიიქცევა მსხვერპლის შემწირველი,
ხოლო ჩემდა – ჩემი მოყვარული ბჰაქტა.
24. უგუნურთა არ უწყიან ჩემი წარუვალი, მიუწვდომელი და
უზმთაესი ყოფა,
და მე – გამოუჩენელს – საჩინოდ მიმიჩნევენ.
25. არა ყოველთა საცნაურმყონ მე – შებურვილი იოგამაიათი.
ქვეყანა ეგე შეცთომილი ვერ შემიცნობს არშობილს
და წარუდინებელს.
26. მე სრულად ვუწყი ყოველი არსი: გარდასული,
ანინდელი და მომავალი. ჩემი ყოფა არავინ იცის.
27. გულმიდრეკისა და უკურიდების მეოხებით შობილი,
ორადობით ცთუნებული არსი – ბრმავდება ამ სოფლად.
28. მაგრამ მაღალნი და მაღლად მხედნი, ცთუნებისა და
ორადობის შემმუსვრელნი,
მე თაყვანს მცემენ – აღთქმის ერთგულნი.
29. რომელი სასუფეველს ჩემთან ეძიებს,
რომელი სიბერისა და სიკვდილისაგან ხსნას ელტვის,
სრულად შეიმეცნებს ბრაჰმას, უზენაეს ატმანს და
მთელ კარმას.
30. რომელმა მაღიაროს უზენაეს ყოფად, უზენაეს მეუფედ,
უზენაეს მსხვერპლად,
სულთა გაყრის ჟამს შემიმეცნოს – გულით ერთგულმა.

VIII

წარუდინებელი ბრაჰმას იოგა

არჯუნამ თქვა:

1. რაი არს ბრაჰმა და უზენაესი ატმანი? რაი არს კარმა, ო, პუ-
რუშოტამა?
რა ინოდება უზეშთაეს ყოფად, ვის სახელდებენ უზენაეს
მეუფედ?
2. რასა ჰქვია უზენაესი მსხვერპლი და როგორ ჰკიეს იგი ამ
სხეულში?
და სულთა გაყრის ჟამს ვით გაცნაურდები გულით
ერთგულთათვის?

კურთხეულმა ბრძანა:

3. ბრაჰმა უზენაესი წარუდინებელია. უზენაესი ატმანი
თვითმყოფადია.
კარმა არსთა ყოფად მოქცევისა და ყოფისაგან დანთქმის
მიზეზს ეწოდება.
4. უზეშთაესი ყოფა წარმავალ არსებობაშია. უზენაესი მეუფე
პურუშა არის.
უზენაესი მსხვერპლი მე ვარ ამ სხეულში, ხორცშემოსილთა
შორის უმჯობესო.
5. რომელმა სულთა გაყრის ჟამს მე მომიგონოს,
სხეულისგან დახსნილი –
ჩემს ყოფას ეზიარება, უცილობელია ეგე.
6. რადგან რომელ არსსაც მოიგონებს გარდაცვლის ჟამს კაცი,
იმ არსთან გაემართება, კაუნტეა, იმ არსადვე გარდაცვლილი.

7. ამიტომ ყოველ დროს და ჟამს მე მომიგონე და ბრძოლად
აღდეგ,
ჩემსკენ მომართე ცნობა და გული და ჩემთან მოიქცევი
უცილობლად.
8. იოგაზე დაიუნჯე გონება, ნუ გარემოიქცევი მიდამოთ კერძო.
უზენაეს სულს ეზიარება, პართჰა, მისი მგონებელი.
9. აღსრულების ჟამს, იმა ქვეყნის წყველიადით
გულშეუმკრთალი,
იოგას ძალას ზიარებული, წარბთა შუა მიმართავს რა პრანას,
10. მას მოიპოვებს – ბრძენსა და მზისაფერს, უხუცესს,
მცირეზე უმცირესსა და სამყაროის გამრიგეს, შეუწერელსა
და ჯადოსნურ, უზენაეს სულს.
11. რასაც ვედებით განსწავლულნი აქჰარამს –
წარუდინებელს არქმევენ,
რასაც ესწრაფიან გულისთქმისაგან თავდახსნილი
მოღვაწენი,
რასაც მოყარიბე ბრაჰმარია მარადლე ეძებს,
იმ გზას მე მოკლედ განგიცხადებ.
12. სხეულის ყველა ბჭე დახაშ, გული მანასს შინა დაიდგინე,
პრანა დაიუნჯე თავში და იოგაში განმტკიცებულმა
13. ჩუმად იჩურჩულე: „აუმ“ – წარუდინებელია, ერთიანია
ბრაჰმა.
აგრე მომიგონე სულთაგაყრის ჟამს და უზენაეს გზას
შეუდგები.

14. უცვალეבלად ერთგული იოგისტვის, რომელმაც დათმო ყოველგვარი ნდომა და მხოლოდ მე მიგონებს – ადვილად მისაწვდომი ვარ მე.
15. სრულქმნილობით გულსრულნი – ჩემდა მოახლებული
მაჰატმანი
ჭირთა ამ წარმავალ საუფლოში კვლავ დაბადებით აღარ
შემოიქცევიან.
16. ბრუნვის წესს დაქვემდებარებული – თავად ბრაჰმას
სამყაროც კი, ო, არჯუნა, კვლავ შემოიქცევა.
მხოლოდ იგი, ვინც მე შემომიდგა, ყოფად აღარ მოიქცევა.
17. რომელმა საცნაურჰყო ბრაჰმას დღე ათასსაუკუნოვანი
და ბრაჰმას ღამე ათასსაუკუნოვანი – მან საცნაურჰყო
დღე და ღამე.
18. დღე რა გათენდება, უჩინარიდან მოიქცევა ყველაფერი,
რაც საჩინოა.
და რა შელამდება, უჩინარშივე განქარდება საჩინოქმნილი.
19. თავის ნების უნებურად ყოფადმოქცეული არსთა სიმრავლე
ალორძინდება დღის მიერ და განქარდება ღამის მიერ.
20. ამ უჩინარის უზეშთაეს, მარადი უჩინოება ჰგიეს
და იგი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე.
21. უჩინარი – წარუდინებლად და უზენაეს გზად იწოდება.
მასთან ზიარებულნი უკუ აღარ მოიქცევიან
და ეგ არის ჩემი საუფლო.

22. მხოლოდ განუყოფელი ბჰაქტასათვისაა მისანდომი
უზენაესი სული, ო, პართჰა!
მისით არსობს ყოველი არსი და მისივე მეოხებით
განიფინა ეს სამყარო.
23. თუ რა ჟამს მიიქცევიან მოუქცევარსა შინა და რა ჟამს
მოიქცევიან კვლავ იოგები,
გამცნობ მე შენ, ბჰარატათა შორის გამორჩეულო.
24. ცეცხლისა, დლისა, სხივის, ნათელი ნახევარმთვარისა და
მზის ჩრდილოეთით მიქცევის ექვსთვიანობის ჟამს –
ბრაჰმა მიითვალავს ბრაჰმას მეცნაურთ.
25. კვამლისა, ღამის, ბნელი ნახევარმთვარისა და მზის
სამხრეთისკენ მიქცევის ექვსთვიანობის ჟამს, – მთვარით
ნათელღებული იოგი კვლავ შემოიქცევა.
26. სამყაროს ეს ბნელი და ნათელი გზა უქცეველია.
პირველით – უკუმოუქცევლად მიემართებიან,
მეორეთი – კვლავ უკუმოიქცევიან.
27. ამ გზათ რა საცნაურყოფს, ო, პართჰა, იოგი არასოდეს
შეცდება.
ამიტომ ყოველ დროს და ჟამს იოგას უერთგულე, არჯუნა!
28. მისი მეცნაური იოგი ვედებით, მსხვერპლითა, ღვანლითა და
წყალობით აღთქმულ წმინდა ნაყოფს აღემატება, და ამრი-
გად შედის იგი უზენაეს სასუფეველში.

IX

მ ე ფ უ რ ი ს ა ი დ უ მ ლ ო ს ი ო გ ა

კურთხეულმა ბრძანა:

1. მე შენ განგიცხადებ იდუმალზე იდუმალ ამ სიბრძნესა და ცოდნის აღსრულებას, რომლის მეოხებითაც თავისუფლებას დაიმკვიდრებ.
2. მეფური მეცნიერება, მეფური საიდუმლო – უზენაესი განსანმედელია, საჩინო და მისანვდომელი, წესით დასაზღვრული და წარუდინებელი.
3. კაცნი ურწმუნონი, ამა წესით ჩემდამო ვერმოქცეულნი, სიკვდილისა და სამსარას გზებით უკუმიიქცევიან მარადლე.
4. მე მივეც დასაბამი – ბუნებაუჩინარმა – ამ მბრუნავ სამყაროს, ჩემგან და ჩემს მიერ და ჩემთანავე სუფევს ყოველი არსი, ხოლო მე მათთან არა მაქვს ყოფა.
5. და მაინც ჩემთან არ სუფევს იგი, შეიცან ჩემი იოგა! მე ვარ მეუფე ყოველთა არსთა, მათთანა მყოფი არსთა მტვირთველი.
6. როგორც ყოვლისგამნონელი ქარბორბალა ყველგან და ყოველთვის ჰაერში ჰგიეს, ეგრევე, ყოველი ჩემთანა ჰგიეს, შეიცან ეგე.

7. ყოველი არსი კალპას დასასრულს მე მეზიარება,
კალპას დასაწყისში მე კვლავ დავბადებ მათ.
8. საკუთარ ბუნებაში მყოფი, ბუნების ნებითა და მის უნებურად
მე ისევ და ისევ წარმოვქმნი არსთა ამ სიმრავლეს.
9. და არა მბორკავს მე ეს შესაქმე, დჰანანჯაია,
გულმიუდრეკლად მყოფსა და საქმეთაგან დაუბმელს.
10. ჩემი ხელმწიფების ქვეშე აძლევს ბუნება დასაბამს
ძვრასა და მყუდროებას
და ამ მიზეზის ძალით ბრუნავს, კაუნტეა, მედინი ქვეყანა.
11. შევიმოსები რა კაცებრივით, უმეცარნი უარმყოფენ მე,
რადგან არ უწყიან ჩემი უზენაესი არსება,
არსთა ზენაარი მეუფისა.
12. ამაოა იმედი, ამაოა საქმე, ამაოა ცოდნა
ეშმაურ და ასურულ ბუნებასთან წილნაყარ უმეცართათვის.
13. ხოლო მაჰატმები, ო, პართჰა, მოეახლებიან რა
ღვთაებრივ ბუნებას,
არსთა წარუდინებელი დასაბამის მეცნაურნი,
განუყოფელი გონებით თაყვანსა მცემენ მე.
14. მარადჟამს ჩემი მადიდებელნი, ღვანლმოსილნი და აღთქმის
ერთგულად შემნახველნი, ო, პართჰა, კრძალულებით თაყვან-
სა მცემენ მე.
15. აგრეთვე სხვანიც, მსხვერპლად სიბრძნეს რა შემწირავენ,
ვითარცა ერთსა და მრავალწილად განყოფილს,
ვითარცა ყოვლისმპყრობელ მეუფეს – თაყვანსა მცემენ მე.

16. მე ვარ წესი მსხვერპლშენირვისა, მე ვარ მსხვერპლი,
მე ვარ ზედაშე წინაპართათვის შენირული, მე ვარ ფესვი
და მანტრა, წმიდა ზეთი და ცეცხლი, მე ვარ ამაღლება.
17. მე ვარ მამა, შემოქმედი და წინამორბედი ამა ქვეყნისა,
ცოდნათა საგანი,
განმმედელი, სიტყვა აუმ-ი, რიგვედა, სამავედა
და აგრეთვე იაჯურვედა.
18. მე ვარ გზა, მეუღლე, უფალი და მეგობარი, სადგური და
სამყოფელი,
აღორძინება და განქარება, საუნჯე და წარუდინებელი
ღვრიტა.
19. მე ვარ დამყოვნებელი და წარმომგზავნელი წვიმათა...
მე ვარ უკვდავება და სიკვდილი, ყოფნა და არყოფნა,
ო, არჯუნა!
20. სამი ვედის მეცნაურნი, სომანასვამნი, ცოდვათაგან
განწმენდილნი
მსხვერპლსა მწირავენ და ზეციურ გზაზე შემოდგომას
მევედრებიან. ხოლო როცა მეუფის წმიდა სასუფეველს
მიაღწევენ, ცათა შინა ღვთაებრივი ნეტარებით ტკებებიან.
21. და რა დატკებებიან სამოთხის უკიდევანო სასუფეველით და
თავისი სიქველის საზღაურ ნეტარებას ამოსწურავენ, მოკვ-
დავთა საუფლოში აღორძინდებიან კვლავ, აგრე, ვედების
სამმაგი წესის მიმდევართ და სურვილთა მსურველთ აღდგო-
მა და გარდამოსვლა მიეგებათ.
22. ხოლო მარად ერთგულ კაცთ, რომელნი სხვას არას
გულისხმეაყოფენ, თვინიერ ჩემი თაყვანისცემისა, მე იოგას
სამყოფლოში შევიყვან.

23. იგი, ვინც სხვა ღმერთებს ეთაყვანება... და რწმენით
გულსავსე სწირავს,
მე მწირავს იგი, თუნდაც რომ წესს არ იცავდეს, ო, კაუნტაია
24. რადგან მე ვარ ყოველთა მსხვერპლთა გემოსმხილველი
მეუფე.
მაგრამ ისინი ვერ საცნაურმყოფენ და ამიტომ ამაოდ
შვრებიან.
25. რომელმა ღმერთებსა სცეს თაყვანი, ღმერთებთან მივიდეს.
წინაპართათვის პატივის მიმგებელი წინაპრებთან მიდის,
სულთა მიმართ მსხვერპლის შემწირველნი სულების
წიალთა შინა განისვენებენ,
ხოლო რომელმა მე შემომწიროს, ჩემთან მოვიდეს.
26. რომელმა სიყვარულით შემომწიროს ფოთოლი, ყვავილი,
გინა წყალი,
გულმდაბალის ამ კრძალულ საზორველს სიყვარულითვე
მივითვლი.
27. რასაც უნდა იქმოდე, რაც უნდა იგემო, რაც უნდა შესწირო
მსხვერპლად,
რაც უნდა გასცე და მოიღვაწო, ყოველივე ჩემდა
მოიტანე როგორც საზორველი.
28. აგრე დაიხსნი თავს ავისა და კარგისაგან. აგრე მოიშორებ
კარმის უღელს.
განდგომის იოგას ზიარებული და თავისუფალი ჩემდა
მოიქცევი.

29. სწორად მიჩნს მე ყოველი არსი, – მტერი და მოყვარე,
მაგრამ აღმსაარებელი ჩემი ჩემთანა ჰგიეს, ხოლო მე მასთან.
30. უკეთუ გულითა მზაკვარი მალიარებს – სხვათა
უარმყოფელი,
მართალთა შორის შერაცხე იგი, რამეთუ მართალ საქმეს იქმს.
31. შემდგომ, რაკი მოიქცევა, საუკუნო სასუფეველს
დაიმკვიდრებს ისიც.
ო, კაუნტეა, შეიცან ეგე: ჩემი ბჰაქტა არ ილუპება.
32. ყოველს, რომელი მირეკდეს – დიაცსა და ვაიშიას,
შუდრასა და გინდა ავ ნიაღთა შინა მყოფს, – განელოს
ბჭენი უზენაესისა.
33. ხოლო უფროისად – ნმიდა ბრამინებსა და კრძალულ
რაჯა-რიშებს.
ამ წარმავალ და უსიხარულო სანუთროში შემოქცეულმა
– მე თაყვანი მეც.
34. მე მომიგონე, მე შემომნირე, პატივი მაგე, მე მეც თაყვანი.
ჩემი ერთგული, უზენაეს მიზნად ჩემი დამსახავი –
ჩემდა მოიქეც.

X

ძ ა ლ თ ა გ ა მ ო ვ ლ ი ნ ე ბ ი ს ი ო გ ა

კ უ რ თ ხ ე უ ლ მ ა ბ რ ა ნ ა :

1. კვლავაც, ო, ძალგულოვანო, ყური უგდე ჩემს უზენაეს სიტყვას, მე ამ სიტყვას შენ გაუნყებ, საყვარელო, შენთვის კეთილისმდომელი,
2. ჩემი წარმომავლობა არ იცინან არც ღმერთთა გუნდებმა, არც დიდებამოსილმა რიშებმა, რადგან მე ვარ დასაბამი ყველა ღმერთისა და დიდი რიშებისა.
3. რომელი საცნაურმყოფს მე – არშობილს, დაუსაბამოს, სამყაროს დიად მეუფეს, არ შეცდება. ყველა ცოდვისაგან განთავისუფლდება იგი მოკვდავთა შორის.
4. გონება, საცნაურყოფა, უცთომლობა, დათმენა და სიმართლე, გულმშვიდობა, თავშეკავება, სიხარული. ტანჯვა, აღორძინება და დაქცევა, შიში და უშიშობა,
5. თვინიერება, სათნოება, ღვანლმოსილობა, წონასწორობა, სიუხვე, ღირსება და უღირსობა, – ასეთია არსთა მრავალსახოვანი ყოფა და მათი დასაბამი მე ვარ.
6. ჩემგან წარმოიშვა შვიდი უხუცესი დიდებამოსილი რიში, აგრეთვე გონების მიერ ნაშობი ოთხი მანუ. ეგ არის სათავე არსთა ქვეყნისა.
7. რომელმა ჭეშმარიტად იცის ჩემი ძალთგამოვლინება და იოგა, ამ უქცეველ და შეურყეველ იოგას ეზიარება უეჭველად.
8. მე ვარ დასაბამი სამყაროსა. ჩემგან არის ყოველი ქმნილი რომელმაც ეგე საცნაურყო, სიყვარულით გულავსილმა მე თაყვანი მცა.

9. ჩემზე გონდაუნჯებულნი, ცხოვრების ჩემდა
შემომნირველნი, შეაგონებენ ხოლმე ურთიერთს,
მარად ჩემ გამო საუბრობენ, იშვებენ და იხარებენ.
10. მარად ჩემს ერთგულთ, თაყვანისმცემელთ, მე სიყვარულით
ვანიჭებ ხოლმე სიბრძნის ზიარებას, რომლის მეოხებითაც
ისინი ჩემდა მოიქცევიან.
11. სიბრალულის გამო მათ გულთა შინა დავანებული,
მე სიბრძნის კელაპტრით ვმუსრავ უმეცრებით
დაბადებულ მათ სიბნელეს.

არჯუნამ თქვა:

12. შენ ხარ უზენაესი ბრაჰმა, უზენაესი ნათელი, უზენაესი
განსანმედელი.
საუკუნო, ღვთაებრივ სულად, დასაბამიერ ღმერთად,
ყოვლისშემძლე, არშობილ, უზენაეს მეუფედ
13. გიხმობენ შენ მაგალობელნი და ღვთაებრივი რიშები:
ნარადა, ასიტა, ვიასა.
თავად შენც იგივესა ზრახავ თავის გამო.
14. მართლად გულადვილებ ყველაფერს, რასაც მაუნყებ,
ო, ქეშავა!
მაგრამ შენი გამოვლინება არ უწყიან არც ღმერთებმა
და არც დანავეებმა.
15. ო, პურუშოტამა, თავად შენ თავით თვისით საცნაურყოფ
ხოლმე შენივე არსებას,
არსთა დასაბამო, ყოველთა უფალო, ღმერთთა ღმერთო,
სამყაროის მეუფევე!
16. შენყნარებით განგვიმარტე და განგვიცხადე სრულად,
რამეთუ საკვირველია ძალთგამოვლინება შენი,
სამყაროთა აღმვსები – რაგვარად გამჟღავნებული ჰკიებ?

17. როგორ საცნაურგყო შენ, ო, მაჰაიოგო, მარად შენზე
გონდაუნჯებულმა?
ვითარი, ვითარი სახით შემიძლია მოგიგონო თავისწინა,
უფალო ჩემო?
18. გამონწელილვით მაუნყე ისევ შენი იოგა და
გამოვლინება, ო, ჯანარდანა!
ვერა ძლება ჩემი გული შენი სიტყვის წმინდა გოლეულით.

კურთხეულმა ბრძანა:

19. იყავნ! – მე განგიცხადებ შენ უმთავრესს,
რადგან არა აქვს დასასრული ჩემთა გამოვლინებათ.
20. თავად მე, ო, გუდაქეშა, ყოველთა არსთა გულსა ვზი,
მე ვარ დასაბამი, საშუალი და დასასრული არსთა.
21. ადიტის ძეთა შორის მე ვიშნუ ვარ. მნათობთა შორის
მზე – შარავანდედი.
ლამის გუშაგთა შორის – მთოვარე, მარუტთა შორის
მარიჩი ვარ.
22. ვედებს შორის სამავედა ვარ, ღმერთთა შორის – ვასავა,
გრძნობათა შორის გული – მანასი, არსთა შინა –
მყარი გონება.
23. რუდრათა შორის მე ვარ შანკარა, ეშმა-რაქშასთა შორის მე
ვარ კუბერა – საუნჯეთა მეუფე. ვასუთა შორის პავაკა ვარ,
მთათა შორის – მერუ.
24. შინაურ ქურუმთა შორის მიცან მე, ო, პართჰა, როგორც
ბრიჰასპატი – „ციურ სიტყვათა მეუფე“,
სპასალართა შორის მე ვარ სქანდა,
წყალუხვ შესაკრებელთა შორის – ოკეანე.

25. დიდებამოსილ რიშთა შორის მგალობელი ბრიგუ და
სიტყვათა შორის უსასრულო ერთი ვარ. მსხვერპლთა შორის
– წმინდა შეგონებათა ჩურჩულის მსხვერპლი. უძრავთა შო-
რის – ჰიმალაია.
26. ხეთა შორის მე ვარ აშვათჰა, ღვთაებრივ რიშთა შორის –
ნარადა,
განდჰარვათა შორის – ჩიტრარათჰა, ნეტართა შორის –
მუნი კაპილა.
27. ჰუნეთა შორის, ამრიტადან აღორძინებულ უჩჰაიშვარად
შემიცან,
მეფურ სპილოთა შორის – აირავატად. მამრთა შორის –
მოყმეთა მამფალი ვარ.
28. მე ვარ ვაჯრა – ქეიბური – საჭურველთა შორის.
ძროხათა შორის კამადუკი ვარ,
დამბადებელთა შორის – კანდარჰა, ვეშაპთა შორის –
ვასუკი,
29. გველთა შორის – ათასთავიანი ანანტა. წყლის მკვიდრთა
შორის – ვარუნა.
წინაპართა შორის – არიამანი, წინამძღვართა შორის – იამა.
30. დიტის ძეთა შორის მე ვარ პრაჰლადა, მზომელთა შორის
ჟამი ვარ მე.
ნადირთა შორის – ვეფხვი, ფრინველთა შორის – ვაინატიეა.
31. კავშირთა შორის ქარი ვარ, შეჭურვილთა შორის – რამა.
თევზთა შორის – მაკარა, ნაკადთა შორის – განგა.
32. მე ვარ დასაბამი, დასასრული და აგრეთვე ქმნულთა
საშუალო, ო, არჯუნა!
მეცნაობათა შორის მე ვარ უზენაეს ატმანის მოძღვრება,
მჭევრმეტყველთა შორის – მეცნაური სიტყვა.

33. ასოთა შორის მე ვარ ანი, შენყობილთა შორის დვამდვა
– ოროვნება.
მე ვარ უსასრულო დრო, ყოვლითკერძოსახიანი
შემოქმედი.
34. მე ყოვლისნამხოცელი სიკვდელი ვარ და აღმოცენებად
საჭიროთა აღმოცენება.
დიაცურ საქმეთა შორის მე ვარ დიდება, კდება,
მშვენება, სათნოება და მეხსიერება.
35. საგალობელთა შორის ბრიჰატსამანი – დიდებული
საგალობელი,
გალობათა შორის სულის სალხინებელი გაიატრი.
თვეთა შორის მარგაშირშა – ახალწლისაი.
36. მაცთუნებელთა შორის კამათელი ვარ. მე ვარ ჩინებულთა
ჩინებულება, მე ვარ გამარჯვება, სითამამე, მე ვარ მართალ-
თა სიმართლე.
37. ვრიშნის გვარში მე ვარ ვასუდევა, პანდუს გვარში –
დჰანანჯაია.
ბრძენთა შორის – ვიასა, მგალობელთა შორის – უშანა
მგალობელი.
38. მე ვარ ხელმწიფეთა კვერთხი, მე ვარ გამარჯვების
მძებნელთა ხელმწიფება.
მე ვარ მდუმარება საიდუმლოთა, მე ვარ ცნობადი
მეტცნაურთა.
39. ყოველთა არსთა გულში დამარხული დერიტა მე ვარ,
ო, არჯუნა,
და ჩემს გარეშე არც უძრავი, არც მოძრავი არარაი არს.
40. ბოლო არა აქვს ჩემს ღვთაებრივ გამოვლინებას,
ო, ღვანლმოსილო,
და აჰა, მოკლედ გაუნყე კიდევ მრავალფერი ჩემი ბუნება.

41. ყველაფერი, რაც ძლიერი და ჭეშმარიტი, მტკიცე და დიდმშვენიერია, ჩემს მშვენებასთან წილისყრისაგან აღორძინდა – უწყოდე ეგე.
42. მაგრამ რას გარგებს შენ ამ სიბრძნის ცოდნა, ო, არჯუნა? ჩემი არსების ერთი ნაწილით ამ წარმავალი ქვეყნის დამსაზღვრელი, – უცვალებელი, საუკუნოდ ვარსებობ.

XI

სამყაროს სახეთა ხილვის იოგა

არჯუნამ თქვა:

1. ჩემდამო მოწყალემ, უზენაესი ატმანის დიადი საიდუმლო განმიცხადე მე და მით შემუსრე ჩემი ცთუნება.
2. არსთა წარმოქმნისა და განქარების, აგრეთვე შენი წარუდინებელი დიდებამოსილების ამბავი მე წვრილად შემასმინე, ო, ლოტოსთვალეზავ!
3. შენ მიერ განცხადებული შენი ღვთაებრივი სახე ანვე მსურს ვიხილო, ო, პურუშოტამა!
4. უკეთუ ძალმიძს მე ამ სახის განჭვრეტა, იოგას მეუფეო, განმიცხადე შენი წარუდინებელი არსებაცა, ო, ჩემო უფალო!

კურთხეულმა ბრძანა:

5. აჰა, უჭვრიტე, პართჰა, ჩემს სახებას ასპირიანსა და ათასსახოვანს, ღვთაებრივს, მრავალგვარსა და მრავალფერს.

6. იხილე ადიტის ძენი, ვასუ, რუდრები, აშვინები და მარუტები.
იხილე შენტვის აქამდე უხილავი და ჯადოსნური, ო, ბჰარატა!
7. მთელი სამყარო, ძვრითა და მყუდროებით ავსებული,
ო, გუდაქეშა,
და ყველაფერი, რაც გსურს იხილო, განჭვრიტე ან აქ,
ჩემს სხეულში ერთობლივად შეკრებილი.
8. მაგრამ შენს სახედველს ძალი არა აქვს ჩემი ხილვისა
და ამიტომ მოგანიჭებ ღვთაებრივ თვალებს:
უჭვრიტე, პართჰა, ჩემს მეფურ იოგას!

სანჯანიამ თქვა:

9. თქვა და იოგას დიდმა უფალმა მეყსეულად განუცხადა
არჯუნას თავისი ღმრთეებრივი, უზეშთაესი სახება.
10. და ჰა, უთვალავი სახით გამოცხადდა ჰარი, მრავალტუჩება
და მრავალთვალება,
ღვთაებრივი საკაზმით აღკაზმული და საჭურვლით
შეჭურვილი.
11. ღვთიური გვირგვინებით თავდგმული, საცხებლით
ცხებული სამოსით,
ყოვლისმპყრობელი, დაუსაბამო, ცეცხლად აღგზნებული
და ყოვლადსაკვირველი.
12. ათასი მზის ელვარებით რომ ანთებულიყო ზეცა,
მაჰატმის დიდების ნათელს ეგებ შემსგავსებოდა.
13. და იხილა არჯუნამ უთვალავ ნაწილად განწილული
სამყაროს სავსება,
ღმერთების მეუფეთა მეუფის სხეულში შეკრებილი,
წილნაყარი და შეერთებული.

14. განცვიფრების თავზარი დაეცა და თმა ყალყზე დაუდგა
 არჯუნას
 და მან თავმოდრეკილმა და გულხელდაკრეფილმა
 ღმერთს შეჰკლალადა:

არჯუნამ თქვა:

15. შენს სხეულში შეკრებილ ღმერთებს ვუმზერ და აგრეთვე
 მრავალგვარ არსს,
 ვუმზერ მეუფე ბრაჰმას – ლოტოსის ტახტზე მჯდომარეს,
 ვუმზერ ყველა რიშსა და ღვთაებრივ გველებს.
16. შენ გიმზერ ყოველგან, აურაცხელი სახით გამჟღავნებულს,
 უთვალავი ხელებით, ტურჩებით, თვალებითა და საშოთი
 გარემოსილს...
17. გიმზერ გვირგვინოსანსა და სხივოსანს, ყოველი მხრიდან
 ნათლით გარემოცულს, კვერთხით, დისკოთი და ნიჟარით
 ხელში. გიმზერ ძნელადსახილველსა და შეუწერელს,
 ელვისა და ცეცხლის შარავანდედში ჩამდგარს.
18. და აჰა, გხედავ უზეშთაესსა და ნარუდინებელს,
 სამყაროთა უზენაეს ნიაღს,
 მარადი დჰარმის უკედავ მფარველსა და უცვალებელ სულს,
19. განუზომლად ძლიერს, უთვალავხელებას, დასაბამის,
 საშუალისა და დასასრულის არ მქონეს, მზისა და მთვარის
 სახეებას გიჭვრეტ ან მე, უფალო. სამსხვერპლო ცეცხლით აღ-
 გზნებულან შენნი ბაგენი. მთელი სამყარო ნათელქმნილა შე-
 ნი ნათლითა.
20. ცისა და დედამიწის შუასკნელი და ქვეყნის ყოველი კიდე
 შენი სავსებით აღვსებულა და სამყაროს სამივე სკნელი
 თრთის, ო, მაჰატმა, მაგ შემზარავი, საკვირველი სახების
 მჭვრეტი.

21. შენში დასადგურებული ღმერთთა გუნდები თრთიან და
გულხელდაკრეფილნი გიხმობენ და გადიდებენ: „სვასტი!“
რიშებისა და წმინდანების გუნდნი გიგალობენ
დიდმშვენიერ საგალობლებს.
22. და აღტაცებით შემოგცქერიან რუდრები და ადიტიები,
ვასავები და სადჰიები, აშვინები, მარუტები, უშმაპები,
განდჰარვების კრებული, ეშმანი, ასურები და წმინდანნი.
23. შენს აურაცხელ თვალს, ბაგესა და ხელებს რა ჭვრეტენ,
შენს უთვალავ თეძოებს, ტანსა და ტერფებს რა ჭვრეტენ,
შენს დაბჩენილ ხახასა და გამოშვერილ ლოჯებს რა
ჭვრეტენ –
სამყარონი ძრწოლას მისცემიან და მეც აგრეთვე.
24. ცათამდე შემართული, ბრწყინავ – მრავალფერი,
უზარმაზარი, ვარვარა თვალებითა.
და შენ, აგეთსა რა გჭვრეტ, ძირამდე შეძრული თრთის
ჩემი სული,
უნუგემოდ შთენილი და გაძარცული მხნეობისაგან.
25. ყოვლისშემმუსვრელი ჟამის ცეცხლებრ მოლაპალაპე შენი
კბილებისა და პირის მხილველს მხარი მექცა და თავს ველარ
ვშველი. ო, დამიფარე, მონყალეო ღმერთთა უფალო, სამყა-
როთა ბჭემალალო თავშესაფარო!
26. დრითარაშტრას ყველა ძე, ქვეყნის განმგებელთა
ტადრეულითურთ, ბჰიშმა, დრონა, და აგრეთვე კარნა, ჩემთა
ლაშქართა მებრძოლებთან ერთად
27. აჩქარებით ინთქმებიან შენს საშინელსა და
თავზარდამცემ ხახაში.
ხოლო ზოგი ტვინდათხეული – გამოჩრილა შენთა
კბილთა შორის

28. როგორც ზღვათაქე დაიძრება ყოველი მხრიდან
 მომდინარე მდინარის წყალი,
 ეგრევე, ეს მოყმენი, სანუთროის კაცნი და
 სოფლის მოყვარენი, შენს ცეცხლოვან ხახაში ინთქებიან.
29. როგორც დაღუპვაა ალში შემოფრენილ ფარვანების ბოლო,
 ეგრევე იღუპებიან შენი უფსკრულების არმურში
 სწრაფვაალსრულებული სამყაროები.
30. მხურვალე ბაგეებით შთაინერწყავ პირში ყოვლგნით
 მოხვეტილ სამყაროებს და ერთიანად დანთქავ. შენი ათინა-
 თით ავსებულ ქვეყანას შენივე საშინელი სახმილი ავარვა-
 რებს, ო, ყოვლადძლიერო!
31. მაუნყე, ვინ ხარ, ეგზომ შემზარავად გამოცხადებული,
 ქვედამხობილი გევედრები: შემინყალე მე! – მწყურია
 შენი საცნაურყოფა,
 მაგრამ არ ძალმიძს მივწვდე ამ შენს გამოცხადებას.

კურთხელმა ბრძანა:

32. მე ვარ სიკვდილი, ყოველთა შემმუსვრელი, სამყაროთა
 დასაღუპად შემოქცეული.
 პირისპირ მდგარი ეს ლაშქარი უშენოდათ სასიკვდილოდ
 განწირულია.
33. ამიტომ აღდეგ, დაამხე მტერი და დიდება მოიხვეჭე,
 რადგან ჩემმა ნებისყოფამ ისინი უკვე დაამარცხა.
 შენ გარდუვალი აღასრულე ვით საჭურველმა...
34. ჩემ მიერ მოკლულ დრონას და ბჰიშმას, ჯაიადრათჰასა
 და კარნას, ჩემგან განწირულ ყველა მოყმეს უყოყმანოდ
 შეებრძოლე, შეები და დაამარცხე მეტოქეები.

სანჯიამ თქვა:

35. ეს სიტყვა რა შემოესმა, ხელდაკრეფილმა, მოცახცახე გვირგვინოსანმა თაყვანისცა მეუფეს და ზარდაცემულმა, ენისბორძიკით მიუგო კრიშნას:

არჯუნამ თქვა:

36. ღირსეულად ხარობს და იშვებს ქვეყანა შენი დიდებითა. შეძრწუნებული ეშმა-რაქშასნი გარდახვენილან და ნეტართა გუნდი თაყვანსა გცემს ყოველგნით, ღმერთო!

37. ვით არ გადიდონ, ო, მაჰატმა, დიდებითა თვით ბრაჰმანზე
აღმატებულნი?
პირველშემქმნელი, უსასრულო, სამყაროის
დამბადებელი, წარუვალი, ღმერთთა მეუფე,
ყოფნა-არყოფნა და იგიცა, რაც მათზედა ჰგიეს მარადის.

38. შენა ხარ ღმერთი დასაბამიერი, უძველესი პურუშა,
მეოხება სამყაროისა.
შენა ხარ საცნაური და მეცნაური, ბჭემალალი
თავშესაფარი,
ამ სამყაროთა გამფენელი, უსასრულოსახიანი უფალი.

39. შენა ხარ ვაიუ – ქართა მეუფე, იამა, აგნი, ვარუნა,
მთვარე – არსთა გამრიგე, პრაჯაპატი, წინაპარი: ათასგზის
დიდება შენდა, ისევ და ისევ დიდება და დიდება კიდევ!

40. შენ ხარ ყოველი: დიდება შენდა აღმოსავლეთ-დასავლეთიდან,
დიდება შენდა ყოველი მხრიდან. უსასრულოა შენი ძალი,
ძალისხმევა განუზომელი. შენ თავადა ხარ ყოველივე,
რადგან ყოველი განგიწონია.

41. მეგულეობდი ჩემად მეგობრად და ურიდად მოგძახოდი:
„ჰეი, კრიშნა, ჰე, მოყვასო, ჰე, მეგობარო!“ შენი დიდების
ვერმცნობელი უზრუნველად ასე გიხმობდი.

42. თუკი ოდესმე ლალობის გამო, სეირნობისას, დაწოლისა ან დაჯდომისას, ჭამადის მოღებისა ან მარტოობისას, ანდა თუნდაც კაცთა წინაშე –
პატივგებული არ იყავ ჩემგან, ო, აჩიუტა, მომიტევე
შენი წყალობით.
43. შენა ხარ მამა ქვეყანისა და ეს ქვეყანა თაყვანსა გცემს ვით მოძღვართ-მოძღვარს. შენი სწორი და უზემთესი სხვა არვინ ჰგვის სამივე სკნელში.
44. და ამიტომ გევედრები, მეუფეო, ღირსო ქებისა:
დამთმენი იყავ ჩემდა მომართ,
ვით მამა შვილის, მეგობარი მეგობრის და ვით მიჯნური
საყვარლის მიმართ.
45. მიხარის, ღმერთო, აქამომდის უხილავი რაკი ვიხილე, მაგრამ გული შიშისაგან მიდამო მიარს. გამომეცხადე წინანდელი შენი სახით, გნუკევე, უფალო!
46. გვირგვინოსანო, მინდა გიჭვრიტო კვერთხით, ნიჟართ, დისკოთი ხელში.
ათასხელეზავ, ოთხი ხელით გამომეცხადე!

კურთხეულმა ბრძანა:

47. ჩემი იოგას და ჩემი წყალობის მეოხებით, შენ იხილე
უზემთაესი ჩემი სახება,
დიდებამოსილი, ყოვლისდამტეველი, დასაბამიერი.
არვის უხილავს იგი შენს გარდა.
48. ვერცა ვედების, ვერცა მსხვერპლის, ვერცა განსწავლის და რუდუნების მეოხებით ვერ იხილოს კაცთაგანმა ჩემი სახება აწინდელი, შენ რასაც უჭვრეტ.
49. მაშ, ნულა ჭმუნავ, ნუ მიგდის გული ჩემი საზარი,
საშინელი სახების მჭვრეტელს.

სანჯანიამ თქვა:

50. ტკბილმოუბარმა ვასუდევამ, თქვა რა ეს, კვლავ თავისი
სახე მიიღო
და მაჰატმამ, კვლავ სათნოებით შემოსილმა, უმაღვე
დაუცხრო შიში არჯუნას.

არჯუნამ თქვა:

51. ამ შენს კაცებრივ სახეს კვლავაც რომ ვუცქერ,
ო, ჯანარდანა,
ისევ გონს მოვდივარ და ცნობას ვეგები.

კურთხეულმა ბრძანა:

52. შენ იხილე ჩემი ძვირადხილული სახე, ო, არჯუნა!
თავად ღმერთებისთვისაც კი სანატრელია ჩემი ამ სახით
გამოცხადება.
53. ვერც ვედების ცოდნა, ვერც ღვანლმოსილება და
მსხვერპლშენიერვა
ვერ მოგანიჭებს ასეგვარად ჩემი ხილვის სრულ მეოხებას.
54. მხოლოდ სიყვარულს, განუყოფელ ბჰაქტას ძალუძს აგრე
მიხილოს და საცნაურმყოს,
ჭეშმარიტად განმჭვრიტოს და მეზიაროს.
55. რომელმა ჩემი საქმე აღასრულოს, რომელმა მიერთგულოს
უმაღლეს მიზნად ჩემმა დამსახავმა, რომელმა დათმოს
ყოველივე, – ყოველთა არსთა შემწყნარებელი ჩემდამო ვალს
იგი, პანდავა!

XII

მოკრძალებული სიყვარულის იოგა ანუ ბჰაქტი-იოგა

არჯუნამ თქვა:

1. შენთა მოყვარულთა, – რომელნი პატივის მოგაგებენ,
და აგრეთვე წარუდინებელის, გაუმყლავნებელის
აღმსარებელთა შორის –
იოგაში სრულყოფილი რომელი უფროა?

კურთხეულმა ბრძანა:

2. ჩემთანა გონდაუნჯებულთ, მარადის ჩემს ერთგულთ,
ღრმადმეტყველი რწმენით ჩემს აღმსარებელთ, –
მე უფროისად ერთგულად მივიჩნევ.
3. მაგრამ უზენაესის, უცვალებლის, უქცევლად
დადგინებულის მიმართ პატივის მიმგებელნიც,
4. რომელთაც გული დაიოკეს და თვინიერ გონებითა
სუფევენ – ყოველთა არსთა მადლის მოხარულნი, –
ჩემდა შემოიქცევიან აგრეთვე.
5. გარნა მძიმეა შრომა გაუმყლავნებელის მიმართ
გულდადრეკილისა,
რადგან ხორცშემოსილისათვის გაუმყლავნებელის გზები
ძნელად მისაღწევია.
6. ხოლო რომელთაც ყოველი შრომა ჩემს მეოხებას მოანდეს,
უმაღლეს მიზნად
მე დამსახეს და განუყოფელი იოგათი მე თაყვანსა მცემენ,

7. მათ მე მალედვე ვიხსნი სამსარისა და სიკვდილის
ოკეანიდან, ო, პართჰა!
8. ჩემთა წიაღთა შინა დაძირე გული შენი, ჩემთა წიაღთა შინა
დაძირე ცნობა შენი,
მაშინ თავადაც, ჩემს წიაღში მოიქცევი უცილობლად.
9. მაგრამ თუ არ ძალგის ჩემთა წიაღთა შინა აზრის მედგრად
დაუნჯება,
დაუცადებელი წვრთით ეცადე მომიპოვო, დჰანანჯაია!
10. ხოლო თუ წვრთითაც ვერ იწვრთები, მაშინ ხამს ჩემსთვის
აღასრულო ყოველი საქმე. ჩემთვის საქმეთა აღმსრულებელი
სრულყოფილებას მოიპოვებ.
11. უკეთუ ეგეც არ ხელგენიფება, ჩემთან ზიარებული
გულმოდგინედ განუდექ საქმისა და შრომისაგან მონაგარს.
12. რადგან ცოდნა წვრთის უმჯობესია, რადგან აზრის
დაუნჯება ცოდნის უმჯობესია,
რადგან ყოველი საქმის მონაგარისაგან განდგომა
გონის დაუნჯების უმჯობესია –
განდგომით მოიპოვებ წარუვალ ქვეყანას.
13. ყოველთა არსთა მიმართ ბოროტად არგულშეძრული,
მონყალე და შემბრალებელი,
დამთმენი, თავადობისა და მიკერძოებისაგან თავისუფალი,
ჭირსა და ლხინში გულითუძრავი,
14. გულსავსე და გონდაუნჯებული, ზიარებაში მედგარი და
ურყევი ნების მექონი,
გულითა და გონებით ჩემს მეოხებას მონდობილი, –
სათნო არს ჩემდა!
15. რომელმან ქვეყნიერთა არ უკუურიდოს, და რომელს
ქვეყნიერნი არ უკუურიდებენ,
დაუთმენლობის, ღელვის, შიშისა და ხარებისგან
ხსნილი, – სათნო არს ჩემდა.

16. უზრუნველი, წმინდა, შეუპოვარი, გულმშვიდი, უნიათობის უარმყოფი, ყოველგვარი საქმისაგან განრიდებული, –
სათნო არს ჩემდა.
17. კაცი, რომელსაც არ უხარის და არცა ჭმუნავს, არც გული უთქვამს და არცა ზრზინავს, რომელმაც დათმო ავი და კარგი, ჭირი და ლხინი, – სათნო არს ჩემდა.
18. ვისაც სწორად უჩნს მტერ-მოყვარე, ღირსება და უღირსობა, საამო და უამური, სიგრილე და სიმბზურვალე;
19. ვინც მშვიდად ისმენს ქებას და კილვას, ვინც გულსავესეა, – გინდაც ზეცა დაემხოს თავზე, უსახლკარო და მდუმარი კაცი – სათნო არს ჩემდა.
20. ვინც ამ უკვდავ საიდუმლოს თაყვანი სცეს, –
რაც აქ ეუნყა,
რწმენით გულსავესე და ცნობანყნარი – უფროისად
სათნო მიჩნს იგი.

XIII

ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა

არჯუნამ თქვა:

1. პრაკრიტი და პურუშა, ველი და ველის მეცნაური,
ცოდნა და ცოდნის საგანი მსურს შევიმეცნო, ო, ქეშავა!

კურთხეულმა ბრძანა:

1. ეს სხეული, კაუნტეა, ველად იწოდება. ხოლო რომელი მას
საცნაურყოფს –
ბრძენთა მიერ ველის მეცნაურად იწოდება

2. გულადმილე მე, ვითარცა ველის მეცნაური, ყოველთა
ველთა შინა, ბჰარატა.
ველის მეცნაურის ცოდნა სიბრძნეა, – აგრე ვგონებ მე.
3. თუ როგორია ეს ველი, რა ფერია და რა გვარია მისი
ფერისცვლა,
ვინ არის და საიდან არის, თუ როგორია მისი ძალა, ჩემი
მოხილვით შეისმინე.
4. რიშებს მრავალგზის შეუქიათ ეგე სხვადასხვა
საგალობლით,
ხოლო უფრო მეტად ბრაჰმასუტრას მშვენიერი
გალობებითა.
5. დიადი კავშირები, პიროვნების შემოქმედი, ბუდჰი და
გაუმჟღავნებელი,
გრძნობათა თერთმეტი ინდრია და მათი ხუთი საგანი.
6. საამო და უსიამო, მიდრეკილება და ზიზღი, ცნობა,
თანაკავშირი და სიმაგრე.
აი, ველი, მისი ფერისცვლით მოკლედ მოხილული.
7. სიმდაბლე, უმანკოება, სათნოება, თმობა, სინრფელე,
მოძღვრის პატივისცემა,
სინმინდე, მოუდრეკლობა, თავდაჭერილობა,
8. გრძნობათა საგანთაგან განდგომა, პატივმოყვარეობის
არქონა,
დაბადების, სიბერის, სნეულების, სასიკვდილო ტანჯვის
გულისხმისყოფა,
9. განდეგილობა, ძისა, ცოლისა და სახლეულის მიმართ
გულმიუდრეკლობა,
სიმედგრე, სანდომელ და უნდომელ საქმეებში
გულითუძრაობა.

10. განუყოფელი თავდადებით ჩემი უქცეველი
 თაყვანისცემა,
 მარტოსულად დაყუდება, კაცთა შორის დროსტარების
 არნდომა,
11. უზენაესი ატმანის საცნაურყოფისათვის შეუპოვრობა,
 ჭეშმარიტი სიბრძნის მოპოვება – ეგე ცოდნად იწოდება, სხვა
 ყველაფერი არცოდნა არის.
12. მე შეგამეცნებ საცნაურს. ამის მეცნაურნი უკედავებას
 მიითვლიან.
 დასაბამად უზენაესი ბრაჰმა არ დაისაზღვრება, არც
 როგორც არსებული, არც როგორც არარსებული.
13. მას ყველგანა აქვს ხელ-ფეხი, თავი, პირისახე, ყური და
 თვალი.
 ყოვლის სმენადმიმხმელი და ყოვლის გეშისამღები,
 ქვეყანასა შინა განისვენებს იგი.
14. ყველა გრძნობის თვისებებით მოელვარე, ყველა
 გრძნობისაგან განძარცულია.
 თვისებათა არმქონე – თვისებებით იშვებს, თავად
 დაუბმელი – ყოვლის დასაბამია.
15. ძვირად აღძრული და მყუდროი, არსთა შინაცა და
 გარემყოფი, მახლობელი და შორეული –
 უცნაურია იგი თვისი წვლილობის გამო.
16. არსთა გულში წილუდებელი ისე ჰგვიეს, ვით წილდებული...
 ხამს შეიმეცნო: ყოველთა არსთა მტვირთველი,
 შთამთქმელი და დამბადებელი.
17. ნათელთა ნათელი – იგი ბნელის იმიერად იწოდება.
 ცოდნა, საგანი და შემეცნების მიზანი სხვადასხვაგვარად
 ზის ყოვლის გულში.

26. სადაც უნდა ჩაისახოს რომელიმე არსი, უწყოდე,
ველისა და ველისმეცნაურის
შეკავშირების მეოხებით ხდება ეგ, კურუთაგან
გამორჩეულო!
27. ვინც უდიადეს უფალს ყველა არსის გულში სწორად
დავანებულს ხედავს,
ვინც წარმავალში წარუვალსა ჭვრეტს,
ჭეშმარიტად ხედავს იგი.
28. ვინც ყოველში სწორად მყოფელ უფალს იხილავს, იგი
თავს არ ავნებს და ეგრე, უზენაესი გზით ივლის.
29. რადგან ვინც ხედავს – პრაკრიტის მეოხება რომ არის
ყველა მოქმედება
და რომ ატმანი უმოქმედოა, ჭეშმარიტად ხედავს იგი.
30. თუკი ხედავს იგი, რომ კერძო არსთა განწილული ყოფა
ერთისაგან წარმოდინდა
და ერთთან წილნაყარია, მაშინ იგი ბრაჰმას მიეახლება.
31. სხეულში დავანებული დაუსაბამო, წარუვალი, უთვისებო,
უზენაესი ატმანი
არ მოქმედებს და არც ისვრება, ო, კაუნტეა!
32. როგორც ყოვლისადმევსები ეთერი – აკაშა თავისი
წვლილობის გამო არ შეისვრება,
ეგრევე, ატმანიც, დავანებული ყოვლის გულში –
არ შეისვრება.
33. როგორც მთელ ქვეყანას ეფინება მზე, ეგრევე ეფინება
და ანათებს მთელ ველს ველის უფალი,
ო, ბჰარატა!
34. რომელმა სიბრძნის თვალით განჭვრიტოს სხვაობა ველსა და
ველის მეცნაურს შორის და არსთა განთავისუფლებასა და
პრაკრიტის შორის – უზენაესს მიეახლოს.

XIV
სამი გუნასაგან განთავისუფლების
იოგა

კურთხეულმა ბრძანა:

1. მერმე მე გამცნობ უმაღლეს ცოდნას, ცოდნათაგან უზენაეს, რომლის შემეცნებით ბრძენკაცები უმაღლეს სრულყოფას იხვეჭენ.
2. იმ ცოდნას რა მიიხვამენ, შემემსგავსებიან რა მე, ისინი აღარ აღორძინდებიან ქვეყნის შესაქმისას და არ განქარდებიან ქვეყნის აღსასრულისას.
3. ჩემი წიაღი დიადი ბრაჰმანია, მასში ვღებ მე დვრიტას, რათა აღმოცენდეს ყოველი არსი.
4. დიადი ბრაჰმანია ყოველთა წიაღთა შინა აღმოცენებულ სხეულთა წიაღი, ხოლო მე დვრიტის შემდეგი მამა ვარ.
5. სატვა, რაჯასი და ტამასი, აი, პრაკრიტისაგან მომდინარე თვისებანი. ისინი ბორკავენ ხორცშემოსილის გულში წარუდინებელს.
6. მათგან – სატვა, ნათელი, ჯანსალი თვისებაა. იგი თავისი უმწკივლობის მეშვეობით ბედნიერებისა და ცოდნის ბორკილით ბორკავს კაცს, უცოდველო!
7. რაჯასი ვნებიანი თვისებაა. გულისთქმისა და შეხებისაგან ალიძვრება იგი და ხორცშემოსილს მოქმედების ბორკილით ბორკავს, ო, კაუნტეა!
8. უმეცრება ბადებს ტამასს. იგი აცთუნებს და უმაქნისობით, სიზარმაცით, მცონარებითა და სიჩლუნგით ბორკავს ყოველს, ბჰარატა!

9. სატვა ბედნიერებით გბორკავს, რაჯასი – მოქმედებით,
ხოლო ცოდნას მოგარსული ტამასი – უმაქნისობით,
ო, ბჰარატა!
10. როცა რაჯასი და ტამასი ითრგუნება, სატვა აღორძინდება.
როცა რაჯასი და სატვა – მაშინ ტამასი. როცა ტამასი და სატ-
ვა – მაშინ რაჯასი.
11. როცა სხეულის ყველა ბჭესთან ცოდნის ნათელი
ამობრწყინდება,
უნდა იცოდე, მაშინ მომძლავრდება სატვა.
12. მოქმედება, საქმეთა შიგან თავგზიანობა, ბორგნეულება,
გულისთქმა და ავხორცობა მაშინ იბადება,
როცა რაჯასი მომძლავრდება, ხარო ბჰარატათა შორის.
13. ხოლო სიბნელე, უმაქნისობა, უზრუნველობა და საცთური
მაშინ იბადება,
როცა ტამასი მომძლავრდება, ო, კურუთა სიხარულო!
14. თუ სატვას მომძლავრებისას აღესრულა ხორცშემოსილი –
უზენაესის მეცნაურთა წმინდა ქვეყანას მოიპოვებს იგი.
15. ვნებიანნი, მიცვალებისას კარმას ბორკილებში
დაიბადებიან,
ხოლო გულითა ბნელნი – შეცთომილ არსთა წიაღში.
16. სატვაური ჰქვია ქველ საქმეთა ნაყოფს.
რაჯასის ნაყოფს ტანჯვა ჰქვია, ტამასისას – უმეცრება.
17. სატვადან შემეცნება აღმოცენდება, რაჯასიდან –
ავხორცობა, ხოლო ტამასიდან
საცთური, უზრუნველობა და უმეცრება აღმოცენდება.
18. სატვაში დავანებულნი ზენად აღვლენ, საშუალსა დგანან
ვნებიანნი, ბნელნი ქვე დაიზიდებიან.

19. უკეთუ მჭერეტელი, ამ სამი თვისების თვინიერ, სხვა მოსაქმეს ვერა სჭერეტს და მათზე აღმატებულს სწვდება, ჩემს არსებას ეზიარება.
20. სხეულისათვის დასაბამის მიმნიჭებელ ამ სამი გუნას გადამლახველი –
დაბადების, სიბერის, ტანჯვისა და სიკედილისაგან თავისუფალია და უკვდავებას მიითვლის იგი.

არჯუნამ თქვა:

21. რით არის ნიშანდებული სამი გუნას გადამლახველი ბრძენი?
რასა იქმს და ვითარ გადალახავს იგი ამ თვისებათ, ო,
უფალო?

კურთხეულმა ბრძანა:

22. უკეთუ იგი ნათელხილვას, მოქმედებას და თავად ცთომილებას არ მოიძულებს,
როცა ისინი მოეახლებიან და როცა გაეყრებიან, არ
ინდომებს მათ,
23. უკეთუ უშფოთველად მყოფს ვერ შეარყევენ გუნები. უკეთუ იტყვის:
„ბრუნავენ გუნები“ და ვნებათაგან გარემიიქცევა, სამივე
გუნას მძლეველია.
24. ჭირსა და ლხინში სწორი, გულშეუვალი, უამურისა და საამურის,
ქებისა და ძაგების, ქვისა, გორახისა და ოქროს
სწორადმიმჩნეველი ბრძენი,
25. მტერთან და მოყვარესთან სწორი, ღირსეულთან და უღირსთან სწორი,
ყოველი საქმისაგან განრინებული – ამ სამი გუნას მძლეველად იწოდება.

26. რომელმაც გადალახოს გუნები და უქცეველი იოგათი
თაყვანი მცეს –
ბრაჰმას არსებასთან ზიარების ღირსია.
27. რადგან მე ვარ უკვდავების, წარუდინებელი ბრაჰმას,
მარადი დჰარმისა და წარუვალი ნეტარების
სამკვიდრებელი.

XV

უზენაესი სულის იოგა

კურთხეულმა ბრძანა:

1. ფესვებით ზე და ტოტებით ქვე შექცეული აშვათჰა
წარუვალად არის შერაცხილი.
მისი ფოთლები გუნებია. მისმა მეცნაურმა ვედებიც იცის.
2. ზე და ქვე მიიზიდებიან გუნათაგან წარმოქმნილი მისი
კორძები.
გრძნობათა საგნები – მისი ყლორტებია. ქვეშეთს
მიიგრისება მისი ფესვები,
კაცთა ქვეყნის კარმასთან გადაჭდობილი.
3. ასეგვარად მის ხილვას აქ ვერ მიაღწევ,
ვერც დასაბამსა და აღსასრულს და ვერცა საფუძველს.
განდეგილობის მაგარი მახვილით გადასჭერ აშვათჰას
დაფარჩხული ფესვები,
4. რათა იმ სამყოფელს შეაბიჯო, საიდანაც არასოდეს
უკუ აღარ მოიქცევი.
მე წარგიძღვები დაუსაბამო სულისაკენ, რომლის
მეოხებითაც გამოჩნდა ოდესლაც სამყარო.

5. გულმდაბალი, უცთომელი, ცოდვის ბორკილებისაგან თავდახსნილი, მარადლე უზენაეს ატმანში დამკვიდრებული, გულისთქმისაგან და საამურისა და უამურის შეცნობისაგან განრინებული ბრძენი იმ სამყოფლოს წიაღისაკენ მიიქცევა.
6. იქ არა ნათობს არცა მზე და არცა მთვარე, არც ცეცხლის ალი. იგია ჩემი უმაღლესი სამკვიდრებელი.
7. სოფლისმოყვარეთა საუფლოში საუკუნო კერძოსულად ქცეული ჩემი ნაწილი, პრაკრიტში დასადგურებულ გრძნობა ინდრიებს მიიხვამს ხოლმე, რომელთაგან მეექვსე მანასია.
8. კაცის გულში დამკვიდრებისას ან მასთან გაყრის ჟამს, იშვარა – კერძოსული თან წარიტაცებს ამ ინდრიებს, როგორც მონაბერი ნიავი ველთა სურნელებას.
9. სმენის, გემოს, ყნოსვის, მზერისა და შეხების, და აგრეთვე მანასის მფლობელი – იშვარა ხარობს გრძნობათა საგნებით.
10. თუ როგორ იშვებს იგი გარემოცული სამი გუნათი, ვერა სჭვრეტენ უმეცარნი და უგულისხმონი, სიბრძნის თვალები ხედვენ მას მხოლოდ.
11. მათ გულისგულში დამკვიდრებულ იშვარას სჭვრეტენ ღვანლმოსილი იოგები. ღვანლმოსილნი, მაგრამ გონებით არასრულქმნილნი ვერ სჭვრეტენ მას.
12. მზისაგან და აგრეთვე მთვარისა და ცეცხლისაგან მოფენილი, მედინი სამყაროს მანათობელი ნათელი, იცოდე, ჩემი ნათელი არის.

13. მინას შერეული, მე ყოველ არსს ძალისხმევით
 ვამკვიდრებ ხოლმე.
 გემოსმტვირთველ სომად ქცეული, მე აღმოვაცენებ
 ხოლმე ყველა მცენარეს.
14. ცოცხალთა სხეულში შემავალი, პრანა და აპანასთან
 შეერთებული,
 ქცეული ცეცხლად – ყოვლისკუთვნილ ვაიშვანარად.
 მე ვინელებ ოთხნაირსავე შეჭამადს.
15. მე ყოვლის გულში ვარ დამკვიდრებული.
 ჩემგანვე არის მებსიერება, ცოდნა და განსჯა. მე იგი ვარ, რა-
 საც ყველა ვედა ჰმოძღვრის. მე ვარ ვედანტას შემოქმედი და
 მეცნაური ვედებისა.
16. ორი პურუშაა სამყაროში: მედინი და წარუდინებელი.
 მედინი – ყოვლთა არსთა გულშია დავანებული,
 წარუდინებელი – მწვერვალზე დადგინებულთა გულში.
17. მაგრამ სულ სხვაა უზენაესი პურუშა, უზენაეს ატმანად
 სახელდებული.
 იგია საუკუნო უფალი, მეუფე სამივე სკნელისა,
 რომლის მეოხებითაცა დგას სამყარო.
18. და რაკი მე მედინის გადამლახველი და წარუდინებელის
 ზემყოფი ვარ,
 ქვეყანასა და ვედებში დამტკიცებული ვარ როგორც
 პურუშოტამა.
19. რომელმა უცთომლად საცნაურმყოს, როგორც
 პურუშოტამა, –
 ყოვლისმეცნაურმა თაყვანი მცეს მთელი არსებით.
20. აჰა, გაგიცხადე იდუმალი მოძღვრება, ო, უცოდველო.
 გარდუევალის საქმისმყოფლად და გაბრძნობილად
 ინოდება ამის მეცნაური, ო, ბჰარატა!

XVI

**ღვთაებრივსა და ეშმაურ ხვედრს
შორის გამორჩევის იოგა**

კურთხეულმა ბრძანა:

1. უშიშობა, გულის სინმინდე, სიმედგრე შემეცნებასა და
თავდაჭერა, მსხვერპლის შეწირვა, ღვანლი და
იოგაში, სიუხვე, პირდაპირობა,
2. სიმართლე და სიმშვიდე, განდეგილობა,
მტრობის, გულისწყრომის, სიმუხთლისა და
უძღებობისაგან განრინება,
არსთა მიმართ სიბრალული, ლმობიერობა, თავმდაბლობა,
სათნოება,
3. მხნეობა, თმობა, თმენა,
რისხვისა, თავმთონეობისა და პატივმოყვარეობისგან
ღვთაებრივი ცხოვრებისათვის დაბადებულთა ხვედრია,
განრინება ბჰარატა!
4. სიცრუე, ზვიადობა, ცუდმედიდობა, გულისწყრომა,
გულმხეცობა და უმეცრება
ეშმაურ ცხოვრებისათვის დაბადებულთა ხვედრია.
5. ღვთაებრივი ხვედრი ხსნად შერაცხილია, ხოლო
ეშმაური – კირთებად.
ნუ ჭმუნავ, პანდავა, შენ ღვთაებრივი ხვედრისთვის იშევ!
6. ორგვარი არსი ჰგიეს ამ სოფლად: ღვთაებრივი და
ეშმაური.
ღვთაებრივი ნვრილად შევაგონე, ან ეშმაურის გამო
შეისმინე, ბჰარატა!

7. ეშმაურ კაცთა არ იციან არც მოქმედება, არც უმოქმედობა, სინმინდე და სიმართლე არ სუფევს მათთან.
8. ისინი ამბობენ: მედინი ქვეყანა სიმართლის, საფუძვლის და ღმერთის გარეშე დგას, იგი ურთიერთშეჭიდულების მეოხებით შეიქმნა და გულისთქმისგან აღორძინდა.
9. ამგვარი კაცნი, მცირე ჭკუითა და მძვინვარე ბუნებით დაპყრობილნი, – ქვეყნის დამლუპველნი და დამაქცევარნი არიან.
10. გაუმაძღარ ავხორცობას აყოლილნი, ცრუნი, ქედმაღალნი და მთვრალნი, ბნელი გონებით საზარელ საქმეთ სჩადიან და მოქმედებენ უნმინდურებით.
11. უამრავ ზრუნვასა და დამლუპველ აზრებს შემსჭვალულნი, საკუთარი გულისთქმის უმაღლეს მიზნად დამსახავნი, უგუნურად ზრახავენ: „აჰა, ცხოვრება ესე“.
12. იმედისა და მოლოდინის ასეული ბორკილით დაბორკილნი, ავხორცობითა და გულისწყრომით აღბორგებულნი, სიმდიდრის უსამართლოდ მიმხვეჭელნი, – საკუთარი გულისთქმის აღსრულებას მიელტვიან მარადღე.
13. დღეს მე ამას მივალნიე, ხოლო ხვალ იმას მივალნეე ეს სიმდიდრე უკვე ჩემია, ხოლო შემდგომ ისიც ჩემი იქნება.
14. მე მოვკალ ეს ჩემი მტერი და სხვებსაც ასევე დავხოც. მე ვარ ხელმწიფე, მე ვარ მორჭმული, მე ვიშვებ – ძლიერი და სვესვიანი.
15. მე ვარ მდიდარი, ჩემი სწორი ვინ არის კიდევ? მე შესანიშნავს გავიღებ და წყალობას გავცემ და მე ვიხარებ, ასე იტყვიან უმეცრებით დაბრმავებულნი.

16. უამრავ აზრით თავგზააბნეულნი, ცთომილების
ქსელში დახლართულნი,
ავხორცობის სიტკბოს დახარბებულნი, უწმინდურ
ქვესკნელს დაინთქებიან.
17. აღზევებულნი და მზვობარნი, გულზვიადნი, უგუნურნი,
ანგართმოყვარენი,
ცრუსა და ორგულ მსხვერპლსა მწირავენ.
18. გულმხეცობით, სიძვითა და ავხორცობით დამონებულნი,
ისინი უარმყოფენ მე საკუთარ გულსა და სხვათა გულშიაც.
19. ამ სასტიკ, მზაკვარ და გულბოროტ არაკაცებს
მე მარადლე სამსარასა და ეშმაურ სკნელთა შინა დავნთქამ.
20. ასურთა ეშმაურ სკნელში მოხვედრილნი, დაბადებიდან
დაბადებამდე ბნელითმოსილნი, უდაბლესი გზით ივლიან
ისინი, კაუნტეა!
21. სამი კარი ჰზია – კაცის დამლუპველი – ჯოჯოხეთის ბჭეებს:
ავხორცობა, ცოფი და სიხარბე, ამიტომ სამივე უარჰყავი.
22. ბნელის ამ სამი კარიბჭისაგან თავისუფალი
საკუთარ მადლს იძენს და ამრიგად უზენაეს გზას
მიეახლება.
23. დადგენილი კანონის უარმყოფელი საკუთარი
გულისთქმით ცხოვრობს,
იგი ვერ მოიხვეჭს სრულყოფას, სვიანობას, უზენაეს გზას.
24. ამიტომაც წერილთა შინა დადგენილი, დე, შენი ქცევის
საწყაული იყოს.
შასტრების მეცნაურმა, აღასრულე შენ შენი საქმე!

XVII

რწმენის სამნაირი გამოწილვის იოვა

არჯუნამ თქვა:

1. შასტრების დადგენილი კანონის უამრყოფელნი, მაგრამ რწმენაგულსავსედ მსხვერპლის შემწირველნი, რა შიგან არიან, კრიშნა, – სატვას, რაჯასს თუ ტამასს?

კურთხეულმა ბრძანა:

2. სამგვარია ხორცშემოსილთა რწმენა, მათივე საკუთარი ბუნების მიერ დაბადებული: სატვაური, ვნებიანი და ბნელი, ეს შეიგონე.
3. კაცთა ბუნების შესაგვანია მათივე რწმენა. გული კაცისა რწმენით არის აღესილი, ო, ბჰარატა. და რაი რწმენა – იგივე კაცი.
4. ქველნი ღმერთებსა სწირავენ მსხვერპლს, ვნებიანი ეშმა-რაქშასებს, გულითა ბნელნი – მიცვალებულთ და სხვადასხვა სულებს.
5. კაცნი თავმედგარნი, ორგულნი, ავხორცნი, მოძალადენი და უგუნურნი, ხორცის დაშრეტის საშინელი საქმისმოქმედნი,
6. საკუთარ სხეულში ტანჯავენ სტიქიონებსა და აგრეთვე მეც მანამებენ, მათი სხეულის წიაღთა შინა დავანებულს. ასეთი ნება, იცოდე, ეშმათაგან არის.
7. ჭამადიც სამგვარია, მსგავსად მსხვერპლის, ხორცის დაშრეტისა და წყალობისა, ეს შეიგონე.
8. ნოყიერი, ზეთოვანი, გემრიელი და მომამჯობინებელი, დღეგრძელობის, სიმაგრის, მხნეობისა და ძალის მომნიჭებელი ჭამადი სანუკვარია სატვაურ კაცთათვის.

9. ცხარე, მუავე, მლაშე, ცხელი, მშრალი, აღმგზნებული ჭამადი ვნებიანთათვისაა საამური. მას მოაქვს ტანჯვა, სიმძიმე, სნება.
10. დამპალი, უგემური, შმორიანი, ღამეთეული და მსხვერპლისად უკეთური ჭამადი სანუკვარია ბნელთათვის.
11. რომელი არა საზღაურისათვის, არამედ კანონის შესატყვისად სწირავს, მგონებელი: „ხამს მსხვერპლშენირვა“, სატვას კაცია.
12. უკეთუ მსხვერპლს წყალობის მოსაგებად მოიღებენ – სიორგულა. ასეთი შესანირავი გულისტქმისმიერია, ეს იცოდე, ღირსო ბჰარატა!
13. მანტრების, ძღვენისა და რწმენის გარეშე და ჭამადის გაუღებლად შენირული უკანონო მსხვერპლი ბნელია და ბნელთა წილია.
14. ორჯერშობილთა, მოძღვართა და ღმერთთა თაყვანისცემა, სინმინდე, გულმრთელობა, უმანკოება და უშურველობა ინოდება სხეულის მოწვრთად.
15. შფოთის არალმძრავი, მართალი და საამური სიტყვა და წერილთა გულმოდგინე შესწავლა, – სიტყვის მოწვრთად ინოდება.
16. თავდაჭერა, სიმდაბლე, მდუმარება, გულნათლობა და ცხოვრების სინმინდე – გულის მოწვრთად ინოდება.
17. უკეთუ საზღაურის არმეძიებელი ამ სამმაგ წვრთას ღრმა რწმენით აღასრულებს, სატვაურად შეირაცხება იგი.
18. დიდების მოხვეჭისა, ორგულობისა, წარჩინებისა და ქედმაღლობისათვის შესრულებული წვრთა და ვარჯიში ვნებიანი, ურჯულო და მერყევია.

19. ხოლო თავის სანამელად და სხვათა დასალუჰად, უმეცრულად და უგუნურად შესრულებული – ბნელად შეირაცხება.
20. წყალობა – ღირსეულ კაცთათვის საზღაურის მოუგებლად და უშურველად, საჭირო დროსა და ადგილას გაღებული, გულისხმით: „ხამს გავცე“, სატვაურად შეირაცხება.
21. უკეთუ წყალობა დანანებით, უადგილოდ, საზღაურის მოგებისათვის გაიცემა, წყალობა იგი გულისთქმისმიერად შეირაცხება.
22. წყალობა – პატივისცემის გარეშე, უადგილო ადგილას და უდროო დროს, უღირსისათვის ქმნილი – ბნელად შეირაცხება.
23. აუმ-ტატ-სატ, ასე აღინიშნება წერილთა შინა ბრაჰმა. მას ჟამსა შინა, მის მიერ იქმნა ბრაჰმანები, ვედები და მსხვერპლი.
24. ამიტომ ბრაჰმას მეცნაური სამსხვერპლო წესის დასაწყისში, წერილთა თანახმად აუმ-ს წარსთქვამს.
25. თავისუფლების მოსწრაფენი – მსხვერპლშენიერის, წყალობისა და წვრთის წესების შესრულებას ტატ-ს რა წარსთქვამენ, მერმე დაიწყებენ.
26. ჭეშმარიტი, ქველი და აგრეთვე ღირსსაქებარი საქმე აღინიშნება სიტყვითა სატ, ო, პართჰა!
27. სატ სიტყვით აღინიშნება აგრეთვე სიმედგრე მსხვერპლსა, წყალობასა და მოწვრთასა შინა, სატ სიტყვით აღინიშნება აგრეთვე მისთვის აღსრულებული ყოველი საქმე.
28. ხოლო იგი, რაც მსხვერპლსა, წყალობასა და წვრთნასა შინა ურწმენოდ აღსრულდება, იწოდება „ასატ“, იგი არარაა ამიერ და იმიერ ქვეყნადაც, პართჰა!

XVIII

გ ა ნ დ გ ო მ ი ს ი ო გ ა

ა რ ჯ უ ნ ა მ თ ქ ვ ა :

1. განდგომისა და განდეგილობის არსი მინდა ვიცოდე,
მხარგრძელო!
მაუნყე ეგე გამონილვით, ჰრიშიქემა!

კ უ რ თ ხ ე უ ლ მ ა ბ რ ძ ა ნ ა :

2. წინასწარმეტყველნი სანატრელ საქმეთა დატევებას
განდგომა – სანიასად უხმობენ.
ყოველთა საქმეთა მონაგარის დატევებას ბრძენნი
განდეგილობას ეძახიან.
3. მეცნაურთაგან ზოგი ამბობს: ხამს დაუტევოთ საქმე,
ვითარცა ბოროტება,
ხოლო ზოგი: მსხვერპლშენირვის, წყალობისა და წვრთის
საქმეთა დატევება არა ხამს.
4. ან ჩემი სცანი, ბჰარატათაგან გამორჩეულო, რამეთუ
სამნაირია განდგომა.
5. მსხვერპლშენირვის, წყალობისა და წვრთის საქმეთა
დატევება არა ხამს,
ვინაიდან ისინი გონიერთა განმწმენდელნი არიან.
6. მაგრამ ამ საქმეთა აღსრულება მხოლოდ მაშინ არის
სანუკვარი,
როცა თავისუფალი ხარ გულმიდრეკისა და
მონაგარისაგან.
ასეთია, პართჰა, ჩემი უთუო და უქცეველი გადაწყვეტილება.
7. უცილობელ საქმეთა უარყოფა არა ხამს.
ასეთი, საცთურისმიერი განდგომა ბნელად შეირიცხება.

8. „ბოროტია ეგე“, რომელმა აგრე ზრახოს, გვამოვანი შეჭირვე ბისაგან შიშით აღძრულმა, – განდგომის გულმდღულარედ აღმსრულებელმა, ვერ მიითვალოს განდევილობის მონაგარი.
9. „ხამს საქმედ აღვდგე“, – რომელმა აგრე გულისხმაყოს, დადგინებულ საქმეს აღასრულებს იგი, არჯუნა!
10. განდევილი არ გაურბის უამურ საქმეს, არც საამური საქმით ებმება. იჭვთაგან თავდახსნილი ბრძენი სატვით აღვსილია.
11. რადგან სხეულისმტვირთველი საბოლოოდ ვერ განდგება საქმეთაგან. რომელი საქმეთა მონაგარს უარყოფს, იგი შეირაცხება განდევილად.
12. არგანდგომილი, გარდაცვლის შემდეგ საქმეთა სამნაირ მონაგარს მოიმკის: ნანატრს, უნატრელსა და შერეულს. განდგომილისათვის არც ერთი ჰგვის.
13. შეიტყე ჩემგან ეს ხუთი მიზეზი, სანქჰიას მიერ საცნაურყოფილი...
14. გვამი, მოქმედი, სხეულის სხვადასხვა ასონი, სხვადასხვაგვარი გულისნადილი და, ბოლოს, მეხუთე მიზეზი – ღვთაებრივი ნება.
15. რა საქმეც უნდა აღასრულოს კაცმა სხეულით, გულითა ან სიტყვით, მართალი ან უმართლო საქმე, მიზეზი მისი მოქმედებისა ეს ხუთი იქნება.
16. ამრიგად, რომელი უმეცრულად, მხოლოდ თავის თავს მიიჩნევს მოსაქმედ, უგუნურია იგი და ვერ ხედავს.
17. ხოლო რომელი თავადობისგან თავისუფალი და გონებაშეუბღალავია, იგი, თუნდაც მკვლელი, დაუბმელია და არა კლავს.

18. სამნაირია საქმედ აღმძრავი გულისნადილი:
ცოდნა, საცნაური და მეცნაური.
მიზეზი, საქმე და მოქმედი – მოქმედების სამმაგი ჯამია.
19. ცოდნა, მოქმედება, მოქმედი, თვისებათა სამნაირად
განსხვავების გამო,
სამმაგად არის მიჩნეული თვისებათა ჩამოთვლისას.
20. ის ცოდნა, რომელიც ყოველ არსში ერთიან,
წარუდინებელ განყოფაში განუყოფელ არსებას
ხედავს, იცოდე, სატვაურია.
21. ის ცოდნა, რომელიც დაყოფისა გამო ყოველ არსში
ცალკეულ არსებათ ხედავს, იცოდე, გულისთქმისმიერია.
22. ხოლო ის ცოდნა, რომელიც ცალკეულ მიზნისკენ ისეა
მიდრეკილი, თითქოს იგი საყოველთაო იყოს,
მიზნად ქეშმარიტების არდამსახველი, ბნელად
შეირაცხება.
23. გულმიდრეკისაგან განრცხილ, გულისთქმის გარეშე
აღსრულებულ, ზიზლისა და მონაგარის ნდომისაგან
განძარცულ
საჭირო საქმეს სატვაურს ეძახიან.
24. სურვილთა ასახდენად, ამპარტავნებით,
დიდი შეჭირვებით აღსრულებული საქმე
ვნებიანად არის შერაცხილი.
25. სხვათა დასალუჰად და სავნებლად,
სამკალის გაუთვალისწინებლად დათესილი უღირსი საქმე –
ბნელად იწოდება.
26. გულმიდრეკისაგან თავისუფალი, ზვავობისაგან
გულდაუბნელებელი,
მტკიცე და შეუპოვარი, მარცხსა და გამარჯვებაში
გულითუძრავი მოღვანე – სატვაურად შეირაცხება.

27. ვნებიანი, მონაგარის მონადინე, შურიანი, ამპარტავანი,
უნმინდური,
სიხარულითა და ჭმუნვით გულშეძრული მოსაქმე –
ვნებიანად შეირაცხება.
28. გულხენეში, ვერაგი, სულმოკლე, ზანტი,
ცრუ და ჩლუნგი მოსაქმე – ბნელად შეირაცხება.
29. ბუდჰის სამნაირ სხვაობისა და გუნათა შესაბამის
სიმედგრის გამო,
გამონილვითა და სრულად შეისმინე ან, დჰანანჯაია!
30. გონება, რომელმაც იცის დანყება და დამთავრება,
გასრულება და არგასრულება,
ხიფათი და უხიფათობა, თავისუფლება და კირთება –
სატვაურია, ო, პართჰა!
31. ხოლო უკეთუ დჰარმას და ადჰარმას გამსრულებელსა და
არგამსრულებელს გონება მრუდად შეიმეცნებს ხოლმე,
ვნებიანია ამგვარი გონება.
32. ბნელით მოცული გონება, რომელიც დჰარმას ადჰარმად
და ყოველ საგანს მრუდედ შეიმეცნებს – ბნელია, შეიცანი!
33. შეუპოვრობა – მანასის, პრანასა და ინდრიების
მიმოქცევის მტკიცე იოგათი
დამაოკებელი – სატვაურია, პართჰა.
34. შეუპოვრობა, რომლითაც დჰარმა, გულისთქმა და
ანგარება გასრულდება, ვნებიანია, იცოდე, არჯუნა.
35. ხოლო შეუპოვრობა, რომელიც მცონარებით,
მწუხარებით, ხიფათით, სიცრუითა და საცთურით
საშველს არ აძლევს უგუნურს – ბნელია, პართჰა.
36. ან სამნაირი სიხარულის გამო შეისმინე, ღირსო ბჰარატა!

37. სიხარული, რომელიც ჭირთა გარდახდისა და ძალისხმევის
შემდეგ შეგვეყრება,
რომელიც თავში მწარეა და ბოლოში ამრიტასავით
გატკბილდება,
ატმანის საცნაურყოფის სინმინდისგან აღორძინებული
სიხარული – სატვაურია.
38. გულისთქმისა და ნივთთაგან შეზავებული, თავში ამრიტასა
და ბოლოში სანამლავის შესაგვანი –
ვნებიანად შეირაცხება.
39. ხოლო თავსა და ბოლოშიც სულისდამაბნელებელი
სიხარული,
მცონარებით, უზრუნველობითა და გონების სიმძიმით
დაბადებული, ბნელად შეირაცხება.
40. არცა ქვეყანასა ზედა და არცა ცათა შინა, თავად
ღმერთებს შორისაც კი,
არა ჰგიეს არავინ, ბუნებისაგან დაბადებული ამ სამი
გუნასაგან თავისუფალი.
41. ბრამინების, ქმატრიების, ვაიშიებისა და შუდრების
მოვალეობა მათი საკუთარი ბუნებისაგან აღმოცენებული
გუნების მიერ არის ხვედრად ნილხვედრილი.
42. ბრამინთა მოვალეობაა: სიმშვიდე, თავდაჭერა, წვრთა და
სინმინდე, დათმენა, სიმართლე, ცოდნა და რწმენა.
43. დიდებულება და სიმამაცე, შეუპოვრობა, ნიჭი, ომში
შემართება, სიუხვე და სიქველე – ქმატრიებს მიეთვლებათ
მოვალეობად.
44. მინის მუშაკობა, ხვასტაგის მომრავლება და ვაჭრობა
ვაიშების საქმეა, ხოლო მსახურება – შუდრებისა.

45. კაცი, რომელიც თავის ხედვას დასჯერდება, სრულყოფას
 მიაღწევს.
 საკუთარი კარმის მოხარულნი თუ რაგვარ მიითვლიან
 სრულყოფას, ან შეისმინე.
46. გონებაშეუმცდარი კაცი, თავისი კარმითა და საკუთარი
 საქმით იმის თაყვანისმცემელი, ვინც ქვეყანა მოგვცა და
 არსნი ყვნა – სრულყოფას მოიხვეჭს.
47. კარგად შესრულებულ უცხო კარმას ნაკლულად
 შესრულებული საკუთარი სჯობს.
 საკუთარი ბუნებისაგან წილხედომილი კარმის გულსავესედ
 მტვირთველი – ცოდვას განრინებულია.
48. თანდაყოლილი კარმის დატევა, თუნდაც ცოდვისაგან
 შერყენილისა, არა ხამს,
 რადგან ყოველი საქმის დანყება კვამლით შეფუთვნილი
 ცეცხლის მსგავსად ცოდვითაა შებურვილი.
49. თავის გადამლახველი და გულის მძლეველი,
 გულისთქმისაგან განდგომილი,
 დაუბმელი და სრულქმნილი ცნობიერება, განდგეილობის
 მეშვეობით, უქმადყოფის უმაღლეს სრულყოფილებას
 მოიპოვებს.
50. სრულყოფის მპოვებელი თუ როგორ ეზიარება ბრაჰმას
 უზენაეს სამკვიდრებელს, ჩემგანვე იუნყე, კაუნტეა,
 ამის უმაღლესი არა არს ცოდნა.
51. რომელმა ნათელმოსილი გონებით დაიოკოს თავი თვისი,
 განიშოროს ხმა და გრძნობათა სხვა საგნებიც,
 დააგდოს წადილი და სიძულვილი, ბრაჰმას ღირსია.
52. რომელი მარტოსულად დაეყუდოს, ჭამადში ზომიერი,
 გულისა, გვამისა და სიტყვის დამაოკებელი, ნიადაგ დჰია-
 ნა-იოგას ერთგული, სინწმინდეში დაძირული – ბრაჰმას
 ღირსია.

53. რომელი ძალადობის, ამპარტავნების, გულისთქმის,
გულისწყრომისა და საკუთრებისაგან
თავისუფალი, გულითა მშვიდი და თავკერძობის
უარმყოფელია, – ბრაჰმას ღირსია.
54. ბრაჰმასთან შერთული, სულით განათებული
არა ჭმუნავს, არც გული უთქვამს,
ყოვლის მიმართ სწორად მიმფენილი იგი ჩემდამო
უზუნავს კრძალულებას მიაღწევს.
55. კრძალულებით საცნაურმყოფს კაცი მე, თუ ჭეშმარიტად
რაგვარი ვარ.
ჭეშმარიტად, ჩემი მეცნაური პირდაპირ მის კალთაში
დაიძირება.
56. ჩემთანა სამკიდროს მეძიებელი, თუმცა ყოველთვის
ყველა საქმეთა მქნელია,
ჩემი წყალობით მოიპოვებს საუკუნო და წარუღინებელ
ყოფას.
57. გონებით ყველა საქმეს ჩემს მეოხებას რაკი მოანდობ
უმალღეს მიზნად ჩემი დამსახველი, სიბრძნის იოგაში
გულგანვრთნილმა ჩემზე დაიუნჯე გონება მარადღე.
58. ჩემზე გონებადაუნჯებული ჩემივე წყალობით გადალახავ
ყველა ჭირს.
ხოლო, უკეთუ თავნებობის – აჰანკარას გამოისობით არ
გულისხმამყოფ, დაიღუპები.
59. უკეთუ საკუთარ ნებას აყოლილი ასე იზრახავ:
„არა მნადს მე ბრძოლა“, – ამოდ დაშვრები.
შენი საკუთარი ბუნება გაგიყოლებს შენ.
60. საკუთარი ბუნების მიერ დაბადებული შენივე კარმით
შეპორკილი, უნებურად შენვე იმას გააკეთებ, რისი გაკეთე-
ბაც არა გნადს ცთუნების გამო.

61. უფალი ყოველთა არსთა გულშია დავანებული, არჯუნა,
და თავისი მაიას მეოხებით, ბორბალივით აბრუნებს მათ.
62. და ამიტომ მის მონყალე კალთას გულსავსედ შეეფარე.
მისი მეოხებით უზენაეს სასუფეველსა და სამკვიდრებელს
მოიპოვებ, პართჰა!
63. აგრე გეუნყა შენ მოძღვრება, უფრო იღუმალი, ვიდრე
საიდუმლოა.
გაბრჭე საბოლოოდ და ისე მოიქეც, როგორც გენებოს.
64. კელავ შეისმინე ყოვლადსაიდუმლო ჩემი უკანასკნელი
სიტყვა.
სანატრელი ხარ ჩემთვის მეტად და ამიტომ კეთილად
შეგაგონებ.
65. მომიგონებდე მე, მეკრძალვოდე მე, შემწირვიდე მე.
აგრე მომიპოვებ.
ჭემმარიტად აღგიტქვამ: სათნო ხარ ჩემდა.
66. რაც ვალად განევს – დათმე ყოველი. ჩემთან ეძიე
სადგური მხოლოდ.
მე მიგიტევებ ყველა ცოდვას, ნუ ჭმუნავ, პართჰა!
67. ნუ გაანდობ ამ სიტყვას ნურც გონებაუნვრთნელს,
ნურც კრძალულებაგარდატევებულს,
ნურც შეუგონებელს, ნურც მაგინებელს ჩემსას.
68. რომელმა ეგე უზენაესი საიდუმლო
ჩემთა თაყვანისმცემელთ გაუმჟღავნოს,
მით ჩემდამო უმაღლესი თაყვანების აღმსრულებელმა,
უცილობლად მომიპოვოს მე.
69. კაცთა შორის ამგვარ კაცზე უსათნოესი არვინ მეგულვის,
და ქვეყანაზეც უფრორე სანატრელი, ვიდრე ეს კაცი.
70. უკეთუ ვინმე დაიმოძღვრებს ამ ნმინდა საუბარს,
იგი სიბრძნის მსხვერპლით შემწირავს მსხვერპლს.
აგრე მივითვლი.

71. ხოლო ვინც რწმენითა და უდრტვინველად შეისმენს ამ
ჩემს სიტყვას,
იგიც, თავდახსნილი, მართალთა დიდმშვენიერ
სასუფეველს მოიპოვებს.
72. გონების ღრმა დაუნჯებით შეისმინე ყოველი, პართჰა?
უმეცრებით შობილი შენი ცთუნება განქარდა, დჰანანჯაია?

არჯუნამ თქვა:

73. შემუსვრილია ჩემი ცთუნება.
შენი წყალობით განვისწავლე მე, მეუფეო.
გულის სიბნელე განიბნია ჩემგან.
სიხარულით აღვასრულე ან შენს ნაბრძანებს,
მტკიცედა ვდგავარ!

სანჯაიამ თქვა:

74. ასე მოვისმინე ვასუდევასა და დიდსულოვანი პართჰას
ეს საკვირველი, აღტაცების მომგვრელი საუბარი.
75. ვიასას წყალობით ვუსმენდი ამ უზენაეს საიდუმლოს,
იოგათა მეუფის იოგას, თავად მისგანვე განცხადებულს.
ვუსმენდი და თმა ყალყზე მიდგებოდა.
76. ო, რაჯა, ვიგონებ, ვიგონებ ახლა, კრიშნასა და არჯუნას
ამ ჯადოსნურ საუბარს
და აღტაცება მიპყრობს ისევ და ისევ.
77. ვიგონებ აგრეთვე ჰარის დიდმშვენიერ სახეს
და გულსავეს მისხარის ისევ.
78. სადაც იოგას მეუფე კრიშნა ჰგიეს, სადაც მშვილდოსან-
მოისარი პართჰაა, იქ გამარჯვება, სიკეთე, მარადი სიმართ-
ლე და სვესვიანობა სუფევს. აგრე მიმაჩნია მე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

ეს შენიშვნები, ძირითადად, სმირნოვისეულ განმარტებებს ეყრდნობა, რომელთა მცირე ნაწილი მოვიტანეთ აქ. შენიშვნებისათვის გამოვიყენეთ აგრეთვე გიტას გერმანული გამოცემა (პარტმანი), ინდოეთის პრეზიდენტის რადჰაკრიშნანის „ინდური ფილოსოფია“ (მოსკოვი, 1965. ტ. I, II) და რ. როლანის შრომა „თანადროული ინდოეთის მისტიკისა და სულიერი ცხოვრების გამოკვლევის ცდა“ (ლენინგრადი. 1936, ტ. XIX, XX). დავურთეთ საკუთრივ ჩვენი შენიშვნებიც.

ინდური ფილოსოფიური ტერმინოლოგია, წერს რადჰაკრიშნანი, ინტელექტუალური ლანდშაფტის უჩვეულობის გამო, ძნელად ითარგმნება უცხო ენაზე. გადავლახავთ თუ არა გარეგან სიძნელეებს, ნათესაური ადამიანური გულის კონგენიალურ ფეთქვას ვიგრძნობთო. ჩვენი თარგმანი ამ აზრის განხორციელებას ესწრაფვოდა და თუ შენიშვნებში, ქართულით შენაცვლებული სანსკრიტული ტერმინების განმარტებანი ხშირად მოტანილი არ არის, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გადატვირთულიყო წიგნი, რომლის უმთავრესი მიზანი პოეტური თარგმანის შექმნით ამოინურება.

I. ომის ამბავს დრითარაშტრას მეეტლე სანჯაია ჰყვება, რომელსაც ლეგენდარული რიშის ვიასას წყალობით ნათელმხილველობა ახლავს.

I.1. დჰარმა. დჰარ, შენვენას ნიშნავს. აქედან – ლიბო, ბურჯი, ზნეობრივი საყრდენი, კანონი, წესი, მოვალეობა, რელიგიური ბედისწერა, გამომდინარე ადამიანის, კასტის, ერისა და ცივილიზაციის განვითარების გარკვეული საფეხურიდან. რეალობის კატეგორიის შემდეგ ინდური აზროვნების უსაჩინოეს ცნებას წარმოადგენს. ეს ცნება ხშირად კოსმოსურ მნიშვნელობამდე ფართოვდება და მისი ამოხსნა სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლის სიტყვათხმარებისა და კონტექსტის მეშვეობით შეიძლება მხოლოდ.

კურუს ველი ინდოეთში დღემდე ცნობილი ადგილია, სადაც უხსოვარ დროში დიდი მსხვერპლშენიშნა აღსრულებულა. აქ მოხდა ბჰარატების სახელგანთქმული ბრძოლა, რომელმაც ინდოელთა ღრმა რწმენით, მთელი კაცობრიობის ბედი გადასწყვიტა, რადგან ამ მომენტიდან იწყება ბნელი პერიოდი (კალიუგა).

1.3. აჩარია, მოძღვარი. განსხვავებით სიტყვისაგან „გურუ“, რომელიც სულიერ მოძღვარს ნიშნავს, აქ ლაპარაკია დრონაზე, – მეომარ ბრამინზე, რომელიც სამხედრო საქმეს ასწავლიდა დურითოღჰანასა და პანდაევს. არჯუნა მისი საყვარელი მოწაფე იყო. აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად ბრამინობისა, დრონა სამხედრო საქმეთა ოსტატია, რაც მანუს კანონების თანახმად მხოლოდ ქშატრიების საქმეა.

1.4. უიუღჰანა – ბრძოლას მოწყურებული, საომრად ატეხილი. ვირატა. მატსიას ერის რაჯა. არჯუნას მძახალი. დრუჰადა – ძელის სვეტი, მაჰარატჰა – დიდეტლოსანი. ეს ეპითეტი საჭირო ასოციაციებს არ იწვევს, სმირნოვი „ქველ მეომრად“ თარგმნის ამ სიტყვას.

1.5. დრიშთაქეტუ – მამაცი დროშა. ჩეკიტენა – გონიერი. ეს სიტყვა შივას ეპითეტია და აგრეთვე მამაკაცის სახელი.

პურუჯიტ – მრავალმძლეველი.
1.6. უტამოჯა – მეტად ძლიერი, მძლეთამძლე.
უღჰამანიუ – შემართება, ბრძოლის სიფიცხე.
1.8. მეუფეო – დრონასადმია მიმართული.
ბჰიშმა – ბრმა დრითარაშტრას ბიძა, გვარში უხუცესი და ამიტომ სპათა წინამძღვარი. კარნა – ყუროსანი, ე. ი. გულისყურიანი.

1.14. მადჰავა – მადჰუს შთამომავალი. კრიშნას სახელია მამის გვარის მხრიდან. პანდავა – ამჯერად არჯუნა.

1.15-15. აქ ჩამოთვლილი საყვირებისა და ნიჟარების სახელი ჩვენ გადმოვაქართულეთ. რუსულ თარგმანში, დედნის მიხედვით, სანსკრიტული სახელებია. პრიშიქეშა. ინდური ტრადიციით – გულისთქმათა მეუფე. ევროპელი მეცნიერები ამ ეპითეტს

„ქეშავას“ ბადლად განიხილავენ და თარგმნიან „თმოსანი“, „კუ-
ლულებიანი“. ვინაიდან კრიშნას თმა ყალყზე აქვს შემდგარი,
პარალელს ავლებენ აპოლონის ეპითეტთან „აურიკომუს“ (ოქ-
როსთმიანი). ღვთაების თმა მზის ოქროვან სხივებს უკავშირდე-
ბა. არჯუნას ეპითეტია „გუდაქეშა“ (1.24) – მრგვალთმიანი, ე. ი.
თმახუჭუჭა, რაც კრიშნასა და არჯუნას ერთიანობის აზრითაა
გამსჭვალული.

1.20. არჯუნას ალამზე მაიმუნი – კაპი (შეად. ყაფუზუნა) იყო
გამოხატული. „პირველი ბჰაქტა“, ვინც რამად გარდასხეულე-
ბულ კრიშნას თაყვანი სცა – ჰანუმანი იყო, ხოლო ამ უკანასკ-
ნელს ყოველთვის მაიმუნის სახით გამოსახავდნენ. არჯუნა თვი-
თონ არის ბჰაქტა, ამიტომაა მის ალამზე უდიდესი ბჰაქტას ჰა-
ნუმანის გამოსახულება.

1.21. აჩიუტა – „შეუმუსვრელი“, „უქცეველი“, კრიშნას ეპი-
თეტია.

1.25. პარტჰა – ე. ი. პრიტჰის ძე. პანდავების სახელი დედის
გვარის მხრიდან. ეს სახელი ხშირად იხმარება, ვინაიდან არჯუ-
ნა დედის უსაყვარლესი შვილი იყო.

1.28. კრიშნა – ვიშნუს უკანასკნელი გარდასხეულების (ავა-
ტარ) სახელი, რაც „შავს“ ნიშნავს. შავი ამავე დროს ლამაზის,
მშვენიერის გამომხატველია.

1.30. განდივა – არჯუნას ჯადოსნური მშვილდის სახელი. გა-
მოთლილი იყო „გაანდის“ ხიდან. მისი წინანდელი მფლობელე-
ბი იყვნენ: სომა, ვარუნა, აგნი, შივა და სხვა ღმერთები. აგრეთვე
ცისარტყელას სახე.

1.35. მადჰუსუდანა – მადჰუს მკვლელი. მადჰუ რაქშაზია ე. ი.
ეშმა, დაბნელების დემონი. ეპითეტი კრიშნას გულისხმობს.

11.2. არიელი. სიტყვა „არია“ ხალხსაც აღნიშნავს და ამავე
დროს კეთილს, ბრძენს, კეთილშობილს.

11.5. დედანშია „გურუ“, რაც პატივცემულს, ღირსეულს ნიშნავს.

11.17. იგი (ტატ). როგორც ფილოსოფიური ტერმინი პირველად
რიგვედას „შესაქმის გალობაში“ გვხვდება (X.129): „არა იყო სიკ-

ვდილი, არა იყო უკვდავება, არა იყო ღამე და არა იყო ელვა ნათლისა, უფშინელად ფშვენდა თავის ყოფაქცევითა იგი, ერთი, რამეთუ სხვა რამ, თვინიერ მისა, არა რაი იყო". ეს აზრი უპანიშადებმა განავითარეს და ბრაჰმანს „იგი“ დაარქვეს.

II.19. ემერსონი აღნიშნავს, რომ 1846 წ. ივლისში, ტორომ მას წაუკითხა თავისი „მდინარე კონკორდზე და მერიმეკზე გატარებული კვირიაკენი“. ხოლო ეს „კვირიაკე“ (თავი – ორშაბათი) გიტათი, ინდოეთის დიადი პოემებითა და უმაღლესი ფილოსოფიით აღტაცების ბობოქარი ზღვაა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ გავლენებმა ემერსონისათვის უკვალოდ არ ჩაიარა... ინდური ფილოსოფიის გაცნობით გამოწვეული განცვიფრების ელდა, როგორცა ჩანს, ძლიერი იყო, თუკი 1856 წ. მას შეეძლო დაეწერა ვედანტიზმით ისე ღრმად გამსჭვალული ლექსი, როგორიც არის მისი მშვენიერი „ბრაჰმა“... (ავტორი არ აღნიშნავს, რომ ამ ლექსის პირველი სტროფი გიტას შლოკას პარაფრაზია, თ. ჩ.). მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება გაეცნოს მის თარგმანს:

„თუკი წითელკანიანი მკვლელი ფიქრობს, რომ იგი ჰკლავს ან მოკლული ფიქრობს, რომ ის მოკლულია, მათ არ უწყიან ჩემი იდუმალი გზა.

ისინი წარხდებიან და კვლავ მოიქცევიან...“

რ. რ. XIX. გვ. 237-238.

II.39. ტერმინები „სანქჰია“ და „იოგა“ გიტაში აღნიშნავენ ხსნის მიღწევის ორ გზას, განსჯისა და ჭვრეტის გზას. რადჰ. I. გვ. 449.

II.42. ხოლო გეტყვი თქვენ: უკეთუ არა აღემატოს სიმართლე თქვენი უფროს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა. მათე. 5.20.

II.45. გუნები – მატერიის თვისებანი, მდგომარეობა. არსებობს სამი გუნა:

1. სატვა – ჰარმონია, სინმინდე. 2. რაჯასი – მოძრაობა, ვნება, ენერგია. 3. ტამასი – სიბნელე, ინერცია.

II.48. იოგა. სიტყვა იმავე ძირისაა, რაც ინგლისური yoke, რუსული ИГО და ქართული უღელი. უპირატესად იხმარება კავშირის, ზიარების მნიშვნელობით: აგრეთვე თავდადების, ერთგულების და სულიერი ძალის მნიშვნელობითაც. ინდურ ფილოსოფიაში ამ ტერმინმა უკვე თავიდანვე ნეოპლატონიკოსების „პრაქსისის“ მნიშვნელობა მიიღო. „იოგა არის ქმნა და შემუსვრა... იოგა არის გულისთქმის მაგარი დაოკება“ (კატჰაკა უპ. 6.10-11). „იოგა აზრის სუბსტანციის აღელვებისგან შეკავება“ (პატანჯალი). „იოგა – დამორჩილებაა სულის არა მარტო ამა თუ იმ ძალისა, არამედ გულის ყველა ძალებისაც... იოგა არის ადამიანის ცდა ეზიაროს უფრო ღრმა სანყისს. ჩვენ სულის მერყეობის მდგომარეობიდან გადავდივართ იმაში, რაც აბსოლუტური და უცვლალებელია და ჩვენს გულში ვავითარებთ წინააღმდეგობის უნარს ძალისა და ცთუნებისადმი. ამრიგად, იოგა ნიშნავს დისციპლინას, რომლის მეოხებითაც ვემზადებით იმისათვის, რომ გარე სამყაროს ყველა შემოტევა გადავიტანოთ. ამავე დროს ჩვენი სულის ძირითადი ყოფიერება ხელშეუხებელი რჩება. იოგა არის მეთოდი ან საშუალება (უპაია), რომლის მეოხებით საბოლოოდ მიზნის მიღწევაა შესაძლებელი“... რადჰ. ტ. I. გვ. 453.

II.69. ოდეს ადამიანის გვამი თავს ანებებს საქმიანობას და მოსვენებად განემზადება, მაშინ მისი სული ამოძრავდება, ხოლო ოდეს სული შეწყვეტს შრომას, მაშინ კვლავ საქმეს უბრუნდება სხეული (თეოფრასტე პარაცელსუს).

II.72. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ნირვანა“ გიტაში, ბუდაელთა ნირვანას ადექვატური არ არის. ჯერ კიდევ უპანიშადებშია იგი განხსენები როგორც „დაშრეტა“, „ჩაქრობა“. „ნირვანა სიმშვიდის მდგომარეობას წარმოადგენს მხოლოდ ვნებათაგან განძარცულობის აზრით, ყველაფერ დანარჩენში იგი სულის მოქმედებისა და ენერჯიის უმაღლესი გამოვლინებაა“ (რე-რიხი, მოსკ. 1960. დჰამაპადა).

III. კარმა-იოგა. „მთელი სამყარო იღვწის. რისთვის? – თავისუფლებისათვის. ატომიდან ურთულეს არსებამდე, ყველა ერთი და იმავე მიზნისათვის მუშაობს: სხეულის განთავისუფლებისათვის, სულის განთავისუფლებისათვის. ყოველი არსი მონობისაგან განთავისუფლებას ესწრაფვის. მზე, მთვარე, დედამიწა, ცთომილები – ყველაფერი ბრუნავს. ბუნების ძალნი მიისწრაფვიან ცენტრიდან ან ცენტრის მიმართ... კარმა-იოგა ცხადყოფს ჩვენთვის შრომის აზრს, საიდუმლოს, მეთოდსა და მისი მაორგანიზებელ ძალას. საქმე გარდაუვალია, მაგრამ ჩვენ უმაღლესი მიზნისათვის უნდა ვიშრომოთ“... (ვივეკანანდა).

III.2. „არჯუნას კითხვა გნოსეოლოგიური კი არ არის, არამედ პრაქტიკული (ნეოპლატონიკური აზრით). ეს არის კითხვა მოვალეობაზე, მის აზრსა და შესრულებაზე და არა თეორემებზე და მტკიცებებზე. მეტიც, როცა არჯუნას ეჩვენება, რომ კრიშნა პირდაპირი პასუხიდან თეორიისაკენ უხვევს, იგი რეპლიკით აწყვეტინებს წინამძღვარს სიტყვას... სწორედ ეს არის ნეოპლატონიკოსთა „პრაკსისი“, ინდოელთა „იოგა“, და ძველი ტრადიციის მიხედვითაც, ამოდ არ უნოდებენ მას იოგაშასტრას და არა ჯნანაშასტრას. ინდური ფილოსოფიის პათოსი ხსნის, მადლის (შრეა) გზების ძიება... და მით გამსჭვალულია უპანიშადები, გიტა, მოქშადჰარმა, ბუდას, მაჰავირას და რამანუჯას მოძღვრება და ტანტრების ბნელი მისტიკა“ (სმირნოვი. გვ. 42).

გონება. დედანშია ბუდჰი. ჩვეულებრივ თარგმნიან გონებად, თვალსაზრისად, შეხედულებად. მაგრამ აქ ლაპარაკია არა იმდენად შემეცნების უნარზე რეფლექსიის აზრით, რამდენადაც მთლიანობაში ქცევის განმსაზღვრელ ცნობიერების სინთეზურ ერთიანობაზე, გონიერ ნებისყოფაზე. ეს ცნება ყველაზე ახლოს დგას კანტის „პრაქტიკულ გონებასთან“.

III.4. კარმა – საქმე. ეს ტერმინი თარგმნისას ძლიერ სუსტდება, ევროპელი მკითხველის ცნობიერებაში სიტყვა „საქმე“ ან „მოქმედება“ არ იწვევს იმ რთულ რელიგიურ-ფილოსოფიურ წარმოდგენათა კომპლექსს, რაც სანსკრიტულ ტერმინს გააჩნია.

III.17. პრაჯაპატი – არსთა გამრიგე. „პრაჯაპატიმ ინდომა: მინდა გავმრავლდე, მინდა სიმრავლედ მოვიქცე. მან აღასრულა ტაპასი და შექმნა სამყარონი“.

III.24. ღმერთს წუთით რომ აელო ხელი თავის ნათქვამზე – ცა და მიწა დაიქცეოდა (ეკჰარტი).

III.26. კარმა-იოგა გვასწავლის: განუწყვეტლივ იშრომეთ, მაგრამ საქმის მიმართ ყოველგვარ გულმიდრეკაზე უარი თქვით. დაე, თქვენი სული თავისუფალი იყოს (ვივეკანანდა).

III.39. კამა – გულისთქმის ღმერთი, კუპიდონის (და არა ეროსის) ანალოგიური.

III.40. „გიტაში გვხვდება ტერმინები: ბუდჰი (ინტელექტი), აჰანკარა (საკუთარი მე-ს გრძნობა) და მანასი (ცნობა), მაგრამ ისინი ყოველთვის არ იხმარება იმ აზრით, რაც მათ სანქჰიას სკოლის მიხედვით მიერწყებათ“. რადჰ. ტ. I, გვ. 450.

IV. 6-7. აქ მინიშნებაა ავატარების თეორიაზე, რომელიც კაცობრიობას ახალ სულიერ ჰორიზონტებს უხსნის. ავატარები – ცოდვისა და ბოროტების, სიკვდილისა და განადგურების წინააღმდეგ მებრძოლი მეომარი ღმერთები არიან... თუკი ღმერთი განიხილება როგორც კაცის მხსნელი, მან უნდა გამოავლინოს თავისი თავი, როცა ადამიანურ ღირებულებათ ბოროტების ძალნი ემუქრებიან. როცა მსოფლიოში ბოროტება სიკეთის არაპროპორციულად იზრდება, მაშინ ღმერთის გამოვლინება განსაკუთრებით ცხადი ხდება. ავატარა – ღმერთის გარდამოსვლა კაცში და არა კაცის აღსვლა ღმერთამდე. ავატარების გამოჩენა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში დიადი კრიზისების მიმანიშნებელია, რადჰ. ტ. I, გვ. 464-66.

IV.6. მაია – ადამიანისათვის გადაულახავი და ყოველი გამოვლინებულისათვის გარდაუვალი – მარადარსებული ყოფიერების მედინობის ილუზია. საერთოდ ამ ტერმინს უამრავი ახსენა გააჩნია. „რა სიტყვით შეიძლება განისაზღვროს ეს ტერმინი? – მხოლოდ ერთით, სახელდობრ, იმით, რომელიც ხმარებაში უახლესმა მეცნიერებამ შემოიტანა: სიტყვით – ფარდობითობა... ეე-

დანტური ადვიატიზმი (ე. ი. უპიროვნო და აბსოლუტური მონიზმი), რომლის უდიდესი თანამედროვე წარმომადგენელი ვივეკანანდაა, გვასწავლის, რომ ტერმინი მათა არ შეიძლება განისაზღვროს. იგი თითქოს შუალედური მდგომარეობაა ერთნაირად აბსოლუტურ ყოფიერებასა და არყოფნას შორის. ამიტომ იგი ფარდობითია. იგი არ არის არყოფნა, რადგან ეს თამაში არსებობს: ამის უარყოფა ჩვენ არ შეგვიძლია". (რ. რ. XX. გვ. 13-14). თუ როგორია მათის თეორია გიტაში, მნიშვნელობა, რომელიც გააჩნია ამ სიტყვას და მისდამი გიტას დამოკიდებულება, იხ. რადჰ. ტ. I, გვ. 466-67.

IV.14. ყველაფერს, რასაც ჩვეულებრივ, ადამიანში ქმედითი გონება აკეთებს, იმასვე და გაცილებით მეტს აკეთებს ადამიანში სახეცვლილი ღმერთი. ღმერთი ადამიანს წარსტაცებს ქმედით გონებას და თვითონ იკავებს მის ადგილს და იქმს ყოველივე იმას, რაც ქმედით გონებას უნდა გაეკეთებინა (ეკჰარტი).

IV.17. დედანშია ბუდჰა. ბუდაელთათვის ეს ტერმინი შაკია მუნის საკუთარი სახელია. მაგრამ ეს სიტყვა უფრო ადრინდელია და ძირითადად ნიშნავდა გაღვიძებულს, მღვიძარეს, ხოლო შემდეგ არსებობის უღლისაგან განთავისუფლებულს. ჩვენ ეს ტერმინი ქრისტიანული „ნათელმეზღვრით“ შევცვალებთ, რის უფლებასაც გვაძლევს რადჰაკრიშნანი.

IV.22. დასთმე ყოველი და შენ ჰპოვებ ყოველივეს, განირიდე გულისთქმა და შენ სიმშვიდეს მოიმკი (თომას კემპიელი).

IV.26. ვისაც სიჩუმის ხმის მოსმენა სურს, მისი ყური უგრძნობელი უნდა გახდეს ყოველი გარეშე ხმაურის მიმართ (ბლავატსკი).

IV.35. ვინც თავს ანებებს საგნებს, რამდენადაც ისინი არარეალური და შემთხვევითი არსებობისა არიან, – მოიპოვებს მათ, რამდენადაც ისინი წმინდა არსობა და მარადიულნი არიან. ვინც ყოველ საგანს მიატოვებს მათს უმდაბლეს ფორმაში, სადაც ისინი მოკვდავნი არიან, – კვლავ ჰპოვებს მათ ღმერთის წიაღში, სადაც ისინი ჭეშმარიტნი არიან (ეკჰარტი).

V.27. ბრძენის აღსანიშნავად გიტაში სხვადასხვა ნიუანსია გამოყენებული: პანდიტი – სწავლული, ბუდჰიმიანტი – გონება-მოსილი, ბუდჰა – უმაღლესი სიბრძნით გაცისკროვნებული, მუნი – დაყუდებული, გონდაუნჯებული, გურუ – სულიერი მოძღვარი. ამ შლოკაში აღწერილია იოგების ვარჯიში „ლაულიკა“. შეად. VI. 13. ვარჯიშის მიზანია მტკიცე მზერის გამომუშავება.

VI.2. სამკალპა – ნადილი. ეს ცნება შეიძლება დაუპირისპირდეს ბჰავანას, რაც ჩვენ „ძალისშემოქმედად“ ვთარგმნეთ (II, 66). სამკალპა მხოლოდ ოცნებასა ჰქმნის, ხოლო ბჰავანა იოგის შემოქმედი აზრია.

VI.34. შანკარა შენიშნავს, რომ „კრიშნა“ წარმოქმნილია ზმნისაგან „კრიშ“, რაც ფხეკას ნიშნავს. ღმერთს ასე იმიტომ მიმართავენ, რომ ის იოგს ცოდვებს ჩამოფხეკს.

VII.10. ბიჯა – თესლი. ეს ადგლი ჩანასახია ტანტრების მისტიკური სპეკულაციებისა, რომელიც ეხება სიტყვას, როგორც ქმედით ლოგოსს. ჩვენ ვთარგმნეთ დვრიტად. შეად. ქართული „სი-ტყუ-ა“ და ამავე „ტყუ“ ძირისაგან ნაწარმოები კოიტუსის აღმნიშვნელი ზმნა.

VIII. მცირეზე უმცირესი. უპანიშადებში: ეს ჩემი ატმანი გულსა შინა მცირეა, ვითარცა ბრინჯის მარცვალი... შეად. მარცვალ მდოგვისა ეწოდა, რამეთუ დაიკნინებს თავსა თვისსა, რათა ურნატსა სულისა ჩვენისასა დაენერგოს და ღრმა ძირნი დაიბნეს... (მარტვილობა ჰაბოისი).

IX.32-33. აქ დაპირისპირებულია ორი უმაღლესი კასტა – ბრამინებისა და ქშატრიებისა, ორ უდარესთან – ვაიშიებთან და შუდრებთან, რომლებიც მანუს კანონის მიხედვით ვეფხების, ლომებისა და ავაზების სწორნი არიან.

X.8. ესე იყო პირველითგან ღვთისა თანა, ყოველი მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი არ იქმნა. იოანე. I.103.

X.14. დანავები – დიაცურ-უარყოფითი მითიური არსებები (დემონის) დანას ნაშიერნი, რომლებიც ღმერთებს ებრძოდნენ.

X.17. მაჰიოგი – უპირატესად შივას ეპითეტია.

X.18. ჯანარდანა – ზედმინვენით: აღმძრავი, კაცთა შემავინ-როებელი. შანკარა გვიხსნის: ვიშნუ – კრიშნა აღძრავს ადამიანებს განვითარებისა და თავისუფლების მოპოვებისათვის. ამავე დროს იგი ცოდვილებს და ასურებს ჯოჯოხეთად ავიწროებს.

X.20. აქ მიღებულია ამ სიტყვის „გულად“ თარგმნა.

X.21. ადიტია – უსასრულობა. ვედებში 7 ადიტია არის, ხოლო ბრაჰმანიზმში, ზოდიაქოს ნიშანთა შესაბამისად 12. რის გამოც ანალოგიას ავლებენ 12 უხუცეს ოლიმპიელთან. მარუტები – ქარისა და ქარიშხლის ღმერთები. მარიჩი – სინათლის ატომი, სინათლის სხივი. ნაკშატრა – ღამის გუშაგები. საერთოდ ხომლი, თანავარსკვლავედი, კერძოდ „მთოვარის სახლი“.

X.22. ვასავა – ვასუს ნაშიერი. ინდრას ეპითეტი.

X.23. შანკარა – კეთილისმყოფელი. შივას ეპითეტი. კუბერიას, როგორც ჩრდილოეთის, ქვესკნელისა და უკუნის სულთა ნინამძღვარს საუნჯეთა მეუფე ეწოდება. ეშმა – დედანში იაქშა: გნომების მსგავსი გენიები კუბერას ამაღლისა. რაქშაზები – ბოროტი სულნი, დემონები.

მერუ – მითიური ოქროს გორა, ქვეყნის ღერძი და ჯამბუდვიპას (ინდოეთის უძველესი სახელწოდება არის) შუაგული.

X.24. სქანდა – შივას ძე. ღმერთთა სპასალარი, ბოროტ სულთა მეთაური, ბავშვთა ეპიდემიების გამომწვევი.

X.25. ბრიგუ – ვედების საგალობელთა შემოქმედი.

X.26. აშვატჰა – ფიკუს რელიგიოზა. განდჰარვები – ციერი მუსიკოსები. მათ მიერ დაკრულ მუსიკის ხმაზე ბრუნავენ მნათობები. ჩიტრარატჰა – სხივოსანეტლოსანი (მზე) – განდჰარვათა მეთაური. კაპილა – საკუთარი სახელი ბრძენკაცისა, რომელსაც ვიშნუსთან აიგივებენ და სანქჰიას ფილოსოფიის დამფუძნებლად მიიჩნევენ.

X.27. უჩაიშვარა – ყურდაცქვეტილი, ციერი ჰუნე, პეგასის ანალოგიური, ღმერთთა მიერ ოკეანის შედღვების შედეგად წარმოშობილი.

X.29. ანანდა – უსასრულო, ოკეანეში მცურავი გველის შეშას ეპითეტი. ამ გველზე მძინარე ვიშნუ უსაყვარლესი იკონოგრაფიულ თემათაგანია ვიშნუიტებისა. ყოველი კალპის (სამყაროული ციკლი) დასასრულს ცეცხლს აღმონერწყვავს, რომლითაც მუსრავს დაბერებულ სამყაროს. არიამანი – ამხანაგი, მეგობარი; მკედართა მეუფე, ხენტიუამენტის ოზირისის – დასავლელთა მეუფის მსგავსი, იამა – ტყუპი. იამა და იამი – ადამისა და ევას ფარდი პირველი კაცთაგანი წყვილია. იამა – გილგამეშის ანალოგიურია.

X.30. დიტი – შეზღუდულობა, ბუნებაინროობა, დიაცური ღვთაების სახელი.

X.31. მაკარა – რომელიდაც ფანტასტიკური ზღვის ცხოველი.

XI. „თუ X თავში კოსმოსური სულის გამოვლინების „თეორიული“ მხარეა გადმოცემული, XI თავში, სადაც გიტას პოეტური დაძაბულობა აპოგეას აღწევს, შემოქმედი სულის გამოვლინების პოეტური ხილვაა მოცემული... ისტორიულ-რელიგიური აზრით ეს თავი წარმოადგენს „გამოცხადების“ ერთ-ერთ ვარიანტს, რაზედაც ბევრი რელიგია მოგვითხრობს. პოეტური დაძაბულობითა და სახეთა სიმკვეთრით იგი მსგავსი პოეტური შემოქმედების შეუდარებელი ნიმუშია“. სმირნოვი. გვ. 64.

XI.6. აშვინები – ტყუპები, ცისკრისა და მიმწუხრის ღმერთები. სავსებით ანალოგიური ბერძნული დიოსკურებისა.

XI.12. საინტერესოა, რომ ცნობილი ფიზიკოსის იუნგის ნიგნის სათაური „ათასი მზის ელვარებით“ (მოსკ. 1960) გიტას ამ შლოკიდან არის აღებული. ავტორი პირველი ატომური ბომბის საცდელი აფეთქების თვალთმხილველთა შეძრწუნებას, კრიშნას კოსმოსური გამოცხადებისაგან მოგვრილ არჯუნას თავზარდაცემას ადარებს. ნიგნის ეპიგრაფად იგივე შლოკაა წარმოდგენილი.

XI.14. „არჯუნას კრიშნა გამოეცხადება დროის ატრიბუტით (კალა). ეს შემზარავი სახე, რომელიც ესოდენ აძრწუნებდათ არა მარტო ევროპელებს, არამედ ინდოელებსაც, უფრო ცნობილია

დიდი დედუფლის (კალი, ღურგა) მდედრული ასპექტით. სამყაროს სახეთა ხილვის განცდა მრავალგზისაა დამონმებული ინდურ ლიტერატურაში უახლოეს დრომდეც კი. რამაკრიშნას უახლოესი მოწაფე ვივეკანანდა, რომელიც მიმდინარე საუკუნის დამდეგს გარდაიცვალა, ხანგრძლივად იმყოფებოდა ამგვარი ხილვის გავლენის ქვეშ და თავის მოწაფეებს მოძღვრიდა თაყვანი ეცათ საშინელისათვის". (სმირნოვი. გვ. 64). რ.როლანი მოგვითხრობს: „იგი (ვივეკანანდა) ეუბნებოდა ნივედიტას: – ისწავლეთ დედუფლის შეცნობა ბოროტებასა და საშინელში, ტანჯვასა და არყოფნაში, ისევე როგორც სათნოებასა და სიხარულში!.. ო, დედუფალო, უმეცარნი შენ ყელზე გკიდებენ ყვავილნულებს, ხოლო შემდეგ თავზარდაცემულნი უკუგრიდებენ... სიკვდილზე დაიუნჯეთ გონება! საშინელს ეცით თაყვანი! მხოლოდ საშინელის თაყვანისცემით შეიძლება დათრგუნოთ საშინელი და მოიხვეჭოთ უკვდავება... (რ. რ. ტ. XIX. გვ. 302). „მრისხანე ღმერთის შემეცნება ერთნაირია რამაკრიშნასთან და ვივეკანანდასთან, მაგრამ მისდამი დამოკიდებულება განსხვავებულია. რამაკრიშნა თავს იდრეკს და ხელებს უკოცნის ღვთაებას, რომელიც ნთქავს მის გულს, ხოლო ვივეკანანდა სიკვდილს ქედშემართული შეჰყურებს თვალებში და მოქმედების პირქუში სიხარული ამით არის შთაგონებული". (იქვე, სქოლიო. გვ. 303).

XI.53.54. ენასლა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდე, ხოლო სიყვარული არა მაქვნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილი, რომელი ხმობედ. მაქვნდესლათუ წინასწარმეტყველებაი და უწყოდე ყოველი საიდუმლოი და ყოველი მეცნიერებაი, მაქვნდესლათუ ყოველი სარწმუნოებაი, ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე და სიყვარული არა მაქვნდეს, არვე რა ვარ. და შელათუვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივცნე ხორცნი ჩემნი დასანველად და სიყვარული არა მაქვნდეს, არა რავე სარგებელ არს ჩემდა. | კორინთელთა მიმართ. 13.1-3.

XII. „ბჰაქტი – მარგა ანუ გზა ღვთისადმი სიყვარულისა, ადამიანის ემოციური ბუნების სწორი მოქმედების კანონებს განმარტავს. ბჰაქტი – ემოციური თავდადებაა, ცოდნისა (ჯნანა) და

მოქმედებისაგან (კარმა) განსხვავებით. ბჰაქტის მეშვეობით ჩვენ ემოციურ პოტენციას ღვთის სამსახურად მოვიღებთ. ემოციები ინდივიდთა შორის ცოცხალი კავშირის გამოხატვაა და იგი რელიგიური განცდით არის განმსჭვალული, რაც კაცს ღმერთთან აკავშირებს. უკეთუ გული სიყვარულითა და თაყვანისცემით არა გვაქვს შეძრული, ტყვედ ვუვარდებით საკუთარ ეგოიზმს. ბჰაქტის სწორად მიმართულ გზას კი ღვთაების წვდომამდე მივყავართ. ეს გზა ყველასათვის ხსნილია – სუსტისა და ჩაგრულისათვის, გაუნათლებელისა და უმეცრებაში მყოფთათვის და ამავე დროს, ეს გზა ყველაზე იოლია. ღვთაების მიღწევის მიზნით სიყვარულში დაძირვა ისე ძნელი არ არის, როგორც ნებისყოფის განაფვა, ასკეტური ცხოვრებით ცხოვრება ან აზრის გაძლიერებული მუშაობა. ეს გზა ისევე ხელმისაწვდომია, როგორც ყველა სხვა გზა და მის შესახებ ხანდახან ამბობენ კიდევ, რომ ის უფრო დიდია, ვიდრე სხვები, ვინაიდან იგი თვით არის შედეგი, მაშინ, როცა სხვა გზები მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად (XI. 54)“. რადჰ. ტ. I. გვ. 477-78. იხ. აგრეთვე რ. რ. ტ. XX. ბჰაქტი-იოგა. გვ. 29-40.

XIV.18. ვნებიანნი. ეს სიტყვა არ უნდა გავიგოთ როგორც „გულისთქმა, გულისწყრომა და ეგევიტარნი“ (საბა), არამედ როგორც მოძრაობა, მისწრაფება, ვნება. მე მგონი, ამ სიტყვას კარგად უდგება ჰეგელისეული განმარტება: „ვნება არ წარმოადგენს სავსებით შესატყვის ტერმინს იმისათვის, რაც მე მინდა გამოვხატო. სახელდობრ, მე აქ მხედველობაში მაქვს საერთოდ კაცთა მოღვაწეობა, გაპირობებული კერძო ინტერესებით, სოციალური მიზნებით ან თუ გინდათ, ეგოისტური მისწრაფებებით, და ამავე დროს ისე, როგორც ადამიანები ამ მიზნების მისაღწევად სწირავენ თავისი ნებისყოფის და ხასიათის მთელ ენერჯიას“... ჰეგელი. თხზულებები. 1935. ტ. VIII. გვ. 23.

XV.8. სულსა ვიდრეცა უნებს ჰქრის და ხმაი მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაით მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისგან. იოანე. 3.8.

XVI.16. ჯოჯოხეთი შინაგანი მდგომარეობაა და ვისაც საკუთარ გულში აქვს იგი, ყველგან თან მიაქვს. ჯოჯოხეთში ლევიის თავნებობა ანუ არარაობა, ნეტარების ნაკლებობის შეგნება, ნეტარებისა, რომლის მიღწევასაც ცხოვრების მანძილზე წინააღმდეგობას ვუწევდით (ეკჰარტი).

XVI.21. სმირნოვი გიტას შესავალში (გვ.6) აღნიშნავს: შოპენ-ჰაუერის ნაწერებში არ გვხვდებაო გიტას უშუალო დამონება, რაც სავსებით სწორი არ არის. „აზრების“ IV თავში, სადაც ადამიანთა მანკს განიხილავს, როგორც მათი ბუნებისათვის ძირეულს, შოპენჰაუერი გიტას იმონებს: „ავხორცობა, ცოფი და სიხარბე, როგორც ძირეული მანკი, უკვე გიტაში XVI.21. გვხვდება, რაც ამ დოქტრინის დიდი სიძველეს ადასტურებს“. ა. შოპენჰაუერი. აფორიზმები და მაქსიმები, აზრები. ს. პეტერბურგი. 1900, გვ. 344.

XVIII.11. ამ შლოკის პირველი სტრიქონის ანალოგიად რად-ჰაკრიშნანს უორდსვორდის ლექსი მოაქვს:

„თვალს არ ძალუძს ინდომოს არხილვა,
ჩვენ არ ძალგვიძს ყურს ვუბრძანოთ არსმენა,
ჩვენი გული გულადილებს, სადაც უნდა იყოს იგი –
თავისი ნებით ან თავის უნებურად“.

XVIII.67. ნუ მისცემთ სინმიდესა ძალლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქვენთა წინაშე ღორთა, ნუ უკვე დათრგუნონ იგი ფერხითა და მოიქცნენ და განგხეთქნენ თქვენ. მათე. 7.7.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან	4
მთარგმნელის წინათქმა	6

რაბინდრანატ თაგორი

წინათქმა	10
გიტანჯალი	17
კჰონიკა	122
ბენგალია	128
რეალობის ბუნება	186
შენიშვნები	192

ახალი ინდოეთის მოაზროვნეები

მკითხველისადმი	196
----------------------	-----

ვივეკანანდა

ნაწყვეტები ლექციებიდან	198
მაია და ილუმბია	205
მაია და თავისუფლება	219
სანიასინის გალობა	227

აბხედანანდა

გონი და მატერია	231
-----------------------	-----

მაჰატმა განდი

წინასიტყვაობა წიგნისა „ჩემი ცხოვრება“	236
სხვადასხვა რელიგიების გაცნობა	241

სარვაპალი რადჰაკრიშნანი

ინდური ფილოსოფიის ახლანდელი მდგომარეობა	245
ბჰაგავატგიტა	256

ჯავაჰარლალ ნერუ

უპანიშადები	260
ბჰაგავატგიტა	267
ჩემი მსოფლმხედველობა	270

რომენ როლანი

ინდურ მოძღვრებათა ამერიკელი წინამორბედები	285
ვივეკანანდას მსოფლიო სახარების დამატება	299

ინდური საგალობლები

ინდური საგალობლები	310
--------------------------	-----

ნალადიიარი

სიქველისათვის	314
---------------------	-----

თამილური ჰიმნები

აპარი	348
კარაიკალი	350
სუნდარარი	351
ტირუმულარი	352

ნამალვარი.....	353
მანიკაეაშაგარი	355

ქაბირი

◆◆◆ (ო, საით მირბი ჩემს მოსაძებნად).....	360
◆◆◆ (უკეთუ ღმერთი მეჩეთშია).....	360
◆◆◆ (აროკდი შევებით ღღეს, გულო ჩემო).....	361
◆◆◆ (სადლაა ბნელი, როცა მზენათობს?).....	361
◆◆◆ (ვით განვაცხადო იღუმალი, უთქმელი სიგყვა).....	362
◆◆◆ (ვისთან მივიდე).....	363
◆◆◆ (მე ცნობაშმაგი ვიყავი და დაეწყნარდი ახლა).....	363
◆◆◆ (როცა იგი საჩინო ჰყოფს თავისსავე თავს -).....	363
◆◆◆ (უსაფუძელოა, წმინდანს ჰკითხო, რა წოდებას ეკუთენის იგი).....	364
◆◆◆ (დაუსაზღვრელის ბჭებამდე).....	365
◆◆◆ (აყვავებული მგილოვანის საჭვრეგად მიხვალ?).....	365
◆◆◆ (ცთომილებანი დარაჯობენ სასახლის კარებს -).....	365
◆◆◆ (ვინ უნდა გაყოს სიყვარული შენს და ჩემს შორის?).....	366
◆◆◆ (მე არც უღმერთო კაცი და ვარ და არც ღეთისნიერი).....	366
◆◆◆ (ამ თიხის საწყაულის შიგნით).....	367
◆◆◆ (შემოქმედს შეაქვს არსის გულში ხარების თრთოლვა).....	367
◆◆◆ (ეს ღღე ამო და ძვირფასია ყველა სხვა ღღეზე).....	368
◆◆◆ (მითხარი, ძმაო, საკუთარ თავს როგორ განუდგე?).....	368
◆◆◆ (ჩემი მეუფის ვებერთელა გუმბათის ქვეშე).....	369
◆◆◆ (მე მეცინება, როცა მესმის).....	369
◆◆◆ (ვინ შეაგონა ქერივს - დაიწვას).....	370

◆◆◆	(მე ჭეშმარიტად მომწონს ის კაცი).....	370
◆◆◆	(მდინარეში ზვირთები ჰქმნიან მიმოქცევის ერთობლივ ნაკადს).....	371
◆◆◆	(ო, გულო ჩემო, გაიღვიძე, აღდეგ ძილისგან).....	371
◆◆◆	(მე ჩემს სხეულში განმიცდია წუთისოფლის თავის შექცევა).....	372
◆◆◆	(იქ, სადაც სულის საუფლოა).....	372
◆◆◆	(მიწყვიე მბრუნავი ცათა ფერსოს შუაგულში).....	373
◆◆◆	(საცნაურის და უცნაურის ზღვართა შუა მერყეობს გონი).....	373
◆◆◆	(ჩემი უფალი უცნაურად მალავს თავის თავს).....	374
◆◆◆	(შელამებამ დაივანა მღვიმეებსა და ჭალაკებში). შენიშვნები	374 375

ბჰაგავატგიტა

წინასიტყვა	382
I არჯუნას სასოწარკვეთილების იოგა	390
II სანქჰია იოგა	395
III მოქმედების იოგა ანუ კარმა-იოგა	403
IV სიბრძნის იოგა ანუ ჯნანა-იოგა	409
V მოქმედებისაგან განდგომის იოგა	414
VI თავისდაოკების იოგა.....	418
VII შემეცნების იოგა	423
VIII წარუდინებელი ბრაჰმას იოგა	427
LX მეფური საიდუმლოს იოგა	431
X ძალთაგამოვლინების იოგა	436
XI სამყაროს სახეთა ხილვის იოგა	441
XII მოკრძალებული სიყვარულის იოგა ანუ ბაჰქტი-იოგა	449

XIII	ველსა და ველის მეცნაურს შორის გამორჩევის იოგა.....	451
XIV	სამი გუნასაგან განთავისუფლების იოგა	456
XV	უმენაესი სულის იოგა	459
XVI	ღვთაებრივსა და ეშმაურ ხვედრს შორის გამორჩევის იოგა.....	462
XVII	რწმენის სამნაირი გამოწილვის იოგა	465
XVIII	განდგომის იოგა.....	468
	შენიშვნები.....	477